

ქართული
მხარეთმცოდნეობის
სათავმებთან

სამეცნიერო კრებული

*ექვნება სერგი მაკალათიას დაბადების
130 წლისთავს*

ქუთაისი
2023

კრებულში თავმოყრილია სამეცნიერო სტატიები არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ფოლკლორის საკითხებზე. წარმონეწილია ცნობილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული მხარეთმცოდნეობის პატრიარქის – პროფესორ სერგი მაკალათიას ფასდაუდებელი ღვაწლი ამ მიმართულებით და ეძღვნება მისი დაბადების 130 წლისთავს.

შემდგენელი და რედაქტორი

ივორ კეკელია, ფოთის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი, ისტორიის დოქტორი

სარედაქციო საბჭო:

ედიშერ ბალათურია, სალომე ბახია-ოქრუაშვილი, მანანა გაბაშვილი, რევაზ კვიციანი, ბორის კომახიძე, თამაზ ლაცაბიძე, ნონა ჩხეიძე, ია წურწუშია, ლერი ჯიბლაძე.

ISBN 978-9941-8-6077-5

© ი.მ. „მარიამ იობაძე“

მანანა გაბაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
იგორ კეკელია (ფოთის №15 საჯარო სკოლა)

**სერგი მაკალათია — ქართული მხარეთმცოდნეობის
ფუძემდებელი
(დაბადების 130 წლისთავის გამო)**

სერგი მაკალათიას (1893-1974 წწ.) გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული მეცნიერების ისტორიაში, არა მხოლოდ როგორც ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, არამედ როგორც უშიშარ პიროვნებასაც. იგი ქედს არ უხრიდა მაშინდელ სისტემას და თვით უშიშროებასაც, რომელიც უხეშად ერეოდა მის საქმიანობაში. 1942 წელს დააპატიმრეს კიდევ, მაგრამ არც ამას შეგუებია. განთავისუფლებული კვლავაც თავისი მრწამსით აგრძელებდა ცხოვრებას და ქართულ საქმეს ემსახურებოდა, დაუფარავად გამობდა ყოველ ანტიქართულ ქმედებასა და გამოხტომებს, ღიად გააპროტესტა 1956 წლის სისხლიანი 9 მარტი. მისი გამბედაობა ექსპედიციების დროსაც იჩენდა თავს, განსაკუთრებით საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.), კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია. მის წინააღმდეგ ინტრიგებსაც არ გაუბოროტებია, — სადა მცალკა მაგათთვის, — იტყოდა თურმე, იმდენი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

სერგი მაკალათიას შეუპოვრობა სხვა მხრივაც იჩენდა თავს. თუკი მუზეუმიდან დაფინანსებას ვერ იღებდა, ექსკურსიამძღოლად ფორმდებოდა და ასეთ პირობებში აგროვებდა მასალებს. საამისოდ ფოტოხელოვნებასაც დაეუფლა. ხატვა ეხერხებოდა და ჩანახატებსაც აკეთებდა. მისი ფათერაკებით სავსე ცხოვრება საოცარი თავგადასავალიცაა, შესანიშნავი მასალა დოკუმენტური, თუნდაც მხატვრული ფილმის გადასაღებად.

სერგი მაკალათია რომ არა, საქართველოს სხვადასხვა მხარის ყოფა-ცხოვრება არათუ შესწავლილი, არამედ აღწერილიც არ იქნებოდა, სამუდამოდ გაქრებოდა ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე, რომელსაც, წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რაც დღევანდელ მეურნეთათვისაც მნიშვნელოვანია.

მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი პირობისა, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, გამოდიოდა მისი მონოგრაფიები: „ხე-

ვი“, „მთის რაჭა“, „თუშეთი“, „ხევსურეთი“, „მესხეთ-ჯავახეთი“, „ფშავი“, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, „ატენის ხეობა“, „ბორჯომის ხეობა“, „თეძმის ხეობა“, „ლესურის ხეობა“, „ლიახვის ხეობა“, „ფრონის ხეობა“, „დამის ხეობა“, „ქსნის ხეობა“ და სხვ. ხეობების მიზანმიმართული კვლევით სერგი მაკალათიამ ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის საქმე გააგრძელა. ეს შრომები დღესაც მეცნიერთა სამაგიდო წიგნებია, ხალხისთვის კი, თავის დროზე მოუთმენლად რომ ელოდა მათ გამოსვლას, ნამდვილი საუნჯე და სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობების გამღვივებელი იყო.

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აღნიშნული წიგნების ხელმეორედ გამოცემა ცხოვრებისეული აუცილებლობაცაა და საჭიროა როგორც მკვლევართათვის, ისე სამშობლოს წარსულის მოყვარული ქართველებისთვის.

სამეგრელოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, სადაც სერგი მაკალათია დაიბადა და გაიზარდა, ეთნოკულტურულმა გარემომ, კლასიკურმა განათლებამ, აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის ღრმა ცოდნამ ხელი შეუწყო მის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გავილიმა სკოლამ სერგი მაკალათია საქართველოს ისტორიის იმ სიღრმეებსა და მასშტაბს აზიარა, რაც დღეს ახალ ვითარებასა და პირობებში კიდევ უფრო აქტუალურია, როდესაც საქართველოს ისტორიის არაერთი მხარე თავიდან გადასახედი და გასააზრებელია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას ის შრომები, რომლებიც ისეთ ურთულეს და დღესაც აქტუალურ პრობლემას ეხება, როგორცაა აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან კულტურულ-გენეტიკური ნათესაობა. საამისოდ მეცნიერს მოხმობილი და გაანალიზებული აქვს უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები, რაც სათანადოდ გამოყენებული და გაანალიზებული არ არის ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევართა მხრიდან. ამ რიგის შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სერგი მაკალათიას ადრეულ გამოკვლევას ღვთაება მითრას კულტის შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი პირველმა დასვა და შეისწავლა. მანვე დაასაბუთა ამ კულტის არსებობა საქართველოში, კავკასიაში მისი გავრცელების მთავარ პლაცდარმად კი კაპადოკია მიიჩნია, რაც უადრესად საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები. ქართულ მასალაზე დაყრდნობით უჩვენა მეგრული წარმართული მირსას ან მისარიონის კავშირი ირანულ-აღმოსავ-

ლურ მითრასთან („მიპრასთან“), რომელიც სინათლის ღვთაებად მიიჩნეოდა. სათანადო ეთნოგრაფიული მასალების მოხმობით მან დაასაბუთა, რომ ქრისტიანობის პერიოდში, წმინდა გიორგიმ თანდათანობით შეცვალა მითრას რწმენა და კულტი და, რომ სამეგრელოს სინამდვილეში „ჯეგე-მისარონის“ (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება შეინარჩუნა.

ეთნოგრაფიული მასალების სიღრმისეული კვლევის შედეგად მან გამოთქვა მოსაზრება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ქართველური ტომების სარწმუნოებრივი ერთიანობის შესახებ, რაც ეხმიანება ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს დებულებას ქართველ ტომთა ერთიანი ეთნიკური საწყისის შესახებ. სერგი მაკალათიამ თქმულება ამირანზე და „შაკ-ნამეს“ ქართული ვერსიები შეადარა ავესტასა და მითრას შესახებ არსებულ მითებს და მათ შორის მსგავსება შენიშნა.

სერგი მაკალათია ასეთივე დიდი წარმატებით მუშაობდა არქეოლოგიასა და ნუმისმატიკაში. მან ნახევარი საუკუნის მანძილზე „იმდენის გაკეთება შეძლო, რაც ერთი მოზრდილი, მრავალდარგოვანი ინსტიტუტისთვისაც კი ცოტა არ იქნებოდა“ (იულონ გაგოშიძე). სერგი მაკალათიამ არქეოლოგიური და ნუმისმატიკური კოლექციები მოაწესრიგა. მუზეუმების კოლექციები არაერთი საინტერესო უნიკალური მონეტით გაამდიდრა. ქართული ნუმისმატიკის ერთ-ერთ საინტერესო ფურცლადაა მიჩნეული მის მიერ სამეცნირო ლიტერატურაში შემოტანილი კირმანეულის ტიპის უნიკალური მონეტა, რომელიც მან სამართლიანად ვამეყ დადიანს (XIV ს.) მიაკუთვნა. მანვე დაფანტვისგან იხსნა და მეცნიერება გაამდიდრა სეფიეთის ცნობილი ნუმისმატიკური განძით და სხვ.

სერგი მაკალათია ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი არქეოლოგია. მის სახელთანაა დაკავშირებული რეკას, დვანის, ტყვიავის გათხრები და გვიანანტიკური სამარხების კვლევა. მას, როგორც არქეოლოგს, დიდად აფასებდა ბორის კუფტინი, მის მუშაობას ყოველთვის თვალს ადევნებდა და მის მიერ წარმართულ გათხრებსაც ესწრებოდა. ამ დარგში სერგი მაკალათიამ არაერთი საინტერესო გამოკვლევა დატოვა: „არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფელ საკობიანოში და ალაიანში“, „არქეოლოგიური აღმოჩენები მეჯუღის ხეობაში“, „1920-1924 წლებში საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, „გორის ნეკროპოლის დათარიღება“, „ყორღანული ტიპის ბალთები დვანიდან“ და სხვ.

განუზომელია სერგი მაკალათიას წვლილი სამუზეუმო საქმიანობაშიც. მან დიდი ღვაწლი გაუწია ყაზბეგის, მესტიის, ცაგერის, მარ-

ტვილის, კასპის მუზეუმებს ექსპონატებით გამდიდრებისა და გამოფენების მოწოდების საქმეში, ხშირად თავადაც ფიზიკურად მუშაობდა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება, როგორც დამაარსებლისა, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის წინაშე, რომელიც 2006 წლიდან მის სახელს ატარებს. მან წარუშლელი კვალი დატოვა გორის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის თაობაზეც ხსოვნას დღემდე მოწიწებითა და სიყვარულით ინახავენ. ამ ქალაქის პედაგოგიურ ინსტიტუტში იგი ათწლეულების მანძილზე ლექციებს კითხულობდა, როგორც ერთადერთი და პირველი პროფესორი. **ეთნოგრაფიის დარგშიც იგი საქართველოში პირველი დოქტორი იყო.** მისი წვლილი დიდაა გორის ინსტიტუტის ეგიდით ქართლში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ კვლევებსა და ამ ინსტიტუტის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენაში. აღნიშნული ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ თითქმის ყველა ღონისძიებას სერგი მაკალათია უძღვებოდა, მაშინ, როდესაც ამ სფეროს ყოველმხრივ ავიწროებდნენ. თუმცა მეცნიერი ამ შემთხვევაშიც ვერ გატყუეს. სტუდენტებში ცოდნასთან ერთად დიდ ეროვნულ მუხტსა და მოქალაქეობრივ მრწამსს აღვივებდა. როგორც წესი, ისტორიულ ძეგლებზე დაყავდა და ამ ძეგლებზე, როგორც ქვეყნის წინაშე ვალდებულებზე, დიდი გატაცებითა და სიყვარულით ყვებოდა. ადამიანის შეფასების მისი მთავარი კრიტერიუმი იყო ის, თუ ვის როგორ უყვარდა სამშობლო და როგორ ემსახურებოდა მას.

მაშინდელი სისტემის მსახურნი დრომ ისე გააქრო, როგორც ქრებიან მედროენი. სერგი მაკალათიას ცხოვრება და მოღვაწეობა კი, რაც დრო გავა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს და არაერთი თაობისთვის სამშობლოს ერთგულებისა და მისდამი თავდადების მისაბამ მაგალითად დარჩება.

ქართველი მკითხველი მალე იხილავს წიგნს, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღიარებული მკვლევარის, საქართველოში მხარეთმცოდნეობის ფუძემდებლის, პროფესორ სერგი მაკალათიას მიერ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები თავმოყრილი. კრებული ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულ მუშაობაზე.

წიგნის შედგენასა და გამოსაცემად მომზადებისას კარგად გვესმოდა არა მხოლოდ მისი სამეცნიერო მნიშვნელობა, არამედ ერთგვარ მორალურ ვალდებულებასაც ვგრძნობდით საქართველოს ისტორიის გამორჩენილი მკვლევრის ხსოვნის წინაშე.

ეს წიგნი ძვირფასი საჩუქარი იქნება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმისმატიკის, მხარეთმცოდნეობის, სამუზეუმო საქმის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ასევე დიდად წაადგება უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებს. მანამდე კი, მკვლევრის დაბადების 130-ე წლისთავზე, ასევე საუკეთესო საჩუქარია სერგი მაკალათიას ოთხი წიგნი: „ქართველი მეფეები“, „თორი“, „ხევი“ და „ხეკსურეთი“, რომლებიც უკვე გამოიცა გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ.

Manana Gabasvili, Igor Kekelia
Sergi Makalatia - A Founder of Georgian Local Lore and
Ethnography (In honor of the 130th anniversary of his birth)

Sergi Makalatia (1893-1974) holds a significant position in the annals of Georgian science, being one of the pioneers in Georgian local lore and ethnography. Individuals who served the system at that time vanished similarly to those who ascended under the protection of the influential. As time advances, the life and contributions of Sergi Makalatia will continue to gain even greater significance, standing as a shining model of loyalty and unwavering dedication to the motherland for generations to come.



სერგი მაკალათია ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერის პროცესში. ხეკსურეთი. 1933 წ.

მანანა გაბაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

სერგი მაკალათიას სამყარო (ცხოვრებისეული გაკვეთილები)

სერგო და ნიკო ძმები იყვნენ, მაგრამ იმდენად არ ჰგავდნენ ერთმანეთს, ერთი დედ-მამის შვილი არ გეგონებოდათ. სერგო ჩასკენილი, მუხასავით მაგარი იყო. ნიკო გამხდარი და მაღალი, ლერწამივით მოქნილი, ტანკენარი.

ნიკოს მღელღოფერი მწვანე თვალები ჰქონდა, სერგოს ქარვისფერი. ხასიათითაც განსხვავდებოდნენ, მაგრამ ორივე დაუმორჩილებელი კერკეტი კაკალი იყო. ამიტომ საშინო და რეპრესიული სახელმწიფოც კი მათთან ვერაფერს გახდა. საქართველოს აღდგენილი დამოუკიდებლობის (1918-1921 წწ.) ძალადობრივი ხელყოფა 1921 წელს მათ ხსოვნაში მოუშუშებელ ჭრილობად დარჩენილიყო.

ახალი საქართველოსა და ახალი რეალობის მიუდებლობისთვის, სამშობლოს სიყვარულისთვის ორივე დაისაჯა.

ნიკო დიდი ხნით გადაასახლეს (ცოლისძმა ლადო ბალიაურთან ერთად, რომლის სახითაც ნიჭიერი მწერალია დაკარგული), დახვრეტაც მიუსაჯეს, მერე დახვრეტა ათი წლით შეუცვალეს. გადასახლებიდან დაბრუნებული კიდევ ერთ „დანაშაულს“ ჩაიდინს. ფარულად უკან დაბრუნდება, ლადოს ნეშტს ჩამოსაყვანებს და ასევე ფარულად შუაფხოს მიწას მიაბარებს.

სერგოს ერთი წლით ციხის საკანი ახეხინეს. ჩვენები იტყოდნენ, ლანდი გასდიოდა, საპატიმროდან ისეთი გამხდარი გამოვიდაო. ისე, ბინის ჩხრეკისას შედეგად და ცოტნეს, სერგოს შვილებს რომ არ ემარჯვებოდა და დალუქული ოთახიდან, წიგნიდან მის მიერ გორიდან ჩამოტანილი ანტისაბჭოთა პროკლამაცია ოსტატურად არ ამოედოთ, მეცნიერება დიდი ხნით, ანდა სამუდამოდ დაკარგავდა სერგი მაკალათიას.

მაგრამ მან თავისი მაინც რომ არ დაიშალა, მის არქივზე მუშაობისას დავრწმუნდი, როდესაც ამ არქივში 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი, თამარ მეფის ორდენის ასლები და ამ ხასიათის სხვა მასალაც აღმოვაჩინე.

სერგი მაკალათიას, გარდა იმისა, რომ სამუდამოდ აეკრძალა თბილისში მოღვაწეობა, წლების მანძილზე უშიშროების დაკვირვების ქვეშაც იმყოფებოდა.

ობლობა და შემდეგ მრავალრიცხოვან ობლებზე ზრუნვა სერგი მაკალათიას თითქოს ბედმა არგუნაო. თავადაც ხუთი წლისას მამა მძიმე ავად-

მყოფობის შედეგად დაუკარგავს. მარტო დარჩენილმა 27 წლის დაქვრივებულმა ლამაზმა და მშვენიერმა მინაღორა თურქიამ ოთხი შვილი წვალებით გაზარდა. პაპაჩემის დახასიათებით, მას წუწუნი არ სჩვეოდა, იყო მხნე, იმედიანი და პირნათლად შეუსრულა მეუღლეს, სოფლის მღვდელ იოსებ მაკალათიას ანდერძი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, შვილებისთვის განათლება მიეცა. იოსებისთვის, თავადაც მღვდლის შვილისა და წიგნიერი პიროვნებისთვის, განათლება მთავარი ყოფილა და სეფიეთში მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონია.

მინაღორას განსაკუთრებით ცელქი და მოუხელთებელი სერგოს მოთოკვა უჭირდა. ანცობა, ხატვა და ჩიტების დევნა ყველაფერს ერჩია, სწავლას გულს ვერ უდებდა. მაგრამ დედამ, მკაცრმა და ძლიერმა პიროვნებამ, როგორც თავად ამაყად იტყოდა თურმე, გილდი კუპეცის შვილმა, სამეგრელოში პირველმა, საკერავი მანქანა, სამოვარი და მაშინდელი ტექნიკის სხვა საოცრებანი რომ შემოიტანა, თავისი მაინც გაიტანა. ეს მან სიმკაცრითა და ზოგჯერ მათრახის ძალითაც მოახერხა, რაც მარტო სერგოს ეხებოდა, ნიკო თავიდანვე ბრწყინვალე და წესიერი მოსწავლე ყოფილა. სერგო კი ერთი წელი კლასშიც დარჩენილა. მაგრამ დედა მაინც არ მეშვებოდა, — წერს სერგი მაკალათია თავის ბიოგრაფიაში „ცხოვრების გზაზე“: „არაფერს ზოგავდა ჩვენთვის სწავლა და ცოდნა რომ მოეცა. საღამოს ცხრა საათი რომ გახდებოდა, დედა ჭიშკართან მათრახით იდგა და აბა გაგებდა, ამ დროისთვის გადაგეცილებინა“. მატერიალურად თავი რომ გაეტანა იგი აღსაზრდელად სხვის შვილებსაც იყვანდა (რომლებზეც ისევე ზრუნავდა, როგორც თავისიანებზე) და იმდენად კარგი შედეგები ჰქონია, რომ მასთან მოხვედრას ბევრი ცდილობდა. პაპაჩემსაც ბოლოს ისე შესცოდებია ცხოვრების ჭაპანში მარტო შებმული დედა, თავს რომ არ ზოგავდა შვილების განათლებისთვის, ჭკუაშიც ჩავარდნილა და სწავლისთვისაც ხელი მიუყვია. წიგნს თურმე ხელიდან ვეღარ აგდებინებდნენ. შედეგად, სენაკის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისთანავე სწავლა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა.

მოხუც, ნაჯაფ დედას, რომელიც ამყობდა შვილის პროფესორობით, მაშინ იშვიათობა რომ იყო, ამაგი დაუფასა და სიბერე სამოთხედ უქცია, ანებივრებდა, ეთაყვანებოდა, აღმერთებდა.

იოსებსა და მინაღორას, ბრძენქალსა და სახალხო მკურნალს, მეგრული ადათ-წესების საუკეთესო მცოდნეს, მომავალში სერგი მაკალათიას, როგორც ეთნოგრაფის რესპონდენტიც რომ გახდება, დღესაც იხსენებენ სეფიეთში. მარტო მინაღორას იოსებ მაკალათიასთან ქორწილი რად ღირდა.

თამადად ხომ დაუმარცხებელი ფალაუანი, საარაკო ძალის მქონე ნესტორ ესებუა ედგათ, რომელსაც სუფრის გაჭინჭყლებული წვერი რომ ვერ დაუშოშმინებია, სკამის ფეხისთვის ხელი წაუვლია და ცალი ხელით, შიშისგან დამუნჯებული აბეზარა სტუმარი სკამიანად ჰაერში აუტაცნია.

სეფიეთის ეკლესიის ეზოში დღესაც დგას ოთხი ჭადარი, რომლის ძირშიც იოსებ მაკალათიას, ღვთისნიერ კეთილ ადამიანს, ყველას დამხმარესა და მხარში მდგომს, თავისი მეგობრის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თედო ჟორდანიას მხარდაჭერითაც, ქართულ ენაზე დაწეებითი სკოლა გაუხსნია. ეს უკვე პროტესტი იყო, მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან დაპირისპირება, ქართველობისთვის ბრძოლა, რასაც ჩვენი დიდი სანათესაოს არაერთი წვერი შეეწირა. მათ შორის, უკვე სხვა დროში, ნესტორ ესებუას შთამომავლებიც აღმოჩნდებიან, სამშობლოსათვის თავდადებული გონა და გია ესებუები, სახელმწიფო გადატრიალების (1991-1992წწ) მომწვობთა მსხვერპლნი. მახსოვს, როგორ შეჰძრა ამ ფაქტმა და მოგვიანებით როგორ გავიცანი დაღუპული ძმების მამა, როგორ გავისხენეთ ნესტორ ესებუა და, ცხადია, სერგი მაკალათიაც, რამაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ეს იყო დღე, როდესაც რეპრესიების მიუხედავად შევიკრიბეთ შიდა და ყველაზე საშიში ოკუპანტების, ვაი ქართველების ხელით დახოცილთა სულის მოსახსენებლად. ჩვენთან ერთად ჭეშმარიტი პატრიოტი და უკეთილშობილესი პიროვნება, მსახიობი ულმახესი ლია ელიავაც იყო.

ეს ამბავი 1998 წლის 19 თებერვალს მოხდა. დარბეულ სამეგრელოში შეკარდნადის უსასტიკესი რეჟიმის საპროტესტოდ, ეროვნული ძალების დევნისა და ქართველებს შორის დაპირისპირების აღსაკვეთად, მსოფლიოს ყურადღების მისაქცევად გონა ესებუას ხელმძღვანელობით გაეროს წარმომადგენლები მძევლებად აიყვანეს. მათ არათუ აღიარეს გამტაცებელთა მოთხოვნების სამართლიანობა, არამედ გამტაცებლებსა და მძევლებს შორის ისეთი ნდობა და ურთიერთპატივისცემა ჩამოყალიბდა, რომ ჩეხმა იაროსლავ კულიშიკმა გონა ესებუას ნამდვილი ქართველი გმირი უწოდა. ერთერთმა მძევალმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავის ახალდაბადებულ ვაჟს გონა დაარქვა. სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეებმა კი უკეთილშობილესი ქართველი ვაჟკაცი გონა ესებუა, მის მიერ მძევლების გათავისუფლების შემდეგ, ეს იდეური, სამშობლოსთვის თავდადებული პიროვნება მიპარვით, ლაჩრულად მოკლეს.

1937 წელს ვერაგული დაბეზლების მსხვერპლი (კარიერისტი „მეცნიერის“ მხრიდან) გახდა ვახტანგ კოტეტიშვილი, უნიჭიერესი, ჭეშმარიტად რენესანსული ტიპის მოღვაწე (იყო ლიტერატურის ისტორიკოსი,

ხელოვნების თეორეტიკოსი, ფოლკლორისტი, ლიტერატურისმცოდნე, ესეისტი, მოქანდაკე, მხატვარი). მისი ბრწევინვალე წიგნი: „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა“ საუკეთესოდ არის მიჩნეული ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე დაწერილ ლიტმცოდნეობის ნაშრომებს შორის.

ვახტანგი დახვრიტეს.

მას დარჩა შვილები — ვახუშტი და ლეილა. უმცროსი ქალიშვილი ულამაზესი მანანა, 13-14 წლისა გარდაცვლილა. დედა მეტყოდა, ჩვენ თვალწინ დაიღია ავადმყოფობითა და დარდით, ერთბაშად დედაც რომ დაკარგა და მამაცო.

ჩვენები ძალზედ ემადლიერებოდნენ პავლე ინგოროყვასა და კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს საქართველოს მუხეუშში მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების გამგედ ჰყოლია მიწვეული. ისინი რეპრესიულ ხელისუფლებას არ ეპუებოდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ ვახტანგ კოტეტიშვილის დაობლებულ შვილებს (დედა ვახუშტიზე მშობიარობის შემდეგ მალევე გარდაეცვალათ), რაც მაშინ გამბედაობის ტოლფასი იყო. როგორც ვიცი, მანანას დაკრძალვაზეც ხალხი თითებზე ჩამოსათვლელი ყოფილა.

კომუნისტებს არაფრად ჩაუგდიათ დაპატიმრების წინ ვახტანგის თხოვნა, საშუალება მიეცათ და მომაკვდავი, უღედოდ დარჩენილი მანანასთვის ბოლო დღეები შეემსუბუქებინა. ლეილასაც ხომ ოჯახური ტრაგედიის გამო ჯანმრთელობა შეერყა, რითაც მთელი ცხოვრება იტანჯებოდა.

მხოლოდ ვახტანგის მიერ შესრულებულ ფერწერულ ტილოს შემორჩა ოჯახის იდილიური სურათი ყვავილებით გადაპენტილ ბაღში ბედნიერი მშობლებისა და შვილების, ვახტანგის ფერხითი გაწოლილი ძაღლის. ამ სურათს, კედლის დიდი ნაწილი რომ ეკავა, პატარაობიდან განსაკუთრებული განწყობითა და გრძნობით ვუყურებდი.

ახალი წლის დღეებში ვახტანგის ნახატები, ქანდაკებები, ბარელიეფები ბინას კიდევ უფრო იღუმალ, ჯადოსნურ ელფერს სძენდნენ. ამას ემატებოდა დიდ ოთახში მუსიკალურ დანადგარში (თავის დროზე პარიზიდან რომ ჩამოეტანათ) ჩამდგარი ნაძვის ხე, რომელიც დაქოქვისას მშვენიერი ჰანგებისა და რომანტიკული მელოდიის თანხლებით ტრიალს იწყებდა. მერე ვახტანგის ოჯახის ეს მუსიკალური დანადგარი მე და ჩემს ძმას გადმოგვილოცეს, მაშინ სანათესაოში ყველაზე პატარებს, რაც ჩვენი ბავშვობის ახალი წლების დღეებს დაუვიწყარ და განუმეორებელ ხიბლს მატებდა, ჯადოსნურს ხდიდა.

ჩვენები ვახტანგის შვილებისადმი გამოჩენილი სიბოძის გამო, დიდ ქართველ მათემატიკოსს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილსაც სიყვარულით მოიხსენებდნენ. მოგვიანებით მან ლეილა თავისთან ბიბლიოთეკაში დაასაქმა.

ვახტანგის უფროს შვილს ლეილას მახვილი თვალი და იუმორის შესანიშნავი გრძობაც ჰქონდა. ერთხელ ნიკო მუსხელიშვილზე, რომელიც ენამოსწრებულობითაც იყო ცნობილი, ასეთი რამ გვიამბო: ერთ შურიანსა და მუსხელიშვილის წარმატებებით გაბოროტებულ მათემატიკოსს, იმ ვითარებაში, როდესაც კომუნისტები აღმაცერად უყურებდნენ თავადაზნაურობას (და მარტო ყურებას არ ჯერდებოდნენ), ნიკო მუსხელიშვილისთვის შხაკერულად უკითხავს: თქვენ ხომ ყოფილი თავადი ბრძანდებითო ? მუსხელიშვილს მისთვის სიტყვა სწრაფად მოუჭრია და მიუხლია: ყოფილი თავადი არ არსებობს, ისევე როგორც ყოფილი დობერმანპანჩერი ანდა ყოფილი პუდელი — ეს ჯიშია, ჯიში !

ლადო, ვახტანგის ძმა, ასევე ენციკლოპედიური განათლებისა და მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება (ერთხანს სამხატვრო აკადემიაში შესვლაც უფიქრია), ექიმი, ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელია. იგი ლენინგრადში სამედიცინო ხელნაწერებზე უძძიმეს პირობებში თავდაუზოგავ მუშაობას შეეწირა. ძძიმედ დაავადებული 45 წლის ასაკში გარდაცვლილა.

ახლანხანს ლადო კოტეტიშვილს ქართული საზოგადოება გაეცნო, როგორც საინტერესო და ორიგინალურ მწერალს. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ დღეს ლადო კოტეტიშვილის სახელის გარეშე ქართული მწერლობა წარმოუდგენელია. არადა, მას არასდროს უფიქრია თავისი ნაწერების გამოქვეყნება, იგი მხოლოდ თავისთვის წერდა და ძძმისთვის, ვახტანგისთვის (ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსისთვისაც) კი არ უჩვენებია. თუმცა ზოგჯერ სწორედ ამგვარ პიროვნებებში აღმოუჩენიათ ჭეშმარიტად დიდი ტალანტის მწერალი.

რაც შეეხება ვახტანგისა და ლადოს სამეცნიერო ხელნაწერებს, მათი ნაწილი ყველაფრის მკადრებელმა „მეცნიერებმა“ მიითვისეს და კარიერა გაიკეთეს, მათ შორის ვახტანგ კოტეტიშვილის დამბეზღებელმაც. თუმცა საქართველოს მტრებს (შიდა მტრის ჩათვლით) კარგად ახსოვდათ, ვახტანგ კოტეტიშვილმა 1918 წლის 26 მაისს რუსთაველის თეატრის აივანიდან როგორ მიუღოცა ქართველ ერს საქართველოს დამოუკიდებლობა. და მაშინ, როდესაც ვახტანგი რუსთაველის თეატრის აივანზე სიტყვით გამოდიოდა, ჩვენი ოჯახის ასევე ნათესავი, პარლამენტის წევრი, ლასა მგელაძე

(მაძაჩემის ბიძა), ჩვენები ყოველთვის რომ ახსენებდნენ და ვისითაც ამა-
ყოფდნენ, ამ ისტორიულ მომენტში მთაწინდაზე აჭრილი საქართველოს და-
მოუკიდებლობის აღსანიშნავად მთაწმინდის ზარებს აგუგუნებდა, რაც ამა-
დელეკებლად აღწერეს გრიგოლ რობაქიძემ და რეზო გაბაშვილმა.

სამივე — ლასა მგელაძე, გრიგოლ რობაქიძე და რეზო გაბაშვილი
(ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი) საშობლოდან განდევნილები ემიგრაციაში
დალევენ სულს. სამუდამოდ და მტკივნეულად აღმებეჭდება რეზო გაბაშვი-
ლის მეგობრის შემდეგი სიტყვებიც: „გარდაცვალების წინა დღით რეზომ
უკვე იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და არ დაჰფარა, რომ მან
თითქმის მთელი საუკუნის სიცოცხლის პერიოდში მხოლოდ სამჯერ იტი-
რა: ერთი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო;
მეორე — ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და მესამე კი —
უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში. დაფუქდა მისი ამბოხი სუ-
ლი და მკბენარი კალამიც შეჩერდა სამუდამოდ...“

და კიდევ კიდევ რას წარმოვიდგენდი რ.გაბაშვილის (მაშინდელი პარ-
ლამენტის წევრის) სიტყვები, მომავალში როგორც ეროვნული პარლამენ-
ტის წევრს შემეხებოდა. როდესაც ცრუ დემოკრატებსა და ცრუ ეროვნუ-
ლებს რ.გაბაშვილმა უთხრა, რომ საქართველო ვერ აიტანდა მათ ამდენ
არასახელმწიფოებრივ სისულელეს და ძალაუფლება სახელმწიფოებრივად
მოაზროვნე ხალხის ხელში გადავიდოდა ასეთი პასუხი მიიღო: „თუ რო-
დისმე თქვენი მთავრობა შეიქმნა, სათითაოდ აგაფეთქებთ და დაგხოცავ-
თო“. ასე რომ ჯერ დაბადებული არ ვიყავი და განაჩენი უკვე გამოტანილი
მქონდა.

ვახტანგ კოტეტიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი ამბავი უნდა გა-
ვიხსენო, რაც რეპრესიულ სახელმწიფოში გმირობის ტოლფასი იყო, მით
უმეტეს, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, რამაც უამრავი
ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ცნობილია, თუ ეს აჯანყება როგორ გააპ-
როტესტეს და ფოტოზეც აღბეჭდეს ვახტანგ კოტეტიშვილმა, კონსტანტინე
გამსახურდიამ, ალექსანდრე აბაშელმა და პავლე ინგოროვამ. მათ გლოვის
ნიშნად შავი ჩოხები შეიკერეს და ჩაიცვეს. მათთვის ბევრს მიუბაძავს, რა-
საც სახელმწიფოს შემფოთება და ჩოხის ტარების აკრძალვა მოჰყოლია,
ვინაიდან ჩოხას საპროტესტო დატვირთვა ჰქონია.

ვახტანგისა და ლადოს გარდაცვალების შემდეგ ვახტანგის ორ ობოლს
— ლეილასა და ვახუშტის ლადოს სამი ობოლი დაემატა — ელისო, იათო,
ნანა და ლადოს ახალგაზრდა დაქვრივებული მეუღლე — ნინა მაყაშვილი.
ამ ოჯახებზე ზრუნვა ჩემმა პაპამ და ბებიამ — სერგი მაკალათიამ და ივ-

ლიტა კოლექტიში იტვირთეს. არავის ახსოვს სერგი მაკალათიას (ამდენი ხალხის სარჩენად წელებზე ფეხებს რომ იდგამდა) როდესმე ამის გამო სამდურავი ეთქვას. ის კი არა, თავის გაჭირვებულ სტუდენტებსაც უწვდიდა დახმარების ხელს. ყველაზე ღარიბებს ზოგჯერ თავის ოჯახშიც აცხოვრებდა, აჭმევდა, აცმევდა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს კი სამუშაო საათების შემდეგ დამატებით, უანგაროდ ამეცადინებდა. მათ ჩვენც ვიცნობდით. ერთ-ერთის დალუპვა ჩვენი ოჯახის ტრაგედიადაც იქცა, რაც დღემდე მწარედ მახსოვს.

სერგი მაკალათია ჩვენი სანათესაოს ობოლი და ნიჭიერი ბავშვების სწავლას ასევე განსაკუთრებით აღევნებდა თვალს. როგორც მერე თავად გაიხსენებენ, მათ ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ახალისებდა. პაპასთვის ჩემი განათლებაც რამდენად მნიშვნელოვანი იყო იმ პატარა ბარათებიდანაც ჩანდა ყოველ დაბადების დღეს რომ გადომცემდა ასეთი ტექსტით: „იყავი გონიერი და კარგად ისწავლე, შენი პაპიკო“. გადმოცემით ვიცი, რომ გარდაცვლილი ლაღო კოლექტიშილის სამივე შვილი ამ დროს უკვე სკოლაში დადიოდა, მანამდე სახლში იღებდნენ განათლებას. ლაღო მათ საბჭოთა სკოლაში გაშვების კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა. მას თურმე ისე სძულდა კომუნისტები (რაც მის მწერლობაშიც ასახა), რომ ერთ-ერთი სიძე, როდესაც გაუგია, კომუნისტური პარტიის წევრიაო, სახლში აღარ შეუშვია.

მამაჩემი, სერგი მაკალათიას სიძეც, რეპრესირებული ოჯახიდან იყო. 1911 წელს, ვოლოგდის გუბერნიაში (სოფელ ვერხოვაჟიეში) გადასახლებული პოლიტპატიმრის ოჯახში დაბადებული. მამამისი, ნიკოლოზ გაბაშვილი (1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი), 1924 წლის აჯანყების დროს დააპატიმრეს. მას დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ გააუქმეს. მოსკოვიდან ბრძანება მოსულა, საქართველოს მრავალეროვანმა ბოლშევიკებმა დახვრეტები გადაჭარბებით შეასრულესო. 1942 წელს ყარაგანდამი გადაასახლეს, სადაც დალუპულა. მე მას მხოლოდ ფოტოებით ვიცნობ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ვეცადე, ნაცნობს ვთხოვე ყარაგანდში მისი კვალისთვის მიეგნო, მაგრამ ჩვენი ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

სანათესაოს ისტორიები, ბავშვობიდან რომ მესმოდა, საქართველოს ერთგვარი ისტორიაც იყო, რაც ჩემს დარღსა და კაემანს ამძაფრებდა. ეს იყო სევდა საშობლოსი, სევდა წინაპრების, გენეტიკური სევდა. მახსოვს, სკოლაში სწავლისას როგორ გავოცდი, როდესაც მამაჩემის რუსეთში (გადასახლებული პოლიტპატიმრის ოჯახში) დაბადების ამბავი გავიგე. მაში-

ნაც სკოლაში ვსწავლობდი, როდესაც უფროსების ასეთ საუბარს მოკვარი ყური: ვახტანგ კოტეტიშვილი, საოცარი ხიბლის, გარეგნობითაც გამორჩეული, დახვეწილადე სასტიკად უწამებიათ, ხელ-ფეხი დაუმტვრევიათ, ფეხზე ვეღარ დგებოდა. მაგრამ ვახტანგი ერთადერთი არ იყო ჩვენი დიდი სანათესაოდან, რომელიც საქართველოსთვის, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულებისთვის დაისაჯა. ამ ადამიანებზე, მათ განვიღვ გზაზე ფიქრისას არაერთხელ მითქვამს, თემებს რომ ეძებენ, შორს წასვლა რად უნდათ, ამ პიროვნებებისა და მოღვაწეთა ცხოვრება ხომ ნოველის, რომანის, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმის გამზადებული სიუჟეტებია, ერთი ოჯახის ნამდვილი დიდი საგაა.

სერგოსა და ნიკოს ცხოვრებაც ასეთი იყო.

გადასახლების შემდეგ ნიკოს ქალაქში ცხოვრება აეკრძალა და სამგრელოში, მშობლიურ სოფელ სეფიეთში დასახლდა. ბოლოს სოფლის მასწავლებლობის ნება მიუციათ. მაგრამ გარეგნობაც კი, როგორც ერთხელ მისმა ერთმა ყოფილმა მოწაფემ მითხრა, ანტიკომუნისტური ჰქონდაო.

სერგი მაკალათიას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო ხასიათის მოგზაურობაც ზამთარ-ზაფხულ, დარსა თუ ავღარში ხიფათითა და თავგადასვლებით სავსე ყოფილა, განსაკუთრებით 20-30-იან წლებში. მაგრამ ამ პირობებშიც იგი არ დრკებოდა და დიდ ქართულ საქმეს აკეთებდა, ეთნოგრაფიულ მასალებს კრებდა და, როგორც მასთან დაკავშირებითაა ნათქვამი, დავიწყებისთვის განწირულ მასალას სულზე მიუსწრო. ამას იმითაც ხსნიან, რომ სერგი მაკალათია დროს არ კარგავდა და თავდაუზოგავად შრომობდა. ხელში მუღამ ფანქარი ან ფოტოაპარატი ეკავა, რომელსაც საგანგებოდ დაუფლებია. იხატავდა და იხაზავდა ყოფის დამახასიათებელ რეალიებს, სახლის ორნამენტებს, სხვადასხვა ხასიათის ეთნოგრაფიულ მასალებს. ხალხთან ერთად დადიოდა ხატობებში, ქორწილებში, სატირალში, მეცხვარებთან მთაში, სადაც საღამოობით კოცონთან ჩონგურზე დაკვრას, ლექსებს, ხალხურ სიმღერებს ისმენდა და იწერდა. მის მიერ გადაღებული ფოტომასალები, ზოგი მხატვრულადაც საინტერესო, საქართველოს ისტორიის ასევე ნამდვილი მატანეა. ერთხელ ასეთი კურიოზიც შემთხვევია, როდესაც თეთრებში გამოწვობილი, ფოტოაპარატით ხელში უცხოეთის ჯაშუში ჰგონებიათ და შეუპყრიათ, მაგრამ მალე დიდი ბოდიშებით გაუთავისუფლებიათ.

დღეს უკვე სერგი მაკალათიას მიერ მოპოვებული ყველა ეს მასალა უნიკალური, მეცნიერთათვის სამაგიდო წიგნებია. მალე, გამომცემლობა „არტანუჯი“, სერგი მაკალათიას თორმეტ ტომეულს წარუდგენს სამეცნიერ-

რო წრეებსა და ფართო მკითხველს. იგეგმება მათი რუსულად და ინგლისურად თარგმნაც.

სერგი მაკალათიას შრომები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავს („მთიულეთი“, „ფშავი“, „ხევსურეთი“, „ხევი“ „თუშეთი“, „ხემორაჭა“, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, „მესხეთ-ჯავახეთი“, „ატენის ხეობა“, „თემის ხეობა“, „ლიახვის ხეობა“...). ამავე დროს, იგი არქეოლოგიასა (ამ დარგში ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ პირველი პროფესიონალია) და ნუმიზმატიკაშიც მუშაობდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამუხეუმო საქმიანობის განვითარებასა და საქართველოს მასშტაბით ამა თუ იმ მუხეუმის დაარსებაში, რაც ასევე დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნეოდა.

ამჟამად გორის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუხეუმი სერგი მაკალათიას სახელს ატარებს, სადაც 1937-1948 წლებში დირექტორის თანამდებობა ეკავა. აქაც, როგორც ყველგან, ჩვეული ენერგიით ჯარასავით ტრიალებდა, ხელში ჩაქუჩი, ხან მაკრატელი, სახაზავი ან კალამი ეჭირა, ექსპონატებს თავს უყრიდა, წმენდა. ეთნოგრაფიის განყოფილებაში ცოცხალი კუთხეც მოაწყო და საამისოდ მანეკენებიც შეიძინა, მაგრამ ისინი რუსეთში დამზადებული ცხვირპაჭუა რუსები იყვნენ, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ქართული ეთნოგრაფიის ამ კუთხესთან. ამიტომ დაუდგრომელი სერგი მხატვართან ერთად მათი პირისახისა და იერის გადაკეთებას შეუდგა. რუსული ცხვირი ქართულ ვაიდაზე, კეხიანზე შეუცვალა და მათ ხელში ჩავარდნილი რუსი მანეკენები იმდენი ხეხეს და და ისე გამოაწვეეს შესაბამის ქართულ ტანსაცმელში, რომ ბოლოს (ქალიც და კაციც) ქართლელებს დაამსგავსა. მუხეუმის დამთვალიერებლები აბა რას წარმოიდგენდნენ, ქართულ ჩოხა-ახალუხსა და იარაღში ჩამჯდარი ვაბალახიანი ქართველი ვაჟკაცი ყოფილი რუსი რომ იყო. ქართულ კაბაში გამოწყობილ ქალსაც რუსისა აღარაფერი ეცხო.

1948 წელს სერგი მაკალათია გორის მუხეუმის დირექტრობიდან გაათავისუფლეს იმ მიზეზით, რომ „საბჭოთა ცოტა სწამს... ხშირად ვერ ერკვევა საბჭოთა სისტემაში“, ზოგი რეპრესირებულიც მიუღია სამსახურში და რომ საბჭოთა სიმბოლიკის მაგივრად მუხეუმს, მათი თვალსაზრისით, დრომოკმული წარსულის ნივთებით ავსებს. მაგრამ დრომ დაადასტურა მისი არჩევანის სისწორე და მარადიულობა, ამასთანავე ბრძოლის მნიშვნელობა, ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშეც კი, როდესაც მას უკვე გამოვლილი ჰქონდა საბჭოთა ციხის ჯოჯოხეთი.

მუხეუმები, ექსპედიციები, არქეოლოგიური გათხრები, — ამ წრეზე

ტრიალებდა სერგი მაკალათიას ცხოვრების ჩარხი. თუ სახლში იმყოფებოდა, თავის კაბინეტში გამოუსვლელად იჯდა და მოპოვებულ მასალას ჩაკირკიტებდა. მისი ეს ოთახი პატარაობიდან ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, განსაკუთრებით ლომებიანი სავარძელი, რომელზეც აცოცება და მასში მოკლათება მიეკარდა. აქედან ჩემ თვალწინ ძველებური მაგიდის უჩვეულოდ დიდი სივრცე იშლებოდა უცნაური საგნებითა და ნივთებით დასახლებული, იმ ილუმინაციითა და მისტიკით, რომელსაც პაპის კაბინეტში განვიციდიდი და სადაც ყოველთვის რატომღაც გრილოდა ან ციოდა. ეს ჩემს გრძნობებს ამძაფრებდა და კაბინეტს კიდევ უფრო ამოუხსნელ ელფერს სძენდა. მეჩვენებოდა, რომ პაპის კაბინეტი ოჯახისგან განეწეებულად, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და მორიგ ექსპედიციაში წასულ პატრონს ელოდებოდა.

საშიში დროა, ნუ წახვალ ექსპედიციაშიო, სთხოვდნენ, მაგრამ ყურად არ იღებდა. უკან დახვევა არ მჩვევიაო, წერს იგი ერთგან. იგივე განაცხადა მაშინაც, როდესაც თბილისიდან მოსკოვსა და ლენინგრადში (40-იან წლებში) გაეკიდნენ მისთვის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის ჩასაშლელად. მაგრამ ეთნოგრაფიაში პირველი დოქტორი მაინც გახდა. თუმცა გული წყდებოდა, ქართული საქმის კეთებაში ხელს რომ უშლიდნენ. კიდევ უფრო განიცდიდა, დისერტაციის დაცვის ნება თბილისის იმ უნივერსიტეტში რომ არ მისცეს, რომლის პირველი გამოშვების სტუდენტიც იყო. ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში შემდეგ ჩანაწერს აკეთებს: „ძნელი იყო ასეთ მდგომარეობასთან შერიგება, ილახებოდა ჩემი ეროვნული თვითშეგნება, რომ მშობლიურ თემზე უცხოეთში, უცხო ენაზე დამეცვა დისერტაცია“. ამ დროს, თავად ყოველთვის შორს იყო ინტრიგებისგან, ამის დრო არა მაქვსო, იტყოდა. საოცრად კეთილგანწყობილი პიროვნება სხვისი წარმატებით ყოველთვის ხარობდა. მეცნიერებაში დავით კაპანაძის შემოყვანა განსაკუთრებით ეამაყებოდა, როგორც ნუმიზმატმა ქართულ მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწიაო, თანაც დასძენდა დიდი პატრიოტიზმით, რაც მისთვის შეფასების ყველაზე მთავარი კრიტერიუმი იყო.

საქართველოს მუზეუმშიც, სადაც ერთ დროს მუშაობდა (1921-1935წწ.) უკან არ იხვედა და თუ დაფინანსებას არ იღებდა, ექსკურსიამძღოლად ფორმდებოდა და ასეთ პირობებში კრებდა მასალებს.

თუმცაში წასვლამდეც აფრთხილებდნენ, საშიშია, ნუ წახვალო.

მაინც წავიდა.

მთაში ყაჩაღებმა შეიპყრეს და გაძარცვეს. დასახვრეტად ხევში ჩაიყვანეს. ამ ვითარებას თავად იგი ასე აღწერს:

„სადამოს 9 საათზე დავბინავდით ტყეში. „კიდუკის ბოლოზე“. ცა მო-
იღრუბლა. გაეშალეთ კარავი. შუადამისას ჟუჟუნა წვიმა დაუშვა. გათენდა.
ღრუბლების ნაფლეთები ირევიან. დილა ნისლიანია. ექსპედიცია შეუდგა
გამგზავრების თადარიგს: ცხენები დაიკაზმა და დაბარგულები კეპნის
წელის ხევით გზას გაუყვევით. ბილიკი დაკლაკნილია, დასხლეტილი და
ლადალუდა. მალე დაუშვა კოკისპირული წვიმა. მივდივართ ფორთხევით და
ხობხვით. გზის გაგრძელება შეუძლებელია და დავბანაკდით ორწელის დავა-
კებაზე, სადაც კეპნის წყალს ხევის წყალი უერთდება. მას აქ ორწყალს
უწოდებენ. გაიშალა კარავი და დაწუწულები ვუცდით გამოდარებას. უკვე
დილის 11 საათია და არ დარობს. თანამგზავრი თუშები არ იცდიან, გვაჩქა-
რებენ, რომ ღამის ბანაკზე დროზე მივასწროთ. ისევ ავიბარგეთ და თავ-
სხმაში შევუღდექით კეპნის გადასვლას. დაკლაკნილი ბილიკი ლიპია და ძნე-
ლი გასავლელი.

გავიარეთ 7 კილომეტრი და კეპნის ტყეში წყაროსთან ხმა გაისმა ხე-
ლები მაღლა, „რუკი ვერხო“. მგზავრები გავეშქმდით. წინ გადმოვიდგა
თოფმოდერილი ყაჩაღი. მან დაუშტვინა და სხვებიც გადმოვიდნენ. მოვიდა
მათი ბელადი ვალი. ეს ტიპიური ლეკია. ხანშიშესული და მრისხანე. მას
ახლდა თავისი ახალგაზრდა ქალიშვილი, ვაჟკაცურად გადაცმული და შეი-
არადებული. ყაჩაღი ოთხია და ოთხივე დიდოული. გაგვჩხრიკეს. ჯიბე-უბე-
ში რაც რამ გვებადა, წაგვართვეს...

გვეგონა, გვისტუმრებნო და ცოტაოდენი შევბაც ვიგრძენით, მაგრამ
ამოდ. ახლა ფული მოგვთხოვეს. მძიმე იყო ექსპედიციისთვის ამის შესრუ-
ლება. ეს ნიშნავდა ექსპედიციის მუშაობის ჩაშლას და ხელცარიელი უკან
დაბრუნებას. ფულის არ მიცემაც საბედისწერო იყო, ფული კი ყუთში
გვქონდა ჩაკეტილი... აბა ახლა ხევში ჩადით, ბარგიანი ცხენები აქ დატო-
ვეთ და სანამ ფულს არ ჩავგაბარებთ, მანდ იყავითო, თან თოფებით გვიტე-
ვენ.

ჩემმა თანამგზავრმა, ირაკლი ელანიძემ, ჩამწურჩულა: ხევში ჩასვლა
სიკვდილის ნიშანია, მე თუში ვარ და ვაჟკაცურად უნდა მოვკვდეო. თქმა
და რევოლვერის ამოღება ერთი იყო. ნიშანში ვალი ამოიღო. ჩახმახი ამუ-
შავდა, მაგრამ დანესტიანებული საბედისწერო ტყვია არ გავარდა.

თუშს რევოლვერი Yყაჩაღებმა გამოსტაცეს, დაითრიეს და სცემეს.

კოკისპირული წვიმაა. ექსპედიცია მძიმე წუთებს განიცდის. ამ დროს
ტყეში გაისმა მგზავრთა ხმაური და ცხენების ჭიხვინი. ესენი კახეთს მიმა-
ვალი თუშები აღმოჩნდნენ. მათ ლეკებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების
შემდეგ ექსპედიციის წევრები დაიხსნეს და სიკვდილს გადაარჩინეს“.

გადარჩნენ.

მაგრამ სერგი მაკალათიას ამ შემთხვევაშიც უკან არ დაუხევია, გახარებულმა, სიცოცხლის რისკის ფასად გადამალული საექსპედიციო ფული და ფოტოაპარატი რომ გადაურჩა და გზა გააგრძელა. ასეთ პირობებში შეაგროვა სათანადო მასალები და გამოსცა წიგნი თუშეთზე.

ბუნებასაც არ ეპუებოდა, თუმცა მის მშვენიერებას დიდი სიყვარულით აღწერდა. მეცნიერის ნაწერებში უდავოდ მწერალს შეიცნობთ. მას ხომ სახელი სერგი მამის მეგობარმა თელო ჟორდანიამ ცნობილი პუბლიცისტის სერგეი მესხის საპატივცემულოდ იმიტომ დაარქვა, ბავშვს დიდი შუბლი აქვს და იქნებ მწერალი გამოვიდესო. საერთოდ, პაპას ერთ-ერთი თვისება სილამაზისადმი ტრფიალი იყო, ყველაფერი ლამაზი იზიდავდა და ხიბლავდა, გინდ სულიერი ყოფილიყო და გინდა უსულო.

სერგი მაკალათია გაბედულების გამო შესანიშნავმა პიროვნებამ, მეცნიერმა და მთამსვლელმა, შოთა მიქელაძემ (ვისაც დაღუპვის შემდეგ თავისი მონოგრაფია „ხევი“ მიუძღვნა), გეოგრაფიული საზოგადოების მთამსვლელთა საზოგადოების წევრად მიიწვია. ერთ დღესაც სერგი მაკალათია მყინვარწვერისკენ მიმავალ მთამსვლელებს გაჰყვა: „გზა იყო ძნელი და სახიფათო, ყინულოვანი ტაფობის ე.წ. ფირნის კელის გადალახვის შემდეგ დაიწყო ბეთლემის მიდამო. მე აქ გამოვემშვიდობე მყინვარწვერზე მთამსვლელებს და გადაუხვებე ბეთლემისკენ.“

მძიმე ნაბიჯებით ვარდევდით მყინვარის ღორღიან მორენას და შუადღისას დამაშვრალნი ძლივს ავედით ბეთლემში, რომლის სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება. ცოტათი შესვენების შემდეგ მე და ჩემი მეგზური დაეტრიალდით, რომ ჩქარა ამეწერა ბეთლემი და გადამელო ფოტოები. დახანება არ შეიძლებოდა, მოსალოდნელი იყო ამინდის შეცვლა და გამობრუნებისას, შუა გზაზე დარჩენა. ამის შიშმა დაგვაავიწყა დაღლილობა, შიმშილი და მოქანცულობა. ორი საათის განმავლობაში მე მოვასწარი აქ ყველაფრის დათვალიერება, აღწერა და ფოტოგადაღება. ჩემი გამყოლიც მაშურებდა, რომ დაღამებამდე ჩავსულიყავით ბინაზე. ჩვენდა სასიხარულოდ, ამინდი კარგი დაგვიდგა და სწრაფად გამოვბრუნდით ყაზბეგისაკენ. მოხევეებს უკვირდით მუშაობაში ასეთი თავდადება, ჩვენთან მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ ბეთლემში ნანახის გაზიარებას. მე სიამოვნებით ვუყვებოდი ჩემს შთაბეჭდილებას, რომ მათგანაც მიმელო რაიმე ახალი ცნობები ბეთლემზე“.

ასეთივე ინტერესით დახვდნენ სერგი მაკალათიას სპარსანგელოზის მაღალი მწვერვალიდან დაბრუნებისას, სადაც წინათ ხატობები იმართებოდა და იმჟამად უკვე ვერ ნახავდით ვერც ერთ მლოცველს. ასე იყო ყველგან,

მას სიყვარულით „ჩვენ სერგოს“ ეძახდნენ და ზოგ წერა-კითხვის უცოდინარ მოხუცს კითხვა საგანგებოდ შეუსწავლია, რომ მათ კუთხეზე დაწერილი მეცნიერის წიგნი წაეკითხა.

ამდენმა წყალმა ჩაიარა, თაობები შეიცვალა, დროც, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა მხარეში დღესაც გაიგონებთ სერგი მაკალათიას სადღეგრძელოს, რომელსაც რთულ პირობებში მყოფს, ბევრჯერ მშიერს, წყლით მოუკლავს შიმშილი. მაშინ კი იმ შორეულსა და საშიშ დროში ფეხით მიმავალ, შეუპოვარსა და ახალგაზრდა სერგის ისევე ბუნების მშვენიერება და წარსულის სურათები მატებდა ძალას, თვალწინ რომ ემღებოდა. მიდიოდა და ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქის ციხე-კოშკები, ეკლესიები, ნამოსახლარები, ეკლესია-სამლოცველოთა ნანგრევები, ძველი ქართული საფლავები და ნანახს არა მხოლოდ აღწერდა და აღწესხავდა, არამედ გონებაში აღადგენდა და ემოციურად ასე ახასიათებდა: „ათვალიერებ თორის მშვენიერ ბუნებას და გსურს, ჩაწვდე თორის წარსულის საიდუმლობას, მაგრამ ვისგან და როგორ? ბუნება უტყვია, ადგილი უკაცრიელი, „არსაიღამ ხმა არსიდ ძახილი“, დგებარ განმარტოებით თორის ნანგრევზე ხელში ფანქრითა და სახომით, გსურს, აგეგმო ჟამთა სიავით ჩაფერფლილი დიდ თორელთა ნამოსახლარი. ფიქრობ, ნახაზების საშუალებით აღადგინო ჩაქცეული ციხე-დარბაზების სიმტკიცე და სიდიადე“ და ასეთი რამდენი ჩანაწერი აქვს.

მაგრამ ამ ექსპედიციების დროს ქვეყნის ცოცხალ, თანამედროვე ისტორიასთანაც ჰქონდა შეხება საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921წ.) დარბეულსა და ტყეში გახიზნულ დევნილ ქართველებთან, რასაც უკვე სხვა დროს, როდესაც ისტორია განმეორდება, 90-იან წლებში, მეც შევესწრები.

სერგი მაკალათია არხოტში თომა ბალიაურთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლთან, დაბინავებულა, რომელსაც გარეგნობითაც ძალიან ჰგვანებია, მასავით ლამაზი ყოფილა და ვაჟკაციც. განა მან არ იცოდა, არხოტს შეფარებულ თომაზე (ნახევარი წლით თოვლი სამყაროს რომ მოსწყვეტდა) კომუნისტები რომ ნადირობდნენ, მაგრამ მაინც მასთან გაჩერებულა. აქებდა თომას, ნაკითხი და შეგნებული კაცი იყო, ხევისურული ადათ-წესების მცოდნე და მასალების შეგროვებაშიც მეხმარებოდაო. თომა ბალიაურის დიდი სახელი და რეკომენდაცია ფშავე-ხევისურეთში ყველგან გზას მიხსნიდაო. მას გზას უხსნიდა მთაში ძმის ნიკოს ავტორიტეტიც, რომელიც მოცალეობის დროს სერგი მაკალათიას მხარეში ედგა ხოლმე.

გავა არც თუ ბევრი დრო და თომა ბალიაურს რომ ვერ მოიხვლეთებენ,

ისევ შინაურ მტერს გამოიყენებენ, მის სისხლსა და ხორცს, ბოლშევიკებთან დაახლოებულსა და ნაფერებ მის მამიდაშვილს, სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ბელნიერ ცხოვრებას რომ აღუთქვამდნენ, მოისყდიან. ისიც თავის 17 წლის ვაჟს წააქეხებს და თომას ღამე ფანჯრიდან ქურდულად, ლაჩრულად მოაკვლევინებს.

შურს სერგოს ძმის, ნიკოს ცოლის ძმა, ლადო ბალიაური, იძიებს, ლენინგრადიდან (იქ სწავლობდა) სისხლის ასაღებად საგანგებოდ ჩამოსული. ამ ისტორიის ზოგ დეტალებს, ერთ ზაფხულს სეფიეთში ერთად ყოფნისას, სერგოს და ნიკოს საუბრებიდან გავიგებ, ისევე როგორც ფშავის ეთნოგრაფიული ქსპედიციის დროს, ასევე რთულსა და არეულ დროში პაპაჩემის დაპატიმრების ამბავს. თვალეზახვეული ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლ მიხა ხელაშვილთან მიუყვანიათ. მას იგი უცვნიად და როგორც საქართველოსთვის მოღვაწე პატრიოტი დიდი პატივით გამოუსტუმრებია.

მიხა ხელაშვილსაც, 25 წლის ნიჭიერ პოეტსა და საქართველოს მოყვარეს, ასევე ვერაგულად გაუსწორდებიან საუკეთესო ქართველების სხვადასხვა სახით გამოხშირვის პრინციპით, რაც მიზანმიმართულად 1801 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა სახით დღემდე გრძელდება. ახლაც ყურში ჩამესმის მამაჩემის ხმა, რომელიც ყოველთვის დიდი გულისტკივილით ამბობდა, ცუდსა და უვარგისს ხელს არ ახლებდნენ, კარგებს სპობდნენო.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სერგი მაკალათიასთან დაკავშირებით უშიშროებაც წუწუნებდა და ჩიოდა. ამგვარი დოკუმენტი წლების წინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მაჩვენეს, სადაც იგი ერთ დროს მუშაობდა და დიდი ღვაწლიც მიუძღვის მის წინაშე. გვეურება, არ გვემორჩილება, წერენ მასზე. გორიდანაც (სადაც პედაგოგიურსა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა) თვითნებურად ჩამოდის თბილისში, თუმცა ამის უფლება არა აქვსო.

მართალია, მას თბილისიდან ფეხი ამოუკვეთეს და მუშაობის ნება მხოლოდ რაიონებში დართეს, მაგრამ იქაც დიდ ეროვნულ საქმიანობას ეწეოდა. მას მიაჩნდა, რომ ქართული საქმის კეთებისთვის მაინცდამაინც თბილისში ცხოვრება აუცდლებელი არ იყო. წლები გორის ინსტიტუტში, სადაც ძირითადად მოღვაწეობდა, საქართველოს ისტორიის სწავლებას უძღვებოდა, სტუდენტებს სამშობლოს აყვარებდა, დაჰყავდა ექსპედიციებში, ექსკურსიებზე, კიდევ უკეთ რომ შეეგრძნოთ და გაეთავისებინათ თავიანთი ქვეყანა; მათ ნაშრომებს ხელმძღვანელობდა, ახალგაზრდებს მეცნიერებისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, ანდა, უბრალოდ, სამშობლოს მოყვარე კარგ ქართველებად ამზადებდა და წერთინდა. გორის ინსტიტუტშიც

ისეთი აუდიტორია ერჩივნა, საიდანაც გორის ციხე მოჩანდა, რომელსაც მალიმალ გახედავდა და სტუდენტებსაც ეტყოდა, შეხედეთ გორის ციხესაო. თავადაც ხომ აუღებელ ციხე-სიმაგრესავით იყო.

მარტო ეს ამბავი რად ღირს, ანდა რას ელოდნენ მისგან, როდესაც 1954წ. გორის საქალაქო კომიტეტს იგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თაობაზე ლექციის წასაკითხად ამ ქალაქის სამხედრო ნაწილში გაუგზავნია. ამ ამბიდან 45 წლის გავლის შემდეგ ამ ინსტიტუტის უკვე ყოფილ რექტორს, გიორგი ხარაულს, მწერალ ზ.წაქაძისთვის ინტერვიუ მიუცია და უთხოვია, რასაც გეტყვით, არ გაახმაუროთო, შიში და სიფრთხილე ადამიანებს ძვალსა და რბილში იმდენად ჰქონდათ გამჯდარი და გამოყოლილი. წარმოგიდგენიათ, ამ ლექციის დროს რა გააკეთა სერგი მაკალათიამ, უთქვამს გიორგი ხარაულს, სულ დამპყრობლები უწოდა ეპოლექტიან რუსებსო. ცხადია, სერგი მაკალათია გააკრიტიკეს, შეაჩვენეს და დაგმეს, განეთმიც გამოწერეს, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, კვლავაც არავის ეპუებოდა და თავის დიდ ეროვნულ საქმეს აგრძელებდა.

ამის შემდეგაც ხმა ამოიღო, 1956 წლის 9 მარტი დაგმო და თავადაც დაგმეს, მაგრამ ადამიანებს ისევ ძველებურად აფასებდა, თუ ვის როგორ უყვარდა სამშობლო, რამდენად იცოდა საქართველოს ისტორია, სამშობლოსთვის რა სიკეთე მოჰქონდა.

მოხუცებულობის ჟამსაც მუხლი უჭრიდა და ძველებური შემართებით სტუდენტები ისტორიულ ძეგლებზე კვლავაც დაჰყავდა. იგი მათ ამ ძეგლების მიხედვითაც იმასსოვრებდა და არასდროს შეეშლებოდა ვინ, სად და როდის ჰყავდა ამა თუ იმ ძეგლის გასაცნობად წაყვანილი.

მაგრამ სერგი მაკალათიასთვის ისტორიული ძეგლები უბრალოდ ძეგლები არ იყვნენ. მათ იგი სამშობლოს წინაშე როგორც ვალმოხდილებს განიხილავდა, თუნდაც ატენის ციხის მაგალითზე: „შესცქერო სიამაყით ამ მრავალმგადახდილ ატენის ციხეს, გრძნობ კმაყოფილებას, რომ მან შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს დაცვის საქმეში და ახლა ჩვენ მოგვიწოდებს შევისწავლოთ მისი ისტორიული თავგადასავალი“.

მისი, როგორც ისტორიკოსის, ასეთ ხედვასა და უწყვეტ კავშირს წარსულთან კარგად ხედავდნენ ჯერ კიდევ თანამედროვენი.

სერგი მაკალათიას გორის ინსტიტუტში მოღვაწეობა და პორტრეტი, როგორც მეცნიერისა და პედაგოგისა, შესანიშნავად დახატა მწერალმა, ამავე ინსტიტუტის მაშინდელმა თანამშრომელმა, ოთარ ჩხეიძემ სტატიაში „მეციხოვნე“ და ლოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანი“. იგი აღნიშნავს, თუ როგორ არიდებდა თავს სერგი მაკალათია იმათ, ვინც კარიერისთვის მზად

იყო, სამშობლო გაეწირა და თუ ასეთებს საპროფესოროში თვალს მოკრავდა, რომელსაც ხუმრობით სამაკალათიოს ეძახდნენ, ვინაიდან ერთადერთი პროფესორი იყო, იქ არაფრით შევიდოდა და დერეფანში დარჩებოდა. ის კი არა, სტუდენტებსაც ლექციებს 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ან 1921 წლამდე საქართველოს გასაბჭოებამდე უკითხავდა, დანარჩენში უჩემოდაც გაერკვევითო.

ასეთ დროს, ანუ როდესაც საპროფესოროში მისთვის მიუღებელ ადამიანებს თვალს მოკრავდა, სტუდენტებთან გასაუბრება ერჩივნა. გამოკითხავდა საქართველოს რომელი კუთხიდან იყვნენ და ასე შემდეგ, ეს ხომ მისი პროფესიის ნაწილიც იყო. ერთხელ მატარებელში როდესაც თავის თანამგზავრს გაცნობია და მსგავსი კითხვები დაუსვამს, მასში საკუთარი დეიდაშვილი აღმოუჩენია, რომელიც წლების მანძილზე რუსეთში ყოფილა გადაკარგული.

„შიში და უკან დახევა მე არ მახსიათებდა“. ამ სიტყვების თქმა არაერთგზის დასჭირდება ცხოვრების გზაზე, მაშინაც როდესაც სახელმწიფო და ზოგიერთი მისი კოლეგაც უხეშად ერეოდა მეცნიერის საქმიანობაში და დევნიდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში მუშაობა, ოთხივე დარგის კომპლექსურად გაშუქება, საქართველოს არაერთ საკითხს ახლებურად წარმოაჩენდა და პრობლემებსაც მთლიანობაში დაანახევებდა. ამასაც ებროძონენ.

პროფ. ი.გაგოშიძე სერგი მაკალათიას გასაოცარ შრომისმოყვრეობაზე საუბრისას, იქ, სადაც იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველოში, როდესაც ვიწრო სპეციალიზაციის დამკვიდრება დაიწყო, როცა, მაგალითად, არქეოლოგიაში ქვის ხანის სპეციალისტს არაფერი ეკითხებოდა ბრინჯაოს ხანაში, და პირიქით, „საიდანღაც მოგვევლინა მეცნიერი-უნივერსალი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ემუშავა ერთდროულად ისტორიკოსადაც, ეთნოგრაფადაც, არქეოლოგადაც, ნუმიზმატადაც და, რაც განსაკუთრებით აუტანელი იყო მავანთათვის, წარმატებით ახერხებდა ამას“.

წისქვილის ქვა რომ წისქვილი ქვაა, ისიც დატრიალებულა ჩემი სანათესაოს თავზე, მაგრამ გასაკვირია, ხალისიანები, მხიარულები და იუმორით სავსენი იყვნენ. მე ამის გამო მათ საზოგადოებაში ყოფნა პატარაობიდანვე მიეყარდა. ნათესაობის შეხვედრები თუ თავყრილობები მაგონებდა სპექტაკლებს, რომლებშიც სიცოცხლის ნიჭით დაჯილდოებულნი ბრწყინავდნენ. სერგი მაკალათიას მიერ ნათესაობის შესაკრებად დათქმულ დღეს — აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს კი ყველა თაობა დღემდე პირნათ-

ლად ვასრულებთ.

სასულიერო პირების ჩამომავალი (მამით და პაპით) პაპა სერგო, პაპი-კოს რომ ვეძახდით პატარებს ხშირად დიეტაზე რომ გვეგონა, თურმე მარხულობდა.

საერთოდ, მას ყველაფერში ზომიერება უყვარდა, სმამიც და მოლხენა-შიც. სანათესაოს მაშინდელი ახალგაზრდები თუკი ღროსტარებაში გაუტევდნენ, გამოვიდოდა და უცერემონიოდ ეტყოდა, „ნუ იცით ეგას“ (ეს მისთვის დამახასიათებელი ფრაზა იყო), ხომ ჭამეთ და სვით, ახლა სახლებში წადითო, რაზეც მერე ახალგაზრდები, თავად სერგო და ჩვენც, ბავშვები, ვიცინოდით და მის ამ ფრაზებს, განსაკუთრებით „ნუ იცით ეგას“-ს ვიმეორებდით. თან თვალი პაპის დიდი ჩანთისკენ გვეჭირა, რომელიც ჩვენთვის ნაირნაირი კანფეტების ნამდვილი საწყობი იყო. ეს ყველა ბავშვმა იცოდა, შინაურმა თუ გარეულმა, და სადაც არ უნდა ყოფილიყო, თავის ჯადოსნურ ჩანთას განსწიდა და აფიფივებულ ბავშვებს კანფეტებს დაურიგებდა.

პაპას და მე ერთი საიდუმლო გვქონდა. ეტყობა, ახალგაზრდობისა და სემინარიაში გატარებული წლების ნოსტალგია მოაწვებოდა, სადაც ჩემდა გასაკვირად, თურმე ევროპულ ცეკვებსაც ასწავლიდნენ და როდესაც დღესასწაულებზე ქალთა სკოლის მოსწავლეები მოდიოდნენ, სემინარელები თავიანთ ყოსტატობას მაშინ უჩვენებდნენ. ის კი არა, ერთ დღესაც ჯერ სულ პატარა სერგი თეთრებში გამოუწყვიათ, თეთრ ხელთათმანებში და მთავარმართებლის მეუღლისთვის თაიგული მიურთმევია. ხელზე რომ ვაკოცე და იმან შუბლზე მაკოცაო, იგონებდა პაპა, არ ვიცი რატომ, ძარღვებში სისხლი გამეყინაო. ამაზე ნათესავები გაიცინებდნენ და ხუმრობით ეტყოდნენ, ალბათ, ეს იმპერიულმა კოცნამ დაგმართაო.

ჰოდა, მართო რომ ვიყავით, პაპიკო დამიძახებდა და ცეკვის გაკვეთილს მიტარებდა. განსაკუთრებით პოლონური „მაზურკა“ უყვარდა და მთაწმინდის სახლის გრძელი აივნის თავსა და ბოლოში წინ და უკან ამ ცეკვის სწრაფ რითმში დამაქროლებდა. ასე რომ, სანამ ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლის წევრი გავხდებოდი, რაც შემთხვევით მოხდა (სკოლაში მოვიდნენ და შერჩეულთა შორის კონკურსის საფუძველზე აღმოვჩნდი), პაპამ ევროპულ ცეკვებს მაზიარა, მოგვიანებით ბიძაჩემმა ცოტნემ, უკვე ჩემი თხოვნით — ტანგოსა და ფოქსტროტს.

საზოგადოდ, ჩვენი სანათესაოსთვის დამახასიათებელია ყველა თაობის ერთობა და თავყრილობები. ის კი არა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზეც, სადაც კოტეტიშვილები არიან დაკრძალულნი, ასევე განურჩევლად ასაკისა ყველა სიხარულით მივისწრაფოდით. იქაც, თითქოს სიკვდილს თავს არ

გულრეკდით და ნიშნს ვუგებდით, გულიანად ვიცინოდით. დიდიან-პატარაიანად ვხალისობდით იუმორით ცნობილი ჩვენი დიდი პაპის დეკანოზ ილია კოტეტიშვილის ხუმრობებზე, ერთ ღროს სვეტიცხოველსა და მამადავითში რომ წირავდა. მოკლედ, ჩვენები აქაც ათასგვარ მხიარულსა და თავშესაქცევ ამბებს ყვებოდნენ. იგონებდნენ დიდი ბებიის კატოს ოინებსაც, რაც ასევე გვამხიარულებდა. მთელ უბანს ხომ მის მიერ შერქმეული ზედმეტი სახელები ერქვა — ბაღლინჯოანნი (ოჯახში ბევრნი ყოფილან), კურტუმაანნი (ოჯახის უფროსის მობრეცილი სიარული გამო) და სხვა. თავად კატოს უბანში ფოფოლიას ეძახდნენ, როგორც ძღველის ცოლს. ამ სიტყვის მნიშვნელობას მოგვიანებით გავიგებ, თანაც — ორიგინალურ ვითარებაში.

ჩემი სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს ზურგსუკან ყველა ფოფოლიას ეძახდა. ჩემი კლასელის დედას ფოფოლია სახელი ჰკონებია (ეს ამბავი მოგვიანებით გავიგე) და ასე მიუძღმარ თავს, ქალბატონო ფოფოლიაო, რითაც ეს ფსევდოფოფოლია გადაურევია. მე კი ფოფოლია მეგრული გვარი მეგონა. ერთხელაც სკოლის დირექტორი შემოვიდა, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა, ვისი გაკვეთილი გაქეთო. ფოფოლიასი-მეთქი, ვუპასუხე გულდანდობილად და მშვიდად. დირექტორი ჯერ ჭარხალივით გაწითლდა, მერე მრისხანე ნებჭუნს დაემსგავსა და ჩემკენ ისრები გამოუშვა, გასაგებია, თურა შეფასებებითა და ბრალდებებით. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ, როგორც თავზედსა და უზრდელს, ნამდვილი ფოფოლიას შვილიშვილი ანუ დედაჩემი დამიბარა.

ოჯახის რეაქცია, დირექტორს რომ არ მოეწონებოდა, ისეთი იყო. ბევრი იცინეს.

კატო (მე მას არ მოვსწრებოვარ) იცი, რა ინტერესიანი იყო, სიცილით გული რომ იჯერა, მითხრა დედამ. ოჯახის საქმეს რომ მორჩებოდა, ხელში ან წიგნს, ან გაზეთს დაიჭერდა. დედაჩემი და მისი ძმა, ცოტნე თურმე სიცილს ძლივს იკავებდნენ, როდესაც კატო პიანინოს მიუჯდებოდა და ცალი თითით მელიოდის აწყობასა და დაკვრას ცდილობდა.

ამ ღროს ილიასა და კატოს ცხოვრება არა თუ იოლი, ტრაგიკულიც კი იყო. ლაღო ახალგაზრდა გარდაიცვალა, ვახტანგი, მასზე მზე და მთვარე რომ ამოსდიოდათ, დახვრიტეს. თავადაც ბოლშევიკ-კომუნისტების აგრესიული პოლიტიკისა და ქცევების მსხვერპლნი გახდნენ. ეს ვითომ პროგრესული და სამართლიანი კაცობრიობის მშენებლები, სინამდვილეში ქურდული მენტალიტეტის პარაზიტები, სხვის ქონებასა და მონაგარს დახარბებულნი, რაც მათ ბუნებაში უცვლელად დარჩა, კოტეტიშვილების სახლშიც მისულან და ავეჯი რომ ავეჯია, ისიც კი გაუტანიათ და ყველაფერი, რაც

მოსწონებიან, ხელისთვის გაუყოლებიან. წაუღიათ ვახტანგის ქართული ხალხური საკრავების უნიკალური კოლექცია. ალბათ, ეს უკვე რომელიმე „მუსიკის ტრფიალის“ მითითებით მოხდა.

ერთადერთი, რაც ოჯახს ავეჯიდან დარჩა, ვახტანგის კაბინეტის ძველბურთი ლომებიანი სავარძელია, რომელზეც კატო ჩამჯდარა და სახელურებს ისეთი ძალით ჩაფრენია, რომ მოხუცი ვერანაირი ძალით ვერ აუყენებიათ და ისევე სახლის გამოცარიელებისთვის მიუხედავთ. მათ არც ობოლ ბავშვებზე ატოკებით გული. მერე დღეაჩემი ამ სავარძელს ხშირად იგონებდა. კატო ისე, ჩვენ რომ არ დაგვენახა, მალულად მივიდოდა და კოცნიდა. ჩვენები იმასაც იტყოდნენ, მაშინ ეს ტყავის შავპალტოიანები სიგარეტს რომ ვწვოდნენ, იატაკზე აფერფლებდნენ და ფეხით სრესდნენო.

წლების შემდეგ, ერთ დღესაც, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე, რუსთაველზე, უდიდესი უძრავლესობა მამაკაცებისა, ტყავის შავ ქურთუკებში როგორც ფორმაში გამოწყობილები რომ დავინახე, გულმა რეჩხი მიყო.

ჩემი დიდი პაპა ილიაც, ფაქტობრივად, მათ მიერ და და მათი ხელით გარედან თავს მოხვეული სისტემის მსხვერპლი გამხდარა.

დიდთოვლობის მუხედავად, იმ დღეს შეუძლოდაც ყოფილა, მამადავითის ეკლესიაში ასულა. როდესაც ბოლშევიკების მიერ ეკლესიის გუმბათიდან ჩამოგდებული ზარი დაუნახავს, ღრმად მორწმუნე, ბიბლიური გარეგნობის მოხუცი, ლოგინად ჩავარდნილა და მალევე გარდაცვლილა.

კატო ვახტანგს ათი წელი ელოდა. დღეაჩემი მეტყოდა, როცა მიხვდა, ვახტანგი აღარ დაბრუნდებოდა, ლოგინიდან აღარ ადგა, პირი კედლისკენ იბრუნა, ლუკმა აღარ ჩაიდო პირში და შიმშილით თავი მოიკლაო.

ლალს ცოლს, ნინა მაყაშვილს, ადრე დაქვრივებულს, ენაკვიმატი კოტეტიშვილები მხიარულ ქვრივს (ამ სახელწოდების ოპერეტაც არის) ეძახდნენ. მაგრამ იყო კი ის ასეთი?

ნინას ცხოვრებაც საქართველოს ცხოვრებას იმეორებდა და სხვებივით ისიც სვედიანი ბიოგრაფიის მატარებელი იყო, ბოლშევიკების მიერ აწიოკებული იყალთოელი გენერლის, თავად სოლომონ მაყაშვილის ასული. მისი ბებია მანანა ჭავჭავაძე იყო, ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი, ნათესავეები კოტე აფხაზი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ყველანი ბოლშევიკების მიერ განადგურებულები.

კარგად მახსოვს, პაპაჩემი ნინას განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალებით როგორ ეყვრობოდა, აღდგომასაც ასევე გამორჩეულად ულოცავდა და ყოველთვის ორივე, თითქოს რაღაც საიდუმლოებას ფლობ-

დნენ, განმარტოებულნი რაღაცაზე შეთქმულებივით საუბრობდნენ, რაც ჩემთვის, როდესაც გავიზრდები, გასაგები გახდება.

მაყაშვილთა შთამომავლები დღემდე ინახავენ და ჩემთვისაც ბევრჯერ უჩვენებიათ აფიშა, რომელიც გვაუწყებს, რუსეთის გენერალმა, თავადმა სოლომონ მაყაშვილმა და მისმა ოჯახმა, თანაც რუსეთში, ვლადივოსტოკის თეატრში, როგორ გადაუხადა აკაკი წერეთელს სამწერლობო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ეს ოჯახი, რომელიც იქ სამსახურში მყოფ ქართველობას კრებდა, რეგულარულად მართავდა ქართულ საღამოებს, მეჯლისებს, თამარ მეფის ეპოქაზე მაშინ ესოდენ პოპულარულ ცოცხალ სურათებსაც დგამდა, რომლებშიც სოლომონ მაყაშვილიც მონაწილეობდა. ეს ოჯახი საქველმოქმედო საღამოებს მართავდა თელავში დაბრუნების შემდეგაც, გაზაფხულობით ცნობილ „გვირილობას“ და სხვა.

მიხეილ მაყაშვილის (ნინას ძმის) ქართული სილამაზისა და ჯიშის 21 წლის ახალგაზრდის ფოტო ასევე წლებია, რაც კედლიდან შემოგვეყურებს. იგი 1921 წლის 2 მაისს მსხვერპლი გამხდარა ბოლშევიკების მიერ იუნკერთა სასწავლებელში მძინარე და უიარაღო ახალგაზრდებზე ვერაგული თავდასხმისა.

მიხეილ მაყაშვილი დიდი პატივით დაუკრძალავთ. მას ესწრებოდა გენერალი გიორგი კვინიტაძე, სხვა სამხედრო პირები, მთავრობის წევრები და უამრავი ხალხი. პროცესიას წინ თვითმფრინავი მიუძღოდა, თეთრი ყვავილებით გაკეთებული წმინდა გიორგის ჯვრით (მიხეილი ერთ-ერთი პირველი ქართველი მფრინავი იყო), რომელშიც მისი სურათი იყო ჩასმული. ხალხი თელავისკენ მიმავალ მატარებელს, რომლითაც წაასვენეს ახალგარდა მიხეილ მაყაშვილი, ყველა სადგურში ხვდებოდა. მიხეილის დედას (ილიას ბიძაშვილის, მანანა ჭავჭავაძის ასულს) კატეგორიულად მოუთხოვია, არ იტიროთ, ჩემი შვილი სამშობლოს შეეწირაო.

მაგრამ ამ ოჯახიდან ეს ერთადერთი მსხვერპლი როდი იყო. შემდეგი მარო მაყაშვილი აღმოჩნდება, მიხეილის ასევე უდროოდ დაღუპული ბიძაშვილი. ბოლშევიკების მიერ უსასტიკესად ნაცემი მიხეილის ძმა, ბეჟანი (ბორისი), პატრიოტობისა და მაყაშვილობის გამო, თავში მიყენებული ტრამპეზისგან ისიც ახალგაზრდა გარდაიცვლება.

მარო მაყაშვილის ამბავიც ასევე ჩვენი საოჯახო ისტორიის ნაწილი იყო (საჯაროდ მის ხსენებას მაშინ აბა ვინ გაბედავდა). პატარაობიდან ვიცოდით 19 წლის მაროს გმირობისა და თავდადების, საქართველოსთვის შეწირული ახალგაზრდა ქალის ისტორია, რომლის ფოტოსაც მიხეილ მაყაშვილის ფოტოსთან ერთად მთელი ცხოვრება ასევე ვუყურებდით მაშინაც,

როდესაც მისი, როგორც პატრიოტისა და, თანაც, თავადის ასულის საჯაროდ ხსენებაც კი არ შეიძლებოდა.

ისიც ვიცოდით, ნინა და მისი დები როგორ მოუძღოდნენ იმ საპროტესტო კოლონას, თელავში ოკუპანტების წინააღმდეგ რომ გამართულა. და იმ დროს, როდესაც კომუნისტები ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბანდიტად მოიხსენიებდნენ, ნინა მას სიყვარულით იგონებდა; ბევრი რამ, მაშინდელ ამბებთან დაკავშირებული, დეიდა ნინას ვაამბობინე და ჩავიწერე კიდევაც. გვეტყოდა, იცით, ქაქუცა როგორი მოხდენილი და ლამაზი ვაჟკაცი იყო, მაგისტანა ლეკურს მთელ იმ არემარეში არავინ ცეკვავდა, და დაამატებდა, საოცარი მოჯირითეც იყო, ერთხელ იყალთოში ჩვენი სახლის კიბეებზე ცხენი ამოაგელვაო. ამის თქმაზე მწვანე თვალები გაუნათდებოდა და კიდევ უფრო ლამაზი ხდებოდა.

ამ ოჯახის უსასტიკესი დარბევის ამბავიც ვიცოდით, უკვე დევნილი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის პატივით მიღებისთვის ერთ დღესაც დარევიან და მყაშვილების ჩვიდმეტი ოჯახი იყალთოდან გაუსახლებათ. როგორც ვიცო, ნინა იქ აღარასოდეს ჩასულა, სადაც მათ ნაფუძარზე, კომუნისტებისა და შემდგომი მთავრობების (1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულების მიერაც) განებივრებულ მათ ყოფილ გლეხს დაედო ბინა, არც თუ კარგ როლს რომ შეასრულებს (ანტიეროვნულს) უკვე საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ყოველ 27 იანვარს, ყველა თაობა, ბავშვი თუ ახალგაზრდა, სიხარულით ნინაობაზე მივისწრაფოდით, მათ შორის — ნინას ნათესავებიც, ჭეშმარიტი არისტოკრატები, სუფრასთან მსხდომნი პორტრეტებში გაცოცხლებულ საქართველოს ისტორიას მაგონებდნენ. ჯიშინები, ლამაზები, დარბაისელნი ქცევით, მოკრძალებულნი და უაღრესად თავშეკავებულები, რაც ქართული ხასიათის თვისება, ქართული ცხოვრების წესი იყო. სტუმრებს შორის დები — ნუნუ და ნუგეშაც იყვნენ, მარო მყაშვილის დები და დისშვილი, პოეტი და მთარგმნელი, ქართული სილამაზის განსახიერება, თამარ ერისთავი.

ნუგეშა, ეს იშვიათი სახელი, ვიცოდით, რომ ოჯახის ტრადიციის ამსახველი იყო. პოეტმა კოტე მყაშვილმა და უმშვენიერესმა თამარ გაბაშვილმა (ეკატერინე გაბაშვილის ქალიშვილმა) ნუგეშა მაროს დაღუპვის შემდეგ იყოლიეს. ამით თითქოსდა პროტესტი გამოუცხადეს სიკვდილს და მაროს სიცოცხლე ახალი სიცოცხლით ჩაანაცვლეს, ოჯახსა და სათაყვანებელ სამშობლოს პატარა ქართველი ნუგეშად მოუვლინეს. ისიც ვიცოდით, მარო მყაშვილის ბიძა, რევაზ გაბაშვილი, ემიგრანტი რომ იყო და პარიზში

ცხოვრობდა, მაგრამ მაშინ რას წარმოვიდგენდი, მისი წიგნი „რაც მახსოვს“, კომუნისტების დროს აკრძალული, მოვიღოდა დრო და ჩემი სამაგიეროდ წიგნი გახდებოდა, ჩემი თხოვნით კი როსტომ ჩხეიძე რევაზ გაბაშვილზე დოკუმენტურ რომანს დაწერდა, რაც მან ნაწარმოების თავში კიდევაც აღნიშნა.

მოგვიანებით გავიგე, რომ საქართველოში რევაზ გაბაშვილის მოგონებების წიგნი „რაც მახსოვს“ კომუნისტების დროს არალეგალური გზებით შემოსულა და მამაჩემსაც მაშინ წაუკითხავს. ამას უნივერსიტეტის თანამშრომელი არც თუ დიდი ხნის წინ მეტყვის.

ხვათა შორის, როდესაც რევაზ გაბაშვილის ხსენებაც კი დანაშაულად მიიჩნეოდა, ჩვენ სახლში მისი ცხვირი გექონდა.

რას ნიშნავს ეს ?

პიანინოზე შოთა რუსთაველის პატარა ბიუსტი გველო, რომლის ცხვირიც, და ოჯახში ყველა გაბაშვილმა ვიცოდით, ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის მოწაფეს, ნიკო ნიკოლაძეს, რევაზ გაბაშვილის ცხვირის მიხედვით გამოემყრნა. თავად რეზოც იგონებს, ერთ-ერთი თავყრილობის დროს პარიზში, როგორი აღტაცებით მიაგნო მის ცხვირს სახელოვანმა მოქანდაკემ და ხალხში ყიჟინა დასცა, ცხვირი ვიპოვე, რუსთაველის ცხვირიო.

ჩვენი შეკრებების მუდმივი თამადა, ვახუშტი კოტეტიშვილი ყოველ ნინაობაზე, როდესაც დასჭექდა: მაშ, გაუმარჯოს ნინიცას, თავიც დიდი აქვს, ტვინიცა, — ეს ნიშნავდა საოჯახო დღესასწაულის დაწყებას, ასე რომ გვიყვარდა. სადღეგრძელოებს, საუბრებს, სერიოზულ თემებს სახალისო ამბები ცვლიდა, თავისებური, ჩახლეჩილი ხმით ვახუშტი ლექსებს კითხულობდა. იათო კოტეტიშვილი, თითქოს ერთი თეატრის მსახიობაიო, ფეხზე წამოდგებოდა და იწყებოდა თავაწყვეტილი სიცილი, კოტეტიანთ დიჯლიჯი, როგორც ჩვენებმა იცოდნენ თქმა.

მალევე მივხვდები, ჩვენი სანათესაო პირად თუ ქვეყნის ტრაგიკულ ამბებს მხიარულებით, იუმორითა და სიცილით იქარწყლებდა.

ნინა მაყაშვილიც მხიარულებაში იკლავდა დარღსა და ვარამს. უამრავი ანეკდოტი იცოდა, ჩხუბი კი მხოლოდ საბჭოთა რადიოსთან მოსდიოდა. ტყუილს არ არჩენდა, ეკამათებოდა, სააშკარაოზე გამოჰყავდა. არცხვენდა, ეს რეებს ლაპარაკობო.

ნინა მოესწრო 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რაც უკვე მეორედ მოხდა მის ცხოვრებაში, და დაიბარა, როცა მოგკვლები არ მიტიროთო.

ჩვენი საოჯახო თავყრილობები წლიდან წლამდე გრძელდებოდა და მისი მხატვრული რეპერტუარი ზეპირად ვიცოდით, მაგრამ ერთი და იმავე ამბის ათასჯერ მოსმენა არ გებეზრდებოდა.

— იათო, იათო, — დიდიან პატარიანად ავეყაყანდებოდით ხოლმე, გვიამბე ერთი, რა გითხრა შენმა ლექტორმა, პირველ კურსზე რომ შეხვედი პირველ ლექციასზე.

იათოც ყვებოდა.

— უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გაგხდი. პირველი დღეა. დიდ აუდიტორიაში გაერთიანებული სამი ჯგუფი, ფილოსოფიის ფაკულტეტის სამასი სტუდენტი ვსხედვართ. ამაყი და ყელმოღერებული პირველ მერნზე ვარ მოკალათებული. სტუდენტი გაგხდი, თანაც ხუმრობთ, როგორი ფაკულტეტის — ფილოსოფიის. ამ ფიქრებში გართული რომ ვარ, აუდიტორიის კარი გაიღო და შემოვიდა ლექტორი, როგორც მერე გავიგებთ, ემანუელ კანტის საუკეთესო მცოდნე ფილოსოფოსი და ოთახის შუაგულში მოწვევტილივით გაჩერდა. ლექტორმა შემოგვხედა, შუბლი ხელით მოისრისა, ისევ შემოგვხედა, აუდიტორიიდან გავიდა, მაგრამ მაშინვე შემობრუნდა და ამ სიტყვებით მოგვმართა:

— სამასი სტუდენტი და ისიც ფილოსოფოსი? ეს ხომ გაუგონარი ამბავია? ადრე ფილოსოფიის ფაკულტეტზე სამი ან ოთხი სტუდენტი თუ გაბედავდა შემოსვლას.

სამასი ფილოსოფოსი, გააგრძელა მონოლოგი ლექტორმა, ეს ნამდვილი ღვთის რისხვაა. თანაც სტუდენტი ქალებიც? ლექტორმა პირველ რიგში მჯდომს თვალი თვალში გამიყარა და ჩემთვის მოულოდნელად მომმართა.

— აბრძანდით ! არ გამიგია ფილოსოფია ქალის, ისიც პატარისა და შავის.

— დაბრძანდით !

არა, ისევ გააგრძელა ლექტორმა თავისი მონოლოგი. ერთი მითხარით, ვინმეს თუ გაუგია, ქალს რაიმე დამსახურება მიუძღოდეს ფილოსოფიაში, ანდა სიტყვა ეთქვას ფილოსოფიის ისტორიაში. თუცა როგორ არა, ერთი გამონაკლისი მაინც არსებობს. გერმანელ ფილოსოფოსს, ფიხტეს, ცოლმა გრიპი შეჰყარა და მოკლა. ამით ამოიწურება, დაასკვნა ლექტორმა, თქვენი ქალების როლი ფილოსოფიაში.

მალე ქალებმა ლექტორზე შური ამ ლექსით იძიეს:

ალიოშა ქუთელია კანტს კითხულობს უთენია,

დაბადებულს კანტის კნუტად

კანტი ესმის კანტი-კუნტად.

იათოსა და ნანას ღამ, ელისოძაც, გარეგნობით მშვენიერმა (დედაჩემი იტყოდა, მაყაშვილების სილამაზე აქესო) პროფესიად მამაკაცური დარგი — გეოლოგია, აირჩია, ასე მიიჩნეოდა. ამ სფეროში მან საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა და, რაც მთავარია, გეოლოგიის მეცნიერების კაბადონზე არაერთი მამაკაცის მზეც ჩაასვენა. ფრანგმა გეოლოგებმა განამარხეს (ამინატს) მის საპატივცემულოდ „კოტეტიშვილია“ უწოდეს. ასე რომ, ჩვენი ოჯახის ქალები ინტელექტუალურ ფრონტზე ევროპელი ქალებივით იბრძოდნენ და მეცნიერ მამაკაცებს ცეცხლსაც უხსნიდნენ, ცეცხლსაც უნებდნენ და თავზე კაკალსაც ამტვრევდნენ.

— განა რა, ევროპაშიც ასევე არ იქცეოდით, ეტყოდა კაცებს იათო. — თქვენ არ იყავით, უფრო სწორად, თქვენნაირები, საფრანგეთის უკვლავთა აკადემიის ორმოცი მამაკაცი მარგარეტ ოურსენარს, ბრწყინვალე მწერალსა და ინტელექტუალს, ამ აკადემიაში რომ არ იღებდით ? ისტერიულად თქვენ არ გაკვივრდით, ერთ ქალს შემოვუშვებთ აკადემიაში და მერე უმცირესობაში აღმოვჩნდებითო. ისე მართლები იყავით, მარგარეტ ოურსენარს სხვა ქალებიც მიყვანენ. სხვათა შორის, მოგვიანებით მათ შორის ერთი ქართველი ქალიც აღმოჩნდება, პოლიტოლოგი ელენ კარერ დანკოსი (მამით — ზურაბიშვილი).

ფილოსოფიის ლექტორის მიერ პირველ კურსზევე გაღანძვლილი იათო, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი იყო, მეორე კურსზე ფილოსოფიის ფაკულტეტის დამიტრი უზნაძის სახელობის პირველი სტიპენდიანტი გახდა.

მაგრამ იათო მაინც არ ცხრებოდა და კვლავაც უტევდა და შავ ღღეს აყრიდა კაცებს.

— მარი კიურის ფიზიკაში ნობელის პრემიას რომ არ აძლევდით, იმიტომ რომ ქალი იყო, თვალები ხომ დაგიყენათ, რამდენიმე წელიწადში ქიმიკაშიც ნობელიანტი გახდა.

ასე იძიებდა იათო მამაკაცებზე შურს. ისინიც იცინოდნენ, აბა, სხვა რა გზა ჰქონდათ, იათოს გაღესილი ენის ამბავი კარგად იცოდნენ.

მაგრამ იათოს ამ მხრივ კიდევ ერთი ასპარეზი ჰქონდა — კაფიობა.

ერთხელ ფშავში სტუმრად ყოფნისას, მისი სიძის, გიგი ხორნაულის ოჯახში, იათომ კაფიაში იქაურ კაცებსაც რომ აჯობა, დროზე წამოვედით, თორემ ქალის მიერ დამარცხებულები ავად აბრიალებდნენ თვალებს, თანაც, საკმაოდ მთვრალეებიც იყვნენ.

ბუნებრივია, რომ სამეცნიერო თემებზეც ბევრს ხუმრობდნენ.

ერთხელ იათო სუფრის წვერებს ეკითხება, ინსტიტუტებს თუ მოგივი-

დათ ოცწლიანი გეგმაო. საქმე ის არის, რომ ზემოდან, ჩინოვნიკებიდან წამოვიდა მითითება, რომლის თანახმადაც ყველა მეცნიერს თავისი სამუშაოს ოცწლიანი გეგმა უნდა წარედგინა. პოლა დაიწყო ერთი ფაციფუცი და კრებები. ერთხელაც წამოდგა 80 წლის ქალი (ინსტიტუტებში ბევრი ხანდაზმული მეცნიერი მუშაობდა) და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ვასო ფრანგიშვილს, შეჰბედა და ჰკითხა: ბატონო ვასო, როგორ ფიქრობთ, 20 წლის შემდეგ რომელ სასაფლაოზე მომიწევს ანგარიშის ჩაბარებაო.

ერთხელაც ბაქოდან დაბრუნებული იათო კონფერენციის ამბებს გვიყვება.

— თქვენ რა გგონიათ, მაგათ არა ჰყავთ თავიანთი დიმიტრი უზნაძე? ძალიანაც ცდებით. პოლა, გამოვიდა მაგათი უზნაძე მოხსენებით და გვეუბნება, ცხადია, რუსულად, ფისიხოლოგია ეტა ტაკაია ტოჩკა სრენია... და მერე აღარაფერი ისმოდა, ისე გუგუნებდა სიცილისგან ოთახი.

იათოს ენამოსწრებული დირექტორის, ვასო ფრანგიშვილის ხუმრობებიც ზეპირად ვიცოდით. ერთხელ იათო მას თურმე აუტყვდა, ახალგაზრდა მეცნიერებს ბათუმში ექსკურსიაზე წასვლა გვინდო, აი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი მომავალ კვირას იქ მიდისო. ამაზე ვასოს მისთვის უთქვამს, სოკრატეს მოწაფეებს (ახალგაზრდებს ასე ეძახდა, ვინაიდან ინსტიტუტის წინ ბაღში ჯდომა უყვარდათ) ეს არ უნდა გეშლებოდეთ, ენათმეცნიერება ისეთი დარგია, რომ ბევრი წყალი სჭირდება, ჩვენ სხვა ვართო.

სუფრის ახალგაზრდული ფრთა ცოტა ხანში ისევ ავყავანდებოდით ხოლმე.

— იათო, იათო, გვიამბე რა კიდევ რამე, იცი აი, სამოქალაქო თავდაცვაზე, გეხვეწებით რა.

იათო კვლავ ფეხზე დგებოდა.

საბჭოთა პერიოდში ომის შესაძლო შემთხვევაში ყველა ინსტიტუტს ევაკუაციის თავისი გეგმა ჰქონდა, მათ შორის — ფსიქოლოგიის ინსტიტუტსაც, სადაც იათო მუშაობდა. ყველა ინსტიტუტმა იცოდა, ომის შემთხვევაში თუ სად მოხდებოდა მათი უსაფრთხო ადგილას გადაყვანა, ანუ ევაკუაცია. ამიტომ ინსტიტუტებში დროდადრო სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობა ტარდებოდა, რასაც ხშირად პენსიაზე გასული რუსი სალდაფონები ხელმძღვანელობდნენ. ეს იყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლება. თეორიულის მეცადინეობის დროს, პირველ რიგში, აი, რა უნდა გცოდნოდეთ. როგორც კი ატომური ომი დაიწყო, მაშინვე ნიჩაბი უნდა აგედოთ, მიწა გაგეთხარათ, შიგ ჩაწოლილიყავით და ზედ მიწა დაგეყარათ, რათა რადიაციას თქვენთვის ჯანმრთელობა არ შეერყვია.

სამოქალაქო თავდაცვის პრაქტიკული სწავლება კი იათოს ინსტიტუტის სარდაფში ტარდებოდა, რომელიც წარმოსახვითი ბრძოლის ველი ხდებოდა და სადაც ვითომც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

მტერი უტყვდათ.

საბჭოთა სამშობლოს დამცველები ვითომ იჭრებოდნენ, ვითომ ჭრილობებს უხვევდნენ. ყველაზე მძიმედ დაჭრილები და ზოგიც ვითომ უკვე დაღუპული მოგონილი ბრძოლის ველიდან საკაცით გაჰყავდათ. მოკლედ, ვითომ გახურებული ბრძოლები მიმდინარეობს და იათოს დაჭრის დროც დადგა. ვითომც დაჭრილი იათო ხელში სათუთად ატაცებული საკაცზე დააწვინეს და ის-ის არის, ბრძოლის ველიდან უნდა გაიყვანონ, ხედავს, სარდაფის კარი მორიდებით როგორ შემოაღო სათნო მოხუცმა, ძველი ყაიდის ინტელიგენტმა. და უცებ, მოულოდნელად, რუსმა სალდაფონმა მთელი ხმით დაიღრიალა

— ნაჩალას ვაინა, ომი დაიწყო.

და იათო ხედავს, როგორ ჩაიკეცა კარებთან მღგარი მოხუცი და გულწასული იატაკზე გაიშხლართა. ამდენ მოგონილ ტყუილში ეს იყო ერთადერთი ნამდვილი სცენა. ომის დაწყებით გულგახეთქილი მოხუცი როდესაც მოასულიერეს, აღმოჩნდა, რომ მას ფსიქოლოგიის ინსტიტუტისთვის დიმიტრი უზნაძის უცნობი ფოტო მოეტანა. ასე რომ ნამდვილ ომს გადარჩენილი სათნო მოხუცი, კინადამ ტყუილ ომს შეეწირა.

რაც შეეხება ნამდვილ ომს, მეორე მსოფლიო ომს, რომელსაც უფროსების ნაამბობით ვიცნობდით, ეს თემაც, სასაცილო სულაც რომ არ იყო, ჩვენს ოჯახის რეპერტუარში იუმორისტული კუთხით შედიოდა. ომის მძიმე წლებს ისე აღწერდნენ და ისე ყვებოდნენ, რომ სიცლით ვიგულებოდით. განსაკუთრებით რადიოს ამბავი გვიყვარდა, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილმა თავისი მოგონებების წიგნში „ჩემი წუთისოფელი“ კიდევაც გაიხსენა.

ბიძაჩემ ცოტნე მაკალათიას, პროფესიით ექიმს, გამოძგონებლის ნიჭით დაჯილდოებულსა და ჩხირკედელას, ანუ როგორც ვახუშტის და, ლეილა, ეძახდა მას — ჯუჯუშაკას, ტექნიკასთან ურთიერთობა იტაცებდა. როგორც კი ექიმი გახდა, ნათესავებმა მას „ჯუჯუშაკა აიბოლიტის“ წოდება მიანიჭეს. პოლა ამ ჯუჯუშაკა აიბოლიტს, ყველას გულის გასახარებლად ხშირად კინოსტუდიიდან ფილმები მოჰქონდა, მთაწმინდის სახლის აივანს კინოლარბაზად გადააკეთებდა და ჰოლიუდის ოქროს ხანად ცნობილი პერიოდის ფილმებს გვიჩვენებდა. პატარას ოპერის მაშინდელი ვარსკვლავი, ტიტო გობი, მომწონდა, განსაკუთრებით ის სცენა, თვითმფრინავიდან რომ

ჩამოდის და სიყვარულისგან გაგიჟებული მღერის.

ერთხელაც ცოტნემ, ომის პერიოდა, თავისი ხელით აწყობილ ფოტო-ლაბორატორიაში ფარულად რადიოგადამცემი დაამონტაჟა და რადიოქსელში ჩართო. წლების შემდეგ ჩვენები ახალგაზრდებს, რომლებიც ომს არ მოვსწრებივართ, გვიყვებოდნენ, როგორც კი რადიო ფრონტის ხაზიდან მოსულ ცნობებს დაასრულებდა, ცოტნე რადიოქსელში ერთვებოდა და სხვადასხვა ამბებს ჰყვებოდა, მათ შორის — თავისი ოჯახის წევრებზეც. მაგალითად, კატოს თავგადასავალს ნავთის რიგში, სადაც იგი თითქოსდა სიხარბით შეპყრობილი სხვათა ბიღონებში თავის მეორე ბიღონსაც შეაცოცებდა, რითაც სახელოვან შეილებსა და ოჯახს თავს სჭრიდა. ამის გაგონებაზე კატოს ფერფერი მისდიოდა, გადახედავდა თავის ქალიშვილს, ივლიტას და გადაულაპარაკებდა, ქალო, გაიგე რა თქვა რადიომო. კარგ დღეში არც ცოტნეს და, დედაჩემი მედეა, იყო.

დიქტორის მკაცრი ხმა ოჯახის შეფიქრიანებულ წევრებს შემდეგ ამბავსაც ამცნობდა:

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ადამიანები მედგრად იბრძვიან ფრონტზე და სამშობლოს სიცოცხლეს სწირავენ, ფრონტის ზურგში კი კოლმეურნეები და მუშები თავდაუზოგავად შრომობენ, სერგი მაკალათიას ფუქსავატი ქალიშვილი მედეა, ლეო ქიაჩელის ასეთივე ასული ნათელა და სიმონ ყაუხჩიშვილის ერთადერთი შემკვიდრე თინაც — კლასელები და მეგობრები, საბჭოთა სამშობლოს არცხვენენ. ოპერაში ათენებენ და აღამებენ, კულში დასდევენ და მოსვენებას არ აძლევენ მსახიობებს. დროა, უნივერსიტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სათანადო რეაგირება მოახდინონ ამ ბურჟუაზიულ გადმონაშთებზე. ამ დროს დიქტორი ხმას კიდევ უფრო აუწევდა: მათი მშობლები, ისევე როგორც ქართული მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენლები — კორნელი კეკელიძე, ნიკო მუსხელიშვილი და სხვები კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში დგანან. მაგალითად, პროფესორი სერგი მაკალათია ახლახანს თელავიდან ჩამობრძანდა, სადაც სტუდენტებს ლექციები წაუკითხა. ამჟამად პატივცემული პროფესორი სახლში ბრძანდება და ლობიოს მიირთმევს.

ცოტნე ლობიოზე შემთხვევით არ აკეთებდა აქცენტს. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ლობიომ გადაარჩინა საქართველო. ამიტომ ბავშვობაში, ვისაც ლობიო არ უყვარდა, ალმაცერად და ეჭვის თვალთ ვუყურებდი.

მოკლედ, ლობიოზე ინფორმაციას დიქტორმა ერთხელაც შემდეგი ცნობაც მოაყოლა. მალე პატივცემულ პროფესორს, სერგი მაკალათიას, მანქანა მოაკითხავს და ლექციების წასაკითხად გორში წაიყვანსო.

სერგოს უთქვამს, კარგი, სახლში რომ ვარ, ამის გაგება შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ლობიოს რომ ვჭამ, ეს საიდანღა უნდა იცოდნენო. მაგრამ მანქანის მოლოდინში თვალი მაინც გზისკენ ეჭირა თურმე.

ერთ მშვენიერ დღესაც ეს ამბავი თავად ცოტნემ ამხილა. რადიოთი გამოუცხადებია, რადიომსმენელთა თხოვნით ვიწყებთ მარო თარხნიშვილის ხალხური ანსამბლის კონცერტსო. როდესაც ათოს, ელისოს, ნანას და ვახუშტის ფარშევანგის ხმებით სიმღერა, უფრო ჩხავილს რომ ჰგავდა, წამოუწყიათ, მაშინ ყველა მიმხვდარა, ეს ცოტნეს ოინები რომ იყო და ბევრიც უცინიათ.

გაჟა დრო და მეც ჩემი ოჯახის წევრებს დავემსგავსები. დარდისა და სევდის შენიღბვას მხიარულებითა და არტისტიზმით ისევე დავიწყებ, როგორც მათ წრეში გამოზრდილი შეგირდი.

საერთოდ, ქართულ ბუნებასა და ხასიათზე ბევრს ვფიქრობდი. სტუდენტობისას, როდესაც გიორგი მეცამეტეზე ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (XIXს.) ნაშრომი წავიკითხე, გაგაცნობიერე, რომ ჩემი სანათესაოს ხასიათი ფაქტობრივად საქართველოს ისტორიის ერთგვარი მოდელი და მისი შედეგიც იყო: „ჭირსა და ლხინსა აერთებდენ. ესრეთ იყო მაშინ და ესრეთვე არს დღეს“, – წერს პლატონ იოსელიანი. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ ანალიზს ისტორიკოსი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის უძძიმეს პერიოდს მიუსადაგებს და საქართველოს ისტორიის ზოგად ჭრილშიც განიხილავს: „დიდი იყო აღრუელობა დროთა ამით ამბოხისა და შფოთთა და ამასთანავე დიდი სიცილი და შექცევა ქართველთა დიდთა და მცირეთა. არ ეკვირვებოდენ ამას მრავალნი და არცა ჰკონებდენ ამას უშვერად... ქართველი ერი ძველი და მრავალთა ჭირთა შეიწროებათა მნახველი, ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა, ვითარცა ჭირნახადი. გავლილი ცეცხლსა, ვითარცა ბრძმედსა შინა, ოქრო იყო ნათლად და წმინდად საჩვენებელი...“

ქართველთა ესრედ მრავალ საუკუნოებითა გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამოძეხვართა, ვერ ერეოდა ვერცა შინაგანი, ვერცა გარეგანი მწუხარება. გადლებული თავისუფლებითა და განლაღებული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა. ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შეჭამეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შეჭამეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუჭმელად მათთვის, რომელნიცა ჰკონებდენ მათსა შეჭმასა. მახესა დაგებულსა მტერთაგან თვით მტერნი გაებნენ... ესრეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავისა, ძველისა კაცთა ნათესავთა შორის ! “

იმ ზაფხულსაც პაპაჩემი და მე ერთად წავედით სამეგრელოში. იქ, სეფიეთში, ნიკო გვეგულებოდა. ნიკო მარტო იყო, მისი ცოლი, მულო ბალიაური, ფშაეში, შუაფხოში წასულიყო. ეს ისედაც ჩანდა. ეზოში არ იდგა სამეგრელოსთვის უჩვეულო თივის ზვინები, ერთხელაც ნიკომ, ვითომც დიდმა მეურნემ, ვაჟკაცურად რომ მოიქნია და ქვეშ მოჰკვა.

სერგო და ნიკო ოდა-სახლის აივანზე დასხდებოდნენ და ტკბილ მუსაიფს გააბამდნენ. ბუნების ამ მშვენიერებასა და ჩვენი ეზოს იდილიურ გარემოში რას არ იგონებდნენ, რას არ ყვებოდნენ. ჩვენი ოდა-სახლიდან პორიზონტზე ციხე-გოჯი მოჩანდა, სიტყვას მასზეც ჩამოაგდებდნენ, განსაკუთრებით პაპაჩემი ისე ლაპარაკობდა, ციხე-გოჯიც თითქოს ოჯახის ახლობელი ყოფილიყო, ის ხომ სამეგრელოსა და სეფიეთში გამართული დიდი ისტორიული ბრძოლების მოწმეც იყო, შემოსეული მტრების წინააღმდეგ ქართველების თავდადებისა და გამირობისა. ციხე-გოჯიც, როგორც სერგი მაკალათია ასეთ ისტორიულ ძეგლებზე ჩვეულებრივ ფიქრობდა, საქართველოს წინაშე ვალდებულად მიაჩნდა.

სოფელიც პაპაჩემისთვის მარტო სოფელი არ იყო, ასე რომ უყვარდა და მეც შემაყვარა. მისთვის სოფელი და ქართული მიწა, ერთ დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომხრისათვის, რომელიც მიწის პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა (1912წ.), საქართველოს არსებობის, მისი თვითმყობადობის, კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის გარანტს წარმოადგენდა. ამ დროს გარედან წაქეზებულნი, ზოგნიც სხვისი იდეებით გაბრუებულნი და სხვათა მიერ მართულნი, ღალატს სჩადიოდნენ, როდესაც წინაპართა სიცოცხლის ფასად შენარჩუნებულ ქართულ მიწებს ესა თუ ის პარტიები თუ კერძო პირები უდიერად ეპყრობოდნენ და ათასგვარ გადამთიელზე ჰყიდდნენ. ამის თაობაზე XX საუკუნის პირველ ნახევარში გაზეთ „საქართველოში“ სერგი მაკალათიაც აქვეყნებდა წერილებს. ეროვნულ-დემოკრატსა და ილიას მიმდევარს, მენშევიკები არ უყვარდა, მისი სიტყვებით, „პოლიტიკაში არაგულწრფელობისა და ეროვნულ საკითხში ორჭოფობის გამო“.

მაგრამ სერგი მაკალათია მარტო კალმით არ იცავდა ქართულ მიწასა და სამშობლოს. 1918 წელს, როდესაც სომხეთი თავს დაესხა საქართველოს, ქართულ ჯარში IV ბატალიონის II არტილერიის ჯარისკაცად ჩაეწერა. 1919 წლის ერთი საბუთიდანაც ჩანს, რომ იგი კვლავაც ჯარისკაცად ირიცხება.

სოფელი სერგი მაკალათიას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის (ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ნუმიზმატის, არქეოლოგის) განუყოფელი ნა-

წილი, მისი სულიერებისა და პროფესიული საქმიანობის ერთგვარი ამოუწურავი წყაროც გახდა. როგორც თავად იგონებდა, დედის ხელმძღვანელობით ეხალისებოდა ხალხურ დღესასწაულებსა და რიტუალებში მონაწილეობა, საოჯახო წესებისა და სალოცავების შესრულება, რამაც უდიდესი კვალი დატოვა მის ცხოვრებაზე და მომავალში, მაგალითად, ქართულ ახალ წელზე დაწერილი მისი სამეცნიერო სტატიის წყაროც გახდება.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით: როგორც უფროს ვაჟსა და მეკვლეს „დედა მომცემდა კონტად გაწვობილ ჩიჩილაკს და თან მასწავლიდა, როგორ უნდა შემესრულებინა საკალანდო რიტუალი. მეც ხელში ჩიჩილაკით ეხოს შემოუვლიდი, შემდეგ მივადგებოდი სახლის დახურულ კარებს და შევძახებდი, კარი გამიღეთ! დედა თეთრებში გამოწვობილი იდგა ოთახის შიგნით დაკეტილ კართან და მპასუხობდა: რა მოგაქვსო ? მეც ვუპასუხებდი საახალწლო მილოცვებით (სამჯერ). შემდეგ დედა კარს გააღებდა, მხიარულად გადამოკინიდა და ორივე დავილოცვბოლით ახალწლის ბედნიერებაზე“.

მომავალში ქართულ ადათ-წესებთან დაკავშირებული ბავშვობის სხვა შთაბეჭდილებებს ასევე ასახავს თავის სამეცნიერო შრომებში: „კვირობით დედა გამოგვაწვობდა შვილებს და გაგვიშვებდა ე.წ. „ჯარში“, სადაც იმართებოდა ტაშ-ფანდურა ცეკვა-თამაშით და ბოლოს — ბურთაობა. აქ თავს იყრიდა სოფლის ახალგაზრდობა და იმართებოდა თამაშობა. მე პატარაობიდან მიყვარდა ქართული გართობების ცქერა და მოსმენა. აქვე მღეროდნენ, ჩაბამდნენ ფერხულს და სხვა... მიყვარდა ეკლესიასა და წისკვილში სიარული, სადაც თავს იყრიდა მხნე და მოხუცი გლეხობა და მათ საუბარს ყურს ვუკვებდი, განსაკუთრებით მაინტერესებდა ძველი ამბების თხრობა და გმირული თავგადასავლები... ახლაც მახსოვს მაშინდელი ნაამბობი სეფიეთის ეკლესიაზე, საბა ოჩიგავას გმირობაზე, მებატონე თოფურიძეებსა და სხვ“.

სერგი მაკალათიას სამეცნიერო ნაშრომებში აისახება მის სოფელში ნაპოვნი განძიც, „სეფიეთის განძის“ სახელით შესული ქართულ ნუმიზმატიკაში, მან გაფანტვისა და განადგურებისგან რომ იხსნა. მისი სამეცნიერო მეტყველების მკვლევარნი მიიჩნევენ, რომ სერგი მაკალათიას, როგორც ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალური მისტერიების პერსონაჟსა და მონაწილეს, გაცილებით მეტის დანახვა შეეძლო, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის სამეცნიერო მოღვაწეობაში (პროფ. ენაღირაძე). ეს ეხება ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე სერგი მაკალათიას მიერ დანახულ აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან კულტურ-

რულ-გენეტიკურ ნათესაობასთან კავშირსაც, რაც ახალი კუთხით სვამს საქართველოს უძველესი ისტორიის პრობლემებს.

ზემოთ მოხსენიებული უნიკალური ბაზილიკური ტიპის ძეგლისძველი ეკლესიაც (VII ს.), სადაც ბავშვობიდან მოყოლებული ასე უყვარდა ყოფნა, მან ნგრევისგან გადაარჩინა, კომუნისტური რეჟიმის დროს დარაჯი მიუჩინა, რომელსაც საკუთარი ჯიბიდან ხელფასს უხდიდა.

სეფიეთშივე საძირკველი ჩაუყარა ბრწყინვალე ბიბლიოთეკას, რომელსაც წლების მანძილზე ახალი წიგნებით ავსებდა და რომელზეც რამდენიმე თაობა გაიზარდა.

ერთხელ პაპამ, ივანე ჯავახიშვილის გახსენებისას, ნიკოს და მე ასეთი რამ გვიამბო: როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ივანე ჯავახიშვილს კვითხე, თუ მუზეუმში მუშაობის დაწყებისას ვინ გამიწვევდა ხელმძღვანელობას, ამაზე მან ასეთი პასუხი გამცა — ყველაზე დიდი ხელმძღვანელი და გეზის მიმცემი წიგნებია, მუზეუმს კარგი ბიბლიოთეკა აქვს და რაც შეიძლება ბევრი იკითხეთო.

ამიტომაც საქართველოში შემოჭრილი ყველა მტერი წიგნებს, ხელნაწერებსა და მთელ ბიბლიოთეკებსაც ანადგურებდა, რადგანაც ესმოდა, რომ ცოდნა დიდი ძალა იყო. პირველ რიგში, საუკუნეების მანძილზე, ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველებს, რომ ამ ურთულეს რეგიონში მხოლოდ იარაღი საკმარისი არ იყო. ამიტომაც ქართველებს ათონსა და უცხოეთის სხვა სავანეებში ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ.

1992 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დემოკრატიისა და პროგრესის სახელით მოთარეშე ყაჩაღებმა სეფიეთის უნიკალური ბიბლიოთეკაც ცეცხლს ზუსტად ისე მისცეს, როგორც ამას ყველა დროს შემოსეული მტერი აკეთებდა. სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი ოჯახი თავისი ხელით იშორებს სახლიდან წიგნებს, როგორც უკვე არა საჭიროსა და როგორც მტერის ბუდეს. ისეთებიც არიან (ოდესღაც ინტელექტუალური ოჯახებიდან), წიგნებს პირდაპირ ნაგავში რომ ყრიან.

საქართველოს რომელიმე კუთხეში გამგზავრების წინ პაპა მეტყოდა, ტყუილად არ იხეტილო, თუ რამე საინტერესოს ნახავ, ჩაიწერე და აღწერეო. აქაც, სოფელში, სეფიეთში, თვალს არ მაშორებდა, ერთი წუთით უსაქმოდ არ მტოვებდა. თუ ხელში წიგნი არ მეჭირა, რამეს გამომიძებნიდა. ვთქვათ, სუფრას შემომაჩვენებდა და ფოჩების გაკეთებას მოხვოდა. მეც თვინიერად ვასრულებდი ჩემთვის საძულველ საქმეს. არ მინდოდა, პაპა, ბებიაჩემის სიტყვები რომ მოვიხმო, ამედუღეუებინა. გაბრაზების დროს ღუგ-ღუგო იცოდა.

შუადღისას სერგო და ნიკო დასასვენებლად წამოწვებოდნენ, მაგრამ მოუსვენარი პაპაჩემი დედამამისეული ძველებური ტახტიდან მალევე წამოფრინდებოდა, ფეხშიშველი ეზოში მწვანე კონდარზე გაივლიდა, თოხს ხელს მოჰკიდებდა და სიმინდებს ძირებს შემოუთონინდა. მეც დროს ვიხელთებდი და მაშინვე მინადორასა და იოსების ძველებურ რიკულებიან ტახტზე, ასე რომ მომწონდა, წამოვკოტრიალდებოდი, რასაკვირველია, ისე, რომ პაპას არ შევემჩნიე. უსაქმოდ არ გამაჩერებდა. არადა, ოცნება მიევარდა, რომელიც საქმეში არ მეთვლებოდა.

პირველად ექვსი თვისა ვყოფილვარ, ოჯახს სეფითში რომ ჩამოუყვებინეარ ჩხავილ-ჩხავილით, როგორც დედაჩემი მეტყვოდა, შენს გამო მთელმა მატარებელმა ღამე თეთრად გაათენაო.

პოდა, როგორც კი ჩვენს ოდა-სახლში ფეხი შემოდგეს, გამაშიშველეს, თოჯინასავით ტახტზე დამაკოტრიალეს და სურათიც გადამიღეს. მე ხელებზე ავიწიე და ჯიქურ შევხედე მოძალადეებს. მერე მეგრელები ამ ფოტოს რომ დახედავდნენ, იცინოდნენ, ერთი ამას შეხედეთ, როგორ იყურებო.

შხის ჩასვლა ჩვენს ეზოს კიდე უფრო ღამაზ, მომაჯადოებელ იერს აძლევდა, იღუმალებით ავსებდა, სიმყუდროვეს მატებდა.

ღამდებოდა.

ნიკო შუქს აანთებდა. ჩენი ოდა ღამის წყვიდადის ერთფეროვნებაში აბრიალებულ ცეცხლოვან ჯადოსნურ თვალს ემსგავსებოდა.

ერთ საღამოსაც პაპას ვკითხე, პროფესია შენ აირჩიე თუ ვინმემ გირჩია-მეთქი.

მიპასუხა.

მოგვიანებით ეს პასუხი მის არქივში ვნახე: „უნივერსიტეტში სპეციალურად ვემზადებოდი საქართველოს ისტორიაში. მაინტერესებდა აგრეთვე ყოფა-ცხოვრების (ეთნოგრაფიის) საკითხები. ამან კიდე უფრო გააღრმავა ჩემში პატრიოტული გრძნობა და იმაზე ვფიქრობდი, თუ რითი გამეწია სამსახური ჩემი სამშობლოსათვის“.

ღროთა მანძილზე მივხვდები, ამ მეცნიერებს უდიდესა და ურთულეს საქმეებთან შეჭიდება სამშობლოს სიყვარულმა, სამშობლოს მსახურების სურვილმა, პატრიოტულმა აღზრდამ და წრთობამ რომ შეაძლებინა და არა პირაღმა კარიერამ, დღეს ასე ხშირად რომ გაისმის. ჩენთან საუბრისას აქაც, სეფითში, პაპაჩემი ყოველთვის აღნიშნავდა და ივანე ჯავახიშვილზე დაწერილ სტატიაშიც წერს, რომ ამ დიდი მეცნიერისა და პიროვნების შემოქმედებითი ნიჭი და ერუდიცია სამშობლოს სიყვარულით იყო გამოტარი.

ამიტომაც ეს გრძნობა შემთხვევით არ წარუძმღვარა ეპიგრაფად თავის ერთ-ერთ ნაშრომს: „დიდ არს ძალა სიყვარულისა“.

ივანე ჯავახიშვილზე საუბრისას აუცილებლად დასძინდა, მან სამშობლოს წინაშე დიდი ეროვნული ვალი მოიხადა და უკვდავია თავისი ხალხის ხსოვნაში იმითაც, რომ მიუხედავად მრავალი სირთულეებისა, ქართველ ხალხს უანდერძა „ქართველი ერის ისტორია“.

ამ საუბრების დროს ასეთი საკითხიც დასძულა, როდესაც ამბობენ, საქმის კეთებას მტერი გვიშლისო. მტერი ყოველთვის უტევდა საქართველოს და ჭეშმარიტი ქართველი დეზერტირებით ბრძოლის ველიდან კი არ გარბოდა, არამედ იბრძოდა და წინააღმდეგობას უწევდა როგორც გარეულ, ისე შინაურ მტერს, რითაც ინარჩუნებდა სამშობლოს — საქართველოს. მტერსაც, წინააღმდეგობა რომ დახვედრია, არაერთხელ უკან დაუხევია და დაუთმია.

აქაც, სეფიეთში, ძმასთან ნიკოსთან საუბრის დროს პაპა თავის მასწავლებლებს ყოველთვის თბილად, უდიდესი მოწიწებით იხსენებდა და აუცილებლად დააყოლებდა, უფრო ჩემ გასაგონად, თუ სტუდენტებს განსაკუთრებით რატომ უყვარდათ ივანე ჯავახიშვილი. ალბათ, მეტი დამაჯერებლობისთვის აუცილებლად ჩემკენ შემოტრიალდებოდა, დამაკვირდებოდა და მეტყობდა: ივანე ჯავახიშვილი ლექციებსა და კერძო საუბრებში გვინერგავდა მეცნიერებისადმი, მამულისა და სამშობლოსადმი სიყვარულს. იყო მეტად თავაზიანი, კეთილშობილი, საღმის მიცემას ვერ ვასწრებდით, ხელს გვართმევდა ფეხზე ადგომით. მასზე საუბრისას პაპა საგანგებოდ აღნიშნავდა მის ქართულ აღზრდას, ქართული ენისა და ისტორიის სიყვარულს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომძლავრებული რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში.

ამ საუბრებს, რაც მოწაფის მასწავლებლისადმი დამოკიდებულებასაც ეხებოდა, ჩემთვის, როგორც მსმენელისთვის, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მოგვიანებით გავაცნობიერებ და მამაჩემის მაგალითზეც დავინახავ, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ბოლო ასპირანტი, მისი უდიდესი პატივისმცემელი და მადლიერი მოწაფე იყო. მან ეს კიდევაც შესანიშნავად გამოხატა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ მოგონებებში. მოგვიანებით, როდესაც ამ მოგონებებს წავიკითხავ, დავრწმუნდები, რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც მადლიერი მოწაფე აფასებს მასწავლებლის ღვაწლს, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. დადგება დრო, როდესაც უკვე მე უნდა დამეფასებინა ჩემი მასწავლებლების ღვაწლი, ჩვენდამი ზრუნვა და მივხვდები, საამისოდ უკვე მაშინ მომამზადეს, როდესაც მამაჩემისა

და პაპის მოგონებებს მათ პედაგოგებზე მთელი გულსყურით ვუსმენდი. მოვა დრო, როდესაც უკვე მე მომოწვეს პაპისა და მამაჩემის შემოქმედებაზე ზრუნვა, პირველ რიგში, როგორც მათი დიდი ღვაწლისა და სამეცნიერო მემკიდრეობის დამფასებელს.

ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამდე სერგი მაკალათიას თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში პედაგოგებიდან განსაკუთრებით პყვარებია მწერალი ვასილ ბარნოვი, იტყოდა, ქართველობაში გვაძლიერებდა და ტკბილი და ღრმა ქართულით გველაპარაკებოდაო. ამდენი დროის გავლის შემდეგაც კი ნიკოს და მე გულსტკივილით გვეტყოდა:

— ზოგიერთი გარუსებული ქართველი შეგნებულად არ ესწრებოდა ვასილ ბარნოვის გაკვეთილებს და ქართულად ლაპარაკსაც არ კადრულობდა. მე კი, რუსებისა და გარუსებული ქართველების გულის გასახეთქად, ხმამაღლა ქართულად ვლაპარაკობდი, ეს მაშინ, როდესაც რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქართულად ლაპარაკს გვიკრძალავდნენ. ჩემი პირველი ეთნოგრაფიული ნაშრომი ვასილ ბარნოვს იმიტომაც მივართვი, რომ მან ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას სამომავლოდ ეთნოგრაფიაში მუშაობა მიჩნია, რომელიც ეროვნულ სფეროდ მიიხსენოდა და მაშინდელი ქართული საზოგადოება, ილია, ვაჟა, აკაკი და სხვები საამისოდ კიდევაც იღვწოდნენ. ია კარგარეთელიც ეროვნულობის გამო გვიყვარდა, მოწაფეებს ქართულად გვაგალობებდა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც რუსეთის იმპერია სხვადასხვა კუთხით უტყვედა ქართველებს, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ახალგაზრდა სერგი მაკალათიას სემინარიის დროინდელი ჩანაწერები, რომლებიც ასევე მის არქივში აღმოვაჩინე. ეს ჩანაწერები მაშინდელი საზოგადოების განწყობასა და საქართველოს პრობლემებს ასახავენ. მასში ჩანს ერთი ქართველის, ჯერ სულ ახალგაზრდა სერგი მაკალათიას ამ პრობლემებისადმი დამოკიდებულება და სამშობლოს მსახურებისთვის მზადყოფნა: „იმდაგვარ ისტორიულ დროს, რომელშიც ვცხოვრობთ, — წერს იგი, — საჭიროა განსაკუთრებული სიმხნევე, გაცხოველება ყოველგვარი საზოგადოებრივი სოლიდარული მუშაობისა და არა მოღუენება-მიჩუენება იმ მცირე ცხოველმყოფელობისა, რომელსაც ჩვეულებრივ ვიჩენთ“.

„ყოველად შეუძლებელია ერი აღორძინების გზას დაადგეს, თუ ერის შემადგენელი ნაწილები ზნეობრივ ღირსებას მოკლებულნი არიან.“ ანდა: „მამულიშვილმა უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული კაპიტალი არა მარტო როგორც ეკონომიკური ფაქტორი, არამედ აგრეთვე როგორც საფუძველი მეცნიერებისა, მწერლობისა და ხელოვნებისა“.

სხვა ჩანაწერებიდან ჩანს ისიც, როგორ განიცდის ახალგაზრდა სერგი მაკალათია ქართველების სხვა ხალხებში გათქვეფის პოლიტიკას, რაც დღესაც ასე აქტუალურია, იმ ზეწოლასა და განადგურების პოლიტიკას, რასაც ყველაზე მეტად საკუთარ ქვეყანაში ქართველები განიცდიდნენ.

იგი მანუგეშებლად მიიჩნევს აკაკი წერეთლის დაკრძალვის მონაწილე ერის ერთსულოვნებას, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულებს პირზე რომ ეკერათ: „სამშობლო“, „ერი“, „ეროვნული“, „ქართველი“, „საქართველო“... „ყოველი მხრიდან გაისმოდა „ერთობა“, “შეკავშირება“, „აკაკის დასაფლავება — ეს ერთგვარი აპოთეოზი იყო ჩვენი ერთგვარი თვითშეგნებისა, ჩვენი ეროვნული გამოფხიზლებისა და ამ აპოთეოზის სიდაიადემ მტერი და მოყვარე მოჰხიბლა“.

სერგი მაკალათია ყურადღებას ამახვილებს ქართველებისთვის ოდითგანვე ნიშანდობლივ ურთიერთდახმარების პრინციპზეც, რასაც სემინარიაშიც (ბავშვებს შორისაც) ჰქონდა ადგილი, ოღონდ ფარულად. ეს ეხებოდა უკიდურესად გაჭირვებულებს, ვისაც პანსიონი არ ჰქონდა. ასეთებს ლუკმას უყოფდნენ და ჩუმად ასადილებდნენ.

ამ საუბრებიდან, რომელსაც ჩვენი ოდა-სახლის აივანზე ვისმენდი, ვაცნობიერებდი ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამდე რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჯერ კიდევ ყმაწვილი სერგის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ვასილ ბარნოვისა და ეროვნულად მოაზროვნე პედაგოგებისა და იმ საზოგადოების როლი, რომელსაც ყველაზე დიდი გრძნობა სამშობლოსი თაობიდან თაობაში გადაჰქონდა. და თუ რას ნიშნავდა ეს უწყვეტი ხაზი, კარგად ჩანს იმ სიტყვიდანაც, რომლითაც ახლადდარსებული უნივერსიტეტის პირველი გამოშვების სტუდენტებს (რომელსაც სერგი მაკალათიაც ეკუთვნოდა) გამოსაშვებ საღამოზე ივანე ჯავახიშვილმა მიმართა. ეს პროგრამული მიმართვა, რომელიც სერგი მაკალათიამ შემოინახა და ასევე მის არქივში აღმოვაჩინე, ჩემთვისაც გეზის მომცემ, მანათობელ ლამპრად იქცა.

აი, როგორ აღწერს იგი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვა-მიმართვა მრავალჟამიერის შესრულების შემდეგ ფეხზე დგომით მოუსმენიათ:

„მე ბედნიერი ვარ დღეს, რომ ვხდავ ჩემი ხანგრძლივი ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფს, ჩვენ მიერ დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველ გამოშვებას. ეს არის ჩვენი დიდი ეროვნული გამარჯვება, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურული აღორძინების მტკიცე საძირკველი და თქვენ, ჩემო საყვარელი მოწაფეებო, მშობლიური ისტორიის მცოდნეობა, შეძენილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, შეიტანეთ და

გაავრცელეთ ხალხში, რომ მან იცოდეს, აცნობიერებდეს და აფასებდეს თავის ისტორიულ წარსულს. ეს იქნება საწინდარი ჩვენი ერის პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობისა. თქვენ უნდა იღვაწოთ და არ მისცეთ განსვენება თვალთა თქვენთა, ვითარცა გიორგი მთაწმინდელი, რომ მოიპოვოთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო მომავალი“.

ყურადსაღებია, თუ როდის მიმართავს ახალგაზრდებს ამ სიტყვით ივანე ჯავახიშვილი. 1922 წელს, ოკუპირებულ საქართველოში, რაც თავისთავად უკვე მრავლისმთქმელი, მოქალაქეობრივი გამბედაობისა და გმირობის ტოლფასიც იყო. მით უმეტეს, როდესაც დაპყრობილ ქვეყანაში მეცნიერებას სახელმწიფოებრიობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უკავშირებ, მომავალ თაობაში თავისუფლების მარცვალს აღვივებ, საამისოდ მოუწოდებ, თანაც რეპრესიების ხანაში. მაშინ ხომ თვით ივანე ჯავახიშვილიც არ იყო დაზღვეული ეგრეთ წოდებული „ქართული კოლექტიური მხეცისგან“, „უგუნურებისა და ბრმებისგან“, როგორც თანამედროვენი ილიას მკვლევებს (საქართველოს მკვლევლობის ტოლფასი რომ იყო) გადაგვარებულ ქართველებს უწოდებდნენ.

ამით ივანე ჯავახიშვილი ახალ თაობაში მეცნიერების, საქართველოს ისტორიის სიყვარულთან ერთად მებრძოლ, პატრიოტულ სულს მიზანმიმართულად აღვივებდა, თვითგადარჩენის ინსტიქტს ზრდიდა იმ გადაგვარებულ ქართველებთანაც დასაბირისპირებლადაც, რომლებიც ორ საუკუნეზე მეტია, გარედან მართულნი, ზოგნიც — გონებაარეულნი, ანდა კეთილდღეობითა და თანამდებობებით დახარბებულ-მოსყიდულნი სხვისი იდეებით (ასეთებს ილია, ნოე ჟორდანიას ჩათვლით, თვალაბმულ თუთიყუშებს უწოდებდა) უცხო ძალის ნებას აღასრულებენ. ეს ეხებოდა როგორც ქართული მიწების მიზანმიმართულ გასხვისებას, ისე პარალელურად სხვა ხალხის, უცხო ჯიშის შემოყვანასა და ქართულ მიწაზე დასახლებას. ამის თაობაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მყოფი მიხაკო წერეთელი განგაშს ტეხდა და აღმფოთებული, თან გაოცებული წერდა, როდესაც ლამის ქართველების ერთი გადაგვარებული ნაწილი ამ გეგმას თავისი ხელით ახორციელებდა. მან სამშობლოს გულშემატკივარი ყველა ქართველის მსგავსად იცოდა, რომ ამ მზაკვრული გეგმის, დემოგრაფიული სურათის ქართველების საზიანოდ შეცვლის საბოლოო მიზანი ცნობილი გეგმა — საქართველო უქართველებოდ — იყო.

და როდესაც მოვა დრო და უკვე ჩემი თაობა წინ აღუდგება საქართველოსთვის ამ სამიშ, ღია თუ ფარულ პროცესებს, უსასტიკესად დავისჯებით

კვლავაც „ქართული კოლექტიური მხეცისგან“, „ცრუ და დალატიანებისგან“, იმათგან, ვისზეც არჩილ ჯორჯაძე წერდა: საქართველოს თუ ლახვარს ჩასცემთ, კეთილდღეობა და დალხენილი ცხოვრება გარანტირებული გექნებათ. ასე იქნება მოგვიანებითაც. თუმცა არჩილ ჯორჯაძეც კი, ამ სიტყვების პატრონი, ვერ წარმოიდგენდა იმ ცინიზმს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტად (ცხადია, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ) დასვეს კაცი, რომელმაც თქვა: „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ !“

“ და რომ ქართველი ერი არის: „გონებრივად სუსტი, მსუბუქი ლაბილობის ფორმით, მისი ფსიქიკური განვითარება შეჩერდა გარკვეულ ეტაპზე და ვერ მიაღწია ზრდასრულ ფორმამდე. მას აქვს ზრდადასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შეუსაფერისი აზროვნება... მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, როდესაც ზდება პიროვნების სრული გამოვლენა, ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს, მოკლედ, ის პაპულობს, არა აქვს პასუხისმგებლობის გრძობა და რაციონალური აზროვნების უნარი. მოკლედ, ის ისეა დაავადებული, რომ მისი განკურნება შეუძლებელია“ (გიორგი მარგველაშვილი, ჟურნალი „დრო მშვიდობისა“ 2001). ისტორიაში იგი სხვა განაცხადითაც შევა, მან ხომ აღნიშნა, რომ აქვს მდიდარი სექსუალური გამოცდილება. ამავე ნიშნითა და დამსახურებით კეთილდღეობისა და პოლიტიკისკენ გზა გაუხსნეს (რაც დღეს ერთი და იგივეა) ზ.ჭიაბერაშვილს. მან ისტორიაში თავი მხოლოდ ქართლის დედის გინებითა და შეურაცხყოფით დაიმკვიდრა. სწორედ ამ ფსიქოლოგიისა და ზნეობის, ქვეყნისადმი ამგვარი დამოკიდებულების ხალხს მოიხიდავენ ქართულ პოლიტიკაში, მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მოკლავენ, მის მრავალ მიმდევარს დაუნდობლად და სადისტურად გაუსწორდებიან, ნაწილს ქვეყნიდან განდევნიან, დარჩენილ უმრავლესობას გააღატაკებენ, საქართველოს თემურ-ლენგოვით გადაუვლიან, შაჰ-აბასის ოცნებას აღასრულებენ, ვისაც საქართველოდან ქართველები გაჰყავდა და სანაცვლოდ სხვა ჯიში, ქართველების ისტორიული მტრები, შემოჰყავდა.

„ბნელი ძალები არსებობენ როგორც დღეს, — ისე წინადაც და მომავალშიც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადო ინტერესს — კერძო“. ილიას დაკრძალვაზე ვაჟა-ფშაველას მიერ წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა შემძრა, ვინაიდან ჯერ არ დავბადებულვარ, მაგრამ ჩემი დასჯა უკვე დაგეგმილია. მოღალატე კი დაუსჯელია და „წარმატებულიც“. ასეა 1801 წლის შემდეგ. ვაჟა-ფშაველა როდის ამბობდა: საქართველოსთვის დამნაშავეთა დაუსჯელობა დამლუპველია,

რაც დღეს ასევე აქტუალურია, ვინაიდან დაუსჯელობა ითრევს, ზნეობას უკარგავს და არაერთ ადამიანს დანაშაულის თანამონაწილეს ხდის. იაკობ გოგებაშვილიც სტატიამი „მურისძიება ისტორიისა“ („ისარი“, 1907წ. 8/IX) აღნიშნავს, რომ დანაშაულის დაფარვა ხრწნის და სიკვდილს უმზადებს ერს.

აქტუალურია ილიას შემდეგი სიტყვებიც: „ჩემი ქვეყანა სათრეველა ერთ დიდ ურემს გამობმული, საითაც მიდის ურემი, იქით მიდის სათრეველა“.

და როდესაც 1992 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იაკარქმნილ სამეგრელოში ჩემი ოდა-სახლის აივანზე ამოვედი, დევნილი და სიკვდილს რამდენჯერმე სასწაულებრივად გადარჩენილი, სერგო და ნიკო აღარ იყვნენ ამ ქვეყანაზე. უცნაურ სიცივეს ვგრძნობდი, თუმცა არ ციოდა. ტყვიების კაკანი და შიგადაშიგ მძიმე ტექნიკის ხმა დიდი ცხოველის ამოქმენასავით ჩამესმოდა. ოდა-სახლის წინ ჩამწკრივებული გარემოს პოეტურს რომ ხდიდნენ უღამაზესი ვარდები თითქოს უხილავ ხელს გაექრო და მართო მაგნოლიის ხე იდგა თეთრი ყვავილებით გადაპენტილი, გაფითრებუ-ლი.

მართო ვიყავი, თუმცა მართო როგორ ვიყავი, მე და ციხე-გოჯი ისევ ერთად ვიყავით და ერთმანეთს შევყურებდით, როგორც ორი მოწმე სამარცხენო ბრძოლებისა, კარგად დაგეგმილი (გარედან მართული) ქართველის მიერ ქართველის განადგურებისა, აქ დატრიალებული ტრაგედიებისა, რასაც XX საუკუნეში საქართველო ორჯერ ვეღარ გადაიტანს. ვერც ზედმეტსახელებიან-კლიჩკებიანების თარეშს გაუძლებს (იუზგარა, ხუნხუზა, ბროდიაგა, კუჭიკო, ჭიბიკო ბაშკირა, ყაჩაღა, ვამპირა, რემბო, შიმშილა, ზორო, ყურმა, ბუღა, მანე) ფარნავაზის, მირიანის, ვახტანგის, დავითის, გიორგის, თამარის, ირაკლის სამშობლოში.

მაშინ კი, იმ ზაფხულს, სერგო და ნიკო წარსულს იგონებდნენ, მე კი მთელი ცხოვრება წინ მედო. ბევრს მსჯელობდნენ იმ წლებზეც, მათი ახალგაზრდობისა და ცხოვრების დიდ ნაწილზე რომ მოდიოდა. ილიას ხშირად ახსენებდნენ, მის ვერაგულ მკვლელობას განიხილავდნენ. მაშინ არ ვიცოდი და მხოლოდ ახლახანს გავიგე, რომ ილიას მკვლელობა ამერიკულ პრესაში წინასწარ ყოფილა გამოცხადებული (The Evening Star, June 29, 2007; New Work Tribun, June 29, 2007), ისევე როგორც ზეიადისა — რუსულ პრესაში. როგორც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გავიგე, ამერიკულ პრესაში ილიაზე ეს ცნობა აკაკი შანიძესა და სხვებსაც სცოდნიათ.

სერგო და ნიკო რეპრესიებსა და რეპრესირებულებსაც იხსენებდნენ.

ესენი ყველანი ქართველი მოღვაწენი და პატრიოტები იყვნენ. ვუსმენდი და ვნერვიულობდი. განსაკუთრებით დაკითხვის სცენები მზარავდა, როდესაც ერთი გემუქრება, მეორე გეფერება, ერთმანეთს ენაცვლებიან და ასე დილაძე გრძელდება. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ამგვარი დაკითხვის მსხვერპლი მეც გავხდებოდი საქართველოსთვის მიუღებელ პირთა სიაში „საპატიო“ ათეულში მოხვედრილი.

ხშირად მიფიქრია, რა უფრო დიდი საშინელება იყო, უშიშროების მიერ ჩემი დაკითხვა (იმავე ძველი, ცნობილი მეთოდებით), თუ ჩემკენ გამოსროლილი ტყვიები.

2006 წელს, როდესაც ოფიციალურად რეპრესირებული სტატუსი მომანიჭეს, მაძაჩემი დამიღა თვალწინ, მის თვალეში ფარული ცრემლი, როდესაც 1942 წელს რეპრესირებული მამის (1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წევრის) რეაბილიტაციის საბუთი მიიღო.

ერთ საღამოსაც სერგომ და ნიკომ ჩვენი ოდასახლის აივანზე ჩვეულებრივსამეზობრობა მოიკალათეს. მეც იქვე ჩამოვჯექი.

ბნელი უმთვარო ღამე იყო, სამეგრელოსთვის ნიშანდობლივი, იღუმაღი. უნებლიეთ სმენა დავძაბე, წვიმის წვეთები ფოთლიდან ფოთოლსა და სიმინდის ყანებზე ტკაპუნითა და ხტუნვით დაეშენენ, მერე შეერთდნენ და ხმაურითა და ზრიალით გარემო აიკლეს. შორს ჰორიზონტზე იელვა, ჭექა-ქუხილის ექომ ცა შეარყია.

აღბათ, ბუნების ამ გაავებამ აღუძრა პაპაჩემს ფიქრები საზოგადოებისთვისაც ნიშანდობლივ ამდაგვარ სტიქიურ მოვლენებზე, რამაც უამრავ ადამიანს ცხოვრება შეუცვალა და გაწირა.

პაპამ ჯერ ჭექა-ქუხილს მიაყურადა, გაირინდა და მერე დუმილი დაარღვია. მას ელისაბედ ორბელიანი გაახსენდა და მასზე ჩამოაგლო სიტყვა. ეს დიდებული ქალბატონი, პაპაჩემის დახასიათებით, ევროპულად განათლებული (სორბონის უნივერსიტეტი კქონდა დამთავრებული), მეტად გულისხმიერი და თავაზიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ყოფილა ჩართული. დამოუკიდებელ საქართველოში ინგლისურ და ფრანგულენოვან გაზეთებს გამოსცემდა. რამდენადაც ვიცი, ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პირველი პროფესორი ქალიც იყო.

საკმაოდ გვიან გავიგებ, რომ იგი მეამბოხე ალექსანდრე ბაგრატიონის შვილიშვილი ყოფილა. მე ელისაბედ ორბელიანისადმი განსაკუთრებული

გრძნობა მქონდა. ბავშვობაში მთაწმინდაზე პაპასა და ბებიასთან სტუმრად მყოფს იმ ტახტზე მაძინებდნენ, რომლის თავზეც ბაგრატიონთა ამ უძველესი შთამომავლის ფერწერული პორტრეტი ეკიდა. ამას წინათ ლიტერატურის მუზეუმში ვნახე მისი ეს პორტრეტი და გული ამიჩუყდა, როგორც დიდი ხნის უნახავ ოჯახის წევრზე.

პაპაჩემი ელისაბედ ორბელიანს პირადად იცნობდა და, ჩანს, გაჭირვების წლებში, ღირსეულად რომ იტანდა, მხარში ედგა. ელისაბედი ბიძაჩემ ცოტენს ფრანგულს ასწავლიდა. პაპაჩემი კი თავის სამეცნიერო სტატიებს ფრანგულად ათარგმნიებდა. მას თურმე ძალიან უხაროდა ქართული კულტურის ძეგლების განმარტება ევროპაში და გულმოდგინედ თარგმნიდა. სერგი მაკალათია დიდად აფასებდა, რომ ელისაბედ ორბელიანი თარგმანში იჩენდა მეცნიერულ სიზუსტეს, იგი ნიკოს და მე გვეუბნებოდა:

— ელისაბედი ჯერ საფუძვლიანად შეისწავლიდა ტექსტის შინაარსს და შემდეგ თარგმნიდა. გაუგებარ ადგილებს ჩააცვივებოდა და ვიდრე საესებით არ განუმარტავდი, არ თარგმნიდა.

პაპაჩემის სიტყვებით, ასევე უხაროდა ქართული საქმე უბრალო გლეხსა თუ სოფლის ინტელიგენტს, იმათაც კი, ვისაც წერა-კითხვა არ შეეძლო, მაგრამ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული ეპოსი.

ზოგჯერ სერგოსა და ნიკოს საუბრებს ჩვენი სეფიეთელი ნათესავები და მეზობლებიც ესწრებოდნენ. მათ სერგო დაწერილებით გამოკითხავდა სოფლის ამბებს, ჰკითხავდა, ვის რა უჭირდა, ან რა უღბინდა. მაშინ გაიგეს მათაც, კოტეტიანთ მთაწმინდის სახლის ცნობილ მდგომარეობებს შორის გალაკტიონ ტაბიძეც რომ ყოფილა. საოჯახო გადმოცემით, პოეტს თავისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსი, სადაც იასამანს შეტრფის, ჩვენი ეზოს იასამნით შთაგონებულს დაუწერია ოჯახის წევრებით რომ გვიყვარდა.

კატო სიამაფით ამბობდა თურმე, ყველაზე კარგი ლექსები გალაკტიონმა ჩვენ სახლში დაწერაო. ხანდახან სუფრასაც ერთად მიუსხდებოდნენ გალაკტიონი, კატო და იელიტა, ბებიჩემი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ გათხოვილი არ იყო.

კატო დედაშვილურად მოძღვრავდა გალაკტიონს, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა და სთხოვდა, სასმელმა ზედმეტად არ გაგიტაცოსო. ამის დამადასტურებელი საბუთი მას ხომ ჰქონდა, გალაკტიონის ოთახში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ღვინის ბოთლები, რის გამოც იგი უხერხულად იშმუშნებოდა თურმე და პირობას დებდა ამ ბოთლებს ახლავე გაეაქრობო. ამაზე ვახტანგს, გალაკტიონის დიდ ადვოკატს, დედასა და დაზე მთელი საოხუნჯო ტექსტები ჰქონია შეთხზული. არა, იტყვოდა, ჰეი გიდი

ამას ჰქვია და ჩემი შენ გითხარო, როგორც კატო, ისე ივლიტა სადილზე ისე არ დასხდებოდნენ ცოტ-ცოტა ღვინო რომ არ მოეწრუპათ, რაც მაშინ სადილობისას ქართველებში ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ იუმორით დაჯილდოებულმა ვახტანგმა ეს ამბები მთელ სპექტაკლად აქცია, რაზეც ბევრს იცინოდნენ თურმე.

სამეგრელოდან ჩამოსული სტუდენტი სერგი მაკალათიაც მთაწმინდაზე კოტეტიანთ სახლის სიახლოვეს მდგმურად მდგარა. ვახტანგსა და ლადოს მასთან ერთად სემინარიაში უსწავლიათ. მალე იგი კოტეტიშვილების, მისი დახასიათებით, ტრადიციული, კარგი ქართული ოჯახის სიძე გამხდარა, რომლის წევრებიც მოსწონდა, როგორც სამშობლოზე შეყვარებული, ზნეობრივი, წიგნიერი და განათლებული ქართველები.

პაპაჩემი იტყოდა, ამ ოჯახმა, შვილებს ქართულად რომ ზრდიდა, მოლხენაც ქართული იცოდნენ. მოკრძალებულ სუფრას გაშლიდნენ. მაგიდაზე პურსა და ღვინოს, ყველსა და მწვანის დადებდნენ, სასმელს პატარა სასმისებით მიირთმევდნენ. კარგი სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდნენ, კარგი სიმღერა იცოდნენ.

ოჯახის უფროსს, მღვდელ ილიას, კარგი ხმა ჰქონია, მასთან შვილები ვახტანგი და გიგო ყოფილან შეძლერებულნი და ასეთ დროს მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. აზრიანად და ნიჭიერად ცხოვრობდნენ, — დაყოლებდა მოგონებებში წასული დასვედიანებული პაპა სერგი. ესმოდათ წუთისოფლის სტუმრები რომ იყვნენ და ზედმეტი და გადამეტებული არაფერი ხიბლავდათ. მატერიალურ ხელმოკლეობასაც იუმორით იტანდნენ, მაღალი იდეალებითა და სულიერებით, ფართო ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. მათი მთავარი ამოცანა და მიზანი ქართული საქმის მსახურება იყო.

ჩემთვის უკვე აღრეული ასაკიდან გახდა ნათელი. რომ სწორედ ამ წრეობისა და ზნეობის მართალი ოჯახებიდან გამოდიოდნენ ეროვნული მოღვაწენი, მეცნიერები, შემოქმედნი.

სერგი მაკალათია მშვენიერი ივლიტათიც, მომავალი მეუღლით, კიდევ იმიტომაც მოხიბლულა (რასაც თავის მოგონებებში ასევე საგანგებოდ აღნიშნავს), რომ პატროტი იყო. ცარიზმის მოძულე არასდროს რუსულად ქართველთან არ დაილაპარაკებდა, გარუსებულ ქართველებს ებრძოდა და ქართული კულტურის საქმეს ემსახურებოდა: „ამ ნიადაგზე მოხდა ჩვენი დაახლოებაც, — წერს პაპაჩემი, — მეც ასეთივე განწყობისა ვიყავი, მიევარდა ქართული საქმე, ვებრძოდი გარუსება-გადაგვარებას. გვიყვარდა ქართული წიგნი, ადათ-ჩვევები, ქართული სიღარბისლე, კონსერვატორობა, რომელიც გამოინატებოდა ძველი მამაპაპური საოჯახო წესების დაცვა-

შესრულებაში“. ივლიტა ერთხანს თურმე სოფელშიც დადიოდა და მასწავლებლობდა, რაც ეროვნულ საქმედ მიიჩნეოდა. პოეტური ბუნებისა ლექსებსაც წერდა და განათლებული მანდილოსანიც ყოფილა, ვახტანგიც თავის ნაწერებს ხშირად პირველად მას აკითხებდა.

ივლიტა სერგი მაკალათიაზე რომ გათხოვილა, საქორწინო მოგზაურობაში მთიულეთის ექსპედიციაში გაჰყვოლია. ასე რომ მთების ფონზე ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდა წყვილის ფოტოები მათი საქორწინო მოგზაურობის ამსახველია. მერე ივლიტა სერგი: ერთ ხელში წიგნი მეჭირა, მეორეთი აკვანს ვარწვევდი, თან ოჯახის შენახვაზეც უნდა მეზრუნა. მას ის დიდი ტკივილიც უნდა გადაეტანა, რაც ყოველთვის გულს უკლავდა. ჩვილ ასაკში დაღუპულ პირველ, სიყრმის შვილზე, ჩვენთან, ბავშვებთან, არ ლაპარაკობდნენ. არ ვიცოდით, თუ ვინ იყო პატარა ბიჭი მკერდზე მიხუტებული მტრედით, რაც ემოციურად ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა ვიცოდით, რომ ის ვახტანგ კოტეტიშვილის გამოქანდაკებული იყო. მოგვიანებით, როდესაც წამოვიზრდები, მეტყვიან, ეს პატარა ქაიხოსროა, ქაქუცა (გასაგებია, ვისი სახელის მატარებელიც), რომელსაც რომ ეცოცხლა, შენი ბიძა იქნებოდაო. მოგვიანებით, საბუთებში ვნახე, რომ ქაქუცას მეორე სახელი ივერიც რქმევია.

სერგი მაკალათიას ოჯახის შექმნის ამ საფუძვლებზე ყურადღებას იმითომაც ამახვილებს, რაც მისი არჩევანიდანაც გამომდინარეობდა, რომ მას კარგად ესმოდა საქართველოსთვის მტკიცე და სტაბილური, ზნეობრივი და ეროვნული ოჯახის შექმნის მნიშვნელობა, სადაც გამძლე და სამშობლოს მოყვარული შთამომავლობა იზრდებოდა, რაც საქართველოს არსებობისა და წინსვლის გარანტი იყო.

ამ თემებზე საუბრისას, ერთხელაც ნიკოს და მე, საღამოს ჩვეულებისამებრ კვლავაც ოდა-სახლის აივანზე რომ მოვიკალათეთ, ასეთი ამბავი გვიამბო, რომელიც სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში.

წლების წინ მოსკოვიდან ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბრომლეი, ჩამოსულა. მის საპატივცემულოდ გამართულ ერთ-ერთ სუფრაზე კარგად შეზარხოშებულსა და მასპინძლობით კმაყოფილს უთქვამს, ძალიან კარგი ხალხი ხართ ქართველები და ძალიანაც გვიყვარხართო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, ჩვენს ინსტიტუტში ქართული ოჯახის განადგურების როგორი გეგმები მუშავდებაო.

ამ საუბრებს ჩვენი მეგრული ნათესავ-მეზობლებიც ინტერესით ისმენდნენ და ზოგჯერ თავადაც ჩაებმებოდნენ ხოლმე მათ საუბრებში. ერთ ასეთ საღამოსაც მოისმინეს კოტეტიანთ თუმნიანის ამბავი, რომელიც ჩვენს

ოჯახში თაობიდან თაობაში გადადის და საოჯახო ისტორიის მთავარ ქვა-კუთხედად იქცა.

ბებიაჩემს პირველი ხელფასი რომ აუღია, თუმნიანი თავისი ძმისთვის, სტუდენტი ვანტანგისთვის, პეტერბურგში გაუგზავნია. ეცოდებოდა, იქ მართო არის და, ვინ იცის, როგორ უჭირსო, იქნებ კიდევაც შიმშილობსო. ვანტანგს ფული მიუღია და უმცროსი ძმისთვის გიგოსთვის კიევში გადაუგზავნია, რომელიც ამავე მიზეზით შესცოდებია. გიგოს სტუდენტი ლადოსთვის დასწვია გული, ხარკოვში რომ სწავლობდა. ლადოს, თავის მხრივ, ეს ფული რომ მიუღია, უფიქრია, ივლიტას, ვინ იცის როგორ უჭირს მოხუც დედ-მამაზე ზრუნვაო და ფული თბილისში, დასთან, გადმოუგზავნია. ასე მოიარა ამ ერთმა თუმნიანმა რუსეთის იმპერია და ისევ თბილისში, ივლიტას ხელში ამოყო თავი. ბებიაჩემს ის იმ ნიშნით უცენია, შემთხვევით გაგზავნის წინ მასზე რომ დაუსვამს.

სერგოსგან განსხვავებით ნიკოს ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა.

ყური მომიკრავს, ნიკოს სეფიეთში ლენინგრადიდან ბალერინამ ჩამოაკითხაო (ან კი ამ სიფრიფანა ქალმა როგორ მოაგნო სეფიეთს ?!), მაგრამ ბალერინას ამბავი ისე არავის გაკვირვებია, როგორც ნიკომ ცოლად ხევსური ქალი რომ შეირთო — მელო ბალიაური ფშავიდან, შუაფხოდან. მელო მალე ყველამ შეიყვარა. უბრალოდ, მაშინ სამეგრელო და ხევსურეთი იდუმალ მხარეებად მიიჩნეოდა, სხვადასხვა პლანეტაზე მდებარედ, მელო კი სხვა პლანეტელად აღიქმებოდა.

ნიკო ნამდვილი ხალხოსანი იყო და თავისი მომავალი მეუღლეც ხალხოსნობის პერიოდში გაიცნო. იგი მამა იოსებოვით ხალხის განათლებაზე ზრუნავდა და ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მასწავლებლობდა. სოფელ ახიელში თომა ბალიაურთან ერთად „კაკო ყაჩაღიც“ დაუდგამს. ნიკო თურმე ილიას ტექსტს კითხულობდა, თომა კაკოს როლს ასრულებდა, გიორგი ჯაბუშანური — ზაქროს. მაგრამ ერთ მომენტში ხალხს დამდგელი რეჟისორის, ნიკო მაკალათიას მიზეზით რეალობა და სინამდვილე ერთმანეთში არევიდა და შეშფოთებულა. ეს მაშინ მომხდარა, როდესაც ზაქროს ბატონისთვის თოფი უსროლია, თეატრის ბუტაფორული თოფი კი არა, ნამდვილი, ცხადაა, არადამიზნებით. სროლის ექოს მთა აუგუგუნებია. ხევსური მაყურებლებიც აჩოჩქოლებულან, აყაყანებულან, ალბათ, რაღაც მოხდაო და იარაღზე ხელი გაუკრავთ. ზოგს ისიც უფიქრია, ქისტები დაგვეცნენო.

ნიკოს რეჟისორობაზე სერგო ბევრს იცინოდა და მეც ვხალისობდი. მაშინ ნიკო მეტყოდა, ერთი პაპაშენს მოაყოლე, ფშაველი ქალები კაფიებს

როგორ გაიძვინდნენო. ახლა უკვე ნიკო იცინოდა, სერგო კი ყვებოდა:

— 1932 წელს ფშავის მორიგ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში წავედი, რომელიც როგორც ვაჟა-ფშაველას კუთხეც მიზიდავდა. ჩარგალში ვაჟას სახლში დავბინავდი. ცნობილია, რომ თავის დროზე, ვაჟა თავადაც აგრო-ვებდა ეთნოგრაფიულ მასალებს, რაც დიდ ეროვნულ საქმედ მიიხნეოდა.

ფშავში მასპინძლობას ვაჟას მეუღლე თამარი მიწევდა, რომელსაც უხაროდა ჩემი საქმიანობა და ყველანაირად ხელს მიწყოდა. შინ იბარებდა მოხუც ქალებს და ჩემი ჩამოსვლის მიზეზებს უხსნიდა. თავად თამარმაც ბევრი რამ იცოდა. დაუხარებლად, როდესაც მოცლა ჰქონდა, ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე უამრავ საინტერესო ცნობებს მაწერინებდა.

— კი მაგრამ, — ვეკითხებოდი პაპას, — ფშაველ ქალებს რა აცინებდათ, ანდა რა ლექსებს გიწერდნენ, ნიკოს რისი თქმა უნდოდა?

ისიც მპასუხობდა:

— საქმე ის არის, რომ ფშაველი ქალები, მათ შორის — თამარიც, სამკალში დადიოდნენ. თამარს ერთი ჰექტარი ხორბალი ეთესა და დილით, სანამ დაცხებოდა, მკიდა. ზოგჯერ მკაში მეც ვშველოდი, რაც ფშაველ ქალებს უკვირდათ და ამაზე ლექსიც კი გამომითქვეს. საუბარი წაწლობაზე ქალებსაც უყვარდათ და მორცხობას არ იჩენდნენ, ვაჟა-ფშაველაც ცნობილი მოწაწლე ყოფილა. ასე რომ სიცილ-კისკისსა და მხიარულებაში მაწერინებდნენ წაწლობის წესებს, ლექსებს, შაირებს, რაც მერე ჩემს სტატიაში — „ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა“ — გამოვიყენე.

ამ დროისათვის ფშავ-ხევსურეთთან მჭიდრო კავშირი ჩვენი ოჯახის უკვე სხვა თაობასაც ჰქონდა დამყარებული, მას შემდეგ, რაც ნანა კოტეტიშვილმა, დედაჩემის ბიძაშვილმა, გიგი ხორნაულზე იქორწინა.

პარკეტზე გაზრდილი ქალაქელები, როგორც ხევსურები გვეპაზნდნენ, ღია საბარგო მანქანაზე შემოგვსვენს და ჯაყჯაყით ფშავის ღაღა-ღულა გზას გაგვიყენეს. მაგრამ ჯაყჯაყს ვინ ჩივის, ერთ-ერთ მოსახვევში მძღოლმა კინალამ ხევში გადაგვიძახა, რამაც ნანას ნათესავები ისე დააფეთიანა, რომ კარგ მოსაუბრეებად და ენაგაღესილებადაც ცნობილებს კაწალხევამდე ხმა არ ამოუღიათ. მშიდობით ჩასულები იმ სახლის აივანზე ჩამოგვსვენს, სადაც თურმე ვაჟა-ფშაველა ხშირად დაიარებოდა, მთელ ფშავში ცნობილ პირველ ორსართულიან სახლში.

ეზოში ერთი ფაციფუცი იყო. დასაკლავი პირუტყვის ბღავილი, რაირია სტუმრებისა თუ სუფრის მომსახურე ნათესავ-მეზობლებისა.

ლამაზი ნანა ამ ეგზოტიკურ ქორწილში, თითქოს ფილმის გადაღებააო, დედოფლის როლში კინოვარსკვლავით იჯდა. ამ ორიგინალურსა და მხი-

არულ ქორწილში საფუძველი დაედო კაფიობას, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენი ოჯახის რეპერტუარში მაშინვე შევიდა, აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. გიგი ხორნაულმა ეს კაფიები თავის მოგონებების წიგნში — „ჩემი საწუთრო-სამზეო“ — გამოაქვეყნა, თავში, რომელსაც „ქალაქში გაგრძელებული ლექსობა“ უწოდა.

უკვე კაწალხევეში, ქორწილში, მოწინააღმდეგეთა ორი ბანაკი ჩამოყალიბდა. აქეთ კოტეტიშვილები — ელისო, იათო, ვახუშტი და ორი გოდერძი — ერთი ლომსაძე და მეორე — გიგის ძმა, იქით ფშავ-ხევსურნი — ალექსი ჭინჭარაული და მისი ძმა, მიხო. ვეელასთვის მოულოდნელად ქალაქელებმა და ჩვენმა სანათესაომ კაფიებში თავი ისე ისახელეს, რომ მთის ხალხი გააოცეს.

ამასთან დაკავშირებით გიგი ხორნაული იგონებს. რას იფიქრებდნენ ენაგრძელი ფშავლები, რომ მათზე გრძელი ენები ქალაქელებს აღმოაჩნდებოდათ, თანაც დედაცაც — იათოს. აკი ერთმანეთს უსაყვედურეს კიდევაც ქორწილში „შენ ცალკე არყით წაიქეც, ცალკე იათოს ლექსებით“.

მიუხედავად აღფრთოვანებისა და ქალაქელების ნიჭიერების აღიარებისა, ფშავ-ხევსურებს გულში წყენა მაინც ჩაუღვიათ. მათ თურმე ჩასაფრება იციან და სამაგიეროს გადახდის დროის დალოდება. ასეთი დროც დადგება, როდესაც იათო ფეხს იღრძობს. ალექსი ჭინჭარაულს, როგორც კი ეს ამბავი გაუგია, შურიძიებით აღსავსეს, იათოსთან კაფია უფერენია, რომელიც მისთვის, მწოლიარესთვის, ლოგინში მიურთმევიათ.

1962 წლის თებერვალი იყო:

იათოს !

„შიარში მუდამ გიჭოჭებ, მაგრამ შენ ამას ვერ ხვდები,
ჩვენს პიროვნებას ზოგზოგჯერ უპატივცემლოდ ეხები,
ხარხარით იხოცებიან სულხან-საბაზე ვერხვები,
ქუსლი გაქვს აქილევსისა და მაკარონის ფეხები,
პარკეტზე ფეხის მოტეხვას მხოლოდ შენ მოახერხებდი.“

იათოს სიცილით გული რომ უჯერებია, თავის საწოლთან სანათესაოს კონსილიუმი მოუწვევია და ლექსოზე უთქვამს: ნახეთ, რას ვუზამ ამ თავხედ-თავგაკასიებულსო, მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა ლექსის წერაო. და მართლაც, ლექსიც დაწერა და ალექსის ამ სიტყვებითაც დაემუქრა: „ვერ გიშველიან ხევსურნი და ვერც ფშაველი გლეხებიო“. მაგრამ ვინაიდან გოდერძი ლომსაძის პასუხი უკეთესი აღმოჩენილა, ის იათოს სახელით გაუგზავნიათ:

„პარკეტზე გაზრდილ ანგელოზს პარკეტზე სტყდება ფეხები,
შენ ფეხი როგორ მოგტყდება, რბილია სოფლის ნეხვები,
თქვენთან სოფელში დადიან გრძელკაბიანი გლეხები,
გუყურე, მაინც ვერ მივხვდი, საით აბიათ ფეხები,
შენ ჩემ ფეხებთან რა გინდა, ტყუილად რატომ ეხები,
დრეზდენს გაზრდილი შენ არ ხარ, არც ლუერში განახეხები,
არ გინახია „ჟიზელი“, არც ციგურებით ჩეხები,
აბა, საიდან მიხვდები, რა არის ქალის ფეხები ?
ამის წამკითხავს ალბათა, თვალთაგან გცვივა მეხები,
ძმები ხომ განთქმულები ხართ, ვით მთის ნაზარდი ვეფხვები,
არ მეშინიან, ჯიქურად ქუჩაში შეგეჩეხებით,
ისე გაგიხდით სიფათებს, ხევსურთ ეგონოთ ძეხვები.
თუ სილამაზის არ გესმის, იქ ნულარ შეეკვეხები.
მითქვია, კიდევაც ვიტყვი, ბოლომდე გადვიჩეხები:
ქალის ფეხების შესახებ შენ გესმის ჩემი ფეხები.“

ამას მოჰყვა უამრავი ლექსი-კაფია. ერთი ალექსის ძმისაც, მიხოსი.

ცხადია, ხევსურებმა გოდერძი ლომსაძეც არ დაინდეს და გალექსეს. მას ქურთების დედოფლის კარის პოეტი უწოდეს, როდესაც გაიგეს, რომ იათო ერთ-ერთ კოსტუმირებულ მეჯლისზე ქურთის კაბით მისულა და განუცხადებია, მაგათი დედოფალი ვარო. თავად გოდერძი ლომსაძე კი თავის თავს ჯიუტად მაყაშვილთ დედოფლის, ანუ ელისოს კარის პოეტს უწოდებდა.

ხევსურები განსაკუთრებით მათ უბინაობასთან დაკავშირებულ იათოს რეპერტუარზე გამწარებულან. მე ხომ ამით მაგიჟებდნენ, ამბობდა გიგი, სხვა ხევსურებიც არ დაინდესო, თანაც პოეზია აღარ იკმარეს და პროზაშიც შეუტეეს ჩემს თანამოძმეებსო. მხედველობაში ჰყავდა იათოც და ელისოც, რომლებმაც ხევსურთ უბინაობა, კერძოდ, მათი სოფლის სამღურავი, ქართული ხალხური ზღაპრის სტილში წარმოაჩინეს: „იყო და არა იყო ორი უბინაო ხევსური: ალექსი და მიხო, არც ძალიან გამოსული, არც ძალიან ხიხო, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, არც ძალიან დედალი, არც ძალიან მამალი...“

იათო საოჯახო თავყრილობა-კონცერტებზე ამ ზღაპრის წაკითხვის შემდეგ, ეშმაკური გამომეტყველებით ასე აგრძელებდა ხევსურთ უბინაობის ისტორიას: ერთხელაც, უბინაო ხევსურები შეკრებილან და ბინების სათხოვნელად მთავრობის სახლში წასულან. გზაში იმედი გადაუწურაოთ, ამიტომ განერვიულებულან და ადგილზე უკვი ისეთი გაბრაზებულები მი-

სულან, რომ პირდაპირ საქმეზე გადასულან და მუშტებშეკრულებს დაუღრიალიათ, დაგვიბრუნეთ წინაპართა ძვლები (ბრძოლებში დაცემულები ჰყავდათ მხედველობაში). შემკრთალ პარტიულ მუშაკს, ხევსურთ ანთებულ თვალებს რომ წასწყლომა, ერთი კი წაულუღლია, ბინები გნებავთ თუ ძვლებიო?

იათოს ამ ნომრებს გაცეცხლებული ხევსურების კაფიები მოჰყვა. მაშინ იყო, რომ გამონდა ხევსურთ პასუხი რითმებით იათო:

„თითქოს და უმწიკვლო იყო, მიწაზე არ ჭყლეტ ჭიათო, ჩვენს დაჩაგვრას კი ჩემულობ, გინდა რომ იგოლიათო, ხევსურთა უბინაობა ქვეყნისთვის მოგიღვიათო, სანოკაუტო მუშტები ცხვირში არ მოგხვედრიათო“

და კიდევ:

„აღარ გაბეღოთ შაირი, ვფიცავ ღეკათ და ღვიათო, არ მაიშველოთ პროზაი, ხმა აღარ გაგიღიათო, საჯოჯოხეთოდ კარები თვითონ ნუ გაგიღიათო, ჯერ ის არ გეპატიებათ, შემთხვევით რაც გითქვიათო“

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, კაფიების ნამღვილი სერიალი დაიწყო, რასაც ნაცნობ-მეგობრები და არა მხოლოდ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, არამედ სხვა ინსტიტუტების თანამშრომლებიც გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ, რვეულებს ავსებდნენ და პასუხის პასუხებს მოუთმენლად ელოდებოდნენ. მაგრამ მიუხედავად სიტყვებით კენწლანობისა, ორივე მხარეს შორის დიდი სიყვარული არ განელებულა.

გიგიც თავისას მოაყოლებდა ხოლმე. ამ ქალაქელი ქალების ვერა გამიგია-რა, იტყოდა. დღისით ბინაში ნახევრადშიშვლები დადიან, სარაფნებით, ღამე კოჭებამდე ღამის პერანგებში გამოეწეობიან მონახუნებივით, დილები ყელთან ბოლომდე შეკრული აქვთ. პირსაბანთან თუ გადავეყარე, ერთ ჩოჩქოლს და წიოკს ტეხენ, ღამის პერანგებით ვართ, ნუ გვიყურებო.

ნინა მაცაშვილსაც ხომ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა და იტყოდა

— ხალხნო, რა დავაშავე, ვინც ტყიდან გამოვარდა, ყველა ჩემ სახლში რატომ შემოვარდაო. მინიშნება მეროე სიძეზეც იყო, ელისოს ქმარზე, რომელიც გიგის მსგავსად ტყეებით მდიდარი კუთხიდან, ბორჯომიდან იყო.

თუმცა ტყიდან მოტანილ ნანადირევს პარკეტზე გაზრდილები გემრიელად მივირთმევედით, ღათვის ხორცზეც არ ვამბობდით უარს. ორივე სიძეს ნადირობაც უყვარდა და თევზაობაც. ასეთ სუფრებზე სხვებთან ერთად მწერლები, პოეტები, ლიტერატურის კრიტიკოსები, ხშირად ნოდარ ანდლულაძეც იჯდა, გიგისა და ხევსურების დიდი მეგობარი და გულშემატკივარი,

ერთ დროს კავკასიოლოგი, იმჟამად კი ოპერის მომღერალი.

სხვათა შორის, დათვის ხორცი ფიგურირებდა მაშინაც, ოღონდ ჯერ თეორიულად, როდესაც ნანამ გიგი დედისა და დების გასაცნობად სახლში პირველად მიიყვანა. ნინა მაყაშვილს რომ გაუგია სასიძო ხევესურიაო, უკითხავს — ნამდვილი ხევესურია?

გიგი ამ შეხვედრის შესახებ თავად ასე ჰყვება: „დამსვენს და სამეული — სიდედრი, იათო და ელისო — ირგვლივ შემომისხდა. დაკითხვა ელისომ დამიწყო.

— შენ როგორ შეინახავ, სად იცხოვრებთ? არც ბინა, არც სამსახური?

— ეხლა არა მაქვს, მაგრამ ბინაც მექნება და სამსახურიც...

— ღმერთმა იმედი არ მოგიშალოს... ხორცი არ უნდა?

— ხორცს ტყიდან მოვიტან იმდენს, მარტო ჩვენ კი არა, თქვენც გეყოფათ მთელი ზამთარი.

— ვაპ, ვაპ, რასა ჰკლავ ტყეში ეგეთს?

— დათვებს.

იათომ, აქამდე რომ უხმოდ იჯდა და სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, შეუკავებელი სიცილი ატეხა, თან ხელს კრავდა ელისოს. ნანამ გამოუცხადა, ეყოფა დაკითხვაო, კინოში უნდა წავიდეთო, ხელი ხელში ჩამავლო და გამომიყვანა“.

არ შემიძლია, არ გაეიხსენო გიგისთან დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი, ეგზოტიკურ-გასტრონომიული.

კაწალხევეში გიგისთან და ნანასთან სტუმრად ვარ. დილაადრიან ავდექი და ეზოში გავედი. მთის ჰაერმა, სახეზე ჯიქურ რომ მეტაკა, ჯერ გამაბრუნა, მერე უმალ გამომაფხიზლა. ვხედავ, გიგი ფეხნეა და ეზოში ტრიალებს. თან ჭინჭარს ბლუჯა-ბლუჯა კრეფს და გემრიელად მიირთმევს. ვიფიქრე, ალბათ, ჭინჭრის ისეთი სახეობაა, რომლის ჭამაც უმად შეიძლება-მეთქი. მომწონდა, როდესაც ამბობდნენ, სადაცა ხარ, იქაური ქული დაიხურეო. პოდა, მეც გადავწყვიტე ხევესურული ქულის დახურვა, ვეტაკე ჭინჭარს და პირში გავიქანე. მე დღე დამადგა, პირდაფუფქული მთელი დღე პირლია დავდიოდი. გიგი კი მეორე დღეს და შემდეგ დღეებშიც მადიანად მიირთმედა, როგორც თავად ამბობდა, სასარგებლო და ვიტამინებით სავსე ხევესურულ საუზმეს. თან სიყვარულით გახედავდა ხან პატარა გიჟმაჟ მდინარე კაწალხეურას, თავისთვის რომ ჟრიაამულებდა, ხან კი მთაზე კოხტად შეფენილ ცხვარს, მირზაშვილის ნახატს რომ მაგონებდა.

ერთხელაც კაწალხევის სახლის ეზოში ერთი ამბავი მოხდა, რამაც ჭინჭარზე არანაკლებ დამსუსხა და დღემდე მწარედ მახსოვს.

1986 წლის ივნისის პირველი დღეებია. ნანა კოტეტიშვილმა, ფილოლოგიაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ამასთან დაკავშირებით კაწალხევეში დიდი სუფრა გაიშალა, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული სტუმრები (ძირითადად სამეცნიერო წრეებიდან) და ნანას და გიგის ნათესავები ვესწრებოდით. გავიხედე და ზვიად გამსახურდია არ მოდის მეუღლესთან ერთად.

მე ადრე მისთვის უნივერსიტეტში თუ მომიკრავს თვალი. კიდევ უფრო ადრე პაპაჩემის, სერგი მაკალათიას პანაშვიდზე ვნახე, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია მობრძანდა. მას ერთ მხარეს — ზვიადი, მეორე მხარეს კი თამარი ედგა. მშენიერი და ყველასთვის საყვარელი თამარ გამსახურდია ჩემს სახლშიც არაერთხელ მინახავს. მას მამაჩემი, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, კონსულტაციებს უწევდა, როდესაც იგი იბერიის ქალაქებს იკვლევდა.

ზვიად გამსახურდიას დანახვაზე კაწალხევის სტუმრების ერთი ჯგუფი უკმაყოფილოდ აჩურჩულდა და აბუზღუნდა. ეგ ვინ დაპატიჟეო, საყვედურობდნენ გიგის. მოვა დრო და ეს ბუზღუნი პაუბიცების გრიალში გადაიზრდება.

ამ თითქოსდა ინტელექტუალურ საქმიანობასთან დაკავშირებულმა ხალხმა ვერ გათვალა მთავარი. როდესაც ისტორიული პროცესები ერთ პიროვნებაზე დაიყვანა და მის მიმართ შურისძიების გრძნობით აივსო, მათი წარმოდგენით აწვობილ, ზოგსაც კონფორმისტულ ცხოვრებას რომ უნგრევდა. მათ ან არ იცოდნენ, ან არ ესმოდათ, ისტორიულ პროცესებთან დაპირისპირებას ნგრევა და ქვეყნის განადგურება მოჰყვებოდა და ეს პროცესები მათ დიდ ნაწილსაც ჩაიტანდა და ქვეყანასაც, რაც ასეც მოხდა.

სუფრას მივუსხედით, მაგრამ სტუმრების ამ ერთმა ნაწილმა მაინც ვერ მოისვენა, ზვიადს აუხირდა და სუფრიდან ისე მოიკვეთა, ვაჟა-ფშაველას კალამს რომ შემურდებოდა.

ამ „მეამბოხეებმა“, კომუნისტების დროს გატრუნულები რომ იყვნენ, ისიც ვერ გათვალეს, რამდენად დიდი კულტურის პიროვნებასთან ჰქონდათ საქმე. როდესაც მასზე მორიგი იერიში მიიტანეს, უკვე ჩხუბში რომ გადადიოდა, ზვიადი ხმის ამოუღებლივ სუფრიდან წამოდგა და მანქანისკენ გაემართა, შეწუხებული მასპინძლები და გიგი იქით დააშშვიდა და ბოლიშიც მოუხადა.

— სუფრა აგირიეთ. სხვა დროს მაგათ არ შევარჩენდი, მაგრამ ამჟამად თავი შევიკავე. მაინც კმაყოფილი მივდივარ თქვენი გულითადი მასპინძლობით და ბუნებაში გასეირნებით.

როდესაც ეროვნული მოძრაობის დროს ზვიად გამსახურდიას გვერდით დავეუქმე და დეპუტატობას დავთანხმდი, ილუზიები არ მქონია, ვიცოდი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე უნდა გვევლო, იმ ხალხის აგრესიულ და მათ მიერ წაქეზებულთა გუგუნშიც, მაშინ კაწალხევეში რომ ჩამესმოდა.

კაწალხევიდან ალექო შალუტაშვილმა თავისი ვილისით წამომიყვანა. ხასიათი იმ მძიმე სცენით, რაც ენახე, გაფუჭებული მქონდა.

ალექო, ელისო კოტეტიშვილის მეუღლე, თეატრმცოდნე იყო, რაც ცოლის პროფესიასთან — გეოლოგიასთან სრულ დისპარმონიაში მოდიოდა. ჩვენ მას ჩუმ-ჩუმად ოტელოს ვეძახდით. აბა მოეწონებოდა მშვენიერი და ლამაზი ცოლის კაცებთან ერთად გეოლოგიურ ექსპედიციებში ტყე-ღრეში ხეტიალი?

ელისოს ზოგიერთ კოლეგას ჩვენც ვიცნობდით. ერთ-ერთი ასეთი ზემოხსენებული გოდერძი ლომსაძე იყო, რომელიც ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა. მისი მოსვლა ყოველთვის გვახალისებდა იუძორის არჩევულებრივი გრძნობის გამოც. ადრე მას თურმე ელისო მოსწონდა. ჩვენები მას უდიპლომო სასიძოს ეძახდნენ. ლენინგრადში უმაღლესში უსწავლია, მაგრამ დიპლომი არ აუღია, თავისებური იყო, სმაც უყვარდა.

ჰოდა, ეს ჩვენი უდიპლომო სასიძო, მოედანზე, ადრე ლენინის მოედანი რომ ერქვა და სადაც მოედნის ცენტრში სივრცეში ხელებგაწვდილი ლენინის ძეგლი იდგა, როგორც კი ამ მოედანს მიუახლოვდებოდა (ელისო იქვე ცხოვრობდა), მიიხედა-მოიხედავდა და თუ საეჭვოს ვერავის დაინახავდა, ძეგლთან მიიბრუნდა და ყვავილნარში ჩაფლულ ბელადს, რასაც საერთო აზრის თანახმად ის არ იმსახურებდა, ყვავილებს ცხვირწინ ააცლიდა. ამ ყვავილებსგან დიდ თაიგულს შეკრავდა და ელისოს მიართმევდა, ეს ლენინმა პირადად შენ გამოგიგზავნაო, ლენინს ძალიან უყვარხარო, ეტყოდა. ასე უხსნიდნენ გოდერძი და ლენინი ელისოს სიყვარულს.

ერთხელაც გოდერძი ამ საქმიანობის დროს გამოიჭირეს და ხულიგნობისთვის რამდენიმე დღით მილიციაში მიაბრძანეს. პოლიტიკური სარჩული არ მიუყენეს, მის მდგომარეობაში შევიდნენ. ეს საქციელი სიყვარულით გაგიჟებულმა ჩაიდინაო. თანაც მთვრალს თავი ლენინის მოედანზე კი არა, ედემის ბაღში ეგონაო. მოკლედ, გოდერძი პოლიტპატიმრობას გადაურჩა, გამოუშვეს.

ერთ დღესაც საბურთალოზე გოგი ოჩიაურთან სტუმრად ვარ. ვსაუბრობთ და უცბად მეუბნება, ნახე, რა უნდა გაჩვენო, და წერილი გამომიწვოდა. თომა ბალიაურის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიის ასლი აღმოჩნდა, რომელსაც პაპაჩემი, სერგი და ნიკოც იცნობდნენ.

თომა ბალიაურს ეს წერილი დეკნილს, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, 33 წლისას, სოფელ ახიელში დაუწერია, ბოთლში ჩაუდვია და ყორის კედელში ჩაუტანებია. თანაც დაუბარებია, დრო რომ მოვა, მაშინ ამოიღეთ და გახსენითო. ეს დრო 1990-იან წლებში დადგა.

თომა ბალიაური, მტრებისგან დეკნილი, თავისი ცხოვრების აღწერის შემდეგ განსაკუთრებულ მაღლობას უხდის — ლადოს, ნათელასა და მელო ბალიაურების დედას. აი, რას წერს იგი: ლელამ „შემინახა, როგორც შეილი. თუ მოკვდი, ვერ ვეღირსე საქართველოს გათავისუფლებას, ამის შემხედვარემ მაშიგონოს, რომ იყო ვიღაც დეკნილი და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. ჩემი სალაში ჩოლოყაშვილს, რომლის, როგორც ბელადის სახელი არ შემიძახებია, არ დამიყრია იარაღი და არც დავეყრი სიკვდილამდის... იყავ ძლიერი, ქართველო ერო, მომავალი შენია. სამუდამო ხსოვნა ქართველთა მებრძოლთა!“.

წერილმა ჩემზე იმ მხრივაც იმოქმედა, რომ მასში იმ ლელაზე იყო ლაპარაკი, გოგი ოჩიაურის ბებიასა და ნათელას დედაზე, ვისაც შუაფხვანში უკვე ღრმად მოხუცებულს მეც შევხვედრებარ, ცისფერთვალასა და მუდამ მომდიმარეს. სწორედ მასზე ვწერ ნათელასადმი მიძღვნილ ჩანახატში: „რამდენი რამე ახსოვდა ლელას, ყველაფერი თან წაიღო... ლექსები და მოგონებები, ზღაპრებით სავსე ჭრელი ფშაური გუდა“.

ამ წერილიდან ისიც გავიგე, რომ ნათელაც, რომელთანაც ფშავში ჩავდიოდი ხოლმე და რომელსაც ასევე ორი ჩანახატი მივუძღვენი, თურმე თომასთან ერთად იზრდებოდა და მოგვიანებით მასზე მოგონებაც დაწერა თავის „ხევსურულ ქრონიკებში“. ამან კიდევ ერთხელ დამაფიქრა, რამდენადაა სხვადასხვა თაობის ქართველების ცხოვრება ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ჭეშმარიტი პატრიოტები როგორ იმეორებენ ერთმანეთის ბედს.

სეფიეთში პაპაჩემისა და ჩემი ყოფნის დღეები იწურებოდა. სრულდებოდა საქართველოს ისტორიის ის კურსიც, არაოფიციალური, მათ წრეში კიდევ ერთხელ რომ გავიარე. ერთ დღესაც, არ მახსოვს, ვისი ინიციატივა იყო, სერგოსი თუ ნიკოსი, გადაწყვიტეს ერთმანეთს სირბილში გაჯიბრებოდნენ. მე მაშინვე ჩვენი ოდა-სახლის აივნის კიბეზე ჩამოვსკუპდი. გზა აქედან ჭიშკრამდე უნდა გაერბინათ.

გამხდარი და გრძელფეხა ნიკო კენგურუსავით მიხტოდა, ჩასკვნილი სერგო კი დათვივით მიბაჯბაჯებდა. ნიკოს გამარჯვება თავიდანვე ნათელი იყო, ამიტომ შედეგს რაიმე დაპირისპირება ანდა პროტესტი არ მოჰყოლია.

სერგომ და ნიკომ მხოლოდ ერთხელ იჩხუბეს და ისიც, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, მტრელების გამო.

ერთ დილასაც მესმის სერგოს ღუგღუგი და ნიკოს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი.

ნიკოს ოღა-სახლის სახურავზე მტრედები ჰყავდა მოშენებული. ჰოდა, სერგოც ნიკოს ამის გამო ეჩხუბებოდა. პაპაჩემი ამბობდა, მთელი ღამე არ დამაძინა შენი მტრედების ბლუილმაო. აღშფოთებული ნიკო პასუხობდა, მტრედები კი არ ბლუიან, ღულუნებენ. არა, ბლუიან, იმეორებს სერგო, ღულუნებენ, ჯიუტად პასუხობს ნიკო. ბლუიან — ღულუნებენ, ბლუიან — ღულუნებენ, და არც ერთი არ თიბობს.

პაპაჩემი პრაქტიკულ ადამიანად მიიჩნეოდა, ნიკო კი არაამქვეყნიურად, პოეტურად. ჰოდა, ვინაიდან ეს კამათი ამ ცნობილ სქემაში ჯდებოდა, ინტერესი ამ კამათისადმი დაკარგე და ეზოში გავედი.

მზე მთელი ძალით ბრღვეილებდა შუადღის ცაზე, როდესაც ჩემი ტოლები ჭიშკარს მოადგენ და გადმოძახეს, დედამ პატარა სუფრა გაგვიმზადა და შენც გადმოდიო.

წავედი.

როდესაც დავბრუნდი, რა ნახეს ჩემმა თვალებმა.

ნიკოს სადილის თადარიგი დაეჭირა, რამდენიმე მტრედი დაეკლა და ტაბაკებად შემწვარი მაგიდაზე დაეწყო.

იმ დღეს სერგო უსადილოდ დარჩა. ნიკომ კი მტრედები, უხეშად რომ ვთქვათ, შეახრამუნა, გემრიელად მიირთვა.

ასე რომ, სერგო ქართველი ნაციონალისტივით მოიქცა, ნიკო კი ევროპელი დემოკრატიებივით, მტრედებს ჯერ რომ ადიდებენ, როგორც შშვილობის სიმბოლოს, მერე კი კლავენ და გემრიელად მიირთმევენ.

ამას ჰქვია ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, ანუ ცხოვრებისეული გაკეთილები.

PS. არ მახსოვს ძმებს სერგოს და ნიკოს, ასე რომ უყვარდათ ერთმანეთი, ქონებაზე ჩამოეგდოთ სიტყვა და ეთქვათ, ეს ჩემია და ეს შენიო. ამიტომაც ეს გრძნობა (ამ ნიადაგზე ბევრი რომ შეიშალა) ჩემთვისაც უცხოა. ისინი სეფიეთის ამ ოღა-სახლს როგორც თავიანთი ოჯახის ისტორიას უყურებდნენ. თანაც მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა მოწმე ვიყავი იმ დროს, როდესაც ნიკო დიდი ხნით გადასახლებული იყო, რამდენს აკეთებდა და ზრუნავდა, სერგი მაკალათია ამ პატარა ოღა-სახლისთვის, რომ არ დაშლილიყო და გაპარტახებულიყო. ისედაც უამრავი პრობლემით დამძიმებულს, თანაც ობლად დარჩენილი სანათესაოს ბავშვებსა და ოჯახებზე მზრუნველს, მთელი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მას აწვა კისერზე.

მოხუც დედას ხომ სიყვარულით სულს უბერავდა და ანებივრებდა, რისი მოწმეც ასევე ვიყავი. ეს ნამდვილი ცხოვრებისეული გაკვეთილები იყო.

სერგოსა და ნიკოსთან ურთიერთობისას მათი საუბრების მოსმენისას გაცნობიერებული მქონდა, რომ სამეგრელოში ეს იშვიათი ისტორიის სახელია, არა მხოლოდ ჩვენი დიდი ოჯახის, არამედ ქართული საზოგადოების ისტორიისთვისაც საინტერესო, ვინაიდან მასთან არაერთი დიდებული ქართველი და მოღვაწეა დაკავშირებული. ისე, სერგო და ნიკო საქართველოზე მსჯელობისას, რასაც გულისყურით ვისმენდი, სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებენი, რას წარმოიდგენდნენ მაშინ, რომ მე და ჩემი ძმა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წევრები გაეზღებოდით.

როდესაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ეს ოდა-სახლი ყველასგან მიტოვებული მარტო დარჩა იმ არეულ წლებში, საშიმ დროში, თანაც როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმძღვანელი ვიყავი, ყოველ წელს ჩავდიოდი სეფიეთში და ყველაფერს ვაკეთებდი მის გადასარჩენად.

მიმაჩნია, რომ ვალმოხდილი და პირნათელი ვარ სერგოს და ნიკოს, ყველა ჩვენი წინაპრის ნათელი ხსოვნისა და უფლის წინაშე.

თინა აბულაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქი-
ფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი)

სერგი მაკალათიას არქეოლოგიური მოღვაწეობა

ცნობილი არქეოლოგი და ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი მაკალათია აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევის საქმეში. იგი XX საუკუნის 20-იან წლებში გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ამ პერიოდიდან საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები, რასაც მნიშვნელოვან წილად ქვეყანაში დაწყებულმა ახალმშენებლობებმა შეუწყო ხელი. სერგი მაკალათიას მოღვაწეობა სავსეა არქეოლოგიაში საკმაოდ წარმატებული აღმოჩენებით. მის სახელთანაა დაკავშირებული დვანის, ტყევიანის, ფლავისმანის სამაროვნების გათხრები, დაზვერვითი სამუშაოები განახორციელა და სამარხები შეისწავლა სოფ. დაბლაგომში, სოფ. ალაიანში, სოფ. საკობიანოში, მეჯუდის ხეობაში, მონაწილეობას იღებდა სენაკის რ-ნის სოფ. რეკას ტერიტორიაზე „ნაოხვამუს ბორცვზე“ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში¹, შეისწავლა აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთში შემთხვევით აღმოჩენილი რომაული მონეტების განძი, რომელიც მოთავსებული იყო კოჭობში. დაახლოებით 450 მონეტა². იგი ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი არქეოლოგი იყო. მის სახელს ატარებს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი თვითონ იყო. ჩვენი მიზანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის დედაწილი, რომელიც სერგი მაკალათიამ დატოვა საქართველოს არქეოლოგიის განვითარების და კვლევის საქმეში და სქემატურად წარმოვაჩინოთ მის მიერ შესწავლილი რამოდენიმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი.

ალაიანის სამარხი

მდებარეობდა გორის რ-ნის სოფ ალაიანში, მდ. ქსნის ხეობაში. 1928 წელს ადგილობრივმა მოსახლემ მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინა მოძცრო ზომის თიხის სარკოვავი, რომელშიც აღმოჩნდა მიცვალებულის

¹ Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, с. 152, 156, 188, 237.

² ს. მაკალათია, სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, შურ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XII-ბ, თბ., 1944, გვ. 216-258.

ფრაგმენტული ძეგლები, ოქროს სამკაული და ოქროს მონეტები. 1929 წელს საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების დავალებით სერ-გი მაკალათიამ შეისწავლა სამარხის ინვენტარი.

ძეგლის დახასიათება: თიხის სარკოფაგი, მოწითალო ფერის, მომრგვალებული, ოვალური ფორმის. კედლის სიგრძე 2,5 სმ. ნაპირიდან 7 სმ-ის ქვევით შემოვლებული ჰქონდა სარქველის დასაყრდენი, სასარქველე წრე, რომლის სისქე 6,5 სმ-ს უდრიდა.

დაკრძალვის წესი: ინჰუმაციური. ინდივიდუალური.

ინვენტარი: გულმკერდის შესამკობი სადა ოქროს სამკაული, ოქროს ბეჭედი შავი სარდინის თვლით, რომლის გულის მოყვანილობის ბუდე შემკული იყო სამ-სამი წერტილით, ორი ოქროს მონეტა.

დათარიღება: IV-V სს.

ანთროპოლოგიური მონაცემები: მიცვალებულის ძეგლების ფრაგმენტები.

აღაიანის სარკოფაგის მსგავსი სარკოფაგები მანამდე ნაპოვნი იყო საგურამოსთან, ურბნისში, ატენში, ბორჯომის ხეობაში³. ფორმით და სასარქველე წრით ეს სარკოფაგი უახლოვდებოდა ურბნის-ატენის სარკოფაგების ტიპს. მასში აღჩენილი ოქროს მონეტიდან ერთის Aს-ზე გამოსახული იყო კონსტანტინე დიდი პროფილში, თავზე დაფნის გვირგვინით და წარწერით KONSTANTINVS PFAVG. Rs-ზე რომაელი მხედარი მარჯვენა ხელში ლაბარით, მარცხენაში კი მათრახით, მის წინ ორი ხელაღპვრობილი ადამიანი იყო დაჩოქილი, უკან კი მუხლმოყრილი კაცი. მეორე მონეტა რომაულ-ბიზანტიური ოქროს სოლიდის მიბაძვას წარმოადგენდა. As-ზე გვირგვინიანი იმპერატორის პროფილი იყო გამოსახული, Rs-ზე ნიკე, რომელსაც მარცხენა ხელში გვირგვინი, მარჯვენაში კი პალმის რტო ეჭირა. ამგვარი წაბაძულობის ფული ისეთ ქვეყნებში იჭრებოდა, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად მოქცეული იყვნენ რომის და შემდეგ ბიზანტიის გავლენის ქვეშ. ალბათ ასეთ გავლენას განიცდიდნენ იმდროინდელი კოლხეთი და იბერია⁴. ეს სამარხი კონსტანტინე დიდის ოქროს სოლიდის მიხედვით დათარიღდა.

³ ს. მაკალათია, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში, ჟურ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XI-B, თბ., 1944, გვ. 87.

⁴ იქვე, გვ. 87.

დაბლაგომის სამარხი

მდებარეობდა სამტრედიის რ-ნის სოფ. დაბლაგომთან, „ნაციხვარის“ ბორცვზე. 1933 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების დავალებით სერგი მაკალათიამ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები.

ძეგლის დახასიათება: ქვევრსამარხი, კონუსური ფორმის, კარგად გამოძვარი, შიდა მხარე მოწითალო, გარედან შავი, წვრილად დაღარული და გეომეტრიული ფიგურებით შემკული, ყელი ვიწრო ზედ ჯვრის გამოსახულებით, ძირი მოტეხილი, ფსკერის დმ. 66X66 სმ, ყელის დმ. 29 სმ. ქვევრი მიწაში თავდაღმა იყო ჩაფლული, სიმაღლე 70 სმ, კედლის სისქე 1,6 მმ, სიღრმე მიწის ზედაპირიდან S-0,4 სმ, ხოლო N-W-10 სმ.

დაკრძალვის წესი: ინჰუმაციური. ინდივიდუალური. მიცვალებული ჩასვენებული უნდა ყოფილიყო ქვევრის მოტეხილი ფსკერიდან, მოკრუნჩხული, გვერდზე მწოლარე, თავით W-ით.

ინვენტარი: შავი თიხის სურა, ფერადი მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯური, კოლხური ვერცხლის წვრილი ფული.

დათარიღება: ძვ. წ. III-II სს.

ქვევრში დასაფლავების ანალოგიური შემთხვევა გამოვლენილი იყო ზემო ავჭალაში, ზაქესში, ჯვრის მონასტერთან⁵. სამარხი დათარიღდა კოლხური ფულის მიხედვით. ამ შემთხვევამდე კოლხური ფული ძირითადად თიხის ქოთნებში განძის სახით იყო ნაპოვნი და სამარხში მისი აღმოჩენა პირველ და მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენდა.

საკობიანოს სამარხი

მდებარეობდა თელავის რ-ნის სოფ. საკობიანოში. 1936 წელს მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა მიცვალებულის თავის ქალა, ძვლები და სამკაული. სამარხი და მისი ინვენტარი შეისწავლა სერგი მაკალათიამ.

ძეგლის დახასიათება: მიცვალებული უშუალოდ მიწაში იყო ჩაფლული.

დაკრძალვის წესი: ინჰუმაციური. ინდივიდუალური.

ინვენტარი: ვერცხლის ფიბულა, ვერცხლის და ბრინჯაოს სამაჯურები, სხვადასხვა ზომის და ფერის მინის მძივები, მუქი წითელი ფერის მინის გემმა, რომელზეც ამოკვეთილი იყო ნეპტუნის „სამთითაზე“ მდგომი ფრთაგამოლილი არწივი, ვერცხლის მონეტა.

⁵ ს. მაკალათია, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლაგომში და ალაიანში, გვ. 85.

დათარილება: ძვ. წ. III ს.

ვერცხლის მონეტის Ab-ზე გამოსახული იყო მამაკაცი პროფილით, ღს-ზე მჯდომარე ადამიანის ფიგურა, რომელსაც მარცხენა ხელზე ღვთაება ნიკე ეჯდა, მარჯვენა ხელში შუბი ეჭირა, ფეხებთან კი პოსეიდონის „სამთითა“⁶. ეს ფული წარმოადგენდა თრაკიის მეფის ლაზიმახეს მიბაძვას და ტრიალებდა მცირე აზიაში, შავი ზღვისპირა ქვეყნებში. ამ მონეტის მსგავსი მანამდე ნაპოვნი იყო ღუნაის და ყირიმის სანაპიროებზე, ასევე 1920 წელს, სოფ. რეკაში და 1925 წელს, ზემო სვანეთში, სოფ. მალღამარხში⁷. სწორედ ამ მონეტის მიხედვით დათარიღდა საკობიანოს სამარხი.

ფლავისმანის ნეკროპოლი

მდებარეობდა გორის რ-ნის სოფ. ფლავისმანის მისასვლელში, მდ. პატარა ლიახეთან ახლოს. სამაროვანი შემთხვევით აღმოჩნდა 1924 წელს სარწყავი არხის გაყვანის დროს. სამარხები დაზიანდა და არქეოლოგიური მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა, შემორჩენილი იყო ფრაგმენტული ინვენტარი. ამ წელსვე სერგი მაკალათიამ აქ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები.

ძეგლის დახასიათება: ქვაყუთი, სიღრმე მიწის ზედაპირიდან 2 მ.

დაკრძალვის წესი: ინჰუმაციური.

ინვენტარი: ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. შუბისპირი, ორპირი მახვილი, ნემსები, ქინძისთავეები, სამაჯურები. თიხის ჭურჭელი: ღერგები, სარკმლიანი ურნები, ქოთნები.

დათარილება: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა.

ანთროპოლოგიური მონაცემები: გრძელი მოყვანილობის თავის ქალა, ღეფორმირებული, ხელოვნურად დაზიანებული (კეფა მრგვლად ამოჭრილი დმ. 30 მმ.), ცხვირი ვიწრო.

ფლავისმანის სამაროვნის სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია შუბისპირი, ხის ტარზე ორი ნახვრეტით და მოკლე ორპირი მახვილი, ხის თუ ძვლის ტარზე ლურსმნის მისამაგრებელი ორი ნახვრეტით. ასევე მსხვილი, ზურგწახნაგოვანი სამაჯურები, რომლებიც ღირებულების გამომსახველნი უნდა ყოფილიყვნენ. აღმოჩენილი ნემსების და თავხვეულა ქინძისთავეების მსგავსი ნაპოვნი იყო სამთავროს, ახტალის, განჯის ნეკრო-

⁶ იქვე გვ. 82.

⁷ ს. მაკალათია, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და ალაიანში, გვ. 83.

პოლებში⁸. თიხის ჭურჭელი ფორმით, ფერით და ნაკეთობით ასევე ზემოაღნიშნული სამარხების კულტურულ წრეს განეკუთვნებოდა. შავი ღერგები (ქოცოები), კუნწებში ნისკარტისებური სახეებით, ყელთან წვრილი და ტეხილი ხაზებით იყო შემკული. ასეთი სახეებით იყო დაფანჯრული ამ პერიოდის კავკასიის ძეგლებში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღი, სამკაული და კერამიკა⁹. ასევე აღსანიშნავია რიტუალური დანიშნულების ცალყურა, ძირზე სარკმლიანი ურნები, პრიალა ზედაპირით და ორნამენტირებული ყელით, რომელთა მსგავსი მრავლად იყო აღმოჩენილი ევროპასა და კავკასიაში¹⁰. გრეხილი ხორკლიანფურიანი და ორნამენტით შემკული ქოთნების, ანალოგიები იძებნებოდა სამთავროს მასალებში. ფლავისმანის სამაროვანი მიეკუთვნებოდა ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას¹¹. ე. ი. ძვ. წ. XIII-IX სს-ში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა მაღალი კულტურის მატარებელი მოსახლეობა.

ტყვიავის ყორღანები

მდებარეობდა გორის რ-ნის სოფ. ტყვიავეში, მდ. ლიახეის მარჯვენა ნაპირზე. 1938 და 1940 წლებში, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დავალებით სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ე. წ. ხარის გორაზე გათხარა სამი ერთმანეთის მსგავსი ყორღანი. ყველა ყორღანს ყრილი ძირითადად რიყის ქვის ჰქონდა. პირველ ყორღანში აღმოჩნდა 42 სამარხი, მეორესა და მესამე ყორღანში თითო სამარხი. ინვენტარი სამარხებში მეტად ღარიბული, ან კი სულ არ იყო.

ყორღანი 1

ძეგლის დახასიათება: ყორღანის დმ. 21 მ. ქვაყრილის ცენტრალური ნაწილის სიმაღლე 1,10 მ. ქვაყრილის სხვადასხვა დონეზე დაფიქსირდა 42 ორმოიანი სამარხი. სამარხების ზომები განსხვავებული იყო.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ სხვადასხვა წესით: გულაღმა, ფეხებშემოკეცილი, გამოტილი, მოკრუნჩხული, ზოგი მარცხენა ზოგი კი მარჯვენა გვერდზე. ზოგ სამარხში მხოლოდ თავის ქალები აღმოჩნდა.

⁸ ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, ჟურ. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. V, 1928, 1930, გვ. 229.

⁹ ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, გვ. 231.

¹⁰ იქვე, გვ. 233.

¹¹ იქვე, გვ. 237.

ინვენტარი: შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, სქელკედლიანი, უორნამენტო ორყურა ჯამები, ორმაგი ხვეული ბოლოგახსნილი სასაფეთქლე ხეიბი, ჯვარედინი ხაზებით შემკული მავთულის რგოლისებრი ბეჭდები, ობსიდიანის და კაჟის საჭრისები, საფხეკები, დანისპირი, კაჟის ყუნწიანი ისრისპირი, ბრინჯაოს ბეჭედი, ობსიდიანის და ხელსაფქვაკის ნატეხები, დაშლილი ხის ფრაგმენტები.

დათარიღება: ადრე ბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. 2500 წ.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ცხვრის ძვლები.

შენიშვნა: სამარხების უმეტესობა უინვენტარო იყო. №5 სამარხში აღმოჩნდა არაბული ვერცხლის ფული, ომაიადების დინასტიის.

ყორღანი 2

ძეგლის დახასიათება: ყორღანის დმ. 18 მ. ქვაყრილის ცენტრალური ნაწილის სიმაღლე 0,60 მ. ორმოიანი.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური.

ინვენტარი: სწორკუთხა სპილენძის ნახვრეტაანი სადგისი, ოთხწახნაგა ისრისპირი, უყუნწო, მოგრძო, ქვევით თანდათან შევიწროვებული სატევრისპირი, სპილენძის ბრტყელი დანის პირი, თიხის ჩაფი, შავი ფერის თიხის ჭურჭელი. ქვაყრილში: ზემოავჭალის ტიპის თიხის სწორკუთხა გახვრეტელი ბრინჯაოს სადგისი და მსხლის ფორმის დიაბაზის ქვის ლახტის-თავი, ობსიდიანის ნატეხები.

დათარიღება: ადრე ბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. 2500 წ.

ანთროპოლოგიური მონაცემები: მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტები: ბარძაყის და მენჯის ძვლები, კბილები.

ყორღანი 3

ძეგლის დახასიათება: ყორღანის დმ. 12 მ. ქვაყრილის ცენტრალური ნაწილის სიმაღლე 0,40 მ. ეს ყორღანი II ყორღანთან ერთიანი ქვაყრილით იყო გაერთიანებული. ქვაყრილის სიგრძე 3მ, სიგანე 10 მ. სამარხი გამოვლინდა 0,70 მ სიღრმეზე.

დაკრძალვის წესი: ინჰუმაციური. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ერთი მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით O-ით, მეორე მიცვალებულის თავის ქალა ესვენა მარჯვენა გვერდზე, შ-ით მიქცეული.

ინვენტარი: ყურიანი თიხის ჭურჭელი, შავი ფერის ბაღია, სპილენძის სამი სასაფეთქლე ხეია, ობსიდიანის ნატეხები.

დათარიღება: ადრე ბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. 2500 წ.

ტყევაკის სამივე ყორღანი ფორმით და კონსტრუქციით მსგავსი იყო, საშუალო ზომის, წრიული, ოვალური მოყვანილობის. პირველი ყორღანში

სამარხები სხვადასხვა დონეზე მდებარეობდნენ. №1 და №35 სამარხი გამოვლინდა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში დანარჩენები კი ნაპირებზე. პირველი ყორღანი გაითხარა ფენების მოხსნით. ამ ყორღანების სამარხეულ ინვენტარში იყო როგორც ტიპური ენეოლითური ფორმები ასევე ნივთები, რომლებიც ბრინჯაოს ადრეულ საფეხურს მიეკუთვნებოდა. თიხის ჭურჭელი ღარიბი, უფრო მეტად დამსხვრეული, ხელით ნაკეთები, ნახევრად გამომწვარი, სქელკედლიანი, გარედან შავი ფერის, შიგნიდან კი მოწითალო, სადა, უორნამენტო. ეს ჭურჭელი ფორმით და დამზადების ტექნიკით მსგავსი იყო ბემთაშენში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის ჭურჭლისა.¹² ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია სწორკუთხა სადგისი, რომელიც მსგავსი იყო ზემო ავჭალის ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი სადგისის. დანისპირები უახლოვდებოდა საჩხერის და თრიალეთის უძველეს ყორღანებში აღმოჩენილ დანისპირებს. მეორე ყორღანში აღმოჩენილი ნახვრეტიანი ქვის ლახტისთავი ანალოგიას წალკის ერთ-ერთ უძველეს ყორღანში აღმოჩენილი ჰემატიტის ლახტისთავთან პოულობდა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით თარიღდებოდა¹³. ზოგადად ლახტისთავი ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა, ასევე ის საბრძოლო იარაღიც იყო. ისინი სირიში, პალესტინაში, საერთოდ მცირე აზიაში საკმაოდ ადრეულ ფენებში იყო გამოვლენილი. ამიერკავკასიაში ცნობილი იყო სტეპანაკერტის ყორღანებში და ყიზილ-ვანქის სამაროვნის შედარებით მოგვიანო კომპლექსებში. საქართველოში ეს იარაღი ბრინჯაოს ხანაში და განსაკუთრებით მის შუა საფეხურზე ფართოდ იყო გავრცელებული. ტყეიავის ყორღანების ინვენტარის სიმცირე და დასაფლავების წესი მათ უძველეს ყორღანთა ჯგუფს მიაკუთვნებდა, რომლებსაც ახასიათებდათ დიდი ქვაყრილი, ღრმა ორმო, კაჟის, ბრინჯაოს და ობსიდიანის იარაღის მცირე რაოდენობა, ღარიბი სამკაული და თიხის ჭურჭელი, იშვიათად მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთები. ისინი ადრებრინჯაოს ხანით — ძვ. წ. III ათასწლეულის შუა პერიოდით, ძვ. წ. 2500 წ. დათარიღდა¹⁴. ეს ყორღანები ნათელ წარმოდგენას ქმნიან იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე, როცა მოსახლეობა ეწეოდა მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას, ხელით აკეთებდნენ თიხის ჭურჭელს, რომლის გამოწვა ხდებოდა ორმოში

¹² ს. მაკალათია, ტყეიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943, გვ. 47; Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 1941, с. 116, рис. 124.

¹³ იქვე ს. 101, таб. №XV.

¹⁴ ს. მაკალათია, ტყეიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943, გვ. 50.

დაბალ ტემპერატურაზე, ამზადებდნენ ლითონის იარაღს და სამკაულს. ამასთან ეს ყორღანები საგვარეულო ტიპისანი იყვნენ და მათში ერთი გვარის წარმომადგენლები იმარხებოდნენ.

ღვანის სამაროვანი

მდებარეობდა ქარელის რ-ის სოფ. ღვანთან, მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდზე, ადგილი „სოლო-ფერდა“. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის იარაღი და სამკაული, თიხის ჭურჭლის ნატეხები. გამოვლენილი ნივთები ს. ნადიმაშვილის მიერ ჩაბარდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. 1944-1945 წლებში ღვანის სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ს. მაკლათიას ხელმძღვანელობით. გაითხარა 14 ორმოსამარხი. სამარხთა ნაწილს რიყის ქვის წრეები ჰქონდა შემოწვობილი, ზოგს იატაკიც რიყის ქვით ჰქონდა მოკირწლული.

სამარხი 1

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე მიწის ზედაპირიდან 0,90 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით შ-ჭ-ით.

ინვენტარი: ვერცხლის და რკინის სამაჯურები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ქინძისთავები, ოთხი შავი ფერის თიხის ჭურჭელი.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 2

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,10 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით შ-ჭ-ით.

ინვენტარი: შავი ფერის თიხის ჭურჭელი, რკინის ცული, სატეკარი, ბრინჯაოს სამკუთხა ისრისპირები

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 3

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,10 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, თავით S-W-ით.

ინვენტარი: ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი, ქინძისთავის ფრაგმენტი, სარდიონის და მინის მძივები

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 4

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,20 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, თავით N-O-ით.

ინვენტარი: შავი ფერის თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატყერის წვერი.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

შენიშვნა: სამარხთან ახლოს აღმოჩნდა კაჟის ფირფიტა, ობსიდიანის ნატეხები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხის N-ით 1 მ სიღრმეზე რიყის ქვების ყრილში აღმოჩნდა ცხვრის ძვლები და ობსიდიანის ნატეხები. ქვების ქვეშ გამოვლინდა ადრეული ხანის სამარხი.

სამარხი 5

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,30 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, თავით N-O-ით.

ინვენტარი: შავი ფერის თიხის ჯამი და სურა. რკინის ისრისპირები, მოღუნული დანები სახელურზე ძელის გარსაკრავით, ბრინჯაოს ფიბულა, სალეხი ქვა.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 6

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,15 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით S-W-ით.

ინვენტარი: შავი ფერის თიხის დიდი ჯამი, ბრინჯაოს დიდი ნემსი, სარდიონის და თეთრი პასტის მძივები.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 7

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,25 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, თავით N-ჭ-ით.

ინვენტარი: წითელი ფერის სახელურიანი თიხის ხელადა, შავი ფერის ჭურჭელი, პატარა ქოთანის და ჯამი, რკინის დანა, ბრინჯაოს ქინძისთავი, სარდიონის, გიშრის და ქარვის მძივები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, თიხის ჭურჭლის და ობსიდიანის ნატეხები.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ცხვრის ძვლები

შენიშვნა: სამარხის ახლოს აღმოჩნდა რკინის შუბისპირი

სამარხი 8

ძეგლის დახასიათება: ბავშვის სამარხი. სიღრმე 0,60 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა დიდ ქვაზე, თავით O-ით.

ინვენტარი: თიხის ჭურჭლის და ობსიდიანის ნატეხები, სარდიონის და ცისფერი პასტის მძივები.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 9

ძეგლის დახასიათება: ბავშვის სამარხი. სიღრმე 0,80 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით S-O-ით.

ინვენტარი: თიხის ჭურჭელი, შავი გრძელყურიანი სურა, ობსიდიანის და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ.წ. VII-VI სს.

სამარხი 10

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 0,5 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით N-O-ით.

ინვენტარი: წითელი ფერის თიხის ორი ქოთანო

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

შენიშვნა: მიცვალებულს გარშემო შემოწყობილი ჰქონდა ქვები.

სამარხი 11

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,20 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით შ-O-ით.

ინვენტარი: რკინის ცული, სატეკარი, პატარა დანა, ბრინჯაოს ორი ისრისპირი, თიხის ბაღია, ქოთნები, ორნამენტირებული სახელურიანი სურა, სალესი ქვა, სარდიონის და ქარვის მძივები.

დათარიღება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ცხენის ძვლები.

სამარხი 12

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,30 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით S-O-ით.

ინვენტარი: თიხის ქოთნები, დოქები, დერგი, სახელურიანი ხელადა, დიდი ჯამი, სასმისი, ძვლის კვირისტაყები, ბრინჯაოს მახათი და ნემსი,

ქინძისთავი, ბეჭედი, სარდონის და ცისფერი პასტის მძეგები, ძეგლის და ნაცრისფერი ქვის საღვებლები, დანის ფორმის ობსიდიანის ფირფიტა.

დათარილება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

ოსტეოლოგიური მონაცემები: სხვადასხვა ცხოველის ძეგლები.

შენიშვნა: სამარხი შემოსახვრული იყო რიყის ქვებით სადაც ობსიდიანის და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

სამარხი 13

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 0,20 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით S-O-ით.

ინვენტარი: თიხის ქოთანის, ბრინჯაოს შუბისპირი.

დათარილება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

სამარხი 14

ძეგლის დახასიათება: სამარხის სიღრმე 1,30 მ.

დაკრძალვის წესი: ინდივიდუალური. ინჰუმაციური. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნხულ პოზაში, თავით შ-ჭ-ით.

ინვენტარი: თიხის ქოთანის, ბრინჯაოს და რკინის ქინძისთავები, სარდონის და ცისფერი პასტის მძეგები.

დათარილება: ადრე რკინის ხანა, ძვ. წ. VII-VI სს.

შენიშვნა: №14 და №13 სამარხები ერთი რიყის ქვის ყრილში იყო მოთავსებული ერთმანეთთან ზურგშექცევით. სამაროვანთან აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის ცხვრის ქანდაკება.

ღვანის სამარხებში აღმოჩენილი რკინის, ბრინჯაოს და კაჟის ნივთები ანალოგიური იყო ჩრდილო კავკასიის და საქართველოს რიგ ძეგლებში აღმოჩენილი მასალებისა (სამთავრო, ბეშთაშენი, ყობანი, წიწამური და სხვა)¹⁵. თიხის ჭურჭელი თხელკედლიანი, შავპრიალა ზედაპირით, ორნამენტირებული. მათი უმეტესობა პარალელებს პოულობდა ამიერკავკასიის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის სამაროვნების მასალებთან¹⁶. სამკაულიდან ბევრი ნივთი ვერცხლის იყო და მსგავსი იყო ბეშთაშენის ძვ. წ. VII-

¹⁵ Ивановский А., По Закавказию, Материалы по археологии Кавказа, т. VI. М., 1911, с. 120; Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 42-46, 47, 50, 69, таб. XVI, XLIV, XLV; С., Макалатия, Раскопки Дванского могильника, Советская Археология, XI, М., 1949, с. 225-240.

¹⁶ Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 42-46, 47, 50, 69, таб. XLVIII. ს. მაკალათია, ტყვაივის ფორდანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943, გვ. 232, სურ. 14.



VI სს-ის მასალებისა¹⁷. საინტერესო ფაქტს წარმოადგენდა ცხენთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ იმ პერიოდში ცხენი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და მესაქონლეობა და კერძოდ მეცხენეობა მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. სამარხებში აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის ობსიდიანის იარაღებს უფრო სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რადგან ამ პერიოდში უკვე ლითონის იარაღის და სამკაულის დამზადება და გამოყენება ხდებოდა. განსხვავებული სამარხეული ინვენტარი ხაზს უსვამდა ქონებრივ დიფერენციაციას და ნათელ წარმოდგენას იძლეოდა იმდროინდელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე. დარიბ სამარხებში მიცვალებულები მცირე ინვენტარით იყვნენ დაკრძალული, ხოლო მდიდარი სამარხები ვერცხლის სამკაულით, რკინის და ბრინჯაოს იარაღით და ბევრი სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლით გამოირჩეოდა. საბავშვო სამახებში პატარა ჭურჭელს ატანდნენ, ხოლო მხედრებს ცხენით მარხავდნენ. მაღალი ტექნიკით დამზადებული თიხის ჭურჭელი მეტყველებდა განვითარებულ მეთუნეობაზე. ზოგი სამკაული მხატვრულად იყო გაფორმებული. აღსანიშნავია ქამრის ცალპირა ბალთაზე ამოკვეთილი ჯვარედინი სახეები და მჯდომარე პირდაღრენილი ცხოველები (მონადირე ძაღვები), ასევე ჩქიფი ირმის გამოსახულებით¹⁸. ნაპოვნი იყო ვალებების ფრაგმენტები, რომლებსაც ლითონის იარაღების დასამზადებლად იყენებდნენ, ასევე ნაპოვნი იყო თიხის კოვხები, რომლებითაც ხდებოდა გამდნარი ლითონის გადმოსხმა¹⁹. სამეურნეო იარაღები და შინაური ცხოველის ძეგლები მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და მონადირეობის განვითარებაზე მეტყველებდა. დიდი რაოდენობით დამზადებული საბრძოლო იარაღი კი მეტყველებდა, რომ წინა პლანზე იყო საბძოლო საქმე. ამ იარაღის გამოყენება ასევე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მესაქონლეობასთან, ანუ საქონლის ჯოგს შეიარაღებული დაცვა ჭირდებოდა. სამარხებში აღმოჩენილი ქარვის, ეგვიპტური პასტის და მინის მძივები, სკვითური ტიპის ისრისპირები, სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებდა. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, მოკრუნჩხულ პოხაში დაკრძალვა ფართოდ იყო გავცელებული კავკასიასა

¹⁷ С. Макалатия, Раскопки Дванского могильника, Советская Археология, XI, М., 1949, с. 235.

¹⁸ С. Макалатия, Погребение эпохи поздней бронзы из сел. Двани, Краткое сообщение Института Истории Материальной культуры, вып. 69, М., 1957, с. 139-142; ს., მაკალათია ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 9.

¹⁹ ს. მაკალათია, ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 10.

და საქართველოში და ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლომდე იყო შენარჩუნებული. დვანის სამარხების შესწავლის, დასაფლავების რიტუალის გარკვევის და სამარხული ინვენტარის შედარებითი ანალიზის საშუალებით ეს სამაროვანი აღრეულ რკინის ეპოქას განეკუთვნა, ანუ ძვ. წ. VI-VI სს²⁰. ე. ი. ამ პერიოდში მდ. ფრონეს ხეობაში ცხოვრობდა სამაოდ მაღალი მატერიალური კულტურის მატარებელი მოსახლეობა, რთული დაკრძალვის რიტუალით.



²⁰ ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები თბ., 1948, გვ. 42.



ფლავისმანის სამაროვანი



ფლავისმანის სამაროვანი



საკობიანი

Tina Abulashvili

Archaeological Works of Sergi Makalatia

Sergi Makalatia, a distinguished archaeologist and ethnographer specializing in the study of material culture in Georgia, entered the scholarly realm during the 1920s. His extensive work involved excavating and analyzing tombs in locations such as Dvani, Tkviavi, and Flavismani. He also conducted archaeological observations and explored tombs in Dablagom, Aghayan, and Sakobiano. Additionally, Makalatia actively participated in archaeological excavations at the “Naokhwamu hill” in the Reka village, Senaki district, and delved into the study of a remarkable hoard of Roman coins, numbering around 450 coins, fortuitously discovered in the village of Sefieti, Abashi district. He played a pivotal role in establishing the historical-ethnographic museum in Gori. This article aims to revisit the significant contributions made by Sergi Makalatia to the advancement and research of Georgian archaeology.

სერგი მაკალათია — საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური მხარეების მკვლევარი

სერგი მაკალათიამ თავისი ამაგდარი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მრავალი რეგიონის და ცალკეული ხეობების წარსულისა და აწმყოს შესწავლაში. მნიშვნელოვანია მის მიერ შეკრებილი, გამოვლენილი და შესწავლილი, სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები ქართველების ტრადიციული ყოფის, სულიერი კულტურის, ეკონომიკური მდგომარეობის, შრომა-საქმიანობების და სხვა მასალები. ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი მატერიალური კულტურის ძეგლებს, საცხოვრებლებს, სამეურნეო ნაგებობებს შეისწავლიდა. ამასთან ერთად, არსებულ თავდაცვით ნაგებობებს — ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს, ტაძრებს აღწერდა. ყურადღების გარეშე არ დარჩენია არც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკის საკითხები. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მუზეუმის „მოამბეში“ არქეოლოგიური გათხრების მასალებისადმი მიძღვნილი მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა. მაგრამ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მკვლევარი გათხრების შედეგად აღმოჩენილ ნივთებს ქართული ეთნოლოგიური კულტურის მოვლენებით ხსნიდა.

სერგი მაკალათიამ მდიდარი შემოქმედებითი მეცნიერება დაგვიტოვა, რომელიც დღესდღეობით უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ყველა მის მიერ გამოცემული ნაშრომი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში და საბჭოთა წყობილების დასაწყისში არის შექმნილი, დღეს ჩვენს თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი ეთნოგრაფიული მასალების შესწავლასა და გააზრებაში გვეხმარება.

სერგი მაკალათია 1893 წელს დაიბადა სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთში. მან ჯერ თბილისის სემინარია (1916 წ.), ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაამთავრა (1921 წ.). სწავლის დამთავრებისთანავე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად დაიწყო მუშაობა (მუშაობდა 1935 წლამდე). სწორედ 1921 წლიდან დაიწყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ეთნოლოგიის და მხარეთმცოდნის პროფესიით. ამ დროიდან

მისთვის აქტიურ საკითხად იქცა საქართველოს სხვადასხვა მხარეების შესწავლის საქმე. აი, რას წერდა იგი ამის შესახებ: „მართალია, თანადროულობა შეიჭრა და თანდათანობით მთიელების კოშკებს, ღუროიან სახლებს, რწმენას და ადათ-ჩვეულებებს ანადგურებს, მაგრამ, სანამ ეს ჯერ კიდევ სრულად არ გამქრალა, საჭიროა მათი ნამსხვრევების შეკრება და შეკოწიწება, რომ ისინი მომავალ თაობას სამუდამოდ არ დაეკარგოს“¹.

საქართველოში მხარეების შესწავლის საკითხს აქტიურად XIX საუკუნის დასასრულს ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამ დროიდან დაიწვეს სამშობლოს გულშემატკივრებმა — თეოდორე სანთაქიაძემ, რაფიელ ერისთავმა, იოსებ ქობალიამ და სხვებმა, მოღვაწეობა. მათი მიზანი იყო სხვადასხვა ენაზე ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის წერილებისა და ნარკვევების გამოქვეყნებით ქართული კულტურისთვის პოპულარიზაცია გაეწიათ.

თვით, როგორც მხარეთმცოდნემ, სერგი მაკალათიამ, ეთნოგრაფიული საველე მასალების შეკრება-დამუშავება 1921 წელს დაიწყო. მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობიდან² ერთ-ერთი პირველი ნაშრომი „მთის რაჭა“³ იყო.

ყველა ნარკვევი უშუალო დაკვირვების შედეგად არის შექმნილი. სწორედ ასეთი ფხიზელი თვალ-ყურის მქონე მეცნიერს შეეძლო სოციალურ ყოფაში ძველის გვერდით ახალი წესის შემოჭრის შემჩნევა და აღნიშვნა.

ყველა ნარკვევი, რომლებიც მხარეებსა თუ ხეობებზეა შექმნილი, ტერიტორიის ისტორიის კვლევით იწვეება. შემდეგ ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობას და ადგილობრივ სიმდიდრეებს აღწერს. გზებსა და გადასასვლელებზე, დასახლებულ პუნქტებზე, მოსახლეობის რაოდენობასა და სოფლებში გავრცელებულ გვარებზე იძლევა წარმოდგენას. ამის შემდგომ ყოველი მხარისა თუ კუთხის ეკონომიკურ მდგომარეობაზე საკმაოდ დაწვრილებით საუბრობს. მაღალმთიან რეგიონებსა და ბარის ხეობების ეთნოგრაფიულ მასალებში — დასახლების ფორმებში, მატერიალურ ნაგებობებში, საკუთრების ფორმებსა და სხვა საკითხებში თავისებურებებს აფიქსირებს.

ამჟამად ს. მაკალათიას მთლიანი შემოქმედების განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ, მაღალმთიან რეგიონებთან დაკავშირებით სა-

¹ ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, 5.

² სერგი მაკალათიას ნარკვევები შექმნილია თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, ხევზე, მთიულეთზე, მესხეთ-ჯავახეთზე, სამეგრელოზე. სხვადასხვა ხეობებზე - ლეხურას, ბორჯომის, ატენის, ფრონის, ქსნის, ლიახვისა და სხვ.

³ ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930.

კუთრების ფორმების მხოლოდ ერთ საკითხს გამოყოფთ და შემდეგ მკვლევარის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომზე, რომელიც სამეგრელოს შეეხება, შეეხერხებით.

სოციალური ყოფიდან გამომდინარე, თუშეთისა და ხევსურეთის საკუთრების ფორმებში ძველთაგან, როგორც მსგავსება, ისე მცირე სხვაობაც დგინდება. მკვლევარი თუშეთში ეკონომიკის მთავარ ბაზად მეცხვარეობას მიიჩნევდა, მიწათმოქმედებასთან ერთად. მათი მიწები ოთხი თემის — გომეწრის, ჩაღმის, პირიქითის და წოვათის მთებს შორის ყოფილა დაყოფილი. თუშეთი მეცხვარეობის საუკეთესო რეგიონად ითვლებოდა, რომელიც თუშებს ბევრ მატყლსა და ყველს აძლევდა. აქედან თუშებს კარგი მოგებაც ჰქონდათ. რაც შეეხება ხევსურეთს, მკვლევარი ეკონომიკურად ჩამორჩენილს უწოდებდა. მართალია, ხევსურეთის ეკონომიკის მთავარ ბაზად მსხვილფეხა საქონელს და მიწათმოქმედებას ასახელებს, მაგრამ ეს ორივე დარგი ბუნებრივი არახელსაყრელი პირობების (კლდეებიანი და მყინვარებიანი ცივი მხარის) გამო მიღებული სარჩო იქ მცხოვრებ მცირერიცხოვან მოსახლეობასაც არ ყოფნიდა.

ორივე რეგიონში მკვლევრის დაკვირვებით წარსულში მოსახლეობა სათემო საკუთრების ფორმას არ გასცილებია.

თითოეული თემი განსაზღვრულ მიწის ნაწილს ფლობდა, რომელსაც თემში შემავალი გვარები და მეკომურები თავისი სისხლით იცავდნენ. სათემო მიწა საზოგადო საკუთრებას წარმოადგენდა, ამიტომ საერთო შრომით ამუშავებდნენ, ხოლო მოწვეულ სარჩოსაც თანაბრად ინაწილებდნენ. მიწების განაწილება კომლთა შორის კენჭისყრის წესით წარმოებდა. თუშეთში⁴ სათემო მიწების განაწილება სათემო ყრილობის გადაწყვეტილებით ყოველ 10 ან 20 წელიწადში ერთხელ, ხოლო ხევსურეთში⁵ კი, 18 წელიწადში ერთხელ ხდებოდა.

საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ თუშეთში მიწის საკუთრების ეს ფორმა მოიშალა. თუშების მიერ მიწების კერძო საკუთრებაში ძლიერი ოჯახების მიერ საგვარეულო მიწების შესყიდვა მოხდა, ნაწილმა კი მიტაცებით დაითავისა. სოფლებში ბევრი ოჯახი საერთოდ უძიწოდ დარჩა. ამიტომ, მათ, ვისაც არასაკმარისი მიწა შეხვდა, კომისია აირჩიეს და ძველი წესის აღდგენა მოითხოვეს. არჩეულმა კომისიამ თუშეთში რეფორმების გატარება ვერ შეძლო. შეძლებული ოჯახების მიერ გაწეულმა

⁴ ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, 50.

⁵ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 50.

წინააღმდეგობამ მხოლოდ სოფელ ჯვარბოსელსა და ომალოს მისცა საშუალება რეფორმების გატარებისა, ისიც ნაწილობრივ.

ხევსურეთში კი მოსახლეობის ზრდასთან ერთად მიწაზე არსებული საკუთრების ფორმები მათ მოთხოვნილებას საერთოდ ვერ აკმაყოფილებდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში მოსახლეობის გარკვეულმა შექმდებულმა ნაწილმა კერძო, ინდივიდუალური სისტემა, კარისპირისა და საყანე მიწების გარდა, ტყესა და სათიბზეც ჩამოაყალიბა, რამაც გარკვეული, დიდი ნაწილის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილო მოსახლეობა დასაწყისისთვის ხატ-სალოცავების შიშით ბრძოლას ვერ ბედავდა. თუმცა, გაჭირვებამ წინააღმდეგობის გაწევა აიძულა. სათემო საზოგადოების ყრილობაზე განაჩენი დადგინდა, რომლის თანახმად სოფლის მეკომურთა რაოდენობამ საკუთრების ფორმის თანაბარი წილი მიიღო. რაც შეეხებოდა საძოვარსა და ტყეს, ყველა სოფელში საერთო სარგებლობის უფლება იქნა მოპოვებული. ამორჩეულმა პიროვნებებმა ყრილობის წინაშე ფიცის დადების შემდეგ სახნავი მიწები ისევ სამ ნაწილად დაყვეს — კარის პირად, ბარის მიწად და მთისა. ამ მიწებიდან ასევე ყველამ თანაბარი წილი მიიღო.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ეს მოძრაობაც დამარცხდა, რადგან გადასახადებით დაინტერესებულმა მეფის მთავრობამ მიწათმფლობელობის საკუთრების ფორმების საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ასე რომ, ხევსურეთშიც კერძო საკუთრება დამყარდა.

ოქტომბრის რევოლუციამ კი მიწათმფლობელობის კერძო საკუთრების ფორმები ორივე რეგიონში გააუქმა და 1931 წელს „კოლექტივიზაცია“ დაამკვიდრა.

გარდა საკუთრების ფორმებისა, ს. მაკალათიას დაკვირვებულ და ფხიზელ გონებას თუშებისა და ხევსურების არაქართველ მეზობლებთან ურთიერთობის საკითხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ამ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თუშებთან ლეკებს, ასევე ხევსურებს, ლეკებთან და ქისტ-ჩაჩნებთან ადრეულ ხანაში კეთილმეზობლური, მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. მაგრამ ეს ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეებში მტრობაში გადაიზარდა. მეზობელი ხალხები, უფრო ხშირად ლეკები, ქართველ მთიელებს თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ და მათ საცხოვრებლებსაც ანადგურებდნენ. ამ თავდასხმების შემდგომ, თავისთავად ცხადია, მტრული და აგრესიული დამოკიდებულება ქართველებსაც უჩნდებოდათ. აქედან გამომდინარე, „მიხტომა, საქონლის

მოტაცება, ქურდობა“⁶ უკვე ორმხრივი ხდებოდა. თუმცა, ამ საუკუნეების მანძილზეც დროგამოშვებით მეზობლებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობაც მყარდებოდა.

ს. მაკალათიას ყველა ნაშრომი, რაც მთისა და ბარის რეგიონებზეა შექმნილი, ჩვენი თვალსაზრისით წყაროს წარმოადგენს, რადგანაც იგი საქართველოს წარსულს, მის სოციალურ და კულტურულ მოვლენებს საფუძვლიანად შეისწავლის. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ფუნდამენტური და გამორჩეული ადგილი „სამეგრელოს ისტორიასა და ეთნოგრაფიას“ უკავია. როგორც თვით აღნიშნავს, ეს მნიშვნელოვანი კულტურის მხარე თავისი ციხე-სიმაგრეებით, ქრისტიანული ძეგლებით, მდიდარი ეთნოლოგიური ყოფითი მასალებით, მკვიდრი ქართველი (მეგრელი) ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფიერებით საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა. ნაშრომი ლინგვისტური თვალსაზრისითაც იწვევს ინტერესს, რადგან ყველა საკითხთან, წეს-ჩვეულებებთან, მატერიალურ ნაგებობებთან დაკავშირებით მეგრული ძველი ტერმინებია გამოყენებული, რომელთაგან დღეისთვის ზოგიერთი დაუწვევბასაცაა მიცემული. ვფიქრობთ, სამეგრელოს ეთნოლოგიური საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი ამ ნარკვევს ყურადღების მიღმა ვერ დატოვებს.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ჩანს, აუცილებელი ყოფილა, სამეგრელოს წარსულის განხილვისას მკვლევრებს განმარტება გაეკეთებინათ მეგრულ-ჭანურ ანუ ზანურ ენასთან დაკავშირებით, რომ იგი ქართველურ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდა და რომ მეგრელების საურთიერთო და სამწერლობო ენა ქართული იყო, რაც ზოგიერთი რუსი მეცნიერ-პოლიტიკოსისთვის, რატომღაც მიუღებელი ყოფილა. ისინი მეგრულ-ჭანურს ცალკე ენად გამოყოფდნენ და რაიმე კავშირს ქართულთან უარყოფდნენ.

სამეგრელოს სოფლებში საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეკრების დროს სერგი მაკალათიას მიერ გამოვლენილ იქნა იმპერიალისტური რუსეთის აგენტი ლევიცკი, რომელიც სამეგრელოში ქართველებს (მეგრელებს) უმტკიცებდა, რომ ისინი არა ქართველები, არამედ, სწორედ მეგრელები არიან და მათ მხოლოდ მეგრულ ენაზე უნდა ისაუბრონ. ლევიცკი და მისი ჯგუფი მეგრელთა გარუსების მიზნით, რუსული, ე. ი. სლავური გრაფიკის გამოყენებით ცდილობდნენ მათთვის საკუთარი დამწერლობა შეექმნათ. თუმცა მათმა მცდელობამ არ გაამართლა. მათ მხოლოდ რამდენიმე პიროვ-

⁶ ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, 87.

ნება ჩაითრიეს ამ ფარსში. საბჭოთა წყობილების დასაწყისშიც რუსული პოლიტიკა არ შეცვლილა. ამიტომ ს. მაკალათია გულისტკივილით ჩიოდა, რომ თვითმპყრობელური რუსეთი სამეგრელოში რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა. იმდროინდელ რუსულ ლიტერატურაში საქართველოს ისტორიული წარსული გაყალბებული იყო იმ მიზნით, რომ მეგრელების არაქართველობა დაემტკიცებინათ. მათი სურვილი „ჩამორჩენილი“ მეგრელების გაკულტუროსნება ყოფილა... მხოლოდ მათი გარუსებით.⁷ იმ დროისათვის სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის დამკვიდრებისათვის ცნობილი ქართველი ისტორიკოსები თ. ჟორდანია და სხვები იბრძოდნენ.

სამეგრელოზე ნაშრომი ძველი კოლხეთის ისტორიის მიმოხილვით იწყება, რადგან მას მიაჩნდა, რომ დღევანდელი სამეგრელო მთლიანად ისტორიულ კოლხეთს, ლაზიკას, ეგრისს, ოდიშს მოიცავდა. მისი აზრით, აუცილებელი იყო, რომ ამ კუთხის მოკვლევა სწორედ ისტორიით დაეწყო, რადგან იმ დროისათვის ჯერ კიდევ არქეოლოგიურად და ისტორიულად საკადრისად არ იყო თარგმნილი და შესწავლილი წყაროები.

დღეისათვის ძველი კოლხეთის ისტორია და არქეოლოგია საკმაოდ კვალიფიციური მეცნიერების (ო. ჯაფარიძის, თ. მიქელაძის, ე. გოგაძის, ო. ლორთქიფანიძის და სხვ.) და ასევე ცნობილი ისტორიკოსების (ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ნ. ლომოურის, მ. იმნაძის, ე. ხოშტარიას და სხვ.) მიერ საკმაოდ ჯეროვნად და სათანადოდ არის გაშუქებული. კოლხეთის ისტორია-არქეოლოგიაში ბევრი რამ ახალი გამოჩნდა, ძველი დაზუსტდა, ზოგიც შეიცვალა, მაგრამ ს. მაკალათიას ნაშრომს არც ღირსება მოკლებია და არც ყურადღება.

ს. მაკალათიას ეთნოგრაფიულ ნაწილში მთელი სისრულით არის აღწერილი აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, ფოთის და აფხაზეთის ორი მეგრული რაიონის — ოჩამჩირისა და სამურზაყანოს მასალები. როდესაც ს. მაკალათიამ ოჩამჩირეში მასალები შეკრიბა, უმეტესობა მეგრელები სახლობდნენ. მისი გადმოცემით, იმ დროისათვის სამეგრელოს ყველა რაიონში ერთად, მეგრელთა (ქართველთა) საერთო რიცხვი 450 000 სული ყოფილა. საველე ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, იგი იმ დროისათვის არსებული ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ მეცნიერული ღირებულების ამსახველი მასალებითაც ცდილობდა ნაშრომის გამდიდრებას.

პირველი თავი სოფლის მეურნეობას ეხება. სამეგრელოში, როგორც

⁷ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, 4.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქვეყანაში, დროთა ვითარებაში, მისი სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა დარგები, საწარმოო იარაღები და შრომითი საქმიანობა იცვლებოდა.

ძველთაგან აქ ღომის-ღომი (ქართ. „ჩხვერი“) და ფეტვი (მეგრ. „ჭკი-დი“) ითესებოდა, რომელიც მოსახლეობას პურეულს უცვლიდა. მოგვიანებით, XVII საუკუნეში ამერიკიდან საქართველოში სიმინდი შემოვიდა, რომელმაც ძველი მარცვლეული შეცვალა. სერგი მაკალათია ამ მარცვლეულის თესვის, დამუშავების, მოყვანის, სიმინდის ტარობის გარჩევის, დაბინავების ყველა წესს აღწერს, ყველა შესაბამისი მეგრული ტერმინების დასახელებით. ასევე ყველა სამუშაო იარაღისა და სამეურნეო ნაგებობების ტერმინს აღწერილობასთან ერთად გვაწვდის.

სამეგრელოში სიმინდს სარეველებისაგან ზოგჯერ ორ-სამჯერ თოხნით ასუფთავებდნენ. ამ შემთხვევაში უბნის შრომისუნარიანი მოსახლეობა ერთმანეთს ეხმარებოდა. გამოიყენებოდა ურთიერთდახმარების ფორმა „ნადი“. უბანში მოსახლეები ცდილობდნენ, რომ ერთმანეთის ნაღში ყველას მიეღო მონაწილეობა. შრომის დროს ისინი ზუმრობდნენ, სათანადო სიმღერებს მღეროდნენ. სამუშაოს დასრულება უსათუოდ გამასპინძლებით მთავრდებოდა.

ს. მაკალათია, მართალია, მასალის შესწავლისა და მისი აღწერის დროს დღეისათვის მიღებულ ტერმინოლოგიას არ გამოიყენებდა, მაგრამ იგი ცდილობდა ყურადღების მიღმა არაფერი დარჩენოდა.

მემინდვრობის გარდა, სამეგრელოში მეურნეობის წამყვან დარგად სუბტროპიკულ რაიონებში ციტრუსის მოყვანაც ითვლებოდა, რაც უხვ მოსავალს იძლეოდა (მაგალითად, ზუგდიდში). ასევე განვითარებული ყოფილა ძველთაგან მაღლარი ვაზის კულტურა. თითქმის ოც ჯიშზე მეტი ყოფილა გავრცელებული. თუმცა, შემდგომ დროში მრავალი ჯიშში ფილოქსერის გამო საერთოდ გადაშენებულა. დასახელებულ ჯიშებს შორის ხარისხითა და გემოთი გამოირჩეოდა ოჯალეში, ჭვიტილური, ჩეჭიფეში, ხარდანი და კაბისონი. ამ საკითხის განმარტებისას იგი ცნობილი მეღვინეების აზრს მოიშველიებდა⁸.

მესაქონლეობა სამეგრელოში უძველეს დარგად ითვლება, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამ დარგს უმეტესად მთიან რეგიონებში მისდევდნენ. გარდა მსხვილფეხა და მეწველი

⁸ Эрстов Р., Сельскохозяйственные письма. Как обновить старые Гурии и Мегрелии, Труды, Кавказского отдела сельского хозяйство. Н-8, 1989 და სხვ.

ძროხებისა, მეჯოგეებს თხა და ცხვარიც ჰყოლიათ. მეცხვარეებს ცხვარი ზაფხულში გურიის მთებში, ხოლო ზამთარში სოხუმის დაბლობში მიჰყავდათ. მეჯოგეებმაც იცოდნენ ურთიერთდანმარება, რასაც მეგრულად „აზარა“ (ქართ. „ოჩხარი“) ეწოდებოდა. აზარას დროს მიპატიჟება დაზარალებულმა იცოდა, რომელსაც ფულითა და საქონლით შეეწეოდნენ. სადილის გამართვა და გამასპინძლება ამ დროსაც აუცილებელი ყოფილა.

ცხვართან დაკავშირებით მეცხვარეები საკუთრების ფორმის ნიშანს — „სერს“ გამოიყენებდა, რასაც ცხოველს ყურზე უკეთებდნენ. მეგრელები საკუთრების ნიშანს ცხენებსაც ადებდნენ („დადი“) ქურდობის წინააღმდეგ. თუმცა, სამეგრელოში საერთოდ ქურდობა საძრახისად ითვლებოდა. ძველად ცხენის ქურდობას მაინც ვაჟკაცობად თვლიდნენ. ამ საკითხით თავის დროზე არქანჯელო ლამბერტი⁹ და შარდენიცი¹⁰ დაინტერესებულან და ამის შესახებ მასალა გამოუქვეყნებიათ.

ძველად სამეგრელოში ქსოვილებს ოჯახებში ამზადებდნენ. ისინი ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების შექმნაში იყვნენ დახელოვნებულნი. ყველა ოჯახში მოიპოვებოდა საქსოვი დაზგა, თავისი მოწყობილობით. ფეიქრობა მთიან ადგილებში დიდხანს შემორჩა. შინ მოქსოვილ აბრეშუმს „დარაიას“ უწოდებდნენ, რომელსაც საბნისპირებად, ფოჩიანი მანდილის შესაკერად იყენებდნენ. ასეთ მანდილს სამეგრელოში ყველა ატარებდა. ბამბის ქსოვილებსაც ქსოვდნენ, რომლისაგანაც პირსახოცებს, საცვლებსა და საფენებსაც კერავდნენ. მთიან სამეგრელოში, მაგალითად ჯვარშსა და ხულონში, ქალები ნაბდებს თელავდნენ. მატყლს სანაბდედ უმეტესად შავად ღებავდნენ. თელვა ლასტზე ან ფიცარზე ხელით ხდებოდა.

მეგრელი მამაკაცები კი, მთავარი საქმიანობის გარდა, ხელოსნობას — მჭედლობას, მეჭურჭლეობას, ყავრისა და კალათების დამზადებასაც მისდევდნენ. ყავრის დამზადებაში დახელოვნებული ყოფილან სოფ. კურზუსა და სალხინოს მცხოვრები მამაკაცები. ისინი ამისთვის ფიჭვისა და ნაძვის ხის მასალას იყენებდნენ. ნაძვი და ფიჭვი მდ. ტეხურისა და ხობისწყლის სათავეებში მოიპოვებოდა. ავტორი, როგორც მოპოვების, დამზადებისა და იარაღების აღწერილობას იძლევა, მასთან ერთად, საჭირო მეგრულ ტერმინოლოგიასაც გვაწვდის.

ამის შემდგომ მკვლევარი სოციალური საკითხების მასალას გვაწვდის დასახლების ფორმებთან დაკავშირებით. როგორც ავტორის მასალებიდან

⁹ ღონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, 67.

¹⁰ Шарден, Ж., Путешествие по Закавказью в 1672-1673 г.

ჩანს, მეგრელების ძირითადი დასახლების ერთეული საკარმიდამო კომპლექსი უნდა ყოფილიყო, რომელიც დასავლეთ საქართველოში თავისებურებით აღინიშნებოდა. ეს თავისებურება თავდაპირველად ჩვენი საველე მასალების მიხედვითაც საცხოვრებლის წინა ეზოს შეეხება, სადაც საცხოვრებლიდან ჭიშკრამდე დატოვებულ, დეკორატიულ ნაწილში — მოვილი, მწვანე მოლზე ზოგჯერ გამართული ჰქონდათ ვაზის ნერგებით ტალავერი. მას საკმაო ფართი ეკავა.

გარდა ამისა, ერთიან საკარმიდამო კომპლექსში სახნავი მიწის ფართობებთან ერთად, საცხოვრებლის უკანა მხარეს შემოღობილ ეზოში, სამეურნეო ნაგებობები „სამუახრე“ (=სამზარეულო), „ბაგი“ ან „ხულა“ (ერთი და იგივე დანიშნულების, სურსათ-სანოვაგის შესანახი) იდგა. იმავე ეზოში, თუმცა, საცხოვრებელთან ახლოს მარანიც ჰქონდათ, სადაც სადვინე ქვევრები, საწნახელი და ღვინის დასაყენებელი საჭირო ხელსაწყოები ეწყო. მარანი, ავტორის გადმოცემით, „ოხვამერი“ იყო, რომელიც ამ მნიშვნელობითაც მოიხმარებოდა¹¹. აქვე იდგა „ქუფე“ (ქართ. ძარი=სალოცავი), რომელიც მაღალ ფეხებზე იყო შემდგარი და მასში სიმინდი ინახებოდა. მის მახლობლად კი ჩალის შესანახი „ოფურჩე“ იდგა. გარდა ამისა, საკარმიდამო ეზოს ტერიტორიაზევე ბაღი — მაღლარი ვენახით, და ბოსტანი იყო გამართული. ამრიგად, სამეურნეო ეზოს საკმაო ფართი ეკავა. აქედან გამომდინარე, დასახლების ფორმა გაფანტული იყო და არა მარტო თითოეული კომლი, არამედ სოფლებიც ერთიმეორისგან კარგა მანძილით ყოფილა დაშორებული.

ს. მაკალათიას მასალით, როგორც მთაში, ისე ბარში, ძველად მოსახლეობა გვარებდად ყოფილა დასახლებული. მართალია, ერთგვაროვანი სოფლები ადარ არსებობს, თუმცა, სოფლის ტოპონიმებში ამის კვალი მაინც შემორჩა, რომელთაც იგი თავის ნაშრომში ჩამოთვლის. ასე მაგალითად, საჯალაღანო, ლესიჭინე, ლეწურწუმე, ლეხაინდრაო, ლეძაძამე, ლესაჯაიე, ლედარსალიე, ლეჯიქე, საჩიწო, სახარბელიო, საშორდიო, საცხვიტა, საგუგუნო, საჯოლიო და ა. შ.

რაც შეეხება მეგრელი მოსახლეობის საცხოვრებლებს, მკვლევარი მათ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, ცვალებადობებს და გეოგრა-

¹¹ ჩვენი საველე მასალებით, საბჭოთა წყობილების დროს, როდესაც მოსახლეობას ეკლესიასთან ურთიერთობა აკრძალული ჰქონდა, მარანს მეგრელები საქორწინო რიტუალის და ჯვრისწერისთვისაც იყენებდნენ, რასაკვირველია იმავე სოფელში მცხოვრებ ეკლესიის მღვდელ-მსახურთა დახმარებით.

ფიულ გარემო პირობებსაც უკავშირებს. აღწერილობას მეგრული ფაცხიდან — „კუნჭულადან“ იწყებს. თუმცა, იქვე წერს, რომ მეგრელებს თურმე მეორენაირი ფაცხა — „ამჰარაც“ ჰქონიათ. ამ საკითხთან დაკავშირებით მას ვერ დავეთანხმებით, რადგან (აფხ. ამხარა კი არა) „ამჰარა“ აფხაზური სიტყვაა და არმოსმენას აღნიშნავს.

ეს ფაცხა საქორწინო წვეილთათვის იყო განკუთვნილი (კერიის გარეშე) და მისი გამოყენება მაშინ დაიწყო, როდესაც აფხაზების დიდი ოჯახის („ათააცვა ღუ“) რღვევის პროცესს ჩაეყარა საფუძველი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ყოფისა და საკუთრების ფორმის განვითარების გამო¹².

ოჩამჩირის რაიონში ეს საცხოვრებელი მხოლოდ XVII საუკუნეში გავრცელდა, როდესაც დასახლების მიზნით აქ აფხაზები შეიჭრნენ. მეგრელებში ეს ტერმინიც სწორედ ამ დროიდან უნდა გავრცელებულიყო.

კუნჭულას შემდეგ სამეგრელოში საცხოვრებლის უფრო განვითარებულ სახედ „ჯარგვალი“ (ქართ. ხემრგვალი) ითვლება. თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ იგი მრგვალი მორებისაგან შენდებოდა. ს. მაკალათიას ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ იგი კუნჭულა ფაცხისაგან არ განსხვავდებოდა. ამ შენობის მორები ისე მუშავდებოდა, რომ ულურსმნოდ ჯდებოდა ერთმანეთში და ფართის თვალსაზრისით ბევრად უფრო დიდი იყო კუნჭულაზე. სახურავი კი მას უკვე ორფერდა ჰქონდა. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით ჯარგვალი შიდა პერიმეტრიც, მათ შორის, კედლებიც, უფრო კეთილმოწყობილი იყო ყოფა-ცხოვრების პირობებისთვის.

შემდეგი საცხოვრებელი სახეობა, რომელიც ავტორს აქვს აღწერილი, არის „გოღორა“, ანუ „პიტაფიცარა“ სახლი. ეს სახლი უკვე ასევე გაუმჯობესებული ტიპისაა. როგორც ჯარგვალი, ერთ ოთახს წარმოადგენს და მიწურია, თუმცა, უკვე ყაერთაა დახურული.

შემდეგი საცხოვრებლის სახეობა, რომელიც აღწერილია, „საღღარი“-ა. ასე უწოდებდნენ მეგრელები ოდა სახლს. ავტორს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ თავდაპირველად ოდა სახლს მხოლოდ შეძლებული მოსახლეობის ნაწილი თუ იდგამდა. ოდა საკმაოდ განვითარებულ საცხოვრებელს წარმოადგენდა — მას ჰქონდა ჭერი, იატაკი. იგი რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა და მაღალ ბოძებზე იყო შემდგარი.

სამეგრელოში ადამიანის გარდაცვალებას თავისებურად, ხმაძალალი კვილით გამოხატავდნენ. ამასთან დაკავშირებით ს. მაკალათია წერს, რომ

¹² იხ. ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011, 51.

კვილი თავისი პრიმიტიულობით შორეული წარსულის ატავისტურ მოვლენას წარმოადგენდა. იგი დაბალი საფეხურის განვითარების მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი, რომელთაც სხვა სასიგნალო საშუალება არ მოეპოვებოდათ. რადგან მოსახლეობა შორ მანძილზე იყო გაფანტული და მხოლოდ კვილით თუ შეიძლება უბედური შემთხვევის გაგებინება¹³.

გარდაცვალებისთანავე მიცვალებულს ტახტზე დაასვენებდნენ და იმავე დღეს „მაგინაფალს“ (შემტყობინებელს) ნათესავ-მოკეთეებში აგზავნიდნენ, რომელსაც ზურგზე ტომარა ეკიდა, ხოლო ხელში ჯამი ეჭირა, რომლითაც ნათესავ-მოკეთეებიდან ლობიო მოჰქონდა. განბანილ მიცვალებულს ახალი ტანისამოსით კუბოში ჩაასვენებდნენ. შიგვე ყველაფერს, რაც მას სიცოცხლეში უყვარდა - ქამარ-ხანჯალს, ფულს, თამბაქოს, სასმელს ბოთლით და ა. შ., უწყობდნენ. ტირილის დღეს მეზარეებს (4-5 კაცისაგან შემდგარს) დაიწვევდნენ.

მოსახლეობაში ურთიერთდახმარების ფორმა ამ შემთხვევაშიც მოქმედებდა. სანამ მიცვალებული სახლში ესვენა, სადილ-ვანშამს უბნის მეზობლები უგზავნიდნენ. მაგრამ ტირილის დღეს ეზოში „სეფა“-ში (საუფლო კარავი)¹⁴ ფიცრის გრძელ მაგიდებსა და სკამებს მართავდნენ. ამავე დროს ეზოს მოფარებულ მხარეში ცეცხლზე ქელეხის სამარხვო საკვებს ამზადებდნენ. ეზოში შავად შემოსილ ცხენს დააყენებდნენ. თუ მამაკაცი იყო გარდაცვლილი, ცხენს მამაკაცის უნაგირს და, თუ ქალი, ქალის უნაგირს დაადგამდნენ.

შუადღეზე ქელეხი იმართებოდა. სუფრაზე იღო პური, ლობიო, ფლავი და სხვა სამარხვო საკვები. მეღვინეები საღვინე ღოქით ხელში, ყველას ჩამოუვლიდნენ და ჭიქებით მიცვალებულის შესანდობარს შეასმევდნენ. ქელეხში „გინოფორუა“ (ფულით გადაბურვა), შეწყევნა ხდებოდა. ძველად სურსათით შეეწეოდნენ, მოგვიანებით კი — ფულით. სადამო ჟამს სახლიდან კუბოს გამოიტანდნენ და ეზოში დაასვენებდნენ. ამ დროს ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას ხის მოთხრა იცოდნენ ეზოში. ამ ხეს კუბოს სამჯერ შემოატარებდნენ და სასაფლაოზე მიჰქონდათ დასარგავად. მხოლოდ ახლობლები და ჭირისუფლები მიყვებოდნენ მიცვალებულს სასაფლაომდე.

დასაფლავების მეორე დღეს „კილეშ გონწყემა“ (მკლავის გახსნა) იცოდნენ, რომ ჭირისუფლებს სახსნილო საკვები მიეღოთ. ორმოცსა და წლისთავს აუცილებლად იხდიდნენ. წლისთავზე მიცვალებულის პატივსა-

¹³ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941 წ.

¹⁴ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 2010, 591.

ცემად დიდი იმართებოდა. განსაზღვრავდნენ სალოდე ადგილის მანძილს 10-15 კმ-ით. გამარჯვებულს ასაჩუქრებდნენ.

ს. მაკალათიას მიერ სამეგრელოში მიცვალეზელის გარდაცვალების, დატირების, დაკრძალვის წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი მასალაა მოცემული.

გულდასაწყვეტია, რომ მკვლევარი ისეთი სოციალური საკითხის შესახებ, როგორცაა ოჯახი — ინდივიდუალური და დიდი ოჯახი, მასთან დაკავშირებული საკუთრების ფორმა, დიდი ოჯახის გაერის დროს ქონების განაწილების წესი — მხოლოდ მცირე მასალით ისაზღვრება.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სერგი მაკალათიამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, როგორც ეთნოლოგმა, ისტორიკოსმა და მხარეთმცოდნემ, ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი მასალა დაგვიტოვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან წარსულის მასალასთან ერთად საბჭოთა ცხოვრების სოციალური მოვლენების ამსახველი ფაქტებიც დააფიქსირა, რომელიც მომავალი ეთნოლოგებისთვის საინტერესო გახდება.

Salome Bakhia-Okraushvili

Sergi Makalatia _ A Researcher of Historical and Ethnological Regions of Georgia

Sergi Makalatia stands among the notable public figures of his era, leaving an indelible mark through his significant contributions to the exploration of both the historical and contemporary facets of numerous regions and specific valleys within Georgia. His work delves into the traditional lifestyles, spiritual cultures, economic conditions, occupational activities, and other critical aspects of Georgians residing in diverse historical-ethnographic regions. Makalatia's meticulous collection, identification, and study of materials shed light on the multifaceted dimensions of Georgian life. Notably, he extended his scholarly gaze to encompass the study of dwellings and agricultural structures within the realm of material culture. Furthermore, Makalatia provided detailed accounts of defense structures such as fortresses, towers, and temples. His comprehensive exploration also delved into archaeological and numismatic inquiries. Intriguingly, the researcher correlated findings from excavations with the broader context of Georgian ethnological culture. Sergi Makalathia bequeathed to us a rich and invaluable creative legacy, now considered a bibliographic rarity. Each of his published works holds significant importance in unraveling the historical tapestry of the Georgian people, collectively serving as crucial resources for scholars and enthusiasts alike.

ირმა კვაშილავა (ოსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

**მესხების რელიგიური იდენტობა
(სერგი მაკალათიას „მესხეთ-ჯავახეთის“ მიხედვით)**

ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო მკვლევარმა, პროფესორმა სერგი იოსების ძე მაკალათიამ (1893-1974 წწ.) თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ქართველი ხალხის ეთნოკულტურულ პრობლემებს მიუძღვნა. ამ საპატიო საქმიანობას წინ უძღოდა რეგიონებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ჩამოყალიბება. მეცნიერის აღიარებულ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1935 წელს დაარსებულ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს (ამჟამად ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) 2005 წელს მიენიჭა მისი უკვდავი სახელი. რაც მთავარია, მკვლევარი 1923 წლიდან სისტემატურად სწავლობდა საქართველოს ცალკეული მხარეების და ხეობების (კერძოდ, ქართლის ხეობების) ეთნოისტორიულ საკითხებს. ორმოცი წლის შემოქმედებითი მოღვაწეობა, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მკვლევარს იმ გამოჩენილი ადამიანების გვერდით აყენებს, როგორებიც იყვნენ: თ. სახოკია, ბ. ნიჟარაძე, ნ. ჯანაშია, ექ. თაყაიშვილი, პ. ჭარაია, მ. ჯანაშიელი, ზ. ჭიჭინაძე და ნ. ურბნელი¹. ცნობილია, რომ ამ თაობის მკვლევარებს ასაზრდოებდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი კონცეფცია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლის საჭიროებაზე, როგორც ხალხური სიტყვიერების, ისე და კიდევ უფრო მეტად, ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების შესახებ².

ხალხში დაცული ემპირიული მასალის მნიშვნელობა განუზომელია, რომელსაც ინდივიდუალურად, ან ეთნოგრაფიული ექსპედიციების საშუალებით, სპეციალისტები თვეობით, ყოველგვარი ხელშემწყობი პირობების გარეშე (უგზობა, უბინაობა, უტრანსპორტობა...) იკვლევდნენ. ამიტომ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოგონებები პროფესორ რუსუდან ხარაძეზე სრულიად შეესაბამება ს. მაკალათიასაც. სახელდობრ, იგი ეკუთვნოდა ეთნოგრაფთა იმ პირველი ენთუზიასტების რიცხვს, რომელთაც თავის თავზე გადაიტანეს დარგის სიმძიმე, პირველი დაბრკოლებები თუ გამარჯვების სიხარული, სავსე მუშაობის უმძიმესი, სამუხეუმო კამერალური მუშაობის პირველი სიმწელებები³.

¹ ელ. ნადირაძე, გრძნობა შენი მოვლისა, თბ., 2009, გვ. 199.

² ვალ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989, გვ. 89.

³ გ. ჩიტაია, მოგონებები. წგნ. „რუსუდან ხარაძე“, თბ., 1985, გვ. 92.

აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია გამოიჩინა კონკრეტული საველე მასალის დესკრიფციის მაღალი დონით, რაც უზრუნველყოფს პირველწყაროს სიმტკიცეს, აგრეთვე მასალის ისტორიულ გააზრებას არქეოლოგიური ძეგლების, წერილობითი წყაროების, ენობრივი მონაცემების და სხვა, ამავე რიგის მასალის შუქზე; ამასთანავე ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების განვითარების ზოგად კანონზომიერებებთან ერთად ეთნო-სპეციფიკური ნიშნების, ეთნიკური კულტურის თავისებურებათა გამოვლინებას, ეთნოგრაფიულ კვლევას ბაზისური და ზედნაშენური კატეგორიების მთლიანობაში⁴. სწორედ ამგვარი კომპლექსური კვლევა-ძიებით შეიქმნა სერგი მაკალათიას მორიგი მონოგრაფია მესხეთზე, რომელიც ამ მხარის ისტორიულ წარსულს, ეთნოგრაფიულ სინამდვილესა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს საფუძვლიანად გვაცნობს. აღნიშნულის თაობაზე ავტორი ნაშრომის შესავალში წერდა: საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებამ 1937 წლის ზაფხულში ჩემი ხელმძღვანელობით გაგზავნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში (ე. ი. სამცხე-ჯავახეთში — ი. კ.), სადაც ექსპედიციამ იმუშავა ორი თვე და შეკრიბა საკმაოდ დიდი მასალა, რომლის ნაწილი დამუშავდა და ამ შრომის სახით იბეჭდება⁵. ნაშრომი, ისევე როგორც სხვა მისი გამოკვლევები ორ — ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნაწილად იყოფა და ერთი გეგმითაა დაწერილი: გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული მიმოხილვა, საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელი ძირითადი რეალიები, ხალხური წეს-ჩვეულებანი, საკულტო ადგილ-სამლოცველოები.

რასაკვირველია, ს. მაკალათიას სამეცნიერო პროდუქცია მართო მხარეთმცოდნეობის ლიტერატურით არ ამოიწურება. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო კვლევითი ხასიათის მონოგრაფიებს. ამ რიგის გამოკვლევები შეეხება ქართველი ხალხის ყოფის ყველა ძირითად დარგს და, პირველყოფისა, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიის შესწავლას ისახავს მიზნად⁶. მომავალ მენციერს, რომელსაც 1916 წელს წარჩინებით დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია, იმთავითვე კარგად ესმოდა რელიგიის მნიშვნელობა, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკას განსაზღვრავს და ამიტომაც ე. წ. ცრუმორწმუნეობას — ტრადიციულ ხალხურ კულტურას და საკულტო ადგილ-სამლოცველოებ-

⁴ აღ. რობაქიძე, რუსუდან ხარაძე — ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, წგნ. „რუსუდან ხარაძე“, გვ. 25.

⁵ ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 5-6.

⁶ აღ. რობაქიძე, პროფესორი, ს. მაკალათიას ნათელ ხსოვნას, მაცნე (ისტორიის სერია), თბ., 1974, გვ. 189.

თან დაკავშირებულ რიტუალებს მეტი ყურადღება დაუთმო. ს. მაკალათია წერდა, რომ სამცხე-ჯავახეთში შემონახული ცრუმორწმუნეობის ერთი ნაწილი — წარმართული ხასიათისა — დაკავშირებულია სახლის კერასა და ოჯახის სალოცავებთან. მეორე ნაწილი კი ქრისტიანული რწმენის მატარებელია და ქრისტიანულ ეკლესია-სამლოცველოებთან (ვარძია, ზარზმა, საფარა, პტენისი, ბარალეთი...) გვაკავშირებს⁷. მაშინ და, მით უმეტეს, შემდეგ, ახალი, სოციალისტურ ყოფა-ცხოვრებაში ჩაბმული მოსახლეობა თანდათანობით ივიწყებდა მამაპაპურ ჩვევებს და თავისთავად ნაკლები ყურადღება ექცეოდა ძველ ტრადიციებს. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ 1972 წელს გამოცემულ მესხეთის ეთნოგრაფიული შესწავლის მასალებში, სარწმუნოების თვალსაზრისით არავინ დაინტერესებულა.

აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის მუშაობას დიდი სიყვარულით ეკიდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა დახმარებით და უშუალო მონაწილეობით საინტერესო მასალა მოიპოვებოდა. ასე იყო სხვა დროსაც⁸. ამასთანავე, ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჭრელის გამო წინათ ძნელი იყო აქაური მოსახლეობის მთლიანი ეთნოგრაფიული შესწავლა⁹, მაგრამ მესხეთის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ისეთი განუზომელია, საქართველოს რომ მესხეთი ჩამოვაშოროთ და მესხთა სახელი ამოვშალოთ, ამ ისტორიას მოაკლდებოდა საუკეთესო ფურცლები. საქართველო უმესხეთოდ თითქმის არაფერი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, განახევრდებოდა მისი პოლიტიკური და კულტურული ძალა, შემოქმედება¹⁰. საკვლევ თემად ამ და სხვა მიზეზებით შეირჩა ს. მაკალათიას „მესხეთ-ჯავახეთი“. იქ მოსახლეობის რელიგიური იდენტობა წინ უძღოდა ეთნიკურს. ასე იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს არაერთ სხვა ქვეყანაში, ეთნიკურობაზე წინ რელიგიურ ფაქტორს აყენებდნენ¹¹. საერთოდ სულიერი პრიორიტეტები, შინაგანი სამყაროს განვითარება მატერიალურზე მაღლა იდგა, რამაც საქართველოში ოფიციალური ტრადიციული ღირებულებები — ოჯახის სიწმინდე, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული უპირატესად დაგვისახა.

ს. მაკალათია ოჯახის სალოცავების აღწერას ახალი წლის დღესასწაულით იწყებს, რასაც ძლიერ მოწინებით ეგებებოდნენ, როგორც უძვირფა-

⁷ ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.
⁸ მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 8.
⁹ ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 69.
¹⁰ სამ. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო, ტფ., 1915, გვ. 8.
¹¹ რ. თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 5.

სეს სტუმარს. საამისოდ ასუფთავებდნენ ჭურჭელს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ავეჯს, კარ-მიდამოს, სამოსელს. ოჯახის დიასახლისის მოვალეობას შეადგენდა საახალწლო კვერების გამოცხობა. პირველად ბასილას აცხობდნენ, გრძელი წვერით და ნიგვზის თვალებით; შემდეგ „ხარის ქედს“, ცხერის „ბუჟუნას“, „ბედისა და ბანის“ პურებს. სამეურნეო იარაღების ბედის კვერების გამოცხობისას მარჩიელობდნენ. რომელი ცომიც ამოიწოდა, იმ წელიწადს მისი მეტი მოსავალი იქნებოდა. ასეთი იყო მაშინ ცხოვრების სადა სტილი, რასაც პატრიარქალური უბრალოება და გულმოდგინე სარწმუნოება ასაზრდოებდა. საახალწლო ტაბლით (თაფლი, გოხინაფი, ზემოთნახსენები კვერები და, მათ შორის, პალვა) ოჯახის უფროსი მამლის ყივილისას ჯერ ოჯახის წევრებს გაუმასპინძლებოდა და შემდეგ საქონელსაც მიულოცავდა იმავე რიგად¹². საახალწლო ტაბლაზე პალვა ისლამური კულტურის გავლენის შედეგად მოხვდა იმ მხარეში, სადაც მუსლიმანურმა იდეოლოგიამ იმძლავრა. „მიუწვდომელი სიმძლავრე გამოიჩინა ჩვენზე უცხო რელიგიამ“¹³ და დღესაც სიამაყით იგონებენ აჭარაში მცხოვრები აფხაზები, თუ როგორ ტკბილ ნუგბარს — პალვას ამზადებდნენ მათი წინაპრები.

ს. მაკალათიას ახალი წლის ღამის მუსულმანების ე. წ. **გუგეჯობის** რიტუალიც არ გამორჩენია, რასაც თავისი წინამორბედი მკვლევრის მასალებიდან იმოწმებს. ამ დროს ერდოდან ჩამოკიდებულ კალათას საახალწლო საჩუქრებით ავსებენ, მსგავსადვე ქრისტიანებიც, მხოლოდ ესენი ცარიელ ქისაში ფულებს ყრიდნენ იმ სურვილით, ოჯახში გამოუღეველი იქნებაო. მკვლევარი ზშირად თითქოს ერთი შეხედვით ცნობილ მასალებს მისდევს, თუმცა ყოველთვის გამოირჩევა რამე „მარღვიანი“. მაგ.: ჯავახეთში საახალწლო ტაბლის გარშემო შემოატარებდნენ ხარს, რომელსაც რქებზე ანთებული სანთლები აქვს მიკრული. ამ დროს ოჯახის უფროსი ხარის, საქონლის გამრავლებაზე და კარგ მოსავალზე დაილოცებოდა. ხარი, სანამ სანთლები დაიწვებოდა, ოჯახში იყო, თივას დაუყრიდნენ და მერე გაიყვანდნენ. აღნიშნული რიტუალი დასტურდება მესხეთის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებში, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში ინახება¹⁴. ნიშანდობლივია, რომ სვანეთში ახალ წელიწადს მარჩენალი, უფროსი ხარის შემოყვანა ოჯახში, სადღესასწაულო რიტუალის ნაწილს წარმოადგენდა. გვაგონდება

¹² ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 105-106.

¹³ ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 20.

¹⁴ ელ. ჩუბინიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის 1987 ეთნოგრაფიული ექსპედიცია, დღიურები, სამი რეკული. რეკული 2.

ძველად სადღეგრძელოდ თქმული: ხარის ქედს და კაცის მარჯვენას გაუმარჯოსო.

ს. მაკალათიას მიხედვით, მესხეთში ახალი წელიწადის მნიშვნელოვან ფიგურას ბასილა წარმოადგენს — კაცის ფორმით გამოძცხვარი, გულზე ხელებგადაჯვარედინებული, ოჯახის უფროსი სწორედ წმინდა ბასილას მადლით ავედრებს ოჯახს, ცოლ-შვილს ღმერთს და ანგელოზებს. გარდა ამისა, მას დილაადრიანად ახალი წელი წყლისთვისაც უნდა მიელოცა და წყალობა მისგანაც გამოეთხოვა. ასეც იქცეოდა. ამისათვის მას კალათით მიჰქონდა ბასილა და ხელმანდილში გამოკრული ხორბალი. წყლის პირას მისული მეკვლე ბასილას მონათლავდა, ე. ი. ასხურებდა და წყალსაც წამოიღებდა. შინ დაბრუნებისას ამ ხორბალს სათესლეში გადაურევდა, კარგი ჭირნახული მოვიდესო¹⁵. ამრიგად, წმ. ბასილის თანხლებით ოჯახის უფროსი ერთგვარად სახლ-კარის, კარ-მიდამოს კურთხევის რიტუალს ასრულებდა. ასევე მეორე დღესაც საგანგებოდ შერჩეული მეკვლე ბასილას ავედრებდა ოჯახის ნაყოფიერებას... შემოვიდა ბასილიო, ეს ოჯახი პურითა და ღვინით ავისილიო“.

საახალწლო ციკლის მეორე დიდ დღესასწაულს ნათლისმცემლობა, წყალკურთხევა წარმოადგენდა. ამ დღეს აიღებდნენ ბასილას და ჯვარს ამოჭრდნენ, შემდეგ მას გაინაწილებდნენ და შეჭამდნენ. ბასილიდან ამოჭრილ ჯვარს დადებდნენ პურზე და მას მღვდელი აკურთხებდა. ეს ჯვარი შემდეგ ინახებოდა ამბარში, სადაც სათესლე პური ჰქონდათ. თესლს როდესაც ყანაში გაიტანდნენ, ჯვარს თან წაიღებდნენ. საბოლოოდ, ამ ჯვარს პურის ცომში ჩაჭყლეტავდნენ, პურს გამოაცხობდნენ და შეჭამდნენ¹⁶. რასაც აღწერს, მკვლევარს საკუთარი თვალთ არ უნახავს, მაგრამ ორთვიანი ექსპედიციის მასალები ამჟამად პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს, მით უფრო, მესხეთისთვის, სადაც ავბედითი ჟამის გამო მართლმადიდებლობა პრივილეგიებული რელიგია არ ყოფილა, მაგრამ ხალხმა როგორი სიფაქიზით შემოინახა ეს საგანძური. როგორი განვითარებული ეროვნული შეგნება ჰქონდათ. საუკუნუნახევარი ებრძოდნენ მესხები ოსმალებს, ვიდრე მტარვალი თავის მმართველობას დაამყარებდა. ხოლო ამის შემდეგ კიდევ ორასი წელიწადი მოუნდათ მათ, სანამ წინაპართა სარწმუნოებას შეუცვლიდნენ ხალხს¹⁷. დიდი ზიანი მიაყენეს, მაინც ვერ აღმოფხვრეს მთლიანად; აქ ზოგიერთი გამაჰმადიანებული სოფლის მოსახლეობა ბოლო დრომდე მაინც იხდიდა ქრისტიანებისათვის განკუთვნილ გადასახადს. ბევრ რა-

¹⁵ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

¹⁶ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

¹⁷ სამ. ფიცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 36

მეში ძველი ტრადიციები გრძელდებოდა და ზოგჯერ მნიშვნელოვანი ძეგლებიც იქმნებოდა¹⁸.

იმის გათვალისწინებით, თუ რა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მესხებმა ოსმალთა ბატონობას, უნდა გავიხსენოთ, რომ ოსმალეთი XVI-XVII სს. უძლიერესი სახელმწიფო იყო ევროპასა და აზიაში¹⁹. ერთი სიტყვით უნდა ითქვას რუსეთის თვითმპყრობელობაზეც, რომლებმაც ქართველობა ისე აიგდეს აბუხანდ, რაც არ ყოფილა ოსმალეთის დროსაც²⁰. მტრის გამანადგურებელ პოლიტიკას ძლიერი ტრადიციების მქონე მხარემ, ტრადიციული შეუპოვრობით სძლია: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასე უნდა ვით ქვიტკირსა“.

მშრომელი მოსახლეობა საგაზაფხულო და საზაფხულო საქმიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებს — ბერიკობას, ჭონას, ლაზარობას, ჭიაკონას და სხვა მისთანა ცრურწმენაში გადასული ჩვეულებებით წარმართავდა. ასე ინარჩუნებდა კავშირს თავისი იდენტობის საფუძვლებთან. ამავე დროს აღნიშნული ჩვეულებები საერთო იყო საქართველოს დანარჩენი ნაწილისთვის, ისევე, როგორც სახადის, ყვავილ-ბატონების დროს, რომელსაც არ წამლობდნენ, თავისებურად ისტუმრებდნენ²¹. ხშირად არათუ ერთი მხარე, კუთხე განსხვავდება მეორისაგან, არამედ ყოველ სოფელს გააჩნია ლოკალური ინდივიდუალობა. თუმცა ავადმყოფობის ან განსაცდელის დასაძლევად, ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით, ყველგან, საქართველოში, ხატისათვის შეთქმა, აღთქმა სცოდნიათ, რასაც ხანდახან ახლაც მისდევენ. საღვთო ის არის, რასაც შეუთქვამ — დეკეული, ცხვარი, ხარი... ვინც რას შეუთქვამდა, ეკლესიაში მიჰყავდა, ხატის დღეობაზე, ღამეს უთევდა და საკლავსაც იქვე დაკლავდა. საღვთოს თავ-ფეხს გაჭირვებულს აძლევდნენ. ზოგიერთი ცნობით, დედალი საღვთოდ არ შეიძლება, არც ფრინველი (მტრედები მოჰყავდათ ხოლმე, ქათმებიც). საღვთოს გამოცვლა არ შეიძლება. ყველაზე მეტი საღვთოები ვარძიობაზედ იკვლოდა²². იგივეს ადასტურებს სერგი მაკალათია, იმის თაობაზე, რომ ვარძიაში იმართებოდა დიდი ხატობა — „ღვთისმშობლობა“, სადაც ვარძიის ღვთისმშობელი კურნავდა მძიმე ავადმყოფებს. საამისოდ მორწმუნე ხალხი მას საკლავს შეუთქვამდა და სწირავდა კიდევაც აღნიშნულ დღესასწაულზე. ასევე საღვთოები იკვლის სოფლის მთავარ დღეობაზე. მაგ., კოთელაში იციან კვირაცხოვლო-

¹⁸ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 2011, გვ. 528-529.

¹⁹ სამ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

²⁰ სამ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

²¹ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. III.

²² ელ. ჩუბინიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის 1987 წლის ექსპედიციის დღიურები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

ბა, პტენისში — წმინდა გიორგის თაყვანისცემა, გიორგობა, აგარაში — პეტრე-პავლობა, „ამაღლების ჯვარს“ სცემდნენ თაყვანს ჯავახეთის ნა-სოფლარ სირგეში, ბარალეთთან²³... ცხადია, ყველაზე დიდი დღეობა აღ-დგომაა, ბრწყინვალე თავისი მნიშვნელობით და ტრადიციული რწმენა-წარ-მოდგენებით. დიდმარხვის ბოლო ვახშამი, აღდგომის წინა დღე საუკეთე-სოდ წარმოაჩენს ჯავახელების სარწმუნოებრივ ერთობას. „ვახშმობაა. მთელი სახლის წევრები მრგვალ „ფეშხუმს“ (პურის საჭმელ ტაბლას) შე-მოსხდომიან და უკანასკნელად შეექცევიან ამ წელს წყალ-კორკოტას, ღი-მის მჟავეს (წნილს) და ზეთის ხარშოს“²⁴. ნიშანდობლივია, რომ ძველად ბავშვებსაც აჭერინებდნენ მარხვას. ასე იწვრინებოდა ღვთის მავკედრებელი და წირვა-ლოცვის მოყვარული მოსახლეობა — ისე ცხოვრობდნენ, რომ მტერმა არ იცოდა, რა, სად და როგორ ცხოვრობდნენ გაკერპებული და არ-დანებებული მკვიდრნი! თუ დარჩენილან დღევანდელი ქრისტიანები, იმ დევნილობაში დამალულან დარნებში და იქ უცხოვრიათ წლითიწლობით. წარმოიდგინეთ, ეკლესიებიც კი დარნებში ჰქონდათ²⁵. გულში ჰყავდათ უფალი, ცოცხალი სარწმუნოება ჰქონდათ სიტყვითაც და საქმითაც.

მესხურ დარბაზებს ვინ არ მოუხიბლავს, წელსაც, კაკასიის ეთნოლო-გიის განყოფილების თანამშრომლებს სიამაყით გვათვალთვინებდნენ მა-თი ბინადრები და არაერთგზის მიანიშნებდნენ, — დედაბოძი არა აქვს ჩვენს დარბაზებს, მაგრამ სანთლებს დარბაზის საყრდენ კედლებზე განთებდითო, და დღესაც მოწიწებით შესცქერიან გამურულ ადგილებს.

გვაგონდება დაუვიწყარი შემთხვევა, აწ „სამაჰმადიანო საქართველოს“ ქაჯეთის ციხეში სტამბოლიდან ჩამოსული გურჯი ოჯახის გულის ჯობით ნატარები სანთლები, რომლებიც ამ მშვენიერი ციხის დანგრეულ ეკლესია-ში დაანთეს და გულისტკივილი გაგვიზიარეს — ჩვენ ამ ადგილის მკვიდრნი ვიყავითო²⁶. „ჩვენდა ნუგეშად ის არის, რომ შავშები თავისთავს ქართველე-ბად აღიარებენ, ყველამ იცის და ახსოვთ, რომ ძალადობით გაუმაჰმადიანე-ბიათ და მოუგლეჯიათ საქართველოსაგან. სადაც ძველი ეკლესიებია, პა-ტივს სცემენ და სანთლები მოაქვთ დასანთებად. ამბობენ, რომ დედაკაცებ-ში დღესაც საიდუმლოდ ქრისტიანობა დარჩენილა“²⁷. არაერთი გულისშემა-წუხებელი ფაქტორები აღუბეჭდავთ შემატებულს, მაგრამ მათი ქედუხრე-

²³ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

²⁴ ვ. კოპტანაშვილი, აღდგომა დღე, გაზეთი „იურია“, #79, 1889, გვ. 3.

²⁵ კორესპონდენცია, სოფელი აწყვერი (ახალციხის მაზრა), ჟურნ. „ჯვარი ვახისა“, #8, 1906, გვ. 15.

²⁶ ი. კვაშილაძე, კაკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მესხეთის ექსპედიციის 2023 წლის საველე დღიური.

²⁷ ვ. უმიკაშვილი, სამაჰმადიანო საქართველო, ტფ., 1915, გვ. 39.

ლობაც გულგრილს არავის სტოვებს! საანდაზო მეტყველებას ღირსსახსოვრად შემორჩენია მონასტრება თანამემამულისა: „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო“ — გვითხრეს კლარჯებმა და სასოებით ამოთქვეს ლოცვა: „ჩვენი მემღეკეთი შეინახოს ღმერთმა“²⁸.

რასაკვირველია, ხალხურ სარწმუნოებაში დაცული საკულტო, სახალხო დღესასწაულების ან საეკლესიო დღეობების სრული სურათის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ ს. მაკალათიამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა. მკვლევარმა ძველი და მისი კვლევისდროინდელი მასალები ერთმანეთის გვერდით წარმოადგინა; ამით შეავსო ის ხარვეზი, რაც XIX ს-ის მკვლევრებს ახასიათებდათ, პოლიტიკური, ისტორიული თავგადასავლით დაინტერესების გამო, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, ამ კუთხის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების და ადათ-ჩვევების შესწავლას²⁹.

პროფესორმა სერგი მაკალათიამ არამარტო გააცოცხლა მამაპაპური ტრადიციები, არამედ ექსპედიციის მნიშვნელობა, ეთნოგრაფი-ეთნოლოგის საპატიო მოვალეობა, ფოლკლორის როლი, ადგილობრივი რეალობა პირუთვნელად შეაფასა. აგრეთვე მესხეთის და მესხების ისტორიული მისია: „ქართული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა, დაკავშირებული იყო ქართლის მოსახლეობასთან, რომელთანაც მას არ გაუწვევებია კულტურულ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივი კავშირი. ამით აიხსნება, რომ მოსახლეობის ამ ნაწილმა შეინარჩუნა ქართული ენა და მწერლობა, ნაციონალური თვითშეგნება და ქართლის მოსახლეობასთან ეთნოგრაფიული ერთობა“³⁰. სხვანაირად როგორ იქნებოდა, ეს ხომ ის დიდებული სამხრეთი საქართველოა, სადაც XVIII ს-ში 14 საეპისკოპოსო ერთიმეორის მიყოლებით გაუქმდა და ერთილა დარჩა³¹. ეს ხომ ვარძიის და საფარის უდიდესი მონასტრების სამწყსოა, სადაც უთვალავი ბერ-მონაზონი გულმხურვალედ მოღვაწეობდა ხალხის წარმატების, მისი სარწმუნოების, ზნეობისა და ეროვნების დაცვისათვის. „საფარა ეკუთვნოდა იმგვარ მონასტრებს, სადაც ქართველი ახალგაზრდობა მიისწრაფოდა სწავლა-განათლებისა და მეცნიერების შესაძენად, ზნეობითა და გონებით აღსაზრდელად“³². ამიტომ მოუწოდებდა ნიკო მარი თანამემამულეებს, რომ ჩვენი უწმინდესი ვალაია, უნდა მივეპყველოთ ახლად შემოერთებულ ძმებს...

²⁸ თ. შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი, თბ., 2017, გვ. 38.

²⁹ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-70.

³⁰ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

³¹ შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

³² ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი, გაზ. „ივერია“, გვ. 2, #122, 1894.

ღარიბნი ვართო იძახით, მაგრამ ქვეყანაზე მარტო ღარიბმა იცის, რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში“³³. შესაძლებელია, ღარიბი ყოფილიყო ის მეცხვარეც, რომელიც ეკლესიის აშენების დროს საღმრთოდ მოიყვანდა ვერძს და მას შესწირავდა³⁴. არც სოფელ ჭობარეთის 14-15 კომლი ქართველი იქნებოდა მდიდარი, რომელმაც 1894 წელს იკისრა ქვითკირის ტაძრის აშენება და აკურთხა წესისამებრ ბლალოჩინმა ხუთი სხვა მღვდლის თანამწირველებით³⁵.

ამრიგად, ღვთისა და კაცის (მოყვასის) სასიამოვნო საქმეების აღსრულების გამო ვერ დაუკარგა მტერმა ისტორიული მნიშვნელობა ამ მხარეს და მის მრავალტანჯულ მოსახლეობას, რომლის მოკრძალებულ დასტურს წარმოადგენს სერგი მაკალათიას აღნიშნული მონოგრაფია.

Irma Kvashilava

Religious identity of the Meskhetians

(According to Sergi Makalatia's "Meskhet-Javakheti")

"Meskhet-Javakheti" by Professor Sergi Makalatia was written at a time when our understanding of the ethno-cultural aspects of Meskheta was limited. The focus of the work leaned more towards the political matters of Samekhe-Javakheti, overshadowing the exploration of the existence and customs of its inhabitants. Within this region marked by national and religious diversity, old paternal traditions were fading away. Particularly noteworthy was the neglect of the ethnic integrity of the Georgian population, where Muslim and Christian Georgians manifested fundamental differences in their ways of life. The region experienced a gradual erosion of ancient customs, emphasizing the urgency of preserving cultural heritage.

Drawing from a comprehensive examination of existing sources, literature, archival data, and ethnographic expedition materials, Professor Makalatia's monograph delves into the intricate fabric of religious thinking and identity among the people of Meskheta. The research concludes that, despite challenges, the Georgian population of Meskheta-Javakheti maintained a resilient cultural, economic, and religious connection with the broader Georgian population. They safeguarded the Georgian language, upheld a strong sense of national identity, and fostered unity despite the challenges posed by religious and cultural differences.

³³ ნ. მარი, სამაჰმადიანო საქართველო, გვ.12, ტფ., 1915.

³⁴ ს. მაკალათია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 69.

³⁵ ვ. კობახიანი, სოფელი ჭობარეთი, გაზ. „ივერია“, გვ. 2, ტ. 28, 1889.

თამაზ ლაცაბიძე (ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუხეუმო გაერთიანება)

სერგი მაკალათიას ერთი წერილი ხაშურის მუხეუმიდან

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე გამოვიდა სერგი მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები: „ბორჯომის ხეობა“ (1957 წ.), „ძამის ხეობა“ (1961 წ.), „ფრონეს ხეობა“ (1963 წ.). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სერგი მაკალათიას ეკუთვნის საქართველოს მხარეების შესახებ მეტად სინტერესო შრომები: „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, „თუშეთი“, „ხევსურეთი“, „ფშავი“, „მთიულეთი“, „მთის რაჭა“ და სხვ. ამ შრომებში მკვლევარი იძლევა მთლიანად მხარის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას. რაც შეეხება შიდა ქართლს, მეცნიერი „ღალატობს“ ტრადიციას და გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი ცალკეული ხეობების ისტორიას, მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსახლეობის სამეურნეო ყოფასა და კულტურას. სამივე ნაშრომში („ბორჯომის ხეობა“, „ძამის ხეობა“ „ფრონის ხეობა“) სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ხაშურის მუნიციპალიტეტს, რაც გარკვეულ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ხაშურის ახლადდაარსებულ მუხეუმში (1959 წ.) სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა ექსპოზიციის მოსაწყობად. მუხეუმის დირექტორის — ვარლამ გურგენიძისათვის, რომელიც სამხარეთმცოდნეო მუშაობას შესდგომოდა, სერგი მაკალათიას შრომები სამაგიდო წიგნებად ქცეულიყო. უფრო მეტიც, სერგი მაკალათიას ეს შრომები მისთვის გზამკვლევი აღმოჩენილიყო მხარის ისტორიის შესწავლის საქმეში. შრომებში არაერთი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა იქცევა ყურადღებას, რასაც გარკვეული ადგილი უნდა დათმობოდა ახლადდაარსებული მუხეუმის ექსპოზიციამ.

„ბორჯომის ხეობაში“ სერგი მაკალათია სათანადო ადგილს უთმობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ისეთ ცნობილ სოფელს, როგორც ტაშისკარია. ავტორი იძლევა ზემო და შიდა ქართლის საზღვარზე მდებარე სოფლის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს¹.

ავტორი ასევე საინტერესოდ აღწერს ქარელი-ხაშური-ბორჯომის

¹ ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1957, გვ. 9-11; 55-59

მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარე ალექსის ციხეს². ეს ციხე ძამისა და გუჯარეთის ხეობების წყალგამყოფ ქელზე მდებარეობს და მხარის თავდაცვის საქმეში გარკვეული როლი ჰქონდა დაკისრებული. ისტორიკოსი ყურადღებას ამახვილებს იმ გზებზე, რომელსაც ეს ციხე იცავდა. „ალექსის ციხეს თავის დროზე დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იცავდა სამხრეთიდან ხაშურისაკენ მიმავალ გზას, რომელიც აქედან გადიოდა. თუ მტერი ყერძენის ციხე-სიმაგრეს გაარღვევდა, მას ჰქონდა ორი მიმართულებით გასასვლელი: ერთი გვერდისუბნიდან, ალექსის ციხეზე შემოვლით, ხაშურისაკენ, მეორე გუჯარეთიდან აბუხალო-ტყემლოვანას გზით (იქვე, გვ. 22).

ხაშურის მუნიციპალიტეტზე ვრცლად არის საუბარი ს. მაკალათიას წიგნში — „ძამის ხეობა“. ძამის ხეობის დიდი ნაწილი ქარელის მუნიციპალიტეტის ფარგლებშია მოქცეული და მხოლოდ მცირე ნაწილია ხაშურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ავტორი სათანადო ყურადღებას იჩენს ისეთი საეტაპო ძეგლის მიმართ, როგორიცაა წრომის VII საუკუნის ტაძარი. საერთოდ, ს. მაკალათია საინტერესოდ გვიამბობს სოფელ წრომის თავგადასავალზე, აქ განვითარებულ ისეთ მოვლენაზე, როგორც იყო „ლეკიანობა“, მის შედეგებზე, სოფლის მოსახლეობისაგან დაცლასა თუ ხელმეორედ დასახლებაზე და სხვ.³ ასევე საინტერესოა ს. მაკალათიას ნაამბობი იმ დრამატულ მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ძამის ციხეზე⁴.

უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ხაშურის მუნიციპალიტეტი სერგი მაკალათიას ნაშრომში — „ფრონის ხეობა“. მკვლევარი მიმოიხილავს ფრონის სახელწოდებით ცნობილ სამ ხეობას, რომელსაც ქმნიდა მცირე მდინარეები — ღვანის ფრონე, ფცის ფრონე და ალის ფრონე. როგორც ვხედავთ, სამი ფრონიდან ერთი — ალისა, ხაშურის მუნიციპალიტეტშია.

ფცის ფრონეს ხეობაზე საუბრისას მკვლევარი საინტერესო ინფორმაციას იძლევა ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ცნობილ სოფელზე - წაღვლზე, რომელიც გამოირჩევა თავისი ისტორიული წარსულით. მკვლევარი გვაწვდის ინფორმაციას წაღვლის ციხე-გალავანზე, რომელიც უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს, ეკლესიებზე და სხვ.

მკვლევარი ვრცლად ჩერდება ალის ფრონეს ხეობაზე. მიმოიხილავს

² იქვე, გვ. 20-21

³ ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 18-19.

⁴ იქვე, გვ. 41-43

ხეობის ცნობილ სოფლებს — სატივეს, ვაყას, ნაბახტევს, ბრილს, დუმა-ცხოს, ალს, ულუმბას. იძლევა ამ სოფლებში ასებული ეკლესია-მონასტრების დახასიათებას, გვაცნობს ძველ წარწერებს, თქმულებებს და სხვ.

სწორედ ამ წიგნს უკავშირდება სერგი მაკალათიას წერილი, რომლის ადრესატიც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ვარლამ გურგენიძეა. წერილს 1964 წლის 12 იანვარი უზის თარიღად. როგორც წერილიდან ჩანს, ვ. გურგენიძეს ს. მაკალათიასთვის მიუმართავს ფრონის ხეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად.

სერგი მაკალათიას წერილი ამ რამდენიმე წლის წინ, ხაშურის მუზეუმში 1964 წელს შემოსული დოკუმენტაციის გაცნობისას, იქნა ნანახი. წერილის ავტორის, ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის — ს. მაკალათიას საყოველთაოდ აღიარებული სახელისა და თვით წერილის შინაარსის გათვალისწინებით, იგი ამოღებული იქნა ერთ წიგნად აკინძული შემოსული დოკუმენტაციებიდან, ჩაირიცხა ვარლამ გურგენიძის ფონდში და მიეცა სათანადო სამუზეუმო ნომერი — ხმმ, საინვ. №11841/დ-4257.

სერგი მაკალათია ვარლამ გურგენიძეს წერს:

„სალამი ვარლამ გურგენიძეს, თქვენი წერილი მივიღე, ჩემი „ფრონის ხეობა“ მოგწონებიათ და დაგხმარებიათ ზოგიერთი ძეგლის გაცნობა-გარკვევაში.

თქვენ იწერებით „ქვაბთახევის“ შესახებ და მოგყავთ წარწერაც, რომელშიაც გადმოცემულია ქვაბთახევის დედათა მონასტრის აოხრებაზე თემურ-ლენგის მიერ. ეს არის იგივე ქვაბთახევის მონასტერი, კავთურას ხეობაში, რომელიც დაანგრია თემურ-ლენგმა და მონაზვნებიც გაჟლიტა. ამის შესახებ ნახე ჩემს წიგნში „კავთურას ხეობა“, აღწერილია მონასტერიც და ეს ეპიზოდიც.

რაც შეეხება სოფ. გვირგვინასთან არსებული „კლდექალაქის“ შესახებ, რომელიც მე არ მინახავს, საყურადღებოა, გაზაფხულზე შეიძლება, გესტუმროთ ხაშურში და ეს ძეგლი დავათვალიეროთ. მეც დამაინტერესა ამ ძეგლმა. ახლა იბეჭდება ჩემი ახალი შრომა „ლესურას ხეობა“, სადაც საყურადღებო ისტორიული ძეგლებია აღწერილი და დათარიღებული. ესეც დაგეხმარება შიდა ქართლის ძეგლების შესწავლაში.

ამ ზაფხულს ექსპედიციის მოწყობას ვაპირებ ქსნის ხეობაში. შევეცდები, მოვინახულო თქვენი მუზეუმი, მეც მაინტერესებს მისი გაცნობა.

პატივისცემით, სერგი მაკალათია 12/1 — 1964 წ.“

წერილში ყურადღებას იქცევს ქვაბთახევის საკითხი. მისით დაინტერესებულია ვ. გურგენიძე. რატომ არაფერს ამბობს „ფრონის ხეობის“ ავტო-

რი მის შესახებ? ამ სახელწოდების ადგილი არსებობს ხაშურისა და ზნაურის რაიონების საზღვარზე (ძველი ადმინისტრაციული დაყოფით), სოფელ ჩორჩანის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქვე მდებარეობს ქვაბთის ეკლესია. ვარლამ გურგენიძისათვის ქვაბთახევი და აქ არსებული ეკლესია დაკავშირებულია თემურ-ლენგის შემოსევებთან. მისთვის უცნობია ამავე სახელწოდების ადგილი და ეკლესია, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სწორედ ამ ფაქტზე მიუთითებს სერგი მაკალათია ვარლამ გურგენიძეს. თან ურჩევს, გაეცნოს მის წიგნს — „კავთურას ხეობა“: „ეს არის იგივე ქვაბთახევის მონასტერი, კავთურას ხეობაში, რომელიც დაანგრია თემურ-ლენგმა და მონაზვნებიც გაჟლიტა. ამის შესახებ ნახე ჩემს წიგნში „კავთურას ხეობა“.

სამაგიეროდ მეცნიერმა არ იცის „სოფ. გვირგვინასთან არსებული „კლდექალაქის“ შესახებ“ და ვარლამ გურგენიძეს პირდება, გაზაფხულზე ესტუმროს ხაშურში და ეს ძეგლი ერთად მოინახულონ. „მეც დამაინტერესა ამ ძეგლმა“-ო — ბრძანებს მეცნიერი. ამავე დროს გამოთქვამს სურვილს, მოინახულოს ხაშურის მუზეუმი. „მეც მაინტერესებს მისი გაცნობა“, — ამბობს მეცნიერი და არც არის გასაკვირი: მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ხომ სამუზეუმო საქმიანობაც იყო. ეს კარგად ჩანს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მაგალითზე, მუზეუმისა, რომელიც სერგი მაკალათიას სახელს ატარებს.



ოსიაურის ციხის წარწერა

ერთი საინტერესო დეტალი ხაშურის მუნიციპალიტეტის სიძველეების მიმართ მეცნიერის დამოკიდებულების შესახებ. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მუნიციპალიტეტის სოფელი ოსიაური და მისი ციხე ვეზირიშვილების ხელში გადავიდა და ამ გვარის მფლობელობაში იყო. 1797 წელს მათ ციხე განუახლებიათ, რაზეც მეტყველებდა მასზე არსებული წარწერა. შემდეგ ჩამოვარდნილა და ადგილობრივ ინახებოდა ვანო ამირხანოვის სახლში.

ეს ფილა 1929 წელს ოსიაურიდან წაუღია პროფესორ სერგი მაკალათიას და სახელმწიფო მუზეუმში ჩაუბარებია, სადაც ამჟამად ინახება.

რაც შეეხება ისევ ქვაბთახევსა და იქ არსებულ ეკლესიას. 1961 წლის 5 სექტემბერს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ი. გ. გრძელის მი-

ერ მიტანილი იქნა მოჩუქურთმებული და ორნამენტებით შემკული 4 ქვა. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელით მიწერილია „ქვათახევი“. ოთხივე ქვა მოგვიანებით, 1964 წლის 10 ივნისს არის გატარებული ძირითად შემოსულობათა წიგნში და თითოეულ ქვას მიცემული აქვს სამუხეუმო ძირითადი ნომერი 185-დან 188-მდე. რაც შეეხება კლასიფიკაციას, მიჩნეულია, რომ ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპონატებია. დაეთარში ერთ ქვას წარმომავლობის გრაფაში უწერია ჩორჩანა-ქვათახევი (N185/ე-31), ორს — მხოლოდ ჩორჩანა (N186/ე-32; N187/ე-33). რაც შეეხება მეოთხე ქვას, მისი წარმომავლობა არ არის ნაჩვენები.

მიუხედავად ასეთი არასრულყოფილი ჩანაწერისა, ადვილად შეიძლება ოთხივე ქვის ქვათახევისათვის მიკუთვნება. პირველ რიგში ამაზე მიგვაძინებს მასალა და ერთი ხელწერა.

აქ ერთ მომენტსაც უნდა მიექცეს ყურადღება. მოსახლეობა ადგილს, რომელსაც უკავშირდება ოთხივე ქვა, **ქუაბთახევს//ქვაბთახევს**, ხოლო ეკლესიას **ქვაბთის მონასტერს** უწოდებს.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ორჯერ მოვინახულეთ ქვაბთახევი და ქვაბთის მონასტერი. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ეკლესიის ნანგრევები. გვინდოდა ადგილზე გვენახა ხაშურის მუზეუმში დაცული ორნამენტირებული და მოჩუქურთმებული ქვების მსგავსი ქვები, მაგრამ ამაოდ. ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო, იკითხებოდა მხოლოდ ის, რომ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთით მოჩანდა კლდეში ნაკვეთი ქუაბები//ქვაბები, რომლისგანაც წარმომდგარიყო ხევისა და ეკლესიის სახელწოდება.

ადგილობრივ გაზეთში წავაწყედი თ. გელაშვილის მცირე მოცულობის წერილს „ქვაბთის მონასტერი“⁵. ავტორი აღნიშნავს, რომ ეკლესია აგებულია V საუკუნეში და თავდაპირველად ერთნავიანი ბაზილიკა იყო. IX საუკუნეში ეკლესიისთვის ნავეები მიუშენებიათ. თემურ-ლენგის შემოსევების დროს მონასტერი დანგრეულა და სამონასტრო ცხოვრებაც ჩამკვდარა. წერილში, რამდენადაც შესაძლებელია, სათანადო ყურადღება ექცევა ეკლესიის სტილისტურ დახასიათებას. აღნიშნულია, რომ ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვის ჩუქურთმიანი ლავგარდანი. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ეკლესიას გარს უვლის გალავანი, ეზოში არის ქვევრები. ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთით, კლდეში არის გამოქვაბული.

⁵ გაზ. „გამარჯვების გზა“, 1973, 29 სექტემბერი.

ამ წერილის წაკითხვამ უფრო დიდი ინტერესი გააჩინა, კიდევ გვენახა ქვაბთის მონასტერი, მაგრამ ადმინისტრაციული საზღვრის იქით მოქცეულიყო და, სამწუხაროდ, ეს ვერ შეეძლოთ...

რაც შეეხება სერგი მაკალათიას სტუმრობას ხაშურში და სოფელ გვირგვინასთან არსებულ „კლდექალაქის“ მონახულებას, ჩვენთვის უცნობია, შედგა თუ არა ისტორიკოსის სტუმრობა ხაშურში და მისთვის უკვე საინტერესო ძეგლის დათვალიერება. აღარც მუზეუმის ძველი თაობაა, რომელიც აღნიშნულის შესახებ რაიმეს გაიხსენებდა. გადაკათვლიერე გასული საუკუნის 60-70 -იანი წლების შთაბეჭდილებათა წიგნებში გაკეთებული ჩანაწერები, იქნებ რაიმეს წავაწყდე-მეთქი, მაგრამ ამაოდ.

სერგი მაკალათიამ მეტად საინტერესო შემკვიდრება დაგვიტოვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომების სახით. ეს შრომები დღეს ნებისმიერ მკვლევარსათვის, და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მუშაობა უხდება მხარეთმცოდნეობის სფეროში, სამაგიდო წიგნებად არის ქცეული. მათში მოტანილი ისტორიული და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიული ცნობები, დღეს უკვე პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. ამიტომაცაა, რომ მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ისტორიკოსის მდიდარ სამეცნიერო შემკვიდრებას.

Tamaz Latsabidze

**Sergi Makalatia's One Letter
From Khashuri Museum**

Sergi Makalatia has bequeathed to us a profoundly captivating legacy in the form of historical and ethnographic works. Today, these works serve as indispensable reference materials for any researcher. The historical and ethnographic insights they contain have assumed paramount significance in our modern era. Sergi Makalatia's work, 'Froni Valley,' offers an extensive portrayal of the municipality of Khashuri. Within this work, the researcher delves into the three valleys collectively known as 'Frone': Dvani Frone, Ptsa Frone, and Ali Frone. The letter authored by Sergi Makalatia is directly linked to this book and is addressed to Varlam Gurgenzidze, the director of the Museum of Local Lore in Khashuri. In this letter, attention is drawn to the Kvabtakhevi issue, a place bearing this name located on the border of Khashuri and Znauri districts (in the former administrative division), to the northeast of Chorchani village.

ნინო ხარჩილავა (ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი)

სერგი მაკალათია და სამეგრელოს საქორწინო წეს-ჩვეულებები

საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულად დიფერენციაციის ტრადიციამ იმთავითვე განაპირობა კვლევის რეგიონალური პრინციპით წარმართვა. მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში არაერთმა მისიონერმა (არქანჯელო ლამბერტი, ჟიულ მურიე, კრისტოფორო დე კასტელი, ჟან შარდენი და სხვ.) იმოგზაურა და აღწერა, ყველა, გამომდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებიდან, სუბიექტური და არასრულყოფილი იყო. ფასდაუდებელია ასევე ქართულ პერიოდულ გამოცემებში არსებული კორესპოდენციები სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაზე და ქორწინებისადმი მიძღვნილი ცალკეული სტატიები, შედარებით ფართო სოციალურ თემატიკაში დამუშავებული გამოკვლევები, რომლებიც აღწერილობითი ხასიათისაა (რ. ერისთავი, თ. სახოკია) და, მცირე გამონაკლისის გარდა, მოკლე-ბული იყო მეცნიერულ ღირებულებებს.

სერგი მაკალათიას მეცნიერული ღვაწლი ქართული ეთნოლოგიის წინაშე დიდია. მან შეისწავლა საქართველის სხვადასხვა კუთხეების როლი საქართველოს ისტორიულ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა საკმაოდ ფართოა და მის მრავალრიცხოვან გამოკვლევებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესწავლის საქმეში ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა.

1923-1939 წლებში სერგი მაკალათიამ დასავლეთ საქართველოში ჩაატარა ექვდეციები და შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების გადამუშავებით 1941 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“¹. მასში თანმიმდევრობითაა აღწერილი დაქორწინების სავალდებულო პირობები, დანიშნის წესები, საქორწინო რიტუალი და რიგი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. საქორწინო წეს-ჩვეულებათა თანმიმდევრობით შესწავლის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა ქორწინების, როგორც რთული ბუნების მქონე სოციალური ინსტიტუტის მნიშვნელობა, რომელიც ცალკეულ რეგიონში ატარებდა ლოკალურ ხასიათს.

¹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

ჩვენი მიზანია ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესწავლა ს. მაკალათიას ნაშრომის („სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“) მიხედვით. მასში განხილულია ქორწინების ინსტიტუტის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები, აღწერილი და გამოვლენილია რიგი საკითხი, დაწვებული დაქორწინებისათვის სავალდებულო წინაპირობებით, დამთავრებული საქორწინო რიტუალებით.

ქორწინების სავალდებულო წინაპირობები ტრადიციულ ქართულ საზოგადოებებში წყვილთა შეუღლებამდე იყო განსაზღვრული. მათ შორის უმთავრესი ეგზოგამიის რეგლამენტაცია, ანუ სოციალურ ორგანიზაციაში თაობათა იმ საზღვრების დადგენა იყო, რომლის ფარგლებშიც ქორწინება იკრძალებოდა. ეს, თავის მხრივ, უკავშირდებოდა ნათესაური ურთიერთობის ნორმებს.

სამეგრელოში ეგზოგამია დაცული იყო მანამ, ვიდრე საერთო წინაპრიდან წარმომავლობა შთამომავლობათა მეხსიერებაში არსებობდა. გვარის შიგნით ქორწინება ადათობრივი ნორმების უხეშ დარღვევად მიიჩნეოდა და დამნაშავეებს უმკაცრესად სჯიდნენ — აძევებდნენ ან ქოლავდნენ. საზოგადოებისაგან ამგვარი იზოლაცია, ფაქტობრივად, სიკვდილით დასჯას და ფიზიკურ მოსპობას უთანაბრდებოდა. ვინც ამ ტაბუს — „ვაშინეს“, დაარღვევდა, გვარიდან გაძევება — „გვარიშ გიშალაფა“ ელოდა².

მოყვრობით ნათესაობაში არასისხლისმიერი ნათესაობა იგულისხმება, რომელიც გულისხმობდა წყვილთა ოჯახების ახლო და შორეული ბიძაშვილების, დეიდაშვილების, მამიდაშვილების ქორწინებას.

ძველად სამეგრელოში ხელოვნური ნათესაობის რამდენიმე სახე დაფიქსირდა, რომლის დროსაც მკაცრად იყო ეგზოგამია დაცული. ესენია: შვილად აყვანა, დაძმობილება, „მორღუობა“ (იგივე მამამძუქობა).

შვილად აყვანის შემთხვევაში საქორწინო აკრძალვები ისეთნაირადვე სრულდებოდა, როგორც სისხლით ნათესავის მიმართ. ნათესაური ჯგუფი რომელიმე ოჯახის მიერ შვილად აყვანილს მიიღებდა ისე, როგორც სხვა სისხლით ნათესავს. შვილად აყვანას **სკუალაფირი** ეწოდებოდა. ეს ფაქტი კანონიერად ითვლებოდა, როდესაც უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის იმიტაციის ჩვეულებას შეასრულებდნენ. ამ წესს სამეგრელოში **მითორგინაფა** „შეგორება“ ეწოდებოდა³. **მითორგინაფა** ბიოლოგიური დელობის მასანქციონირებელი წეს-ჩვეულება იყო. შვილად აყვანის შემთხვევაში ხე-

² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 260.

³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 271.

ლოვნურად დანათესავებულთა შორის ეგზოგამია, ჩვეულებრივ, ისე იყო დაცული, როგორც სისხლით ნათესაობაში.

სამეგრელოში მცირერიცხოვან სოფელში მოსახლეობას ან მრავალგვარიან სოფელში ერთ გვარს ჰქონდა თავისი სალოცავი, რომელსაც ამ ტრადიციული სოციალური ორგანიზაციის წევრები თავყვანს სცემდნენ. ქორწინება აკრძალული იყო სხვადასხვა გვარს შორის, რომელთაც საერთო **ჯინჯი** „ძირი“ (ხატი) ჰქონდათ⁴.

სამეგრელოში დანათესავების ერთ-ერთი ფორმა მამამშუქობა იყო, რომელიც სისხლ-მესისხლეობის მომენტებს უკავშირდებოდა. მაღალი სოციალური ფენის ოჯახი შვილს შედარებით დაბალი სოციალური ფენის ოჯახს მიაბარებდა ხოლმე. ამ ოჯახებს შორის ერთგვარი ნათესაობა მყარდებოდა. ძიძას **მარდუალი//ძიძე** ეწოდებოდა, ხოლო გაზრდილს — **მორდილი//მორდუ**⁵. გამზრდელ-გაზრდილის ნათესაური ურთიერთობა, მათ გვარებს შორის წარმოქმნილი უფლება-მოვალეობები მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. ამგვარი ნათესაობის სიმტკიცეზე ისიც მტყვევლებს, რომ დანათესავებულ გვარებს შორის საქორწინო კავშირი იკრძალებოდა და მისი დარღვევა სისხლის აღრევად ითვლებოდა. სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ აღზრდის მოცემული ფორმა XX საუკუნის II ნახევრამდე შეინარჩუნა. ხელოვნური დანათესავების ამ ფორმის მეშვეობით გამზრდელისა და გაზრდილის უფლება-მოვალეობები განსაზღვრული იყო, როგორც ქონებრივ, ისე სოციალურ ურთიერთობათა სფეროში.

ხელოვნური ნათესაობის კიდევ ერთი საინტერესო ფორმა წარმოიქმნებოდა უცხო ადამიანის რომელიმე გვარში მიღების საფუძველზე, უფლება-მოვალეობის გაზიარების პირობით. გვარში ინკორპორირებული (მიღებული) პირი ვალდებული იყო დაეცვა ეგზოგამია.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებულია ხელოვნური დანათესავება მიცვალებულის დატირებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებშიც. პირი სპეციალური რიტუალების დასრულების შემდეგ გარდაცვლილის ადგილს იკავებდა და ნათესავებისათვის მისი ნაცვალი ხდებოდა. ამგვარად შემონათესავებულ პირს **ჩაფილი** ეწოდებოდა⁶. თმის რიტუალური გაკრეჭვა ხელოვნური დანათესავების საფუძველი ხდებოდა, რის გამოც მანგიორის ნათესავებსა და ახლობლებში საქორწინო ურთიერთობები იკრძა-

⁴ **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 260.

⁵ **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 289.

⁶ **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 290.

ლებოდა.

ქორწინების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას საქორწინო ასაკის დადგენა წარმოადგენდა. ქალ-ვაჟის დანიშვნა ნებისმიერ ასაკში იყო შესაძლებელი, მაგრამ მათი შეუღლება განსაზღვრულ ასაკამდე დაუშვებლად მიიჩნეოდა. როგორც ყოფაში არსებული წესებით, ისე საეკლესიო დადგენილებით, ქალ-ვაჟის შეუღლების ასაკი მკაცრად იყო რეგლამენტირებული.

ტერმინი **გინოძირაფა** მეგრული ენის მხოლოდ საქორწინო ფრაზეოლოგიაში გვხვდება და ნიშნავს სარძლოსა თუ სასიძოს ყოველმხრივ დათვალიერებას, მათი ღირსება-ნაკლოვანების შეტყობას⁷. **გინოძირაფა** — სარძლოდ შერჩეული პირის გადანახულება — ნიშნობამდე ხდებოდა. ქალ-ვაჟის დაქორწინებაში მნიშვნელოვან და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს შუამავალი თამაშობდა. სამეგრელოში შუამავალს **მარებელი** ეწოდებოდა⁸. მარებელი, სასურველი იყო, ასაკით ხანდაზმული და საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება ყოფილიყო, რათა ქალის ოჯახს მისთვის უარის თქმა გასჭირვებოდა. პროფესიონალი მარებელი ქორწილის შემდეგ კატეგორიულად ითხოვდა გასამრჯელოს, რომელსაც **ნამარებუს** „სამარებლოს“ უწოდებდნენ⁹.

სამეგრელოში აკვანში დანიშვნა სიტყვიერი შეთანხმებით ხდებოდა. აკვანში ნიშნობა ანუ სარძლოს დაწინდვა არქაული ჩვეულება იყო. იგი მხარეებისა და წვეილთა მშობლებისა თუ მეურვეების თანხმობას წარმოადგენდა მომავალ ქორწინებაში. დასაწინდი ქალ-ვაჟის არასრულწლოვნობის შემთხვევაში მთავარი როლის მატარებელნი მშობლები ხდებოდნენ, რომლებიც თავიანთი ნება-სურვილით ირჩევდნენ სარძლოს და სასიძოს. სამეგრელოში ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნას **ონწემ იკოდგუმას** უწოდებდნენ¹⁰.

დასტურდება დანიშვნის კიდევ ერთი სახე: საღმე შეკრებილებაში საკმარისი იყო ყმაწვილ კაცს ქუდი ესროლა ქალისთვის, რის შემდეგაც ქალი დანიშნულად ითვლებოდა. დანიშვნის ამ ფორმას **ქუდიშ ფაჩუა** ერქვა¹¹.

სამეგრელოში ქალის მოტაცების გზით დასაკუთრება ყოფილა გავრცელებული. საქართველოში გასათხოვარი ქალის მოტაცების არსებული

⁷ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 262.

⁸ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 260.

⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 290.

¹⁰ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 260.

¹¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 263.

ფორმების პარალელურად სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიამდე შემორჩა მოტაცების სხვა ფორმაც — „ფიოშით ხვამილაფა“ ანუ ფიოშით მოტაცება¹². თუმცა, მოტაცება — ქალის დაპატრონება ძალმომრეობით პატრიარქალური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი და ქორწინებაში სავალდებულო ფორმას არასოდეს წარმოადგენდა.

ქორწილი კვირის იმ დღეებში ტარდებოდა, როგორც ჯვრისწერის დროს იცოდნენ. საქორწინო სუფრა ძირითადად ეზოში იმლებოდა. აკეთებდნენ საქორწინო ფართო ხის ფარდულს „შეფას“, ანუ „სეფას“. სეფა იმლებოდა ეზოში. ქორწილამდე 4-5 დღით ადრე მექორწინე ოჯახი ნათესავებს პატიჟებდა. მოსაწვევ ბარათზე ეწერა ჩვეულებრივი ან არაჩვეულებრივი. თუ ბარათზე ეწერა ჩვეულებრივი, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ქორწილში შესაწირავის დაპატიჟებულ სტუმარს „დღუდომ გინაყოთამალი“-ს მიტანა ევალებოდა. არაჩვეულებრივის დროს დაპატიჟებული პირი თავისუფლდებოდა შესაწირავის მოტანისაგან. მოწვეული სტუმრები მექორწილე ოჯახში ქორწილის წინა დღეს იყრიდნენ თავს. სოფლის ნათესაობა და მეზობლები რამდენიმე დღით ადრე ოჯახს ქორწილის პურ-მარილის მომზადებაში ეხმარებოდნენ. მსახურთა და მზარეულთა მოვალეობას ამ შემთხვევაში უსასცილდოდ მეზობლები ასრულებდნენ. დაპატიჟებულ ნათესავ-მეზობლებისაგან ოჯახი წინასწარ ირჩევდა მაყრებს — იმ პირებს, რომლებიც სარძლოს მოსაყვანად ოჯახის უფროსთან ერთად უნდა წასულიყვნენ. მაყრების რაოდენობა ოჯახების მიერ წინასწარ შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრებოდა.

ჯვრისწერა სარძლოს სოფლის ეკლესიაში ტარდებოდა, მაგრამ ხშირი იყო ასევე ჯვრისწერის სასიძოს სოფლის ეკლესიაში ჩატარების შემთხვევებიც.

ჯვრისწერა სარძლოს სოფლის ეკლესიაში ტარდებოდა. ს. მაკალათიას ცნობით, „ნეფე-დელოფალს ჯვარს დაწერდნენ მარანში, სადაც სალოცავი ქვევრი ჰქონდათ ჩაფლული. „მღვდელი მათ ჯვარს დაწერდა საეკლესიო წესით“¹³. მარანი წმინდა ადგილს წარმოადგენდა და სოფელში ეკლესიის არქონის შემთხვევაში საქორწინო რიტუალის მნიშვნელოვანი საფეხური — ჯვრისწერა მარანში სრულდებოდა. აქედან გამომდინარე, მარა-

¹² ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 262.

¹³ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 265.

ნი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წინაქრისტიანულ საქორწინო წეს-ჩვეულებებში, რაც გარკვეულწილად შემორჩა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც.

საქორწინო წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მარანში მოთავსებული საზედაშე ქვევრის — **სადაბადოს** ლოცვა. „სადაბადო“ ქვევრი, გათხოვილი ქალის — რძლის სალოცავი ლაგვანი იყო, რომელიც ცალკე ემარხა მიწაში, ოჯახის საზედაშე ქვევრების ცოტათი მოშორებით¹⁴. „სადაბადო“ ქვევრის მდებარეობა მარანში, ჩვენი აზრით, ხაზს უსვამს ქორწინებით მოსულის არასრულყოფიანობას ოჯახში.

ქორწილი რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა: ქორწილი ქალის ოჯახში და ქორწილი ნეფის სახლში. ვაჟის ეზოში მაყრიონი ნეფე-დედოფალთან ერთად „კუჩხა ბედნიერას“ სიმღერით შემოდიოდა. ახალდაქორწინებულებს ეზოში დედამთილი ხვდებოდა, რომელიც რძალს შაქარს და თაფლს აჭმევდა. შემდეგ მარცვლებს (ლომის) ან ხურდა ფულს თავზე გადააყრიდა, ხაჭაპურს გატეხდა და მასაც გადააყრიდა. ტკბილეულობით დახვედრა სიამტკბილობით ცხოვრების სიმბოლურ მინიმუმებს წარმოადგენდა¹⁵. სახლის კარის ზღურბლთან თეთრ ტილოზე ამობრუნებულ თეფშს პატარძალი ფეხით ტეხდა.

ქორწილში შესაწირავი გროვდებოდა, რასაც „გინოცოთამა“ — გადასაგდები ეწოდებოდა. ქორწილში სიძე-პატარძლისადმი მირთმეული საჩუქარი ძირითადად ფული იყო, რომელიც ხმამაღლა ცხადდებოდა. ყველა მიპატიჟებული სტუმარი ვალდებული იყო ახალდაქორწინებულთათვის გაეღოთ რაიმე საჩუქარი, ან შესაძლოა ფულიც. მექორწინე ოჯახისადმი ფულადი შეწევნა მხოლოდ ქალის მაყრებს არ ევალდებოდათ¹⁶. „გინაქოთამალი“ საქორწინო ურთიერთობის ერთ-ერთ საგულისხმო რიტუალს წარმოადგენდა და მორალური ტრადიციით განპირობებული მოვლენა იყო, რომლის დროსაც ნათესავეები და მეზობლები მატერიალურად ეხმარებოდნენ ახალშექმნილ ოჯახს. ნათესავეების მიერ გაწეული მატერიალური დახმარება ძველად ნატურის სახით წარმოებდა, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვი-თარებასთან ერთად ფულადმა ანაზღაურებამ შეცვალა.

¹⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 320.

¹⁵ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 280.

¹⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 266.

საქორწინო ინსტიტუტის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს **მეჯვარე** და **დადე** ასრულებდნენ. სამეგრელოში სასიძოს მხლებელი ვაჟი აღინიშნებოდა შემდეგი ტერმინებით: **მეგურგინე**, **მეჯვარე** და **ხელისმოკიდე**, ხოლო ქორწილში პატარძლის მხლებელ და მოძველ ქალს როგორც „დადეს“, ისე „მდადეს“ უწოდებდნენ. მეჯვარე და დადე ნათლავდნენ ბავშვს, **დადე** ქალს, ხოლო **მეგურგინე** — ვაჟს. ბავშვის ნათლიას, თუ ის მისი მშობლების მეჯვარე იყო, „მეგურგინე მორდია“ ეწოდებოდა, რაც ნიშნავს გვირგვინის შემცველ ნათლიას.

ძველად სამეგრელოში მეჯვარე და დადე სხვა გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყვნენ. დღეს უკვე დასტურდება ერთი გვარის შიგნით მეჯვარეობა, უფრო ზუსტად — მოგვარეთა შორის მეჯვარეობა. მეჯვარეობა მოგვარეებს შორის გვარის, ნათე-საობის განმტკიცების საფუძვლიანი ცდა უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც წესი, გვარის შიგნით მეჯვარეობა იკრძალებოდა.

სამეგრელოში ქალის ქონების აღმნიშვნელი ტერმინი იყო **ოჭ-ი უდური//ჭი უდა**. მზითვის მომზადება ქალის მშობლების მოვალეობას წარმოადგენდა. გარდა მზითვისა, მას აძლევდნენ საქონელს, რომელიც მზითვის აუცილებელ კომპონენტად იყო მიჩნეული. მზითვის ნორმირებას, ძირითადად, ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობა განაპირობებდა. ქალის მზითვის შემადგენლობა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დონის განვითარებასთან ერთად განიცდიდა ცვლილებებს.

როგორც საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაში, ისე სამეგრელოში, გათხოვილი ქალი ქმრის ოჯახსა და გვარში გაწევრების მიზნით ასრულებდა რიგ წეს-ჩვეულებას: პატარძლის კერასთან ზიარებას და პატარძლის ხატში გაყვანას.

ახლად საქორწინებულებს ეზოში დედამთილი ხვდებოდა და ისინი ოჯახში, იმ ოთახში შეჰყავდა, სადაც გამართული იყო კერა. დედამთილი რძალს სამჯერ კერას შემოატარებდა. დედოფალს ხელში ღომის მარცვლები ეჭირა, რასაც ირგვლივ მიმოყრიდა, შემდეგ წყალს მიმოასხამდა, კერის ჯაჭვს ხელს მოკიდებდა და კერასთან ჩამოჯდებოდა. პატარძლის კერასთან მიყვანა ნიშნავდა ახალი წევრის ზიარებას ქმრის ოჯახთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საპატარძლოს მამის სახლიდან წამოყვანის დროს კერას არ შემოატარებდნენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ გათხოვილი ქალი მამის სახლთან ბოლომდე არ წყვეტდა კავშირს. იგი სულიერად დაკავშირებული იყო მამის ოჯახთან, რამაც რელიგიაშიც კპო-

ვა ასახვა. გათხოვილი ქალი ყოველწლიურად მამის საგვარეულო ხატში — „ჯინჯხატში“ დადიოდა. „ჯინჯხატობას“ (ძირი ხატი) მის კარზე მისვლა და გამოლოცვა გვარის ყველა წევრს ევალებოდა¹⁷.

კერის გარშემოვლის ცერემონიალი წარმართულ პერიოდში ოჯახის ახალი სოციალური ჯგუფის შექმნის სულიერ და იურიდიულ საყრდენს წარმოადგენდა, რომელიც ამასთან ერთად ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად განიხილებოდა. ჯვრისწერა ქრისტიანულ ტრადიციად ჩამოყალიბდა და ოჯახის შექმნის განსაკუთრებულ წინაპირობად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარების კვალობაზე, კულტურული ფასეულობების შესაბამისად, კერის გარშემოვლის სემანტიკური მნიშვნელობა თანდათან შესუსტდა, ხოლო არე დავიწროვდა.

პატარძლის ხატში გაყვანა ძირითადად ხატობაზე იცოდნენ. ამით რძალი ქმრის საგვარეულოსთან საბოლოოდ ამყარებდა კავშირს. რძალს ეკლესიაში ქმრის ოჯახში თავისივე დამზადებული სანთელი და შესაწირავი ფული მიჰქონდა. ეს ოჯახის ეკონომიკურ შემდგობაზე იყო დამოკიდებული. ამის შემდგომ რძალს სათანადო დღეებში მარტო შეეძლო ქმრის საგვარეულო ხატზე სიარული.

სამეგრელოში პატარძლის ოჯახში შემოყვანის შემდეგ პირველ კვირას სრულდებოდა „გალენიშ ორთას“ ღოცვა. ეს ღოცვა ოჯახის წინაპართა გარდაცვლილი სულების პატივსაცემად იმართებოდა. თუ ეს რიტუალი არ შესრულდებოდა, პატარძალს უფლება არ ჰქონდა ეზოს გარეთ გასულიყო და საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობა მიეღო. ეს რიტუალი არ იყო დაკავშირებული რომელიმე კალენდარულ დღესასწაულთან და მისი შესრულება ყოველთვის შეიძლებოდა. გალენიშს უმართავდნენ მელიოგინე ქალებსაც¹⁸.

ქორწილის დღეს ვაჟის მამა სარძლოს დედას ასაჩუქრებდა ფულით, საკაბით. ამ საჩუქარს **ნაძუჭური** ეწოდებოდა¹⁹.

საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლისას გვერდს ვერ აუვლით სამეგრელოში საქორწინო აკრძალვებს, რომელთა შორის აღსანიშნავია **სახელიშ ფულუა** — სახელის დამალვა. რძალი ვაჟის ოჯახში მიყვანის დღიდან სახელს არ დაუძახებდა დედამთილ-მამამთილს, უფროს მაზლებს და მულებს. ქმრის მშობლებს მიმართავდა ასე — „ჩქიმ ნანა“ (ჩემი დედა) და „ჩქიმ ბაბა“ (ჩემი მამა), ხოლო მაზლებს და მულებს სახელებს გადაარქმევ-

¹⁷ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 303.

¹⁸ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 287.

¹⁹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 269.

და. ოჯახის წევრების მიერ ერთმანეთისათვის სახელის დამალვაში გამოხატული ტაბუირებული წესები ფიქსირდება კავკასიის მრავალი ხალხის მაგალითზე, სადაც განრიდებასა და სოციო-რელიგიური მოტივებით განპირობებულ აკრძალვებთან დაკავშირებული ჩვეულებები ტიპოლოგიურად მსგავსი სახით იყო წარმოდგენილი.

საქორწინო საოჯახო აკრძალვებიდან საკუთარი სახელი ტაბუ ადრეული რელიგიური შეხედულების ანარეკლი იყო და მას მკაცრად იცავდნენ ტრადიციული საზოგადოების წარმომადგენლები.

ამრიგად, საქორწინო წეს-ჩვეულებათა კომპლექსი ძლიერ კონსერვატიულია. მასში თითქმის დღემდე შემონახულია უძველესი დროის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი პლასტები, მაგრამ, მიუხედავად ასეთი კონსერვატიულობისა, საქორწინო წეს-ჩვეულებები მუდმივ დინამიკაში იყო. ისინი უზრუნველყოფდნენ საზოგადოების მდგრადობას, მაგრამ, ამასთანავე განუწყვეტლივ იცვლებოდნენ, ვითარდებოდნენ და გადადიოდნენ ერთი ფორმიდან მეორეში.

XX საუკუნის II ნახევრიდან სამეგრელოში საქორწინო წეს-ჩვეულებების ზოგიერთი ტრადიციული წესი მივიწყებას მიეცა. ზოგადად რიტუალი ტარდება, ოღონდ მასში ბევრი ინოვაციური ჩანართი გაჩნდა.

Nino Kharchilava

Sergi Makalati and the Wedding Customs of Samegrelo

In Sergi Makalathia's work, "History and Ethnography of Samegrelo," he meticulously details the historical past and customs of the Samegrelo region. Between 1923 and 1939, Makalathia conducted organized expeditions across various areas of Samegrelo, including Martvili, Chkhorotsku, Tsalenjikha, Zugdidi, Khobi, Senaki, Gali, and Ochemchire regions. During these expeditions, he diligently collected a wealth of field ethnographic material, contributing significantly to the understanding of Samegrelo's social institutions. Makalathia's merit in researching the social institutions of Samegrelo is particularly noteworthy. He extensively relied on the field ethnographic materials gathered from Samegrelo society. Throughout the field expeditions, Makalathia collaborated with census workers, assuming roles beyond that of an ordinary traveler; he functioned as a historian, archaeologist, and ethnographer. This comprehensive approach ensured that no detail, no matter how seemingly insignificant, escaped Makalathia's attention during his exploration of Samegrelo's life.

სერგი მაკალათია – სამაჩაბლოს მკვლევარი

სერგი მაკალათია 1926 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება-შესწავლაზე. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიურ შესწავლის მიზნით პროფესორმა მოაწყო ექსპედიციები. მან ფეხით შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და დაგვიტოვა იშვიათი ნაშრომები.

ამჯერად ყურადღება მიიწვიება გავამახვილო მის მიერ შიდა ქართლში მოპოვებულ მასალაზე. როგორც ნაშრომის — „ლიახვის ხეობის“ შესავალში მკვლევარი აღნიშნავს, შიდა ქართლის ხეობების შესწავლა 1950 წელს დაიწყო და გამოკვლეული მასალა უკვე 1957 წლიდან სერიული სახით გამოიცა: „ატენის ხეობა“, „ბორჯომის ხეობა“, „კავთურას ხეობა“, „ლეხურას ხეობა“, „ლიახვის ხეობა“, „თეძმის ხეობა“, „ფრონის ხეობა“, „ქსნის ხეობა“. ხემით ჩამოთვლილთაგან მხოლოდ იმ ხეობებში ჩატარებულ ექსპედიციის შედეგებს შევეხები, რომლებიც ძირითადად მოიცავს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, ანუ იმ ტერიტორიას, რაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ძირითადად ჩვენი ისტორიული საზღვრის მიღმა მოექცა. ეს არის ცხინვალის მუნიციპალიტეტის ძირითადი ნაწილი, აღმინისტრაციული ცენტრი დაბა ჯავა და მთლიანად ჯავის მუნიციპალიტეტი, მისი 20 სოფლით, ახალგორის მუნიციპალიტეტი 110 სოფლით. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარეობს შუაზე გაყოფილი სოფლები — ზემო ნიქოზი, ერგნეთი, დიცი, მეჯვრისხევი, ფლავისმანი, წითელუბანი, ყარაფილა, სარიბარი, თვაურები, ავლევი, რომლებიც „მცოცავი ოკუპაციის“ პირობებში ყოველთვის საშიშროების წინაშე დგანან, მავთულხლართების მეორე მხარეს რომ არ აღმოჩნდნენ.

ეს ტერიტორია გადაჭიმულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. ჩრდილოეთიდან მას რამდენიმე პატარა მდინარე ერთვის. დიდმა მეცნიერმა სწორედ ამ მდინარეების ხეობების ისტორიულ წარსულს, იქაური მოსახლეობის ცხოვრების წესისა და მათი კულტურული განვითარების, ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-შესწავლას მიუძღვნა თავისი ნაშრომები. ასეთი შრომა ამ ტერიტორიებზე ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ არ ჩატარებულა. სწორედ ამიტომ წარსულთან შედარების დროს მეცნიერი ხშირად მოიშვე-

ლიებს ვახუშტის მიერ შედგენილ საქართველოს „აღწერას“.

შიდა ქართლის მდინარეთა შორის ლიახვი ყველაზე წყალუხვია. იგი სათავეს იღებს მალრან-ღვალეთიდან. ვახუშტის აღწერით: „მალრან-ღვალეთს გამოდის დიდი ლიახვი თრუსოსა და ზახის კაკკასსა და დის სამხრეთ-დასავლეთის შუა“¹. გზად მას ერთვის პატარა ლიახვი, მეჯუდა, ხოლო გორთან თვითონ უერთდება მტკვარს. ლიახვის წყალს უერთდება ბევრი მინერალური წყარო, რის გამოც ის მუდამ ცივია, ლიახვის წყლით მორწყული ველ-მინდვრები კი ყოველთვის უხვმოსავლიანია. ასე ყოფილა ადრეც. ისევე ვახუშტის დაეიძოწმებ: „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, გემოიანი და სპეტაკი“².

ქართლის ისტორიული წარსულისთვის ლიახვის ხეობას და მასთან ახლოს მდებარე სხვა ხეობებს დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ხეობიდან გადიოდა გზები ჩრდილოეთ კაკკასიაში, ზეკარის უღელტეხილით: „კვალად ამ ზარმაგის ხევის სათავედამ გარდავალს ზეკარზე გზა ქართლისა დიდ ლიახვზე“³. ამ გზებით წარმოებდა მიმოსვლა და საქმიანი ურთიერთობა მეზობელ და მოსაზღვრე ქვეყნებთან — ალანოსებთან, ღვალეთთან და სხვ.

ხეობა მოიცავს ცხინვალის, ჯავისა და გორის რაიონებს. მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ამ სამი რაიონის ძირითადი მაცხოვრებლები ქართველები არიან. იქვე აღნიშნავს, რომ ოსები ჯავის რამდენიმე სოფელში მოსახლეობდნენ. ქართველები ძირითადად მდინარის ორივე ნაპირზე, ბარში არიან დასახლებულნი, ოსები კი — მთიან მხარეში, რაც მიანიშნებს მათ ჩრდილოეთ ოსეთიდან ახალ ჩამოსახლებაზე. თითქმის ყველგან სოფლების ქართული სახელები იყო შემორჩენილი. ვახუშტი ბატონიშვილს დიდი ლიახვის ხეობაში 50 ქართული სოფელი აქვს აღნუსხული, ხოლო ოსური — ათამდე. პატარა ლიახვის ხეობაში 16 ქართული სოფელი ყოფილა.

ლიახვის ხეობის სრული შესწავლა დიდხანს ვერ ხერხდებოდა. ამას აძნელებდა ისტორიული წყაროების სიმცირე. არსებული წყაროების მიხედვით ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. მდინარის სათავეში ნაპოვნი ქვისა და კაჟის ერთეული ნივთები და ბრინჯაოს ხანის

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1941 წ., გვ. 71

² ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 71

³ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 115

კულტურის ძეგლები მიანიშნებენ, რომ ეს ადგილები ადრეულ ხანაში ყოფილა დასახლებული. 1938-1940 წლებში ამ ტერიტორიაზე არსებული ყორღანების გათხრისას აღმოჩნდა წინაისტორიული ხანის, დაახლოებით 25 000 წლის წინანდელი ნივთები. ეს იმას ნიშნავს, რომ ენეოლითის ხანაშიც ეს ადგილები დასახლებული ყოფილა. ამ დროიდან აქ უკვე მოსახლეობის უწყვეტი კვალი ჩანს. ამ პერიოდის ძეგლები უკვე მრავალადაა აღმოჩენილი.

ხეობის ისტორიული წარსული ძირითადად დაკავშირებული იყო ჩრდილოეთი საზღვრის დაცვასთან. ქართლის სამეფოს ხელისუფალნი ყოველთვის ცდილობდნენ ჩრდილოეთ საზღვართან მცხოვრებ ალან-ოსებთან და დვალეებთან, რომლებიც ლიახვის სათავის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდათ. მაგრამ კეთილმეზობლობა ზოგჯერ ირღვეოდა. ჩრდილოეთიდან ამ ტომებზე განხორციელებული თავდასხმების დროს ისინი მტერს ვერ უმკლავდებოდნენ და უკანდახვევისას ხშირად ლიახვის სათავიდან არაერთხელ შემოსულან ქართლის ტერიტორიაზეც.

სერგი მაკალათიას ნაშრომში მოყვანილია ამაზასპის მეფობის დროს ოსთა გადმოსვლა ქართლის ტერიტორიაზე: „გარდმოვიდნეს ოვსნი დიდნი სპანი გზასა დვალეთისასა, ხოლო ვერა ცნა ამაზასპ მეფემან გარდამოსვლა ოვსთა ვიდრე გარდამოსულამდე მთისა და მოვიდეს რა ოვსნი იგი, დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად და არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქსა მცხეთისასა შემუსვრად მოსულ იყვნეს“⁴. ოსთა შემოჭრას ადგილი ჰქონია ვახტანგ გორგასლის დროსაც. თუმცა ვახტანგს ოსები დაუმარცხებია და ჩრდილოეთის კარებიც ჩაუკეტავს.

მომდევნო საუკუნეებშიც, არაბთა ბატონობის დროს, ლიახვის ხეობაში, რეხასთან, დიდი შეტაკებები მომხდარა. როგორც ქართლის მემატიანე გადმოგვცემდა: „არაბთა სარდალი მოჰამედ ხალილის ძე მოვიდა ქართლს, მიერთო მას ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა და მისცა მას ქართლი“⁵.

XI საუკუნის II ნახევარში თურქ-სელჩუკთა შემოსევის დროს სულთან ალფ-არსლანის მეთაურობით საშინლად ააოხრეს ლიახვის ხეობა, სოფლები — კარბი და შერთული. მემატიანის თქმით: „ხოლო ყოველსა ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თვით სულტანი დადგა კარბსა და მერმე ჩამოღგა

⁴ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955 წ. გვ. 145

⁵ ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55

შერთულთა და აჭირვა საშინელმან ზამთარისამან და ბუქთა ძლიერთა⁶.

ლიახვის ხეობამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია არაბებისაგან დევნილ შიდა ქართლის მოსახლეობის გახიზვნას დასავლეთ საქართველოს მთიან მხარეში. ცნობილია, რომ არაბები აიძულებდნენ ქრისტიან ქართველებს სარწმუნოების გამოცვლას. მოსახლეობა იძულებული იყო მშობლიური მხარე მიეტოვებინა და თავშესაფარი ეძებნა. ასეთი ადგილი დასავლეთ საქართველოს მთიანი მხარე იყო, რომელიც არაბების ბატონობას გადაურჩა. დევნილი მოსახლეობა აღმოსავლეთიდან ლიახვის ხეობის გავლით, უღელტეხილზე, დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმში გადადიოდა. ამ მსვლელობას დადებითი შედეგიც ჰქონდა: ქართველი ქრისტიანების მთაში გახიზვნის დროს ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობამ ქრისტიანობა მიიღო. მთიანი მხარის გაქრისტიანებაში დიდი როლი შეუსრულებია ნიქოზის საეპისკოპოსოს, რომელიც იმ პერიოდში მოიცავდა დვალელთა, ოსთა და გლოლა-ღების ტერიტორიას⁷.

ახლომდებარე ტომებთან სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ერთიანობაში ყოფნა მეგობრულ პოლიტიკურ ურთიერთობას ავითარებდა საქართველოს სამეფოსთან. თუმცა მშვიდობიანი ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. XII-XIV საუკუნეებში აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა. მონღოლები ჩრდილოთ კავკასიის მოსახლეობასაც არბევდნენ. მათი დიდი ნაწილი ვეღარ უძლებდა მონღოლთა ბატონობას და სამხრეთისკენ მოიწვედნენ, ხეობების ვიწროებში იხიზნებოდნენ და საქართველოს საზღვრებს ჩრდილოეთიდან საფრთხეს უქმნიდნენ. მონღოლთა წაქეზებით გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს გადმოლახეს ლიახვის სათავეები, ააოხრეს ხეობა, აიღეს გორი და ქალაქში გამაგრდნენ. გიორგი ბრწყინვალემ მოახერხა მათზე გამარჯვება და ჩრდილოეთის სათავეები ჩაკეტა.

XIV საუკუნის II ნახევრიდან თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს ქართლის ჩრდილოეთ საზღვრებს რვაჯერ შეექმნა საშიშროება. ლიახვის ხეობის დაცვა-მეთვალყურეობა ამ დროს მეფისაგან დიდგვაროვან მანაბელს ჰქონია დავალებული⁸.

მემატიანის ცნობით, მანაბელს ოსეთთან სამხედრო კავშირი დაუმყარებია და მათი დახმარებით თემურ-ლენგის ლაშქარი დაუმარცხებია. მანვე

⁶ ლეონტი მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1914 წ., გვ. 362

⁸ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 25

შეძლო ჩრდილოეთით მოსახლურე ტომებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. მაჩაბელი, როგორც ლიახვის ხეობის ერთგული დამცველი, აქვე დასახლდა, ხეობის ცენტრში — აჩაბეთში, და მეფისაგან მიენიჭა ხევის უფროსის, ხევისთავის სტატუსი. ლიახვის ხეობის ქვედა ნაწილის დასახლება კი შედგენიძე-ამილახვრების სამემკვიდრეო გახდა.

ლიახვის ხეობა ჩრდილოეთ ოსეთიდან ყოველთვის იღებდა მტრის პირველ დარტყმას. ტერიტორია გამაგრებული იყო ციხე-კოშკებით. დიდი ლიახვის სანაპიროებზე განლაგებული იყო მუგუთის, გუთის, სვერის, კეხვისა და აჩაბეთის ციხეები, პატარა ლიახვზე — არწევის, ვანათის, კულბითის, ერედვის ციხე-გალავნები. ხეობაში მრავლად იყო საყარაულო კოშკებიც.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ ჩრდილოეთი საზღვარი მოიშალა და გაერთიანდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, რომელიც უკვე რუსეთის სახელმწიფოში შედიოდა. საზღვრის დარღვევას მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების ჩამოსახლება, რომლებიც ძირითადად ჯავის ტერიტორიაზე, ნაწილობრივ კი ცხინვალშიც დასახლდნენ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ლიახვის სათავეში უამრავი ციხე-კოშკი და ციხე-გალავანი იყო აშენებული, რომელთაც თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ნაშრომში ადგილზე მოძიებული და ძველი წყაროების მოშველიებით მეცნიერი გადმოგვცემს ყველა ციხე-კოშკის ისტორიას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთმა მათგანმა ჩვენ საუკუნემდე ვერ მოაღწია. ნასოფლარებისა და ისტორიული ძეგლების მიხედვით სოფლებში ძირითადად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

წარსულში ლიახვის ხეობის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრი იყო აჩაბეთი. აქ ყოფილა აჩაბეთის ციხე, მეფის რეზიდენცია და ხეობის გამგებლის — მაჩაბლის ადგილსამყოფელი. მას ეკავა ლიახვის ხეობის ცენტრალურ გზაზე მეტად მნიშვნელოვანი ადგილი. ვახუშტი მასზე საინტერესო ცნობას იძლევა: „თირის ხევზედ, გორის ძირს არის აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“⁹.

ს. მაკალათიას მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს აჩაბეთი ნანგრევს წარმოადგენდა, სასახლის კვალიც არ ჩანდა, მისი ციხე-გალავანიც დაშლილი იყო, მაგრამ ამ ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ციხეს თავისი გალავნით ერთ ჰა-მდე ტერიტორია ეკავა. იმ დროს აჩაბეთი პატარა სოფელი იყო, 300 კომლით. ძირითადად ცხოვრობდნენ მაისურაძეები, ხეთაგურები, ბაბუცაძეები, რახმაძეები, ოტიაშვილები და სხვ.

⁹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 76.

მაჩაბლის გვარი დაიკარგა. გადმოცემით, მაჩაბლის გვარს ოტიაშვილები ატარებდნენ. ესენი იყვნენ ოტია მაჩაბლის შთამომავლები.

ცნობილი სოფელი თამარაშენი, აჩაბეთის მახლობლად, ცხინვალ-ჯავის შარაგზის მარცხენა მხარეს, ლიახვის პირას მდებარეობს. სოფელი ვაკეზეა გაშლილი და იმ დროისთვისაც ეკავა საკმაოდ დიდი ფართობი. ვახუშტი მას ქალაქად მოიხსენიებს: „კვალად ცხინვალს ზეით არს, ლიახვის დასავლეთით, თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი“¹⁰. სოფელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ, გადმოცემით, ის თამარ დედოფალს აუშენებია, მასვე უქცევია პატარა ქალაქად და ვაჭრობის განვითარების მიზნით აქ სომეხი და ებრაელი ვაჭრები დაუსახლებია. თუმცა, ზაალ და ბორის მაჩაბლების საბაწმინდიდან აქ გადმოსვლის შემდეგ, ებრაელები და სომეხები ცხინვალში განუდევნიათ, მათი ადგილები შეუსყიდიათ და იქ დასახლებულან. მათი მამული ცხინვალიდან როკი-იმერეთის საზღვრამდე ყოფილა. აქ მაჩაბლების კომპის სიახლოვეს შემორჩენილი ყოფილა ვანო მაჩაბლის სახლი. მკვლევარს ზედმიწევნით სიზუსტით აქვს აღწერილი გასული საუკუნის 50-იან წლებში მაჩაბლების მამულში შემორჩენილი ნაგებობები.

ს. მაკალათია თანამიმდევრობით და საოცარი სიზუსტით აღწერს ლიახვის ხეობაში განთავსებულ ციხე-კოშკებს და ეკლესია-მონასტრებს. გადმოგვცემს მათზე არსებულ ისტორიებს, როგორც საისტორიო წყაროებით, ასევე ხალხში არსებული ინფორმაციით. გვაწვდის ინფორმაციას აღმშენებლის, მეპატრონისა და მის ირგვლივ წარმოებული ბრძოლების ისტორიას, ცნობილი სოფლების — რეხას, ნაჭარმაგევის (კარალეთის), ნიქოზისა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში განთავსებული სხვა სოფლების, თვით ქალაქ გორის წარმოშობასა და ისტორიას, რაც ძალიან საინტერესოა.

მკვლევარს მოძიებული აქვს ყველა სოფელზე, დასახლებულ პუნქტსა და ტაძარზე არსებული ეთნოგრაფიული მასალა: თქმულებები და გადმოცემები, რაც უაღრესად საინტერესო და იშვიათი მონაპოვარია.

სოფელ ნაჭარმაგევთან (კარალეთთან) არის დაკავშირებული თამარ მეფის მოღვაწეობის რამდენიმე ფაქტი. მეფეს მუდმივი კავშირი ჰქონია აქაურობასთან. მემატიანის თქმით, მეფეს ნაჭარმაგევში შეუტყვია თავისი ავაღმყოფობის შესახებ. სწორედ ამ სოფლიდან წაუყვანიათ ავაღმყოფი თამარი აგარის ციხეში და იქ გარდაცვლილა. ვახუშტის გადმოცემით, „ნა-

¹⁰ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 76.

ჭარმაგვეი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარაღეთად წოდებული, ადგილი ტურფა, ჭაღლიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი¹¹. ექსპედიციის დროს, ამ ადგილზე მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ეკლესიის ნანგრევი ყოფილა შემორჩენილი.

ქართლის სოფლების მდგომარეობის გადმოცემის შემდეგ მეცნიერი ყურადღებას უთმობს ქალაქ გორს — ქართლის გულს, რომელიც ცნობილია თავისი ულამაზესი ციხით. ს. მაკალათიას გორის ციხე 1920 წლის მიწის-ძვრის შედეგად საკმაოდ დაზიანებული დახვდა.

დასაწყისში აღვნიშნე, რომ დიდი მეცნიერის ერთ-ერთი ექსპედიცია მიემდვნა ლეხურის ხეობის შესწავლას. მდინარე ლეხურა სათავეს იღებს ხარულის ქედის სამხრეთ ნაწილში. მოედინება ქართლში, ახალგორისა და კასპის ტერიტორიაზე და მტკვრის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს.

მკვლევარი წერს, რომ 1940 წელს ამ ტერიტორიაზე, ნატახტარ-გორის გზის გაყვანის დროს, სოფელ იგოეთთან, გზის მარცხენა მხარეს, აღმოჩენილი იქნა წინაისტორიული ხანის სამარხები. 1944 წელს სოფელ გამდლისწყაროსა და იგოეთის ხილს შორის გვიანი ბრინჯაოს ხანისა და აღრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. VII-VII სს.) ნივთების აღმოჩენამ ამ ტერიტორიების დამატებითი შესწავლის სურვილი გააჩინა. ლეხურის ხეობას ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა. ამას მოწმობს ამ ხეობაში აგებული ათეულობით სტრატეგიული ციხე, მათ შორის კლდემალალას ციხე, რომელიც ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მთიელი ხალხისგან იცავდა ადგილობრივ დასახლებულ ტერიტორიებს. VI საუკუნის II ნახევარში ლეხურის ხეობაში მოღვაწეობდნენ ათცამეტი ასურელი მამანი. მათგან ორი — თათე და ისიდორე — ლეხურის ხეობაში დასახლებულან, თათე ლეხურის ხეობაში, ისიდორე კი — სამთავისში, რომელიც ამ ხეობის კულტურულ-რელიგიური ცენტრი გახდა. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას ხელს აწერდა 24 ეპისკოპოსი. მათ შორის ყოფილა სამთავნელი ეპისკოპოსიც, რომელიც საეპისკოპოსოში 23-ე ადგილს იკავებდა¹².

ისტორიულად ლეხურის ხეობა, თავისი დასახლებული პუნქტებით, ჯერ ქართლის საერისთავოში, ხოლო შემდეგ გორის სამოურავოში შედიოდა, XIV საუკუნიდან კი ზედგენიძე-ამილახვრის სამფლობელოში მოექცა. ხეობა მოიცავდა შიდა ქართლს, ლეხურა-მეჯუდიდან დაწყებული, ზემო

¹¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 75.

¹² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1955, გვ. 302.

ქართლის საზღვრებამდე (ბორჯომის ხეობამდე). ხეობა ყურადღებას იქცევდა ისტორიული ძეგლებით. მათი გაცნობა საშუალებას იძლევა ამ ხეობის მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურ ვითარებაზე. ამ მხარის შესწავლის დროს სოფლები ძირითადად ხეობის პირას, ბარში იყო გაშენებული. მოსახლეობა რაოდენობრივად 19.500 სულს არ აღემატებოდა.

სოფლებსა და ნასოფლარებს შემონახული ჰქონიათ ისტორიული ქართული სახელები, როგორც ვახუშტის აღწერაში ყოფილა: კასპი, მთავარანგელოზი (ნასოფლარი), იგოეთი, ფუნგისი (ნასოფლარი), გერისხევი (ნასოფლარი), ძეძნარი (ნასოფლარი), კოდისწყარო, ორჭოშანი, ყურთუხის ტყე (ნასოფლარი), ბენისი, ჭალა, ახალქალაქი, ლეგმაშენი (ნასოფლარი), რეხა (ნასოფლარი), აბრევი, ტბეთი, ცხინურისი, ლელოვანი, წირი, წუბები, წოლდი, ზახორი, ხანდოეთი, არმაზი¹³.

მინდა შევეხო სერგი მაკალათიას ნაშრომში დასახელებულ, ლეხურის ხეობის ჩრდილოეთის დასახლებული პუნქტების აღწერას. ისტორიულად ეს ხეობა შედიოდა ჯერ ქართლის საერისთავოში, შემდეგ კი გორის სამოურავოში. XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის შემოსევების დროს, საშინელი აოხრება განიცადა და 1465 წელს გადაეცა ზედგენიძეებს, რომელთაც მეფისადმი ერთგულებისთვის ებოძათ ამილახვრობა და შიდა ქართლში საკმაოდ დიდი ტერიტორიები. ამილახვრობა შემდეგში ზედგენიძეების შთამომავლობამ გვარად მიიღო¹⁴. ამ ტერიტორიაზე, ლიახვის ხეობისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებად არის შემორჩენილი შუა საუკუნეების ძეგლები.

ლეხურის ხეობაში, კასპის ზევით, საკმაოდ მოშორებით, ტყეში შემონახული იყო მონასტერი მამება, რომელიც მისასვლელადაც და მისაგნებადაც საკმაოდ რთულ ადგილზე მდებარეობდა. ვახუშტის დროსაც მივიწყებული ყოფილა ამ ციხის სახელი. იგი წერდა: „კასპს ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამება, სტეფან წმინდისა, თათესაგან, 13 მამათაგანის ქმნული. დაფლულა წმინდა თათე მუნ. იტყვიან ამის ნაწილს აღმოსვლასა, ვითარცა წმინდის შიოსას, არამედ აწ დეკანოზის მიხეზით დაჩენებული; და აწ არს ხუცის სამარ“¹⁵. მონასტრის სახელი მომდინარეობდა „მამებისაგან“. თათე იყო ერთი ცამეტ მამათაგანი.

ლეხურის ზედა, მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა ქართული სოფელი

¹³ ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა, 1964, გვ. 10.

¹⁴ ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა, გვ. 9.

¹⁵ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 72.

სამთავისი, სადაც ძირითადად უზნადეები ცხოვრობდნენ. სამთავისი, როგორც საეპისკოპოსო, VI საუკუნიდანაა ცნობილი. ვახუშტის ინფორმაციით აქ მოღვაწეობდა ცამეტ სირიელ მამამთავან ერთ-ერთი — ისიდორე: „რეხულას აღმოსავლეთით არის სამთავისი, ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდ მშენებერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწვემსი ქსნისა და ლეხურას ხეობისა. ქმნულ არს იგი (13) მამათავანისა ისიდორესაგან, და დაფლული არს იგი მუნ“¹⁶. ტაძარი, რომელიც მეცნიერს ადგილზე დახვდა, უფრო გვიან, XI საუკუნის კულტურას მიეკუთვნება. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს სამთავისის საეპისკოპოსო ფლობდა 17 სოფელს.

ლეხურის ხეობის ზედა, უფრო ვიწრო ნაწილში, მდებარეობდა სოფელი რეხა — ნასოფლარი, რომლის ადგილზეც გაშენებული იყო ქართული სოფელი საკორინთლო. მის აღმოსავლეთით მდებარეობს მონასტერი ქვაბისმანი. ვახუშტის აღწერაშიც ის „ქვაბისმანად“ იწოდება, თანამედროვენი კი უბრალოდ მონასტრად მოიხსენიებდნენ. ეკლესია X-XI საუკუნეებში ყოფილა აშენებული. აქედან გამომდინარე, მას პირვანდელი სახე დაკარგული ჰქონდა. თუმცა მეცნიერის მიერ ჩატარებულმა აღწერამ შემოგვინახა მონასტრის იმდროინდელი სახე, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

რეხა-ქვაბისმანიდან ლეხურის ხეობა ვიწროვდება და შეიმჩნევა ქართული მოსახლეობის შემცირება — ზემოთ, ლეხურის ხეობის სათავემდე, ოსების სოფლები იყო განთავსებული. აქედან იწყებოდა ლენინგორის, დღევანდელი ახალგორის რაიონი. როგორც მეცნიერი წერს, XVII საუკუნის ამილახვრიანთ დავთრის მიხედვით ხეობის ამ ნაწილში ქართული მოსახლეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, XVIII საუკუნეში, ლეკიანობის დროს კი, სოფლის მოსახლეობა გაუწყვეტიათ. მათ ნასოფლარებზე ოსები ჩამოსახლებულან. სოფლები რომ ქართული იყო, ამაზე მათი სახელები, იქ შემორჩენილი ეკლესიები და ციხე-კოშკებიც მოწმობენ.

ლეხურის ხეობის ზემოთ საინტერესოა სოფელი ზახორი, რომელიც წარჩინებული აზნაურების — დაზნელების სამფლობელოს წარმოადგენდა. აღარ შეეგებოდა ისტორიას, რომელიც დაზნელებს უკავშირდება. მხოლოდ ერთს ვიტყვი, დაზნელების ციხე-დარბაზი, რომელიც მათ იქ ცხოვრებას ადასტურებს, ლეხურის ხეობის სიამაყეს წარმოადგენდა და მთელს ხეობას ამაყად გადაჰყურებდა. მას ადგილზე კაბაურსაც უწოდებდნენ. „ტირიფონის ზემოდან, მდინარე მეჯუდის ხეობაში, გორაკზე, გოროზად აღმართუ-

¹⁶ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 72.

ლია ტახტის აზნაურ დაზნელთა ციხე-დარბაზი მაღალი კოშკით¹⁷. XVIII საუკუნის II ნახევრის სხვა წყაროთი კი დასტურდება, რომ დაზნელთა საგვარეულო მთლიანად არ ამოწვევტილა და საამილახვრო დაეთარში ისევ მოიხსენიებიან. აქედან გამომდინარე, საუკუნის მეორე ნახევარში სოფელი კვლავ ქართული მოსახლეობით ყოფილა დასახლებული.

ზახორიდან ხუთ კილომეტრში მდებარეობდა ნასოფლარი არმაზი — იმ დროისათვის ოსებით დასახლებული. ლეხურის სათავეს ბოლო სოფელია ქოლოთა, სადაც მთიულეთიდან (ფასანაურიდან) ჩამოსული ქართველები ცხოვრობდნენ. აქ აშენებული კოშკები ჩრდილოეთიდან იცავდა დასახლებას. ს. მაკალათია აღნიშნავდა, რომ ქართული სოფლები ძირითადად ხეობის ქვედა ნაწილშია განთავსებული და მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ოსურ, მცირემოსახლეობიან სოფლებს.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიული წარსულით ასევე საინტერესოა ქსნის ხეობის სათავეს დასახლება, ქსნის სათავედან ოძისამდე, ძირითადად ლენინგორის (ახლანდელი ახალგორის) რაიონი. მდინარე ქსნის სათავეს სამი ხეობა ქსნის: ჭურთის, ჟამურ-ქარჩოხისა და ცხრაზმისა. ხეობის სიგრძე 60-70 კმ-ს შეადგენს და იმ დროსაც საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

ქსნის ხეობა რომ უძველესი დროიდან ქართულ მოსახლეობას ჰქონდა ათვისებული, ამას მოწმობს ამ ტერიტორიებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგები. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ წყაროების მიხედვით აქტიური ცხოვრება ამ ხეობაში იწყება XV საუკუნიდან. ხეობა ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა თრუსოსა და არაგვის ხეობებით. ამ ტერიტორიებს განაგებდნენ ციხისთავები და ხევისუფალნი, რომლებიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ. ხეობის ჩრდილოეთი მხარე გამაგრებული ყოფილა წირქვალის მაგარი ციხით. ქსნის ხეობას იცავდა ჟამურის ხეობაში აგებული ბერ-ციხე. ცხრაზმის სათავეს — უკანუბნის ციხე, ჭურთის ხეობას — ციხე წინკიბე. ხეობები დაცული იყო არა მხოლოდ გარე მტრისაგან, არამედ კახელი ფეოდალებისგანაც. შიდაფეოდალური ბრძოლები ხშირად იმართებოდა ქსნის ხეობაში.

XV საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქსნის საერისთავო, სათავედოსთვის დამახასიათებელი ციხე-დარბაზით, ვრცელი სამფლობელოთი, ემა-მამულით, საძვალეთი. იურიდიულად წერილობითი კანონების გაფორმება დაევალა ლარგვისის მონასტერს, სადაც დაიწერა „ძეგლი ერისთავ-

¹⁷ ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა, გვ. 47.

თა“. ქსნის საერისთავოს გაფართოება უხდებოდა ჩრდილოეთის მხარეს, ლეხურის ხეობისკენ. ქსნის ერისთავები დაეპატრონენ ყველა იმ სტრატეგიულ გზა-ბილიკს, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიდიოდა. საერისთავოს ახალი ცენტრი გახდა ახალგორი — „მცირე ქალაქი“, როგორც წყაროებში იხსენიებოდა. ახალგორი XVI-XVIII საუკუნეებში ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საგვარეულო სამარხი გადმოტანილი იქნა იკორთაში.

მცირე პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმოხილვის შემდეგ ს. მაკალათია აღწერს ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებს. აქაური სოფლები და ნასოფლარები ძირითადად ქსნის ხეობაშია განლაგებული. სოფლებს შემონახული ჰქონდათ ძველი სახელები. აქ ძირითადად შევეხები ქსნის ხეობის სათავეში მდებარე დასახლებულ პუნქტებს. ხეობაში უძველესი სოფელია ოძისი. მას ვახუშტი იხსენებს თავის „აღწერაში“. რუკაზე აღნიშნულია, როგორც პატარა სოფელი. არა აქვს აზნაურის, თავადისა და დიდებულის რეზიდენციის ნიშანი. ოძისი გიორგი ერისთავის მშობლიური სოფელი იყო. ის ქართული დასახლებაა.

ხეობაში ახალგორი ერთ-ერთი ძველი დასახლებაა. როგორც ზევით აღვნიშნე, მას „მცირე ქალაქად“ იხსენიებდნენ და XVII საუკუნიდან იყო ქსნის საერისთავოს ცენტრი — რეზიდენცია. ვახუშტის „აღწერასა“ და რუკაზეც არის აღნიშნული: „არის მცირე ქალაქი ახალგორი, მოსახლენი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა“¹⁸. სომეხთა აქ ჩასახლების საკითხი იმ დროისათვის გაურკვეველი იყო. თვითონ ადგილობრივი სომეხების გადმოცემით მათი წინაპრები ქალაქ ანისიდან გადმოსახლებიან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ქალაქი ძირითადად სომეხებით ყოფილა დასახლებული, ჭარბობდა სტეფანოვების გვარი. აქ შემორჩენილი იყო ერისთავების სასახლე, დაშლილი გალავნითა და გალავნის ციხე-კოშკებით.

ახალგორთან ახლოსაა ქართული სოფელი ყანჩაეთი, სადაც ძირითადად ტატუნაშვილები ცხოვრობდნენ. სოფელთან ახლოს, მაღლობზე მოჩანდა საკმაოდ მოზრდილი მონასტერი კაბენი — ხეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი, რომელიც IX საუკუნით თარიღდება. ვახუშტი ასე აღწერდა: „არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი ყანჩაეთს, კეთილ ნაშენი, მშვენიერს ადგილს, და აწ ხუცის სამარ“¹⁹. გზისპირას, ხეობის ორივე მხარეს,

¹⁸ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 58.

¹⁹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 68

გაშენებული ყოფილა სოფელი საძეგური, რომელიც ცნობილია ახალგორის განძით. განძის აღმოჩენის სიახლოვეს, ნახევარი კილომეტრის დაშორებაზე, ძველი ნასოფლარი „გედეს კარია“. აქ დარბაზული ტიპის სახლების ნანგრევებია შემორჩენილი, რომლებიც ექსპედიციის დროს ჩაქცეული იყო. ნასოფლარი მალღობზე იყო აშენებული. სოფელი საძეგური ვახუშტისაც აქვს მოხსენებული, გედესკარი კი — არა. სავარაუდოდ, ეს სოფელი ამ ხეობის ყველაზე ძველი დასახლება უნდა ყოფილიყო.

ლარგვისის სიახლოვეს გაშენებული იყო სოფელი ცხავატი. სოფლის შესახებ მემკატიანე XII საუკუნის წყაროში მოიხსენიებს. ცხავატში იმ დროს 80-ამდე კომლი ცხოვრობდა. გადმოცემით, ყველაზე ძველი გვარი, ვინც აქ დასახლდა, ბუნტური ყოფილა. სოფელი განთქმული ყოფილა თიხის ჭურჭლის დამზადებით. აქ დამზადებულ ჭურჭელს აღმოსავლეთ საქართველოში დიდი გასავალი ჰქონია.

დადიანურსა და ცხრაზმულას ხეობის სათავეში გაშენებული იყო სოფელი დადიანეთი, 62 კომლით, სადაც ძირითადად ბერაინძეები ცხოვრობდნენ. დადიანეთი ხეობის სათავეში ყველაზე დიდი სოფელი იყო, ირგვლივ შემორჩენილი რამდენიმე კოშკის ნანგრევით.

ქსნის სათავე მოიცავს ასევე ქარჩოხ-ჟამურის ხეობას, რომელიც ქსნის შენაკადებს შორის ყველაზე დიდია და დიდ ფართობსაც მოიცავს. ხეობაში 16 ქართული და 5 ოსური სოფელი ყოფილა. ხეობის სოფლებს იცავდა ბალაანში აშენებული, ხევისპირას მდგარი ბალაანთ კოშკი და მის მოპირდაპირედ მდგარი (იმჟამად ნახევრად დანგრეული) კვერიათის ციხე.

ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ქარჩოხის ხეობაში მდებარე სოფლები მონოგენურია, ძირითადად ერთი გვარის ხალხით დასახლებული და სოფლებიც გვარის სახელს ატარებს. თითოეულ სოფელს თავისი საგვარეულო კოშკი ჰქონია. ქარჩოხის ხეობაში შემორჩენილი ყველაზე დიდი ნაგებობა ქარჩოხის ციხე-დარბაზი იყო, რომელიც ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობს, იქ სადაც ოხერისხევი ერთვის ქსანს. გალავნით შემოფარგლულ ტერიტორიაზე განლაგებული იყო მაღალი, შვიდსართულიანი კოშკი და ციხე-დარბაზი. ასეთი ნაგებობა იმ დროისათვის ქსნის ხეობაში არ იყო შემონახული. სავარაუდოა, რომ აქვე იყო სოფელი ქარჩოხი, რომელიც სამთავნელის წიგნში ყოფილა მოხსენებული. მეცნიერი თვლის, რომ ეს იმჟამინდელი სოფელი პავლიანია.

ქარჩოხის ჩრდილო-დასავლეთით, ქსნის სათავეში, ჟამურის ხეობაა, სადაც ძირითადად 5 პატარა ოსური სოფელია, სულ 40 კომლით. მახლობელ ტყეში რამდენიმე სათვალთვალ კოშკის ნანგრევია. მათ შორის სა-

ყურადღებო იყო ბაგინის კოშკი, რომელიც ჟამურისა და ქსნის ხეობების ბოლო სოფელში იყო აშენებული. სოფელი ჟამური ძველი დასახლება ყოფილა. ის მოხსენებულია სამთავნელის X საუკუნის წიგნში. თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლის წარსულის შესახებ არაფერი იცოდა.

სერგი მაკალათიას მიერ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ჩატარებულ ამ ექსპედიციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაშრომის — „ლიახვის ხეობის“ შესავალში მკვლევარი აღნიშნავდა: „უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის ხეობების ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს ქართლის ისტორიული წარსულის გასაცნობად“²⁰.

შიდა ქართლის ეს ტერიტორია გეოგრაფიულად საქართველოს საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს, მდინარე არაგვიდან ხაშურის რაიონამდე. გეოგრაფიულად მას საქართველოს ცენტრალური ტერიტორია უჭირავს და ის არა მხოლოდ საქართველოს ყველა კუთხის დამაკავშირებელია, არამედ სტრატეგიულად და ეკონომიკურად მომიჯნავე ქვეყნებსაც აკავშირებს ერთმანეთთან. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლებში შიდა ქართლი ყოველთვის მნიშვნელოვან დარტყმას იღებდა.

ასე იყო 2008 წელსაც... ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი დღეს საზღვრის მიღმაა...

სწორედ დროული იყო XX საუკუნის 60-იან წლებში გამოქვეყნებული ეს მასალა, რომელშიც ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად კარგად არის გადმოცემული სამაჩაბლოს სოფლების მძიმე წარსული, მოსახლეობის ეთნოლოგიური შემადგენლობა და მათი იმჟამინდელი ყოფა.

Tinatini Jabadari

Sergi Makalatia _ A Researcher of Samachablo

In the 1940s and 1950s, Professor Sergi Makalatia organized expeditions dedicated to the historical, geographical, ethnographic, and ethnological exploration of various regions in Georgia. This work primarily centers on the data collected during his investigations in Shida Kartli. The research on the gorges of Shida Kartli commenced in 1950, with the findings being published serially by 1957. These publications included “Ateni Gorge,” “Borjomi Gorge,” “Kavtura Gorge,” “Lekhura Gorge,” “Liakhvi Gorge,” “Tedzmi Gorge,” “Frone Gorge,” and “Ksani Gorge.”

²⁰ ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, 1971, გვ. 1

Among the valleys mentioned above, this paper exclusively delves into the outcomes of the expeditions conducted in the northern part of Shida Kartli. This region, which primarily encompasses the territory outside our historical borders after the Russian-Georgian war in August 2008, constitutes the principal area of Tskhinvali municipality. The administrative center is Java township, and Java municipality as a whole, comprising its 20 villages, along with Akhlagori municipality, which comprises 110 villages.



სერგი მაკალათია მუშაობის დროს, სტუდენტებთან და კოლეგებთან

**სამეგრელოს სამთავროში მოღვაწე ოსტატები
(XI-XIX სს.)**

ოდიშ-სამეგრელოში საუკუნეების მანძილზე ქართველი თუ უცხოელი ოსტატების შრომით იქმნებოდა ეროვნული კულტურის უდიდესი საგანძურნი: ხელნაწერი წიგნები, ტაძრები, ხატები, ფრესკები. ოსტატებს უმეტეს შემთხვევაში გვერდში ედგნენ მთავრები და სასულიერო პირები. მიუხედავად „უამთა სიავისა“, მათი ქმნილებების გარკვეულმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია, ხოლო ოდიშ-სამეგრელოში მოღვაწე ოსტატების შესახებ ცნობებს გვაწვდის მათივე ნამუშევრების „ანდერძ-მინაწერები“.

ქართული ეროვნული კულტურის შემქმნელ ოსტატთა შორის გამოირჩევიან დადიანთა სამთავრო კარზე მოღვაწე კალიგრაფები, ოქრომქანდაკელები, მწერლები, კალატონ-მშენებლები. პროფესორი ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, რომ „ძველ ქართველ ოსტატებს მშვენივრად ესმოდათ თავისი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. საკოცარმა, ივანე მორჩაისძემ, ბავრელმა, არსუკიძემ კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით შექმნილი ტაძრები მხოლოდ სამლოცველოები კი არა იყო, არამედ ეპოქის ძეგლები, რომელთა მიხედვითაც განსჯიდნენ იმ ეპოქას შთამომავლები. წიგნების გადამწერებმა, რომელნიც საქართველოსა და უცხოეთის ქართულ სავანეებში იღვწოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით იქმნებოდა უდიდესი განძი, რომელიც ეროვნული კულტურის საფუძველს შეადგენდა. არა მარტო კალიგრაფებმა, რომელნიც ხშირად იმეორებდნენ ამ სიტყვებს, არამედ ყველა დარგის ოსტატმა იცოდა, რომ „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგოეს“¹.

სამეგრელოში (ოდიშში) საუკუნეების მანძილზე ოსტატთა მრავალი თაობა მოღვაწეობდა; ისინი სიყვარულითა და უდიდესი რწმენით ქმნიდნენ შესანიშნავ ძეგლებს. სამეგრელოში ქართველებთან ერთად უმოღვაწეობდათ უცხოელ ოსტატებს, რომლებიც სამეგრელოს მმართველ დადიანების მოწვევით იმყოფებოდნენ სამთავრო კარზე. წარმოგიდგინთ X-XIX საუკუნეებში მოღვაწე ზოგიერთ მათგანს:

იონე მესეუტე — ბერი, XI საუკუნის კალიგრაფ-გადამწერი; მრავალი წელი ასკეტუად ცხოვრობდა მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის მო-

¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 7.

ნასტერში. მისი ადგილსამყოფელი ყოფილა კოშკში (სვეტი). 1030-1031 წლებში ვახტანგ ფარჯანიანის შეკვეთით გადაწერა ჰაგიოგრაფიული კრებული, შემდეგი წარწერით: „დაწერა სვეტსა ზედა ჭყონდიდისა, აღიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა, ინდიგტიონსა (სიც): და: ქრონიკონსა სნა, კელითა იოვანე მესუეტისათა. ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვა ყავთ“. „ინდიქტიონი“ ე. ი. ბაგრატ კურაპალატის მეფობის წლებს ნიშნავს, ხოლო ქრონიკონი ე. ი. 1031 წელს უდრის. იოანე მესვეტის მიერ გადაწერილი ხელნაწერი 117 ფურცლისგან შედგება. ოცი წლის შემდეგ, 1050 წელს, იოანე მესვეტე მონაწილეობდა ოთხთავის გადაწერაშიც. ეს ხელნაწერი „მარტვილის ოთხთავის“ სახელითაა ცნობილი. წიგნი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. მარტვილის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში წერია: „მე ივანე ფარჯანიანმა დავიწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა...“ ცოტა ქვემოთ იხსენიებიან გადამწერნი: „დაწერა წმიდაი ესე სახარებაჲ კელითა აღიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისაჲთა, ლოცავსა წმიდასა თქვენსა გვერდით...“².

არსენი — მწერალი, კალიგრაფი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XI საუკუნეში მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში. არსენი, იოანე მესვეტესთან ერთად, ივანე ფარჯანიანის შეწვევით მონაწილეობდა მარტვილის ოთხთავის გადაწერაში. ხელნაწერის წარწერებში არსენი ასე იხსენიება: „...და მეც გლახ საწყალობელი სულითა არსენი ეშმს ძე...“; შემდეგ: „იესუ ქრისტე, შეიწყალი საწყალი და მწარედ ცოდვილი არსენი მწერალი...“. ვ. ბერიძე მიიჩნევს, რომ არსენის მიერაა შესრულებული „ორნამენტირებული საზედაო ასოები, ერთ-ერთ მათგანს მიწერილი აქვს: „არსენი უფალო შეიწყალე“³.

ივანე დიაკონი — ოქრომჭედელი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XI საუკუნეში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში შეუსრულებია მარტვილის საწინამძღვრე ჯვარი, რომლის უკანა მხარეს მოთავსებულია ავტორის წარწერა: „გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მარხუელისამან... სადიდებლად და სალოცველად-აღიდენ ღმერთმან-ძრიელისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და შვილთა მათთა... შეიქმნა კელითა ივანე დიაკონისათა“⁴.

ივანე დიაკონი მოღვაწეობდა იმ დროს, როცა ჩვენს ოქრომჭენდაეკებ-

² ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ. 1967, გვ. 128-129.

³ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 129.

⁴ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 113.

ლობაში ასევე, ხისა და ქვის რელიეფში, მკაფიოდ წამოიწია წინ პლასტიკურმა, ე. ი. საკუთრივ სკულპტურულმა გამოსახვამ. ამას განსაკუთრებით კარგად გვიჩვენებს ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა, რომელიც მაღალი რელიეფითაა შესრულებული... მარტვილის საწინამძღვრე ჯვრის ფიგურებში სწორედ ახალი ეპოქა აისახა.

კირმანულ ევიენიკოსი — კონსტანტინოპოლელი ხატმწერი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIV საუკუნეში; ამავე საუკუნის მიწურულს ოდიშის მთავრის — ვამეყ I დადიანის (1384-1394 წწ.) მოწვევით იმყოფებოდა წალენჯიხაში და მოხატა წალენჯიხის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარი. წარმოშობით ბერძენი კირმანულ ევიენიკოსი, ვამეყ დადიანმა წალენჯიხის ტაძრის მღვდლებს — ანდრონიკე გაბისულავას და მახარობელ ქვაბალიას ჩამოაყვანინა კონსტანტინოპოლიდან, რაც ჩანს თავად მხატვრის მიერ წალენჯიხის ფერიცვალების ტაძრის კედელზე შესრულებულ ბერძნული წარწერაში: „ქ. პატრონისა ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთ უხუცესისა დადიანისა ვამეყის ბრძანებითა მოვ[იყვანე] კონსტანტინოპ[ო]ლით მხატვარი კირ მანოელ ევიენიკოს და დავახატვინე [ესე ეკლესია შეწვევითა ღმრთი-სათა. ვინც]ა შენ[დობა ბრძანით, [თქვენ]ცა შეგინდოს [ღმერთმან], ამინ, ამინ, ამინ“ და იქვე ბერძნულად წარწერაში იკითხება: „ქ. წარვეგზავნეთ მაცხოვრისა შეწვევითა კონსტანტინოპოლეს და მოვიყვანეთ მხატვარი ესე კირ მანუელ ჩვენ...ონ... მა[ხარობელი] ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვევედრებით მაცხოვარს, რათა გვიხსნას ჩვენცა დიდსა დღესა მას განკითხვისასა, ამინ, ამინ, ამინ... მაშენებელთა, გალატონთა და ხელის-ყოფითა და მხარეულთა ყოველთა შეუნდვენს ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ“⁵.

რაფაელი და მანასე — XVII საუკუნის მწერლები; მოღვაწეობდნენ ოდიშში, ლეონ I დადიანის (1545-1572 წწ.) მთავრობის დროს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლეონ დადიანისა და დედოფალ ელენეს ბრძანებით ოდიშში გადაიწერა სახარება; ხელნაწერის წარწერის მიხედვით ეს სახარება გადაუწერიათ მწერლებს — რაფაელსა და მანასეს: „აღიწერა და სრულ იქმნა წმინდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ოთხთავი ბრძანებითა ღ(ირს)ის მიერისა და მზეებრ ბრწყინვალისა ოდიშის ბატონისა ლეონ დადიანისათაჲ... მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი და საუკუნომცა არს საცნებელი და კურთხევა მათი... საწყალობელი მწერალი

⁵ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 212.

რაფიელ(რ'ფლ) მოიცხენეთ, საწყალობელი სულით, უფალსო ჩემსო, ვაძმე... დიდებაი ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, ღმერთო, აცოცხლე და ადღეგრძელე ორთავე შინა ცხოვრებათა დადიანი პატრონი ლეონ და თანამცხედრე მათი პატრონი ელენე და დედოფალი ამინ... ღმერთო შეიწყალე ამის მწერალი მანასე და მისნი მშობელნი ამინ: და ვინცა შენდობამ ბრძანოთ თქ'ნცა(თქუნცა) შეგინდეს ღმერთიან ამინ!⁶.

სპარსი გიორგი — მწერალი, კალიგრაფ-გადამწერი; ცხოვრობდა და მოღვაწობდა ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) კარზე, XVII საუკუნეში. 1652 წელს გიორგი სპარსმა შეამკო ვერცხლის ბუდე ჯგალის ხატისა, ძელი ჭეშმარიტისათვის, მხედრული წარწერით: „1) ქ: ეკა: ძელო: დიდებუ-ლი: ცხოველს: მყოფელო: 2) პატიოსნისა: ჯვარისაო: რომელმან: წყალ 3) ობით: შენზედ: განაპყრნა: უხრწნელ: 4) ნი: მკლავნი: თ'სნი: ჳსნისათვის: ჩუენ 5) ისია: უფალმან: და: მეუფემან: ჩვენმან: ძემან: 6) ღ'თისამან: გაკურ-თხა: და: აწ: მეფენი: და: ჳელ 7) მწიფენი: შენ: მიერ: იკურთხევიანს: აწ: უკვე: 8) გევედრები: მე: მოსავი: შენი: ჳელმწიფე დ 9) ადიანი: პატრონი: ლევან სიქადულო: და: ძა 10) ლო: ჩემო: უკუბოღ: ესვენე: სკურს: და: ვე 11) რ: მოვითმინე: უპატრონი: სვენება: შენი: და: მოგჭედ 12) ინე: კუბო: ესე: ვერცხლისა: რათა: წყალობა: 13) შენი: თანა: მაღალ: და: განუშორებელი: ჩემგან: 14) და: მორჩილ: ჳეავ: მტერნი: ჩემნი: ქუეშე: ჩემსა: ძე 15) ნი: და: ასულნი: ჩემნი: კეთილად: აღმიზარდე: ამინ: 16) მოიჭედა: კუბო: ესე: ქს'სა: სამას ორმოცსა: 17) ღ'თო: შ'ე: მისი: მწერალი: სპარსი: გიორგი:“. ე. თაყაიშვილი იქვე დასძენს, რომ სპარსი გიორგის „ძელი ჭეშმარიტისა ჯვარი ჯვარის მსგავსად გამოჭრილი ხეშია ჩასვენებული, ჯვარი შეჭედილი ყოფილა ოქროთი, რომელზედაც გამობერვით განჭედილი ყოფილა წმინდანები, მაგრამ უმეტესნი მათგანი აღარ შენახულა. ესლა ზემოთ მოსჩანს ერთი ანგელოზი, მეორე დაკარგულა...“ ხელობა ლამაზია, ქართული. ქვემოთ ხუცური წარწერა არის ნაკლულად შენახული: „ქრისტე ღმერთო, რომელი დ[აემ]სჭვალე ძელსა ჯუარისასა, შეიწირე მცირედი ესე მსახურებამ და მოიხსენე ს[ასს]უფეველსა შენ[სა] იოანე ჯა.....ისეანი“⁷.

ე. თაყაიშვილის 1913-1914 წწ. სამეგრელოში მოგზაურობისას, კერძოდ წალენჯიხაში, მისივე თხონებით, სოფელ ჯგალიდან მოუსვენებიათ ჯგალის ხატი ძელი ჭეშმარიტისა, რომელიც ჩასვენებული ყოფილა ძლიერ

⁶ ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 237.

⁷ ლ. ბერაია, დადიანების სასახლეების საგანძური, თბ., 2020, გვ. 92.

დაზიანებულ ვერცხლის ბუდეში. ბუდე ანუ კუბო დამზადებულია ლევან II დადიანის მიერ დაარსებულ საოქრომჭედლო სახელოსნოში, რომელმაც თორმეტი წელი იარსება და ეს სიწმინდე დაცულია ზუგდიდის დადიანების სასახლეში⁸.

ფარემუზ ელბეგიძე — ხატმწერი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVII საუკუნეში. 1622-1639 წლებში ლევან II დადიანის კარზე; 1619 წელს მან „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზის“, „ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი“ მთავარეპიკოპოსის — მალაქია გურიელის შეწვევითა და თანადგომით მოჭედა და შეამკო ცაიშის ღვთისმშობლის ხატი. მასზე წარწერა ფარემუზ ალბეგიძეს ქვემო არშიაზე გაუკეთებია და ასე იკითხება: „წა: მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონისა და დადიანისა ლევანისსა, ღმერთმან ადიდოს ორთავე შინა ცხოვრებათა... მოვაჭედინეთ...“. როგორც ლეილა ხუსკივაძე აღნიშნავს, „ცაიშის ოდიგიტრიის ხატის განსაკუთრებული სიახლოვე იმაშია გამოიხატება, რომ მის წარწერაში მოხსენიებულია ოქრომჭედელი ფარემუზ ელბეგიძე, იგივე ოსტატი, რომელმაც შეასრულა დადიანისეული კოლექციის იმავე ჯგუფის ძეგლი-ილორის წმ გიორგის 1624 წლის ხატი. ამრიგად, ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი ოსტატის მიერ ხელმოწერილი ორი ნაწარმოები — ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, ესეთი ფაქტი არც თუ ისე ხშირია“. წმინდა გიორგის ხატის წარწერა ამოუკითხავს ექვთიმე თაყაიშვილს: „მოვაჭედინეთ ძელი ცხოველი და მეორე ესე ცაიშისა ღვთის მშობელი და შევაძკევით ოქორთა, თვალთა და მარგალიტითა ამ სოფელს ჩვენდა სადრეგრძელოდ და დღესა მას დიდსა განკითხვისსა საოხად და სახსრად სულისაა ჩვენისათვის და შესანდობელად კელმწიფეთა, მამა-შვილებთა და ძმათა ჩვენთა, ამინ. მამკობი ხატისა ამის ელბეგიძე ფარემუზ დამიციევ ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ“⁹.

გაბრიელ ბოკუჩავა — მღვდელი, კალიგრაფი; მოღვაწეობდა XVII საუკუნის II ნახევარში, წალენჯიხის მონასტერში. 1667 წელს მღვდელმა გაბრიელ ბოკუჩავამ წალენჯიხის მონასტერში ილარიონ წალენჯიხელის (წალენჯიხელად აკურთხეს 1648-1655 წლებში) შეწვევით გადაწერა „კურთხევანი“: „...ბრძანებითა ღვთისთა და მოძღვართ-მოძღვრისაჲ წალენჯიხისაჲ ილარიონისა ქვეყანასა ოდიშსა, მონასტერსა წალენჯიხისასა... ამის უცბად მხრეკელსა, უგუნურსაჲ და დიდად ცოდვილსაჲ გაბრიელ

⁸ ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 240.

⁹ ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 171; ლ. ხუსკივაძე, ლევან II დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974, გვ. 20.

მღვდელსა ბოკუჩავას ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან¹⁰. ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს: „გაბრიელ ბოკუჩავას ნამუშავევი მოწმობს, რომ წიგნების გადაწერის ხელოვნება XVII საუკუნეში საქართველოს შორეულ კუთხეშიც კარგ ღონეზე იდგა“¹¹.

მამუკა თავაქარაშვილი (თავაქალაშვილი) — კალიგრაფ-მინიატურისტი; მოღვაწეობდა XVII საუკუნეში; 1634 წელს ოდიშის მთავრის — ლევან II დადიანისა (1611-1657 წწ.) და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1666 წწ.) კაკას ხიდთან შებრძოლების შემდეგ, მთავარმა დადიანმა მეფის მდივანბეგი მამუკა თავაქარაშვილი ხელში ჩაიგდო და ტყვედ წაიყვანა. მამუკა თავაქარაშვილმა ოცდასამი წელი დაჰყო ტყვეობაში. სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ ლევანი ამ დროს „თავის თავს ხელმწიფესა და მეფეს უწოდებს, მისი ოცნება იყო იმერეთის მეფის დაპყრობა, დასავლეთ საქართველოს თავისი მფარველობის ქვეშ გაერთიანება და მეფობის მიღება“¹².

ლევან დადიანმა ვერ მიაღწია თავის მიზანს — დასავლეთ საქართველოს თავისი მფლობელობის ქვეშ გაერთიანებას. მიუხედავად იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის არაერთგზის თხოვნისა, მან არ გაათავისუფლა მამუკა თავაქარაშვილი ტყვეობიდან: „ძმის დატყვევებამ ალექსანდრე III საგონებელში ჩააგდო. ის უგზავნიდა მოციქულებს დადიანს და სთხოვდა მამუკას განთავისუფლებას, მაგრამ დადიანი უარზე იდგა და მამუკას არ უშვებდა“¹³.

1646 წელს ტყვეობაში მყოფმა იმერეთის მეფის მდივანბეგმა მამუკა თავაქარაშვილმა მთავრის — ლევან დადიანის ბრძანებით გადაწერა და დაასურათა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემას აქვს თავაქარაშვილისეული ანდერძ-მინაწერი: „დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულვეყვ თერამეტსა აგვისტოსა, ქრონიკონსა, სამოცდათოთხმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწვევლით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეულ არის, ფურცელი ორასოცდათორმეტი“. მამუკა თავაქარაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერას ორი თვე მოანდომა. ხელნაწერს 39 მინიატურა ერთვის.

მამუკა თავაქარაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერისას საილუსტრა-

¹⁰ აბ. ტულუში, მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ წალენჯიხელი, გაზ. „საფარველი“, #6.

¹¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 50.

¹² ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006, გვ. 182.

¹³ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006, გვ. 183.

ციოდ გამოყენებული პოემის პერსონაჟთა სახეების, ჩაცმულობის წარმოჩენით სათავე დაუდო ახალ ქართულ მინიატურას. „ვეველაზე საყურადღებო, ცხადია, ის არის, რომ მინიატურებში აისახა მხატვრის თანამედროვე ქართული სინამდვილე...“ — წერს ვახტანგ ბერიძე¹⁴. 1646 წელს ოდიშში მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

„მამუკა თავაქარაშვილის სახელს უკავშირდება „შაჰ-ნამეს“ კიდევ ერთი ვერსია „უთრუთიან-საამიანი“ — ხელნაწერი შ-1594. ეს ხელნაწერი მამუკას მიერაა გადაწერილი და ილუსტრირებული. ფირდოუსის თხზულების სხვა ვერსიების, მაგალითად, „როსტომიანის“, დასურათება დიდ მსგავსებას იწენს სპარსულ სამინიატურო ხელოვნებასთან. ამ უშუალო ტრადიციულ გავლენასთან ერთად ამ ტიპის მოხატული ქართული ხელნაწერების მინიატურებში გარკვეულად აისახება თვით სპარსულ სამინიატურო ხელოვნებაში XVII-ს-ის II ნახ.-ში გამოვლენილი სწრაფვა რეალობისაკენ და ამავე დროს ქართული ეროვნული ტენდენციებიც. ეს მიმართულება ღრმავდება „უთრუთიან-საამიანის“ მამუკასეულ დასურათებაში, რომლის ილუსტრაციები ქართული ხალხური სახვის მანერითაა შესრულებული“¹⁵.

სეხნია გირგოლაძე — ოქრომჭედელი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVII საუკუნეში, ოდიშის მთავრის — ლევან II დადიანის კარზე. 1640 წელს ლევანის ბრძანებით სამთავრო კარზე არსებულ საოქრომჭედლო სახელოსნოში მოიჭედა „წმიდის გიორგის ოდიშის ილორის ხარის მოყვანის ხატი“, რომელსაც საინტერესოს ხდის წმინდა გიორგის სასწაული და მასზე ასახული ლეგენდა ილორში ხარის მოყვანის შესახებ. ეს ხატი შეუსრულებია სეხნია გირგოლაძეს, რომელიც მოღვაწეობდა ოდიშის მთავრის მიერ დაარსებულ სახელოსნოში; ავტორის ვინაობას ხატზე მისივე მინაწერიდან ვიგებთ: „...გაიჭედა ხელითა სეხნია გირგოლაძისითა, ვინცა წაიკითხოთ და შენდობა ბრძანოთ თქვენცა შეგინდვეს ღმერთმან“¹⁶.

ხახუსი ჩარგიზისძე — ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVII საუკუნეში, ოდიშის მთავრის — ლევან II დადიანის კარზე. „წმ. გიორგის ოდიშის ილორის ხარის მოყვანების ხატის“ მინაწერში, ოქრომჭედელ სეხნია გირგოლაძესთან ერთად, მოხსენიებულია ხახუსი ჩარგიზისძე: „...მოიჭედა და

¹⁴ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 96.

¹⁵ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 96.

¹⁶ ლ. ხუსიკვიძე, ლევან II დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, 2001, გვ. 33.

დაიხატა ხატი ესე წმინდის გიორგის ელდათისა ქორონი||კონსა სამას ოც-
და რვასა დაიწერა ხატი ესე ხელითა ჩემვილისა ბატნი||ს დადიანის კარის
მდიუნისა ჩარგიზიდის ხახუსითა, გაიჭვდა ხელითა სეხნია გ||ორგოლადისა-
თა, ვინცა წაიკითხოთ და შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინ||დეს ღ'თნ¹⁷.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი — ოდიშის მთავრის — ოტია დადიანის
(1728-1744 წწ.) ძე; სრულიად ახალგაზრდა შედგა ბერად; სწავლა-განათ-
ლება მიიღო თელავში, ქართლ-კახეთის მეფის — ერეკლე II-ის (1720-1798
წწ.) მიერ დაარსებულ სკოლაში; 1761 წელს ანტონი ოდიშში დაბრუნდა;
ხელმძღვანელობდა ცაგერის ეპარქიას, ხოლო 1777 წელს ანტონ დადიანს
ჭყონდიდის კათედრა ძმამ, ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა (1758-1788
წწ.) ჩააბარა.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი იყო მქადაგებელი, მჭევრმეტყველი,
მთარგმნელი. მან „პარმანთა მღვდელ“ (პარმანი-სომხური წარმომავლობა)
ფილიპესთან ერთად სომხურიდან გადმოაკეთა და თარგმნა „წიგნი ჭეშმა-
რიტებისა ღვთისმეტყველებისა“. როგორც თვითონ მინაწერში აღნიშნავს,
თარგმნა: „...ჯერჩინებთა ღიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, სამეგრელომსა
და თაკურისა მპრობელისა, დადიანისა კაცისითა დავიწვეთ გარდმოცე-
მათ ესრეთ...“ თხზულება შვიდი წიგნისაგან შედგება და „აღიწერა წიგნი
ჩლოე წელსა“¹⁸.

1777 წელის ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა თარგმნა ანტონ კოვადი
ლევთაკელის დიდი „ლოლიკა“. თარგმანის მინაწერში ანტონი წერდა: „ვი-
ნებე მე სუმაღ სასუმელი ესე და ჭველჰყავ გარდმოცემაღ ღიდისა ამის ლო-
ლიკისა. ყოვლად სამღვდელითა თანა ძმასა ჩემსა დოსითეოს ნეკრესელისა
ეწადა კეთილობამ ამის წიგნისა... ხოლო რომლისათუც მას სუროდა, მე
დავუშუერ და გარდამოვეც წიგნი ესე... ხოლო გარდამოღებამ ვევა ენასა
ზედა ჩუენსა ღიდისა სხოლოპეტისა პარმანთა მღვდელთა ფილიპეს, რომე-
ლი ბრძანებისამებრ საღმრთომსა უშვერელად მისცემდა ყოველთა სიბ-
რძენსა წერილთასა...“¹⁹. ამავე წიგნში საუბარია ანტონ ჭყონდიდელის საკ-
მაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. მისი ქადაგებე-
ბის ტექსტები განსაკუთრებით მრავალადაა დაცული კორნელი კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ერთი ქადაგება — „აღსარება მღუ-

¹⁷ ლ. ხუსკივაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32-33.

¹⁸ ბ. ზორავა, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, 2001, გვ. 42.

¹⁹ ბ. ბუკია, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, თბ., 2007, გვ. 8.

დელთათვის“ — ინახება ქუთაისის მუზეუმში; ასევე დადიანების სასახლე-თა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანის საინტერესო ტექსტები.

„დიდი ლოლიკა“ სამი ნაწილისგან შედგება: „1) სიტყვა მყოფისთვის, რომელი სჭურეტს პირველსა გონებასა მოქმედებისა 2) სიტყვა მყოფისთვის, რომელი სჭურეტს გონებისა მეორესა მოქმედებასა 3) სიტყვა მყოფისთვის, რომელი არის წარმამართებელი მესამე გონებისა მოქმედებისა ანუ კვლევბისათვის“²⁰.

1789 წელს ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა სიცოცხლეშივე დატოვა ჭყონდიდის კათედრა; განერიდა უმაღლეს იერარქიულ დიდებას და მონაზვნურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ბოლო წლები გაატარა თავისავე აშენებულ ნახარებაოს ეკლესიაში და მიიცვალა 1813 წელს, დაკრძალულია იქვე.

გიორგი გიორგის ძე — მდივან-კალიგრაფი; მოღვაწეობდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, დადიანების სამთავრო კარზე. გიორგი მდივანი დიდი საგვარეულო ოჯახიდან იყო. მისი წინაპრები სამთავრო კარის მდივან-კალიგრაფები ყოფილან. გიორგი გიორგის ძემ ოდიშის სამთავრო კარზე მოღვაწეობისას 1807 წელს გადაწერა „კრებული“ და პარაკლიტონი. ორივე ხელნაწერი ნუსხურადაა შესრულებული. როგორც მიიხევენ, „მწერალი გიორგი გიორგიძე ფრიად კარგ ოსტატთა რიცხვს შეიძლება მივაკუთნოთ“²¹.

გიორგი მწერალმა ოდიშის მთავრის — გრიგოლ მანუჩარის ძე დადიანის (1788-1804 წწ.) ბრძანებით გადაწერა „პარაკლიტონი“, რომლის მინაწერიდან ირკვევა, რომ ავტორს პარაკლიტონი გადაუწერია „თაკვერს“²²: „აღწერა პალატსა სამეუფოსა თაკვერს, ჰელითა მდივანი გიორგის ძე მდივანი გიორგისათა... განმიგრძდა მწირობად ჩემი ქვეყანასა მას მენგრელთასა, და ვიყავ რა ხელოვან მწერლობისა, შევემეცნე უფალსა, რომლისა მიერ იპყრობდა ყოველივე ოდიშ-ლენხუში და სვანთა თანა აფხაზეთი და მეორედ პყრობისა შემდგომად, ოდეს განაგებდა კეთილად განმგებელი, კეთილ-მორწმუნე დადიანი გრიგოლ, მას ჟამსა გულმოდგინებისა მიერ მათისა მებრძანა მე, მონასა მისსა, საღრმთოსა ამის და ნუგეშის-ცემითსა პარაკლიტონისა აღწერად, ხოლო ოდეს მებრძანა, მიერთიგან აღვსწრაფე და თავისა შორის ჩემისა შრომა არა მცირელი და ჯერეთ გამოუცდელმან მებრ

²⁰ ბ. ხორავა, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 43.

²¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 70.

²² ვახუშტის განმარტებით, თაკვერი იმ დროს ლენხუშს ეწოდებოდა.

აღწერისამან ვიწვე ნუგეშის-ცემითა ესე თვთ მე მხოლომან, თუნერ მეორისა შეწვევისაგან... გარნა ვინათგან მცთომ არს ბუნებაი კაცობრივი. იხილოთ თუ შეცთომა, შემინდვეთ სივერულისათჳს საღთოსა...“ როგორც ჩანს გიორგი გიორგის ძე ოდიშში გრიგოლ მანუჩარის ძე დადიანის მოწვევით იმყოფებოდა. ის არ იყო მეგრელი, არამედ „საიდანღაც ჩამოსული“ — წერს ვახტანგ ბერიძე²³.

გიორგი ჯუბინიძე — კალატოზი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII-XIX სს., ოდიშის მთავრის — გრიგოლ დადიანის (1788-1804 წწ.) კარზე; ის წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან იყო. 1825 წელს გიორგი ჯუბინიძემ ოდიშის მთავრის ბრძანებით და ბესარიონ ჭყონდიდელის შეწვევით მარტვილის საეპისკოპოსო სახლს სამსართულიანი სამრეკლო მიუშენა. კალატოზს სამრეკლოს აღმოსავლეთის კედლისათვის ასეთი წარწერა ამოუტვიფრავს: „1) წელსა ქუთის ჩყვე: აგვისტოს კჳ 2) ჳელმწიფობასა ყ’დ უამღლებულესისა და თითუ-მკერობელესისა 3) ალექსანდრე პავლეს ძისა და მთავრობასა ღენერალ ლეიტენანტისა სხვათა და სხვათა ორ 4) ღენ კავალერისა მქონესა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა აღშენდა სამრეკლო ესე ყ’დ უსამღ 5) ველოესისა სრულიად სამენგრელოისა მწყემს-მთავრისა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა და კავალ 6)როსნისა ბესარიონ კაცია დადიანის ძისა მიერ საფუძველთაგან დარღვეული. მონაგებისა თჳსისა წარგებითა; ქვემოთ მეორე ქვაზე: 1) ქუ შეიწყალე ამისი გა 2) ლატოსი გიორგი ქა 9) რთველი ჯუბინიძე.“²⁴.

გერასიმე — მღვდელ-მონაზონი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის დასაწყისში, რომელიც 1814 წელს ხელმძღვანელობდა სოფ. ხამისკურის (ხობის რაიონი) ერთნავიანი ეკლესიის მშენებლობას. მღვდელ-მონაზონ გერასიმეს ხამისკურის ეკლესია აუშენებია ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის (1777-1823 წწ.) ბრძანებით და შემწეობით: „მფლობელისა ოდიშ ლეჩხუმთა და აფხაზთა და სვანთა“, ლევან V დადიანის მმართველობის დროს: „ყოვლად დიდისა მთავრისა და მფლობელისა ოდიშ ლეჩხუმთა და აფხაზთა და სვანთა, სხვადასხვათა ორღენისა მიმღეთა ღენერალ მაიორის მეორისა ლეონ დადიანის ჟამსა“. ეს ცნობები ეკლესიის აშენების შესახებ მოთავსებულია დასავლეთის კედლის შიგნითა წარწერაში²⁵.

პეპუ მეუნარგია (1791-1851 წწ.) — ოქრომჭვედელი; ცხოვრობდა და

²³ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 70.

²⁴ ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 44.

²⁵ ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 65.

მოღვაწეობდა XIX საუკუნის I ნახევარში. იყო „ლითონზე პლასტიკის საუკეთესო ოსტატი“. პეპუ მეუნარგიას შვილი მიხეილ მეუნარგია (1827-1904 წწ.) იყო სასულიერო პირი — დეკანოზი, ცაიშის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი; ხოლო მიხეილის შვილი იონა მეუნარგია (1852-1919 წწ.) — ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

ისტორიკოსი ზაურ ჯალალონია აღნიშნავს: „პეპუ ქართული ჭედური ხატწერის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი-მემკვიდრეა. მის მიერ „აღმოყვანილი და შემკობილი“ ხატებიდან ცნობილია მარტვილის მაცხოვრის დიდი ჭედური ხატი (1849 წ.). ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში; ორბელის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატი (1837 წ.), ცაიშის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატი (1816 წ.), ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატი“²⁶.

1816 წელს პეპუ მეუნარგიამ მოჭედა ცაიშის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ოსტატმა შეასრულა ცაიშელი მიტროპოლიტის — გრიგოლ ჩიქოვანისა (1777-1823 წწ.) და მღვდელ მახარობელ შელიას შეწევნით: „ქ. შვიდ წილ უძლეველო მხედართმთავარო წ(მინდ)აო გიორგი, სახარებასა შ(ინ)ა მეცნ(იერე)ბა კაცთა მიერ შეუძლებელი ღვთის მიერ შეუძლებელი ღვთის მიერ შესაძლებელი არს ჭ(ვრ)ეტა რ(ომელ)ს სიტყვა ღ(ე)თისა და ამის სმენამ შეუძლებელთა ჩემი შეძლებად გარდაქმნა, შემწვობითა ყ(ოვლ)ად სამღვდელნო ცაიშელ მიტროპოლიტის გრიგოლისთა და გავაჭვდინე და გავაწვეე სახე შენი რაოდენ ჩემ მიერ შესაძლო იყო. მე მოსავმან შენმან მღვდელმა შელია მახარობელმან... წმინდაო გიორგი სახისა შენისა აღმომყვანსა მეუნარგიას პეპუს შემწე ექმენ წელს(ჩეიე) თვით საჯვარე, მე აღვაშენე...“²⁷.

პეპუ მეუნარგიას მიერ შექმნილი კიდევ ერთი წმინდა გიორგის ხატი ოცინდალეს ეკლესიისათვის, დღემდე შემორჩენილია და ინახება დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში; ხატი ოსტატმა მოჭედა ძმები ფინზაიების შეწევნით: „ეჰა, შენ ყ(ოვლ)ად დიდებულო მთ(აე)არმოწამეო ოცინდალესაო გიორგი, მდაბალმან მონამან თქვენმან მივეციო შეწვენა ჩვენს ძირს სასაფლაოს ეკლესიასა და ჩვენს ძირს და მიჩე-

²⁶ დეკანოზი ამირანი (შენგელია), ზაურ ჯალალონია, ცაიშის საკათედრო ტაძარი; ზუგდიდი--ცაიში 2001, გვ. 18.

²⁷ ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატები, თბილისი-ზუგდიდი, გვ. 36.

ნი(ლ)სა ღეკანოზსა შენსა თოდუასა ტატულასა და ნანეს ძესა ღეკანოზსა მიქელსა, ჩვენ, ფიჩხაია მამუკას ძემან უტუმ, ოტიამ, ბეჟან და კონამ გავა-
ჭედინეთ ხატი ესე/საფასითა შენითავე და დავასვენეთ ორთავე შინა ცხოვ-
რებისა ჩვენისათვის. წ(მინდ)აო გ(იორგ)ი შეიწყალე გამომხატველი, აღმო-
მოყვანი და შემამკობელი მონა შენი ცაიშის მაცხოვრები აზნაური მეუნარ-
გია პეპუ“²⁸.

პეპუ მეუნარგამ ბერ-ღიაკონ დავით ანთელავას შეწევნით განაახლა
წმინდა გიორგის ხატი, რომლის მინაწერში იკითხება: „...ორთავე ში(ნ)ა
ცხოვრებასა, ქ(რისტ)ე, გაკეთებასა ამისა ზ(ედ)ა მდგომელობდა დიდითა
სურვილითა ბერი ღიაკონი, ანთალავა დავით, წმინდაო გიორგი შეიწყალე
განმაახლებელი მეუნარგია“. ხატის წარწერის განმაახლებლად მითითებუ-
ლია მხოლოდ ოსტატის გვარი მეუნარგია; მიიჩნევენ, რომ „წარწერაში
მოხსენიებული ხატის განმაახლებელი მეუნარგია გაიგივებულ უნდა იქ-
ნეს ცნობილ ოქრომჭედელ პეპუ მეუნარგიასთან, რომელიც XIX საუკუნის
პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. წარწერაც პეპუ მეუნარგიას დროის მი-
ხედვით თარიღდება“²⁹.

დადიანების სასახლეში ასევე ინახება პეპუ მეუნარგიას მიერ 1839
წელს ჭყონდიდელი მიტროპოლიტის — გიორგის ბრძანებით მოჭედილი
მარტვილის მაცხოვრის ხატი: „მე ჭყონდიდელმან გიორგიმ მოვაჭედინე
ხატი ღვთისა და დავასვენე მარტვირს... განსაძლიერებლად მთავრისა ჩვე-
ნისა ლეონ გრიგოლის ძისა დადიანისა, საოხად სულისა დედოფლისა მარ-
თასი და საღვთგვამლოდ მემკვიდრისა დავითისი, მეუღლისა მისისა ეკატე-
რინესი... წელთა 1839 მთავრობასა ლეონისსა ოც-დათვრამეტსა, ხოლო
მწეემსთავრობასა ჩემსა მეხუთესა. შ'ე მხატველი... პეპუ მეუნარგია“³⁰.

პეპუ მეუნარგია 1851 წელს, 60 წლის ასაკში გარდაიცვალა; დაკრძა-
ლულია ცაიშის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოში.

გიორგი ბერძენი — კალატოზი; ცხოვრობდა XIX საუკუნის I ნახევარ-
ში. ოდიშის მთავრის — ლევან V დადიანის (1804-1846 წწ.) მოწვევით იმ-
ყოფებოდა სამეგრელოში. 1845 წლის მარტის ერთ-ერთი დოკუმენტის თა-
ნახმად, გიორგი ბერძენმა დადო პირობის წერილი ლევან V დადიანთან,
საღმინოს სასახლის კარის ეკლესიის სამრეკლოსა და პალატის ასაშენებ-

²⁸ ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატები წარწერები, თბილი-
სი-ზუგდიდი, 2000, გვ. 38.

²⁹ ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, გვ. 39.

³⁰ დ. ჯიჭონაია, პეპუ მეუნარგია, გაზ. „საფარველი“, #4, 2012.

ლად: „ჩემე³¹ წელსა მარტის ლ³² სალხინო თქუნს უგანათლებულესობას მთავარს მენგრელიისას უფალს ღენერალ ლეიტენანტს, სხუათა და სხუათა ორდენტა კავალერს ლეონ გრიგოლის ძე დადიანს, ამა უტყუელის შეკრულობის წერილს მოგართმევთ მე ტრაბიზონს მცხოვრები გიორგი ბერძენი იანანდე(?) შინა თქუნ გნებაუსთ სალხინოს თქუნის სასახლის ეკლესიის სამრეკლოსა და ორ ატაფიანის ექსუექსუს ოთახიანის ქუითკირის პალატის აღშენება...“³¹. პირობის წერილს ბოლოში აქვს ხელმოწერა ბერძნულ ენაზე, რადგან გიორგი კალატოზმა ქართულად წერა არ იცოდა. წერილში არ დასტურდება გიორგი ბერძენის მიერ სალხინოს სასახლის კარის ეკლესიისათვის სამრეკლოსა და პალატის მშენებლობის დასრულების შემდგომი ცნობები, მაგრამ შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ დადიანების სალხინოს სასახლე გიორგი ბერძენის მიერაა აშენებული 1845 წელს. სხვა ცნობები ოდიშის სამთავრო კარზე მოღვაწე ტრაპიზონელი გიორგი კალატოზის შესახებ უცნობია.

თევდორე სტეფანეს ძე ბერძენი — კალატოზი; XIX საუკუნის 70-იან წლებში სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის — ეკატერინე ჭავჭავაძის მოწვევით იმყოფებოდა სამთავრო კარზე და ცხოვრობდა ლეჩხუმის უეზდის სოფელ ლაილაშში.

1872-1874 წლებში თევდორე ბერძენმა ზუგდიდის „უეზდში“, სოფელ აბასთუმანში, ეკატერინე დედოფლის სასახლის კარის ეკლესია ააშენა, რასაც მოწმობს 1872 წლის 10 თებერვლის პირობის წერილი, დადებული ეკატერინე დედოფალსა და თევდორე მღვდელს შორის: „1872 წელსა თებერვლის 10³² დღესა პირობის წერილი ესე შეკრულ არს ერთის მხრით ვეკილის მთავრინა ეკატერინა აღექსანდრეს ასულისა პროპორჩიკის თომა ახვლედიანის მიერ ხოლო მეორეს მხრით ტრაბიზონს მცხოვრების ბერძენის თევდორე სტეფანეს ძის...“³².

აბასთუმანში თევდორე ბერძენმა ააშენა თლილი ქვისაგან გუმბათიანი კარის ეკლესია, სამრეკლოთი, ასევე თლილი ქვისაგან. აბასთუმანში დადიანთა სასახლემ და ეკლესიამ XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება.

გიორგი მეუნარგია — ოქრომჭედელი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნეში. 1856 წელს მოჭედა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზის ვერცხლის ხატი ხორგის ეკლესიისათვის: „ხესთა ნათელითა და თვალთ შეუდგამისა ღმერთმთავრისა წინაშე მდგომარენო მთავარანგელოზ-

³¹ ზსიემ, დოკ. 7398.

³² ზსიემ, საკანც. არქივი, 1864.

ნო მიხეილ და გაბრიელ, უხორცოთა მათ ზეცისა ძალთა მთავარნო ჩვენ მოსაუძმან თქვენმა და ცვა-ფარვათა თქვენთა მინდობილმა სამენგრელოს სოფლის ხორგას მცხოვრებმა აზნაურმა ლიფონავებმან დაეთის ძეგბმა იესე, როსთომ და ლევანმან მოვაჭვდინეთ ხატი სახისა თქვენისა საოხად მამისა ჩვენისა სულისა და ჩვენდა საცხოურელად და შვილთა ჩვენთა აღსაზრდელად და დავასვენეთ ჩვენს სასაფლაო მთავარანგელოზის ეკლესიაზედ ჩნკ³³ წელსა აგ(ვი)სტ(ო)სა ამომყვანი სახისა ამის თქვენისა აზნაური გიორგი მეუნარგია დამიცეუ ორთავე შინა ცხოურებათა“. გიორგი მეუნარგი-ას მოჭვდილი ხატი ხორგის ეკლესიისათვის ინახება დადიანების სასახლე-თა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში³³.

ნავა ბახვას ძე წურწუშია — ოქრომჭვდელი; ცხოვრობდა და მოღვაწობდა XIX საუკუნის მიწურულს. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ინახება სანაწილე ყუთი ნაკიფუს (წალენჯიხა) წმინდა გიორგის ეკლესიიდან. სანაწილე კოლოფის წარწერა გვამცნობს ოქრომჭვდელის სახელს: „მთ(ავ)არ ანგელოზო ღუთისაო შემოწვალე მონა შენი მღ(ვდე)ლი იოანე ბელქანია, ჟამსა მეორედ მოსვლისასა, შემომწირველი ამა წმ(იდის) საუფლისა ხატისა ნაკეფოუს ღ(ე)თის მშობლისა ეკლესიისადმი 1889-ს იანვარს 23-ს. შემამკობელი ამა წმიდისა საუფლო□სა და მთავარანგელოზისა ხატისა, ოქრომჭვდელი ნავა ბახვას ძე წურწუშია წამკითხველნი მომიხსენიებდეთ მე ცოდვილსა“³⁴.

ოღმ-სამეგრელოში მოღვაწე ოსტატთა „ნამუშაკევი“ გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით და ოსტატობის სიზუსტით. როგორც აღვნიშნეთ, ამ ადამიანთა ვინაობის შესახებ მათივე შესრულებულ ნამუშევრებზე ამოყვანილი ანდერძ-მინაწერები გვამცნობს. სამწუხაროდ, მრავალი ოსტატის სახელი უცნობია, მიუხედავად მათ მიერ შექმნილი საოცარი ქმნილებებისა. ზემოთ მოხსენიებული კალიგრაფ-გადამწერები, ხატმწერები, ოქრომქანდაკელები და კალატოზები რწმენით, სიყვარულით ქმნიდნენ, შრომობდნენ, იღვწოდნენ საუკუნეების მანძილზე და თავიანთი მოღვაწეობით ამდიდრებდნენ ქართული ეროვნული კულტურის საგანძურს.

³³ ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, გვ. 40

³⁴ ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, გვ. 40

Peride Apakidze

**Mastercraftsmen in the Principality of Samegrelo
(11th-19th Centuries)**

Throughout the centuries in Odishi-Samegrelo, the most valuable treasures of our national culture have been crafted through the collaboration of Georgian and foreign artisans. These treasures include handwritten books, temples, icons, and frescoes. In many instances, these artisans received support from princes and clergy. Despite the constraints of time, a significant portion of their creations has endured, and the “testaments-inscriptions” left behind by these skilled craftsmen offer us invaluable insights into the artisans who worked in Odishi-Samegrelo.

ედიშერ ბალათურია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი)
იგორ კეკელია (ფოთის №15 საჯარო სკოლა)

ეგრისის მეფეთა სიმაგრე ჭყონდიდში

1973 წელს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია შეუდგა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისის მეცნიერულ შესწავლას. ძეგლზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმართვის პარალელურად, ექსპედიციას, რომლის ხელმძღვანელიც გარდაცვალებამდე იყო გამოჩენილი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი პარმენ ზაქარაია, მიზნად ჰქონდა დასახული „არქეოპოლისის ქვეყნის“ ისტორიული სიძველეების, კერძოდ, ეგრისის სამეფოს ახ. წ. IV-VIII საუკუნეების თავდაცვის სისტემის არქეოლოგიური შესწავლა. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები განხორციელდა და შესწავლილი იქნა არაერთი საერო და საკულტო ნაგებობა. წლების მანძილზე მიმდინარე კვლევა-ძიებით მნიშვნელოვანი შედეგია მიღწეული. დადგინდა, რომ ეგრისის სამეფოში, რომელიც ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, თავიდანვე ქვეყნის თავდაცვის მტკიცე გეგმა იყო შემუშავებული. ეგრისზე მტრის თავდასხმა ძირითადად დასავლეთიდან და სამხრეთიდან იყო მოსალოდნელი. ქვეყნის შუაგულში, რაც ძირითადად დაბლობს წარმოადგენდა, მტრის ჭარბი ძალის შეჭრება ძნელი იყო. ქვეყნის სხვადასხვა ადგილში მდგარი, ადგილობრივი დანიშნულების ციხეებით ეგრისის სამეფოს შესვეურებს ფრონტის ხაზის მთლიანად გადაკეტვა არ შეეძლოთ. ამიტომ, დაცვის ახალი სისტემის შექმნისას, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, განუზრახავთ მთელი ფრონტით ქვეყნის ერთი ნაწილის საბოლოოდ გადაკეტვა. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეგრისის სამეფოს ჩრდილოეთის მთელ ხაზზე მდებარე ხეობების შესასვლელთა ციხეებით ჩაკეტვა. მათ ციხეები ალუმართავთ მთებისა და დაბლობების შეერთების ხაზზე. კოლხეთის დაბლობზე მტერთან წინააღმდეგობის გაწევა და ლაშქრის დამაგრება რთული იყო. ამიტომაც დამარცხების შემთხვევაში ხეობებში გახიზნული მოსახლეობის დაცვას ხეობების შესასვლელებთან

მტრის წინააღმდეგ ფარად აღმართული ციხეები უზრუნველყოფდა¹.

ეგრისის სამეფოს დედაქალაქიდან — ციხეგოჯიდან თავდაცვის ერთი ხაზი დასაყვანიტით მიემართებოდა და შავიზღვისპირეთამდე — კელასურამდე აღწევდა. ამ ხაზზე ჩამწკრივებული, ქვეყნის დამცველთა ერთიანი ჯაჭვიდან უნდა დასახელდეს კოტიანეთი, შხეფი, საკალანდარიშვილო, ეკი, ჭაქვინჯი, სათანჯო, რეკა, წარჩე, წებელდა და კელასურ-სოხუმი. თავდაცვის ცენტრს, ცხადია, დედაქალაქი ციხეგოჯი-არქეოპოლისი წარმოადგენდა. აქედან მეორე ხაზი დედაქალაქის ჩრდილოეთით მიემართებოდა. ამ ხაზზე მდებარე ციხეებიდან ცნობილია ძველი ისტორიული გზის ჩრდილოეთით, სოფელ აბედათში, ბჟერის მთის სამხრეთ კალთაზე აღმართული ციხე. წერილობით წყაროებში ციხე „აბედათის“ სახელით არ იხსენიება. ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ონოგურისის ციხე².

ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიებით აღნიშნულ ხაზზე მდებარე ციხეებს დაემატა ხუნწის, თამაკონის, კურზუსა და ნაფინხაოს ციხეები³. უფრო ლოკალურად კოტიანეთის, შხეფის, საკალანდარიშვილოს, საჩიქობავოს, სორტისა და აბედათის ციხეები სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ფორპოსტები და „ნოქალაქევის ქვეყნის“ დამცველი სიმაგრენი (ნ. ლომოური, პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დ. ლომიტაშვილი, ნ. მურდულია). ამათგან ციხეგოჯი ციხე-ქალაქი იყო, შხეფი და აბედათი — სახელმწიფო დანიშნულებისა, ხოლო კოტიანეთი, საკალანდარიშვილო, მენჯი და სორტა — სადაზვერვო ციხეები. ეგრისის სამეფოს თავდაცვის ერთიანი ჯაჭვი მომავალში შესაძლებელია კიდევ არაერთი ციხით შეივსოს. მათ შორისაა **ჭყონდიდის (მარტვილის) ციხე**. ეგრისის თავდაცვის სისტემის არაერთ მკვლევარს (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დ. ლომიტაშვილი, ნ. მურდულია, ნ. ლომოური, მ. ჭუმბურიძე, ო. ლანჩავა...) ამ ციხისათვის ყურადღება დღემდე არ მიუქცევია, რასაც პქონდა ობიექტური მიზეზი. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იან წლებში ძველი

¹ პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, აბედათის ციხე. გეგეჭკორის მუზეუმის XXXII სამეცნიერო სესია. მასალები. გეგეჭკორი, 1986, გვ. 21.

² პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 22)

³ ნ. მურდულია, ნაფინხოლო და კურზუ — ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებიდან. შ. „ამირანი“, XXIII, თბ., 2001, გვ. 60-64; მისივე, ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). საღოქტორო ნაშრომი არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012, გვ. 117-119.

შეეწირა საბრძოლო ღიძების მემორიალის მშენებლობას. ციხე ბულდოზერებით დაანგრიეს და ისე მოასწორეს, რომ ზედაპირულად თვალშისაცემი უმნიშვნელო ნაშთიც კი აღარსად შეინიშნება. არადა, ციხე იდგა! უფროსი თაობის არაერთ მარტვილელს ახსოვს და უნახავს იგი! ციხის შესახებ არაერთი ლეგენდა-გადმოცემაა ცნობილი.

რომ არა სამუზეუმო საქმის მოამაგე, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი და ოთხი ათეული წლის მანძილზე მისი დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ელიავა, ჭყონდიდის (მარტვილის) ციხე-სიმაგრის შესახებ ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათის ის აღწერილობაც არ გვექნებოდა, რისი ამოკითხვაც მის რამდენიმე გამოკვლევაშია შესაძლებელი.

ჭყონდიდ-მარტვილი სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებულ რაიონში მდებარეობდა და წარმართული რელიგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. „საქართველოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და, თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი⁴.

ჭყონდიდის ბოძონი ეგრისის სამეფოში საყოველთაოდ იყო ცნობილი, ხოლო თვით ადგილი იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული კერა ყოფილა. მას შემდეგ, რაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა, ჭყონდიდის კერპი მოისპო და მოგვიანებით მის ადგილზე აშენდა ქრისტიანული ტაძარი. მარტვილი სწორედ იმ ადგილზეა აშენებული, სადაც წინათ საკერპო ტაძარი იდგა და, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, ქრისტიანობამდელი საკერპო ტაძრის ზოგიერთი ნამტკვრევი მარტვილის ეკლესიის კედლებშია ჩაყოლებული. ამასთანავე, სრულიად განახლების შემდეგ გამქრალა ძველ კედელში ჩატანებული ქანდაკებათა ნაშთების უმეტესი ნაწილი და თვით ეკლესიასაც დაუკარგავს ძველებური გარეგნული იერსახე (ე. თაყაიშვილი).

„ასეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და ეკონომიკური პუნქტი ქვეყნის შიდა რაიონში, ასეთი სერიოზული მნიშვნელობის რელიგიური კერა, რომელიც დიდი გზის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობდა, ცხადია, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა და მსხვილი სამონასტრო და საეპისკოპოსო კერების შექმნის ეპოქაში, ერთ-ერთ

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 94.

მნიშვნელოვან სამონასტრო კერად უნდა ქცეულიყო და, მართლაც, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ჩაყვარა საფუძველი მარტვილის ღვთისმშობლის მონასტრის ცნობილ მონუმენტურ ტაძარსა და მონასტრის სხვა ღირსშესანიშნაობებს; — წერს გიგი ელიავა⁵.

ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრი, რომელიც ძველ ისტორიულ გზაზე მდებარეობდა, ბუნებრივია, მოითხოვდა თავდაცვითი ნაგებობის არსებობასაც. სწორედ ამ დანიშნულებით აუგიათ, ჩვენი აზრით, სახელმწიფო მნიშვნელობის ციხე-ქალაქი ჭყონდიდისა, რაც ქვეყნის დამცველ ციხეთა ჯაჭვში ეგრისის სამეფოს დედაქალაქის — ციხეგოჯ-არქეოპოლისისა და, ზოგადად, არქეოპოლისის ქვეყნის, ფორპოსტს წარმოადგენდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ხაზზე, აბელათის (ონოგურისის?) ციხესთან ერთად.

ჭყონდიდის ციხის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას მასზე გამავალი, დასავლეთ საქართველოს უმთავრესი სავაჭრო-სამხედრო გზა განაპირობებდა. ეს გზა შავიზღვისპირეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, გამოივლიდა წებელდის, წარჩეს, სათანჯოს, რეკას, ჭაქენჯის, მენჯის, სენაკის, შხეფის, სორტის, კოტიანეთის, საჩიქობავოს ციხეებს; ციხეგოჯის შემდეგ გზა ჩრდილო-აღმოსავლეთით მიუყვებოდა აბაშისა და ცხენისწყლის ხეობებს და მარტვილზე, ხუნწზე, სუხჩეზე, მათხოჯზე, ხონზე, კასტირზე, გვიშტიბ-წყალტუბოზე, ქუთაისზე, მოწამეთაზე, სკანდე-შორაპანზე, დიმნასა და სხვა, მეტ-ნაკლებად დიდ თუ მცირე ციხეებზე გავლით ქართლის სამეფოში ჩადიოდა. აკად. ნიკო ბერძენიშვილი თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ ჩანაწერებში 1960 წლის 19 სექტემბერს მიუთითებდა, რომ გზა ხიდიდან (აქვე ახლოსაა ცხენისწყლის პირზე სოფელი ხიდი და „ბომბოას ხიდი“) მათხოჯზე გამოივლიდა. აქედან ხონს, კასტირის ხიდს გუბისწყალზე (დედალაურს), ხომულს (მაღლაკ-წყალტუბოს), ქუთაისს, წყალწითელა-გელათს, ჭიშურა-გოდოგანს, სიმონეთ-ძევრის ხიდს და სკანდეს გავლით იბერიაში (არგვეთში) შედიოდა⁶. 21 სექტემბრის ჩანაწერში მკვლევარი უფრო აკონკრეტებს გზის მიმართულებას: გზა სამეგრელოდან სწორედ აქ, კასტირში გამოივლიდა (წყალტუბოში სამკურნალოდ რომ დადიოდნენ): სამეგრელო, ხონი, საწულუკიძო, დედალოური, კასტირის ფონი — გვიშტიბი — წყალტუბო⁷.

⁵ გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962, გვ. 20.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიისათვის, თბ., 1990, გვ. 460-461.

⁷ იქვე, გვ. 461.

საგულისხმოა ნ. ბერძენიშვილის შემდეგი თვალსაზრისიც: „მე არა მწამს აქ მარტვილში უძველეს დროსვე რომ არ ყოფილიყო ადამიანის საცხოვრისი. იმ დროიდან კი (VII ს.) აქ ეკლესიაც გადარჩენილია...“⁸.

საგარაუდოდ, ჭყონდიდის (მარტვილის) ციხე, ეგრისის გამაგრების სისტემაში შემავალი სხვა ციხეების მსგავსად, სამეფოს ზეობის პერიოდში (V-VI სს.) უნდა იყოს აშენებული. როგორც ჩანს, ციხე, ეგრისის დედაქალაქთან ერთად, შეეწირა არაბთა დამანგრეველ ლაშქრობას, VIII საუკუნის 30-იან წლებში. „მურვანმა განიზრახა თვით ეგრისში გაელაშქრნა, — წერს პროფ. სერგი მაკალათია, — მურვანის ჯარი დაბანაკდა ჭყონდიდის ან მარტვილის მიდამოში და აქედან მურვანმა გაილაშქრა და აიღო ციხე გოჯი“⁹. გადმოცემით, არაბთა სარდლის — მურვან-ყრუს ბარბაროსულ ლაშქრობას დაუხიანებლად ვერ გადაურჩა ჭყონდიდის მონასტერი და მონასტრის მთელი ანსამბლი, რომელიც ჯარს გამოაწვევინა და ცხენის თაგლად აქცია თურმე. არაბთა ლაშქარი მხოლოდ ჭყონდიდზე გამავალი გზით შეძლებდა ციხეგოჯში მოხვედრას და „საშლულე“ ციხის დანგრევას. „ამ გზაზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჭყონდიდი, ანუ მარტვილი იყო“¹⁰.

ჭყონდიდის ისტორიულად მნიშვნელოვან გზაგასაყარზე მდებარეობის მიმანიშნებელია აქ არა მხოლოდ მარტვილის მონასტრის (VI-VII სს.), არამედ ინჩისისა და აბაშის შესართავთან, ნახევარკუნძულად შეჭრილ სერზე, ნაოღალევის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ბოლოში, ციხე-ქალაქის არსებობაც, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა **ქაჯიმ ნამარანუს** „ქაჯის ნამარნეგს“ უწოდებს. ციხის ნაშთის ერთადერთი და ვრცელი აღწერილობა შემოგვინახა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გივი ელიავამ, რასაც აქვე დავიმოწმებთ: „წლების განმავლობაში ამ მდინარეებმა მათ შორის მდებარე ნაოღალევის ველის ორივე მხარეს წარმოშვეს ღრმა ხეობები გაშლილი ჭალებით. ამ ჭალებს შორის სერადაა გაჭრილი ნაოღალევის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო, რომელიც უნაგირათი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეტყობა, უნაგირა ხელოვნურად არის ჩაკეტილი გზის გასაყვანად. სერის ჩრდილო ნაწილიც გაყოფილია ორ ნაწილად და მცირე გასასვლელი აქვს. მისი სამხრეთი ნაწილი, როგორც გეგეპკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, სამარხი და საყოფაცხოვრებო უბანი იყო, ხოლო ჩრდილოეთის ვრცელი მასივი — ქალაქი და საცხოვრებელი ადგი-

⁸ იქვე, გვ. 462.

⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 67-68.

¹⁰ გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, 1962, გვ. 22.

ლი. ორივე ნაწილს, თვით ჭაღასთან, ერთიანი გალაკანი ჰქონდა შემოვლებული. მეორე გალაკანი, ისიც საერთო, ფერდობს შუა წელზე ერტყა, ხოლო მესამე გალაკანი ცალ-ცალკე ზღუდავდა ორივე უბანს. სამხრეთ ველს ჩრდილო-აღმოსავლეთით, გასასვლელთან, ედგა მაღალი, მძლავრი კოშკი, რომლის ორი-სამი მეტრის სიმაღლის ნანგრევი დღემდეა შემორჩენილი. ასეთივე კოშკი იდგა ჩრდილოეთის ველის სამხრეთ კედელზე. ეტყობა, კოშკები სამხედრო დანიშნულების ციხეებს წარმოადგენდნენ. სამხრეთის ნაწილის უკიდურესი კონცხიდან სერს ქვემოთ ჩასდევს ქვის საფეხურების ნაშთები. იგი გზისკენ ჩამავალი რაღაც პრობილეს მსგავს ნაგებობას მოგვაგონებს¹¹.

აბაშასა და ინჩხიას შორის მდებარე, ვიწრო და მაღალ, სამკუთხა ბორცვზე მდგარი უძველესი ციხე, როგორც აღვნიშნეთ, ქაჯიმ ნამარანუს სახელით არის ცნობილი. სახელწოდების შესახებ საინტერესოა ხალხური გადმოცემა. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმა კერპი მოჭრეს (იგულისხმება ჭყონდიდის კერპი — ავტ.), ისინი, ვისაც ქრისტე არ სწამდა, ე. ი. კერპს ემსახურებოდნენ, თითქოს ამ ციხე-სიმაგრეში გამოიკეტნენ. ისინი ურჯულეობი და დაწყევლილები იყვნენ. არც ღმერთი სწამდათ და არაფერი ქრისტიანული, ხალხს ატყუებდნენ, რომ თითქოს შეეძლოთ მკურნალობა, სეტყვის, ჭექა-ქუხილისა და გრიგალის მოყვანა. ისინი ქაჯები იყვნენ, რომელთა დანახვაც კი აშინებდა ხალხს. ამიტომ ამ ქალაქს შემდეგ ქაჯების მარანი შეერქვაო. ციხე-სიმაგრეში შეხიზნულ წარმართებს, ანუ ქაჯებს ციხის სამხრეთით, ველზე ჰქონდათ მოწყობილი მარანი, სადაც ინახავდნენ ჩემონას ველზე მოკრეფილი ჩემის ყურძნიდან დაწურულ ღვინოს. დიდხანს ეს ადგილი დაწყევლილი და შეჩვენებული ყოფილა. კერპის განადგურების შემდეგ ჭყონდიდის საუფლოდან გამოდევნილი წარმართები ამ ქალაქში იზოლირებულად ცხოვრობდნენ. ხალხმა მათ ეშმაკეულები, ქაჯები შეარქვა და დღემდე ასე იხსენებს. ქრისტიანთა რისხვით იავარქმნილი ეს ქალაქი, გ. ელიავას ვარაუდით, უძველეს დროში ალბათ ერთ-ერთ მძლავრ ქალაქს წარმოადგენდა „არგუეთ-კლისორის“ გზაზე¹².

თითქმის ამგვარივე შინაარსის გადმოცემა მოცემულია გივი ელიავას ავტორობით 1977 წელს გამოცემულ წიგნში¹³.

¹¹ გ. ელიავა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბ., 1962, გვ. 33-34.

¹² იქვე, გვ. 8-9.

¹³ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმთა, თბ., 1977, გვ. 100; ტოპონიმ „ქაჯიმ ნამარანუს“ სემანტიკის გასაზრებლად ინტერესს იწვევს ნ. ბერძენიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ჩანაწერი გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს ჩრდილო-დასავლეთით, 2,5 კმ-ზე მდებ-

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 1949 წელს აქ აღმოუჩენიათ კრამიტ-სამარხის ნაშთი. ფლატეზე შეიმჩნეოდა კრამიტისა და აგურის წყობის ნაწილი, ადამიანის თავის ქალით. მიცვალებულის კიდურები კი, კრამიტსა და აგურთან ერთად, ჩამორეცხილი ყოფილა. აქვე მიუკვლევათ ხანჯლის ტარისა და ქოთნის ფრაგმენტებისათვის, აგრეთვე სამარხი კრამიტისათვის, წარწერით ჭ¹⁴.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს ციხე-სიმაგრე ყოფილიყო ბიზანტიური წერილობითი წყაროების „ონოგურისი“, რასაც პარმენ ზაქარაია აბელათის ციხე-სიმაგრესთან აიგივებდა. ამ ვარაუდის არსებობისთვის საგულისხმოა ციხის მახლობლად, ქალაქის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობისას გამოვლენილი ადრეფეოდალური ხანის აბანოს ნაშთი¹⁵.

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ აბაშისა და ტეხურის ხეობებში, ეგრისის სამეფოსდროინდელი ციხე-სიმაგრეები უნაგირას მთის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზეა განლაგებული და ეგრის-ლაზიკის ცენტრალური ნაწილის ციხე-სიმაგრეთა სისტემაში ერთიან თავდაცვით ხაზს ქმნის. ამასთანავე, ეგრისის სამეფოს ცენტრალურ სექტორში ციხე-სიმაგრეების აგებისას გათვალისწინებული იყო მდინარეთა გასწვრივ მათი განლაგება¹⁶. სამეფოს შიდა რეგიონებში III-IV საუკუნეებში ციხე-ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების წარმოქმნას თვით სამეფოს სტრატეგიული ინტერე-

ბარეობს. აქ გათხრები მიმდინარეობდა 1954-1961 წლებში. ზოვლიგორა ხალხის რწმენით ემპაკის გორაა, — წერს ნ. ბერძენიშვილი, რომ იქ ემპაკები ბუდობენ. ეს ფაქტი თითქოს იმას მოწმობს, რომ ეს გორა ოდესმე არაქრისტიანული საკულტო ადგილი იყო. ასე რომ ყოფილიყო, ემპაკისად ის ვერ გახდებოდა. მაგრამ ზოვლიგორის ნაშთები უდავოდ მოწმობენ, რომ აქ ამაზედ უწინ ხალხი ცხოვრობდა... ის გარემოება, რომ ამ გორაზე ემპაკებმა დაიბუდეს, იმას მოწმობს, რომ ამ გორაზე ეკლესია არ აუშენებიათ, რომ ის ქრისტიანულ სამლოცველოდ არ ქცეულა. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს გორა მის გარშემო სოფლით (ამ სოფელსაც იმ გორის სახელი ერქვა) დაცლილა და მოსახლეობა აწინდელი სოფლისაკენ გადასულა (სახელო ხოვლე თან წაუღია) ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა დროს. კულტის ადგილი, საფიქრებელია, ამის შემდეგაც დარჩა, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, არცთუ ძლიერი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმართულ ძლიერ კულტს ქრისტიანულით შეცვლიდნენ. შეიძლება ვიფიქროთ, ადგილის დაცლა დიდი ხნით აღრე მოხდა, ვიდრე ქრისტიანობა შემოვიდოდა (რამდენიმე ასი წლით) და ახალი ხოვლის მოსახლეობას თანდათან დაეცივებინათვის მიეცა ეს ძველი ხოვლეს კულტი... ასეთ ვითარებაში ქრისტიანულმა კულტმა საჭიროდ არ სცნო აქ ეკლესიის აგება და ეს ძველი საკულტო ადგილი ემპაკებს მიუგდო. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. 1990, გვ. 29-30. ასეთივე შემთხვევასთან ხომ არ უნდა გვქონოდა საქმე „ქაჯიმ ნამარანუში“?.

¹⁴ გ. ლიავეა, აბაშისა და გვეგეჭკორის რაიონების..., გვ. 100; მისივე, გვეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, გვ. 33-34.

¹⁵ ი. კეკელია, ე. ბაღათურია, ჭყონდიდის ციხე-სიმაგრე. გაზ. „მარტვილი“, №8, 26 ივლისი, 2023, გვ. 4.

¹⁶ იხ. ნ. მურდულია, ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, 2012, გვ. 142

სები განაპირობებდა¹⁷. ესაა პერიოდი ეგრისის სამეფოს გაძლიერება-გაერთიანებისა, რაც IV ს-ის მიწურულისათვის სრულდება. ბუნებრივია, სასიმაგრო თავდაცვის ხაზი მთავარ საგზაო არტერიებზე გადიოდა. რიონ-ფაზისის სამდინარო-სავაჭრო მაგისტრალი ამ პერიოდში მოქცეული იყო ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური ინტერესების სივრცეში. მას განსაკუთრებული ინტერესი მიექცა VI საუკუნეში, ირან-ბიზანტიის ომიანობისას, და შემდეგ პერიოდში¹⁸.

აბაშისა და ტეხურის ხეობების თავდაცვის ხაზიც ერთიანი და კარგად გააზრებული გეგმის შესაბამისად არის შექმნილი.

იმის მიუხედავად, რომ ჭყონდიდის ციხე საბჭოთა პარტიული ნომენკლატურის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულების გამო სადღეისოდ პირწმინდად განადგურებულია და ზედაპირულად უმნიშვნელო ნაშთიც კი არ შეიმჩნევა, მარტვილის საბრძოლო დიდების მემორიალისა და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გულდასმით არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას შეუძლია გამოავლინოს მიწისქვეშ შემონახული ნაშთები (საძირკვლის დონეზე მაინც). ამასთანავე, შესასწავლი და გასაანალიზებელია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში დაცული არტეფაქტები, დაკავშირებული „ქაჯიმ ნამარანუსთან“.

ჭყონდიდის ციხის გადარჩენილი არტეფაქტების შესწავლა მცირე ნათელს მაინც მოჰფენს ადრეული შუა საუკუნეების ჭყონდიდის, როგორც ეგრისის სამეფოს უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრის, ისტორიას.

Edisher Baghaturia, Igor Kekelia

The Fortress of the Egrisi Kings in Chkondidi

The unified chain of defense in the Kingdom of Egrisi has the potential for the addition of numerous more castles in the future, with Chkondidi (Martvili) fortress being one of them. Many researchers of the Egrisi defense system, including P. Zakaraia, T. Kapanadze, D. Lomitashvili, N. Murghulia, N. Lomouri, M. Chumburidze, O. Lanchava, have not previously focused on this fortress, and there is a specific reason for this oversight. In the 1980s, the monument was destroyed after the construction of the Memorial of Battle Glory. The fortress was demolished using bulldozers in a manner that rendered even the superficially visible remnants no longer discernible.

¹⁷ ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, თბ., 1996, გვ. 64

¹⁸ მ. ჭუმბურიძე, ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009, გვ. 115-116

Eliso Baghaturia-Kner (Visiting Professor at Shota Meskhia State Teaching
University of Zugdidi
Member of Munich universities society in Germany)

Society of Olginskoe cemetery from historical Apsilia

Olginskoe¹ burial ground (**Fig. 1**) is identified as the earliest occupied SW part of the quite dense Abramov burial hill necropolis of the Shapka area in Gulripsh region (**Map. 1**)². The hill represents 16 ha necropolis of five late Roman time cemetery groups, where the Olginskoe corresponds to a small cemetery consisting of at least eighteen individual graves.³ This cemetery was used for more than one century by different generations from early-3rd to the late-5th century. But burials probably grew over 50 years, and it becomes the smallest cremation cemetery of the hill up to the end of the 4th century. At this time it compares with at least the four earliest cremation graves including some of female and male gender. Evidence of distinct structural and funerary practices recognizes it as burial place of mixed communities.

Each grave model matches the structure of minor or big community of area, where it defines similar groups. But they share common living and burial places probably because of the physical and conceptual attractiveness of burial ground,⁴ and also of the effective location within the surrounding landscape -

¹ The village where the cemetery locates is now named Oktomberi, but at the time of areal observation in 1945 it was called Olginskoe. As an archive material it has been is often referred to as the 'Grdzlishvili excavation' in scientific publications. See: Grdzlishvili 1947:89-95. The Olginskoe cemetery assemblages and related documents are held in the Georgian State Museum in Tbilisi and have studied by the author of this article See in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022: 56-293.

² Burial hill consisted of at least 34 graves of the mid and late imperial periods, dated to 350-450 AD. But there are also three early Byzantine male graves, buried during the 450 - 500 AD. Voronov 1977: 22.

³ The cemetery area is so eroded that much information is lost and most graves are destructed. The approximate number of surviving graves is recorded to be eighteen, but only six survived completely (graves 1 to 6) and other twelve graves had different degrees of damage or destruction. Despite the pure surviving conditions, artefacts still have ability to provide a broader understanding to their typo-chronological and functional spectrum.

⁴ Abramov hill had a prominent position on the left bank of the Barjal River, on a reasonably well-drained terrace of an easily accessible limestone ridge. But the key point is a cognitive consideration of earliest buried minorities articulated by the inverted body container, which begun occupying the burial hill from the beginning.

its roadside position on the main communication line of the valley (**Map. 1**)⁵.





Fig 1. A-Identification of the location of Abramov hill.
- Approximate location of Olginskoe cemetery.



MAP 1. Abramov hill and location of Olginskoe cemetery. Red line- AR 2 through burial hills of Shapka area and towards *Kay Apsilian Road* (KAR).

⁵ It lay on the main civic route arteries (AR2), it has shifting perspectives on both sides. Turning right it first reaches the central part of the Tserkovni Hill necropolis. To the left, it meets with the Arterial Road 1 running towards the Gurzuli settlement near the Black Sea.

Who these people were may lie in their habits, images, memories and self-presence that can obviously be viewed in each structure (**Fig. 2.**)⁶. But it is still hard to recognise them precisely. In any case, they help to reveal close kinds of contact between certain individuals, buried in the graves 2 and 4 or 3 and 6. For the other two individuals evidenced in graves 1 and 5 it is more difficult to define relative context.

Evidence for non-areal settlers could be recognised in two graves - 2 and 4 (**Fig. 2.** 2,4). Interest in pottery destruction and imitating principles of smashed inverted urns (*Grave Model 1*), within inverted damaged jugs, is a structurally fundamental context of burial practice, examining the identity of a Hellenistic community. This directly links with the Chkhorotsku area of central Colchis, where they proved chronologically earliest and statistically mostly dating from late Hellenistic times. But such ritual episodes - like the emotionally charged intact bent sword and thrust spear- involved within this practice, is based on ideas of Classic and Hellenistic ancestors. This habit is limited to Apsilia and scarcely evident only in the nearest vicinity of Olginskoe cemetery, where obviously seen that the identity is much more important and changes are unacceptable. Therefore, it could be a case of when the generation reflects the past with the cognitive mechanism. Both males of graves 2 and 4 are seemed to be honourable warriors (**Fig.3**)⁷.

Since their number is limited and while the similar emotional audiences have attracted only a few settlers from Patskhiri and Apiancha valleys (Grave 39), it might be supportively predictive of a cognitive thread for some of the resettled distinctive tribal communities they represented. In fact, they established a new location in Patskhiri valley, perhaps to keep close to the cognitive area, and because this valley has shown a traditional continuity since prehistoric times.

⁶ Details see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022:149-159.

⁷ Artistic image of warriors see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022, Tabl. 50-53.




Fig. 2. Interrelation of Olginskoe graves 1, 2, 3, 4, 5 and 6.

Certain similarities connect two other individuals buried in Graves 3 and 6 (**Fig. 2. 3,6**). The central feature of their unique burial schema is a similar aspiration in choice of urn type (*Grave Model 2*), which clearly relates to the community of Apushta and Lar in upland Apsilia. It occasionally appears in the central part of the area, where it leads only to the Abramov hill necropolis where the Olginskoe cemetery locates. The standardisation of knives and small juglets as areal pattern of the mid-imperial Mramba is verifiable for their areal identity. The female buried in grave 3, seem more clearly connected to a small community appearing in central Apsilia from the beginning of the 4th century (**Fig. 2.3**). The warrior grave 6 characterises with an imitation principle of a covered urn (a homogeneous model), which might be adopted from certain Hellenistic Colchian communities and occurring in graves independent from belief (**Fig. 2.6; Fig. 3**). In any case, it is a reflection of the continuation of regional burial practices. In broad terms, both individuals are identifiable with areal inhabitants and construct similar identities.

The individual buried in Grave 5 is distinguished by different living standards and developed life principles (**Fig. 2.5; Fig. 3**). The third model of hori-

zontally placed *pithoi*-urns (*Grave Model 3*) with drink related specifics, obtain a chronologically definable grave structure and level of internationalised social culture. It links with a regional trait, confirms a short-lived custom and connection with certain members of a militarised Mramba community. It also makes it easy to recognise a member of a different cognitive community who finds appropriate forms of self-identification as ‘present’ in a new funerary environment. The horizontally-laid cremation urn- the *pithoi* is Colchian in nature and the rest of the deposition material is local. Thus, a mental interplay appears, but these are insufficient evidence for areal identity⁸.

The individual buried in Grave 1 is a case where more imagination is required (**Fig.2.1**; **Fig.3**) as illustrates the general norm of structuring principles⁹ and it is difficult to define any other distinctive behaviour within this grave context. Some of the offering types revealing exclusivity could be non-locally made material, but not decisive enough to determine non-areal dynamics. They contain strong elements of a character which may be associated either with the profession of the individual or the profession of a certain group of people, but there is no comparable evidence in Apsilia or in other parts of Colchis. In fact, there is no interest in areal burial practices and there is a lack of direct links among the burial deposits. Such mental constructs could also drive the conclusions for a non-areal past for this individual.

Relations and ancestral links within this cemetery are significant factor in understanding of a common burial practice, place and especially when Olginskoe cemetery clearly constitutes three particular types of burial practices. Their biological concerns are impossible to define indeed, but there are other clues such as conceptual, structural, alignments (**Fig.2**) and chronological schema, for a key understanding of their relationship basis.¹⁰ What is important is to find a common point able to explain the convenient relationship with burial ground. If we carefully look at their behavioural interrelations and other synchronic graves of vicinity, such an explanation may be found for certain Olginskoe graves (**Fig.3**).

⁸ A horizontally-laid *pithoi* rapidly associates information stored in Classical and Hellenistic practices. A fully cremated body is reminiscent of a grave of classic Merkheuli in the Apsilian area.

⁹ Details see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022: 163, 347.

¹⁰ Details see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022:134-163.




Fig. 3. Interrelationship of Olginskoe society. Conceptually identified individuals.

Since Graves 2 and 4 reveal the same behavioural schema, both individuals might be expected to represent either two similar families within one tribal group or the members of one family (Fig. 3). Identical descent may be responsible for the funerary concept and identically driven emotions, which is supportive for such a link. The short chronology giving a roughly 5 to 10-year difference is insignificant, but it raises perspectives for the early burial of the individual in Grave 4 (380-400 AD).

Another close link has been identified for two further individuals buried in

Graves 3 and 6 (**Fig. 3**)¹¹. Similar burial concepts may be highly supportive in suggesting a close familiar relationship. From a gender perspective they may even be suggestive of a couple or other similar members of the same community or the same family. The female buried in Grave 3 is chronologically a later burial and perhaps was one of the responsible persons for the funeral in Grave 6. She belongs to one of the last buried individuals of the cemetery until 450 AD.

It is even more difficult to find any connection between the individual buried in grave 1 and the rest of the society (**Fig. 3**). Chronologically, it seems to be synchronic with the earliest graves, 2 and 4, which may offer an explanation to the function of the burial ground.

From a structural and ideological perspective, the individual buried in grave 5 did not interact with the conceptual environment of the rest of Olginskoe society (**Fig. 3**). The new funerary behaviour his grave made visible, did not appear before 380 AD in the area¹². By this period, three individuals were already buried in the north and west adjacent locations (Grave 2, 3, 4). But behaviourally, no interrelation link may be found with them. What his biological descent has to offer in connection with directly aligned later graves (3, 6) is impossible to assess. The grave's structural and behavioural perspectives do not provide any recognisable traits for a distant relative link or family connection with any other graves in Olginskoe cemetery and beyond. It seems that he was accepted in the Olginskoe burial ground without performing any visible similar burial practice. The possible reason could be a military authority because behavioural linkage with specific militaries of Mramba area authorised his equal status, which could be indicative of a leading member of the initial settlers of Patshhiri valley. Therefore, its appearance within Olginskoe cemetery could be understood through authority and interlinked features.

¹¹ Details see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich, 2022: 277.*

¹² Details see in: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich, 2022: 280.*

ელისო ბალათურია (შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოუნხენის უნივერსიტეტების სამეცნიერო საზოგადოება)

ოლგინსკოეს სამარონის საზოგადოება ისტორიული აფშილეთიდან

ოლგინსკოეს¹ სამარონის არეალი (სურ. 1) იდენტიფიცირებულია როგორც აბრამოვის ბორცვის ნეკროპოლის ყველაზე ადრე ათვისებული სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი შაპკის² არეალში, გულრიფშის რაიონში (რუკა. 1). ეს ბორცი წარმოადგენს ხუთი გვიანანტიკური 16 პა ნეკროპოლოს, რომელიც მოიცავს ხუთ გვიანრომაული სასაფლაოების ჯგუფს და სადაც, ოლგინსკოე შეესაბამება, სულ მცირე, ცხრამეტი სამარხის შემცველ, პატარა ზომის სასაფლაოს. ეს სამაროვანი გამოიყენებოდა სხვადასხვა თაობების მიერ ერთ საუკუნეზე მეტხანს ახ. წ. III-V საუკუნეების განმავლობაში. აქ, სამარხების ინტენსივობა შეინიშნება 50 წლის განმავლობაში და ის ბორცვის პატარა ზომის სასაფლაოდ იქცა დაახლოებით IV საუკუნის ბოლოსთვის. ამ როისთვის აქ შეინიშნება, სულ მცირე, ოთხი ქალისა და მამაკაცის ადგილი სამარხები. ხოლო, განსხვავებული სტრუქტურული და დაკრძალვის პრაქტიკა მიანიშნებს იმაზე, რომ ის გახლდათ სხვადასხვა საზოგადოების დასაკრძალავი ადგილი.

თითოეული სამარხის მოდელი შეესაბამება რეგიონის დიდი და მცირე თემისთვის დამახასიათებელ სამარხეულ სტრუქტურას, რითაც გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს განსხვავებული საზოგადოება იზიარებს საცხოვრებელ და დასაკრძალავ ადგილს. შესაძლოა, არეალის³ ფიზიკური და კონცეფციური მიზიდულობის გამოც, და

¹ სოფელი სადაც ეს სასაფლაო მდებარეობს, დღეისათვის ცნობილია ოქტომბერის სახელწოდებით, მაგრამ 1945 წელს იწოდებოდა ოლგინსკოედ. ხოლო, როგორც საარქივო მასალა, ის ხშირად მოიხსენიება 'გძელიშვილის გათხრების' სახით. იხ.: გძელიშვილი ს. 1947: 89:95. ოლგინსკოეს სამარონის მასალები და შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და გამოკვლეულ იქნა ამ ტექსტის ავტორის მიერ. იხ.: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich, 2022:56-293.*

² დასაკრძალავი ბორცი შედგებოდა სულ მცირე 34 სამარხისგან, რომლებიც თარიღდება შუაღელური პერიოდით 350-450 წლებით. თუმცა, ბორცი ასევე მოიცავს ადრეიზანტიკური ხანის მამაკაცის სამარხებსაც, რომლებიც დაკრძალული არიან მოგვიანო 400-450 წლებით. იხ. Voronov 1977:22.

³ აბრამოვის ბორცვს წამყვანი ადგილი ეჭირა მდ.ბარიალზე, ადგილად მისაწვდომი კირქვის ქედზე. წელით კარგად მომარაგებულ ტერასაზე. მაგრამ კონკრეტური თვალსაზრისით, უმოთხრესი გახლდათ ხელოვნურად დაზიანებული და პირქვე ჩადგმული ურნის ქონე უადრესი სამარხების აღმოჩენა, რომლებიც თავიდანვე ჩნდებიან სამარონის ბორცვზე.

ასევე, მის შემოგარენში საკმაოდ ეფექტური ლოკაციიდან გამომდინარეც. ხეობის მთავარ საკომუნიკაციო ხაზზე მისი გზისპირა მდებარეობა ფრიალ მნიშვნელოვანია (რუკა.1).⁴

თუ ვის წარმოადგენდნენ ეს ინდივიდები შესაძლოა მათ ჩვეულებაში, გამოსახვაში, მახსოვრობასა და საკუთარი თავის გამოხატვაშიც იკითხებოდეს, რაც ნათლად აისახება მათი სამარხის სტრუქტურულ ხასიათში (სურ. 2).⁵ თუმცა, სიზუსტით მათი ამოცნობა ჯერაც რთულია. ყოველი შემთხვევისთვის, ამ მონაცემებმა გამოავლინეს ცალკეულ ინდივიდებს შორის ახლო ურთიერთობის პერსპექტივა, რაც შესაძენეია II და IV სამარხების, და ასევე III და VI სამარხების ურთიერთმიმართებასა და სხვა ნიუანებში. ხოლო I და V სამარხებში დაკრძალული ინდივიდების უერთიერთკავშირების დადგენა უფრო რთულია.

სხვა რეგიონის წარმომადგენლების ამოცნობა შესაძლებელია II და IV სამარხის ინდივიდებთან მიმართებაში (სურ. 2.2,4). აქ შეინიშნება კერამიკის წინასწარი დამსხვრევისა და შუაზე გადახერხილი, პირქვე ჩაღმული ურნის (*სამარხის მოდელი 1*) იმიტაციის პრინციპები შიგნით ჩაბრუნებულ და ყელმოტეხილ დოქთან ერთად. ეს გახლავთ სამარხეული პრაქტიკის ის ფუნდამენტური კონტექსტი, რომელიც ელინისტური სამყაროს ზოგიერთი თემის იდენტურობის საკითხის კვლევისას ცხელს უწყობს. ვინაიდან, ის პირდაპირ კავშირშია ცენტრალური კოლხეთის ჩხოროწყუს არეალთან, სადაც გამოვლინდა ქრონოლოგიურად უადრესი, სტატისტიკურად მეტი მსგავსი ხასიათის მქონე გვიანელინისტური სამარხები. მაგრამ, ისეთი რიტუალური ეპიზოდები როგორცაა ემოციურად დატვირთული დაზიანებული და გაღუნული ხანჯალი, ასევე მიწაში ჩასობილი შუბისპირი, რომელიც ჩართულია ამ პრაქტიკაში, ეფუძნება კლასიკურ-ელინისტური პერიოდის წინაპრების იდეას. მსგავსი წესი ლიმიტირებულია ისტორიულ აფშილეთში და იშვიათად გვხვდება მხოლოდ ოლგინსკოეს სამაროვნის შემოგარენში. ამ ფაქტში აშკარად დასანახია, რომ მსგავსად გამოხატული იდენტურობა ყველაზე მნიშვნელოვანია თემის (თუ ტომის) წარმომადგენელთათვის და ცვლილებებიც მიუღებელი. ამდენად, ეს შესაძლოა ის შემთხვევა იყოს, რო-

⁴ მდებარეობს სამოქალაქო მარშრუტის მთავარ არხზე (AR2). მას ორივე მხარეს გააჩნდა მიმართულების შეცვლის პერსპექტივა. მარჯვნივ ის აღწევდა ცერკოვნის ბორცვის სამაროვნებს. ხოლო მარცხნივ - უერთდებოდა *არტერიულ გზა I-ს* (AR 1), რომელიც მიემართებოდა ღურზულის დასახლებისკენ შავ ზღვასთან.

⁵ დეტალები იხილეთ: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022: 149-159.

ცა თაობები კოგნიტური მექანიზიმის მოშველიებით გამოხატავენ წარსულს. ორივე მამაკაცი რომელიც დაკრძალულია II და IV სამარხებში, როგორც მათივე ინვენტარიან და წეს-ჩვეულებიდან ჩანს, საკმაოდ პატივსაცემ მემორებს წამოადგნენ (სურ. 3).⁶

მაგრამ, ვინაიდან მათი რაოდენობა ლიმიტირებულია და მსგავსი ემოციებით დატვირთული საზოგადოებას მხოლო ფაცხირისა და აფიანჩის (სამარხი 39) მოსახლეობის უმცირეს ნაწილში ვხვდებით, შესაძლოა რომ ამ ფაქტმა გვიკარნახოს ზოგიერთი ტომობრივად განსხვავებული, ჩამოსახლებული თემების კოგნიტური ბმაც. ფაქტიურად, მათ შექმნეს ახალი ლოკაცია ფაცხირის ხეობაში, შესაძლოდ, კოგნიტურ არეალთან სიახლოვის გამოც, და იმის გამოც, რომ ეს ხეობა ტრადიციულ კონტინუიტეტს ავლენს პრეისტორიული ხანიდან.

გარკვეული მსგავსება, ერთმანეთთან აკავშირებს ორ დანარჩენ ინდივიდს მე-3 და მე-6 სამარხიდან (სურ. 2. 3,6). მათი დაკრძალვაში დასახია, ურნის ტიპის (*სამარხის მოდელი 2*) შერჩევაში იდენტური მისწრაფება, რომელიც აშკარად ზემო აფშილეთის ფუსთისა (ფუშთის) და ლარის თემს უკავშირდება. რაც იშვიათად შეინიშნება აფშილეთის ცენტრალურ ნაწილში, სადაც ეს თვისება აბრამოვის ბორცვისკენ იკვლევს გზას ოლგინსკოვის სამაროვნამდე. პატარა დანისა და მომცრო ზომის ღოქის სტანდარტიზება, როგორც შუაიმპერიული პერიოდის მრამბის მახასიათებელი, ამ ინდივიდებისთვის შეიძლება არეალის წარმომავლობის მაცნეც იყოს. III სამარხის ქალბატონი, როგორც ჩანს, უფრო პატარა თემს ეკუთვნის, რომელიც ცენტრალურ აფშილეთში IV საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება (სურ. 2.3). ხოლო მეომრის VI სამარხში დახურული ურნის იმიტირება (ადგილობრივი მოდელი), შესაძლოა ელინისტური კოლხეთის რომელიმე თემისგან იყოს აღებული რწმენისგან დამოუკიდებლად (სურ. 2.6; სურ. 3). ყოველი შემთხვევისთვის, ეს გახლავთ რეგიონალური დაკრძალვის წესის გამოხატულება. ამდენად, ორივე ინდივიდი არეალის წარმომავლობასთან არის იდენტიფიცირებადი და ერთი თემის წარმომადგენელთა შთაბეჭდილებას ტოვებს.

V სამარხში დაკრძალული ინდივიდი გამოირჩევა ცხოვრების განსხვავებული სტანდარტითა და პრინციპებით (სურ. 2.5; სურ. 3). მისი სამარხის

⁶ მეომრების მხატვრული აღდგენა იხილეთ: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022. Tabl. 50-53.

სტრუქტურული მოდელი - ჰორიზონტალურად ჩადგმული პითოსი-ურნა (*სამარხის მოდელი 3*), რომელიც გამოირჩევა სასმელთან დაკავშირებული სპეციფიკებით, ასახავს ქრონოლოგიურად განსაზღვრული სამარხის სტრუქტურასა და ინტერნაციონალიზებული სოციალური კულტურის დონეს. მას გააჩნია რეგიონლური მახასიათებლები და ასახავს მოკლევადიან ჩვეულებას, რომელიც უკავშირდება მრამბის გასამხედროებული თემის წარმომადგენლებს. ეს ნიშნები, ასევე გვიაღვილებს სხვადასხვა კოგნიტური ჯგუფების წარმომადგენლეთა ამოცნობას, რომლებმაც თვითიდენტიფიკაციის — როგორც ‘აწმყო’ თაობის წარმომადგენლობის — შესაბამისი ფორმები დაკრძალვის ახალ წესებში დაამკვიდრეს. მაგრამ ვინაიდან, ჰორიზონტალურად ჩადგმული პითოს-ურნა კოლხური მახასიათებელია და ჩატანებული ნივთები ადგილობრივი წარმოშობისაა, ეს ყოველივე მიუთითებს მენტალურ ურთიერთქმედებაზე. თუმცა ეს ნიშნები არასაკმარისია არეალის იდენტიზაციის ამოსაცნობად.⁷

I სამარხში დაკრძალული ინდივიდი ის შემთხვევაა, როცა მეტი წარმოდგენა და ფანტაზიაა საჭირო (Fig. 2.1; Fig. 3). რადგან ის გამოსახავს სტრუქტურირების ზოგად ნორმებს⁸ და აღნიშნულ კონტექსტში რთულია რაიმე სახის განმანსხვავებელი ნიშნის გარმოყოფა. ექსკულიზურობით გამოირჩეული ზოგიერთი ინვენტარის ტიპი, რომელიც შესაძლოა აფშილეთში არ იყოს დამზადებული, მაგრამ არც საკმარის ნიუანსებს შეიცავენ არარეგიონალურ დინამიკაზე მსჯელობისთვის. ისინი ხასიათის ისეთ ელემენტებს ავლენენ, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ინდივიდის პროფესიას ან გარკვეული ჯგუფის პროფესიას, მაგრამ მათი პარალელები არ არსებობს აფშილეთში ან თუნდაც კოლხეთის სხვა რეგიონებში. ფაქტიურად, არც არეალისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისადმი ინტერესი შეინიშნება I სამარხში და არც სამარხეულ ინვენტარს შორის ღრმა კოცეფციური კავშირი. მსგავსი მენტალური სტრუქტურა შეიძლება მხარს უჭერდეს უფრო სხვა რეგიონალურ წარსულს.

ოლგინსკოეს სამაროვანზე დაკრძალულთა ურთიერთობა და გენეტიკური კავშირი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმისთვის, რომ ჩავწვდეთ საერთო დასაკრძალავი არეალის გაზიარების მიზეზს. მათი ბიოლო-

⁷ ჰორიზონტალურად ჩადგმული პითოსი ასოცირებულია იმ ინფორმაციასთან, რომელიც კლასიკურ-ელინისტურ პრაქტიკაში გვხვდება. სხეულის სრული კრემაცია შეინიშნება კლასიკური მერხეულის სამარხებში.

⁸ დეტალები იხილეთ: Baghaturia-Kner E., Machara and Kodori Valleys (historical Apsilia) of NW Georgia in the 1st to 7th centuries AD. *Inaugural Dissertation. Munich*, 2022: 163; 347.

გიური ბმის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ არსებობს გარკვეული ნიშნები, როგორცაა კონცეფციური, სტრუქტურული, სამარხთა ურთიერთმიმართების სტრატეგრაფიული მონაცემი და ქრონოლოგიური ბმა, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი უერთიერთობისთვის. მთავარია, იმ საერთო უმთავრესი წერტილის პოვნა, რომელსაც გაჩნა ინფორმაციული ბმის ახსნის უნარი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით ასახული წეს-ჩვეულებების ურთიერთმიმართებას და რეგიონის სხვა სინქრონულ სამარხებს, იდენტურად არის ასახული ოლგინსკოეს სამაროვანზეც (სურ. 3).

II და IV სამარხებში იდენტურად გამოვლენილი დაკრძალვის პრაქტიკა გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ორივე ინდივიდი ან ერთი ტომის წარმომადგენელი ან ერთი ოჯახის წევრები (სურ. 3). სწორედ ერთი თემის წარმომავლობა შეიძლება იყოს ანალოგიური დაკრძალვის კონცეფციისა და იდენტური ემოციების გამოვლენის მიზეზი. მათი სამარხების თარიღების მოკლე ქრონოლოგია 5-10 წლის სხვაობას იძლევა, რაც უმნიშვნელოა, მაგრამ აჩენს იმის პერსპექტივას, რომ უფრო ადრე დაკრძალულ ინდივიდად მივიჩნიოთ IV სამარხის მეომარი (ახ. წ. 380-400 წწ).

დაკრძალვის ანალოგიური კონცეფცია მხარს უჭერს III და VI სამარხებში დაკრძალული ინდივიდების ურთიერთკავშირის ვარაუდს (სურ. 3). ხოლო გენდერული თვალსზრისით, შესაძლოა მიუთითებდეს წვეილზე, ან ერთი ოჯახისა თუ ერთი თემის წევრებზე. ვიანაიდან, III სამარხის ქალბატონი ქრონოლოგიურად უფრო გვიან არის დაკრძალული, არ გამოირიცხება, რომ VI სამარხში ასახული ასაკრძალავი პრაქტიკის შესრულებაზე სწორედ ის ყოფილიყო პასუხისმგებელი. მისი სამარხი ასევე მიეკუთვნება ოლგინსკოეს სამაროვნის გვიანდელი სამარხების კჯუფს რომლებიც 450 წლამდე ჩნდება.

კიდევ უფრო რთულია I სამარხისა და საზოგადოების დანარჩენ წევრებს შორის ურთიერთკავშირის პოვა (სურ. 3). ქრონოლოგიურად, ის II და IV სამარხის ინდივიდების სინქრონულად გვევლინება, რაც გარკვეულწილად მიგვაიძნებს დასაკრძალავი არეაის ფუქციონაც.

სტრუქტურული და იდეოლოგიური პერსპექტივიდან, V სამარხის ინდივიდი სიახლოვეს ავლენს ოლგინსკოეს საზოგადოებაში ასახულ კონცეფციურ გარემოსთან (სურ. 3). ხოლო დაკრძალვის ის ახალი თავისებურება, რაც მისმა სამარხმა წარმოაჩინა, მხოლოდ ახ.წ. 380 წლიდან ჩნდება აფშილეთში. ხოლო ამ დროისთვის, სამი ინდივიდის სამარხი უკვე არსებობდა ოლგინსკოეს სამაროვანზე (Grave 2, 3, 4). მაგრამ, თვისობრივი ურთიერთკავშირი არ იმეხნება რომელიმე მათგანთან. ამდენად, რთულია იმის

დადგენა, თუ რა პერსპექტივას შემოგვთავაზებდა მისი ბიოლოგიური წარმომავლობა სტრატეგრაფიულად მიბმულ მოგვიანო სამარხებთან (სამარხები III, VI) მიმართებაში. ხოლო სტრუქტურული და თვისობრივი პერსპექტივიდან, ის არ გვაძლევს რაიმე სახის ამოცნობად ნიშანს შორეული ნათესაური ან ოჯახური კავშირებისთვის ოლგინსკოეს სამაროვნის სხვა სამარხებთან ან შემგარენის სამარხებთან მიმართებაში. როგორც ჩანს, ეს ინდივიდი ოლგინსკოეს საზოგადოებამ ყოველგვარი მსგავსი დასაკრძალავი პრაქტიკის შესრულების გარეშე მიიღო. საამისო სავარაუდო მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მისი სამხედრო ავტორიტეტი, რადგან, მრამბას არეალის კონკრეტულ სამხედროებთან მისი ქცევითი კავშირი, მის სტატუსს ხაზს უსვამს. სწორედ ეს ნიუანსები შეიძლება მიუთითებდეს ფაცხირის ხეობის მოსახლეობის წამყვან ან ავტორიტეტულ პირზე. ამდენად, მისი გამჩენა ოლგინსკოეს სამაროვანზე შესაძლება გავიგოთ ავტორიტეტითა და მასთან აკავშირებული ნიშნების მეშვეობით.

იგორ კეკელია (ფოთის №15 საჯარო სკოლა)
მათე დარსაძე (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**თვითმმართველობის ხალხური სისტემა და ჩვეულებითი სამართალი
გივი ელიავას ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში**

გ. ელიავა იმ ქართველ ისტორიკოსთა ტრადიციის გამგრძელებელია, რომლებიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის კვლევისას, წერილობით წყაროებთან ერთად, ან წერილობითი წყაროების უქონლობისა თუ ნაკლებობის შემთხვევაში, სარგებლობდნენ არქეოლოგიური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემებით. მარტვილის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის — ანა ჩიქვანაიას მართებული შეფასებით, „უპირველესი რამ, რაც გივი ელიავას საქმიანობის გაცნობა-შესწავლისას მკითხველს თვალში ეცემა, ეს არის მისი, როგორც მკვლევრისა და მოღვაწის, ინტერესთა სფეროს მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა. თითქმის არ დარჩენილა მხარის ისტორიის კვლევის არც ერთი მიმართულება, რაზეც მას, როგორც მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფუძემდებელს, მასალების შეკრება-შეგროვებასთან ერთად არ ეფიქრა, არ ეკვლია და თავისი მოსაზრებები არ გამოეთქვა“¹.

გივი ელიავას მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობის ძირითადი ასპარეზი სამეგრელო და, განსაკუთრებით, მისი აღმოსავლეთი ნაწილი იყო. მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საფუძვლად დაედო მის მიერვე შეგროვებული, ფასდაუდებელი მნიშვნელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ფოლკლორული თუ სხვა ხასიათის მასალები და მათი ექსპონირება საყოველთაოდ ცნობილ მარტვილის მუზეუმში. სამუზეუმო საქმიანობის პროცესში მუზეუმის სამეცნიერო მივლინებებისა და ექსპედიციების გზით, გ. ელიავამ გააფართოვა და გააღრმავა მეცნიერული კვლევა-ძიების გეოგრაფია. იგი არა მხოლოდ სამეგრელოს შეისწავლიდა, არამედ მისთვის საჭირო ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიკური თუ სხვა ხასიათის მასალების მოსაძიებლად, შეიძლება ითქვას, ფეხით მოიარა იმერეთი, გურია, რაჭა, სვანეთი და აფხაზეთი.

¹ ა. ჩიქვანაია, გ. ელიავა — მხარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი. მარტვილის ეროვნული მუზეუმის 45-ე სამეცნიერო-საიუბილეო სესია, მიძღვნილი გ. ელიავას დაბადების 80 წლისთავისადმი, მარტვი-ქუთ., 1999, გვ. 17.

1980 წელს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესიაზე გ. ელიავამ წაიკითხა მოხსენება, თემაზე — „თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში“. აღნიშნული მოხსენება ავტორმა შეიტანა 1994 წელს გამოცემული ნარკვევების კრებულში². თვითმმართველობის ხალხური სისტემა, გ. ელიავას აზრით, უხსოვარ დროშია შექმნილი და განაგრძობს არსებობას, საჭიროების შემთხვევაში — ფუნქციონირებასაც. ამდენად, იგი, როგორც ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი ხალხური ფენომენი, ახალი გამოწვევის კი არ არის, არამედ გვაროვნული წეს-წყობილებიდან მომდინარეობს. ასეთი თვითმმართველობის სისტემა არსებობდა პატრონიზმის გარიჟრაჟიდან (მ. კოსვენის). ეს უადრესად საყურადღებო ტრადიცია ხალხის დაბალ სოციალურ ფენას გადმოჰყვა და გამოიყენებოდა სოციალური თუ ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზაზე. ეს იყო მოსახლეობის მეხსიერებასა და მორალურ მრწამსში მტკიცედ დაცული, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი, საზოგადოების საერთო ინტერესების გამომხატველი ტრადიცია სამეგრელოში. ეს ტრადიცია თვალსაჩინოდ ფუნქციონირებდა ოქტომბრის რევოლუციამდე და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი — აღნიშნავს გ. ელიავა, — აერთიანებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, არსებობდა თვითნებურად და იკრძალებოდა ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო-იურიდიული მოთხოვნებით³.

დაწესებული იყო თვითმმართველობის ხალხური საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული სახე და უფლება-მოსილება. იგი გამოხატავდა ხალხის მშრომელი მასის, მისი ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის საერთო ნებას. ეს ორგანო უპირისპირდებოდა არსებულ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. თვითმმართველობის ხალხური საკანონმდებლო ორგანო ხალხის არჩევით უფლებებზე იყო დამყარებული. საკანონმდებლო საქმიანობაში თემის, საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობდა, თანაბარი ხმის უფლებით⁴. მკვლევარი იმოწმებს თემის ერთობასთან დაკავშირებით ცნობილი ეთნოგრაფების — რ. ხარაძისა და ა. რობაქიძის მიერ ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალას: „თემი რომ შაიფრებოდა, ერთი პი-

² იხ. გ. ელიავა, დ. ელიავა, ძიებანი, მარტვი, 1994, გვ. 19-34.

³ გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში. წგნ.: გ. ელიავა, ძიებანი, მარტვი, 1994, გვ. 19-21.

⁴ იქვე, გვ. 21.

რი ჰქონდა თემს, ერთკაცობა ჰქონდა, გაგზავნაზედაც ერთები ვიყავით, პირიც ერთი გვექონდა, სიმართლე ერთი გვექონდა“⁵.

ასეთი საზოგადოებრივი ნების გამოხატულება იყო სამეგრელოში **საზოგადოში კათუა** „საზოგადოების შეკრება“ (კათუა მეგრულში აღნიშნავს კრებას, ყრილობას, თავშეყრას). ასეთ შეკრებაზე ქუდზე კაცი გამოდიოდა. საზოგადოში კათუა, ანუ მოსახლეობისათვის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ხდებოდა **ოყეთი** (საყვირით). თურის, სამოხიოს, მუხურის, თემის თავკაცობა მესაყვირეს ავალებდა საყვირით ხევის, საზოგადოების მცნოვრებთა კრებაზე მოწვევას. ამ ხმის გაგონებაზე ყველა უსიტყვოდ იკრიბებოდა სოფლის ცენტრში ან ეკლესიის ეზოში, ან კიდევ სოფლის თვალსაჩინო უბანში მდებარე **ოკათურეშში** (შესაკრებელი). ეს იყო ყრილობისათვის განკუთვნილი, განსაკუთრებული საყრილობო ადგილი, სადაც იდგა ათასწლოვანი ხეები. ხშირად მის ქვემოთ ძელი და ნიშიც კი იყო აღმართული. გ. ელიავას შეხედულებით, ასეთი ოკათურეშის სტრუქტურულ აღნაგობაზე თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის სოფ. სანაჭყეობიში (კურზუს თემი), ქეჯვარის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში დღესაც დაცული საყრილობო ადგილი. აქ მდგარი ქვის სავარძელი მახვამურის (მღვდელის), ან დუდკოჩის (თავკაცის) სავარძელია, სადაც იგი ან ზის, ან დგას და ქადაგებით აწესრიგებს ყრილობის მსვლელობას. აქვე ყოფილა მცირე ზომის ნიში წმ. გიორგის ხატის დასასვენებლად. აღმართული ყოფილა ურთხელის ხის ძელი შეწირვის რიტუალის შესასრულებლად. სანთლების წვით დამწვარ-დანახშირებული აღნიშნული ძელი ამჟამად მარტვილის მუზეუმში ინახება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სათემო ყრილობაზე საზოგადოების შეკრება ხდებოდა ოყეთი (საყვირით). გ. ელიავას ნარკვევში მითითებული არ არის, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამ პროცესს ერქვა ოყელიაშ ძახი, ოყეშ ძახი — ბუკის ხმიანობა; ბუკისცემა. საყვირი, ბუკი მზადდებოდა რქისგან ან ხისგან (უპირატესად, კაკლის ქერქისგან). ოყეშ ძახი იცოდნენ აგრეთვე ხატისგან დამიხეზებულის გამოლოცვისას. გაჩნობულ-დამიხეზებულს მნათე ხატის წინ დააჩოქებდა და ავსულთა დაფრთხობის მიზნით, ზედ მის ყურთან დააყვირებდა ბუკს. შდრ.: ოყეშ ხელერდუა „ბუკის ცემა“⁶. შეკრებაზე მოწვეული ერთი თემის, ერთი გვარის წევრები თავკაცის, ხშირ შემთხვევაში **მახვამურის**

⁵ რ. ზარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 62.

⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 550.

(მლოცველის, სარიტუალო წესის გამრიგის) მეთაურობით იწყებდა იმ საკითხის განხილვას, რის გამოც იყო მოწვეული „კათუა“. მართალია, ეს ადგილი, — დასძენს გივი ელიავა, ქეჯვარობის სარიტუალო-სადღესასწაულო ადგილი იყო, აქ რელიგიური რიტუალი აღესრულებოდა, მაგრამ თემი, **თურიშ მუხური** (გვარის კუთხე), სამოხიო ამ კათურემს საზოგადოების შეკრების ადგილად მიიჩნევა უძველესი დროიდან, ქეჯვარის — ქვის ჯვარის მაღლით ძალმოსილს. საზოგადოების ყრილობა იმართებოდა გადამთიელ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისის, ბატონების განუკითხავი, უსამართლო მოქმედების აღკვეთის, ან დიდი ჭირიანობის მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით. შეკრებაზე თავკაცის შესავალი სიტყვის შემდეგ **რჩქინეი, ხანერი კათას** (მცოდნე, სწავლული, ჩენილი; ხნირი ხალხი) მონაწილეობით და დარბაისლური სჯა-ბაასით განიხილებოდა ესა თუ ის პრობლემური საკითხი. მათ სიტყვასა და წინადადებაზე საზოგადოების დანარჩენი ნაწილი შეძახილით რეაგირებდა, იწონებდა ან უარყოფდა თავკაცთა მიერ წამოყენებულ აზრს, დასკვნას, თუ წინადადებას. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ვეკლა ერთხმად არ მოიწონებდა აზრს. ეს აზრი განჩინებად, გადაწყვეტილებად მტკიცდებოდა. მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება ევალებოდა ხალხის მიერ არჩეულ „რჩქინეი დუდკოჩეფიში სასაჩიარო სხუნუს“, „სხუნოი კათაში სასაჩიაროს“ (მცოდნე თავკაცთა საბჭოს, რჩეულ კაცთა სასუბროს//საბჭოს). ამის შემდეგ, დუდკოჩის მეთაურობით, ხალხი საერთო სალოცავის წინაშე აღთქმას დებდა, რომ ერთგული იქნებოდა ამ გადაწყვეტილებისა. იცოდნენ ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვაც⁷.

ამრიგად, დაასკვნის გ. ელიავა, საზოგადოებაში კათუა თვითმმართველობის, ხალხის ნების უმაღლესი გამოხატულება იყო. ამ ორგანოს **ჯარალუც** ერქვა სამეგრელოში. ტერმინების — ჯარობის, ჯარალუას ქვეშ სარიტუალო ან გართობითი ხასითის შეკრებები, საჯარო დღესასწაულები იგულისხმება (ნ. რეხვიაშვილის მოსაზრება), მაგრამ უფრო მეტად და უპირველესად იგი ხალხის ნება-სურვილის გამოცხადებისა და გამოხატვის ორგანო იყო, რომელიც ყოველ შესაძლო მომენტში შეიკრიბებოდა. მასწავლაძე, **ჯარალა, ჯარალუა** — გ. ელიავას შეხედულებით, გულისხმობს, როგორც ერთობლივ დროსტარებას დღესასწაულებზე ან კვირის უქმე დღეებში, ისე სოფლის, საზოგადოების წინაშე მდგარი საჭირობოროტო საკითხების განხილვის ადგილსაც. მკვლევარს დამოწმებუ-

⁷ იქვე, გვ. 22-24.

ლი აქვს მსგავსი სათემო ყრილობის, ერთობის კრების შესახებ გაზეთ „მოგზაურში“ 1905 წელს (N23) გამოქვეყნებული შემდეგი ცნობა: „ხალხის თვითმმართველობამ დიდი ნაყოფი მოიტანა. ისეთი საქმეები მოიყვანეს სიმართლით სისრულეში, რომელნიც პალატის კრებამაც კი ვერ შესძლო. დამბა, რომელიც მთავრობის ანგარიშით 6-8 ათასი მანეთი უნდა დამჯდარიყო, ორ დღეში გააკეთეს“.

მკვლევარს შესწავლილი აქვს თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტის სტრუქტურული შედგენილობა. აღმასრულებელ მოხელეთა ერთ-ერთ რგოლზე — **სხუნის კათა**-ზე (ნარჩევი ხალხი) ზემოთ გვექონდა საუბარი. თუკი გადაწვევტილება ოპერატიულად უნდა შესრულებულიყო და ერთი პირის ძალას მოითხოვდა, მაშინ **რჩქინეი დუდკოს** (მცოდნე თავკაცს) ირჩევდნენ ყრილობის მონაწილენი და მას ანდობდნენ გადაწვევტილების განხორციელებას. რჩქინეი დუდკოჩი სათათბირო უფლებით არჩეული მრჩეველთა საბჭოსაგან საჭიროების შემთხვევაში იღებდა რჩევებს.

აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა **სხუნუ** (მრჩეველთა საბჭო, სათათბირო). მის შემადგენლობაში შედიოდა **მაჯინე** „მზირი“, რომელიც ერთ-ერთ დუდკოჩად (თავკაცად) ითვლებოდა⁸.

თუკი საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ერთგულების აღთქმას ვინმე დაარღვევდა, საზოგადო კათუა მას ცოცხლად დამარხვის წესით სჯიდა. ლაფორიას ციხის საიდუმლოების გაცემის გამო, ერთი ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც გოდოლთან მაჯინედ იღვა, ყრილობის გადაწვევტილების საფუძველზე ცოცხლად დამარხვის წესით დაისაჯა — გათხრილ ორმოში დამნაშავე ყელამდე ცოცხლად ჩამარხეს და ლაფი დაასხეს, შემდეგ ამოიყვანეს და თემიდან მოკვეთეს. ასე დაემართა ერთ-ერთ თავკაცს სოფელ კურნუშიც, რომელმაც გასცა გოკირილის ციხის საიდუმლო⁹.

სხუნუ იძლეოდა განკარგულებას, აგზავნიდა შიკრიკებს, აყენებდა მაჯინეს, ქმნიდა რაზმს, იბრძოდა საოგადოების ინტერესების დასაცავად. სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყებისას ერთ-ერთ სერიოზულ აღმასრულებელ ორგანოს, აჯანყების შტაბს, სწორედ სხუნუ წარმოადგენდა¹⁰. სხუნუს წევრებად ირჩევდნენ მცოდნე, მართალ, ვაჟკაც და მშრომელ ადამიანებს, რომლებიც ასევე **დუდკოჩებად** იწოდებოდნენ.

⁸ შტრ.: ა. ქობალიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით **მაჯინე** ნიშნავს როგორც მონადირეს, ნადირის მოდარაჯეს, ისე — მზირს, ზელამხედველს. გვ. 400.

⁹ იქვე, გვ. 27-29.

¹⁰ იქვე, გვ. 31.

ამათ შორის ირჩეოდა **დუდმანჯღვარი** „წინამძღოლი“¹¹, **მახვამური** „მლოცველი“¹², **მენცარი** „მეცნიერი, განათლებული, კანონთა მცოდნე“¹³, **მაჯინი** „მეთვალყურე, შხირი, შინაგანი წესრიგის მოწესე“¹⁴, **ოშიმღული** „ასისთავი“. ამ უკანასკნელს, გ. ელიავას თქმით, ევალეობდა ცალ-ცალკე კუთხეში სხუნუს გადაწვევტილებების გაერცელება, ხალხის დარაზმვა მის განსახორციელებლად. ოშიმღული მთლიანად სხუნუს ემორჩილებოდა. იგი დიდად პატიოსანი, თავდადებული და სანდო კაცი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მისი შერჩევა დიდი პასუხიმგებლობით ხდებოდა. ოშიმღულის საუკეთესო მაგალითია გიგოია ჭოჭუა ნაოლაღევიდან, ვისთანაც ხალხი რჩევისათვის მიდიოდა. ყველა უყოყმანოდ ემორჩილებოდა მის მსჯავრს. თვითონ გიგოია საშუალო შეძლების გლეხი იყო. მისი კარი ყოველთვის ღია ყოფილა ყველა მთხოვნელისა და გაჭირვებულისათვის. **მაჯინე** იგზავნებოდა საიდუმლო დავალებების შესასრულებლად, იცავდა ხევის კარებს, სტრატეგიულ სიმაგრეებს, გზებს ყურსალებისაგან (მეკობრეებისგან, ადამიანით მოვაჭრეთაგან).

სხუნუ, გ. ელიავას შეხედულებით, კოლექტიური ორგანოა, ხოლო მისი ცალკეული წევრები, თავკაცები — დუდმანჯღვარი, ოშიმღული და მაჯინე აღმასრულებელი უფლებებით აღჭურვილი პიროვნებები იყვნენ. მათ ენდობოდნენ, დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდათ, მაგრამ კონტროლდებოდა მათი ყოველი ნაბიჯი. ამრიგად, სხუნუში, როგორც აღმასრულებელ ორგანოში, ფუნქციები შემდეგი სახით ნაწილდებოდა: დუდმანჯღვარი — საერთო ხელმძღვანელი, მახვამური — მლოცველი, სარიტუალო წესის გამრიგე, მენცარი — ადამისა და რჯულის მცოდნე, ოშიმღული — შეიარაღებული რაზმის მეთაური, მაჯინე — შხირი, შინაგან საქმეთა გამგე¹⁵.

ხალხურ თვითმმართველობაში საკანონმდებლო ორგანოს — საზოგა-

¹¹ ა. ქობალა: **დუდმანჯღვარი** წინამძღოლი, მეთაური, გვ. 257.

¹² ა. ქობალა: **მახვამური, მახვამური** „მლოცველი, სარიტუალო წესის გამრიგე“, გვ. 399.

¹³ ა. ქობალა: **მენცარი** „მეცნიერი, გულმთმისანი, მისანი, გრძნეული; მერამლე, ნაცრის მხრეკელი; მეცარი, ცის მცნობი, ვარსკვლავთმრიცხველი; **მენცარიშ** **ნარჩქინა** „განბრძნობილი, ბრძენთაგან განსწავლული“; **მენცარუა** „მეცნიერება, მისნობა, გრძნეულება“, გვ. 407; შდრ. ო. ქაჯაია: **მენცარი**-მეცნიერი, ყველაფრის მცოდნე; გულთმისანი, გრძნეული, ჯადოქარი — მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002, გვ. 246; სულხან-საბა ასახელებს **მეცარს, მეცნავს**. აჭარ, იმერ. **მეცარი**, გულთმისანი.

¹⁴ შდრ.: **მაჯინე** მათვალყურე, მაცქერალი. ო. **ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002, გვ. 237.

¹⁵ **გ. ელიავა**, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში, გვ. 27-3.

დღში კათუას მიერ ჯარალუაზე, ყრილობაზე მიღებული ყოველი გადაწყვეტილება აღმასრულებელ ორგანოს — სხუნუს უყოყმანოდ უნდა შეესრულებინა. მკვლევარს ნაშრომში მოტანილი აქვს ბ. ფაცაციათ მოგონება¹⁶: ფაცაციათისა და ჯანაშიეთის საზოგადო კრების მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოში — სხუნუში გაერთია ვიდაც რუხაია, მოურავ ჯოდორიას კაცი, რომელმაც სხუნუს გადაწყვეტილების შესახებ ჯოდორიას აცნობა. ხალხმა მოითხოვა მისი გაძევება, მაგრამ სხუნუ წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას. მაშინ ისევ შეიკრიბა საზოგადოში კათუა, აირჩია სხუნუს ახალი შემადგენლობა, გამცემი რუხაია საზოგადოებიდან გააძევა და დუღმაწვდვარად კოჩია ჯანაშია აირჩია¹⁷. „ამრიგად, ხალხის თვითმმართველობის ეს ინსტიტუტი, ასე მტკიცედ დაკანონებული ხალხის მიერ და სახალხო მორალის ნორმად ქცეული, უსხოვარი დროიდან დიდხანს გადმოჰყვა ხალხს. ყოველ ქვეყანას, მართალია, თავისი არსებითი, ეროვნული, მორალური ნორმები აქვს და ამიტომ მოთხოვნებიც თავისებური და განსხვავებულია, მაგრამ ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტი და მისი სუვერენიის (სუვერენობის — ი. კ.) პრინციპი ყველას აქვს, როგორც ძირითადი ეროვნული ფენომენი, საერთო და მსგავსი“¹⁸.

ასეთია თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტის შესახებ გ. ელიავას ნაშრომის ძირითადი შინაარსი. ამ საკითხის უკეთ გაცნობისათვის აქვე მოკლედ განვიხილავთ ხალხური მმართველობის ისტორიას ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული მასალების შუქზე.

კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალით თვალნათლივ იკვეთება ის გარემოება, რომ წინაპართა მიერ დაკანონებული ნორმების თაობიდან თაობაზე გადაცემა, მისი დაცვა, ამ ნორმების დარღვევის, საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედების შემთხვევაში საპასუხო ღონისძიების სახით, სასჯელის სხვადასხვა ზომის მიყენება დამნაშავეისათვის სწორედ სოფლის, თემისა და ხევის (ხეობის) ერის კრების კომპეტენციაში შდიოდა. ერის კრება, ისევე, როგორც სამეგრელოში საზოგადოშ კათუა, სრულწლოვან მამაკაცთა კრებულს წარმოადგენდა. ყოველ სოფელში იყო თემის საერთო ყრილობისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პატივის-

¹⁶ მუხეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდი, №86.

¹⁷ იქვე, გვ. 33.

¹⁸ იქვე, გვ. 34.

ცემით გარემოცული ადგილი. ხეობის საერთო ყრილობები ხევში სამების, ინგუშეთში — ტხოზა-ერდის ტაძრებთან იმართებოდა¹⁹.

როგორც გ. ელიავას მასალებიდან ირკვევა, სამეგრელოში ხალხური საკანონმდებლო, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები და თვით შეკრება ადგილობრივი ტერმინებით აღინიშნებოდა (საზოგადო-ში კათუა/ჯარალუა/ჯარობა, სხუნუ). ასევე იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. „ყოველ კუთხეში სასოფლო და სათემო მოედნებსა და თვით შეკრებას ადგილობრივი ტერმინით აღნიშნავდნენ,“ — წერს ეთნოგრაფი გულდამ ჩიქოვანი და ჩამოთვლის ამ ტერმინებსაც; მაგალითად, თუშეთში საკრებულო ადგილს **საანჯმ/ნო**, ხოლო კრებას **შეერ** ეწოდებოდა, ხევსურეთში — **საფეხნო** და **ფეხონი**, ხევში — **საერობო** და **ერობა**, რაჭაში — **სანახშო** და **სოფლობა** (მოგვიანებით **სანახშობობა**); სვანეთში სასოფლო მოედნის სახელწოდებაა **სეიფ**²⁰, სახეცო შესაკრებელისა — **ლანყავ**, სოფლის კრებისა — **სოფლობ**, თემისა თუ ხევის შეკრებისა — **ყრილობა**; ოსეთში კრების ადგილს და შეკრებას ერთი ტერმინით გამოხატავენ. ესაა **ნიხასი**; ჩაჩნეთ-ინგუშეთში — **ფჰჰიელ**, ბალყარეთში — **ნილაშ** და სხვ.²¹

საკანონმდებლო ორგანოს მიერ დაკანონებული ნორმის დამრღვევი, საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედების ჩამდენი, გ. ელიავას მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ისჯებოდა მიწაში ყელამდე ცოცხლად დამარხვით და თავზე ლაფის დასხმით, ან თემიდან მოკვეთით. სამეგრელოში ადათობრივი სამართალი სასჯელის სხვა ფორმაც კი ითვალისწინებდა. XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: ოდიშის მთავარს სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერთი შემთხვევისათვის აქვს დაწესებული, სახელდობრ, ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნიეთებს მოიპარავენ, ან ეკლესიას გადაწვავენ. სხვა ყოველი დანაშაული დამნაშავეს შეიძლება ეპატიოს ფულის გადახდევინებით, ან ვისმე მფარველობის გამო... სამთავროს დიდებულები და თავადები

¹⁹სჯელისათვის იხ. **გ. ჩიქოვანი**, კავკასიის მთიელთა ხალხური მმართველობის ისტორიიდან. კრ. „რუსულან ხარაძე“, თბ., 1985, გვ. 82-83.

²⁰ შდრ.: კარპეზ დონდუა — **სუფ-იშ** = მოედანი, ხალხის შესაკრებელი ადგილი (უფრო ხშირად ეკლესიასთან); площадь, открытое место для сборища (обычно, около церкви); საყდრი სუფ = საყდრის ეზო, двор церкви; სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (ლაშხური დიალექტი). ტექსტი გადაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და წინასტყვაობა დაურთო ალ. ონიანმა, თბ., 2001, გვ. 273.

²¹ **გ. ჩიქოვანი**, კავკასიის მთიელთა ხალხური მმართველობის ისტორიიდან, გვ. 83.

ხშირად სარგებლობენ და ბევრ კაცს უსპობენ სიცოცხლეს²².

ლაბერტი მიუთითებს ოდიშში გავრცელებულ სასჯელებსაც. „სასჯელი კი სხვადასხვანაირია დანაშაულობის მიხედვით: ქურდებს ჩვეულებრივ მოსჭრიან ან ხელს, ან ფეხს, ანდა ყურს, მკვლელებს ხელსა სჭრიან, მაგრამ თუ მკვლელი მეტად გაბოროტებულია და მრავალი კაცისმკვლელობა და ავაზაკობა ჩაუდენია, იმ შემთხვევაში იმას თვალებს დასწვავენ; ესევე სასჯელია შეამბოხეთათვის, რომელთაც, გარდა ამისა, სჭრიან ცალ ხელსა და ცალ ფეხს; თუ ვინცობაა ვინმემ ცოდვა ჩადინა სასახლის რომელიმე ქალთან, მათ ორთავეს ცხვირს მოსჭრიან და აიძულებენ შეირთონ ერთმანეთი.

ჩამოთვლილ სასჯელთა შორის ყველაზე სასტიკად მიაჩნიათ დაბრძაკება ცეცხლის შემწეობით. ამიტომაც მრავალნი სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე თვალის სინათლის დაკარგვას... ხელებსა და ფეხებს სჭრიან გახურებულის ნაჯახით, რათა ცეცხლით შეაჩერონ სისხლი, რომელიც ბლომად გამოდის ძარღვებიდან ჭრილობის ადგილზე, მოსჭრიან ხელებს და ფეხებს სახსრის ზევით...“²³

გ. ელიავას თქმით, სამეგრელოში შეურაცხმყოფელი მიმართვის ერთერთ მაღალ ფორმად ითვლება „ცოცხალი თხორილი“. ასეთი ხატოვანი თქმის არსებობა იმის მაუწყებელია, რომ დასჯის ეს წესი — ადამიანის ცოცხლად ყელამდე მიწაში დამარხვა, მთელს სამეგრელოში უნდა არსებულიყო²⁴. იდიოში **ცოცხლო თხორუა** „ცოცხლად დამარხვა“ გულისხმობს საქვეყნოდ შერცხვენას, თავის მოჭრას²⁵.

სცოდნიათ დამნაშავისათვის თავზე ლაფის დასხმაც, რასაც ადასტურებს იდიომის — **დუსლაფიშ გინოწუმა** „თავსლაფის დასხმა“, შერცხვენა — არსებობა²⁶; შდრ.: **დუსიაფგეწუში** — თავლაფდასხმული. შერცხვენილი, საქვეყნოდ გამოჭენებული, უსირცხვილო²⁷; **დუსლაფგეწუშილი//დუცუ ლაფიშ(ი) გინოწუმა** თავს ლაფის დასხმა; **დუსლაფი** „თავსლა-

²² ა. ლაბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ. 95.

²³ იქვე, გვ. 97-98; მსჯელობისათვის იხ. ც. შენგელაია, ოდიშის სამთავროს ადათობრივი სამართალი XVII-XIX სს., ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №4, ზუგდიდი, 2010, გვ. III-114.

²⁴ გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

²⁵ იხ. რ. შეროზია, მ. ლაბაძე, ხალხური სიბრძნე, II, მეგრული და ლაზური იდიომები, თბ., 2015, გვ. 100.

²⁶ იქვე, გვ. 47.

²⁷ ა. ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 2008, გვ. 21.

ფი“; **დუსლაფიმ გინოწუმა** „თავს ლაფის დასხმა“²⁸. კავკასიის მთიელებში ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულის ხარისხის მიხედვით ხდებოდა სასჯელის მისადაგება. ასე მაგალითად, გ. ჩიქოვანის თქმით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრების ვადების დარღვევის, ტყეში ზედმეტი მასალის მოჭრისა და სხვა დარღვევებისათვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა. მკაცრად ისჯებოდნენ ამორალური საქციელის, ურჩობისა და მოღალატეობისათვის, რაც ითვალისწინებდა საზოგადოებისგან მოკვეთას, განდევნას და სხვ. სასჯელის ერთ-ერთი, კავკასიის მთიელთათვის დამახასიათებელი ფორმა სიკვდილით დასჯა ყოფილა, რაც საჯელის უმაღლეს ფორმად ითვლებოდა²⁹.

გ. ჩიქოვანი შენიშნავს, რომ სიკვდილით დასჯის კონკრეტული მაგალითები ჩეჩნეთ-ინგუშეთში მას ვერ დაუღგენია, მაგრამ წარსულში მისი გამოყენების მოწმობად მიუთითებს შემდეგს: ჩეჩნეთში კაცი მრავალადგილას შეხვდება გზისპირებზე აღმართულ საწყევარ ნიშანს — *сардаман клаплагла*-ს და ქვათა გროვით შექმნილ გორაკებს, რომელსაც ეწოდება კარლაგა — *Кларлагла*. ეს იმით სახელზეა, ვინც უხუცესთა საბჭოს მიერ დადგენილ ნორმებსა და გადაწყვეტილებებს არ ემორჩილებოდა. ასეთი ქვათა გროვა მკვლევარს უნახავს იჩქერიის თემში, ს. ხარაჩოის ტერიტორიაზე. „ამ კარლაგს დაღესტნელი ძმების კარლაგს უწოდებენ... გადმოცემა შემდეგს მოგვითხრობს: მრავალი წლის წინ ს. ხარაჩოიში ღამის გასათევად შეჩერებული დაღესტანს ამ გზით მიმავალი ორი ძმა. ღამე ერთ-ერთ ოჯახს მისდგომიან. მასპინძლებს ისინი მთიელთა სტუმართმოყვარეობის შესაფერისად მიუღიათ, მაგრამ დილით წასულ სტუმრებს უკან მიჰყოლიან, ორივე მოუკლავთ და გაუძარცვავთ. სოფელს და თემს ამ საზარელი დანაშაულის შეტყობისთანავე მოუკვეთია ეს ოჯახი და დაუწყევლია. იმ ადგილზე, სადაც მათ მოკლეს ძმები, ყოველი გამეღელი ქვას აგდებდა და მკვლელთა მისამართით წყევლას ადავლენდა. ღრთთა განმავლობაში ქვების გროვა გორაკად იქცა, დაიფარა მიწით და ბალახით, ბუჩქნარით. გამვლელნი ბოლო ხანებამდე აგდებდნენ აქ საწყევარ ქვებს. დამნაშავეთა ოჯახი ამომწყვდარა, მაგრამ გორაკი კვლავ იხრდება“³⁰.

როგორც დავინახეთ, სამეგრელოში მოქმედი თვითმმართველობის

²⁸ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 264.

²⁹ გ. ჩიქოვანი, კავკასიის მთიელთა ხალხური მმართველობის ისტორიიდან, გვ. 83.

³⁰ გ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ხალხური ინსტიტუტი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს საქართველოს სხვა კუთხეებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელ თემური მმართველობის გადმონაშთებთან. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა თვით კრების წევრთა გონიერებაზე, გამოცდილებაზე, ადათ-წესების ცოდნასა და საერთო ავტორიტეტზე იყო დაფუძნებული. საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედების შეფასება, დანაშაულის ძიება, დადგენა და სასჯელის ზომის შეფარდება სოფლის ან თემის ერთობლივი კრების კომპეტენცია იყო. კრების დამსწრე ყველა სრულწლოვანი მამაკაცი ხმის თანაბარი უფლებით სარგებლობდა და ა. შ.

Igor Kekelia, Mate Darsadze

**The Traditional System of Local Governance and Customary Law in Givi
Eliava's Ethnographic Legacy**

G. Eliava follows in the footsteps of Georgian historians who have traditionally employed archaeological, folklore-ethnographic, and linguistic data in their investigations of various aspects of Georgian history. Notably, the researcher's ethnographic contributions focus on the topics of grassroots self-governance and customary law. In particular, Eliava has conducted in-depth research on the structural composition of the People's Institute of Self-Government. According to Eliava's findings, this legislative body possessed a defined legal framework and represented the collective will of the laboring masses, the most populous segment of the population. It stood in opposition to the established state governmental institutions. The People's Legislative Body of Self-Government operated on the basis of the people's electoral rights.

Eliava's work reveals that in Samegrelo, the local terms (Katua/Jaralua/Jaroba, Skhunu) were used to refer to the folk legislative, executive, and governing bodies, as well as the assembly itself.

რევაზ კვიციანი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანი-
ძის სახელობის არქეოლოგიურ კვლევათა ინსტიტუტი)

ახალი არქეოლოგიური ძეგლები ხადაში

განუხომლად დიდია სერგი მაკალათიას ღვაწლი ქართულ მეცნიერება-ში. რომ არა მისი დაუღალავი და თავგანწირული შრომა, დღეს შესაძლოა არ გვექონოდა ის ძვირფასი მასალა, რაც მან დააფიქსირა, აღწერა, თავი მოუყარა და შესანიშნავი ნაშრომების სახით დაგვიტოვა. სერგი მაკალათია იყო არა მხოლოდ დიდებული მხარეთმცოდნე და ეთნოგრაფი, არამედ კარგი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ნუმიზმატი. მან გათხარა და შეისწავლა ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, როგორებიცაა, ფლავის-მანის და ღვანის სამაროვნები, ტყვიავის ყორღანული სამარხები და სხვ.¹ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ურთულეს პერიოდში და უძძიმეს პირობებში შეძლო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ფეხდაფეხ შემოვლა და პირველხარისხის მასალის შეკრება. რომ არა მის მიერ ჩატარებული სავსე სამუშაოები, დღეს ალბათ დაკარგული იქნებოდა ბევრი ღირებული ინფორმაცია, არა მხოლოდ მხარეთმცოდნეობითი და ეთნოლოგიური, არამედ არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და, ზოგადად, კულტუროლოგიური თვალსაზრისით. ეს კი საგრძნობლად დააბრკოლებდა ქართველოლოგიურ და კავკასიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებას.

1928-1929 წლებში სერგი მაკალათია, როგორც თვითონ წერს, „მხარეთმცოდნური შესწავლის მიზნით“ მუშაობდა მთიულეთში. ამ მუშაობის შედეგები, რომელიც თავმოყრილია მის მონოგრაფიაში², შორს სცდება მარტოდენ „მხარეთმცოდნურ შესწავლას“ და ბევრ საყურადღებო ცნობებს, დაკვირვებებს და დასკვნებს შეიცავს ამ მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, დემოგრაფიული მდგომარეობის, ეკონომიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის, ფოლკლორის, არქიტექტურისა და სხვა სფეროთა შესახებ. ამ ექსპედიციის დროს მან აღწერა მთიულეთის არქიტექტურული ძეგლებიც, როგორც საფორტიფიკაციო, ისე საკულტო ნაგებობანი.

მისი გარდაცვალების შემდეგაც არაერთი ეთნოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო და კვლავაც

¹ ს. მაკალათია, ფლავისმანის ნეკროპოლი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე V თბ., 1930, გვ. 223-240; ს. მაკალათია. ღვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1948.

² ს. მაკალათია, მთიულეთი. თბ., 1930.

მოეწვობა მთიულეთში, მაგრამ ყველა მკვლევარისათვის გზამკვლევი ალბათ მაინც სერგი მაკალათიას ბრწყინვალე ნაშრომი იყო და იქნება.

ისტორიული მთიულეთი ძირითადად ორი თემისაგან — ხადისა და ცხვატისაგან შედგებოდა. ზოგჯერ კი მთიულეთად გუდამაყარი, ხანდო და ჭართალიც იხსენიებოდა. ხადა მღებარეობს თეთრი არაგვის სათავეებიდან ქვეშეთამდე, ხოლო ცხვატატი — მის სამხრეთით, ქვეშეთიდან ფასანაურამდე. ხადის ძველი სახელწოდება როგორც ჩანს „წილკანი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც ისტორიულ წყაროებში (ჟამთააღმწერელი, ვახუშტი) ნახსენებ „ციკარეს“ და „ციკარას“ უნდა უკავშირდებოდეს. ეს უკანასკნელი კი ხადის ხეობის ბოლო სოფლის — წკერეს სახელს³. მცხეთის მახლობლად მღებარე სოფელ წილკანს კი ალბათ მთიდან მოგვიანებით ჩამოსახლებულმა ხალხმა უწოდა თავისი სოფლის სახელი.

მღ. ხადისწყალი თეთრი არაგვის მარცხენა შენაკდია, რომელიც მას სოფ. ბედონთან ერთვის. მის ორივე მხარეს არის სოფლები და ნასოფლარები. ხეობა ადამიანს უძველეს დროში აუთვისებია, რასაც იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტები ადასტურებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფ. როსტიანების მიდამოებში გამოვლინდა ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა⁴. 2020 წელს სვიანა-როსტიანის მიდამოებში გაითხარა ენეოლითის, ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენები⁵. უფრო ადრე კი ხეობაში შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების, მათ შორის კოლხური ცულის შემცველი განძი, რომლის ადგილსამყოფელი, სამწუხაროდ, დღემდე უცნობია.

ისტორიულ წყაროებში ხადა არაერთხელაა ნახსენები, რადგან ეს მხარე ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ ნუსხაში, რომელიც X საუკუნეში შეიქმნა, კეთიხულობთ, რომ წმ. ნინო „დადგა წობენს და მოუწოდა მთე-

³ ჯ. გეასალია, მ. გიორგაძე, ლ. ჭურღულია, ხადის ხეობა. თბ., 1983, გვ. 5.

³ რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, გ. ჩიქოვანი, მ. დლონტი, ლ. წითლანაძე, ა. ბუჩუკური, ც. რობაქიძე, დ. მინდორაშვილი, გ. რწეულიშვილი, ც. ლომიძე, ვ. ჩიხლაძე, მ. მარგველაშვილი, ივ. წიკლაური, ჯ. წიკლაური, მ. გამეხარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. *საეკლესიო არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში*. თბ., 2004, გვ. 95-103.

⁵ გ. გოგოჭური, ი. დამბაშიძე, ბ. მურვანიძე, ნ. ოთხვანი. მთიულეთისა და ხევსურეთის 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. *2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული*. თბ., 2021, გვ. 43-49.

ულთა და ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარ-
წმუნოება ქრისტესი“⁶. ანალოგიურად გადმოსცემს ამ ფაქტს ლეონტი მრო-
ველიც⁶.

XIII საუკუნეში, თამარის მეფობისას, მოხდა დიდოელთა და ფხოველ-
თა აჯანყება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ივანე მხარ-
გრძელმა სასტიკად ჩაახშო. მის ლაშქარში დვალებთან, ცხავატლებთან,
ცხრაზმელებთან, ჭართლელებთან, ერწო-თიანელებთან ერთად ხადელებიც
იბრძოდნენ. სწორედ ხადიდან გადავიდა ფხოვეში მხარგრძელი, რომელიც
„აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წვერი მთისა და წარდგა მთასა ფხო-
ველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა“. როგორც ჩანს, ეს მარ-
შრუტი შეიარღვეული ლაშქრისათვის მაშინ საკმაოდ რთულად გასაკველი
ყოფილა.

მონღოლობის დროს, 1297 წელს მეფე დავით VIII ყაზან ყაენმა ურდო-
ში დაიბარა. იგი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა და თავის მომხრეებთან
ერთად მთიულეთში გამაგრდა, რასაც მთიულეთში მონღოლთა ლაშქრობა
მოჰყვა. მონღოლებს ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველიც ეხმარებოდა.
მეფე გამაგრდა ციკარუში, რომელიც „მტერთაგან შეუკვალ იყო“. ხადის ხე-
ობაშივე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვე-
ბით დამთავრდა და „მოსწყდა თათარი ურიცხვი, რემეთუ შემოსულ იყვნეს
ვიწროსა გზასა“⁷.

თემურ-ლენგმა ორგზის ილაშქრა არაგვის ხეობაში, პირველად 1394
წლის სექტემბერში, საქართველოში მისი მესამე ლაშქრობის დროს. რო-
გორც თემურ-ლენგის მემატიანე შარაფ-ად დინი აღწერდა, არაგვის ხეობის
დამცველებმა, რომლებიც „მაღალ მთებში და მიუკვალ ციხეებში იყვნენ გა-
მაგრებულნი“, მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა თემურ-ლენ-
გმა მაინც შეძლო მათი დამარცხება და დარბევა.

თემურ-ლენგის მეორე ლაშქრობა არაგვის ხეობაში 1400 წელს მოხდა,
მას შემდეგ, რაც მეფე გიორგი VII დასავლეთ საქართველოში გადავიდა.
იგივე შარაფ-ად—დინის გადმოცემით, მათთვის მედგარი წინააღმდეგობა
გაუწევიათ ხეობაში მცხოვრებ „მამაცსა და მკვირცხლ მეომრებს“, რო-
მელთა შორის უთუოდ ხადელნიც იქნებოდნენ.

ხადა ნახსენებია გიორგი ბრწყინვალის მთიულეთში მოგზაურობასთან
დაკავშირებითაც. ამ მოგზაურობას და მთიულეთში არსებული ვითარების

⁶ ლეონტი მროველი. ცხოვრება მეფეთა. *ქართული პროზა*, ტ. I, თბ., 1987, გვ. 49-114.

⁷ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატანე, თბ., 1987.

გაცნობას მოჰყვა შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა, რომელიც „ძეგლისდების“ სახელითაა ცნობილი.

ვახუშტი ხადას დაბად მოიხსენიებდა, რომელიც სავარაუდოდ სოფ. წვერეს სამხრეთით, ე. წ. **ბენიანთ ვაკეზე** მდებარეობდა, რომელსაც ადგილობრივები **ხადის მინდორს** და **ხადისკარსაც** უწოდებენ. აქ მდებარეობს ხადის მთავარი სალოცავი **მთავარმოწამე**. თუმცა მის ერთ-ერთ რუკაზე ხადად მონიშნულია არა მხოლოდ ერთი სოფელი, არამედ თეთრი არაგვის მარცხენა მხარის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია: „ღუღოს ხევის ჩრდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ხადა, მაღალსა კლდესა ზედა, მოხლუდული კლდითვე, მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და სამოცი კომპოვანი გარემოს და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ხევისა შინა, ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი და ამის ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელს ზეით და ქვეით ჩრდილოდამ“⁸. ეს აღწერილობა ზუსტად შეესაბამება ხადისწყლის ხეობას, რომელიც გამოირჩევა ციხე-კოშკების სიმრავლით და „სამოცი კოშკის ხეობასაც“ უწოდებენ. დღეს ამ კოშკებიდან ზოგი კარგადაა შემონახული, ზოგი საგრძნობლად დაზიანებულია, ზოგი კი საძირკვლამდეა დარღვეული. „სამოცი კოშკი“ ნახსენებია ერთ ხალხურ ლექსშიც:

ამაღლდი, ხადას მთვარეო,
ციხევ, აკრიფე ჩრდილები,
ხადას ვერ მოგცემ, მეფეო,
მცხეთას არ შაგეცილები.
არ ვიცი ხანდო, ჭართალი,
გუდამაყარი სად არი,
ხადაში გამიგონია
სამოცი ციხე მაღალი.
ისევ ხადიდან გამოვა
ხარი მძლე, კაცი მაგარი.

XIII ს. ბოლოდან ხადა არაგვის საერისთავოს ნაწილი იყო. 1743 წელს თეიმურაზ II-მ არაგვის საერისთავო გააუქმა და მისი ტერიტორია საუფლისწულო მამულად გამოაცხადა, რომელსაც ერეკლე II-ის ვაჟი, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი განაგებდა. მას შემდეგ, რაც 1803 წელს იგი რუ-

⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.გვ. 65-66.

სეთში გადაასახლეს, არაგვის საერისთავოს ტერიტორია და, მათ შორის, ხადაც, თბილისის გუბერნიის ანანურის მაზრის ფარგლებში მოექცა. საბჭოთა პერიოდში ხადა ღუშეთისა და ვაზბეგის რაიონებში შედიოდა. დღეს მისი დიდი ნაწილი მცხეთა-თბილისის რეგიონის ღუშეთის მუნიციპალიტეტის, ხოლო მცირე ნაწილი სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია.

ბოლო წლებში ხადის ხეობაში გაითხარა რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი, რაც იქ მიმდინარე ახალი გზის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. 2020 წელს დაიწყო ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებლობა. მაგისტრალის საერთო სიგრძე 22,7 კილომეტრია და ორ მონაკვეთად იყოფა: 1) წკერე-კობი (სიგრძე 10 კმ) და 2) ქვეშეთი-წკერე (სიგრძე 12,7 კმ). ეს უკანასკნელი მთლიანად ხადისწყლის ხეობაზე გადის. ახალმა გზამ უნდა განტვირთოს საავტომობილო მოძრაობა ე. წ. სამხედრო გზის მეტად რთულ კობი-გუდაურის მონაკვეთზე.

„საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ითვალისწინებს ახალმშენებლობათა ზონაში არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენას, შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში რესტავრაცია-კონსერვაციას. ამ მიზნით 2020 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სამშენებლო ღერეფანში არსებული არქეოლოგიური ობიექტების გამოსავლენად ჩაატარა სადაზვერვო სამუშაოები, რის შედეგადაც დაფიქსირდა რამდენიმე ათეული არქეოლოგიური ობიექტი. 2021 წლის მაის-ივნისში სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე მათგანზე განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები, მათ შორის ხადის ხეობის სოფ. ბენიან-ბეგონის ტერიტორიაზეც, სადაც გაითხარა მეგალითური (ციკლოპური) კოშკი და ქვის ნაგებობა (ფოტო 8, 9)⁹.

კოშკი. მეგალითური (ციკლოპური) კოშკი მდებარეობს სოფ. ბენიანიდან დაახლოებით 1 კმ, ხოლო სოფ. გომურნიდან 400-500 მ-ის მანძილზე, ქვეშეთი-წკერეს საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, მისგან დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით (GPS: N 42 27.694; E 44 31. 782). ამ ადგილას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნაცვლიანს“ უწოდებს, წარსულში პური და ქერი ითესებოდა, ამჟამად კი მხოლოდ სათიბად იყენებენ.

მუშაობის დაწყებისას კოშკის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კედ-

⁹ არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: რ. კვიციანი, თ. ბენაშვილი, დ. ტურიაშვილი, თ. ფიცხელაური, თ. ვაშაკიძე, ასევე ახლომდებარე სოფლების მცხოვრენი.

ლის მცირე ნაწილი ჩანდა, დანარჩენი მხარე კი მიწით იყო დაფარული.

ჰუმუსის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა დიდრონი ქვებით, დუღაბის გარეშე ნაშენი ნაგებობა. მხოლოდ ერთგან, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დაფიქსირდა რამდენიმე კირქვა, რაც დამახასიათებელია ზურგიანი კომპეხისათვის. შემორჩენილია კომპეხის მხოლოდ ქვედა ნაწილი ანუ ე. წ. ყრუ სართული, ძირითადი ნაწილი კი დაშლილ-დანგრეულია. ნაშალი ქვები მრავლად ეყარა როგორც კომპეხის გარე პერიმეტრზე, ისე უშუალოდ კომპეტან და კომპეში.

კომპეხის გაწმენდის შემდეგ მივიღეთ შემდეგი სურათი: ყველაზე უკეთ შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთის კედელი: 13 დიდ ქვა, რომელთა საშუალო ზომებია 0,5X0,7 მ. კედლის სიგრძეა 4,57 მ, სისქე დასავლეთ ნაწილში 0,82 მ, აღმოსავლეთ ნაწილში 0,96-1 მ. სიმაღლე შუა ადგილას 1,68 მ, სიმაღლე დასავლეთ მხარეს 1,64 მ; სისქე დასავლეთ ნაწილში 0,82, აღმოსავლეთ ნაწილში 0,96-1,1 მ (ფოტო 1).

ჩრდილო-დასავლეთი კედელიც ცუდადაა შემორჩენილი. აქაც ქვების მხოლოდ ერთი რიგი დაფიქსირდა, რომლის სიგრძე 5,67 მ-ია. კედლის სიმაღლე ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 0,5 მ, შუა ნაწილში 0,67 მ, დასავლეთ ნაწილში 0,82-0,83 მ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი შედარებით უკეთაა დაცული: ქვების წყობა შემორჩენილია სამ-ოთხ რიგად. ჩრდილოეთ მხარეს კედელი დაშენებულია გეოლოგიურ ქანზე — ორ დიდ ლოლზე. როგორც სხვა კედლები, ესეც მშრალი წყობითაა ნაგები. კედლის სიგრძე 4 მ-ია, სისქე 1,6 მ, სიმაღლე 1,5-1,65 მ. „ყრუ სართული“ საგანგებოდაა ამოვსებული სხვადასხვა ზომის ქვებით (ფოტო 2).

კომპეში და მის სიახლოვეს მრავლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის, როგორც სახიანი (ძირები, პირ-ყელი, გვერდები), ისე უსახო ფრაგმენტები. ზოგი ნატეხი ორნამენტირებულია. კომპეხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა ქვის ორი საბრძოლო ბირთვი, რომელთაგან ერთი შედარებით დიდია, მეორე კი მომცრო (ფოტო 3). როგორც ჩანს, კომპეზე საბრძოლო მანქანებითაც მიუტანიათ იერიში.

კომპეი მიეკუთვნება ე. წ. ზურგიან კომპეტა ტიპს. ამ ტიპის კომპეხები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, განსაკუთრებით კი არაგვის ხეობაში. ხადა ამ მხრივაც განასკუთრებით გამოირჩევა და ამაღაც უწოდებენ „სამოცი კომპეხის ხეობას“. ზურგიანი კომპეხები ძირითადად X საუკუნემდეა აგებული. მომდევნო ხანაში ამ ტიპის კომპეხს იშვიათად აშენებდნენ და ისინი სწორკუთხა, დუღაბით ნაშენებმა კომპეხმა ჩანაცვალეს.

ზურგიანი კომპები სიმაღლეში თანდათან ვიწროვდება. ქვედა სართული ჩვეულებრივ „ერუ სართული“ და მიწით ან ქვებითაა ამოვსებული. შესასვლელი, როგორც წესი, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზეა დატანებული და იქამდე ასვლა მხოლოდ მისადგმელი კიბით თუ იქნებოდა შესადლებელი. სქელი კედლების გამო კომპების შიდა სივრცე ძალზე ვიწროა და საცხოვრებლად გამოუსადეგარი, ამიტომ ძირითადად საგუშაგო კომპების ფუნქციას ასრულებდნენ. ამაზე მათი განლაგებაც მეტყველებს, რადგან ისე არიან განლაგებულნი, რომ მთელს ხეობას სრულად აკონტროლებდნენ. კარი და სარკმლები ყოველთვის კომპების ბრტყელ მხარესაა დატანებული. ზურგი უმეტესად მთისკენაა მიქცეული, რაც მას ზეავეებისა და ქვათა ცვენისაგან იცავდა (თუმცა ჩვენ მიერ გათხრილი კომპისგან მთა საკმაოდ შორსაა და ეს საშიშროება ალბათ ნაკლებად ემუქრებოდა), ხოლო „ბრტყელი“ მხარე ყოველთვის ხეობას გაპყურებს.

ნაგებობა. კომპის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,6 მ მანძილზე, აღმოჩნდა ქვის ნაგებობა (GPS: N 42 27.683; E 44 31. 793. ფოტო 8, 9). სამუშაოების დაწყებამდე ჩანდა მხოლოდ მისი დასავლეთი კედლის ორი დიდი ქვა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეს კედელი საკმაოდ მაღალია (2,1- 2,15 მ), მშრალი წყობითაა ნაგები და გამოყენებულია დიდრონი, საგანგებოდ დამუშავებული ქვები (ფოტო 4). ერთ მხარეს კედელი დაშენებულია უზარმაზარ ქვის ლოდზე (ბუნებრივ ქანზე) და შემორჩენილია ქვების 3-4 რიგი. ერთ-ერთი ქვის სიმაღლე 0,84 მ, ხოლო სიგანე 0,8 მ-ია. კედლის ძირში გამოვლინდა ნახშიროვანი ფენა. სათავსოს სხვა კედლები დასავლეთის კედლის გარეპირისაგან განსხვავებით შედარებით მომცრო, დამუშავებული, ან დაუმუშავებელი, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული ქვებითაა ნაგები. დუღაბი არც აქაა გამოყენებული. კედლები ყველა მხარეს ერთნაირად არაა შემორჩენილი.

კარგადაა შემორჩენილი სათავსოს შიდა კედლის დასავლეთი მხარე. შენარჩუნებულია ქვების 3-6 ვერტიკალური რიგი. მას „ეკტავს“ ერთი დიდი ქვა, რომლის სიმაღლე 0,84, სიგანე კი 0,8 მ-ია. კედელი ნაგებია დამუშავებული ან დაუმუშავებელი, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული საშუალო ზომის ქვებით, დუღაბის გარეშე (ფოტო 5).

სათავსოს ჩრდილოეთი კედელი დარღვეულია. შესაძლოა ის კომპიდან გადმოცვენილ დიდ ქვებს დაენგრია. ჩრდილო-დასავლეთ მხარეს შემორჩენილია მოწითალო ფერის საგანგებოდ დამუშავებული (დაკუთხული) ქვა, რომელიც ე. წ. კუთხის ქვა უნდა იყოს.

სამხრეთი კედელიც მეტ-ნაკლებად კარგადაა შემორჩენილი. ის დაკუ-

თხული ან საგანგებოდ შერჩეული ქვებითაა ნაგები. კედლის სიმაღლე საშუალოდ 0,5-0,57 მ-ია, საერთო სიგრძე 2,6 მ. შუა ნაწილში დაფიქსირდა ღიობი. ვინაიდან ამ ადგილას კედლიდან გადმოცვენილი ქვები არ დაფიქსირდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შესაძლოა კარის ღიობი ყოფილიყო (ფოტო 6).

ჩრდილოეთი კედელი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ამ მხარეს თვალსაჩინოა მხოლოდ რამდენიმე დიდი ზომის ქვა.

ნაგებობის იატაკი მოკირწყლულია ბრტყელი ქვებით, რომელიც მის ყველა ნაწილში ერთნაირად არაა შემორჩენილი. სულ დაფიქსირდა 25 ფილა (ფოტო 7). ნაგებობის სიგრძე ჩრდილოეთ მხარეს უდრის 6,7 მ-ს, სამხრეთ მხარეს 6,83 მ-ს. აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6,6 მ-ია, დასავლეთი კედლის სისქე შუა ადგილას 1,5 მ-მდე აღწევს. ნაგებობის შიდა სივრცის ფართობი დაახლოებით 38 კვ. მ-ია.

ნაგებობის გარეთა კედელს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მიშენებული ჰქონია კიდევ ერთი კედელი, რომელიც ხევისკენ ეშვება და ხრამის პირას წყდება. კედელი ნაგებია საშუალო ზომის დამუშავებული ქვებით. შემორჩენილია მათი მხოლოდ ორი-სამი რიგი. რა დანიშნულება ჰქონდა ამ კედელს, ძნელი სათქმელია, ვინაიდან მხოლოდ ერთი მიმართულებით ვრცელდება და არსად არ უხვევს. კედლის სიგრძე 5,47 მ-ია; სიგანე 1,1-1,4 მ. (ფოტო 8, 9).

ძნელი სათქმელია, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ნაგებობას. საცხოვრებელი სახლების იატაკს მთაში ქვებით არ კირწყლავდნენ. ქვის ფილებით მოკირწყლული იატაკი მხოლოდ საკულტო ნაგებობებს ან საქონლის სადგომებს ჰქონდა.

ხადის არქიტექტურულ ძეგლებს შორის საკულტო ნაგებობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათ შორის არის ეკლესიები და სამლოცველოები, რომლებიც საფორტიფიკაციო ნაგებობებთან (კოშკებთან) ძალიან ახლოს მდებარეობს და მათთან ერთად ქმნის ერთიან არქიტექტურულ კომპლექსს. ასეთებია მაგ., ცეცხლიჯვრის ეკლესია, ქოროლოს ღვთისმშობელი, წკერეს კვირაცხოველი და სხვ. მათთვის დამახასიათებელია უაფსილო, სწორკუთა საკურთხეველი. ამ ნიშნებით ჩვენ მიერ გათხრილი ნაგებობა ამ ტიპის ეკლესიებს წააგავს. დამხრობაც თითქმის აღმოსავლეთ-დასავლეთზეა, ოდნავი გადახრით. საქონლის სადგომისთვის კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი მყარი მეგალითური ნაგებობა აეგოთ. გარდა ამისა, სამხრეთი კედლის ის ღიობი, რომელიც ჩვენ კარი გვგონია, საქონლის ბაგისათვის ძალზე ვიწროა და თუ ის მაინც იყო საქონლის სადგომი, შედარე-

ბით მოგვიანოდ უნდა იყოს აშენებული, იმ დროს, როცა კოშკი უკვე აღარ ფუნქციონერებდა. სხვაგვარად მათი ასე ახლოს ყოფნა ძნელი ასახსნელია.

რაც შეეხება კომპლექსის თარიღს: სპეციალისტები თვლიან, რომ ზურგიანი კოშკების აბსოლუტური უმრავლესობა X საუკუნემდეა აგებული, თუმცა არის გვიანდელი ხანის ზურგიანი კოშკები¹⁰. კერამიკული მასალა, რომელიც კოშკის შიდა და გარე პერიმეტრზე მოვპოვეთ, მხოლოდ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისაა (XIII-XVII სს.), რაც აღძრავს ეჭვს, რომ შესაძლოა კოშკიც ამ პერიოდში ყოფილიყო აგებული. თუმცა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ის გარემოება მეტყველებს, რომ ის თითქმის საძირკვლამდეა დარღვეული, რაც გვიანდელი ძეგლისათვის ნაკლებ სავარაუდოა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კოშკიც, ისევე როგორც „ზურგიანი“ კოშკების უმრავლესობა, X საუკუნემდე უნდა ყოფილიყო აგებული.

კოშკთან ქვის საბრძოლო ბირთვების აღმოჩენა იმის ვარაუდის საშუალებასაც გვაძლევს, რომ შესაძლოა ის თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს დანგრეულიყო, ვინაიდან ქვის სატყორცნ საბრძოლო მანქანებს მონღოლები არ იცნობდნენ, თემურ-ლენგი კი აქტიურად იყენებდა.

ძნელი სათქმელია, არის თუ არა კოშკი და ნაგებობა თანადროული. ამის მამტკიცებელი უტყუარი საბუთი არა გვაქვს. არქეოლოგიური მასალა ორივეგან იდენტური და თანადროულია, — განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეებისა. კომპლექსის გარშემოც ამავე პერიოდის ნასოფლარია და საკმაოდ დიდ პერიმეტრზე იკრიფება კოშკში და ნაგებობაში მოპოვებული მასალის მსგავსი კერამიკა. ნასოფლარის გათხრის შემდეგ კომპლექსის დარღვევის საკითხსაც შესაძლოა მეტი შუქი მოეფინოს.



¹⁰XVII საუკუნის შემდეგ ზურგიანი კოშკებს აღარ აშენებდნენ.

ფოტო 1



ფოტო 3



ფოტო 5



ფოტო 7

ფოტო 2



ფოტო 4



ფოტო 6



ფოტო 8



ფოტო 9

Revaz Kvirkvaia

New Archaeological Sites in Khada Gorge

This paper deals with the results of archaeological investigations conducted in 2021 in the mountainous part of eastern Georgia, in Khadistskali Gorge. During this campaign a medieval tower and associated stone structure were excavated. Towers with so-called rounded back walls were fortifications typical of the Mtiuleti region between 5th-10th centuries. The tower presented in this article should be attributed to the same period. Tentatively it was destroyed in 1394-1400 as a result of the Tamerlans invasion of Georgia. The stone structure that is situated near the tower had a ritual function as in this region, sanctuaries are normally located near towers.

სივრცის ონლაინ წარმოსახვა და მოზარდობა Grand Theft Auto: San Andreas-ის ქართულენოვან საზოგადოებაში

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია განხილულია GTA San Andreas-ის „ონლაინ“ თამაშის ადაპტირებული ვერსიის გავლენა თამაშში ჩართული ქართველი მოზარდების სოციალიზაციის პროცესზე. სან ანდრეასის სივრცე, რომელიც „სერვერზე“ მორგებულია ქართულ რეალობას, მოზარდებისთვის ასოცირდება ალტერნატიულ ურბანულ სივრცესთან და გართობის საშუალებასთან ერთად წარმოადგენს კიბერ რეალობას, რომელიც თითქმის რეალური სივრცეა. მათთვის ასაკით სანქცირებული და აკრძალული, ალტერნატიულ სივრცეში დაშვებულია და მოზარდების ღირებულების ფორმირების პროცესში, მექანიზმია იმისა, რომ თავი „ნამდვილ კაცებად“ გაიაზრონ. სტატია ემყარება საველე ეთნოგრაფიულ კვლევას, რომლის დროს გამოყენებული მეთოდებია: ნახევრად-სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ჩართული და უბრალო დაკვირვების მეთოდები.

შესავალი

თანამედროვე სამყარო მხოლოდ ფიზიკურ საზღვრებში არ არის მოქცეული. ინტერნეტი ქმნის რეალობას, რომელზეც სპეციალური მოწყობილობების მეშვეობით ადამიანი სულ უფრო დამოკიდებული ხდება და რეალობის აღქმის კატეგორიებიც იცვლება. ინფორმაციის მიღების, გენერირებისა და გავრცელების გარდა, ინტერნეტის ფუნქციას დასვენებაც წარმოადგენს, რომელიც მომხმარებელს კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის მასზე. თამაშები, როგორც კულტურული ღირებულებების მაფორმირებელი ერთ-ერთი აქტორი, ადარ არის მხოლოდ ფიზიკური რეალობის ნაწილი და მან კიბერ რეალობაში გადაინაცვლა. Warcraft, PUBG, Counter Strike, Need for Speed, GTA თამაშებია, რომლებმაც კომპიუტერთან მიაჯაჭვა ადამიანი მოზარდობის ასაკიდან და შედეგად, თამაშების პრაქტიკის ინტერნეტში გადატანით, ფიზიკური და მორალური აღქმები უსასრულო სივრცეში მოაქცია. თამაშები, რომლებიც ტრადიციულ საზოგადოებაში ჯგუფის ღირებულების გადაცემის მექანიზმი იყო, პოსტმოდერნულ გლობალურ სამყაროში ინტერნეტ რეალობაში შექმნილმა როლურმა თამაშებმა ჩაანაც-

ვლა, რომლის დროსაც მოთამაშეს შეუძლია კლავიატურის ან მაუსის გამოყენებით მოიგოს სასურველი როლი. თანამედროვე სამყაროში ღირებულებები არეულია და გლობალურ რეალობაში ინდივიდი სამყაროს დიდი სისტემის ელემენტია, რის ფონზეც ინტერნეტ თამაშები, მათ შორის Grand Theft Auto San Andreas-ი წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოთამაშეები, თამაშის მოტივით, ერთიანდებიან და აყალიბებენ და/ან უზიარებენ ერთმანეთს ქცევისა და მოქმედების პრაქტიკასა და წესებს.

სტატია ეფუძნება ეთნოგრაფიულ კვლევასა და ანალიზს, რომლის ობიექტად შევარჩიე თამაშის, GTA San Andreas Hot Coffee Samp-ის ქართული სერვერებიდან ერთი – EDRP (Excellent Dram Role Play). სერვერის მოდერატორი ორი ქართველია. კვლევის დროს, ნახევრად-სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით, ინტერვიუები ჩაეწერე თამაშში ჩართული მოზარდებისაგან. ჩართული დაკვირვების მეთოდის გამოყენებით, დავაკვირდი თამაშის მსვლელობის პროცესს. ასევე ვუყურე EDRP სერვერის „იუთუბ“ ბლოგებს. მონაწილე დაკვირვების მეთოდი გამოვიყენე თამაშის პროცესში ინციდენტისათვის და ინფორმანტების ნდობის მოსაპოვებლად. 2020 წლის აპრილი-აგვისტოს განმავლობაში პერიოდულად ვიყავი ჩართული ქსელში, როგორც მოთამაშე და ვაკვირდებოდი სერვერის მომხმარებელთა ქცევებს. კვლევა მიმდინარეობდა ელექტრონულად. კვიდ 19-ის მიერ გამოწვეული პანდემია და თვითიზოლაციის პერიოდი კიბერ თამაშებზე ინტენსიური დაკვირვების პროცესს ხელს უწყობდა. ინტერნეტზე დამოკიდებულმა ცხოვრების წესმა პანდემიის პირობებში ცხადი გახადა, რომ მოზარდები ონლაინ თამაშებით – PUBG, Counter Strike, Warcraft, GTA ციფრულ-საკომუნიკაციო სივრცეს ქმნიან, სადაც ახერხებენ ერთმანეთთან ურთიერთობას. სხვა თამაშებისაგან განსხვავებით, GTA San Andreas-ის როლური თამაში იმით გამოირჩევა, რომ არ აქვს განსაზღვრული წესები, მოთამაშე თავად ირჩევს ცხოვრების წესს, იდენტობას, სქესს და ასე შემდეგ, რასაც პერიოდულად იცვლის სურვილის შემთხვევაში.

სტატიაში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ანალიზის მეშვეობით, ვცდილობ, მოზარდებზე ვირტუალური თამაშის გავლენების გაგებას სოციალური ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან. ნაშრომის არგუმენტია, რომ ონლაინ თამაშის Grant Theft Auto San Andreas Hot Coffee-ის ქართული ვერსია თამაშში ჩართული მოზარდებისთვის წარმოადგენს სოციალური პროცესების მიმგავსების, თამაშის გზით სოციალიზაციისა და ღირებულებ-

ბათა ფორმირების პრაქტიკაში განხორციელების არეალს.

თამაშის თეორიიდან კიბურ თამაშის თეორიამდე

ბავშვები თამაშით სოციალური ქცევის მოდელებს სწავლობენ და იზიარებენ სხვადასხვა აგენტისგან, განსაკუთრებით მშობლებისგან, თანატოლებისგან. თამაში აყალიბებს კულტურულ და სოციალურ ღირებულებათა სისტემას, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ თამაში ქცევის მოდელების ჩამოყალიბების მექანიზმია.

თამაშის შესწავლის პრობლემას გერმანელი მეცნიერი იოჰან ჰაიზინგა მისი ბიოლოგიური მოტივების განხილვით სვამს და აღნიშნავს, რომ თამაშში კულტურაზე გაცილებით ძველი ფენომენია, რადგანაც კულტურა ადამიანთა ჯგუფს მოიაზრებს, თამაშები კი ცხოველების გარკვეულ სახეობებშიც არსებობს¹. თუ ჰაიზინგას მოსაზრებას მივყევით, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უდიდესი თამაში კულტურაა, რომელიც მას შემდეგომში აყალიბებს სოციალური ერთობის წევრად. თამაში ჰაიზინგას ესმის, როგორც სიცოცხლის პირველადი, უმთავრესი კატეგორია, რომელიც ცნობილია, როგორც ცხოველისთვის, ისე ადამიანისთვის და მას შეგვიძლია ვუწოდოთ ტოტალური, რადგანაც უნივერსალურია ფსიქიკური და ბიოლოგიური საზრისისათვის. ავტორი მიიჩნევს, რომ თამაშის უნივერსალურობა იმაში გამოიხატება, რომ მისი უარყოფა არ შეიძლება. ჰაიზინგა აღნიშნავს, რომ შესაძლოა უარყო სამართლიანობა, სილამაზე, სიკეთე, აზროვნება, ღმერთი, სერიოზულობაც კი, მაგრამ არა თამაში, რადგან იგი ირაციონალური მოვლენაა, რომელიც კულტურამდე არსებობდა და კულტურის გაჩენასთან ერთად მის განუყოფელ ნაწილად იქცა. ჰაიზინგა თამაშს სერიოზულობის ანტონიმად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს რომ თამაში თავისი სერიოზული თვისებით ბიოლოგიურთან ჰპოვებს სიახლოვეს და ადამიანსა და ცხოველის თამაშის საერთო მექანიზმია. თამაში, რომელიც სიბძნისა და სისუფელის, სიმართლისა და ტყუილის, კარგისა და კეთილის მიღმაა, რაციონალურ საზრისს სცდება.² კულტურაში შემოსული თამაში, სოციალური ქცევის მოდელებს ექვემდებარება და ხელს უწყობს საზოგადოებას ამ მოდელების გააზრებაში. ამიტომაც, ძველი რომისთვის დამახასიათებელი იყო გლადიატორების ორთაბრძოლა, რომელიც ძალისა და აგრესიის დემონსტრაციაზე იყო მიმართული; ქართული ტრადიციული ლახტი გამძლეობის უნარს უკეთარებდა ბავშვებს, ხოლო საბრძოლო ცეკვები რვა-

¹ Huizinga J. 1949. Homo Ludens a study of the play-element n Culture, Routledge, გვ . 1.

² Huizinga J. 1949. Homo Ludens a study of the play-element n Culture, Routledge, გვ . 3-6.

ლური ბრძოლისთვის ამზადებდა მოზარდებსა და მეომრებს. თამაში, რომელიც კულტურას ექვემდებარება, მოიცავს წესებს, რომლის გარეშეც პროცესი ვერ შედგება.

ჰაიზინგა წესების შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ თამაშების წესები აბსოლუტურია და გადახედვას არ ექვემდებარება. რამდენადაც არსებობს შეთანხმება, რომ თამაში სოციალური ფენომენია და ადამიანი მისი წრეების საკუთარი თავის ჯგუფში ჩართვისაკენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ თამაში, სოციალურ ერთობაში ქცევის მოდელია, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და სოციალური ინტერაქციის პროცესია.³

კლიფორდ გირცს (1973) ადამიანი და მისი აზროვნება ესმის როგორც სოციალური ფენომენი, რომლის ფიქრები და აზრები მიმართულია საჯარო/სოციალური ქმედებისკენ. ადამიანის ცხოვრება და სიმბოლური ქცევის მოდელები გირცისთვის ისტორიულადაა კონსტრუირებული, სოციალურად შენარჩუნებული და ინდივიდუალურად გამოყენებული.⁴ სოციალური ინტერაქციის პროცესში კლიფორდ გირცი გამოყოფს წინაპრების, თანამედროვეებისა და მემკვიდრეების როლს. ესენი არიან პიროვნებები, რომლებიც ჯგუფს შიგნით იზიარებენ დროს, მაგრამ არა სივრცეს, ცხოვრობენ მეტონაკლებად ისტორიის იმავე მონაკვეთში და აქვთ მცირე სოციალური ურთიერთობა ერთმანეთთან, თუმცა ისინი ნორმალური ცხოვრების კურსში არ ხვდებიან ერთმანეთს. ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არაპირდაპირი სოციალური ინტერაქციით, მაგრამ სიმბოლურად ფორმულირებული ზოგადი, კულტურული ქცევის მოდელები მსგავსი აქვთ.⁵

კლოდ ლევი-სტროსი რიტუალებს თამაშიდან წარმოქმნილად მიიჩნევს. იგი მიიჩნევს, რომ ყველა თამაში ქცევის წესების ერთობლიობაა, რომელიც პრაქტიკაში იძლევა რაღაც რაოდენობის რაუნდის გავლის შესაძლებლობას.⁶

თამაშის ფსიქო-სოციალური მოტივები აღწერა კლიფორდ გირცმა ეთნოგრაფიულ დღიურში, რომელიც შეეხებოდა მის დაკვირვებას მამლების

³ Huizinga J. 1949. Homo Ludens a study of the play-element n Culture, Routledge, გ 3 . 11.

⁴ Geertz C. (1973). Person, Time and Conduct in Bali, book Chapter 14 p 360-411, in the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გ 3 . 363-364.

⁵ Geertz C. (1973). Person, Time and Conduct in Bali, book Chapter 14 p 360-411, in the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გ 3 . 465-366.

⁶ Lévi-Strauss C. 1966. The Savage Mind. George Weidenfeld and Nicolson Ltd, London, გ 3 . 30.

ჩხუბის შესახებ კუნძულ ბალიზე, რომელიც მან 1958 წელს აღწერა. მამლების ჩხუბი მამლებს შორის დაპირისპირებაა, რომლებიც ალეგორიულად წარმოადგენენ ადამიანს, რომელიც დებს ფსონს რომელიმე მამლის მოგებისათვის. გირცისთვის მამლების ჩხუბი ბალიზე გამომხატველია იმ ემოციისა, რომელიც ამერიკულ სამეაროში გოლფის, პოკერისა და სხვა თამაშის დროს წარმოიქმნება და უმეტესწილად მასკულინობას გამოხატავს.⁷ მამალი, რომელიც ალეგორიულად წარმოადგენს მამაკაცს, ასევე გამომხატველია მისი ადამიანური მდგომარეობისა. გირცს სამი ტიპის მდგომარეობა აქვს შედარებული მამაკაცისა და მამლის ქცევის სიმბოლურობასთან: 1. სასოწარკვეთილი კაცი: მომაკვდავი მამალი, რომელიც ბრძოლის დროს იკრებს ირაციონალურ უკანასკნელ ძალებს, რათა საერთო დესტრუქციამში ჩაიყოლოს მოწინააღმდეგე; 2. ხარბი კაცი (ადამიანი, რომელიც გპირდება ბევრს, გაძლევს ცოტას): მამალი, რომელიც იმარჯვებს და ზემოდან ახტება მოწინააღმდეგეს, ისე რომ არ ითვალისწინებს მას; 3. გამოუცდელი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჯერ კიდევ მორცხვია საპირისპირო სქესთან (ან ახალი საქმის წამომწყები მამაკაცი), რომელსაც სურვილი აქვს პირველად მოახდინოს კარგი შთაბეჭდილება სხვაზე, ასევე, როგორც პირველად მებრძოლი მამალი.⁸

გირცი აღნიშნავს, რომ მამლების ჩხუბის დროს ადამიანი და ურჩხული, კარგი და ბოროტი, ეგო და იდი, მასკულინობის გარშემო შემოკრებილი კრეატიული ძალა და დესტრუქციულის გარშემო შემოკრებილი დამარცხებული ძალა, ცხოველურად ერევა სიძულვილის, ბოროტების, ძალადობისა და სიკვდილის სისხლიან დრამაში.⁹ გირცის მიერ აღწერილი თამაში და ემოციები ეხება ზრდასრული მამაკაცის ქცევას კუნძულ ბალიზე, რომლის წესები და მოტივები სხვა თამაშებისაგან განსხვავებულია, თუმცა ემოციები კულტურული უნივერსალიაა.

თამაში თანამედროვე ყოფაში გლობალური ღირებულებების ჩამოყალიბების სოციალურ აგენტად იქცა. ინტერნეტის, ხელოვნური ინტელექ-

⁷ Geertz C. 1973. Deep Play: Notes on the Balinese Cockfight, book Chapter 15, p. 412-453, in Book the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გვ. 417.

⁸ Geertz C. 1973. Deep Play: Notes on the Balinese Cockfight, book Chapter 15, p. 412-453, in Book the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გვ. 418.

⁹ Geertz C. 1973. Deep Play: Notes on the Balinese Cockfight, book Chapter 15, p. 412-453, in Book the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გვ. 420-421.

ტის განვითარებამ, გააქრო საზღვრები ფიზიკურსა და არაფიზიკურს შორის. კულტურული ღირებულებები გლობალიზებულ სამყაროს მოერგო და ადგილობრივი ლოკალური ქცევის მოდელები უნივერსალური ქცევის მოდელებს მიესადაგა. ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია ფიზიკური რეალობისაგან განსხვავებული ალტერნატიული რეალობისა და სივრცის ფორმირება კიბერსამყაროში, სადაც სივრცე თამაშისთვის, სოციალური ინტერაქციისთვის აღარ მოითხოვს ფიზიკურ ჩართულობას.

არტურო ესკობარმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ თანამედროვე ცხოვრების წესი კიბერკულტურაა, რომელიც ტექნობიოკულტურულ სამყაროშია სტრუქტურირებული და განპირობებულია მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეებით. ის სოციალური და კულტურული მატრიცითაა შემოფარგლული და თანამედროვე რეალობაში აკონსტრუირებს წესრიგს, დისკურსსა და პრაქტიკას, რომელიც გენერირდება ახალი ტექნოლოგიების ირგვლივ. თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც სამყაროს ჰომოგენიზაციასა და აკულტურნიზაციასაკენა მიმართული, ჰიბრიდული კულტურის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა¹⁰. სამყაროს ჰომოგენიზაცია და პოსტმოდერნიზაცია კიბერ რეალობისა და ინტერნეტიზაციის პირობებში ინფორმაციის გენერირების, გადაცემისა და გაზიარების პროცესში ვლინდება. მისი ერთ-ერთი მექანიზმი, სოციალურ ქსელებთან ერთად, ონლაინ თამაშებია. ის ერთ სივრცეში აქცევს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც თამაშების გარშემო აყალიბებენ საერთო ღირებულებებს.

ვირტუალური სამყაროს დეფინიციის შესახებ ლი-მარია კერშბაუმერი აღნიშნავს, რომ ადამიანები ვირტუალური სივრცის არარეალურობის მტკიცების პროცესში ვხარჯავთ რეალურ დროს და რეალურ თანხას, ასევე ვიყენებთ მას როგორც რეალური ურთიერთობის ფორმას¹¹. ბოლსტორფი აღნიშნავს, რომ ვირტუალურ სამყაროში ვირტუალური არის რეალობა და რეალობა ვირტუალური. რეალურსა და არარეალურს შორის საზღვრები იმდენად პირობითია, რომ არსებობს ფიზიკური და რეალური, ფიზიკური და არარეალური, ისევე როგორც ვირტუალური და რეალური და ვირტუა-

¹⁰ Escobar A. et al 1994. Welcome to Cyberia: Notes on the Anthropology of Cyberculture (and comments and Reply), In Current Anthropology, Vol. 35, No 3, Jun., 1994, 211-231, გვ. 213-215

¹¹ Kerschbaumer L. M 2016. Anthropology of Virtual Worlds: History, Current Debated and Future Possibilities, in Grafo Working Papers Vol. 5, pp. 96-110 DOI: <http://dx.doi.org/10.5565/rev/grafowp.21> გვ. 98

ლური და არარეალური.¹² ფლორენს ჩი, კორეის მაგალითზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ონლაინ თამაშები წარმოადგენს მედიუმს კულტურული კომუნიკაციის პროცესში და კულტურის, საზოგადოების, პოლიტიკისა და ეკონომიკის რთული სისტემის ნაწილი ხდება¹³. ს. პისრსს მიაჩნია, რომ ვირტუალური სამყარო რწმენის კოლექტიური მაფორმირებელია, რამდენადაც იგი სოციალური კონსტრუქციაა¹⁴. ავატარი, რომელიც სანსკრიტულ ენაზე ღმერთის დედამიწაზე გამოვლინებას გულისხმობს, ინგლისურ ენაში მომხმარებლის, განსაკუთრებით მოთამაშის რეპრეზენტაციის გამომხატველ ტერმინად იქცა. თამაშში კომპიუტერის მიერ მართული პერსონაჟი კი „ბოტა“. ავატარი ესაა დიზაინერების მიერ ესთეტიკურად დამუშავებული პერსონაჟი, რომელსაც თამაშის დროს მოთამაშე ირგებს საკუთარ თავზე¹⁵.

Grand Theft Auto: თამაშის განვითარების ისტორია

თამაში Grand Theft Auto (იგივე GTA) Rockstar-ის საკულტო თამაშია, რომელიც კიბერსივრცის განვითარებასთან ერთად ვითარდება. Grand Theft Auto 1997 წელს გამოვიდა, რომლის მომდევნო ორი ნაწილი, ლონდონი 1969 და ლონდონი 1961, 1999 წელს გამოვიდა. თამაში 2D ფორმატში იყო შექმნილი და მოთამაშეებს აძლევდა შესაძლებლობას შეესრულებინათ კრიმინალური მისიები. მოგვიანებით, იმავე 1999 წელს, ლონდონის სერიების გამოსვლას მოჰყვა Grand Theft Auto 2. ეს იყო თამაში, სადაც მოქმედება ხდებოდა განუსაზღვრელ ქალაქში, სახელად „სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებში“, რომელიც, როგორც ითან მორისი აღნიშნავს, იყო ფუტურისტული თამაში, განუსაზღვრელი დროითი მონაკვეთით. თამაშის მთავარი იდეა ეფუძნება კრიმინალს, მანქანების მოპარვას, ძარცვას, მკვლელობას. 2001 წელს გამოსული განახლებული Grand Theft Auto 3, წინამორბედებისაგან განსხვავებით, 3D ფორმატის თამაში იყო, რომელიც კლასიკად იქცა, სადაც მოქმედება ორი პერსონაჟის, „ლიბერთი სითის ღონის“ სალკატორე ლეონესა და მისი ანტაგონისტი კატალინას ირგვლივ ვითარდება.

¹² Boellstorff T. 2015 Three real Futures for Virtual Worlds, in Virtual Worlds Research, V. 8, N. 2, pp. 1-7 გ 3 . 3

¹³ Chee F. 2012. Online Games as a Medium of Cultural Communication: An Ethnographic Study of Socio-Technical Transformatin. Dissertation Submitted in Partial Fulfilment Of The Requirements For The Degree of Doctor Of Philosophy In the Social Communication, Simon Fraser University, გ 3 . 154

¹⁴ Pearce C. 2009. Communities of Play: emergent Cultures in Multiplayer Games and Virtual Worlds, Massachusetts Institute of Technology, გ 3 . 17

¹⁵ Pearce C. 2009. Communities of Play: emergent Cultures in Multiplayer Games and Virtual Worlds, Massachusetts Institute of Technology, გ 3 . 21

თამაშის ახალი მეოთხე ნაწილის გამოსვლამდე გამოვიდა მესამე ნაწილის რამდენიმე ვერსია, რომელთაგან ყველაზე პოპულარული იყო GTA III, Vice City (2002), რასაც შემდგომში მოჰყვა Grand Theft Auto San Andreas, რომელიც 2004 წელს გამოვიდა და იქცა საკულტო თამაშად. თავისუფლების ქალაქის ამბების (Liberty City Stories) ახალი ვერსიები გამოვიდა 2005 და 2006 წლებში¹⁶. Grand Theft Auto-სთვის ახალი პერიოდი 2008 წელს, GTA 4-ის გამოსვლით იწყება, რომლის განახლებული ვერსიები გამოვიდა 2009 წელს, თამაშში რუკასთან ერთად მოთამაშისთვის მნიშვნელობა მიეცა მობილურ ტელეფონს, რომელიც გადამწვევტ როლს ასრულებს მისიების შესრულების პროცესში. 2013 წელს გამოსული GTA 5 თანამედროვე გრაფიკონების მიერ შექმნილი იდეალური პროდუქტი იყო Grand Theft Auto-ს ისტორიაში, სადაც რთულია დაადგინო, სად გადის ზღვარი რეალურსა და არარეალურს შორის.

როდესაც ახალ-ახალი ვერსიების გამოშვებამ კიბერთამაშების ისტორიაში გადაინაცვლა და Rockstar-ის პროგრამისტებმა დაინახეს, რომ თანამედროვე საკულტო ვიდეოთამაშებში სულ უფრო მეტად ჩაერთო ინტერნეტი, მოსაბეზრებელი გახდა საკუთარ თავთან თამაში და უაზრო მისიების შესრულება, თამაში ჩაერთო ელექტრონულ სერვერში. შეიქმნა მრავლობითი ქსელი, სადაც რამდენიმე ასეული მოთამაშე სხვადასხვა როლს ირგებს და ეთამაშებიან ერთმანეთს.¹⁷ დღეისათვის ინტერნეტ სივრცეში შესაძლებელია GTA-ს საკულტო ვერსიების მოძებნა, რომელთაგანაც პოპულარულია GTA 5 და GTA San Andreas 2004. ისინი მოთამაშეებს აძლევს შესაძლებლობას დაიკმაყოფილონ ყველა სახის ფანტაზია.

Grand Theft Auto-ს სხვა თამაშებისაგან გამოარჩევს ის, რომ იგი დევიანტური, კრიმინალური ძალადობის ჩაღვინისკენაა მიმართული ამერიკის სამომხმარებლო საზოგადოების ცენტრში. სხვა თამაშებისაგან განსხვავებით, მოთამაშის (პერსონაჟი, ავატარი) თვისება, ფუნქცია, ღირებულებები გაურკვეველი და მორალურად საკამათოა. ესაა ძალადობრივი თამაში, სადაც მოთამაშეზეა დამოკიდებული კრიმინალის, არასოციალური აქტივობის ჩა-

¹⁶ Maurice E. 2020. Every GTA Game Ever (& What Grand Theft Auto's Timeline Is). On the SCREENRANT Web Page 24.09.2020 <https://screenrant.com/gta-release-date-grand-theft-auto-timeline-order/> (ბოლო წვდომა 25.08.2023)

¹⁷ Maurice E. 2020. Every GTA Game Ever (& What Grand Theft Auto's Timeline Is). On the SCREENRANT Web Page 24.09.2020 <https://screenrant.com/gta-release-date-grand-theft-auto-timeline-order/> (ბოლო წვდომა 25.08.2023)

დენა¹⁸.

Rockstar-ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, თამაშის შინაარსი ასეთია: კარლ ჯონსონი ხუთი წელია, რაც ლოს სანტოსის, სან ანდრეასის ცხოვრების წესს გაექცა, რომელიც კრიმინალური ბანდების, ძალადობის, კორუფციისა და ძალმომრეობის ადგილია. ესაა ქალაქი, სადაც ფილმების ვარსკვლავები და მილიონერები ყველაფერს აკეთებენ, რომ თავი დააღწიონ დილერებსა და კრიმინალურ ბანდებს. თამაშის მოქმედება ხდება ადრეულ 1990-იან წლებში, როდესაც კარლს უწევს სახლში დაბრუნება, რადგანაც მას დედა მოუკლეს, მისი ოჯახი დაანგრის და ბავშვობის მეგობრებს საფრთხე ემუქრება. რამდენიმე კორუმპირებული პოლიციელი ცდილობს კარლს ჰომიციდი დააბრალოს. CJ (კარლ ჯონსონი) იძულებულია მთელი სან ანდრეასის შტატის მასშტაბით იმოგზაუროს, რათა გადაარჩინოს ოჯახი და ქუჩებზე კონტროლი საკუთარ თავზე აიღოს¹⁹.

Grand Theft Auto San Andreas-ის 1990-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების შავკანიანთა ქუჩის ცხოვრების წესი, რომელიც გრაფიკოსთა და კომპანია “Rockstar“-ის პროგრამისტების წარმოსახვის საზღვრებით იყო შემოფარგლული, 2005 წელს დაიშვება, როდესაც თამაში გატეხეს და გამოჩნდა თამაშის არაოფიციალური ვერსია სახელწოდებით “Hot Coffee”, რომელიც ავტორიზებული ვერსიისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მოთამაშეებს შეეძლოთ თავიანთი პერსონაჟით (ავატარი) სექსუალური მანიპულაცია განეხორციელებინათ არამოთამაშე პერსონაჟებზე (ბოტებზე)²⁰.

Hot Coffee ინტერნეტ სივრცეში განსაკუთრებით პოპულარული მონარდ ახალგაზრდებშია, რომლებიც გარდატეხის ასაკში დევიანტური კულტურული ფასეულობებით არიან დაინტერესებული. Grand Theft Auto San Andreas-ის ინტერნეტ როლური ვერსია (<https://www.sa-mp.com/>)-ზეა მოთავსებული, რომელიც პლატფორმა Rockstar Games Grand Theft Auto: San Andreas-ისათვის. ესაა ბაზა, სადაც რეგისტრირებულია სერვერები/-ჯგუფები, რომლებშიც მოთამაშეები თავიანთი პერსონაჟების/ავატარების მეშვეობით ეთამაშებიან ერთმანეთს. GTA 5-ის ინტერნეტ თამაშთან შედარე-

¹⁸ Boulton E., and Cremin C. 2011. The Sociology of Videogames, Book Chapter in Cohen (Ed). Being Cultural, Auckland: Pearson, pp. 341-357. გვ . 350-351

¹⁹ <https://www.rockstargames.com/> (ბ ო ლ წ ვ დ მ ა : 25.08.2023)

²⁰ DeVane B., Squire K.D. 2008. The Meaning of Race and Violence in Grand Theft Auto: San Andreas. გვ . 2.

ბით, GTA San Andreas Hot Coffee Samp-ს აქვს დაბალი გრაფიკა, თუმცა მოზარდებში მის პოპულარობას წესების არარსებობა განაპირობებს. თამაში ინტერნეტში უკონტროლოდ არ არის განთავსებული, მისი ძირითადი პრინციპები სერვერის ადმინისტრატორების მიერაა შედგენილი, რაც მოთამაშეების მხრიდან ერთმანეთისადმი შეურაცხყოფისა და თაღლითობის აკრძალვას გულისხმობს, თუმცა ავატარის/პერსონაჟის მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებიც ვიზუალურად ყველას მიერაა აღქმადი, არ არის საზღვრებში მოქცეული. მოთამაშეებს სერვერზე ერთმანეთთან კომუნიკაციის პროცესში აქვთ საკუთარი მოწყობილობის მიკროფონის გამოყენებისა და მიმოწერის შესაძლებლობა.

GTA San Andreas: ქართული მოზარდების ინტერნეტ რეალობა

თანამედროვე სამყაროში კიბერ-თამაშები გლობალური ფენომენია, რომელიც გამოსვლის მომენტიდან მსოფლიოს მასშტაბით მყისიერად ვრცელდება. ისინი მოთამაშეების ღირებულებებს აყალიბებს ან უკვე არსებული გამოხატვის შესაძლებლობას წარმოადგენს. ინტერნეტ თამაშები, რომლებიც გლობალური პროდუქტია და ღირებულებათა ფორმირების პროცესში რეალურსა და წარმოსახვითს შორის საზღვრებს შლის, სხვადასხვა კულტურაში ლოკალურ რეალობას ერგება და მოზარდებში წარმოადგენს ალტერნატიულ სივრცეს, ასაკის გამო აკრძალულის დასაშვებად განსაცდელად. წარმოსახვითი რეალობა ის სივრცეა, სადაც მოთამაშეები ერთმანეთს ეკონტაქტებიან და აკეთებენ იმას, რაც შეიძლება ცხოვრებაში არ გაიმეორონ.

ონლაინ თამაში, მათ შორის Grand Theft Auto: San Andreas-ი, რომელიც მოზარდებშია პოპულარული, ალტერნატიულ რეალობაში ალტერნატიული სიამოვნების განცდის საშუალებაა. როლური თამაშები, რომლებიც სერვერებზე სივრცეებად არის დანაწილებული ენობრივი და გეოგრაფიული მარკერებით, მოთამაშეთა კულტურულ სისტემას ერგება, ასეთია GTA San Andreas Hot Coffee-ს ქართული ინტერნეტ ვერსია. Grand Theft Auto San Andreas Hot Coffee სტანდარტული თამაშის კომპიუტერში დაყენების შემდეგ, ქართულ სისტემაში ადაპტირებისათვის ფაილში უნდა დაემატოს კოდიფიცირებული sa-mp.com - სტანდარტული როლური თამაშის პროგრამა, რომლის დაყენების შემდეგ შესაძლებელია შესვლა ქართულ სერვერზე. არსებობს რამდენიმე ქართული სერვერი, რომელიც მოდერატორების მიერ იმართება და სივრცეში მოთამაშეთა ქცევების გაკონტროლება და წესების შემუშავება მათზეა დამოკიდებული.

Grand Theft Auto San Andreas Hot Coffee-ს თამაშის ქართულენოვანი სერვერებია: Excellent Dreams Role Play; Iberia Role Play, Project: Exclusive Role Play; Georgian Crystal Role Play; Georgian Crazy RP; Georgian Real Life; Georgian Virtual Life Rebron; Saint City Role Play; Geo Verona Role Play; Insanity Role Play; Central RP; White Roleplay; Georgia Dreams Role Life; California RolePlay; Arrecera Roleplay; Life City RolePlay;

ჩემი ეთნოგრაფიული კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ქართული სერვერებიდან ერთ-ერთი პოპულარული ქსელი Excellent Dreams Role Play-ს შესწავლა, სადაც დღეში 400-450 ახალგაზრდა შედის სათამაშოდ. სერვერზე შესვლისთანავე მოთამაშეს ქართულ ენაზე, ლათინური ასოებით დაწერილი თამაშის ინსტრუქციები და წესები ხვდება. ესაა არარსებული ქალაქი სან ანდრეასი, რომელიც წარმოადგენს სივრცეს ნებისმიერი როლის მოსარგებლად. პერსონაჟის, მისი სქესისა და სახელის არჩევის შემდეგ ხდება სპეციალური კოდის დაყენება, რომლითაც მოთამაშეს შესაძლებლობა აქვს ყოველ ჯერზე ერთი და იმავე „ონლაინ იდენტობით“ გააგრძელოს თამაში იქიდან, სადაც ის ბოლოს შეჩერდა. შესვლისა და გააქტიურებისთანავე ეკრანზე ადმინისტრატორების რჩევები გამოდის, რომლებიც მოთამაშეს ურჩევენ: მივიდეს მერიაში და აიღოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი, რომ შემდონ მუშაობა საჯარო და კერძო სერვისებში; აიღოს San Fierro-ს ავტო-სკოლაში მართვის მოწმობა; ეწვიოს Santos-ის სამხედრო ბაზას და აიღოს სამხედრო ბილეთი, რაც საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებში სამუშაოდ. თამაშში შესაძლებელია კერძო საკუთრების ყიდვა-გაყიდვა. პროფილის გააქტიურებისას მოთამაშის საწყისი ვირტუალური ეკონომიკური კაპიტალი 10 000 ამერიკული დოლარია. დამატებითი თანხის გამოსამუშავებლად რეკომენდებულია მუშაობა მარიხუანას პლანტაციებში, ფერმაში, ავტოპარკსა და საჯარო სერვისებში. შესაძლებელია გაწვერიანება კრიმინალურ ბანდებში, თავდასხმა სახელმწიფო სტრუქტურებზე. ქალაქში პოლიციელი, ბანდიტი, ტაქსის მძღოლი, ჯარისკაცი და ა.შ. რეალური მოთამაშეები არიან. სხვადასხვა ეტაპზე მოთამაშეს შესაძლებლობა აქვს იყოს პოლიციელიც, ტაქსის მძღოლიც, ჯარისკაციც, სტრიპტიზიორიც და ასე შემდეგ.

EDRP სერვერზე მოთამაშეთა უმრავლესობა მოზარდია, რომელთა ასაკი 13-დან 18 წლამდე მერყეობს. ეთნოგრაფიულმა დაკვირვებამ და ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ Grand Theft Auto San Andreas Hot Coffee-ს ინტერნეტ როლური თამაში მედიუმი ბავშვობასა და კაცობას

შორის. სერვერი ესაა ჯერ მიულწეველი სექსუალურის, ღირებულებათა სისტემისა და ქცევის მოდელების დაკმაყოფილების (კაცობის დემონსტრირების) შესაძლებლობა. კვლევის დროს ინფორმანტები აღნიშნავენ, რომ მათთვის თამაშში ჩაცმის სტილი, მუსიკა და ის წესები, რომლებსაც მოდერატორები უყენებენ მისაღები და მოსაწონია. მიუხედავად იმისა, როგორები იქნებიან მომავალში, მოთამაშეებისთვის მათი ავატარები გამოხატავენ მათ რეალურ „მე-ს“.

ვახომ, 16 წლის ინფორმანტმა, ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ მისთვის უფრო რეალური სერვერში ცხოვრებაა. ეს ადგილი მისთვის სახლია და თვლის, რომ მოწყობილობის ეკრანის გამორთვის მომენტიდან, არარეალურ, ფანტაზიურ სამყაროში შედის. მან თქვა:

„ამ სერვერზე, ამ თამაშით გავიცანი სხვა მოთამაშეები. შეიძლება ისინი ფიზიკურად არ მინახავს, არც ნამდვილი სახელი ვიცი, მაგრამ ვიცი მათი სული როგორია, როდესაც მათ ავატარსა და „ნიკნიმს“ (მეტსახელს) ვუყურებ. სერვერზე ჩვენ ვცხოვრობთ, ვუყვებით ერთმანეთს ამბებს, ანეკდოტებს და თან რასაც გვინდა იმას ვაკეთებთ“.

ასაკობრივი შეზღუდვებიდან გამომდინარე, არარსებული ამერიკული ურბანული სივრცე, მოთამაშეთა ღირებულებათა სისტემაში აღიქმება, როგორც მიუწვდომელი ქალაქი, რომლის წევრიც იგი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ გახდება. თამაშის პოპულარობის მარკერად ინფორმანტები გამოყოფენ კაცობის დემონსტრირების შესაძლებლობას ნარკოტიკებით, იარაღით, სასურველი ქალის დაუფლებით. რადგანაც თამაშში 1990-იანი წლების თბილისური ცხოვრების მსგავსია, მოთამაშეებში იგი შშობლებისა და ბებია-ბაბუების მიერ მოყოლილ ამბებთან ასოცირდება, რომელიც ამ არარსებული სივრცის დემარკაციას ახდენს მოთამაშეების წარმოსახვაში და წარსულს თანამედროვე თბილისში გადმოიტანს. დათომ თქვა:

„უფროს კაცებს ჩემთვის მოუყოლიათ, რომ 1990-იანი წლები თბილისში რთული პერიოდი იყო, ვგელა იარაღით დარბოდა, „კაი ბიჭებს“ ქუჩები ეჭირათ, ქალაქში ადგილები განაწილებული იყო უბნებად. როდესაც GTA-ს ვთამაშობ წარმოვიდგენ, რომ ჩვენი მამების დროინდელ თბილისში ღაჯბრივარ და ვიბრძვი.“

თამაშის მრავალმხრივობიდან გამომდინარე იგი მოზარდისთვის არა მარტო 1990-იანი წლების თბილისური ცხოვრების წესთან, არამედ თანამედროვე თბილისის ღამის ცხოვრებასთანაც ასოცირდება. მოთამაშე დადის ბარებსა და სტრიპტიზ-კლუბებში, აწყობს ღამის წვეულებებს როგორც ქუჩაში, ისე საკუთარ სახლში, იღებს ნარკოტიკებს, რაც მათთვის თანამედ-

როგე თბილისური ღამის ცხოვრებისგან არ განსხვავდება და სრულწლოვანებამდე თამაშია ის სივრცე, სადაც საკუთარ მოთხოვნილებებს გამოავლენს. გიორგიმ, 15 წლის ინფორმანტმა ჩემთან საუბრისას თქვა:

„თამაშში რომ ვარ VIP ღამის კლუბებში, სტრიატიზ-ბარებში შევდივარ. მგონია, რომ თბილისის რომელიმე ცნობილ სტრიატიზ-კლუბში ან ბარში მივდივარ. ყველა ასე არ აკეთებს დღეს თბილისში? მე ვინ შემიშვებს ნამდვილ ბარში ან კლუბში? სანამ წავალ ხომ უნდა ვიცოდე სად მივდივარ რა ხდება? ამიტომ თამაშის დროს ვაკეთებ ამას“.

თამაშის დროს მოთამაშეების ნაწილი ირჩევს მდებრობითი სქესის ავატარს, რომელიც სტრიატიზიორია. მოთამაშეებში ქალის ავატარის მქონე რეალური ბიჭი მოთამაშე, იდენტიფიცირდება საკუთარი მიკროფონითა და ხმით. ერთ-ერთი ასეთი ავატარის ზედმეტსახელი სერვერზე არის ფრედი მერკური, რომელიც ერთ-ერთი გამოცდილი მოთამაშეა და სხვადასხვა აქტივობას წარმატებულად ართმევს თავს. მოთამაშეებში პერსონაჟი და ავატარის მფლობელი ავტორიტეტულ, კარგ მოთამაშედ ითვლება და მისი რეალური სქესისაგან განსხვავებული ავატარის სქესი არ წარმოადგენს განხილვის საგანს, თუმცა ეს ავატარი ყველა მოთამაშეში ყურადღებას იწვევს, რადგან ქალის პერსონაჟი მათ მამაკაცის ხმით ელაპარაკება.

თამაშში საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა ვირტუალური „პკპ ბათლი“, რომელიც ინგლისური ენიდან არის გადმოდებული და იშიფრება, როგორც Player Versus Player Battle (PVP Battle), ესაა Hip-Hop-ის სახეობა, როდესაც გალექსილი ფორმით მოთამაშეები ერთმანეთს აყენებენ შეურაცხყოფას. თამაშის დროს გამარჯვებულია ის, ვინც ორიგინალურ ტექსტს გარეპავს. Hip-Hop-ის ეს მიმდინარეობა ქართველ ახალგაზრდებში პოპულარულია. ორგანიზატორები თბილისის ღია და დახურულ სივრცეებში აწვობენ რეპერების ტურნირს, სადაც სცენაზე ერთმანეთს პირისპირ ეჯიბრებიან. გამარჯვებულს დამსწრეების ოვაციები ავლენს. დასწრება, უმეტეს შემთხვევაში, ფასიანია და მოქმედებს ასაკობრივი ცენზი +18. რადგან მოზარდებისთვის ტურნირში მონაწილეობა რთულადაა მისაღწევი, ალტერნატიულ რეალობაში, თამაშში GTA San Andreas Hot Coffee-ს ინტერნეტ სერვერზე ეს შესაძლებელია. მოთამაშეებისთვის „PVP Battle“ თამაშის ერთ-ერთი საეიზიტო ბარათია. მოთამაშეების ავატარები იკრიბებიან კლუბში ან ღია სივრცეში, რომელიც სპეციალურადაა მოწყობილი „PVP Battle“-თვის. მოთამაშეები თავიანთ მოფიქრებულ ტექსტებს ჰყვებიან Hip-Hop-ის სტილში, სხვა მოთამაშეები კი უსმენენ და

შეხახილებით ამხნევენ. ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ თამაშის დროს PVP Battle-ში მონაწილეობა საგზურია მათთვის მომავალში, რეალური PVP Battle-ში მონაწილეობისთვის.

დათომ 17 წლის ინფორმანტმა აღნიშნა, რომ თამაშის დროს PVP Battle-ში მონაწილეობა მისთვის საშუალებაა, რომ მოთამაშეებს შესაძლებლობები აჩვენოს, რითაც საკუთარ თავს უმტკიცებს, რომ რეპერობა შეუძლია. თქვა, რომ საკუთარი ტექსტების გასაზიარებლად სხვა გზა ვერ იპოვა, PVP Battle GTA-ში კი შესაძლებლობაა რეალურთან დაახლოებულ სივრცეში იმოქმედოს. მისთვის უმნიშვნელოა, რომ ვირტუალური ავატარების მეშვეობით რეპავს, ამ ვირტუალური ავატარების უკან რეალური ადამიანები არიან, რომლებიც სათქმელს რეალური მიკროფონებით ამბობენ. დათომ განაგრძო:

„მომავალში მინდა, Key G, Young MIC, Master-ს (რეალური რეპერები, რომლებიც ქართული PVP Battle-ს ავტორიტეტებად მიიხევიან) დავუდგე და ჩემი ტექსტებით გავრეპო. GTA San Andreas-ის სერვერზე იმიტომ ვრეპავ, რომ მინდა რეალური ორგანიზატორების და Hip-Hop-ერების ყურადღება მივიქციო. იქნებ ნახონ, რა ტექსტებს ვწერ და როგორ ვრეპავ, რომ როდესაც შესაძლებლობა მექნება რეალურ PVP Battle-ში მივიღო მონაწილეობა“.

დასკვნა:

კლიფორდ გირციმა მამლების ჩხუბი კუნძულ ბალიზე ათეულობით წლის წინ ჩაიწერა, რომელიც ზრდასრულ მამაკაცებში ძალაუფლების დემონსტრირების შესაძლებლობას იძლეოდა. თანამედროვე ინტერნეტ თამაშის Grand Theft Auto San Andreas Hot Coffee-ის მოტივი მსგავსია გირცის მიერ აღწერილი მამლების ჩხუბისა. მამალი და ავატარი ორივე გამოხატავს მოთამაშის სოციალურ სახეს, ასევე სულიერ მისწრაფებებს, სადაც, როგორც გირცი აღნიშნავს, ადამიანი და ურჩხული, კარგი და ბოროტი, ეგო და იდი, მასკულინობის გარშემო შემოკრებილი კრეატიული ძალა და დესტრუქციულის გარშემო შემოკრებილი დამარცხებული ძალა ცხოველურად ერევა სიძულვილის, ბოროტების, ძალადობისა და სიკვდილის სისხლიან დრამას²¹. განსხვავება ისაა, რომ მამლების ჩხუბში ზრდას-

²¹ Geertz C. 1973. Deep Play: Notes on the Balinese Cockfight, book Chapter 15, p. 412-453, in Book the Interpretation of Cultures Selected Essays by Clifford Geertz, Basic Books, Inc., Publishers. New York, გ 3 . 420-421.

რული ადამიანები მონაწილეობდნენ, ხოლო Hot Coffee-ს, ძირითადად, მოზარდები თამაშობენ, რომლებშიც ასაკობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოვლენების მძაფრად აღქმა და დემონსტრირება ხდება.

ჩემმა ეთნოგრაფიულმა კვლევამ ცხადყო, რომ თამაშის პოპულარობას განაპირობებს გარდატეხის ასაკში მოზარდების ინტერესი დევიანტური კულტურული ფასეულობების მიმართ. თამაშის მეშვეობით, მოზარდი ცდილობს გაემიჯნოს რეალურს, არსებულს და თავი მისთვის სასურველისა და მოსაწონის ნაწილად მიიჩნიოს. თამაში შლის საზღვრებს რეალურსა და წარმოსახვითს შორის და ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთის შემცვლელიც ხდება. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმანტი აღნიშნავდა, რომ მისთვის რეალური სივრცე იყო წარმოსახვითი, ხოლო თამაში სინამდვილე, რეალური ადამიანებითა და მისთვის მოსაწონი ღირებულებებით.

თამაში მედიატორია. იგი ალტერნატიული ურბანული სივრცეა ქართველი მოთამაშეებისთვის. San Andreas-ის ცხოვრების წესი 1990-იან წლების თბილისურ ცხოვრებასთან და კრიმინალთან ასოცირდება, ასევე თანამედროვე ღამის ცხოვრებასთან, რომლის სრულფასოვან წვერებად მოზარდებს თავის გააზრება არ შეუძლიათ, ასაკობრივი აკრძალვების გამო. თამაშის მეშვეობით ისინი ახერხებენ კომუნიკაციას თანატოლებთან, რომლებსაც მსგავსი ასაკობრივი მოთხოვნილებები აქვთ და ერთმანეთს უზიარებენ ცხოვრების შესახებ შეხედულებებსა და უკვე არსებულ გამოცდილებას. GTA San Andreas Hot Coffee წარმოადგენს მედიუმს და/ან აგენტს ბავშვობასა და კაცობას შორის. მათთვის მიუწვდომელი კლუბური და ღამის თბილისური ცხოვრების წესი ხელმისაწვდომი, ხელშესახები ვირტუალურ თამაშშია, რომლის გავლის შემდეგაც, როგორც ინფორმანტები აღნიშნავენ, მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდებიან ზრდასრული ცხოვრების წესს.

თამაშში განსაკუთრებით თვალსაჩინო სივრცე „PVP Battle” არის, რომელიც გირცის მამლების სცენაა, სადაც თამაშის ავატარები ერთმანეთის პირისპირ დგებიან, ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებენ და აგრესიას გამოხატავენ. თუ მამლების უკან რეალური ზრდასრული მამაკაცები დგანან, ავატარების უკან რეალური მოზარდები დგანან მიკროფონითა და რეალური ხმით, რომლის მიზანს მოზარდობის ამ ეტაპზე აგრესიის გამოვლინება და ყოფითი პრობლემებისაგან გაქცევა წარმოადგენს.

GTA San Andreas Hot Coffee არანაირ სოციალურ ღირებულებას არ ემსახურება. იგი სხვა თამაშებისაგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტული ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ღირებულებებისადმი ლოია-

ლობის გაჩენისთვის იქმნება, პოსტმოდერნული ურბანული სამომხმარებლო ეკონომიკური ყოფის დემონსტრირებაა, სადაც ღირებულებები არეულია, ინდივიდი არ მოქმედებს საერთო მიზნისა და საერთო ღირებულებებისთვის; იგი ინდივიდია საკუთარი თავის კეთილდღეობის შესაქმნელად, რომლის უკან ოჯახური კეთილდღეობის მოტივი დგას, რასაც ცდილობს ძალადობრივი მეთოდებით მიაღწიოს.

Boris Komakhidze

Online Imageries of Space and Adolescence Among Georgian Lingual Society of Grand Theft Auto: San Andreas

The article addresses an ethnographic analysis of the adapted version of the online game GTA San Andreas and its role in the socialization process of Georgian teenagers. The space of San Andreas, which is adapted to the Georgian reality on the "server," is associated with an alternative urban space for adults and, together with the means of entertainment, represents a cyber reality that is almost a real space. They are allowed into the forbidden alternative space sanctioned by age, and in the process of forming the values of adolescents, it is a mechanism for them to understand themselves as "real men" in society. The article is based on field ethnographic research, during which the methods used were semi-structured and unstructured interviews and active and simple observation.

დალის ხეობა — ისტორია და თანამედროვეობა

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში — დალის ხეობა, XIX საუკუნეში — წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში — აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში — ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, გეოქრონოზი, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდიოგანვე იყო და არის დალი (სვანური წარმოთქმით დწლ) ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალელთა ისტორიული სამკვიდრებელი. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდორილების უმეტესობა, სამწუხაროდ, დევნილის სტატუსით ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, ევროპის ქვეყნებში... და არა მშობლიურ ოდაბადეში!

უადრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით — კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა. ამ კონტექსტში საინტერესოა რ. ხაჯიმბას განცხადება, რომ აფხაზეთის პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს, რომელიც კოდორის ხეობის სტატუსს ეხება. შესაძლებელია ხეობა დაცულ ზონად გამოცხადდეს, რადგანაც კოდორის ხეობას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და „ის პერსპექტივაში აფხაზეთის მარგალიტი უნდა გახდეს“. ვ. არძინბასთვის კი კოდორის ხეობა ყოველთვის იწოდებოდა აფხაზეთის „ოქროს გასაღებად“. 1874 წელს კავკასიაში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური გროვე-რომელიც ყარაჩაიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში, წერდა: „ძნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელითი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება“.

დალის ხეობის ეთნოლინგვისტიკა თემატურად მოიცავს და აერთიანებს საკვანძო და ქართველოლოგიური თვალთახედვით აქტუალურ შემდეგ საკითხებს: კოდორული სვანური მეტყველება (ინტერფერენციული

იერსახე, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები), დალის ხეობის ონომასტიკა — ტოპონიმია, ანთროპონიმია, თეონიმია, პიდრონიმია, ზონონიმია; ამ მხარის ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები; კოდორის ხეობის ისტორია, ადრეული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები, ნაეკლესიარები, სალოცავები და ქრისტიანული ძეგლები; შესაბამისად, ინტერესი კოდორის ხეობისადმი ანუ **დალის ქვეყნისადმი** (როგორც ამას ადრეული პერიოდის მოგზაურები უწოდებენ!), მრავალმხრივ არის განპირობებული.

დალის სვანეთი მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი. საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაპარვისა (გონდორაის) და ქლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ). დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს **ხვარაშისა და ჯერილის** საკმაოდ მაღალი მთაგრეხილები; სამხრეთით **ოჩამჩირისა და ტყვარჩელის** რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია **ფანავის** ქედი, **ჰარვასა და ბარუმბას** მთები), დასავლეთით კი **ბაგაღის** კლდეებია. დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი (აძგარა, ყულუჩი, გვანდრალა, ხეცქვარა, საკნარა) შენაკადის აუზებს. მისი ფართობი შეადგენს 650 ჰექტარს. აქედან 350 ჰექტარი საკარმიდამო და სახნავ-სათიბ მიწებს უკავია, დანარჩენი კი ტყის მასივები და ალპური საძოვრებია¹.

დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება; ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. არქეოლოგთა დასკვნით, ქრონოლოგია კოდორის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისა საკმაოდ ფართოა: აქ გვხვდება როგორც ძველი ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს და მომდევნო დროის ნაშთები, რაც რეგიონის ადრეული ხანიდან დასახლების მაუწყებელია; იგულისხმება წებელდის კულტურა და პოსტწებელდური მატერიალური კულტურის ძეგლები².

ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში —

¹ შ. მარგანი, კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა; კრ. „დაღვლთა იმედი შუქრი მარგანი“, თბილისი, 2005, გვ. 16.

² ვ. ჯაფარიძე, მთიანი აფხაზეთის (მდ. კოდორის შუა წელის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საკითხისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 2009, გვ. 650.

IV-VII სს., კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის³ .

მეცნიერებაში დღეს უკვე დადგენილია, რომ მდინარე კოდორის ხეობა ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის არეალში შედიოდა. მომდევნო ეპოქებში ამ ტერიტორიაზე კვლავ კოლხური ტომები ბინადრობდნენ. ანტიკურ ხანაში სვანები, ანუ სუანოკოლხები. დაღის სვანეთი ისტორიული მისიმიანეთია. ამ მხარეს ანტიკურსა და შუა საუკუნეების ეპოქაში მივსიანეთი (მისიმიანეთი) ეწოდებოდა. პ. ინგოროყვას აზრით, მისიმიანები ის სვანებია, რომელთა შესახებაც სტრაბონი ამბობს: „არაინ პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტოს მთიელ ტომთა შორის), მბრძანებლობენ ყველა გარემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის (სოხუმის) ზემოთ“. მისიმიანთა მხარის საზღვრები ცნობილია VI-VIII საუკუნეების ავტორების — აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორისა და ანასტასი აპოკრისიასის შრომების მიხედვით.

ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანელებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ მხოლოდ ერთხელ გაიეღვეს ისტორიის არენაზე **ჩახარის** (ჩხალთის) მიდამოებში 555 წელს მომხდარი აჯანყებით, მაგრამ „ისეთი ძლიერი იყო ის გაეღვება, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის — ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია“⁴. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე მათმა მემკვიდრე **დალელებმა** ღირსეულად გაიმეორეს წინაპართა გმირობანი და 1993-2008 წლებში ბოლომდე შეინარჩუნეს ქართული სულისკვეთება დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში. VII-VIII საუკუნეების შემდგომ მისიმიანნი ისტორიულ წყაროებში უკვე აღარსად მოიხსენიებან. ისტორიოგრაფიაში დაშვებულია სხვადასხვა ვარაუდი: 1. მისიმიანთა გადარჩენილი ნაწილი შეიძლება არაბთა შემოსევის დროს განადგურებულიყო ან გადასულიყო ზემო სვანეთში; 2. შესაძლოა მათ აქტიური როლი შეესრულებინათ აფხაზი ხალხის ფორმირებაში; 3. არაა გამორიცხული კლუსორის ხელსაყრელი უდელტეხილით მათი ჩრდილო კავკასიაში გადასვლა. მით უფრო, რომ შუა საუკუნეებში ყუბანის სათავეში სვანთა განსახლება მეცნიერულად დადგენილი და გაზიარებულია (ლ. ლავროვი, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, თ. მიბ-

³ Н. Бондарев, В горах Абхазий, М., 1981, გვ. 89.

⁴ თ. მიბქუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 127.

ჩუანი), რაც მტკიცდება სვანური სუბსტრატის არსებობით იმ მხარის ტოპონიმიაში, ათეულობით ისტორიული ძეგლით, სამარხით და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ დაღის ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს დანარჩენ ქართველებთან მიმართებით ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ დაღელს და დაღელებს. სამეცნიერო პროექტის ფარგლებში კოდორის ხეობაში 2006-2008 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილი თითქმის ყველა მთქმელი და ინფორმატორი (მათი რიცხვი ასეულს აღემატება) დანაწევრებით, გულისტკივილით, წერომითაც კი გამოხატავდა უკმაყოფილებას მათი არა დაღის ხეობის, არამედ ზემო აფხაზეთის მკვიდრებად მოხსენიების გამო.

VIII საუკუნიდან დაღის ხეობისათვის დგება ერთგვარი სიბნელის ხანა. ფიქსირებული არ არის არავითარი ცნობა. შეინიშნება ისტორიული წყაროებისა და მატრიანების ნაკლებობა. შუა საუკუნეების კოდორის ხეობა, დაღის სვანეთი, ისტორიაში დღემდე თეთრ ლაქად მოჩანს. მემატიანენი და მეისტორიენი, თითქოს პირი შეუკრავთო, არარას გვაუწყებენ. თავისი სათქმელი უნდა თქვას არქეოლოგიამ, რაც მომავლის აუცილებელი და საშური საქმეა. გულისტკივილით დავსძენთ, რომ ასეთი მდიდარი და შორეული წარსულის მქონე მხარეში ისტორიის გასაცოცხლებლად კვლევა-ძიებას მთელი გასული საუკუნის მანძილზე მიზანმიმართული პოლიტიკური ქვეტექსტების გამო სისტემური ხასიათი არ ჰქონია. და ჯერ კიდევ 1979 წელს დაზვერვითი სამუშაოებისას დიდი ქართველი არქეოლოგის — **შოთა ჩართოლანის** მიერ დაფიქსირებული 36 ძეგლი კოდორის ხეობისა (ბრინჯაოს ხანის უძველესი სამთამაღლო წარმოების ძეგლები, ციკლოპური მეგალითური ნაგებობები, ჩხალთის ნამოსახლარი, აჭარის გორა, ლაგვანას სამაროვანი, ჩხალთის ანტიფიქსი...) დღემდე ელოდება მკვლევარს, მეცნიერულ ანალიზს და მზის სინათლეს.

1842 წ. 22 აგვისტოს მრამბაში შავიზღვისპირეთის მე-II ბატალიონის რიგითმა სოფრონ რაძივესკიმ მოკლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, დალიდან განდევნილი შაბათ მარშანია, რომელიც მრამბაშივე დაასაფლავეს. მის დაკრძალვამ მარშანიების საგვარეულოს პატივისცემით აფხაზეთიდან და სამურზაყანოდან მრავალი თავადი ამოვიდა. 1843 წ. განზრახული იყო წებელდასა და დაღში სამხედრო დასახლებათა მოწყობა. ამასთან დაკავშირებით ა. ნეიდჰარტმა გენერალ ი. ანრეკს უბრძანა დაღში სამისო ადგილები მოეძებნა, სრული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სასწრაფოდ წარმოედგინა, თუმცა თანამოძმეთა უსაფრთხო ცხოვრებაში ისინი დარწმუნებულნი არ იყვნენ, რამდენადაც გრძილ-

ბდნენ, რომ **დალში ჩასახლებული რუსები მთიელ ტომთა — სვანების, ვარაჩაელების, ჩერქეზების მუდმივი თავდასხმების საფრთხის ქვეშ იქნებოდნენ**⁵. დალის ხეობაში რუსთა სამხედრო დასახლებების იდეას მუდმივ დაძაბულობასა და თავდასხმებთან ერთად ხელი სხვადასხვა გარე ფაქტორებმაც შეუშალეს, კერძოდ, ყირიმის ომმა. თუმცა კახაკთა გარკვეული რაოდენობა აქ მაინც დამკვიდრდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმდროინდელი პრესაც, კერძოდ, გაზეთ „კვალის“ შემდეგი ცნობა: „ხე-ტყის დასამუშავებლად მოსული მუშახელი სამუშაო ადგილის ახლოს ბინავებოდა და ქმნიდა დასახლებებს. მდინარე კოდორის შენაკადის — საკენის ნაპირზე მდებარე სოფლებში — აჟარასა და გემჩიში (იგულისხმება გენწვიში) რუსეთიდან ჩამოსული მუშები დასახლებულან. ახლა ამ ორ სოფელში დასახლებულნი არიან 30 კომლამდე რუსის გლეხები“⁶.

XIX-XX საუკუნეებში ისტორიულ მისიმიანეთს დღევანდელი დაღესტნი დაუბრუნდნენ. ხეობის სოფლების რიცხვმა უკვე თვრამეტს, მოსახლეობისამ კი 7-8 ათასს მიაღწია. რთული იყო XX-XXI საუკუნეთა მიჯნა დალის ხეობისათვის. სრულიად ახალგაზრდა ასაკში სამშობლოს ზეარაკად შეწირულ ვაჟკაცთა სიცოცხლის და დაღელთა თავგანწირვის ფასად 1993-2008 წლებში კოდორის ხეობაში საქართველო და ქართული სულისკვეთება გადარჩა. ეს ბუნებრივიც იყო, დალის ხეობა ხომ ქართველთა ისტორიული ცხოვრების არცერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში არაქართული და საქართველოსგან მოკვეთილი არ ყოფილა. დღეს კი?!

ყველაზე ობიექტურ მემატთანეს — დროს სრულებით არ ეჩქარება. ვფიქრობთ, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში XX საუკუნის მიწურული როდესაც ტკივილიან ფურცლად ჩაეწერება, როგორც აფხაზეთის დროებით დაკარგვის მაუწყებელი, იქ აუცილებლად გაკრთება სადიდებელი აფხაზეთისთვის „ოქროს გასაღებად“ წოდებული კოდორის ხეობისა და დაღელთა 15-წლიანი საბრძოლო თავგანწირვისა.

დალის ხეობის სალოცავთაგან, ქრისტიანულ ძეგლთაგან და ნაეკლესიართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: შიყერის წმ. გიორგი სახელობის ეკლესია, აჟარის/ სვიფის/ წმ. გიორგი, ნალხვამი, ჩხალთის წმ.

⁵ ბ. ხორავა, წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, კრებული: „სვანეთი — ქართული კულტურის სვანე“, თბ., 2008, გვ. 72-78.

⁶ გაზეთი „კვალი“ N42, 1898.

გიორგი... X საუკუნის შივერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან, საკენისა და ომარიშლის გამყოფ მაღალ ზეგანზე. აჟარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; დალის ხეობაში კაზაკების ცხოვრების ხანაში იქვე მდგარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სალოცავი. ნალტუბში (სვან. სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლოს, სამადლიეროს“)... კოდორელთათვის, ადგილობრივ მკვიდრთათვის ნალტუბში სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძველი აჟარის ერთ-ერთ შემადღებულ გორაზე, რომელიც ხალხური გადმოცემით მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. ჩხალთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მისიმიანთა მთავარი ისტორიული ციხის — ჩიხარის/ ჩიხარისის მიმდებარე ტერიტორიაზე კოდორელთა ძალისხმევით აღიმართა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში; ნაშთები და ნანგრევები კლუხორის უღელტეხილის სიახლოვეს, საკენში, ჩხალთასა და ლათაში, რომელიც ადგილობრივთა ცნობიერებით ბაზილიკის ტიპის ნაეკლესიარები უნდა იყოს და წმინდა ადგილებადაა მიჩნეული. კოდორის ხეობაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიცია განდევნილობისა, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ბეროლრე ნაღზიგუტ „ბერების ნასახლარი, ბერთა სავანე“. ათეისტურ ეპოქაში ქრისტიანულ რელიგიურ წესჩვეულებათა ზედმიწევნით აღსასრულებლად ბერ-მონაზვნებს შეუძმნეველი და ერთგვარად გასაიდუმლოებული ადგილები ჰქონიათ სოფლებში — აჯარასა და ბრამბაში.

საგანგებოდ გვინდა მსჯელობა ჯგერაჯ შყერიშის შესახებ: მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის — შივერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის — განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში; ტრადიციულად „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას საეკლესიო კალენდრით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს სწორედ ჯგერაჯ შყერიშ-ს მოიხსენიებდა. ცნობილია, რომ მთელი ქრისტიანული სამყარო ღოცულობს აღმოსავლეთისკენ, სამოთხის... შხის ამოსვლის მხარეს; ზემო სვანეთში კი რამდენიმე თემი დღემდე დასავლეთისკენ, კერძოდ შივერისკენ, ღოცულობს იმის გამო, რომ მის წინაპარს იქ უცხოვრია, იქ უდიდებია ღმერთი, იქ უშენებია საქართველო.

შივერის სალოცავს ყველა დაღელისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მაღლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსისხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შივერის მაღალ სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დაღის ხეობა ხელისგულივით მოჩანს!) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათაწმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. ხალხური გადმოცემებით, XIX საუკუნის მიწურულისათვის ნანგრევების სახითღა მოღწეულ სალოცავზე ადრეულ ხანებში ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო.

ითვლება, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დაღის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ ღროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში.

დაღის ხეობის თანამედროვე ტოპონიმიის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ზოგადი სურათი ასეთია: სვანურია, ძირითადად, დაღის ხეობის სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო საძოვრის/იალაღის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითღა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები.

კოდორის ხეობის **ა ფ ხ ა ზ უ რ ე ნ ო ვ ა ნ ი** ტოპონიმებია: **აკაკუტა, აბაყუტა, ანუყუტა, არმუტა/არემუტა, დუადუტა, ქუთარბა, ბარემბა / მრამბა < მაკრამბა, შოტუ, აძმახ, სირბისტა, არგუნ, დოუჩ, დედუქეთა, მარუხ, სოიფსარა, გუანდრა, აჯარა, ჯეჯერა, აჭაფარა, აძგარა...** ბარემბა/-მრამბა < მაკრამბა — ამჟამად სახელია ერთდროულად სოფლისა, მდინარისა და ქედისა კოდორის მარცხენა ნაპირზე, სოფელ აჟარის მოპირდაპირე მხარეს. წერილობითი წყაროების მიხედვით კი მისი დისლოკაციის ადგილია აჯარიდან საკმაოდ დაშორებული წებელდის მიდამოები. პირველი ცნობა ბრამბაზე, როგორც დაღისა და წებელდის ერთ-ერთ ძირითად სოფელზე — მაკრამბა

ფორმით აქვს დიუბუას. ნორდმანი კი მას ბრამბას უწოდებს. 1840 წელს გენერალ რაევსკის ინიციატივით აქ აღუძარათავთ რუსული ციხესიმაგრე. ამის შემდგომ ეს ტოპონიმი სხვადასხვა ვარიანტებით ბარმბა/მრამბა/მაკრამბა განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებში. არმუტა < არჩეჟტა — მთისა და საზაფხულო იაღალების სახელია კოდორის ხეობის სათავეებში. სხვადასხვა უღელტეხილებით დალის ხეობაში ხშირად შემოდინდნენ და მოსახლეობას თავს ესხმოდნენ ჰუნები, ხაზარები... ინფორმატორთა გადმოცემით, სწორედ ამიტომაც შეერქვა ამ ადგილებს არმუტა „ბრძოლის, ჯარის გზა“. აძგარა კოდორის ერთ-ერთი შენაკადის სახელია; ჯეჯე-რა — საზაფხულო საძოვრისა; ხეცქუა-რა ჰიდრონიმია და აფხაზურად „ხაცვას მდინარეს“ ნიშნავს; ქუთარ-ბა ალპური ზონის საძოვარის სახელია; დედუქეთა, რომლის ეტიმოლოგიაც ბუნდოვანია, ამჟამად ნასოფლარის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელია. ამავე ჯგუფს განეკუთვნება ტოპონიმები: არგუნ — ადგილი მთაში; დოუჩ — მთა, მწვერვალი, შოტ — მჟავე წყალი, ნასოფლარი; სირბისტა — საძოვარი; სახელები მთებისა — აკაკა, აბაყტა, ანუყა...

ამრიგად, ტოპონიმები: აკაკტა, აბაყტა, ანუყტა, არმუტა/არემტა, ღუღლტა, ქუთარბა, ბარმბა /მრამბა < მაკრამბა, შოტ, აძმახ, სირბისტა, არგუნ, დოუჩ, დედუქეთა, მარუხ, სოიფსარა, გუანდრა, აჯარა, ჯეჯერა, აჭაფარა, აძგარა... დალის ხეობის აფხაზურენოვანი გეოგრაფიული სახელებია; ჩამონათვალი, სავარაუდოდ, არ არის სრული, თუმცა კვლევადიების გაგრძელება ამ კუთხით სამომავლო პერსპექტივაა.

სრულიად დამაჯერებელია ბერძნულ წერილობით წყაროებში ფიქსირებული ისტორიული მისიმიანეთის სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელების მ. ქაღდანისეული ანალიზი: მისიმიანებით დასახლებულ მხარეს მისიმიანეთი შეარქვეს იქაური ხალხის სახელის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა კი თავის ქვეყანას სულ სხვა სახელით მიმართავდა. ამის მაგალითები ხომ მრავალია! რა შეიძლება ყოფილიყო ეს სახელი და გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა მისი არსებობის შესახებ? ეს სახელი, ჩვენი ვარაუდით, იყო დალი (**დალ**). მხოლოდ ამ სახელით იცნობს მთელი სვანეთი ყოფილი მისიმიანეთის ტერიტორიას. იგივე სახელი მოხსენიებული აქვთ ი. გიულდენშტედტს, ლ. ლიულიესა და კლაპროტის იმავე ტერიტორიის საერთო სახელწოდებად. გარდა ამისა, ამ მხარის კარგ მცოდნეს — ლ. ლიულიეს თავის რუკაზე ერთ-ერთი სოფლის სახელადაც აქვს ნაჩვენები „დალი“. ეს სოფელი, მაშინდელი რუკის მიხედვით დღევანდელი **ლათის** ტერიტორიას

ემთხვევა. თუ ვიწამებთ, რომ დღევანდელი აფხაზეთის სვანეთის უძველეს სვანურ სახელწოდებას — დაღს კავშირი აქვს სვანების წარმართული პანთეონის ქალღმერთის — დაღის სახელთან, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ იმ სოფელში, რომელსაც ძველთაგანვე სახელად „დალი“ რქმევია, წარმართობის ეპოქაში სწორედ ნადირობის ქალღმერთის სახელობის ტაძარი მდგარიყო⁷.

აღსანიშნავია, რომ ხეობის მკვიდრნი დანარჩენ საქართველოსთან და სვანეთთან მიმართებაში თავიანთ თავს ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და უწოდებენ მდღაღს („დალეღს“) და დაღაღს („დალეღებს“).

დაღის ხეობის კულტურულ-ანთროპოლოგიური პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულია დაღის ხეობის შემდეგი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელები: ფუსტა, ჩიხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლაგვანა, შიყერი/შიყერი, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი /ბოგერი... ფუსტა < სვან. ფუსდ „უფალი, მეუფე, პატრონი, თავადი, ბატონი, უფროსი“... სქიომარი/სქიმარი < სვან. სგიმ „მჟავე წყალი“, სკოტორი < სვან. სკრდი „ღრმა“; შიყ-ერ < სვან. შიყ „ზურგი“, ბოკერ/ბოგ-ერ < ბოგ „ხიდი“, ლაგვანა/ლაგვანთა < სვან. „საგოდებელი“, ლათა < სვან. „საზღვარი, გასაყარი, გასაყოფი ადგილი“, ციხე ტიბელეოსი < სვან. ტვიბ „ხევი, ხეობა“... ციხესიმაგრე ბოკერი, ბუქლონ, ბუხლონ) — დღევანდელი ნაღგიმალუპრის ადგილას სოფ. ომარიშალის ბოლოს, კლუხორისაკენ მიმავალ გზაზე, მოხსენიებული აქვს აგათია სქოლასტიკოსს; დარენი < სვან. ლი-დრენი „დადარაჯება“ — მენანდრე პროტიქტორს; ჩხალთა/ჩახარ < ჯახარ „საბრძოლო ადგილი“ — აგათია სქოლასტიკოსს, თეოფანე ფამთააღმწერელს⁸. კოდორის ხეობის ძველი სვანური ტოპონიმების შესახებ ცნობები მოწოდებული აქვთ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორებს, ნაწილი გვიანდელი პერიოდის შუა საუკუნეების წერილობით წყაროებშია ფიქსირებული, ნაწილზე კი ლეგენდა-გადმოცემებსა და ხალხის მესხიერებას შემოუნახავს ცნობა. მაგ., სვანებმა ჯერ კიდევ გადმოსვლამდე იცოდნენ, რომ უნდა ჩასახლებულიყვნენ ტიშში, გენწვიშში, ნაჰარვში, ხუტიაში,

⁷ მ. ქაღანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, აფხაზეთის შოამბე, ტ. II, თბ., 1999, გვ. 57.

⁸ თ. მიბჭუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიულთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, გვ. 123.

ლათაში, შიყერში... ამ გეოგრაფიულმა სახელებმა აფხაზურ ენობრივ გარემოცვაში საუკუნეებს გაუძლეს და უძველესი დროიდან დღევანდლობამდე მოაღწიეს... როგორც აღვნიშნეთ, დაღის ხეობის ძველი სვანური გეოგრაფიული სახელების შესახებ ცნობები მოწოდებული აქვთ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორებს, ნაწილი გვიანდელი პერიოდის შუა საუკუნეების წერილობით წყაროებშია ფიქსირებული, ნაწილზე კი ლეგენდა-გადმოცემებსა და ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს ცნობა...

ეთნოლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა დაღის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი. ცნობილი თვალსაზრისია, რომ ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიის, წარსულის, ენის... შესწავლა. გეოგრაფიულ სახელში ხშირ შემთხვევაში მოცემულია ხოლმე ის დიდი ინფორმაცია, რაც შეიძლება ვერ მოგვცეს ვერცერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა, წყარომ, მეცნიერულმა შრომამ. ისტორიული გეოგრაფიის ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელიცაა დაიწეროს საქართველოს ისტორია. ტოპონიმის, როგორც ცნობილია, „დედამიწის ენას“ უწოდებენ, რადგანაც „ამეტყველების“ შემთხვევაში შეუძლია გვახიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია დაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატთანეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე. ზოგადად, სვანური ტოპონიმით უნდა აღვნიშნოს, რომ არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: „ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიკაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც, მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (შდრ. ცხუმარი), უშკალანი (შდრ. უშკულ) და სხვ... დაღის ხეობისა და, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტოპონიმის კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა თეოდოსე განგრელის

(VII საუკუნის იერუსალიმელი მონაზვნის) თხზულება და მასში ასახული საქართველოში გადმოსახლებული ანასტასი აპოკრისიარის (VII ს.) წერილი, რომელშიც ძველი აფხაზეთის რამდენიმე ტოპონიმი დაფიქსირებული, მათ შორის ბიზანტიიდან 662 წელს ეგრისში გადმოსახლებული მონოფიზიტების — მაქსიმე აღმსარებლის, ანასტასი აპოკრისიარისა და ანასტასი ბერის საპატიმრო ციხეები და მოძრაობის ადგილები, ესენია: სკოტორი, მუკორისი, სვანიდის ციხე, ბუკოლუსი, თაკვირია, ფუსტა, ჯიხახორა, თუსუმე, სხემარი, სქიმარი (სქიომარი, ჰიმარი), მოქვი...

პ ი დ რ თ ნ ი მ ი ა: დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი შენაკადის აუზებს. ეს შენაკადებია: გვანდრალა, საქანარა, ხეცქვარა, აძგარა, ყულუჩი. ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ხეობისა და ხევის შინაარსი თითქმის იდენტურია, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირეა; ორივე კი წყალთან და, საერთოდ, ჰიდრონიმიასთან არის დაკავშირებული (ნ. ოთინაშვილი).

საინტერესოა, რომ გეოგრაფიულ სახელთაგან ქართველოლოგიაში დალის ხეობის ეთნოლინგვისტურ პორტრეტად წოდებულ „მატიანეში“ — კოდორულ ქრონიკებში ყველაზე ხშირად იხმარება კოდორის ხეობის სვანური სახელი — დალიან ტვიბ „დალის ხეობა“. აქვე შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით სვანურში იხმარება ტვიბ და ტყუფე. უფრო ხშირად ტვიბ, რაც სვანურში ასევე ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ ფუნქციურად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეტიმოლოგიურადაც. დალიან ტვიბ — დალის ხეობა, ხომა ტვიბ „დიდი ხევი“, ლეჟან ტვიბ „აღმოსავლეთის ხევი“, ლექუან ტვიბ „დასავლეთის ხევი“. ტყუფეს კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. მართალია, დალიან ტვიბ და დალიან ტყუფე ორივე ითქმის დალის (კოდორის) ხეობის მნიშვნელობით, მაგრამ თუკი შინაარსს ჩვეულმავდებით, ტყუფეს აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, ტვიბს კი სწორედ ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა.

ცნობილია, რომ ჰიდრონიმი არის ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტთა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ. აღსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთის და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსადაი-

მავე -რა სუფიქსს შეიცავს: გვანდ-რა, საკნა-რა, აძგა-რა, აჯა-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვე-რა/ხე-ქვა-რა... სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მგლხუ-რა... პიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი: თ. მიბჩუანი მას სვანურ კადარ-ს „შშრალს“ უკავშირებს და მიიჩნევს მის ზანიზებულ ვარიანტად; სხვა თვალსაზრისის თანახმად მიუხედავად ძირისეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, კოდორი მიჩნეულია სვანურ სკოლი „ღრმა“ ლექსემიდან მომდინარედ, თავკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და ორ ტოპოფორმანტი წარმოქმნილად. ხ. ბლაჟბა კოდორის ანალიზისას საჭიროდ მიიჩნევს პარალელების გათვალისწინებას ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე: კუდა-კო, კუდე-ფსტა სოჩის რეგიონში, კუდირ-თა ბზიფის რაიონში⁹. პიდრონიმებია ასევე მეშხე ტვიბრა „შავი ღელე“, ტუბრაშწლ „ღელისანები“, ტუბრაღწრ „ღელეები“, ტრბწ ნაკ „ტბის ვაკე“, დალცუნესგა <მარტ-ლიც-ნესგა „შუამდინარეთი“, სარგწლ (სათიბის სახელია) < სარაგ „წყარო“, ტრბწრ (მთის სახელია) < ტრბ/ტრმბ „ტბა“, წგდღღღწრ (მღელოს სახელია) < წგდღღღ „მცირე დებეტის წყალი“...

სხვა გეოგრაფიულ სახელთაგან განსხვავებით დალის ხეობის მიკროტოპონიმიც ხასიათდება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების სიუხვით. აქ ხშირია ისეთი გეოგრაფიული ცნებებისა და ლექსემების გამოყენება, როგორცაა ხევი, ხეობა, კლდე, ტბა, მთა, ღელე, გადასასვლელი, უღელტეხილი, მალლობი, გორაკი, სათიბი, ციცაბო კლდე, ქარაფი, ფერლობი, ადიდებული მდინარე, მეწყერი, ჩანჩქერი, მწვერვალი... ასევე ზმნისართი-მორფემოიდები: ზედა, ქვედა, ზემოთ, ქვემოთ, ზემოური, ქვემოური, აღმოსავლეთი, დასავლეთი... ჟიბე ლახულდ „ზემო მთა“, ლეჟწ ტვიბ „აღმოსავლეთის ხევი“... მიკროტოპონიმებს წარმოადგენს აგრეთვე შემდეგი ბოტანიკური ტერმინები: ლეტლწეიწრ < ტელწეი „მთის დოლო“, ლაგანჭწ ღწრ „ანწლის ხევი“ ლაწრექწიწლ < წრექწ „თომი“, ფაწწ ღწრ „ცაცხვის ხევი“, ლებღღეწწ < ბაღეწწ „მურყანი“, ლენწი სგიმ „ფიჭვის მუავე წყალი“...

მსგავსად ქართული ტოპონიმიისა, დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა დაჯგუფება შეიძლება სხვადასხვა ასპექტით — მარკირების, სემან-

⁹ Х. Бгажба, Некоторые вопросы этнонимии, топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. XXVII, Сухуми, 1956, гл. 127.

ტიკისა და არქაულობის კუთხით. აღნაგობის თვალსაზრისით გამოიყოფა: პირველადი, წარმოქმნილი და რთული (კომპოზიტიური) გეოგრაფიული სახელები. პირველადი ტოპონიმებია ტუბ, ტრმბ/ტობ, სგიმ, მიდამ, რიყ, გურ, ჰარჯ, ზაგარ, ზუგ, ლენჩა, რიყ... მარკირებულა: მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები; კნინობითისა თუ დანიშნულების სახელებით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები; რამდენიმე ფორმანტით მარკირებული გეოგრაფიული სახელები... მაგ. ა) მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმებია: ჰულდმ-არ<ჰულდუმ ლეტლეფი-არ, ლაჯრები-არ, ლაჩხტ-არ, ლაწრეჭი-არ < წერეჭი „თომი“, სგიმ-არ / სგემ-არ <სგიმ „მჭავე წყალი“, ლიცელდ-არ<ლიც „წყალი“, ჩაჭტ-არ, ყაფ-არ... როგორც ცნობილია, მრავლობითი რიცხვი სვანურში მწარმოებელთა მრავალფეროვნებით ხასიათდება... გეოგრაფიულ სახელებში კი გვხვდება მხოლოდ -არ/-ალ, -არ/-არ, რომელიც სიმრავლის სემანტიკისაგან, რა თქმა უნდა, უკვე დაცლილია და მხოლოდ ადგილის სიდიდეზე, მის დიდ სივრცით განფენილობაზე მიანიშნებს. ბ)კნინობითის სუფიქსებით ნაწარმოები მიკროტოპონიმები: სვანური როგორც საზოგადო სახელები, ასევე ტოპონიმებიც ხასიათდება კნინობითის მწარმოებლებით მარკირებული ლექსემების განსაკუთრებული სიმრავლით; საყურადღებოა, გეოგრაფიულ სახელებში, განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში გვხვდება ფორმები: ზუგ-ლ დ, ზაგარ-ელდ, ნალზიგტ-ულ, ბიქუ-ლდ-არ, კიბ-ელდ-არ, მურყმ-ილ-არ, წელ-ელდ-არ, ლეწვერ-ილ, ნაკ-ელდ-არ, ლახტ-ელდ, ქუბბ-ილ-არ, კარკ-ელდ, ჩიჩხტ-ელდ-არ, ტრბ-რლ-არ... ამ ჯგუფის ტოპონიმები მცირე გეოგრაფიული არეალის გამომხატველნი არიან. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ სვანურის ერთ-ერთი თავისებურებაა — შესაძლებლობა ნებისმიერ სახელთაგან კნინობითის ფორმათა წარმოებისა (შდრ. მიჟ-ელდ <მიჟ „მზე“ სიტყვასიტყვით მზეუკა; კოჯ-ელდ<კოჯ „კლდე“). შენიშნულია, რომ მსგავსი ფორმები გავრცელებულია ძირითადად საქართველოს მთაში. დაღის ხეობის ონომასტიკონში გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ფორმანტით მარკირებული გეოგრაფიული სახელები, (წინა ვითარების კონფიქსი და მრ. რიცხვის სუფიქსი): ნა-ყარ-ტ-არ < ყარ „ყავარი“, ზაგარ-ელ-არ „ზეგან-უკ-ებ-ი“, ლა-ხნისგ-არ „სანახვეროები“, ნა-დაუშ-უ-არ, ლაჯრები-ილ-არ... ნა-ლ-გიმ-ალ-ტ-არ „ნაშენებლარები“ < ლი-ლ-გიმ-არ „შენება“, „აგება“ — ნანგრევები V საუკუნის ციხესიმაგრისა კოდორში, ომარიშალის ბოლოს, კლუხორისაკენ მიმავალ გზაზე, აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრეს და სხვა ბერძენი ავტორების შრომებში სწორედ დღევანდელი ნალგვიმალუარის დისლოკაციის ადგილას მოიხსენება ციხე ბუხ-

ლონ/ბუკლონ/ბოკელკ, რასაც ქართველი მეცნიერები ეტიმოლოგიურად უკავშირებენ სვანურ ბოგ „ხიდი“ ლექსემას. ორმაგფორმანტიანი გეოგრაფიული სახელების ნიმუშია აგრეთვე -ილ-წრ; -გლდ-წრ; ლა-წრ მორფემებით მარკირებული ტოპონიმები; მურემ-ილ-წრ<მურყუამ „კოშკი“, (-ილ კინი. სუფიქსია, -წრ კი — მრავლობითობისა) ე.ი. სიტყვასიტყვით „კომკუნები“. სახელია მთაგრეხილისა, სადაც გვერდიგვერდ აღმართული რამდენიმე მწვერვალი მნახველში მართლაც იწვევს კოშკების ასოციაციას და სამუდამოდ უტოვებს წარუძღვლელ შთაბეჭდილებას. აქვე უნდა განვიხილოთ ტოპონიმი ნმ-შიხ-უ < (ლი-შხ-ი „წვა, დაწვა“, შდრ. ქართ. ნა-ხმ-ირი < სვან. ნა-შიხ-ირ-ი) სახელი სოფლის მიმდებარედ კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე აღმართული მთისა ულამაზესი ლანდშაფტებით, იალაღებით, კლდე-ჭიუხებით. აღსანიშნავია, რომ ამავე მთისათვის გასული საუკუნის 50-იან წლებში დალის ხეობაში ჩასული გიორგი ლეონიძის პატივსაცემად **გოგლაურა** უწოდებიათ.

პირველადი და მარკირებული ტოპონიმების პარალელურად დალის ხეობის ონომასტიკონში, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება რთული გეოგრაფიული სახელებიც: ფაჩწ ღწრ „ცაცხვის ხევი“, მაშირი ღწრ „ფართე ხევი“, ბეროლრე ნწლზიგუტ „ბერების ნამოსახლარი, სვანე ბერთა“, მეგრე ბწჩ „მსხვილი ქვა“, შდატლარე ლარდა „მერცხლების სამყოფი/სამერცხლე“, ჯგგრწწ შგერიმ „შიყერის წმინდა გიორგი“...

კოდორის ხეობის გეოგრაფიულ სახელებში ხშირად გვხვდება დანიშნულების სახელები მიკროტოპონიმებად: მაგ. ლა-ყსვრ<სვან. ყვსვრ „არამეწველი საქონელი ხარი, მოხვეერი, დეკეული, ბერწად დარჩენილი ძროხა“... ამავე ტიპის სახელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ წარმოსახვითი გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი ეთნოლოგიური ტერმინი ლა-ხორ. ლექსემა, რომელიც ზოგადად, სვანეთში და კოდორის ხეობაშიც ბჭობის ადგილის სახელწოდებად შემორჩა დღემდე. ლახორ არ უნდა იყოს სვანური სიტყვა, რადგან ამ ტერმინში ძირია ხორ, რომელიც ბერძნულია და ნიშნავს ქვეყანას, ტომს, ხალხს, ლა- სვანური დანიშნულების მანარმოებელი სუფიქსია, ქართული სა-ს ბადალი. ამდენად ლახორ როგორც ჩანს, ნიშნავს სახალხო ადგილს, ხალხის თავშესაყარს. ლა-ხორ-/ლა-ლ-ხორ ლექსემასთან დაკავშირებით სვანთა ეთნოგრაფიული ყოფიდან უაღრესად საინტერესოა იანვარში, ლიფანწლის ანუ სულების მოხსენიების კვირეულში სულების საგანგებოდ წასვლა და გამგზავრება ლახორ-თე, რათა იმსჯელონ, გადაწვევითონ მთელი წლის განმავლობაში ვინ წაიყვანონ იმა ქვეყნად, იმა სოფლად (სვან. ეჩე ბუასდთე); ლახორ-

ში სულები სვანთა რწმენით რჩებიან ერთი ღამის განმავლობაში და კვირა საღამოს შებინდებისას ბრუნდებიან. ოჯახის დიასახლისმა მათ ამ დროს უნდა დაახვედროს ცხელი ფაფა, რომლის ორთქლზეც თებებიან მთელი ღამე შორეულ ლა-ლ-ხორ-ში ნამოგზაურები და ნამსჯელები სულები „ქუნარუ“. ფაფა აუცილებლად უნდა უკუერთხოს ოჯახის დიასახლისმა სანთლებით, შესანდობართა და შემდეგი ტექსტით: „ხონა ნალხორ ჰნკიდლ „კარგი განაჩენი, კარგი ნა-ლ-ხორ-ი მოგვიტანეთ ოჯახისათვის“. ლალხორი, ლიფანალი, ხვალმი, ლიქურეში, ელიობ, ლიში-აში... ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რელიგიური და სვანური სახალხო დღესასწაულები (ღენარ) დაღის ხეობაშიც მთელი სიზუსტით სრულდებოდა. მკვლევართა აზრით „სვანურ ხალხურ დღეობებში დამარხული რელიგიური სივრცე ერთ-ერთი უძველესია, არქაულია, მისტიკურია“¹⁰.

კოდორული მეტყველება საინტერესო სეგმენტია სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა: საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ენათმეცნიერთა დიდი ინტერესისა, დაღის ხეობის სვანურ მეტყველებაზე დაკვირვება, კოდორული ტექსტების შეკრება და გამოსაცემად მომზადება პირველად გახდა შესაძლებელი პროფესორ ი. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით შესრულებული საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი **კოდორული ქრონიკების** სახით. უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო წრეებში უკვე არსებობს შეფასებები: „კოდორული ქრონიკები“ — დაღისხეობელთა ოღისეა, მატთანე, იმედის წიგნი, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი! „კოდორული ქრონიკები“ იგივე კოდორის ცხოვრებაა! ეს არა მხოლოდ მეხსიერების წიგნია, არამედ იმედისაც. იმედისა, რომ კოდორელები არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ საცხოვრისს (ჯ. კაშია). „თანამედროვე თვალთახედვით რომ ვთქვათ, მართლაც მრავალწახნაგოვანი წიგნი გამოვიდა და ყოველ წახნაგში მას ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული და ყველანაირი დატვირთვა აქვს. ხელოვნური არაფერია მასში. ეს უნდა ეამაყებოდეთ არა მარტო ამ ნაშრომის შემდგენლებს, არამედ, საერთოდ, ჩვენს ენათმეცნიერულ აზრსაც. აი, აქ, როგორც წვეთში ჩანს მთელი ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი ხალხის მწარე ბედი, ისტორიული ხვედრი თუ გნებავთ, აი, ამ პატარა დაღის ხეობის მაგალითზე, მის საამაყო წარსულზე, ძველ ამბებზე, თანამედროვეობაზე... ესაა უზარმაზარი ფოლიუმი... „ჩვენი ეროვნული იდენ-

¹⁰ ნ. წერეთლიანი, სამყაროზე ლატალიდან დღეობებით მოყოლილი ამბები, თბ., 2023, გვ. 429-496.

ტიფიკაციისათვის ამისთანა წიგნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუ გადამჭრელი არა“ (ნ. ანდლულაძე). საბედნიეროდ „კოდორული ქრონიკები“ არ არის მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები... ამ წიგნის მნიშვნელობას, ალბათ, გვიან გაავაცნობიერებთ. გაავაცნობიერებთ მაშინ, როდესაც კოდორს მოწვევტილი კოდორელები თანდათან გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს და მხოლოდ ეს წიგნი შეინარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალოება ჰქვია და არა მხოლოდ ამას! როგორც ჩანს, ჩვენ ქართველთა იმ უიღბლო თაობებს ვეკუთვინით, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის მიტაცების მოწმობა არგუნა ბედა. სულაც არ იყვნენ ცუდები ისინი, ვის თვალწინაც იკარგებოდა კლარჯეთი და ტაო, საათაბაგო და სამცხე, ჰერეთი და კავკასიის გადასასვლელები... სულაც არ იყვნენ ცუდი ქართველები, უბრალოდ იღბალი შეხვდათ ამნაირი. ჩვენც იმათგანი ვართ სავარაუდოდ. მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც დავიწყებას გამოძლეჯს ხეობას დალისას, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ, არაჩვეულებრივი წიგნი, არაჩვეულებრივი ავტორების მიერ შექმნილი (დ. თევზაძე).

დალის ხეობის სვანური მეტყველება ინტერფერენციულობით ხასიათდება. სხვა მახასიათებლებთან ერთად ინტერფერენციულობა თვალსაჩინოდ აისახა „კოდორულ ქრონიკებში“. ბალსხემოური და ბალსქვემოური დიალექტების ურთიერთზემოქმედება ვლინდება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე — ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში, სემანტიკა-სემასიოლოგიაში. XIX საუკუნის დასაწყისში დალის თემში, რომელიც წებელდის ოლქში შედიოდა, შემდეგი ტოპონიმებია დადასტურებული: საკუთრივ **დალი, აჟარა, ყამგარა, ზიმა, შვაქვა, ვარდა, თაფშ-იფა-იჰაბლა, ამჭარა, ლათა, გენწვიში**¹¹. დღეს კოდორის (დალის) ხეობა მოიცავს სოფლებს: **აჟარა, მარცხენა გენწვიში, მარჯვენა გენწვიში, ომარიშალი/იალცუნესგა** („ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“), **ტუბრაშერი, ხუტია, ნაჰარვი, ლათა, ტიში, ქვაბჩარა, ზუმა, ჩხალთა, ბუჩუყური, ბუშუგური, აბგარა, გვანდრა, ბარუმბა, ყულუჩი, საკენი.** ინტერფერენციულობის ასპექტით დალის ხეობის სოფლების დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად: სოფლები, სადაც ბალსხემოელები რაოდენობრივად ჭარბობენ ბალსქვემოელებს: **ომარიშალი, მარჯვენა გენწვიში, ხუტია, მარცხენა გენწვიში, ტიში, ლათა.** სოფლები, სადაც ბალსქვემოელები

¹¹ ბ. ხორავა, წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, გვ. 72-28.

ცხოვრობენ უფრო მეტნი, ვიდრე ბალსხემოელები: **ჩხალთა, საკენი, აყარა, ქუაბჩარა, ბარუმბა, ნაპარუ, გვანდრა;** სოფლები, სადაც მხოლოდ ბალსქვემოელები ცხოვრობენ: **ბუძუგური, ბუჩუყური, ტუბრაშერი, ზუმა.**

დალის ხეობის ონომასტიკონი (თეონიმია, ტოპონიმია, გვარსახელთა სისტემა, ზონონიმია, ბოტანონიმია...) უაღრესად საინტერესოა და თითქმის შეუსწავლელი... თუკი არ მივიღებთ მხედველობაში ტოპონიმიას (გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით არსებულ ცალკეულ გამოკვლევებს).

ანთროპონიმია — გვარები და შტოგვარები: დალის ხეობაში ცხოვრობდნენ (ამჟამად კი ცხოვრობს მხოლოდ ნაწილი!) შემდეგი გვარები და შტოგვარები: ავალიანი, არჯანია, აბღელანი, არღვლიანი, აფრასიძე, გაღრანი, გასვიანი, გერლიანი, გვარძიანი, გვიჩიანი, გიგანი, გუგუსიანი, გულბანი, გულელანი, გურჩიანი, გუჯაჯიანი, დაღვანი, დევდარიანი, ვეზდენიძე, ვიბლიანი, ზურებიანი, კვანჭიანი, კვიციანი, კორძაია, კურატი, მარგიანი, მიბჩუანი, მარგველიანი, მიქიანი, მურღვლიანი, მჭველიანი, ნაკერიანი, ნარსავიძე, პაკელიანი, პირველი, რეზესიძე, სინკოვი, საბანიძე, სამსიანი, სტეფელიანი, სიდიანი, უმფრიანი, ფანგანი, ფალიანი, ფარჯველიანი, ფირცხელიანი, ქაღღანი, ქოჩქიანი, ღვაჭლიანი, შერვაშიძე, ჩამეგიანი, ჩოფლიანი, ჩხვიძიანი, ჩხეტიანი, ცალანი, ცინდელიანი, წერდიანი, წიფიანი, წულუკიძე, ხარძიანი, ხაჭვანი, ხეისტანი, ხერგიანი, ჯამდელიანი, ჯაჭვლიანი... შტოგვარები: ავალიანი (ომანაშმა), გასვიანი (გეგეინოშა), გერლიანი (ასლანბრ), გულბანი (ფილოშა/ფილოშერ), გუჯაჯიანი (ათმერზაშა, ლუკაშპრ/ნუკაშპრ), დაღვანი (თაშბიშა/თაშბიშერ), დევდარიანი (ლამხერბრ, როსტომშლ, ბეშმა), მარგიანი (გიოშა/გიოშერ), სამსიანი (გუაშა), ქაღღანი (ღაგითილშა, გაგუშა), ქოჩქიანი (ბაპაშა/ბაპაშერ), ჯაჭვლიანი (ბაღრიშა, ბაღრიშერ, გიორგიშა)...

ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართულ-მეგრულთან შედარებით სვანური ანთროპონიმია ხასიათდება -ხან, -ყან, -ბი, —მირზა, მურზა, მერზა... ფორმანტიანი საკუთარი სახელების სიმრავლით; ეს მეტნაკლებად ჩანს დალის ხეობის ანტროპონიმიაშიც: ამ ტიპის სახელებია: ადიმხან, მელეხან სიდიხან, აშტერხან, მისირხან/მისერხან, სირმახან, დარისხან, ორსახან/ტორსახან, სოფილხან, რაღიმხან, ჯამირხან/ჯამერხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემელეხან, სერეხან, ყაზმარხან, კესემხან, ჯარემხან/ჯამერხან, დაურხან, დიგორხან, შიფხან, სიდახან, ინგლისხან, ერქახან, დეველეთხან, ქაბახან, თათარხან, ძუბუშხან... მებზა, მებზალ დ, მერზაბეგ, შეხზა, აყზა, შეშზა, ყამერზა, ნამერზა, ბეხზა, ემუხზა, ბეხმერზა, ბექმერზა, შეშზა, ათმერზა, ბიმურზა, მამურზა... შლანაშბი/შლანაშბი, ბექერბი, ბათერბი, ქელესბი/ქელეჩბი, ქერთბი, ყარაშბი,

ყვლეზბი/ყვლეზბე, შერეზბე, მერწობი, მუსწბი, თწწბი, მეჰწრბი, სწრბი, თა-
უბი, ქერზრბი, კადრბი, ყარწბი, მარწობი, ქაწშუბი... მურზაყან, თათარ-
ყან, ბაბიყან, თელყან, გწაშაყან, თაწყან, ყანგეზ, ყანგი, ყანსაწ...

ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული
სიზშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქე-
ლიანთა გენეალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპო-
ნიმიაში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XV
ს.) დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. მთავარ დადემქელიანთა
შესახებ ხალწში სხვადასხვა ლეგენდა-გადმოცემა, ისტორიოგრაფიაში
სხვადასხვა ვარაუდი, დოკუმენტებში კი რამდენიმე გენეალოგია არ-
სებობს, შედგენილი სრულიად სხვადასხვა პირთა მიერ. მათ შორის
უზუსტესად მიიჩნევენ პეტრე უსლარისეულ გენეალოგიას. ბალსქვემო სვა-
ნეთის მებატონე დადემქელიანები XV ს. საუკუნის მიწურულამდე არ ჩანან
ისტორიულ არენაზე. მანამდე სვანეთის მთავრები იყვნენ რიჩეგვიანები/რუ-
ჩეგვიანები. ლეგენდის თანახმად დადემქელიანები ჩრდილო კავკასიიდან მო-
სულებად ითვლებიან. გაურკვეველია და დაუდგენელი გვარის ეტიმოლო-
გიაც. გადმოცემით ეცერში პირველად მოსული მომხიბვლელი სილამაზისა
და აღნაგობის ვაჟკაცის, დადემქელიანთა უშუალო წინაპრის პირველი
ნათქვამიდან „დაშდან გელან“, რაც მის ენაზე ნიშნავდა „მოვედი ამ
მთებიდან“, ეცერელებმა აწარმოეს მისი გვარი დადემქელიანი ფორ-
მით¹². უფრო დამაჯერებელია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრე-
ბა, რომ დადემქელიანი ეპონიმური გვარსახელი უნდა იყოს — ნაწარმოე-
ბი კომპოზიტიური ანთროპონიმისგან — დადიშგელა. მართალია, სულთა
მატიანეებსა და XV საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში გვარი დადემ-
ქელიანი არ დასტურდება, მაგრამ მამაკაცის სახელად ხშირად
გვხვდება დადიშგელა. მეშვიდე მატიანეს მიხედვით ეცერის მკვიდრნი
სხვა მრავალ შემომწირველთა შორის არიან დადიშგელა წარეკელი-
ანი და დადიშგელა აშტიანი.

დალის ხეობის ანთროპონიმის სვანურთან შედარებისას გავარ-
კვიეთ, რომ ხან-ით ნაწარმოები სახელები ფართოდაა გავრცელებული
დღევანდელ სვანურში, XIX ს. საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებსა და
განსაკუთრებით დადემქელიანთა გენეალოგიურ ტაბულებში. ისტორიი-
დან ცნობილია საბატონო სვანეთის მთავრის — ცოფ დადემქელიანის
დედა — დიგორხანი, ფაქტიური მმართველი თავისი შვილის სამთავრო-
სი. 1832 წლის ზამთარში დიგორხანი გადავიდა კავკასიის ქედზე ყა-

¹² ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1925, გვ. 60-65.

ბარლოში და ნალჩიკში მყოფ გენერალ გორიხვოსტოვს განუცხადა შვილის — ციოყის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი. იქვე მძევლად ჩააბარა ციოყის შვილი ბექვრბი, თვითონ როზრენთან გაემგზავრა ტფილისში და მოაწერა ხელი რუსეთთან შეერთებაზე. 1843 წელს ეცერის მთავარი თათარხანი დაეცა დადემქელიანთა სასახლეს. დიგორხანი გადმოხტა ციხიდან და ტრაგიკულად განუტყევა სული; „**სვანეთის დედოფალი — მდინარეების ბახსანის, ყუბანის, დალისა და ენგურის ზემო დინებათა მბრძანებელი**“ - ასეთი იყო ტიტული დიგორხან დადემქელიანისა¹³.

ზოონიმები: კოდორის ხეობისთვის გავრცელებულობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით დამახასიათებელია ძირითადად შემდეგი ზოონიმები: ტაღმანდ, სუნთქუნდ, ბარდუხუტ, გპბუ, ყუბილანდ, ყუბა, ტიფსანდ, მემხლანდ, საღან, ბიმბლანდ, ქუმიშორ, ჯულბარს, ბონდორანდ, თეგრანდ, კერეტან, თუეთი, ცხარუნდ, ფანრი, ყაფრანდ, ჭნბილ, შაულას, წაღატ, კაბანდ, ბურღუნდ, გურხანდ, ამლანკ, კაჩარ, ჭირემ, კუნრი, შხარანდ, გუინდი, ღებენილ, კოქანდ, ბგლდგანდ, უოფხანდ, მუსა, საყლანდ, ლამპრანდ, ფუნთუ, ტრობია, ბიბლანდ, ფალთანდ, ტიფსანდ...

შინაურ ცხოველთაგან დალის ხეობაში სახელს ძირითადად არქმევენ ცხენს, ხარს, ძროხას, ვირს, თხას, ცხეარს, ხბოს... სვანურ ზოონიმთა უმეტესი ნაწილი წარმოქმნილია რეალური მოტივაციის საფუძველზე. რეალური მოტივაცია კი შესაძლოა შეპირობებული იყოს როგორც ენობრივი, ასევე გარეუბრები ფაქტორებით. ზოგადად, ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ უძველესი დროიდანვე ტოპონიმია და ანთროპონიმია უფრო მეტად იქცევა მკვლევართა ყურადღებას, ვიდრე ონიმიის სხვა კლასები. ფაქტობრივად ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი ზოონიმია. განსაკუთრებით - კავკასიაში. ცნობილი რუსი ონომატოლოგი ვ. ნიკონოვი წერდა: „თითქმის არაფერი მოგვეპოვება კავკასიის ზოონიმთაზე“. უნდა აღინიშნოს, პ. ცხადაიას როლი მეგრული ზოონიმის შესწავლაში. კოდორელ ინფორმატორთა განმარტებით შინაური ცხოველისათვის სახელდება, შერჩევა, სახელის შერქმევა ხდება ისეთი გარეგნული ნიშნებისა და მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა ფერი, აღნაგობა, „სიარულის მანერა“, ასაკი, რქების განლაგებაც კი, ხშიანობა (ყმული, ფრუტუნი, კიკინი, ბღაილი, ღრუტუნი, წკმუტუნი, ზმული, ყეფა)...

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ისეთ ტოპონიმურ ზოონიმებზე, რო-

¹³ ვ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1925, გვ. 60-65.

გორიცაა ყარჩანდ, ჟეგმანდ, ბახსნანდ... შინაური ცხოველების სახელთა მრავალფეროვნებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოონიშმა ყარჩანდ, ამ სახელს კოდორელები არქმევდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან გადმოყვანილ განსაკუთრებულად კარგი ჯიშის ხარებს. სოფელი იალცუნესგა და ზოგადად დალის ხეობა უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილო კავკასიას. კლუხორის უღელტეხილით მხოლოდ ერთი დღის სავალით დაშორებულ მეზობლებს. შესაბამისად, კოდორელებს და ყარაჩაელებს მუდმივად ჰქონდათ ერთმანეთში მიმოსვლა, სამეურნეო, ეკონომიკური თუ სხვადასხვა სახის ურთიერთობები. ონომასტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად ყარჩანდ შეიძლება მივიჩნიოთ ტოპონიმურ ზოონიშად. საინტერესოა, რომ გვხვდება თეონიშთაგან ნაწარმოები ზოონიშებიც: ჯგერაგანდ/ჯგერგანდ/გერგანდ< (ჯგერაგანდ „წმ. გიორგი“). ლამერინდ (<ლამარია „მარიამ ღვთისმშობელი“), ბარბლანდ (<ბარბალ „წმ. ბარბარე“), უსტუნანდ (ხარი). „ფუსნა“ - ღმერთის ცხოველის სახელწოდებით იყო ცნობილი. დიდი ღმერთის რჩეულ და საყვარელ ცხოველად ითვლებოდა.

ტოპონიმურ ზოონიშებში ყარჩანდ, ჟეგმანდ, ბახსნანდ... და ამ ტიპის სახელებში ზოოფორმანტის როლში ძირითადად — ან მანარმოებელი გვევლინება, რომელიც სვანურ ენაში საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა და ფუნქციურადაც მრავალფეროვანი: — ან სუფიქსში საკუთრივ ქონების მანარმოებლად შეიძლება გამოიყოს ა, რომელიც საერთოა ქართულთან, ი კი წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია. აღსანიშნავია, რომ ანდ -ზე დაბოლოებული სახელების სვანურში სხვაც ბევრია, სადაც ა ფუქსის ბოლოკიდური ხმოვანია და არა ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი.

ამგვარი გახლავთ „კოდორული“ ონომასტიკონი — მრავალფეროვანი... არქაული, ენობრივი, ისტორიული, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო.

გულისტკივილით შევნიშნავთ აქვე, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად, ისტორიული დალის, იგივე კოდორის ხეობაში. ამიტომ ხეობა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ათეული წლების წინ 1986-2008 წლებში რამდენიმეჯგუფის გვაქვს მოვლილი — ფეხდაფეხ, კარდაკარ, სოფელ-სოფელ... აღვსახეთ და ჩავიწერეთ ფასეული ეთნოლინგვისტური, ისტორიული, დიალექტოლოგიური, ფოლკლორული... მასალები, არქეოლოგიური ცნობები. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ,

დალის ხეობის **დედასაშობლოსგან დროებით მოკვეთის** შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა.

დალის ხეობის კულტურული ანთროპოლოგიური პორტრეტის სრულყოფილი სახის შექმნა, ვფიქრობთ, მომავლის პერსპექტივაა. გამომდინარე მისი მრავალფეროვნებიდან, მრავალწახნაგოვნებიდან და საკვანძო საკითხთა სირთულიდან. სამომავლოდ, შესაბამისად, ამ ინტერდისციპლინურმა დარგმა სიღრმისეულად უნდა მოიცვას საკითხები: კოლორის (ისტორიული მისიმიანეთის) ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები; დალის ხეობის ისტორია, ადრეული შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები, ნაეკლესიარები, სალოცავები და ქრისტიანული ძეგლები; დალის ხეობის ონომასტიკა; უადრესად ინტერფერენციული იერსახის მქონე კოლორული სვანური მეტყველება...

დალის ხეობის ონომასტიკის დარგებს — ტოპონიმთა, ანთროპონიმთა, თეონიმთა, პიდრონიმთა, ზონონიმთა... სხვა ეთნოლინგვისტურ თუ ანთროპოლოგიურ მახასიათებლებთან ერთად ამ პორტრეტის შექმნაში ძირითადი როლი ენიჭება. სწორედ ამით არის განპირობებული წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მოკრძალებული მცდელობა ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

Ketevan Margiani

Dali Valley _ History and Modernity

Dali Valley represents a historically significant region in western Georgia, Abkhazia. Throughout different epochs, it has borne various names: in ancient times, it was known as Mivisianeti or Misimianeti; during the Middle Ages, it was called Dali Gorge; in the 19th century, it was referred to as Tsebel-da-Dali Sabokaulo; during the Soviet era, it was recognized as Svaneti of Abkhazia, and in the 21st century, it has become Upper Abkhazia. This diverse array of names, we believe, underscores the valley's unique role and importance in Georgia's history. For the neighboring Svans and those in the immediate vicinity, Kodori Valley has always been synonymous with Dali _ the realm of the goddess of hunting and a cherished repository of Dalis heritage. Regrettably, following the well-known events of 2008, a significant portion of the Kodori population now resides in various parts of Georgia as displaced persons.

მარიამ მარჯანიშვილი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი)

გენდერული ასპექტები ქუთაისელ ქალთა აქტივობებში

ქართველი ქალის გონებრივი გამოფხიზლება და მისი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას ილია ჭავჭავაძემ „ახალი ხანა“ უწოდა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი მოღვაწე მწერალი ქალები გაიტაცა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის ფესვები იმ ლიტერატურულ სალონებში უნდა ვეძიოთ, რომელთა სულისჩამდგმელი იყვნენ „მანანა ორბელიანი, მაიკო ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, მარიამ ჯამბაკურ ორბელიანი, მართა სოლოლაშვილი, ელენე ერისთავი, მარიამ ფალავანიშვილი, ნინო დადეშქელიანი, შედარებით უფრო გვიან თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაია, ელისაბედ ორბელიანი, სოფიო ამირეჯიბი და სხვ.“¹

ბევრი მათგანი იყო ევროპაში განათლება-მიღებული ქალები, რომელთა შესახებ პოეტი ალექსანდრე ორბელიანი წერდა: „ხნიანს დედაკაცს და ემაწვილ ქალს, ერთი აზრი ჰქონდათ, ბევრმა პატიოსანი გვარის დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურად ჩაეცვათ მაშულის გამოსახსნელად. ზოგიერთ ემაწვილმა დედაკაცებმა ბაირალების კერვა დაიწყეს და აღრეულობის ნიშანი მოამზადეს“².

აქედან გამომდინარე, იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, ქართველი ქალების ინიციატივით შექმნილმა ლიტერატურულმა სალონებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი იმითაც დაიჭირეს, რომ ისინი ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში ახალი რაკურსით წარმოჩინდნენ.

ქალთა ამ დიდ როლზე მართებულად შენიშნავდა აკაკი წერეთელიც: „ადრევე მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ დედათა სქესი ისე მაღალ წერტილზე ბევრგან არ მდგარა, როგორც ჩვენში. მე არ მიმაჩნია, ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არა მწამს საზოგადოების გამოფხიზლება მაშინ, როდესაც ქალებს სძი-

¹ ნ. ჩიხლაძე, დედაწმინდა ქართველი მანდილოსნები, თბ., 1976, გვ. 3.

² საქ. სახ. მუზეუმი. კოლ. განყ. 5 ფონდი. განყ. ნაწ. #16565.

ნავთ³.

არც დიდი ვაჟა დარჩენილა ქართველ ქალთა მიმართ ვალში: „საუნჯევ სათნოებისა, ჩემიც მიიღე ქებანი“ — ამაცობდა პოეტი ქართველი ქალის ისტორიული სახელით. ვაჟასათვის ქალი იყო მაღალი სულისა და ღირსების მატარებელი ადამიანი: „ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადაო“ და მისთვის უდიდესი სიხარული გახლდათ, როცა ქალი თავისი ინტერესებით და ეროვნული შეგნებით ყველა საზოგადოებრივ სფეროში გამოჩნდა.

ასე რომ, ქართველი ქალი 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრში ერთბაშად მოექცა, რადგან იგი იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის, მშობლიური დედა-ენისა და თეატრის აღორძინებისათვის. ქალები ასევე თავს იყრიდნენ ისეთი კულტურული კერების გარშემო, როგორც იყო ქართული ჟურნალ-გაზეთები: „ღროება“, „ივერია“, „კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“, „მრომა“, „მწვემსი“, „ქართული ბიბლიოთეკა“, „ცდა“ და „აკაკის თეიური კრებული“, „გრდემლი“, „ცისკარი“, „შინაური საქმეები“, „კოლხიდა“, „დილა“, „სასოფლო გაზეთი“, „სიმართლის ხმა“ და სხვ.

ქართველი მოღვაწე მწერალი ქალების ინიციატივით თანდათანობით ფეხს იდგამდა საემანციპილო ჟურნალები, მუშათა თეატრები, საპკითხველობები, ქალთა პროფესიული სკოლები და საქალბო გიმნაზიები.

იმედიანი თვალით შეპყურებდა ქალების საზოგადოებრივ მოღვაწეობას აკაკი წერეთელი: „ისტორია ბევრს მოგვეთხრობს ქართველი ქალების სიდიადეზე, იმათმა მეცადინეობამ შეინახა საქართველო და ეჭვი არ არის მომავალსაც ისინი მოგვიშზადებენ“.

ჩვენი ერის მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სათაყვანო ქართველ ქალთა სახეები გამორჩეული იყო კარგი დედობით, მამულისათვის თავდადებით, პატიოსნებით, მაღალ ზნეობასთან შერწყმული ფიზიკურ მშვენიერებით. ამასთან ერთად არა ნაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიც.

ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო „არავის არ შეეძლო ერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ჯგუფში, როგორც ქართველ წარჩინებულს ქალს, რომლის ირგვლივ იკრიბებოდნენ საუკეთესო მამულისშვილები. ეს როლი ქართველ ქალმა შეინარჩუნა XIX საუკუ-

³ „ღროება“, 1876, გვ. 1-2.

ნის I ნახევრამდის⁴.

საზოგადოებრივ ფორმაციის ცვლასთან ერთად ასპარეზზე გამოვიდა ქალთა ახალი თაობა, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულნი ახალ ამბლუაში მოეკლნენ ქვეყნის ეროვნულ წინსვლას.

ქართველ მოღვაწე ქალთა მაღალ ეროვნულ შეგნებაზე მეტყველებს წლების განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-ეთნოგრაფიულ საზოგადოებებზე ფინანსური მხარდაჭერა, რომლის საილუსტრაციოდ დავით სარაჯიშვილის მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ანდერძი გამოდგება: „500 ათასი მანეთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ხოლო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას კი 200 ათასი მანეთი“. მანვე „30 ათასი მანეთი კავკავის (ორჯონიკიძე) ღარიბ მოსწავლეებს (განურჩევლად ეროვნებისა), სწავლის ქირის გადასახდელად უანდერძა, ხოლო 25 ათასი მანეთი კი საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად“.

ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძში ასევე შევიდა ქარხნებისა და საკაჭრო დაწესებულებათა ორ მილიონამდე შეფასებული ქონება, ლიკვიდაციის შემდეგ ანდერძის მიხედვით, მთელი თანხა უნდა გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და თბილისის დრამატულ საზოგადოებებს⁵.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, ოღლა გურამიშვილის დიდი ეროვნული მოღვაწეობაც. იგი ეკატერინე გაბაშვილთან ერთად მართავდა საღამო-წარმოდგენებს — „ალეგრა“ — ლატარიებს“ და აქედან შემოსული თანხით ეხმარებოდა ქართველ სტუდენტებს. არსებობს დოკუმენტი, თუ როგორი მატერიალური დახმარება გაუწიეს მათ ნიჭიერ ბელეტრისტს შიო არაგვისპირელს.

თავისი ქველმოქმედებით გამოირჩეოდა შექსპირის უბადლო მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის მეუღლე ტასო მაჩაბელი, რომლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი მოგვითხრობს: „ტასო მაჩაბელს თავისი გარკვეული თანამდებობა ჰქონდა თეატრალურ საზოგადოებაში და ხშირად მასზე ვიყავით დამოკიდებული. იგი სთხოვდა გოგებაშვილს მოეწყო ჩემთვის ლიტერატურული საღამო და შეგროვილი ფულით საზღვარგარეთ გავეგზავნე... ამისთანებმა, როგორებიც ტასო და სხვები იყვნენ, მიშველეს და კაცად გამომიყვანეს... მე საკუთარ ღელას ვეძახდი...“

⁴ თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 4.

⁵ ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, გვ. 174-175.

ტასო იყო ცნობილი მომღერლის „საქართველოს ბულბულის“ - ვანო სარაჯიშვილის იტალიაში გაგზავნის მოთავე⁶.

საყურადღებოა, თამარ ჭავჭავაძე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას მოღვაწეობა. გამწვავებულ რეაქციის წლებში, როცა ალიხანოვ-ავარსკის მიერ გადამწვარ, გადატაკებულ გურული გლეხების დასახმარებლად თბილისში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის და თამარ დავითის ასულ გრუზინსკის მეთაურობით დაარსდა დაზარალებულ ხალხთა დამხმარე კომიტეტი ანუ „დამწვართა კომიტეტი.“ ეს უკანასკნელი ამ კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ.

...ფრელინის ქუჩაზე გამართულ გამგეობას ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა. სხდომის მთავარი საკითხი იყო დაზარალებული გურული გლეხების დახმარება. კრებას ესწრებოდნენ გურულების წარმომადგენლები. თამარ გრუზინსკაია გახარებული იყო, რომ დაზარალებულთ ფული ოზურგეთში დროულად მიეწოდებოდათ.

კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი კარგი რამ და სასარგებლო საქმე გაუკეთებიათ ქართველ ქალებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ყოველივე ამას ქართველი ქალები აკეთებდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე პირობებში.

1913 წელს „ქართველ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარე დომინიკა ერისთავი ეკატერინე გაბაშვილს სწერდა: „მოწყალეო ბატონო! ნინაობას, 14 იანვარს, ქართულ თეატრში თბილისის „ქართველ ქალთა საზოგადოება“ სამუსიკო სალიტერატურო საღამოს მართავს. გთხოვ თქვენი დასწრებით განამტკიცოთ და განამხნევოთ ეს ნორჩი საზოგადოება“. ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე — განდეგილი“⁷.

ასევე მიმართავდა დახმარებისათვის განდეგილი ჩვენ საყვარელ მგოსანს აკაკი წერეთელს: „ქართველ ქალთა საზოგადოება გთხოვთ თორმეტ ამ თვეში დაესწროთ ქართული თეატრის საღამოს. თქვენ უნდა გაამხნევოთ საღამო თქვენი სიტყვით“⁸.

„ქართველ ქალთა საზოგადოების“ თაოსნობით გაიხსნა აგრეთვე საჩაიე „მშური ნუგეში“, რომლიდანაც შემოსული თანხით პირველ მსოფლიო ომის მონაწილეებს დახმარება ეწეოდათ: „შემოსული ფულით ათობით დაჭრილს ვინახავდით ლაზარეთში. ასევე ფრონტს ვეხმარებოდით ტანსაც-

⁶ ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, გვ. 139-140.

⁷ ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, გვ. 13.

⁸ საქ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, წერეთლის ფონდი, #372.

მლით, პურით, სანოვაგით და სხვა“.

განდევილმა თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართველი ქალის უფლებების დაცვით დაიწყო და საფრანგეთის გამოჩენილ მწერალ ქალის ჟორჟ სანდის მსგავსად ქალთა თავისუფლების იდეას მრავალი თანამემამულე აზიარა.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, როცა დომინიკა ერისთავ-განდევილს „ქართველ ჟორჟ სანდს“ ეძახდნენ. განდევილსაც, ისევე, როგორც ჟორჟ სანდს, საკმაო სიმწიფის დაძლევიტ მოუხდა ცხოვრების გზის გაკაფვა და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. ადვილი როდი იყო იმ დროინდელი მეშჩანური რკალის გარღვევა. ეს მხოლოდ ისეთი მტკიცე ნებისყოფისა და ინტელექტის მქონე ადამიანს შეეძლო, როგორც პოეტი განდევილი გახლდათ. მან ქალი ისეთივე სრულუფლებიან მოქალაქედ გამოაცხადა, როგორც მამაკაცი“⁹.

ეს და მსგავსი სხვა მაგალითები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ქალების საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თავიდან, მართალია, გაუბედავი ნაბიჯებით განისაზღვრებოდა, მაგრამ მაინც იმდენათ დიდი კვალი დატოვეს, რომ შემდეგ წლებში მათი საქმიანობა თანდათან გაძლიერდა და ღრმა ფესვებიც გაიდგა. რაც მთავარია, მათ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აშკარად გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის სილუეტები.

სამართლიანად შენიშნავს ქალთა უფლებების მკვლევარი ლელა გაფრინდაშვილი: „XIX საუკუნის საქართველოში ქალებმა შეძლეს გადაეღახათ ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებები და მოეპოვებინათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. მათი ძალისხმევა ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი იყო რუსიფიკაციის საწინააღმდეგო მოძრაობაში, რომელიც საგანმანათლებლო კამპანიის სახით გაფორმდა. 1879 წელს ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გახდა ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის, ჩამოყალიბების პროვოკატორი. სწორედ, ამ ჯგუფის მეცადინეობით შესაძლებელი გახდა გოგონებისათვის განათლების უფლების მოპოვება, რამაც ნიადაგი მოაშადა მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. თითქმის ყველა მახრაში გაჩნდა ქალთა შემოქმედებითი, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციები. ამის პარალელურად გამოიცა ქართველ მწერალ ქალთა ნაწარმოებები, მათ მიერ ნათარგმნი უცხოური ლიტერატურა. და, რაც ყველაზე მთავარია, დაიწყო საზოგადოებრივი დისკუსია თანასწორობის საკითხებზე.

⁹ მ. მარჯანიშვილი, მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი, თბ., 2011, გვ. 141.

70-იანი წლებიდან მოყოლებული საუკუნის დასასრულამდე არ არსებობდა პერიოდული გამოცემა, რომელშიც წელიწადში ერთხელ მაინც არ გამართულიყო პოლემიკა „დედათა კითხვაზე“. ამ პოლემიკას შედეგად მოჰქონდა ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ ტრადიციული შეხედულებების გადასინჯვა, თანასწორობის იდეის ევროპული ისტორიის გაცნობა და ქალთა ჯგუფებს შორის სოლიდარობის გაძლიერება¹⁰

ქართველ ქალებს ერთი რამ კარგად ესმოდათ, რომ თავიანთი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის თავად უნდა ებრძოლათ. ამასთან პირადი მაგალითი უნდა მიეცათ მამაკაცებისათვის და ასე რომ, ქალები არამარტო პირადი თავისუფლებისა და სოციალური უფლებებისათვის იბრძოდნენ, არამედ მამაკაცთა უფლებებისათვისაც ზრუნავდნენ. ეს გენდერული თანასწორობის კონტურები წითელ ხაზად გასდევდა ქართველ ქალთა მთელ მოღვაწეობას.

ამ მხრივ, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის 10-20-იან წლებში მოღვაწე ქალების უხმაურო და უჩინარ საქმიანობაზე მკვლევარმა ნინო ჩიხლაძემ „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები“-ს სახით საინტერესო წიგნი დაგვიტოვა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ფემინიზმის იდეების გავრცელებასა და გენდერული თანასწორობის ჩამოყალიბების პროცესებს.

XX საუკუნის დასაწყისიდან სოციალ-დემოკრატიის იდეის გამოჩენამ რადიკალურად შეცვალა ქართველ ქალთა ყოფიერების ყველა სფერო, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქალის როლის გააქტიურებას. „ფაქტურად, ამ დეკადაში დაიწყო ქალისა და კაცის ურთიერთობის ახალი თანამედროვე სტანდარტის ჩამოყალიბება, რამაც 60-იან წლებამდე გასტანა“¹¹.

ზემოთაღნიშნულ ქალთა უფლებების მკვლევართა ნაშრომებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქალთა გარკვეულ ჯგუფს XX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ახალ პერსპექტივებს უშლიდა თავისუფლებისა და თანაბარუფლებიანობის მოპოვების გზაზე. ხოლო ქალთა დიდი ნაწილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის გაშლილ მოძრაობას რეალობისაგან განსხვავებული რეალობით უყურებდა.

¹⁰ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში, თბ., 2009, გვ. 27

¹¹ მ. მარჯანიშვილი, ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქუთ., 2008, გვ. 50

**Gender Aspects in Kutaisi Women's Activitie
According to the press published in the end of the 19th century and in the
beginning of XX century in Kutaisi**

So, the Georgian woman came to the center of public thinking in the 60s because she fought for national liberation, for the revival of her mother tongue and theater. Women also participated in such cultural activities as the Georgian magazines and newspapers.

The new generation of women emerged in the field of social formation, which were involved in the educational system in the new embrace of the country's national advancement.

”In the 19th century, women in Georgia managed to overcome feudal-patriarchal opinions and gain their place in society. One of the strongest streams of their efforts was the “Society for Literacy Among the Georgians” as a social group provocateur. “With the right to educate women, the soil was prepared for their economic independence.

From the beginning of the XX century, the idea of social-democracy has radically changed all spheres of Georgian women's existence, which greatly contributed to the activation of women's role. “In fact, in this decade the new modern standard of relations between women and men began to develop.”

**წმინდა გიორგისა და ღვთაება მითრას
ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

ძველად საქართველოში ყველა წმინდანზე მეტად წმინდა გიორგის ეთაყვანებოდნენ და ის მიაჩნდათ მფარველად ბრძოლასა და გაჭირვების შამს.

ცნობილმა ფრანგმა საეკლესიო მოღვაწემ და ისტორიკოსმა — ჟაკ დე ვიტრმა (დაახლ. 1180-1240 წწ.) თავისი თხზულების — „ისტორია იეროსო-ლიმიტანა აბრევიატუს“ ერთ-ერთი თავი საგანგებოდ მიუძღვნა ქართველების დახასიათებას. ქართველებს ის გეორგიანების სახელით იცნობს, სიტყვა გეორგიანს კი წმინდა გიორგის უკავშირებს. „ამ ხალხს ქართველები (გეორგიანი) ჰქვია, ვინაიდან, სხვა წმინდანებზე მეტად, უდიდესი მოწიწებით ეთაყვანებიან, აღმერთებენ და ღირს ყოფენ წმინდა გიორგის, რომელსაც მიიჩნევენ მცველად და მფარველად თავიანთ ბრძოლებში ურწმუნოთა წინააღმდეგ, მსგავსად ბაირალისა“¹. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, ეს მსჯელობა არასწორია. სიტყვა „გეორგია“ ქართველების აღსანიშნავად გაჩნდა გვიანბიზანტიურ ხანაში და საფუძვლად უდევს სპარსულ ენაში საქართველოს (აღმ. საქართველოს) აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვები: გორგ, გურგ, რომლითაც სპარსელები ქართველებს მოიხსენიებდნენ².

ზემოთ მოტანილი ორი ციტატის მიხედვით საქართველოში იმდენად ძლიერი იყო წმინდა გიორგის ეთაყვანისცემა, რომ უცხოელი და თვით ქართველი მემკვიდრეებიც კი, ჩვენი ქვეყნის სახელს ამ წმინდანს უკავშირებდნენ.

სამეგრელოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, წმინდა გიორგის გამორჩეულად სცემდნენ თავიანთს. მეგრელებს ის სამეგრელოს მკვიდრადაც კი მიაჩნდათ, რომელიც ბრძოლაში მუდამ სათავეში ედგა მეგრელთა ჯარს და მისი მეთაურობით ისინი ბრძოლაში მუდამ გამარჯვებულები გამოდიოდნენ³.

¹ გ. პაიჭაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში, წგნ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 294.

² გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწილი II, თბ., 1995, გვ. 283.

³ თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ. 1956, გვ. 58

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველთა რწმენაში წმინდა გიორგი უპირველეს ადგილზე იდგა⁴. ამ ყველაფრის შემდეგ ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველები ასე გამორჩეულად ეთაყვანებოდნენ წმინდა გიორგის?

ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ წმინდა გიორგომ ჩაანაცვლა რომელიღაც წინარე ქრისტიანული ღვთაება, რომელსაც ქართველები დიდ პატივს სცემდნენ. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, წმინდა გიორგომ ქართველთა მთავარი ღვთაების — მთვარის ადგილი დაიკავა⁵. ამ მოსაზრებას არ იზიარებს მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომლებიც წმინდა გიორგის და ღვთაება მითრას ერთმანეთთან აიგივებენ.

მითრასა და წმინდა გიორგის ერთმანეთს უკავშირებენ: სერგი მაკალათია⁶.

ღვთაება მითრაზე ცნობებს ვხვდებით აგრეთვე მღვდელ თეიმურაზ უიარალოსთან⁷, თედო ღუნდუასთან⁸ და სხვ.

ქრისტიანობის წინამორბედ, წარმართულ ღვთაებათა შორის ძველ მსოფლიოში უპირველესი ადგილი ღვთაება მითრას ეჭირა. მითრაიზმი წარმართული მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო. მისი მკვლევრები გვარწმუნებენ, წარმართულ მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა მითრას იწამებდაო.

მითრაიზმი, როგორც მწყობრად ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა, ქრისტიანობას IV საუკუნემდე დიდ კონკურენციას უწევდა, მითრა ძველი ინდური ღვთაებაა, რომელიც ინდო-ირანულ ანუ არიულ პერიოდს განეკუთვნება. მისი სახელი ჯერ კიდევ ლურსმულ წარწერებში მოიხსენიება და იგი მზის ღვთაება შამაშთანაა გაიგივებული. შამაში (აქადურად მზე) — მზის ღმერთი შუმერთა და ბაბილონელთვის მსოფლიო შუქი, რომელზეც დამყარებულია სიცოცხლე, შრომა, წესრიგი, არის სამართლიანობის ღვთაება, რომელიც მკაცრად სჯის ფიცის გამტეხსა და უპიროს. ღამისა და

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, ტომი პირველი, თბ., 2012. გვ. 45-47.

⁵ იქვე. გვ. 47.

⁶ ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტურატიურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 342-353; ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, მეგრული მასალის მიხედვით, თბ. 1990 გვ. 102-103; ნ. აბაკელია, ქრისტიანული წმინდანების კულტი დასავლეთ საქართველოში ან კიდევ ერთხელ იან ცედემის შესახებ, თბ., 1991; დ. ნინიძე, წმინდა გიორგის კულტის ისტორიისათვის საქართველოში, ჟურნ. „მნათობი“, #11-12, თბ. 1991 გვ. 167-168.

⁷ თ. უიარალო, რელიგიების ისტორია. თბ. 2007, გვ. 105-163.

⁸ თ. ღუნდუა, ნ. სილაგაძე, MIOPAE საქართველოში, თბ., 2010.

წველიადის დამმარცხებელი და ბოროტების მტერია. „მზე ბაბილონისა, შუქერის აქადის ქვეყნის შუქის მომფენი, ოთხი კუთხის მანათობელი“⁹.

მითრიაზში ქრისტიანობის ძირითად მეტოქედაც განიხილებოდა. ამიტომაც, ქრისტიანობისთვის სახელმწიფო რელიგიის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ახალმა იდეოლოგიამ და მისმა მიმდევრებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე წარმართულს. დაინგრა ძველი საკულტო ძეგლები, სამლოცველოები, განადგურდა კულტმსახურებასთან დაკავშირებული ნივთები, ატრიბუტიკა. ქრისტიანული იდეოლოგიის მსახურები ძველი ქრონიკების ინფორმაციას ქრისტიანული ცოდნისა და წარმოდგენის პრიზმაში ატარებდნენ, თუმცა მემატიანეები წარმართობასთან დაკავშირებული კვალის წაშლას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ¹⁰.

საქართველოში ღვთაება მითრას კულტის არსებობას ადასტურებს როგორც არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები, ასევე ეთნოგრაფიული მასალა. V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის — მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ დაცულია ერთი საინტერესო ცნობა, რომ ქართველთა ქვეყანაში გავრცელებული ყოფილა ვაჰანის კულტი¹¹.

სომეხ მკვლევართა მიერ საყოველთაოდ გაზიარებულია კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ძველ სომხეთში ხდებოდა ღვთაება მითრას ვაჰანგთან გაიგივება. ვაჰანგის პოპულარობა და მისი ფართოდ გავრცელება კი იმით აიხსნება, რომ ვაჰანგი მზის ღვთაება იყო. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ისტორიკოსი ალექსანდრე აბდალაძე მიიჩნევს, რომ მოვსეს ხორენაცის ცნობაში, ქართველთა ქვეყანაში ვაჰანგის კულტის არსებობის შესახებ, სინამდვილეში ასახული უნდა იყოს საქართველოში ღვთაება მითრას აღიარების ფაქტი, რადგან სომხეთში ვაჰანგი არამარტო ჭექა-ქუხილის, არამედ მზის ღმერთადაც იყო მიჩნეული, ხოლო ქართველთა ქვეყანაში, მოვსეს ხორენაცისვე თანახმად, „ჭექა-ქუხილის მომვლინებელ“ ღვთაებას არამაზდი (არმაზი) წარმოადგენდა და არა ვაჰანგი. აქედან გამომდინარე, საქართველოში მზის ღმერთი მითრა უნდა იყოს (აბდალაძე, 1984: 52).

როგორც აღვნიშნეთ ღვთაება მითრას კულტის საქართველოში არსებობას ასევე ადასტურებს თითქმის ყველა მხარეში აღმოჩენილი მრავალ-

⁹ მ. ქუთათელაძე, მითრას კულტი საქართველოში, თბ., 2006, გვ. 13.

¹⁰ დ. ნინიძე, წმინდა გიორგის კულტის ისტორიისთვის საქართველოში, ჟურნ. „მნათობი“, N11-12, თბ., 1991, გვ. 3.

¹¹ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1994, გვ. 95.

რიცხოვანი არქეოლოგიური მასალა.

სერგი მაკალათიას აზრით, საქართველოში მითრას კულტის არსებობის დამამტკიცებელი არქეოლოგიური მასალაა, მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანთან აღმოჩენილი რიტუალური ორყურა ჭურჭელი, რომლის ვერცხლის ყურზე მითრას სახე და მისი ატრიბუტია ამოკვეთილი¹². მითრას კულტთანაა დაკავშირებული ქართლის ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანის გამორჩეულად მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკები, რომელთა ფსკერზეც სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენებია გამოსახული. ასეთი პინაკები აღმოჩნდა მცხეთაში, არმაზისხევის, არაგვისპირის სამაროვნებში, ზღუდერში, ზაპესის არხის გაყვანის დროს¹³. მითრას გამოსახულებიანი ვერცხლის პინაკები ქარელის რაიონის ზღუდერის მდიდრულ ხის სარკოფაგებშიცაა ნაპოვნი. არქეოლოგმა გ. ნემსაძემ სარკოფაგები III საუკუნის II ნახევრით ან III საუკუნის მიწურულით დაათარიდა¹⁴.

მითრას კულტის ჩასახვა ჩვენში ინდოევროპულ ენათა ერთობის პერიოდში უნდა მომხდარიყო. ქართველური და ინდოევროპული ტომების უძველესი კონტაქტის ასპარეზად კავკასიაც არის ნაგარაუდები. მითრას თავიანთისცემა შესაძლოა ასევე საქართველოში უფრო გვიანდელ პერიოდშიც შემოსულიყო ირანული ან ბერძნული გავლენით¹⁵.

აღსანიშნავია, რომ მითრას წმინდა ცხოველებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტახს, რომელიც მითრას მხარდამხარ ებრძოდა ბოროტებას, რისთვისაც წარმატებით იყენებდა ეშვებს. „იემთსადემი“ ტახი (ლორი), როგორც მითრას ცხოველი, პატივისცემითაა მოხსენიებული და ნათქვამია, რომ ამ სასარგებლო ცხოველის მოდგმა მკვდრეთით აღდგომამდე უნდა გაგრძელდეს¹⁶.

ეთნოლოგ ნინო აბაკელიას მიაჩნია, რომ ტახის (ლორის) სიმბოლოს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ახალი წლისა და საზაფხულო ციკლის დღეობების ქართულ ტრადიციაში¹⁷. შობაზე ღორის მსხვერპლად შეწირვა, რაც დღემდე ხდება ნეკრესის ეკლესიაში, ანომალიად იყო მიჩნეული და მას, სავსებით მართებულად, წარმართულ ჩვეულებას უკავშირებდნენ.

¹² ს. მაკალათია, ჯგეფ-მისარონის კულტი საქართველოში, თბ., 1938 გვ. 12.

¹³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XX სამეცნიერო სესია, თბ., 1972, გვ. 7-8

¹⁴ გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-66 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსსრ ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 46.

¹⁵ მ. ქუთათელაძე, მითრას კულტი საქართველოში, თბ., 2006, გვ. 21.

¹⁶ იქვე, გვ. 40.

¹⁷ ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, გვ. 81.

ეს ფაქტი კიდევ ერთი საბუთია საქართველოში ღვთაება მითრას არსებობისა.

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა, კერძოდ, ნეკრესის ადრექრისტიანული სამლოცველოს არქეოლოგიურმა შესწავლამ, ცხადყო, რომ ღორის მსხვერპლად შეწირვა ნეკრესში კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ადრექრისტიანული ნეკრესის უძველესი ფენა წარმართული ტაძრის ნანგრევებზეა აღმართული. მიუხედავად იმისა, რომ ნეკრესობის დღესასწაული მეტად დამახინჯებულად და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, იგი ძველი წარმართული რიტუალის გადმონაშთია, რომელიც ღვთაება მითრასთვის მისი სამსხვერპლო წმინდა ცხოველის — ტახის (ღორის) მსხვერპლად შეწირვას გულისხმობდა¹⁸.

სერგი მაკალათია მიიჩნევდა, რომ ქრისტიანობის წინამორბედ წარმართულ ღვთაებათა შორის ყველაზე უფრო გაგრძელებულმა მითრაიზმმა თავისი გავლენა კპოვა არმაზისა და ზადენის კულტებში, განსაკუთრებით კი — ზადენის ღვთაებაში. მეცნიერის აზრით, მითრა იახაზანისა და ქართული ზადენის იგივეობა სარწმუნოა. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ქართველ ხალხში დაცული წარმართული ხასიათის სალოცავები და რიტუალები, რომლებიც განსაკუთრებით კარგადაა დასავლეთ საქართველოში შემონახული, სამეგრელოში — „მისრობის“, სვანეთში — „მეისრობის“ და გურიაში — „მოისარობის“ დღესასწაულების სახით.

როგორც ჩანს, მითრაიზმის ოფიციალური დამარცხებისა და ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ, საქართველოში მითრაიზმი ქრისტიანობასთან შეგუების გზას დაადგა, რისი შედეგიც უნდა იყოს ის, რომ ქრისტიანულ ხანაში მითრა წმინდა გიორგის სახით გვევლინება და წმინდა გიორგის კულტი, რომელიც ასე პოპულარული იყო საქართველოში, საფიქრებელია, რომ სახეშეცვლილი ღვთაება მითრაა¹⁹. როგორც ცნობილია, მითრა მზის, მთვარის და ვარსკვლავთა დახმარებით სამყაროს ბოროტებისგან იცავდა და ის გუშაგივით იდგა კეთილი ღვთაებას — აპურა-მაზდას (სინათლის) და ბოროტ ღვთაებას — არმანს (სიბნელის) შუა და იბრძოდა ბოროტების დასაბრუნებლად²⁰. მითრა კეთილთა მფარველად და დაჩაგრულთა მოსარჩლედ მიიჩნეოდა. ამასთანავე, მითრა წარმოდგენილი იყო როგორც ძლიერი მხედარი და მხედართა მფარველი. იემთ-სადეს ერთ-ერთ ჰიმნში ნათქვამია: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს

¹⁸ ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ. 2000, გვ. 46-47.

¹⁹ მ. ქუთათელაძე, მითრას კულტი საქართველოში, თბ., 2006, გვ. 13.

²⁰ ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 6.

აბჯარი, ჰკიდა გამგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს გრძელი მახვილი და თეთრ ცხენზე ზის“. ლაშქრობის წინ მორწმუნენი აპურა-მაზდასთან ერთად მითრასაც ვედრებით მიმართავენ და მას მტრებზე გამარჯვებას შესთხოვენ. მითრა ათასი თვალით და ათასი ყურით იყო შეიარაღებული. ის ყველაფერს ხედავდა და ყოველივე ესმოდა. ალბათ მითრას სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა ის, რომ იგი ჩანაცვლა წმინდა გიორგიმ, რომელიც ასევე მებრძოლი ბუნების მქონე წმინდანია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მითრას კულტის საქართველოში ფართოდ გავრცელება უფრო სარწმუნო გახდება, თუ ქართველ ხალხში დაცული წარმართული ხასიათის სალოცავენება და რიტუალურ წესებს გაეცნობით.

სერგი მაკალათია დარწმუნებული იყო, რომ ამ ორი კეთილი გენიის კულტი ქართულ ხალხურ რწმენაში იყო დაცული. მაგალითად, დიდმარხვის აღება ღამეს სამეგრელოში ასრულებდნენ სალოცავ „ჟინი ანთარს“²¹. ამ დღეს მეგრელები კერაზე აცხოვდნენ ოთხკუთხედი ფორმის მოზრდილ ყველიან კვერს, რომელსაც ჯერ სუროს ფოთლებში შეახვევენ და შემდეგ ზედ ნაღვერდალს დააყრიდნენ. ვახშმის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი კერასთან მივიდოდა, ნამცხვარს ნაცარს და სუროს მოაცილიდა, კვერს ზედ კერაზე ოთხკუთხედ ნაჭრებად დაჭრიდა და შემდეგ ვედრებას წარმოთქვამდა:

„ჟინი ანთარი, პატენი გომორძგვილი!

ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი!

ოშოშო გშაფჭოფუნდე ღო მუთას

მაკორღუდასუნი, უხაფუ ღო

ხაფილც ვალშეფჩინენდენ თეში“.

„ზეციერო ანთარო,

ბატონო გამარჯვებულო!

ჩემი საქონელი შენ გაამრავლე!

ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს,

უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე“.

ღვთაება ანთარი აფხაზეთშიც იყო ცნობილი აითარის სახელით, რომელიც აქ ოჯახისა და შინაური ფრინველის მფარველად ითვლებოდა. ეს აფხაზური „აითარ“ და მეგრული „ჟინი ანთარი“ არის ავესტაში მოხსენიებული იაზნატა (კეთილი სული), რომელიც ცეცხლის ღვთაება იყო და ავესტაში აპურა-მაზდას შვილად იწოდება.

ღვთაება მითრას დასავლეთ საქართველოში არსებობას ამტკიცებს ასე-

²¹ ს. მაკალათა, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938, გვ. 22.

ვე დასავლეთ საქართველოში დაცული სალოცავი, რომელსაც მეგრელები „მისრობას“ ან „მისრობას“ უწოდებენ, სვანები — „მეისარიბს“ და გურულები — „მოისარობას“. მისრობას მეგრელები დიდმარხვის დაწყებამდე იხდიდნენ. ამ დღისთვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს, რომელსაც „ომისრე“ ღორი ეწოდებოდა. მისრობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებდა, შემდეგ ილოცვით:

„ღღარი მისრობაში მოზოჯუა!

მა ღო ჩქიმი ჩილი ღო სქუას ბედი მეჩი,

ბედინერო დაარინე, ირი ალიან ღო ჩალიანი ქკარაი,

ირი უბადო შარას, წყარს სი ქოთხილე,

სქან სახელ ხვამელი“.

დღეს მისრობის მობრძანებავ!

მე და ჩემ ცოლ-შვილს ბედი მიეცი,

ბედნიერად ამყოფე,

ყოველი ალიანი და ჩალიანი (სიავე) გაუქარვე,

ყოველი ავი გზისაგან, წყლისაგან შენ დაიცავი,

შენი სახელი დალოცვილი.

ლოცვის დასასრულს ღორს დაკლავენ. შემდეგ დიასახლისი ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს მოხარშავდა. სადილის წინ ოჯახის წევრები, უფროს-უმცროსობით, კერასთან მდგარ ტაბაკთან მივიდოდნენ და სათითაოდ აიღებდნენ თავიანთ კვერებსა და კვერცხებს, თვალეზზე მიიფარებდნენ, თან ატრიალებდნენ და შემდეგ ლოცვას წარმოთქვამდნენ:

„წმ. მირსა! ამუდლა ვხვამულენქი,

ჩქიმი თოლიში სასიმრთელით კვერცხით ღო ხვიანდით,

უბადო თოლიში ჭუა,

უბადო თოლიში ფაცუცუა

შორიშა ქუგომირაი,

გოლას ჭანჯი მეფურინუნდას,

ჩქიმ თოლს ქაადირი,

გოლას ჭიჭკიტა მეხოხუნდას, ღორონთი,

ჩქიმ თოლს ქაადირი,

ჩქიმ თოლიში ნაქიმინათ ჩქიმ გური გახარი“.

წმ. მირსა! დღეს ვლოცულობ!

ჩემი თვალის სიმრთელისთვის კვერცხით და კვერით,

ავი თვალის ტკივილი,

ავი თვალის დაწირბლვა შორს გამიქარვე.
მთაზე ბუზი მიფრინავდეს,
ჩემს თვალს დაანახე,
მთაზე ჭიანჭველა მიცოცავდეს,
ღმერთო, ჩემს თვალს დაანახევე,
ჩემი თვალის ნაქნართი ჩემი გული გაახარე.

ამ ლოცვის დასასრულს სარიტუალო კვერს და კვერცხს შეჭამდნენ. ეს რიტუალი უფრო კარგად და სრულად დაცული იყო მთიან სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში: გარახასა და ჯუშითში. ასევე მარტვილის რაიონის სოფელ გოლოგანში, რაც კურხუს თემში შედის. ამ სოფელში მაღალ გორაკზე აშენებული იყო პატარა ეკლესია, რასაც ჯეგემისარონს უწოდებდნენ. მისრობა დღეს ამ სამ სოფელში იმართებოდა ხატობა²².

ყოველ წელს, აღდგომის მესამე დღეს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში, საშენგელიოს უბანში მდებარე სამლოცველოში, რომელსაც მისარონ-კარამ ოხვამეს, მისარონს ან ჯეგე მისარონს უწოდებენ, იმართებოდა და დღემდე იმართება „ქეჯვარობის“ დღესასწაული. აქ სალოცვად მოდიოდნენ: ზარანდიები, შენგელიები, ჩარგაზიები და ყურწუები, რომელთა საგვარეულო ხატად, „ჯინჯი ხატად“, ის ითვლებოდა. ხატობა დღეს, რიგის მიხედვით, ამ საგვარეულოებიდან ერთ-ერთი ოჯახის უფროსი მისარონ-კარზე მიიყვანდა კერატს, დაილოცებოდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაკლავდა და ხორცს მლოცველებს გაუნაწილებდა. ამ საგვარეულოებიდან გამოთხოვილ ქალებს ხატობა დღეს ჯეგე-მისარონში მიჰქონდათ შესაწირი — სანთელი, ღორის თავ-ფეხი, კვერცხები და სხვ.²³

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯიხაშკარში დღემდე აღნიშნავენ ქეჯვარობის დღესასწაულს. იმ ადგილას, სადაც ჯეგე-მისარონის სახელობის წმ. გიორგის ეკლესია დგას, ინახება სია, სადაც ჩამოწერილია 24 კაცის სახელი და გვარი. გადმოცემის თანახმად, ეს ის ხალხია, ვინც ერთმანეთს ძმობა შეჰფიცა და დათქვა, რომ ყოველ წელს წმინდა გიორგისთვის ღორი შეეწირათ.

ადგილობრივების რწმენით, ლოცვა X ს-ის დასაწყისში, 904 წელსაა დაწვებული.

ყოველწლიურად, ამ სიაში ჩაწერილი 24 კაციდან ერთ-ერთის შთამომავლები, საერთო ხარჯით ვიდულობენ დიდ ღორს, რომელსაც ქეჯვარო-

²² ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 12.

²³ ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 10-14.

ბის დღეს, დილით ადრე მიიყვანენ მისარონ-კარზე, სამლოცველოს სამჯერ შემოატარებენ და შემდეგ დაკლავენ. ღორის ხორცის ნაწილს იქვე მოხარშავენ, ღორის თავს კი გადაულოცავენ იმ შტოს, რომელმაც მომდევნო წელს ღორი უნდა მოიყვანოს. ერთ შტოს 24 წელიწადში ერთხელ უწევს ღორის მოყვანა. ხორცის მეორე ნაწილს დაჭრიან 24 ნაწილად. ამ 24 ნაწილიდან თითოეული შტოს უხუცესი აიღებს თავის წილ თითო ნაჭერს და შემდეგ ის გაუყოფს ამ შტოს ყველა ოჯახს. თითოეულ ოჯახს ალბათ 100-200 გრამი ხორცი თუ შეხვდება, მაგრამ ოჯახის ყველა წევრი ვალდებულია კბილი დაადგას ამ ხორცს.

დილიდანვე სამლოცველოში მოსვლას იწყებენ მლოცველები, რომელთაც მიაქვთ თაფლის სანთლის ნაჭრები, ხურდა ფული და ჩვეულებრივი სანთელი, შედიან სამლოცველოში, რომლის ცენტრშიც დევს ქვა. სწორედ ეს ქვაა თავყანისცემის საგანი. ქვის ერთ მხარეს მლოცველად დგას შენგელიას გვარიდან „მახვამერი“ (მლოცველი), მეორე მხარეს კი — ზარანდიას გვარიდან. შენგელიას გვარის დასალოცად ზარანდიები მიდიან, ზარანდიასთან — შენგელიები. დასალოცად ოჯახი ერთად მიდის. შესვლისას სანთელსა და ხურდა ფულს სალოცავ ქვაზე დებენ. შემდეგ მნათეს ეტყვიან თავიანთი წინაპრის სახელს, რომლის „გამნარესაც“ (შთამომავლობასაც) წარმოადგენენ. მნათე დალოცავს მათ შტოს, „ჯეგე მისარონს“ შესთხოვს, რომ გაამრავლოს და დალოცოს ისინი, სანთელს შემოაეღებს (სანთელს ქუგულუანს), მოაბრუნებს მარჯვენა მხარეს და სანთლებს აანთებინებს. მლოცველები ამის შემდეგ გადიან გარეთ, სამლოცველოს სამჯერ შემოუვლიან გარშემო, მიდიან იქვე გაშლილ სუფრასთან, რომელიც ასევე იმ შტოს ხარჯითაა მოწყობილი, რომელმაც იმ წელს დაკლა ღორი. ღორის ხორცს ცოტას შეჭამენ და ღვინით დაილოცებიან.

შენგელიასა და ზარანდიას გვარებს შორის ქორწინება დღემდე დიდ ცოდვად ითვლება და სასტიკადაა აკრძალული. ვინც აღთქმა დაარღვია და დაქორწინდა, შვილი გარდაეცვალა, ან სხვა უბედურება ეწვია. სოფელში დღესაც არის რამდენიმე ისეთი ოჯახი, რომლის წევრებიც აღთქმის დარღვევის შემდეგ დაისაჯნენ. სამლოცველოს მიმდებარე ტერიტორიიდან რამის წაღებაც დაუშვებელია. მიხრობელთა თქმით, ერთ-ერთ ადგილობრივს სამლოცველოს მიმდებარედ მდგარი ხეების ტოტები წაუღია სახლში, რის შემდეგაც შვილი გარდაცვლია. ერთ-ერთს, მიმდებარედ მცხოვრებს, შემოუღობავს ხატის მიწა (მიწა, რომელიც ჯეგე მისარონს ეკუთვნის), რის შემდეგაც შვილი გაგიჟებია. მკითხავის რჩევით შემოღობილი გაუხსნია და შვილიც თავისით განკურნებულა.

ამ სალოცავის მიმართ სასულიერო პირები უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ, მაგრამ ხალხის რწმენა იმდენად დიდია, რომ დღემდე პირ-

ნათლად ასრულებენ წინაპართაგან დადებულ წესს. ლოცვის დღეს ამ გვარების წევრებს ეკრძალებათ მუშაობა, სატირალში წასვლა. ამ დღეს არც საკლავის დაკვლაა მიღებული.

ბოლო წლებამდე აღდგომის მესამე დღეს ქვეყარობას იხდიდნენ სოფელ ჯიხაშკარის უბან სობოგამიც. აქ ნაეკლესიარ ადგილზე იკრიბებოდნენ სიჭინავების, ხუნჯუების, ირემბაძეებისა და მგალობლიშვილების გვარის წარმომადგენლები. ისინი კლავდნენ ღორს, რის შემდეგაც შლიდნენ სუფრას და ერთმანეთს ლოცავდნენ.

ქვეყარობას დღემდე დღესასწაულობენ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარაქონშიც. აქ ლოცულობენ ჯალაღონიასა და შულაიას გვარები. ისინი ღორს მორიგეობით კლავენ. ღორის დაკვლა სახლში უნდა მოხდეს. ერთ წელს ამ გვარებიდან ერთ ოჯახში იკვლება საერთო ხარჯით ნაყიდი ღორი, მეორე წელს — მეორეში, და ასე, მორიგეობით. ღორის დაკვლის შემდეგ ხორცს მიიტანენ სოფელში მდებარე ნაოხვამუში (ნასაყდრალი). მლოცველები იქვე მდგარი ცაცხვის ხის ქვეშ დაიხიქებენ და ანთებენ სანთლებს. ამ დროს მლოცველი (მახვამერი) დადის ანთებული სანთლით ხელში და ლოცავს მათ. ლოცვის შემდეგ ინაწილებენ ღორის ხორცს. ლოცვის რიტუალი სულ რამდენიმე წუთს გრძელდება. ამ საერთო დალოცვის შემდეგაც, ვისაც სურს ლოცულობს თავისით და ანთებულ სანთელს ამაგრებს ცაცხვის ხეზე. ლოცვის დასრულების შემდეგ იშლება სუფრა და იმართება ქეიფი.

გადმოცემის თანახმად, შულაიები აგრძელებდნენ ჯალაღონიების შთამომავლობას. თურმე ერთ-ერთ ჯალაღონიას ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც შულაიაზე გათხოვდა. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილი თავის ვაჟებთან ერთად დაბრუნდა მამისეულ სახლში და გააგრძელა ცხოვრება შულაიას გვარით. ძველად შულაიებსა და ჯალაღონიებს შორის ქორწინება არ შეიძლებოდა, მაგრამ დღეს ეს წესი დარღვეულია²⁴.

როგორც გამოქვეყნებული მასალიდან, ჩანს ჯეგე მისარონში ძველად თვალის დალოცვის რიტუალიც სრულდებოდა²⁵. დღეს მისარონკარის სალოცავებში თვალის დალოცვის რიტუალი არ სრულდება.

დასკენის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის შემოსვლამდე საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო ღვთაება მითრას კულტი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი მითრა წმინდა გიორგიმ ჩაანაცვლა. მიუხედავად ამისა, ძველი ღვთაების ელემენტები მაინც დარჩა ლოცვის წესებში. ეს რიტუალები მეოცე საუკუნის 30-იან წლებშიც კარგად

²⁴ მ. ჯალაღონია, სარაქონი XX საუკუნეში (ცოცხალი მატთანე), თბ., 1996 გვ. 31.

²⁵ ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1938: გვ. 13.

იყო შემორჩენილი. დღეს ჟინი ანთარის და მისრობის რიტუალის გადახდა უკვე გამქრალია.

მითრაიზმთან დაკავშირებული რიტუალები შემორჩენილია იმ ადგილებში, სადაც ჯეგე მისარონის სამლოცველოები იდგა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეკლესია, სადაც ეს დღესასწაული სრულდებოდა, წმინდა გიორგის სახელობისა იყო. დღესასწაულსაც წმინდა გიორგისთან აკავშირებდნენ. ჯეგე მისარონის ეტიმოლოგიას, ხალხი, როგორც მოისარ გიორგის, ისე ხსნიდა. ლოცვის რიტუალების შესრულებისას კი ამკარად გამოსჭვივის წინარექრისტიანული ღვთაების კვალი.

სოფლებში — სარაქონსა და ჯიხაშკარში თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი ეს წინარექრისტიანული დღესასწაული. ლოცვის მომენტს, ან რაიმე სახის ცვლილებას უახლოეს ხანში არ უნდა ველოდოთ, რადგან მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ამ დღესასწაულის მიმართ.



ჯეგე-მისარონის ეკლესია სოფ. გოლოგანში. ფოტო ს. მაკალათიასი. 1935 წ.

Ioseb Shengelia

Saint George and the Deity Mithra: An Examination of Their Mutual Relationship

Some scholars draw parallels between St. George and the deity Mithra. In ancient times, Mithraism held a prominent position among pagan deities, serving as a precursor to Christianity. Following the decline of Mithraism and the ascendancy of Christianity, it appears that Mithraism in Georgia underwent a process of adaptation to the new religious context, possibly influenced by the emergence of St. George within the Christian narrative. Remarkably, several shrines associated with Mithraism have persisted through the ages, providing valuable insights into this evolution.

მოსაზრებები ერთი მეგრული ხალხური ლექსის შესახებ

„ბჟა დია ჩქიმი თუთა მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და ღო ჯიმა ჩქიმი“, — ეს პატარა ლექსი მეგრული ფოლკლორიდან, ქართული თარგმანითურთ, ამ სახით აქვს მოხმობილი ივანე ჯავახიშვილს, „ქართველი ერის ისტორიის“ 1913 წლის გამოცემაში, სადაც ის ასტრალურ ღვთაებათა ქართულ-წარმართულ პანთეონს განიხილავს. ამგვარადვეა შეტანილი იმავე ნაშრომის, ჩემ ხელთ არსებულ 1928 წლის გამოცემაშიც¹.

ლექსი მკვლევრისათვის მიუწოდებია კონდრატე თათარაშვილს და, სავარაუდოდ, თარგმანიც მასვე უნდა ეკუთვნოდეს².

პუნქტუაციურად გამართული იგივე ტექსტი გვაქვს, „ქართული, ხალხური პოეზიის“ 12-ტომეულში — „ბჟა დია ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და ღო ჯიმა ჩქიმი“³ და იოსებ ყიფშიძესთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მესამე სტრიქონში სიტყვა „ვარსკვლავები“, „მურუცხეფ“- თანხმოვანკვეცილი ფორმით არის წარმოდგენილი.

ამ პატარა, ოთხსტრიქონიანმა ლექსმა სხვადასხვა ასპექტით იმთავითვე მიიქცია რა მკვლევართა ყურადღება, ერთნაირად საინტერესო გახდა ფოლკლორისტების, ისტორიკოსების, ზოგადად, ენათმეცნიერთათვის. ამიტომაც არის შესული თითქმის ყველა ფოლკლორულ გამოცემაში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილი ამ პატარა ხალხური ლექსის მიმართ ასე დიდია ინტერესი, მისი არც ტექსტი და არც ქართული თარგმანი, ასევე მართლწერა და პუნქტუაცია, ბოლომდე დაზუსტებულად ვერ ჩაითვლება. თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა გამოცემებში, სხვადასხვა ავტორებთან მოხმობილ სტრიქონებს, ყველგან სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი და თარგმნილიც. ამ გარემოებამ ჩემი ყურადღება მიიქცია მას შემდეგ, რაც გივი ბოჯგუას „მეგრული ხალხური პოეზია — 100 ლექსის“ შესავალ წერილს გავეცანი. ავტორი ეხება რა ამ საკითხს, წერს: „საოცარია, მაგრამ ეს მითაჟამინდელი ოთხპწკარიანი ლექსი დღემდე საბოლოოდ ვერ დაიხვეწა მართლწერისა და პუნქტუაციის თვალ-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1979: 93-99

² გ. ბოჯგუა, მეგრული ხალხური პოეზია — 100 ლექსი. თბ., 2007: 5

³ იქვე: 5

საზრისით“⁴.

კითხვაზე: „თუ რატომ ხდება ასე?“ — შევეცადე წინამდებარე წერილში გამომეთქვა ჩემი მოკრძალებული მოსაზრება საკითხის გარშემო.

შექმნილი გარემოებების მთავარ მიზეზად, პირველ ყოვლისა, ვფიქრობ, თვით დაუზუსტებელი მეგრული ტექსტი უნდა იყოს, შესაბამისად, — თარგმანიც. თუმცა თარგმანთა შორის სხვადასხვაობა მხოლოდ ტექსტის დაუზუსტებლობით არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ თარგმნისას ხდება არა ზუსტი გადატანა ლექსისა, არამედ ადგილი აქვს მცდელობას, თარგმანს ჰქონდეს ქართული მართლწერისათვის მისაღები ფორმა, რომლის დროსაც თარგმანის სიზუსტე იკარგება.

აქტიურ სამეცნიერო მიმოქცევაში მყოფი ნებისმიერი ტექსტი, რომელიც მკვლევრისთვის შესაძლოა სხვადასხვა კუთხით ყოველთვის იყოს საინტერესო, ვფიქრობ, მიზანშეწონილია თარგმანში შექცევისდაგვარად ზუსტად იქნას გადატანილი. სხვანაირად თავისუფალი მიდგომა ხელს შეუშლის ტექსტის სწორ აღქმას და ხელყოფს უმთავრესს — სამეცნიერო ღირებულებას.

მანამ, ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ცვლილებები განიცადა ამ პატარა ლექსმა, როგორც ტექსტური, ასევე თარგმანის, მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვიტან ჩემ ხელთ არსებულ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ასე თუ ისე ქმნიან ლექსის ფიქსაციის გარკვეულ სურათს:

ბჟა დია ჩქიმი

თუთა მუმა ჩქიმი

ხვინა ხვინა მურიცხეფი

და დო ჯიმა ჩქიმი

მზე დედაა ჩემი

მთვარე მამაა ჩემი

სხვადასხვა ვარსკვლავები

და და ძმია ჩემი *(ივანე ჯავახიშვილი)*.

ბჟა დია ჩქიმი,

თუთა მუმა ჩქიმი,

ხვინა-ხვინა მურიცხეფი

და დო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,

მთვარე — მამაჩემი,

მოციმციმე ვარსკვლავები

და და ძმია ჩემი

(მიხეილ ჩიქოვანი, ნოდარ შამანაძე).

⁴ გ. პოჯგუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 6

ბჟა (რე) ღიაჩქიმი,
თუთა — მუაჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურიცხეფი
და ღო ჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე — მამაჩემი,
მოჩანხანხე (ფართო-ფართო) ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი (*ტოგო გუდავა*).

ბჟა ღილა ჩქიმი
თუთა მუმა ჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურუცხეფი
დაღოჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე მამა ჩემი,
თვალბრიალა ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი (*გივი ელიავა*).

ბჟა ღილა რე ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურიცხეფი —
და ღო ჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე — მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები —
და და ძმა ჩემი (*კალისტრატე სამუშია*).

ბჟა რე ღიაჩქიმი,
თუთა — მუაჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურიცხეფი —
და ღო ჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე — მამაჩემი,
მოკაშკაშე ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი (*გივი ბოჯგუა*).

ბჟა ღია ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურიცხეფი —
და ღო ჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე (თუთა) მამა ჩემი,
სავსე-სავსე (გაბადრული) ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი
(*მეგრული პოეზიის ანთოლოგია*).

ბჟა ღილა რე ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხეინა-ხეინა მურიცხეფი —
და ღო ჯიმა ჩქიმი.

შხე ღელაა ჩემი,
მივარე — მამა ჩემი,
გაბადრული ვარსკვლავები —
და და ძმა ჩემი (*იქვე*).

ბჭა რე დიაჩქიმი,
თუთა — მუაჩქიმი, —
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი —
და დო ჯიმა ჩქიმი (*იქვე*).

როგორც საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, დიდი თუ მცირე სხვადასხვაობა ყველგან, ყველა გამოცემაშია. ეს განსხვავებანი არამცთუ სხვადასხვა გამოცემასა და კრებულში შეიძლება შეგვხვდეს, არამედ, როგორც ზემოთ მოტანილი „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ მაგალითიც აჩვენებს, ერთი და იმავე გამოცემის სხვადასხვა გვერდზეც, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის არსებულ ვითარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ფოლკლორული ლექსი მეცნიერულ მიმოქცევაშია და მისადმი სხვადასხვა კუთხით დაინტერესება არსებობს, ჩნდება აუცილებლობა ლექსის დაზუსტებისა და ერთიანი, შეჯერებული ვარიანტის საჭიროებისა, როგორც დედნის, ასევე თარგმანისთვისაც.

ზემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვაჩვენეთ ტექსტის ფიქსაციის მეტ-ნაკლებად დაპკვიდრებული ის მოდელები, რომლებიც გვაქვს ივანე ჯავახიშვილიდან (1913, 1928 წწ.) მოვლებული, დამთავრებული „მეგრული პოეზიის ანთოლოგიაში“ (2016 წ.) შეტანილი, სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიმუშით.

ჩვენი მიზანია, რომ მათი მეშვეობით დავაზუსტოთ ჩვენ დრომდე მოღწეული ლექსის ტექსტი იმ სახით, როგორაც ცნობილი იყო ზეპირმეტყველებაში, ვიდრე მისი ქაღალდზე გადატანა და შემდეგ, უფრო გვიან, მასში ჩარევა მოხდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის ხსენებულ თხზულებაში მოხმობილი ტექსტი ყველაზე ადრეულია ჩაწერისა და გამოქვეყნების თვალსაზრისით. კონდრატე თათარაშვილის მიერ მიწოდებული ეს ლექსი, რომელიც მეცნიერს დასჭირდა ქართული წარმართული ასტრალური პანთეონის უზუნაესი დვთაებების რიგითობის კვლევისას, ამავე დროს, უშუალოდ მთხრობელისაგან არის ჩაწერილი და წარმოადგენს იმ ტექსტს, რაც ხალხურ ზეპირმეტყველებას უნდა ჰქონოდა იმ დროისათვის შემორჩენილი. ამდენად, ჩვენთვის ყველაზე „სანდო“ უნდა იყოს პირველწყაროების თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ ლექსი მხოლოდ ი. ჯავახიშვილთან გვაქვს სასენი ნიმუშების გარეშე, ე. ი. ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რაშიც კარგად ჩანს დიდი მეცნიერის ფრთხილი მიდგომა ზეპირსიტყვიერი პირველწყაროსადმი. აქედან გამომდინარე, როგორც ყვე-

ლაზე ძველი ჩანაწერი და, ამავე დროს, „ხელშეუხებელიც“, ჩვენთვის ორიენტირი უნდა იყოს ლექსის ტექსტის დაზუსტებისას.

ესა და „ხალხური პოეზიის თორმეტტომეულში“ შეტანილი, სწორედ ეს ორი, ერთმანეთისაგან თითქმის 50 წლით დაშორებული ნაბეჭდი ტექსტი და „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ შესავალ წერილში (გვ. 12) გამოქვეყნებული, სრულიად იდენტურნი მართლწერის, მაგრამ უმნიშვნელოდ განსხვავებულნი პუნქტუაციის თვალსაზრისით, მიგვაჩნია ხალხის მეხსიერებას შემორჩენილ იმ პირველწყაროდ, რასაც ვეძიებთ და უნდა იყოს მეცნიერულ მიმოქცევაში და გამოიყენებოდეს ლექსის სხვადასხვა კუთხით კვლევისას. თუ რატომ, შევეცდები, ჩამოვაცალიბო ჩემი მოსაზრებები საკითხთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ მოტანილი ნიმუშები აჩვენებს, სხვაობა ტექსტური და მართლწერის ხასიათისა, ჩნდება 1975 წლიდან და გვაქვს მხოლოდ ლექსის პირველ-მეორე სტრიქონებში, პუნქტუაციური — მთელ ტექსტში, შესაბამისად — თარგმანებშიც.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ ამ და სხვა ტექსტებს, პირველი სტრიქონი ისე უნდა დარჩეს, როგორც ეს არის ივანე ჯავახიშვილთან, „ხალხური პოეზიის“ თორმეტტომეულში და იოსებ ყიფშიძესთან — „ბჟა დია ჩქიმი“, რადგან ეს ის სტრიქონია, რაც უშუალოდ მიხრობელს ეკუთვნის. ტოგო გუდავას მიერ ჩამატებულმა და მართებულად ფრჩხილებში ჩასმულმა ზმნამ (რე მეგრ. „არის“), სტრიქონს დასრულებული სახე კი მისცა, მაგრამ არამცთუ შეცვალა, არამედ შექმნა მასში ჩარევის პრეცედენტი და გააჩინა სხვადასხვაგვარად ჩაწერის შესაძლებლობაც. სხვებთან, სხვა გამოცემებში ზმნის ფრჩხილებისგან განთავისუფლებამ ის სტრიქონის ნაწილად აქცია და მოძრავიც გახადა. მას ხან „დიას“ წინ დასმულს ვხედავთ, ხან — ბოლოში: „ბჟა (რე) დიაჩქიმი“ (ტ. გუდავა), „ბჟა რე დიაჩქიმი“ (გ. ბოჯგუა), „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ (კ. სამუშია)... ზმნის ჩამატებამ და მისმა გადასმა-გადმოსმამ ცვლილებები გამოიწვია სტრიქონის მართლწერაშიც. „დიას“ წინ დასმულმა ზმნამ სტრიქონში გააჩინა სიტყვა-კომპოზიტი „დიაჩქიმი“, ხოლო მის შემდეგ ნახმარმა „რე“ (არის) ზმნამ „დია“ ფორმა შეცვალა „დიდა“ ფორმით. ამდენად, ზმნის ჩამატებამ სტრიქონს დასრულებული სახე კი მისცა, მაგრამ შეცვალა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თუ ივანე ჯავახიშვილისეულ ჩანაწერს მივიღებთ, როგორც ლექსის პირველსახეს, გამოდის, რომ მოხდა მისი „ხელყოფა“, როდესაც ტოგო გუდავას მიერ ფრჩხილებში ჩასმული ზმნა სხვა გამოცემლებთან „გათავისუფლდა“ და

ლექსის ნაწილად მოგვევლინა.

ამგვარად, ზმნის ჩამატებამ და გამომცემელთა შეხედულებისამებრ მისმა ადგილმონაცვლეობამ პირველ სტრიქონში ხელოვნურად გააჩინა განსხვავებანიც. ერთი ის, რომ სტრიქონს ზმნა (რე „არის“) დაემატა, მეორეც ის, რომ, ზოგან მივიღეთ კომპოზიტი „დიაჩქიმი“ და შესამე — ზოგან „დია“ ფორმა შეცვალა „დიდა“ ფორმამ. საბოლოოდ ი. ჯავახიშვილისეული სტრიქონის — „ბჟა დია ჩქიმი“-ს ნაცვლად მივიღეთ დასრულებული, მაგრამ შეცვლილი სტრიქონები: „ბჟა რე დიაჩქიმი“, „ბჟა დიდა რე ჩქიმი“, რაც არასწორი მგონია. „მეგრულში დედა-სთვის ჩვეულებრივია, დიდა, დია, (დეა); დიდა ყუნს — დედა ჰყავს; დია-მუში — დედა-მისი; დია-სქანი — დედა-შენი; დია-ჩქიმი — დედა-ჩემი“, — წერს არნ. ჩიქობავა⁵

ცვლილებები შეეხო მეორე სტრიქონსაც და შეცვალა მისი მართლწერაც. აქაც, სიტყვა „მუმა“-ს და კუთვნილებითი ნაცვალსახელის — „ჩქიმი“-ს შეერთებით მივიღეთ კომპოზიტი „მუაჩქიმი“ (ტ. გუდავა, გ. ბოჯგუა, მეგრული პოეზიის ანთოლოგია). ამ ავტორებთან სიტყვამ მოძებნა სწორი ფორმა და ჩაიწერა როგორც „მუაჩქიმი“ და არა როგორც „მუმა ჩქიმი“, მაგრამ, ვფიქრობ, — არასწორი მართლწერით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენი აზრით, ი. ჯავახიშვილისეულ ტექსტში მხოლოდ ეს ერთი უზუსტობა უნდა იყოს. თუ ლექსის პირველ სტრიქონში სიტყვა „დედა“ მეგრულში „დია“ ფორმითაა წარმოდგენილი, ალბათ, სიტყვა „მამაც“ მეგრულსათვის მისი შესაბამისი „მუა“ ფორმით უნდა გვეჩინოდა და ნაცვლად „მუმა ჩქიმისა“ უნდა იყოს „მუა ჩქიმი“ (თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ეს საკითხი საკამათოც იყოს), რაც გასწორებულია ზემოთ ნახსენები სხვა ავტორების მიერ. ა. ჩიქობავას მსჯელობით, „მეგრულში ბაბას ნაცვლად ჩვეულებრივია მუმა — მუა (მუმა ყუნს, მამა ჰყავს; მუა-მუში — მამა-მისი; მუა-სქანი — მამა-შენი; მუა-ჩქიმი — მამა-ჩემი; მუა-ნთილი — მამამთილი)“⁶. სიტყვები — „დია“ და „მუა“ — მეგრულ ენას დღემდე აქვს შემორჩენილი. თუმცა გაბატონებულია „დიდა“ და „მუმა“ ფორმები.

ფართო ხმარებაშია ზემოთ ნახსენები „დიაჩქიმი“, „მუაჩქიმი“, ასევე სიტყვები — „დიანთირი“ (დედამთილი), „მუანთირი“ (მამამთილი). ცალკე „დია“ მეგრულში გვაქვს, როგორც მიმართვის ფორმა დედისა, შვილისადმი

⁵ ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 1.

⁶ ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

— „ღია, სქუა მუქი რე გაღოლუნი“ („დედა, შვილო, რა მოგივიდა?“). „ღია-ა“ რომ არც ქართულისათვის იყო უცხო, კარგად ჩანს სიტყვაში — „ღია-სახლისი“, რაც მათი საერთო ქართული ძირებიდან მომდინარეობაზე უნდა მუტყვევებდეს, მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი ყურადღების საგანი.

თუკი ვიტყვით, რომ ტექსტის მეორე სტრიქონში სიტყვა „მამა“, ისევე, როგორც სიტყვა „დედა“ პირველ სტრიქონში, ერთმანეთის შესაბამისი „ღია“ და „მუა“ ფორმებით უნდა გვქონოდა, მაშინ ამ თვალსაზრისით სწორი უნდა იყოს ის ტექსტები, სადაც ორივე შემთხვევაში ეს ფორმებია გამოყენებული, როგორც გვაქვს ტოგო გუდავასთან, გივი ბოჯგუასთან... მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ ივანე ჯავახიშვილთან და „ქართული ხალხური პოეზიის“ თორმეტტომეულში „ღია“ და „ჩქიმი“ და „მუმა“ და „ჩქიმი“ ცალ-ცალკე სიტყვებად არის წარმოდგენილი, ზემოთ ნახსენებმა ავტორებმა, მართალია, ჩვენი აზრით, მართებულად გამოიყენეს და ხმარებაში შემოიტანეს „მუა“ ფორმა, მაგრამ მშობლების აღმნიშვნელი სიტყვები კუთვნილებით ნაცვალსახელთან შეერთებით კომპოზიტებად აქციეს, რაც თავისთავად არ არის შეცდომა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ კონტექსტში მათი ცალ-ცალკე ყოფნა უფრო მართებული იქნებოდა, რაზეც უფრო ქვემოთ ვისაუბრებთ.

პირველ სტრიქონში ზმნის ჩამატება და ცვლილებები მართლწერის თვალსაზრისით არ ცვლის ტექსტის შინაარსს; პირიქით, უფრო გასაგებს ხდის მკითხველისათვის, როგორც დედანში, ისე თარგმანში, მაგრამ ცვლის ტექსტის სწორ აღქმას, კვლევის ობიექტისადმი სწორ მიდგომას.

როდესაც პირველ სტრიქონში რე „არის“ ზმნა გაჩნდა, ლექსმა დასრულებული ფორმა შეიძინა. ზმნის ჩამატებამ შეავსო უკმარისობის განცდა, რაც ჩნდება ი. ჯავახიშვილისეული, ჩვენ მიერ პირველწყაროდ მიჩნეული ტექსტის წაკითხვისას. თითქოს არამცთუ ლექსი, არამედ აზრი არ არის დასრულებული. მეგრულის მცოდნე გრძნობს ამ ნაკლებობას და ისაკლისებს მას. მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ ზმნა, რამაც სტროფს დასრულებული სახე მისცა, შემდეგში იქნა ჩამატებული. რაშია საქმე? რატომ დასჭირდა ლექსს ზმნის ჩამატება? საქმე იმაში უნდა იყოს, რომ ეს ოთხი სტრიქონი, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწია, სავარაუდოდ, არ უნდა იყოს სრული ლექსი, რასაც გვაფიქრებინებს სწორედ ზმნის საჭიროების გაჩენა დედანსა და თარგმანში. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ: ჩვენ წინაშე არა ლექსი, არამედ ნაწყვეტი, მხოლოდ მცირე ნაწილი აწ უკვე დაკარგული მთელისა — ოდისა თუ საგალობლისა, რაც შეთხზული უნდა ყოფილიყო უზენაესი ღვთაებების — შხისა და მთვარის სადიდებლად.

თუ ავტორისთვის მზე და მთვარე ადამიანის მშობლებია, ცაში მოკაიფე ურიცხვი (მღრ. მურიცხი) ვარსკვლავები მზისა (დედის) და მთვარის (მამის) შვილები და, მამასადამე, და-ძმებია. მისთვის სამყარო, რომლის სათავეში „მზე“ და „მთვარე“, ანუ „დედა“ და „მამა“ დგას, დიდი კოსმიური ოჯახია, ოჯახი, რომლის წევრი თვითონაც არის. ის ამ დიდი სამყაროს ნაწილი და ამ სამყაროელი დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრია.

ადამიანის ადგილი სამყაროში, მასთან ერთიანობისა და განუყოფლობის კოსმიური მსოფლშეგრძნება, საზრისი ისე სახიერად არის ჩატეული ამ ოთხ სტრიქონში, რომ დროს გაუძლო, არ დაიკარგა და ჩვენამდეც ამ სახით მოაღწია. ჩვენ არ ვიცით, ეს ლექსი თუ საგალობელის ნაწილი ამ ფორმით როდის შექმნა ადამიანმა, მაგრამ ვიცით, რომ ის უცილობლად გამოძახილია იმ რწმენა-წარმოდგენისა, რომელიც მან თავისი განვითარების აღრეულ საფეხურზე შექმნა, როცა იმ ცხოვრებით ცხოვრობდა სადაც გაბატონებული მდგომარეობა ქალს — დედას ეკავა. ამიტომ გაიგივდა დედა მთავარ მნათობ მზესთან, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელ ძალასთან, მთვარე — მამასთან. ეს ორი მნათობი ასტრალური პანთეონის მთავარ ღვთაებებს წარმოდგენდა უძველეს ხალხებში, მათ შორის ქართველთ წინაპრებში⁷.

ქართულ მითოლოგიურ მეხსიერებას, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ასტრალური პანთეონის მთავარი ღვთაებებისადმი მიძღვნილი უამრავი ფოლკლორული ძეგლი დაუცავს. უფრო მეტი დაკარგულია, ან მცირე ნაშთილია გადარჩენილი. ერთ-ერთი მათგანი, მცირე ნაწილის სახით შემორჩენილი, ეს პატარა ლექსიც უნდა იყოს, რომელიც, როგორც დიდ სამყაროსეულ ოჯახთან ადამიანის ერთობის გამომხატველი, გადარჩა და მოაღწია ჩვენამდე, თითქოს, როგორც მთელი, მაგრამ მაინც უსრული. აქედან უნდა მოდიოდეს ალბათ, ნაკლებობის ის განცდა, რაც ჩნდება მისი წაკითხვისას და რომლის შევსებასაც ყველა გამომცემელი პირველ სტრიქონში ზმნის ჩამატებით ცდილობს. თუმცა თარგმანისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ პირველ სტრიქონში ჩამატებული ზმნა. ივანე ჯავახიშვილთან, მიუხედავად იმისა, რომ მეგრულ ტექსტში არ არის, თარგმანში არა ერთი, არამედ სამია: პირველ-მეორე და მეოთხე სტრიქონებში. პოეზიის თორმეტტომეულში ორია: პირველსა და ბოლოში; ასევეა სხვა ავტორებთანაც. საბოლოოდ თარგმანი, თუმცა ვარიანტული სხვაობით, ძირითადად შემდგენიარად ჩამოყალიბდა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩე-

⁷ ი. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93-99.

მი, მოკაშკაშე ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“.

მაგრამ (ჩვენ მიერ მცირედ შესწორებული), თავდაპირველი ტექსტი თუკი ის არის, რომელიც ი. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა, მაშინ მისი ზუსტი თარგმანი ასე გამოიყურება: „შე დედა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი (სხვადასხვა) ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“.

როგორც ვხედავთ, თარგმანიც აშკარად ნაკლებია. აკლია ზმნა (ზმნები), რომელიც შემდეგში ხელოვნურად ჩნდება დედანსა და თარგმანშიც. ამიტომაც მიგვაჩნია ეს ოთხი სტრიქონი ლექსად ნათქვამ, არა დასრულებულ მხატვრულ ძეგლად, არამედ ნაწვევებად, როგორც თავისი სისხლსავსეობის წყალობით გადარჩენილი ნაშთი.

ეს გვქონდა მხედველობაში, როდესაც ვწერდით თარგმნისას გადატანის სიზუსტის მნიშვნელობაზე სამეცნიერო მიმოქცევისათვის განკუთვნილი ნებისმიერი ტექსტისათვის, რაც შეიძლება იყოს წყარო კვლევისათვის, რათა მკვლევარმა სწორი და ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას საკვლევი ობიექტის მიმართ. თუმცა, ვიმეორებთ, ნებისმიერ ჩარევას, არც ერთ შემთხვევაში, არც ტექსტში და არც თარგმანში, ცვლილება შინაარსის მხრივ არ გამოუწვევია, მაგრამ მასზე სწორი წარმოდგენის შექმნას კი ნამდვილად ხელს ვუშლით, როცა მას ხელოვნურად ვაძლევთ დასრულებულ სახეს.

თუ ეს სტრიქონები მართლაც არის რაღაც უფრო დიდი ტექსტის ნაწილი, მაშინ ის რაღაც, მშობლებად — დედად და მამად მოაზრებული, სამყაროს უზენაესი ასტრალური ღვთაებებისადმი მიძღვნილი საგალობელი უნდა ყოფილიყო, რომელშიც ავტორი ხოტბას ასხამდა თავის მწყალობელ ზეციურ ძალებს, ხოლო ჩვენამდე მოღწეული სტრიქონები, მის ცალკეულ სტროფებს აღეკნებული რეფერენი, რომლითაც ავტორი კიდევ უფრო ამძაფრებდა, აძლიერებდა საგალობელის ძირითად იდეას — აზრს. ამას გვაფიქრებინებს ლექსის სიმცირე, წყობა და, რაც მთავარია, მისი დაუსრულებელი ფორმაც ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მეორე, რაზეც გვსურს ყურადღების გამახვილება, პირველ-მეორე სტრიქონებში მართლწერის საკითხია.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის — „ჩქიმის“ სახელებთან: „ღია“ და „მუას“ ურთიერთმიმართება. ისინი ზოგან ცალ-ცალკეა ხმარებული, ზოგან — ერთად, კომპოზიტის სახით. მშობლების მიმართ ფამილარული დამოკიდებულების გამომხატველი „ღიაჩქიმი“ (დედაჩემი) და „მუაჩქიმი“ (მამაჩემი) — ლექსიკური ერთეულები მეგრულ ენასაც აქვს და ქართულ ენასაც. ამდენად, მათი ხმარება შეცდომა არ არის, მაგრამ მოცემულ კონტექსტში მათი ცალ-ცალკე, — „ღია ჩქიმი“ (დედა ჩემი) და „მუა ჩქიმი“ (მამა ჩემი)

ფორმით წარმოდგენა — უფრო მართებული მგონია და ისე უნდა დარჩეს, როგორც ეს ი. ჯავახიშვილისეულ ტექსტშია.

საგალობლები, სახოტბო სიმღერები, როგორც წესი, მადლიერების გამოხატულებაა, ვედრებაა დიადი ღვთაებების მისამართით თქმული. სახოტბო ლექს-სიმღერა განადიდებს ადამიანებზე კეთილმოქმედ უზენაეს ძალებს, იმ სიკეთების გამო, რომელთაც ის ყოველდღიურად იღებს უზენაესისგან. უწოდებს რა მათ შხეს და მთვარეს — დედას და მამას, იგი ვერ იქნება ვერც ფამილარული, სათაყვანო ზეციური შშობლების მიმართ და არც მისი რიდით ნათქვამი „ბჟა დია ჩქიმი“ იქნება კატეგორიულობის ელფერის მატარებელი, როგორც ხდება ზმნანამატი „ბჟა დია რე ჩქიმი“; ან ასევე კატეგორიულიც და ფამილარულიც ერთდროულად, „ბჟა რე დიაჩქიმი“-ის შემთხვევაში.

და თუ მართლაც საქმე მისამღერის ოთხი სტრიქონის სახით გადარჩევილ საგალობელთან გვაქვს, მაშინ მასში არც ფამილარული და, მით უფრო, არც მტკიცებულებითი ფორმის ადგილი არ უნდა იყოს.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რაც ეხება ტექსტის პუნქტუაციას. როგორც ზემოთ მოტანილი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში მეგრული ტექსტი სასვენი ნიშნების გარეშე აქვს წარმოდგენილი. პოეზიის თორმეტტომეულში მიძიებება დასმული პირველი და მეორე სტრიქონების ბოლოში, ხოლო ორკეცად ნახმარი „ხვიჩა“ შეერთებულია დეფისით, რასაც ტოგო გუდავამ და ოთარ ქაჯაიამ დაუმატეს ტირეები მეორე სტრიქონში სიტყვებს შორის — „თუთა“ და „მუაჩქიმი“. საბოლოოდ, პუნქტუაციის თვალსაზრისით, ლექსი გაიმართა, თუმცა ვგონებ, მესამე სტრიქონის ბოლოში დასმული ტირე არ უნდა იყოს აუცილებელი, ისევე, როგორც ეს არ არის პოეზიის თორმეტტომეულსა და ტოგო გუდავასთან.

ახლა, როცა ვისაუბრეთ ტექსტისა და თარგმანის შესახებ, ჩამოვაყალიბეთ ჩვენეული საბოლოო ვარიანტი, როგორც ფორმის, ასევე მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით, დაგვრჩა ერთი, ფრიალ „თავსატეხად“ ქცეული სიტყვის თარგმნა ისე, რომ შეძლებისდაგვარად დაცული იყოს თარგმანის სიზუსტე. ეს არის მესამე სტრიქონში ორკეცად ნახმარი „ხვიჩა-ხვიჩა“, რომლის შესატყვისის პოვნა ძნელი გამხდარა, რასაც მოწმობს ყველგან, ყველა გამოცემაში მისი სხვადასხვაგვარად წარმოდგენა: ივანე ჯავახიშვილთან „სხვადასხვა“, რაც შორს დგას სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობისაგან, თორმეტტომეულში — „მოციმიციმე“, გივი ელიავასთან — „თვალბრიალა“, სხვებთან — „მოკაშკაშე“, „მოჩაჩაჩაჩე“, „წერილ-წერილი“, „ფართე-ფართე“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უდრის ტექსტის

„ხვინა-ხვინას“. ამდენად არასწორია, თუძცა გარდა ზოგიერთისა („სხვა-დასხვა“, „ფართე-ფართე“ „წვრილ-წვრილი“) „უფლება აქვთ“, ივენენ თარგმანში, რამდენადაც ისინი **მურუცხეფის** „ვარსკვლავების“ ეპითეტები-ა. ვარსკვლავები ციმციმებენ, კაშკაშებენ, კიაფობენ, ბრწყინავენ, რაც მათი თვისებაა, თვისება ნათებისა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი ეს თვისება სემანტიკურად არ შეესაბამება სათარგმნ სიტყვას.

დაისმის კითხვა: როგორ გადავიტანოთ იგი ქართულში ისე, რომ დაცული იყოს სემანტიკური მნიშვნელობა? გვაქვს თუ არა ქართულში „ხვინას“ ადეკვატური, ან თუნდაც მნიშვნელობით მასთან მიახლოებული სიტყვა?

ჯერ გავარკვიოთ თავად სიტყვა „ხვინას“ მნიშვნელობა მეგრულში. ცნობილია, რომ „ხვინა“ მეგრულში მამრობითი სქესის პიროვნული სახელია. მეგრულ ლექსიკაში გვაქვს მისგან ნაწარმოები სიტყვები: „ხვეწერია“ და „გოხვიჩინაფილი“, რომლებიც სავსეს, ღმილიანს, სახენათელს, თვალ-შუქიანს ნიშნავს. ე. ი. ამ სიტყვების ამოსავალი, პიროვნულ სახელადქცეული **ხვინა** „ნათელს“, „სავსეს“ გულისხმობს.

მელექსისათვის ციური სხეულები — მზე და მთავრე ადამიანის მშობლები, ხოლო ვარსკვლავები და-ძმები არიან, ამდენად გასულიერებულნიც. იგი თავის სახენათელ ციურ და-ძმებს სასიამოვნო ეპითეტით მოიხსენიებს და მით კეთილ დამოკიდებულებასა და სიყვარულს ავლენს დიდი კოსმიური ოჯახის შორეული, ურიცხვი წევრების მიმართ.

ვნახეთ, რას ნიშნავს „ხვინა“ მეგრულში. ახლა ვცადოთ, ვიპოვოთ ქართულში ასეთივე სემანტიკური დატვირთვის მქონე სიტყვა. გვახსენდება მამრობითი სქესის პიროვნული სახელი „ბადრი“, რომელიც მთვარის ეპითეტად იხმარება. „ბადრი მთვარე“ ნათელსა და სავსე მთვარეს გულისხმობს. „ბადრისაგან“ არის ნაწარმოები სიტყვა „გაბადრულიც“, რაც ასევე ღმილით განათებული სავსე სახეა. ნათელი, სავსე სახის მამაკაცზეც იტყვიან „პირბადრიაო“⁸.

როგორც ვხედავთ სიტყვები — „ხვინა“ (მეგრ.) და „ბადრი“ (ქართ.) ერთი და იგივე შინაარსისაა. მათგან ნაწარმოები „გოხვიჩინაფილი“ (მეგრ.) და „გაბადრულიც“ (ქართ.) შინაარსობრივად ერთნაირი დატვირთვის მატარებელი სიტყვებია და უკვე არ არიან შეზღუდულნი სქესით. მაშასადამე, ამ სიტყვების სემანტიკურ საფუძველში მათი, როგორც ნათელის, სინათლით სავსეს მნიშვნელობა დევს, რაც ადამიანებთან მიმართებაში ღმილით სა-

⁸ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1950, გვ. 1050.

ხეგნათების, გაციოსკროვნების მნიშვნელობასაც იძენს.

მამასადამე, ქართულში „ბადრი“სიტყვამ, რაც სავსეს, ნათელს და ნათლის შუქითმოსილს გულისხმობს, წარმოშვა სიტყვამსაზღვრელი „გაბადრული“ (ღიმილით სახეგანათებული), მაგრამ მეტყველებას პიროვნულ სახელად შემორჩა და ეპითეტად კი ორ კონკრეტულ შემთხვევაში: ერთგან, როგორც სავსე, ნათელი მთვარისა — „ბადრი მთვარე“ და მეორეგან, როგორც ნათელსახიანი მამაკაცისა, სიტყვაში — „პირბადრი“. ის მეტად არ გვხვდება. მისი მნიშვნელობა მთლიანად გადავიდა სიტყვა „გაბადრულში“, ხოლო „უფლებები“ დავიწროვდა.

ცოტა უკეთეს მდგომარეობაშია „ხეია“ მეგრულში, რომელიც ასევე მამაკაცის პიროვნული სახელი გამხდარა და წარმოქმნილი ეპითეტებისა — „ხეიქერია“, „გოხეიჩინაფილი“, „თოიხეია“. მაგრამ ამასთანავე დარჩენილა ცალკე სახმარ სიტყვადაც: **ჩქიმი ხეია ძღაბი რექ**, „ჩქიმი თვალციმიცომა გოგო ხარ“, **ჩქიმი თოი ხეია ბაღანა**, „ჩქიმი თვალმახარა შვილი“.

ზემოთქმული რომ შევაჯეროთ, **ხეია** საყვარელს, ღამაზს, სავსეს და ნათელს, ღიმილით სახეგანათებულს ნიშნავს. მაგრამ მთავარი მაინც ღიმილი და ღიმილით სახეგანათებულისა, ანუ გაბადრული. **გაბადრული** თავისი მნიშვნელობით უფრო მიესადაგება სიტყვას „გოხეიჩინაფილი“, რაც ავტორს თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა, მაგრამ მან „იპოვა“ და გამოიყენა მხოლოდ ის ფორმა, რაც მოცემულ კონტექსტში უკეთ გამოხატავს სათქმელის არსს. სათქმელი კი მელექსისათვის თავისი შორეული, ურიცხვი და-ძმებისადმი, თითოეულისადმი ცალ-ცალკე და ერთად ყველასადმი, სიყვარულის გამოვლენაა, მოფერებაა.

ორკეცად ნახმარი „ხეია“, ერთი რომ, ობიექტის სიმრავლეს უსვამს ხაზს, მეორე მხრივ კი ავტორის მხრიდან ის იშვიათი მიგნებაა, როცა მელექსე ქვეცნობიერი პოეტურობით აღწევს მიზანს და მოიხელთებს ხოლმე იმ სიტყვას, იმ ფორმას, რაც საუკეთესოდ ჯდება კონტექსტში. „ხეია--ხეია“ არამართო ამბაფერებს, არამედ აზუსტებს სათქმელს. მან სათქმელი ერთად კი არ მიმართა ყველასკენ, არამედ თითოეულისკენ ცალ-ცალკე და ასე გამოხატა თავისი დიდი სიყვარული ურიცხვი ციური და-ძმებისადმი.

„ხეია-ხეიას“ ზუსტი თარგმნა შეუძლებელია, რადგან ის ენის თავისებურებებიდან მომდინარეობს და მისი სიტყვა-სახეა საგანთან, ამ შემთხვევაში ვარსკვლავებთან მიმართებაში. მისი ახსნა შესაძლებელია, ზუსტი შესატყვისის პონა — შეუძლებელი. ამიტომ გადავიდა თარგმანებში ყველგან სხვადასხვაგვარად, თანაც ისე, რომ არ იქნა გათვალისწინებული ერთი ნიუანსი: სიტყვა, ვარსკვლავებთან, არა როგორც ფიზიკურ სხეუ-

ლებთან, არამედ როგორც სულიერ არსებებთან, და-ძმებთან მიმართებაშია გამოყენებული, რასაც ძველქვემო ძალზე მსუბუქი პოეტური ფორმით მიაღწია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით საჭიროდ მიგვაჩნია თარგმანისთვისაც მოიძებნოს მსგავსი პოეტურობით ნიშანდებული, ისეთივე დატვირთვის მქონე სიტყვა, როგორც ხვინა-ხვინაა. როგორც ვნახეთ „ხვინა“ ღიმილის შუქით მოსილს, ნათელს, მომღიმარ-მოცინარეს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ხომ არ აჯობებდა ეს სიტყვა ქართულში გადავიტანოთ როგორც „მოცინარე“, რომელიც პოეტურიცაა და იმავე ფარული აზრის მატარებელიც, რაც „ხვინა-ხვინას“ გააჩნია. მოცინარე სახე შეფარვით ნათლის შუქით მოსილსაც გულისხმობს. გავიხსენოთ გამოთქმა: „ღიმილით სახეგანათებული“. ღიმილი ადამიანის სახეს შუქით მოსაეს, აბრწყინებს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მოცინარე და არა მომღიმარე. ისინი ხომ სინონიმებია? საქმე ის არის, რომ ვინც „მომღიმარეა“, არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის ასეთია, ყოველთვის გაღიმებულია. მომღიმარე მხოლოდ გარკვეულ მომენტშია ასეთი, მაშინ, როცა „მოცინარე“ მუდამ ასეთია: „რაც უცინის, წითელ, ლაჭაღა სახეს ცისფერი, მოცინარე თვალები ამშვენებდა [ვაჟა]“⁹. მოცინარესთვის ღიმილი თვისებაა. ვარსკვლავებიც ხომ მარადიული ღიმილით სახეგაბრწყინებულნი გადმოჰყურებენ თავიანთ მიწიერ და-ძმებს — ადამიანებს.

საბოლოოდ, თუკი ჩვენი მოსაზრება მისაღებია, მაშინ მეგრული ტექსტი, ყოველ შემთხვევაში სამეცნიერო მიმოქცევისათვის განკუთვნილი მაინც, ისე უნდა დარჩეს, როგორც ივანე ჯავახიშვილთან გვაქვს (მეორე სტრიქონში მცირე შესწორებით) და როგორც ხალხური პოეზიის თორმეტტომეულშია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსის ჩვენეული საბოლოო ვარიანტი, როგორც ტექსტური, ასევე მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით, ღედნისა და თარგმანისთვის, ასეთია:

ბჟა — ღია ჩქიმი,	მზე დედა ჩემი,
თუთა — მუა ჩქიმი,	მთვარე — მამა ჩემი,
ხვინა-ხვინა მურიცხეფი	მოცინარე ვარსკვლავები
და ღო ჯიმა ჩქიმი“.	და ღო მამა ჩემი.

რა თქმა უნდა, არა გვაქვს არანაირი პრეტენზია იმისა, რომ ამით საკითხი საბოლოოდ ამოიწურა. უბრალოდ, შევეცადეთ გამოგვეთქვა ჩვენეული მოკრძალებული მოსაზრებები ოთხპკარიანი ლექსის ირგვლივ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

⁹ ქველ, V, 1950, გვ. 1050.

გურამ ჩიქოვანი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი)

ერთი მეგრული შაირის გამო

შესავალი. საზოგადოების განვითარების ხანგრძლივ და რთულ გზაზე აღამიანებმა ბუნებასთან ან ერთმანეთთან ურთიერთობის გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმა შექმნეს, რომლებიც დაფიქსირებულია ზეპირ სიტყვიერებაში, ხელოვნებაში, ხუროთმოძღვრებაში, ხატწერასა და დამწერლობაში. კაცობრიობამ ქვის ხანიდან მოყოლებული დღემდე დაგვიტოვა ნივთიერი და სულიერი კულტურის მრავალი ასეთი ნიმუში. შუა საუკუნეებში აზია-ევროპის ქვეყნების ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით გავრცელებული ლექსის ტიპებიდან, საქართველოში გამორჩეული ადგილი დაიკავა შაირმა, რომლითაც მსოფლიო სულიერ საგანძურში ერთ-ერთი გამოკვეთილი საკუთარი ნიშა გვაქვს.

შაირის მოკლე განმარტება-დახასიათება. 1. სახელდახელოდ შექმნილი პატარა სახუმარო ლექსი (შაირი უთხრა). 2. რუსთაველის 16-მარცვლიანი ლექსი სალექსო სტრიქონით (ქართ. ლექსიკონი). შაირი არაბულად — შაჰირ¹ შაირ- — ლექსი, მონორითმული ოთხტაქვიანი კატრენია. მეორენაირად მას რუსთაველისეულ კატრენსაც უწოდებენ. 16-მარცვლიანი შაირის სახესხვაობად თვლიან 8 და 4-მარცვლიან ტაქვებს². სხვა განმარტებით, არსებობს რვამარცვლიანი შაირის ორი სახეობა: ქორეულ-პეიონური (მაღალი) და ქორეულ-დაქტილური (დაბალი). რუსთაველი იყენებს ორივეს³. რუსთაველის 16-მარცვლიანის გვერდით ვითარდებოდა შავთელური, ჩახრუხაული 20, მოგვიანოდ კი 14-მარცვლიანი ბესიკური და ა. შ.⁴. შაირი ასევე განმარტებულია, როგორც სატრფიალო-საგინგლო, ფილოსოფიური ლექსი⁵. ეპიკური ლექს-შაირების გარდა, ეთიკურ-ესთეტიკური კუთხით ძირითადად განიხილავენ სახუმარო და უცენზურო-საგინებელ შაირებს, რომლებიც, ჩვენი მრავალფეროვანი ეთნიკური ჯგუფიდან და ყოფითი კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებიდან გამომდინარე, თავისებური და გამოსაცნობად ადვილია. სანამ უშუალოდ კონკრეტულ საკითხზე გადავი-

¹ თ. ბექიშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, 2016,

² ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია

³ ქსე, თბ., ტ. X, თბ., 1986, გვ. 676

⁴ თ. ბექიშვილი, ლექსის ტიპები. ინტერნეტ გაზეთი. 7. 07. 2016. mastsavlebeli.ge Google

⁵ შ. ჩიქოვანი, ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორია I, თბ., 1975, გვ. 427

დოდეთ, ერთხელ კიდევ მივუბრუნდებით შაირის თემას.

საქართველოში შაირის განვითარების მოკლე ისტორია. საქართველოში IV ს-ის I ნახევრიდან, სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებისა და დამწერლობის შექმნის შემდეგ, სწრაფად განვითარდა კულტურა. უპირველესად ეს აისახა მაღალი დონის ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების წერასა, ან სხვა ენებიდან სახარებისა და რელიგიური ნაშრომების თარგმნაში. ეკლესია- მონასტრების მშენებლობასთან ერთად ქვეყნის შიგნით და გარეთ ვითარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. წინააღმდეგობებით სავსე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გვირგვინი კი იყო XII-XIII სს-ში ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და რუსთაველის ეპიკური ლექსი-შაირი „ვეფხისტყაოსანი“.

როგორც ცნობილია, რუსთაველის შემოქმედების გარშემო უამრავი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული კვლევა არსებობს, რომლებიც, ბოლო წლების გამოკვლებით, თავმოყრილია რუსთაველოლოგიის ამ კრებულებში⁶. ამიტომ, სათაურად გამოტანილი თემიდან გამომდინარე, ძირითადად შევეხებით შაირთან დაკავშირებულ ცალკეულ ნაშრომებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით ქართულ მწერლობაში შაირის მნიშვნელობის, ხასიათის პირველი შემფასებელი თვით რუსთაველია და მკვლევარები სწორედ ამაზე ამახვილებენ ყურადღებას. რუსთაველი პოემის „დასაწყისში“ ანუ პროლოგში სამყაროს შემოქმედ და კაცობრიობისათვის უთვალავი ფერებით შემკული ქვეყნიერების მომცემ ღმერთს მიმართავს და მისი ძალის შემწეობით იწყებს მეფე თამარისა და სხვა პერსონაჟების ხოტბის შესხმას. რუსთაველი მათ საქებრად არ იმურავებს გონებას, ენას, გულს და ხელოვანებას და ამისთვის მსმენელთათვის მეტად მარგ სიბრძნის ერთ დარგს — შაირს იყენებს. რუსთაველის შესედულებით, მო-

⁶ გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1957; გ. არაბული, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, II. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. 1957-1965 წლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბ., 2002; მისივე, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, III, 1966, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკად. გ. წერეთლის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის ინსტიტუტი. თბ., 2013; მისივე, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, IV, 1967-1980. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი. თბ., 2009; მისივე, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, V, 1981-2000 წწ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი. თბ., 2012

შაირე სხვა სიკეთესთან ერთად განსაკუთრებით უნდა ფლობდეს სამ თვისე-
ბას; 1). საჭიროების შემთხვევაში არ უნდა უჭირდეს გრძელი სიტყვის მოკ-
ლედ თქმა; 2). მოშაირე უნდა იყოს ხელმარჯვე, ენაწყლიანი და არა ერთი
ან ორი შაირის მთქმელი; 3). თუმცა რუსთველი მაინც უპირატესობას ანი-
ჭებს სამიჯნურო-საგმირო, სასიამოვნოდ მოსასმენ და სასიმღერო ეპიკურ
შაირს.

მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ „ვეფხისტყა-
ოსნის“ პროლოგის მე-12-მე-17 სტროფებზე, სადაც გადმოცემულია შაირო-
ბის რუსთველური თეორია⁷. სხვა შეფასებით რუსთაველი ერთმანეთს არ
უპირისპირებს შაირობის ორ სახეობას საღვთოსა და საეროს, არამედ ზო-
გადად შაირობაზე საუბრობს, რომლის მეთოდოლოგიური წყაროა ანტიკურ-
რობა, კერძოდ პლატონისა და არისტოტელეს პოეტიკური კონცეფციები⁸.
ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მრავალფეროვანი ზეპისიტყვიერე-
ბისა და სამონასტრო შემოქმედების წიაღიდან ამოზრდილი რუსთაველის
საერო ეპიკური ლექსი-შაირი სრულ პარმონიაშია როგორც აღმოსავლურ,
ისე დასავლურ ტრადიციებთან. ამით რუსთაველი გახდა კულტურული
განვითარების ახალი ეტაპის — აღორძინების ერთ-ერთი მთავარი შემოქმე-
დი და ამასთანავე, ეპიკური ლექსის ახალი დარგის — შაირის მიუწვდომე-
ლი მეტრი. **ამიტომ საქართველოში შაირობის განსაკუთრებული პოპულა-
რობის გამო შუა და გვიან შუასაუკუნეების ქართულ პოეზიას შეიძლება
„შაირის ეპოქა“ ვუწოდოთ.**

სამწუხაროდ, XV საუკუნიდან, ერთიანი საქართველოს მოშლას და
ქრისტიანული მრწამსის დასუსტებას საღვთო და საერო მწერლობას შო-
რის დაპირისპირება მოჰყვა, რომელიც ასე შეაფასეს ქართლის მეფეებმა
თეიმურაზ I (1589-1663 წწ.) და არჩილ II-მ (1647-1713 წწ.). „არვის უნდა
სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“, „საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდო-
თა და უბუღობით, საშაიროს ინახავდნენ სტავრის ბუღით ან ნახლობით“⁹.
მოგვიანებით კათალიკოსმა ანტონ I- მა (1720- 1788 წწ.) ქრისტიანული
მრწამსის განმტკიცების მიზნით, გატარებული რიგი დადებითი რეფორმის

⁷ ზ. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის სტროფული კომენტარები: შაირობის რუსთველური თეორიის
შეჯამება, „ქართველოლოგი“, №25, თბ., 2009, გვ. 267- 268; <https://www.academia.edu> Google,
le,

⁸ ზ. ხინთიბიძე, შაირობის რუსთველური თეორიის მიმართებისათვის ანტიკურ სამყაროსთან.
„ქართველოლოგი“ #17(2). თბ., 2012. <http://kartv.tsu.ge> Google, გვ. 97-118

⁹ ალ. ბარამიძე, ლირიკის მთავარი მოტივები. 7.07.2010. <https://burusi.wordpress.com>18com.
Google. 2010

შემდეგ, სასწორზე დაღო საერო საშაირო პოეზია. ანტონმა მაღალი წარმოდგენის მიუხედავად რუსთაველს „ამაოდ დამაშვრალი პიიტიკოს- მესტიხე“ უწოდა და „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტიანული მრწამსისთვის მიუღებელ ნაწარმოებად გამოაცხადა. რბილად რომ ვთქვათ ანტონის ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ეხებოდა ვახტანგ VI- ეს (1675-1737 წწ.) დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც, რომელმაც 1709- 1712 წლებში პირველად დაბეჭდა და ყდაში ჩასვა 14 წიგნი, რომელთაგან 11 სახარების ჩათვლით სასულიერო იყო, 2 სასწავლო- სახელმძღვანელო, და ერთი საერო, „ვეფხისტყაოსანი“¹⁰. კათალიკოს ანტონ I-ის ასეთი მიდგომა შეიძლება განვიხილოთ არამხოლოდ საქართველოს, არამედ მაშინდელი წინააღმდეგობრივი ქრისტიანული სამყაროს სუსტი მხარის ერთ-ერთ გამოძახილად. მაგრამ დროთა განმავლობაში, ღვთის წყალობით, ყველამ თავისი წილი აღიარება და დაფასება მიიღო და მათ შორის რუსთაველმა. რუსთაველის შემოქმედებითი მოღვაწეობა მაინც საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ თანაზიარია და აკადემიკოსმა გ. წერეთელმა „ვეფხისტყაოსანს“ გეომეტრიისა და მათემატიკის უღამაზეს ხერხზე, სიმეტრიასა და ოქროს კვეთაზე აგებული ქმნილება უწოდა. „ვეფხისტყაოსნის“ 1587 სტროფიდან 863 ამ ხერხზეა აგებული და ამიტომ ჟღერს ასე მუსიკალურად. ამით რუსთაველმა სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი და მსოფლიო კულტურულ საგანძურში ტიცინანის, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის გვერდით დადგა¹¹.

ეხლა ზემოთ მოხმობილ ერთ საკითხს მინდა ისევ მივუბრუნდე. ქართულ მწერლობაში მიაჩნიათ, რომ შაირი ლექსის მნიშვნელობით არაბული შირ/შაჰირი-სგან მომდინარეობს, მაგრამ კიდევ ერთ სემიოტურ ენაში, ებრაულში შირ სიმღერას ნიშნავს. რუსთაველი ზომ თვითონ აღნიშნავს „ლექსი კარგია სანადიმოდ სამღერელად, საამიკოდ, საღალღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“¹². შესაბამისად „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება განვიხილოთ სიმეტრიასა და ოქროს კვეთაზე შექმნილი მუსიკალური, სასიმღერო ნაწარმოები. ამის მოგვიანო დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად შეიძლება მოვიხსნოთ XIX ს-ის შუა წლებში შეთხზული პოპულარული ხალხური ლექსი

¹⁰ ნ. გიორგაძე, ვახტანგ მეექვსის შემოქმედებითი პროფილი. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული #1(23), თბ., 2020. <https://tesau.edu.ge> PDF Google, 93

¹¹ M. Tchagiasvili, ოქროს კვეთა პოეზიაში, ილიას სახელობის უნივერსიტეტი. 5. 01. 2013. [https:// sites. Com/a/iliauni. edu. Google](https://sites.com/ailiauni.edu)

¹² შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 2016, გვ. 13

არსენა ოძელაშვილზე, რომელსაც თურმე გუდამესტიკირენი სახალხო დღესასწაულებზე მღეროდნენ¹³. თუ ეს ასეა, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ფესვები უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ ადგილობრივ წარმართულ-ქრისტიანულ, ძველბერძნულ, ბიბლიურ და წინარეისლამურ კულტურულ ტრადიციებში¹⁴, არამედ შუემერულ-აქადურ, ხური-ურარტულ და ძველევგვიპტურ წიაღშიც. მიგვაჩნია, რომ რიგი ფუნდამენტური ნაშრომების არსებობის მიუხედავად, ეს საკითხი შემდგომ კვლევას იმსახურებს.

მეგრული ხალხური შაირის ნიმუში. განსახილველი შაირის ვარიანტი, რომელიც ბავშვობიდან დამამახსოვრდა, სულ ოთხტაქიანი ერთი სტროფია და ასე ჟღერს:

შაირშენი შაირს გიწინქ,

ნინას ვამგოთტრაფუა,

წისქვილიშა გოიტენქ

ღო ქვირს მუგონთტრაფუა.

ლიტერატურულ ქართულ ენაზე შაირის ჩემეული შინაარსი ასეთია:

შაირზე შაირს გაუწყებ,

ენას არ მოგაცვლევინებ,

წისქვილში გაოტებ

ღა ფქვილს მოგათრევინებ.

არსებობს შაირის ოდნავ განსხვავებული ვარიანტი. „წისქვილიშა გოიტალე“... წისქვილში გაგოშეებ...¹⁵, მაგრამ ეს არ ცვლის ჩვენი ვარიანტის შინაარსს. მოხმობილი შაირი სახუმარო-საგინგლო ლექსს წარმადგენს და ეთიკა-ესთეტიკის ყველა ნორმას აკმაყოფილებს. შინაარსის მიხედვით ეს არის მოშაირე წყვილის გაჯიბრების ერთი შუალა სტროფი, როცა ორივე მოპაექრე რიგითობით ცდილობს მისთვის უპირატესობის მომტანი სხვადასხვა შინაარსის შაირი თქვას. საბოლოოდ მარცხდება ის, ვინც შაირზე შაირით ვერ უპასუხებს. ჩვენი ინტერესი შაირის მეორე ტაქების საკმაოდ ტევადმა სიტყვამ — **ვამგოთტრაფუა**-მ მიიპყრო და მას განვიხილავთ მეოთხე ტაქების თითქმის მსგავსი აგებულების **მუგონთტრაფუა** სიტყვასთან ერთად. ორივე სიტყვა განხილულია სხვადასხვა ავტორთა ლექსი-

¹³ ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, ნაწილი IV. თბ., 2001. <http://saunje.Ge> Google. 2001

¹⁴ ე. ხინთიბიძე, თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტის პროექტი, თბ., 2018; <https://www.academia.edu> PDF. Google, 18

¹⁵ ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, თბ., 1975, გვ. 239

კონებში. გ. ელიავა ფუძისეულ **თბრუა**-ს ორი მნიშვნელობით განიხილავს. 1. თბრუა „თრევა“, ნთბრუნს „ათრევს“, მიდანთბრუ „წათრია“ და ა. შ. 2. თბრუა — ცვლა (გაცვლა). თბრანს „ცვლის“, გოთბრანს „გაცვლის“, გოთბრუ „გაცვალა“, გუთბრუ „გაუცვლია“, მათბრალი „შემცვლელი“, ოთბრალი „გასაცვლელი“, ქვეთბრი „შენაცვლე“ და ა. შ.¹⁶. ო. ქაჯაია მათ მარტებულად ცალ-ცალკე განიხილავს **თბრუა**, **ნთბრუას** მნიშვნელობით და გ. ელიავასთან შედარებით მეტი მაგალითი მოაქვს. ავტორის აზრით, ფუძით ერთნაირი აგებულების ამ ორ სიტყვას სწორედ ნ აძლევს სხვადასხვა მნიშვნელობას და ნ წარმოადგენს ა) ფონეტიკურ დანართს ზოგიერთი სიტყვის დასაწყისში (ნგარა — გლოვა, ტირილი); ბ) ჩანართს ზოგიერთ სიტყვაში (იმენდი, შანქარი) და ა. შ. თან ნ-ს განვითარების ტენდენცია უფრო ძლიერია ზუგდიდურ-სამურზაყანურში, შედარებით ნაკლები — სენაკურში¹⁷. აღსანიშნავია, რომ თბრუა-საგან განსხვავებით (ცვლა, გაცვლა, შენაცვლება), ნთბრუა-ს შესატყვისი თრევა დაფიქსირებულია ძველ ქართულში სხვადასხვა წინსართების დართვით. გამოთრევა, განთრევა, დათრევა და ა. შ.¹⁸. თბრუა (ცვლა, გაცვლა და ა. შ.) მნიშვნელობის განხილვისას გ. ელიავას ლექსიკონიდან ჩვენ მოვიხმეთ ცვლა, გაცვლა, შენაცვლების აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა, რომელთაგან აუცილებელია ცალკე გამოვყოთ სამეურნეო-ყოფითი ურთიერთობის ყველაზე ძველი და მარტივი ფორმის, საქონლის საქონელზე გაცვლის ამსახველი სიტყვა **თბრუა**. სამეურნეო საქმიანობაში საქონლის საქონელზე გაცვლის ეს მარტივი ფორმა ქვის ხანაში ჩაისახა და მსოფლიოში გარკვეული დოზით დღემდე შემორჩენილი. საქონელბრუნვის ამ მარტივ, მაგრამ აუცილებელ ფორმას ძვ. წ. IV-III ათასწლეულში ძველ აღმოსავლეთში მოჰყვა ადრეკლასობრივი ქალაქ-სახელმწიფოების შექმნა, სადაც არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა და შემდეგ გაიშიფრა ეკონომიკური აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების ამსახველი არტეფაქტები¹⁹. საინტერესოა უფრო მოგვიანო, ჰეროდოტესთან დაცული ვინმე კართაგენელის მონაყოლი ცნობა. ლიბიაში ჰერკულესის

¹⁶ გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მარტვ.-თბ., 1997, გვ. 173

¹⁷ ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი 3 ტომად. ტ. II, თბ., 2002, გვ. 51- 52

¹⁸ გ. რუხაძე, ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა. თბ., 2008

¹⁹ გ. კვაშილავა, ეკონომიკის, მათემატიკისა და წერის ხელოვნების ჩასახვა- განვითარების შესახებ. science/mecniereba #1(60), vol.16.issue 1.2021. <http://neveconomist.com.ge>. Google, 2021, გვ. 44-56

ბოძებთან ახლოს, ზღვის სანაპიროსთან ყოფილა ადგილი, სადაც გემიდან გადმოსულები დაალაგებდნენ გასაცვლელ ნივთებს, შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ გემზე და უშვებდნენ კვამლს, რომლის დანახვაზე ადგილობრივები მოდიოდნენ, სასურველ ნივთებთან ტოვებდნენ ოქროს და სახლებში ბრუნდებოდნენ. ასე მისვლა-მოსვლით მანამდე გრძელდებოდა ორმხრივი შეფასება, სანამ არ შეთანხმდებოდნენ სასურველ ექვივალენტზე და მხოლოდ ამის შემდეგ ორივე მხარე ახლებდა ხელს გასაცვლელ ნივთსა და ოქროს. აქვე პეროლოტე ამბობს, რომ სანაპიროს მცხოვრებნი ბერბერები ამ წესით ისე უცვლიდნენ საქონელს მთებს გადაღმელებს, რომ საკუნობით არ ხვდებოდნენ ერთმანეთს²⁰. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ძველმა ეგვიპტელებმა, ისე როგორც სააქაო-საიქიო ცხოვრების ყველა სფეროში, გაცვლაზეც დაგვიტოვეს საინტერესო ნახატი. (სურ. I.1)²¹.



სურ. I.1

კოლხეთში, სადაც ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ში მოიჭრა „კოლხური თეთრი,“ გვიან შუა საუკუნეებში ასეთი ვითარება ყოფილა. ივ. ჯავახიშვილი არქანჯელო ლამბერტის ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ერთიანი საქართველოს მოშლის შემდეგ, კოლხეთში ლევან დადიანამდე ფულის სრულიად არ იხმარებოდა და საქონელს ერთიმეორეზე ცვლიდნენ²². სამწუხაროდ, ავტორი საქონლის საქონელზე გაცვლის ამსახველ შესაბამის

²⁰ Черняк В., Популярная история экономики и бизнеса. М., 2002. [http:// www. fa. Ru](http://www.fa.Ru) PDF. Google, 8

²¹ Бигасин А. А., Годер Г. И. Свенцицкая И. С. История древнего мира учебник для 5-ого класса 3-ое издание М., 1997, 1997: 47

²² ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1923, გვ. 23

მეგრულ ტერმინს არ ასახელებს, რომელიც დიდი ალბათობით თურუა უნდა ყოფილიყო. ამიტომ სასურველია ლექსიკონებში თურუა-ს გაცვლასთან ერთად მიენიჭოს ნატურალური საქონელმომოქცევის აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა. ამასთანავე, თურუა ცნებას ძველ ან თანამედროვე ქართულისადმი მიძღვნილ ნაშრომებსა და ლექსიკონებში თითქოს შესატყვისი არ უჩანს, მაგრამ საყურადღებოა აფხაზურში გაგზავნა და ყიდვა-გაყიდვის აღმნიშვნელი ერთნაირი აგებულების სიტყვა „თიირუა“, რომელიც დაფიქსირებულია აფხაზურ-ქართულ ლექსიკონებში²³. მართალია, შესადარებელი სიტყვები მთლად იდენტურები არ არიან, მაგრამ ქართველურ და სხვა ენებში ცნებათა მნიშვნელობის გადაწევის მრავალი მაგალითი არსებობს. იმედია, წამოწეული საკითხებით მეცნიერ-სპეციალისტები დაინტერესდებიან და სათანადო დასკვნებს გააკეთებენ.

Guram Chikovani

Exploring a Brief Megrelian Humorous Poem

According to Ivane Javakhishvili, following the fragmentation of unified Georgia, the use of currency ceased entirely in Kolkheti until the era of Levan Dadiani. During this period, trade primarily relied on barter, with goods exchanged directly. Regrettably, the author does not specify the corresponding Megrelian term, which could potentially be “Tirua.” It's worth noting that “Tirua” doesn't appear to have a direct Georgian equivalent. However, it is of significance that the term “Tirua” has been preserved in Abkhazian-Georgian dictionaries, relating to the concept of buying and selling, suggesting a subject for further linguistic investigation.

²³ თ. გვანცელაძე თ. აფხაზურ- ქართული ლექსიკონი, თბ., 2012; ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით. თბ., 2018, გვ. 40

ნინო წერელიანი (სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი)

„ღერბეთ“ - „ღმერთი“ (ახალი ეთნოგრაფიული მასალები. სვანეთი)

ხალხური სადღესასწაულო კალენდრით ახალი წელი სვანეთში დღეობა „ბიხობით“ იწყება. „ბიხობ“ აღინიშნება აგვისტოს თვეში, ღვთისმშობლის მიძინების წინა ოთხ დღეს, ძველი სტილით 11-14, ახლით — 24-27 აგვისტოს. „ბიხობის“ მომდევნო დღე — 15/28 აგვისტო — ღვთისმშობლის მიძინების დღეა, სვანურად „ლიმგრიე“.

სვანეთში დღეობა „ბიხობით“ შემონახულია იმ დროის სადღესასწაულო კალენდარი, როცა „ახალი წელი“ საქართველოში იყო შემოდგომაზე. სვანეთში ამ დღიდან ღებება „მკახნ თეჟ“ — მოლოდინის, ნატურის ასრულების თვე (// „თეჟ ახალწლისნი“), რაც წარმოადგენს შემოდგომის საწყის დროს — „კაცხნ მუჟღეჟერს“ — მის პირველ პერიოდს, პირველ თვეს. შესაბამისად, „ბიხობ“ არის „ძველი წლის“ ბოლო და „ახალი წლის“ პირველი სასწაულის დღე — დღესასწაული.

ამ დღესასწაულის წესები მივიწყებულია, არ გვაქვს. შესაძლოა არც იყო ამაზე მეტის თქმა საჭირო, რადგან მთელი საკრალური ინფორმაცია იკითხება დღეობის სახელწოდებაში („ბიხობ“), სადღესასწაულო დროში („ოთხი დღე“) და სარიტუალო პურში („ბიხო“), რომელიც მიძღვნილია „დაბდაბა ლამარიასადმი“//„დამბადებელ ღმერთისადმი“, ქალის მშობიარობიდან მესამე დღეს.

რამდენადაც დღესასწაული „ბიხობ“ ყველაზე ადრინდელი „თავდღეობაა“, რამდენადაც მისით იწყება მსოფლმხედველობის გაცოცხლება, ღმერთთან მიახლოება და სამყაროს შემომქმედის გააზრება სვანეთში, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ, ახალი ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, აუცილებელია „ღერბეთის“ რაობის გარკვევა. გარკვევა იმისა, თუ რა მოიაზრებოდა პირველად ამ საკრალურ სიტყვაში... ასახავდა თუ არა „ღერბეთ“ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს... გვაცნობდა თუ არა იგი, იმთავითვე, სამყაროს შემომქმედად „მამა ღმერთს“... ითავისებდა თუ არა მისი „სახის-მეტყველება“ ზოომორფულ სიმბოლოს... და, შეიქმნა თუ არა იგი ხარისკულტის და მზის კულტის შერწყმით...

საკრალური წლის პირველ რიტუალში „ბიხობ“-ში იკვეთება გარემოე-

ბა, რომ ღმერთი არის დამბადებელი და, მას ჰქვია „მგკხა ლამწრია“ („ნატ-
ვრის (მოლოდინის) ლამარია“ // „ნატვრის ამსრულებელი ლამარია“);
ელოდებიან (იმკახეხ - მგკახხ - მგკხა თეჟ) ამ დროს მთელი წელი სვანეთ-
ში; ელოდებიან წლის პირველ მოსავალს და ხარობენ მისით; მგკახხ
ლამწრიას „ნახელარი“ („ნამწმწჷ“ — „ნახელარი“ ჰქვია მცენარეულ მო-
სავალს, მიწის მოსავალს) ხდება ადამიანის ნატვრის ასრულება და გახა-
რება; ასე გაცხადებული ადამიანური, ბუნებითი და საკრალური პროცესი
ერთად თავმოყრილია წლის თავდღეობაში — „ბიხობში“, წელიწადის პირ-
ველ დროში — „კაცხა მუჟღჷერში“, „მგკახხის თჷემში“ და, აღესრულება
„მგკახხ ლამწრიას“ მიერ.

ნებისმიერ დროს, როცა კი ჩნდება ახალი სიცოცხლე — ოჯახში ახა-
ლი შვილი, ოჯახი აღუვლენს დამბადებელ ღმერთს (დაბდაბა ლამწრიას)
საკრალურ პურს — „ლეშხირს“ — და მისით შეაკედრებს განგებას დედის
გადარჩენას, ახალშობილის ჯანის სიმრთელეს, გონების სისაღეს, მის ბედ-
ნიერ, სახელოვან მომავალს. ეს დიდი ზომის, კანაფგარეული „ლეშხირი“
ბებიაქალის, სხვა შემთხვევაში დედის დაცხობილი, ეკუთვნის მხოლოდ
ახალმოლოგინებულ ქალს, სხვას არავის, და ჰქვია „ბიხო“. ამ პურის საკ-
რალური სახელი, ცხადია, იდენტურია წლის პირველი დღესასწაულის სა-
ხელისა — „ბიხობის“; „ობ“ კრებითობას, მრავლობითობას აღნიშნავს
სვანურში; აქედან, ცხადია „ბიხო“/„ბიხობ“-ის ფონემური იგივეობაც და
შინაარსიც.

აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ „ღმერთის“ არსი და ფუნქცია
ორივე შემთხვევაში („მგკხა ლამწრია“ და „დაბდაბა ლამწრია“) არის
მდებრი — დამბადებელი; ცხადია ისიც, რომ საკრალურ მეტყველებაში
(რიტუალურ ლექსიკაში) ღმერთი დროის „დანამატია“, თორემ მისი არსი
სრულად თავმოყრილია სიტყვა „ლამწრიაში“, რომლის ერთი უნარი და
თვისება გაცხადდა „ლიმკახე - მგკახხში“ — ნატვრის ასრულებაში და, მეო-
რე — „დაბადების“ უნარში.

ლეშხირ „ბიხოს“ დაცხობა ხდება იმ ქალების მიერ, რომლებიც ეღვრე-
ბიან ქალის მშობიარობას და რიტუალი თავიდან ბოლომდე, ისე როგორც
მშობიარობა, ტარდება მამაკაცების გარეშე, მათი ხმის გაგონების გარეშე,
მშობიარობიდან მესამე დღეს, ოღონდ არა საკრალური ხორბლის ფქვილით
(გჷიხით), არამედ, ჩვეულებრივი, ყოველდღე გამოსაყენებელი ფქვილით.
აღნიშნული ნიუანსი გვეუბნება იმას, რომ „დაბადება“ (მისით ნატვრის ას-

რულება) ყველაზე საიდუმლო და ადამიანის თვალისთვის უხილავი პროცესია. იგი მხოლოდ მდედრის წიაღში აღესრულება. მისი მხოლოდ ქალს ესმის და ამიტომ, მსახურიც (რიტუალის აღმსრულებელიც) ქალია.

სამყაროში ყველაფრის „ახლად დაბადება“ წარმოადგენს სამყაროეულ სასწაულს, რის გამოც ამ სასწაულებრივ დღეს დაერქვა „ბიხ“-ობ“ და, მისით განისაზღვრა როგორც საკრალური, ისე სადაგი დრო; ათევალა სამეურნეო (ყოფითი) და სულიერი „წელი+წადი“. წლის პირველმა დღე+სასწაულმა ამ შინაარსით („ბიხობით“) იწყო არსებობა სვანეთში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ეს პროცესი მთლიანად, ქალის გადატანილია საკრალურ ცნობიერებასა და რიტუალურ კულტურაში: მას უნდა შეექმნა სიცოცხლის გაჩენის ფაქტიდან „დღესასწაული“, საკრალური ენაც — ტერმინოლოგიაც კი. ყოველ შემთხვევაში, მშობიარობასთან დაკავშირებულ რიტუალს არც ერთ შემთხვევაში არ და ვერ შექმნიდა მამაკაცი.

გამოდის, რომ „წარმართულ“ საქართველოში, ძველ სვანეთში, მის დღემდე მისტიურ და ამოუხსნელ მხარეში — მსოფლმხედველობის საფუძვლად აღქმულია „დაბადება“. იგი მიჩნეულია სამყაროში გაცხადებულ უდიდეს საიდუმლოდ და სასწაულად. პირველი დღესასწაულის სტატუსიც ამის გამო მიენიჭა მას. აღნიშნულის გამოა საკრალური კალენდრის პირველი დღესასწაულის სახელი „ბიხობ“ და „დაბადებას“ მიძღვნილი საკრალური პურის „ბიხოს“ სახელი ერთი და იგივე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა საკუთარ ცნობიერებას, სულიერ კულტურას, ათვლა დაუწყო „დაბადებიდან“, მისი გააზრებიდან — „ბიხობიდან“ და გახადა იგი სამყაროს გაჩენის ტოლი, მითიური საწყისი, რადგან თავად ეს სასწაულია სიცოცხლის საწინდარი, სამყაროს დაბადების მსგავსი და სადარი.

ადამიანმა ამ სასწაულებრივ წიაღსვლებს სხვა ყველაფერთან ერთად საკრალური რიცხვიც მიუსადაგა და ეს არის რიცხვი 4, ხოლო მის აღსავლენ სიწმინდეს — „ლეჭირს“ — რიცხვი 1 და 3 — ერთ „ლეჭირზე“ დასახა 3 „ლეჭირი“ და მისით შექმნა სამყაროს შემომქმედის რწმენისა და მსახურების სრული, მთლიანი და გამართული სისტემა, რომლის უტყუარი მაგალითიც არის ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი სვანეთში და არა მარტო სვანეთში, მთელს საქართველოში. ქართული თვითმყოფადი კულტურა ამ ხედვით იწყებს არსებობას და ქმნის მომავალს.

„ლეჭირზე“ დასახული სამი ნაწიბურის სახელი სვანეთში არის „ლეჭირ“; „ლეჭირის“ ფუძე არის „ჭირ“. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, კავკასიელებში მანამ, სანამ მზეს „მზე“ დაერქმეოდა და მთვარეს „მთვა-

რე“, ორივეს ერთად, როგორც მანათობელს და მოკაშკაშეს, მაშხირალს უნდა პრქმეოდა „მზირ“¹; მზირისთვის შექმნილ საკრალურ პურს სვანეთში დაერქვა „ლე-მზირ“; ლოცვას — „ლიმზირ“, სალოცავს — „ლამზგრ“, მლოცველს — „მემზირ“ და მადლს — „ლამზგრ“; ამის შემქმნელი და საძირკველი არის „ლამწრია“. მიგვაჩნია, რომ „ლამწრია არის „შესაქმის“ სვანური შესატყვისი. ლამწრია ქმნის — წმინდა გჭიხ (წმინდა ხორბალს (შემოდგომის ნათესს), წმინდა გჭიხ ქმნის წმინდა „ლემზირს“ და იგი, წმინდა ადგილას (ლამზგრს), წმინდა ადამიანის მიერ (მემზირ), წმინდად (წყვლიან ლემზირშ) აღველინება (ხემზგრწლი) და გვევლინება „ღმერთის“ (შემომქმედის) პირველ შესატყვის ცნებად სვანეთში.

აღნიშნული გარემოებები, პირველ რიგში, გარემოება იმისა, რომ სვანეთში „ღენ შაგ ბიხობშ იბნი“ (დღესასწაული ყოველივე ბიხობით იწყება) და ლემზირის ნაწიბურთა სახელი „ლემზირ“, როგორც ეტიმოლოგიური, ისე სემანტიკური მნიშვნელობით, სრულიად ახლებურად კითხულობს როგორც „ლემზირ“ — „მზირ“ — „ლიმზირს“, ისე, „ღმერთის“ გენეზისს და გვეუბნება, რომ „ღმერთი“ არ იქმნება „მზის და ხარის შერწყმით“². ის იქმნება „დაბადების“ გააზრებით და მის სიმბოლოდ მზის აღიარებით, მზის სიმბოლოზში კი „შემომქმედთა“ ბუნების მონაცვლეობით (მზე ხან დედაა, ხან — მამა). ღმერთი, როგორც „მზირ“, საწყის ეტაპზე გამოკვეთილად არის დამბადებელი, მომდევნო ეტაპზე — შემქმნელი (მამა-ღმერთი); თუმცა ხალხში არც მხოლოდ ერთია სიცოცხლის შემომქმედი და არც მხოლოდ მეორე. ისინი ორივე ერთად არიან „ერთი“ და ეს საკრალური სახელიც გვაქვს სვანურში — „ემზხუ“ (ახალი წლის რიტუალში).

„ღმერთში“ გამოკვეთილად „მამა ღმერთი“, რომელსაც სვანურად „ხოშა ღერბეთ“ (დიდი ღმერთი) მიესადაგება და არა პირდაპირი მნიშვნელობით „მუ — ღერბეთ“ (მამა-ღმერთი), ქრისტიანობამდე ბევრად ადრე უნდა ყოფილიყო გაცხადებული, რადგან სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი სრულად წარმოაჩენს მის ხალხურ ხასიათს და უქმნის კიდევ რიტუალებში მას საკრალურ სამოსს, პირველ რიგში, ისევე „ლემზირით“, რომელსაც ჰქვია „მუჟღეჟ“ და საკუთარი ზვარაკით — ხარი, მოზვერი, ვერძი, ხო

¹ ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. ქართველთა წარმართობა. 1979, გვ. 169

² ვერა ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწყისო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. 1953.

(მამალი, ღორი, ვაცი, არც რომელიმე მღვდრი ზვარაკი, არ არის მისი); საკუთარი საკრალური რიცხვით (ერთი და სამი), საკუთარი არსით — „პირველი“ და „წინამძღოლი“. ის დღესასწაულში, „შესაქმისას“, ქალღვთაება დალთან ერთად ვლინდება (იეშხჷშ — მახე ზნის რიტუალში). სხვა დროს კი სულ მასთან ერთად იგულისხმება. ცხადია, იგულისხმება „ლემზირშიც“ სამი ლემზირის დასახევით და განლაგებით:

ლემზირზე სამი ლემზირის განლაგება (გრაფიკა) და დასახვა ქმნის ოჯახის საკრალურ შინაარსს; იგი განასახიერებს მამას+დედას+ძე-შვილს, როგორც სიცოცხლის, ჯიშ-მოღვმის გამგრძელებელს, მომავალს. ამისთვის იქმნება ლემზირ და ყველა ის რიტუალი, რაც დღესასწაულად ლაგდება წელიწადის დროსა და წეს-ჩვეულებებში.

გარდა ამისა, „ლემზირზე“ „ლემზირების“ განლაგება „ხარის შუბლა“ ლემზირს კი არ გვაძლევს, არამედ ქმნის „ლემზირს“, რომელსაც ჰქვია ბალსქევემო სვანეთში „ჯჷზარ“ და სიმბოლურად განასახიერებს „ხოშა ღერბეთს“, რომელიც ასევე განსახიერებულია ლემზირზე დასახულ სამ ლემზირში. განასახიერებს მას, რომ სიცოცხლის შექმნაში მამრი არის პირველი, ისევე, როგორც სიცოცხლის გაგრძელებაშია პირველი (ძე — შვილი), მაგრამ იგი არაფერია ქალის//ღვდის//ლამზირიას გარეშე. ეს აზრი ბალსხემო სვანეთში ოთხმკლავა ჯვრით არის გამოხატული იმ ლემზირზე, რომელსაც ჰქვია „მუჟელჷ“ და მიეკუთვნება „ხოშა ღერბეთს“, ხოლო ბალსქევემო სვანეთში სამკლავა ჯვრით — „ჯჷზარ“; ორივე სახისა და დანიშნულების ლემზირი კი, შექმნილია ლემზირის უმარტივესი ფორმიდან, რომელსაც ზეაღვლენის შემთხვევაში უკეთდება სამი „ლემზირი“, მიწასკენ დიდებისას სამი ან ოთხი ნაკვდები, რომელსაც ისევე „ლემზირ“ ჰქვია და ასე იქმნება და არსებობს იგი მთელს სვანეთში, როგორც ღვთის („მზირის“) სიმბოლო და მადიდებელი.

აქედან გამომდინარე, ლემზირის არც ფორმაში და არც დანიშნულებაში არ იკვეთება „ხარის შუბლა“ ლემზირის³ არსებობა, მისი „მზირთან“ მი-

³ ვერა ბარდაველიძე წიგნში — „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, წერს: „დიდი ღმერთის თავჯანსიყმა, როგორც გაირკვა გენეტიკურად ხარისა და მზის კულტების შერწყმის ნიადაგზე განვითარდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ დიდი ღმერთის კულტში ეს ემბლემა კვერები სინკრეტიზმის საფუძველზე იყო გაჩენილი, რომ გენეტიკურად ხარის თავის გამოსახულების კვერი ხარის კულტიდან წარმომავლობდა. ხოლო, ჯვრის სახისა და ჯვრის ნიშნით აღბეჭდილი მრგვალი კვერები დიდი ღმერთის მნათობის კულტთან შემკვიდრებით იყო გადასული დიდი ღმერთის კულტში“. ვ. ბარდაველიძე, დასახელებული ნაშრომი, 1953, გვ. 82.

სადაგებულობა//შერწყმა. შესაბამისად, „მზირ“ — „ღერბეთ“, „ღმერთი“ არ შექმნილა მზისა და ხარის კულტის შერწყმით.

აღამიანი საკუთარი ბუნების მსგავსად მოიაზრებს სამყაროს შემომქმედსაც, მაგრამ არა სახით, არამედ ძალით — დიდს, ყოვლისმომცველ სულს, არსს და პატრონს ყველაფრისას. მისითაა შექმნილი ყოველივე. მას არავისი და არაფრის სახე არ აქვს. იგი სამყაროს შემომქმედია — დიდი, პირველი, წინამძღოლი და უზენაესი. სწორედ ასეთი ხედავ არის უძველეს ქართველთა მიერ სვანეთში დღემდე „ლემზირ“/„ლიმზირით“ შემონახული და გაცოცხლებული.

ბიხობის სადღესასწაულო დრო, ოთხი დღე, შესაძლოა იაზრებდეს:

1. წელიწადის ოთხ დროს.
2. სამყაროს ოთხ მხარეს.
3. ორ „მიწიერ შემომქმედს“ და ორ „ზეციერს“ ერთად — სამყაროსეული სასწაულის გასამჟღავნებლად (აღსასრულებლად);

ბიხობის სადღესასწაულო საკრალურ რიცხვ ოთხში, შესაძლოა ეს სამივე გარემოება ერთად იყოს წარმოჩენილი და გასაიდუმლოებული. შესაძლოა, ერთი რომელიმე მათგანი, მაგრამ ფაქტია, საკრალური კალენდრის პირველი საკრალური დღე „ბიხობ“ იდღესასწაულება ოთხი დღე. მას რომ რელიგიური და ინფორმაციული დატვირთვა არ ჰქონოდა, არც გვექნებოდა ასე რიტუალურად გამოკვეთილი.

დაბადების მისტერიის რიტუალი სრულად კითხულობს დღეობა ბიხობის მისტერიას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დღესასწაული ბიხობ ნამდვილად არის ყველაზე ძველი „ახალი წელი“ და „დაბადება“ — მსოფლხედვის საწყისი, რომელსაც შესაძლოა მიესადაგებოდეს მითს „სამყაროში სიცოცხლის გამჩენთა“ („დამბადებელთა“)“ შესახებ, მაგრამ მსგავსი მითი სვანეთში, ასე კონკრეტული და გამოკვეთილი, ჯერ არ შეგვხვედრია, თუმცა თავად სადღესასწაულო კალენდარი გახლავთ ამ მითის სრული გამოძახილი. კონკრეტულად ის რიტუალი, რომელიც „დაბადებას“ არის მიძღვნილ-მისადაგებული დღეობა ბიხობთან ერთად⁴.

ლემზირი „ბიხო“ წარმოადგენს დიდი ზომის, მრგვალ, გვერდზე სამი ნაწიბურით შექმნილ საკრალურ პურს, რომელსაც სვანურად ჰქვია ლემზირ. ლემზირს დასახული აქვს სამი ლემზირი — სამი ნაწიბური; მისი

⁴ რიტუალები იხილეთ ნ. წერედიანი. ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები. თბ. 2023, გვ. 13 — 15; 17 - 20; ასევე, ნ. წერედიანი სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, ჟურნ. „ამირანი“ XI-1; XI-2, 2004-2005.

შიგთავსია კანაფი და ყველი. ერთად ხდება — „ლგგგმბმ ქუთ ლემზირ“ — „კანაფიანი ყველის ლემზირი“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — „ბიხო“. ასეთი პური, ოღონდ მცირე მოცულობისა, კანაფისა და ყველის გარეშე, უარაფრო, არის „ლემზირი“. ასეთ მდგომარეობაში მას სხვა სახელი არ ჰქვია. ჰქვია მხოლოდ ლემზირ. ასეთი რიტუალური პური სვანეთში ყველა დღესასწაულის ატრიბუტია. როცა ცხვება ოჯახში ლემზირ, ე. ი. დრო საკრალურია. ლემზირ პირველად აღვევლინება ღმერთს (ზეციერს), მერე, აღვევლილი დაეფინება მიცვალებულის სუფრაზე და შეევედრება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იგი ადამიანისა. არაფრით არ შეიძლება პირველად მიცვალებულს შეესახელოს ლემზირი და მერე ღვთაებას.

ლემზირის სახელი, შიგთავსი, ფორმა, რაოდენობა და მასზე დასახულ სიმბოლოთა გრაფიკა იცვლება დღესასწაულის არსის მიხედვით. იმის მიხედვით, თუ ვისია დღესასწაული და რაა მისთვის სავედრებელი. ამით, პირველ რიგში, ღვთაების, დღესასწაულის მფარველის არსი, ბუნება არის გამოკვეთილი. შესაბამისად ლემზირ წარმოადგენს ერთგვარ წიგნს, სადაც საკრალური ამბავია გადმოცემული სხვა რიტუალურ მოქმედებებთან ერთად და ეს ამბავი ეხება დღეობის შემომქმედს, სურვილის ამსრულებელს. ამიტომ, ლემზირ წარმოადგენს ხალხური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს, რიტუალის ხერხემალს და მისი გააზრების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ სრულად და მართებულად ხალხის რწმენა-წარმოდგენები, მათ მიერ დაწერილი წინარეჟისტიანული მსოფლმხედველობა სვანეთში.

ლემზირი „ბიხო“ გვეუბნება, რომ ღმერთი არის მდებარეობითი სქესისა და ჰქვია „დაბადა ღმრბთ“//„დაბადებელი ღმერთი“//„ღმერთი“, რომელსაც დაბადება შეუძლია. „ლემზირი ბიხო“ გვეუბნება იმასაც, რომ ეს ღმერთი იგივეა, რაც „დაბადების დამწესებელი ღმერთი“=„დაბადა მღწსე ღმრბთ“. ბიხო გვეუბნება იმასაც, რომ ეს „ღმერთი“ არის იგივე „დაბადა ლამზირა“=„დაბადების ლამარია“. თუ ეს ასეა და, რიტუალებით ნამდვილად ასეა, „ღმერთის“ საკრალური ცნების პირველი გამზიარებელ-გამააზრებელი ყოფილა „დაბადება“ (სვ. „ბიხო“ (!!)) და „ლამარია“. ორივე ამ სიტყვის სააზროვნო კონტექსტი კი, ქალი — მდებარეობითი არსი, რადგან ეს მოვლენა ასახული და გამოჩენილია წლის პირველი დღესასწაულის სახელში, მის „შემომქმედში“ — „დაბადა ლამარიაში“//„დაბადა მღწსე ღმრბთში“, „დაბადების დამწესებელ ღმერთში“.

აქედან ჩანს, რომ ის კონტექსტი, რაც არის „ღმერთში“, არის „ლამარიაში“, და პირიქით. ის კონტექსტი, რაც არის სამყაროში, ამ სასწაულის

მოძქედში, არის „ლამარიაშიც“. აქედან გამოდინარე, „ლამარია“ არ არის წმინდა მარიაში, ღვთის დედა, რადგან, სულ მცირე, ის არ არის „ღმერთი“ (!). „ლამარია“ არის ღმერთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, რითაც მას „დაბადება“//„შესაქმე“ შეუძლია, ან თავადაა აღნიშნული პროცესი და ფაქტი. დაბადება შეუძლია მას არა მხოლოდ ქალის წიაღში და წიაღით, არამედ სამყაროში, იმ ყველაფერში, სადაც კი ეს სასწაული მოიხზრება და ცხადად აღესრულება მღვდრის სხეულით და სხეულში. ვფიქრობთ, ამ სასწაულებრივი უნარის გამო არის „ლამარია“ „შესაქმე“ (ლიმარე) და ნამდვილად წარმოადგენს სიტყვის „ღმერთის“ იდეურ, საწყის კონტექსტს დედამიწაზე, ადამიანის სამკვიდრებელში და თვით ადამიანში. ადამიანშია ეს უნარი — ღვთის ეს არსი.

„ბიხობის“ მომდევნო დღესასწაულზე „ლიმერიეს“ (ღვთისმშობლის მინების დღეს), მზადდება სამი დანიშნულების ლემზირები. ესენია:

1. ერთი დიდი ყველიანი ლემზირი, თხილის გულგარეული — მუცლის ტკივილების საწინააღმდეგოდ ლიმერიე ლამარიასთვის, მარიამობის ლამარიასთვის;
2. სამი ცალი მცირე, ყველიანი ლემზირები კალა ლამარიასთვის (ეზოს ლამარია);
3. სამი ცალი ცარიელი (უარაფრო) ლემზირები ჯგერნგ ბიქვისათვის (ჯგერნგ ბიქვიშ).

სამივე ვარიანტი მზადდება და ცხვება სახლის ეზოში ამ დღეს გამართულ კერასთან, და პროცესს ეძახიან „ლიდბმის“. არც ეს ლემზირები და არც სრული პროცესი („ლიმზირ“ — ლოცვა-სავედრებელი), არ მიესადაგება ღვთისმშობლის საღვთისწაულო საეკლესიო რიტუალს. აქედან გამომდინარეც, სვანური „ლამარია“ სრულიად სხვაა და ღვთისმშობელი სხვა, რეალური პიროვნება.

შემდეგი დღესასწაული „ლამარიშ ლიფთგნლ“ — ღვთისმშობლის შობა — ითხოვს „ლამარია ლიფთგნლემის ლემზირებს“ — ყველიან, პატარა მოცულობის „ლემზირებს“ და ევედრებიან „ლიფთგნლემის ლამარიას“ მსუყე, ხვაიან-ბარაქიან, მშვიდობიან შემოდგომას და მონაწევის ღვინად მოხმარებას. „ლიფთგენი“ — ლიფთგნლ ჩენას, დაბადებას ნიშნავს სვანურად. „ლიფთგნლემის ლამარია“ კი — ამ სასწაულის შემომქმედს, „მფთგენის“, გამჩენს. ანუ, ესეც ლამარიას „ხელმწიფებაა“. ამ დღესასწაულის სახელიც და ამ დღეს აღსამართი ლემზირების სახელიც გვეუბნება, რომ ეს დღეც

„დაბადებისა“ და მისი მფარველი ისევ არის „ლამპრია“; ევედრებიან მოსაკლის სიუხვეს და ბარაქას. კონტექსტი მისი აცდენილია ღვთისმშობლის დაბადების დღის კონტექსტთან, კონკრეტულად, ღვთისმშობლის დაბადების დღესთან.

ხალხურ დღეობათა კალენდარში არის გამორჩეული დღეები, როცა არც ლოცვა ხდება, არც მიცვალებულისთვის ზრუნვა და მუშაობასაც იკრძალებენ. ეკლესიურად ასეთი დღეები მძიმე მარხვის დღეებია. სვანურად „ხოლა“ — ცუდი; ადამიანი ცოცხლობდე, მაგრამ არც ღვთისთვის ზრუნავდე, არც მიცვალებულისთვის და არც საკუთრივ თავისთვის — ცუდია, აბარაღაა?! — მაგრამ ამის აღნიშვნაც აუცილებელია, რადგან კარგთან ერთად სამყაროში ასეთი, „ცუდიც“ ჩნდება და იბადება. სწორედ ამის გამოა, რომ ასეთ დღეს „ხოლა მგკხს“, კარგი — „ხოჩა მგკხ“ მოჰყვება და მას „ფეტვის ჭიმღუარს“ აღუკვლენენ — შეავედრებენ „მგკხნ ლამპრიას“// „ჯჷრ მგკხნშ“ (მოლოდინის, ოცნების ამსრულებელ, ნატერის აღმსრულებელ „ლამარიას“) ბარაქიანი შემოდგომის და ზვავიანი თვის (მგკხის — სექტემბერი, სრულად ასოცირდება შემოდგომაში) დადგომა-დასრულებას.

საინტერესო და საყურადღებო თანხვედრაა „მგკხა ლამარია“ და „ჯჷრ მგკხნშ“; ვთქვით, თუ რას აღნიშნავს სიტყვა „მგკხ“, „ლამარიაც“ განუმარტეთ. მათთან (მგკხსა და ლამარიასთან) ჯვრის დაკავშირება, ვფიქრობთ, ამყარებს ჩვენს განაცხადს, ანუ „ლამარია“ ნამდვილად ღმერთის (მზირის) თვისებაა — დამბადებელი და, ეს კონტექსტი მიესადაგება ჯვრის საკრალურ კონტექსტსაც, რომელიც სვანეთში ოთხთან ერთად წარმოდგენილია სამი მკლავითაც.

სამკლავა ჯვარი „ჯჷრ“ იქმნება ლემზირზე დასახული სამი ლემზირის გრაფიკული კვეთით. მათი კვეთის წერტილია „ლემზირის“ ცენტრი და გადიან ლემზირის წრეწირიდან შორს, უსასრულობაში. ეს სიმბოლური გადაწვევტილებაც ნიშანია იმისა, რომ ლემზირ შექმნილია აქ, მიწაზე, მიწიერი შემომქმედის მიერ ზეციერისთვის (მზირისთვის), რომელსაც ოჯახის წინსვლას, სიმრავლეს და ადამიანის მშვიდობას ევედრებიან პირველი „ლემზირიდან“ დღემდე. აქ ხარის შუბლი არ მოიაზრება არც სახელში და არც მის მუპატრონე „ხომა ღერბეთში“⁵.

⁵ „ჯ რ“ და „მუჟელს“ სახელით არსებული ლემზირის ვარიანტები იხილეთ წიგნში — ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953. ლემზირ — „ჯ რ“ (ტაბ. XXII, ნახ. 1);

ასე რომ არ ვოფილიყო, მხოლოდ „მკცხა ლამარია“ გვეყოლებოდა, მაგრამ გვაქვს იგივე მნიშვნელობით „ჯჭურ მკცხაშ“. ანუ, „ჯჭურ“ ამ შემთხვევაში, არის „ლამარიაც“ — მისი სახე — სიმბოლო, რომელსაც ნატურის ასრულება — სამყაროში (მის ოთხივე მხარეს, „სამობით“) ბარაქიანი მოსავლით, სიხარულის მონიჭება შეუძლია, რადგან იგია თავად ეს მოვლენა და... იწყება მომდევნო პერიოდიც, ღვთაებათა ზეიმი, რომელსაც „ლალხორალს“ უწოდებენ.

ამით მთავრდება შემოდგომის პირველი პერიოდი „კაცხა მუჟღურ“ და მის დროში აღსანიშნავი დღეობების საკრალური არსიც, რომელიც, როგორც ვნახეთ, მთლიანად მიძღვნილია ლამწრისასადმი. ფაქტია, რომ ქრისტიანული კალენდრით ამ დროში აღინიშნება ღვთისმშობლის მიძინებაც და დაბადებაც. ფაქტია, რომ ეს დრო იყო უძველეს ქართველთა „ახალი წელი. მამრა? — ის, რომ ყველა და ყველაფერი, დროსა და სივრცეში, მათთვის იწყებოდა „ლამწრით“ — ქალ-ღვთაების ფუნქციებით და, მისი ქმნადობის (ლიმწრეს) უნართი — „მზირ“-ის უნართი — „ლიმწრეთი“. ამ ზმნისგან (უნარისგან) სახელდებული „ლამწრია“ მზირის მიწიერი მსახურია, რადგან „ლამწრისა გჭიხით“ იქმნება ყველანაირი ფორმისა და დანიშნულების ლემზირი.

„ლალხორ“//„ლალხორალ“ ნიშნავს:

1. ოქტომბრის თვეს, რომელიც გრძელდება 14 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე (ძვ. სტ. 1 ოქტომბერი — 1 ნოემბერი). იგი „კაცხა მუჟღურის“ მომდევნო პერიოდი და ჰქვია „განკჭეთ მუჟღურ“ — სრული შემოდგომა;
2. „ლალხორ“ ჰქვია ამ თვეში აღსანიშნავ ყველა საკრალურ დღეს ერთად და ნიშნავს ღვთაებათა ერთობას, მათ საზეიმო სადიდებელ პერიოდს;
3. „ლალხორ“ ნიშნავს მიცვალებულთა ერთობას, კრებას, რომელიც აღინიშნება „ლიფანწლის“ დღეებში;

ფუნს მუჟღურ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 36, 1953, გვ. 74);
„ფუნს მუჟღურ“ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 37, 1953, გვ. 75);
„მუჟღურ“ (ეიმბ) — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 38, 1953, გვ. 75);
„ფუნს ლემზირ“ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 39, 1953, გვ. 77);
„ფუნს მუჟღურ“ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 40, 1953, გვ. 78.);
„ფუნს მუჟღურ“ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 41, 1953, გვ. 79.);
„ჯ რ“ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 42, 1953, გვ. 80);
ჯ რ — დიდი ღმერთის სახელობის კვერი (ნახ. 43, 1953, გვ. 81).

4. „ლალხორ“ ნიშნავს ცოცხალ ადამიანთა კრებას, ერთობას, საბჭოს, ბჭობას — დღევანდელი ტერმინით პარლამენტს.

ამრიგად, ცოცხალ ადამიანთა ერთობა სვანურში „ლალხორ-ლუხორია“; მიცვალებულ სულთა ერთობაც არის „ლალხორ-ლუხორ“; ღვთაებათა ერთობაც არის „ლალხორ-ლუხორ“ — ცოცხლები მათთვის აღავლენენ მსახურებას და დიდებას, რათა მათ, ადამიანებისთვის გამოიტანონ საუკეთესო განაჩენი. ეს არ ნიშნავს გარკვეულ ადებ-მიცემას; ეს სულიერი კავშირია და ამ კავშირის მარადიულობის რწმენაა ადამიანში — რწმენა ურთიერთმოფობისა და მყოფადობისა. არ ვიცით, იგი როდის მომდინარე ემოციას, მაგრამ ღვთისა და სულის არსებობას, მათ მარადიულობას საკუთარი სულივით რომ გრძნობს ადამიანი და ხედავს სვანეთში — ცხადია. ამ ერთობის თავი და თავი, ყველაფრის განმსაზღვრელ-წარმმართველი არის „ხოშა ღერბეთი“ და ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, ჩაწერილია ლემზირ „ჯჷპრსა“ და მუჟედჷში“.

„ლალხორალში“⁶ ერთი თვის მანძილზე ყველა დღე საკრალურია; ყველა დღე ლოცვის, ზვარაკის შეწირვისა და ლემზირების აღვლენის დღეა. ზვარაკთან ერთად „ტაბღლის“ — ერთად აღსავლენ ლემზირთა ნაკრების — რიტუალურად გამოვლენის დღეცაა.

„ტაბღლ“ განსაკუთრებული მოვლენაა ლემზირთა შორის. ის აკონკრეტებს და აზუსტებს ლემზირის, მისი ფორმისა და რაოდენობის შესაბამისობას დღესასწაულის მფარველის ბუნებასთან. იქნება ეს „ხოშა ღერბეთ“, „თბრინგზელ“ „ჯგვრზგ“ „ლაპზრია“ თუ ა. შ.

„ტაბღლ“, ვფიქრობთ, მსოფლმხედველობის იმ ეტაპის დაფიქსირებაა, როდესაც ლემზირმა მეტი დატვირთვა მიიღო და ერთი „მზირ“ გახდა „მრავალი“. მიგვაჩნია, რომ ღვთაებათა იერარქია ერთი მზირით უნდა დაწყებულიყო და მის „მსახურებად“ შექმნილ ლემზირში ეს ისტორიული პროცესიც უნდა იყოს გამოკვეთილი.

მზირ არც მზეა და არც მთვარე, არც ცისკრის ვარსკვლავი, არც ქალი და არც მამაკაცი, მით უფრო არც ხარი და არც ძროხა... მზირ უნდა იყოს სული, არსი, ერთადერთი, რომელიც სამყაროს შემომქმედად დაბადებულს მოიაზრებს საწყის ეტაპზე. სხვა დანარჩენი სიმბოლოა მისი, მის არსთან რაღაცით მისადაგებული. საიდუმლო სამოსია ერთგვარად ეს ყველაფერი.

„ტაბღლში“, ბიხობით დაწყებულ დღესასწაულთა რიგში, პირველად

⁶ ნ. წერეთლიანი, ლატალიდან სამყაროზე დღეობებით მოყოლილი ამბები 2023, 1953, გვ. 25-45

ჩნდება ლემზირი, სახელწოდებით „მუჟელუ“, რომელიც ყველა კუთვნილი ფორმით და ცხობის ხერხით განეკუთვნება „ხოშა ღერბეთს“ „დიდ ღმერთს“. დიდს არა თავისი სიდიდით, არამედ სიდიადით და ამ საკრალური პურით. „ხოშა ღერბეთ“ გვეკვლინება როგორც სამყაროში ყველასა და ყველაფრის პატრონი, ბატონი, შემქმნელი მამა-ღმერთი, თუმცა ასეთი განმარტება (მამა-ღმერთი — მუ ღერბეთ) სვანურში, როგორც აღენიშნეთ, არ არის. ნებისმიერი ფორმის „მუჟელჟ“ ცხვება გადაუბრუნებლად⁷. რიტუალში როცა ჩნდება ზვარაკი, ჩნდება მუჟელჟიც.

„დიდ ღმერთზე სწავლების თანახმად ეს ღვთაება სამყაროს პატრონი (ფუსნა ბჷწსდიშ), დამბადებელი დიდი ღმერთი („დამბადებელ ხოშა ღერმეთ“) და ყველა სხვა დანარჩენი ღმერთის მამა და უფროსია. მან გაჭყდა ცა და მიწას საფუძველი ჩაუყარა, სხვადასხვა ღმერთებს მათთვის შესაფერისი საქმიანობა და მოვალეობა დაუწესა, თვითოეულ მათგანს ერთხელ და სამუდამოდ, უცვლელად და ხელშეუხებლად საკუთარი გაკვლისა და მბრძანებლობის სფერო შემოუსაზღვრა, ყველანი თავის ნება-სურვილს დაუმორჩილა და ადამიანიც ქვეყანაზე თავის მადიდებლად გააჩინა. დიდი პატრონი ზე-ამაღლებულია („ხოშა ფუსდ ჟიბე ლგკლათხე“), ის ცაზე (მემვიდე ცაზე) სუფევს; იქიდან უშხერს ზეცასაც და ქვეყანასაც; ქვეყნად ბალახიც კი არ შეიძერის ისე, რომ მან არ შეხედოს; მას თვალი უჭირავს თავის გაჩენილებზე და სხვადასხვა ღმერთების მეშვეობით ქვეყანას განაგებს და მართავს“⁸.

„ხოშა ღერბეთის“ (დიდი ღმერთის) ამ განსაზღვრებაშიც ჩანს, რომ სვანეთში, ძველ ქართველთა მსოფლმხედველობაში, „ერთი უზენაესი ღმერთი“ — პირველად იყო ყველაფრის დამბადებლად მოაზრებული. სხვა შემთხვევაში ეს განმარტება არ გაჩნდებოდა. დამბადებელი კაცი რომ არაა, ცხადია, და ესეც, ვგონებ, არ არევათ ქართველებს სვანეთში.

წარმოდგენილ განმარტებაში ცხადია ის გარემოებაც, რომ ღმერთის გააზრებაში, დროთა მანძილზე, ისე, რომ ისტორია არ გაწყვეტილა, გარკვეული ცვლილებებია შეტანილი. რომ არა ეს გარემოება, „დამბადებლის“ გვერდით „მუჟელჟ“ არ გვექნებოდა. წინამძღოლი — მუჟელუ — მამაკაცია ყოფაში.

ცხადია, რომ „დამბადებელ“ (დამბადებელი) „მუჟელჟ“ (წინამძღოლი),

⁷ ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.

⁸ ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 77.

ლამპრია (შესაქმე) „მზირის“ თვისებებია. „მზირ“ არის „ღმერთი“, რადგან მისადმი მსახურების სრული კომპლექსი მთლიანად თავმოყრილია „ღემზირში“. „ღმერთის“ სახელი მზირამდე სვანურში არ გვაქვს. „მზირით“ იწყებს სვანეთში „ღმერთი“ არსებობას. იემზჩემ - ახალი წლის რიტუალში კი მისი სახელი კონკრეტდება სიტყვა „ერთით“ — „იემზუ“, ხოლო იემზჩემ — ახალი წლის რიტუალი, როგორც ერთ-ერთი თავდღეობა დღესასწაულთა კალენდარში, ბიხობის შემდგომი დროისაა, ანუ უფრო გვიან, ვიდრე ბიხობ.

ღემზირ⁹, როგორც აღენიშნეთ, საკრალური პურია. იგი მზადდება წმინდა ხორბლისგან, რომელსაც ჩვეულებრივი დანიშნულების (სადავ დღეებში) მოსახმარ ხორბლის ფქვილისგან გამოაცალკევენ საკრალური სიტყვა „გჭიზ“. ანუ, „გჭიზ“ არის წმინდა ხორბალი. ნებისმიერი დანიშნულების ღემზირი ცხვება და მზადდება „ლამარაწ გჭიზისგან“. გჭიზის განმსახვრელი ისევ არის „ლამპრია“. ის, რომ გჭიზ ეკუთვნის ლამპრიას და არა „ხოშა ღერბეთს“, „ბარბოლს“ და ა. შ., ამ კონტექსტით და სახელწოდებით მტკიცდება; „გჭიზ“ არის ლამარიასი. ლამპრია ქმნის მას საიდუმლოდ და ხდის საკრალურს, წმინდას, ღვთაებებისთვის სადიდებლად აღსავლენს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ის „ბარბლწში გჭიზ“, რადგან ამ გჭიზისგან ბარბალობა დღეს აღველინება ღემზირები და ა. შ. საგვიზე ხორბალს ამუშავენ მხოლოდ დედაკაცი.

აღნიშნული წესი და გარემოება ცხადყოფს, რომ მზირის მიწიური, მცენარეული შესაწირ-შესავერებელი წმინდა ღემზირი, არის მხოლოდ ლამარიასი, მისი და მისით შექმნილი. საკრალური „შესაქმის“ გარეშე შეუძლებელია ხორბლის წმინდა ხორბლად გადაქცევა და მისი წმინდად, წმინდისთვის აღვლენა. სწორედ ამ სრულიად საიდუმლო და უხილავ მოვლენას ჰქვია სვანეთში „ლამპრია“. ამიტომაც, ლამპრია არის „მზირის“ პირველი მსახური. მისი ღვთაებობის (ზეციურობის) მაღარებელი და მიწიერი ორეული, რადგან თავად მასშია მზირის ეს უნარი (შესაქმე//დაბადება) გაარსებითებული და გამოვლენილი. ამიტომაც იგი მზირის მსახური — „ღემზირის“ შექმნელი.

„ლამპრია“, ამავე დროს, ადამიანის ორგანული მდგომარეობაა, ყველა-

⁹ ნ. წერედიანი, „ღემზირ“ — სვანური სარიტუალო პურის რაობის საკითხისათვის. დინა კოვენიკოვა. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. თბ., 2023, გვ. 105-115.

ზე ორგანული კი — დედაკაცისა, რადგან საკუთარ სხეულში სიცოცხლის შექმნა და დაბადება მხოლოდ მის ბუნებას არგუნა „მზირმა“. მის სხეულში გაცხადდა „მზირის“ აღნიშნული უნარ-თვისება და ჩვევები. სიტყვა „დედა-კაცი“ ტყუილად კი არ შექმნილა ქართულში და ეს „დედაკაციც“ სვანეთში არის „ლამპრია“. ქალების მფარველიც ამიტომ არის ლამპრია და ღვთის-მშობელსაც ამიტომ მიესადაგა იგი სვანეთში.

ეს წიაღსვლები იკითხება, „ლემზირში“, „ლამპრიაში“, „ხოშა ღერბეთ-ში“... სრულიად სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარში, წეს-ჩვეულებებში, მორალში, სამართალში... ადამიანის ბუნებაში... ყოფაში და, ყველაზე საინტერესო და ამაღლებველი ის გარემოება არის, რომ სწორედ ამ რწმენით, ბუნებითი ჰარმონის გათავისებით და წონასწორობის შენარჩუნებით შენარჩუნდა ერთ კონკრეტულ სივრცეში მაინც, სოციალური „თავისუფლება“ სვანეთში — არავინ არავისი ბატონი იყო, პატრონი — კი.

„ლემზირი“ — საკრალური ჰური — სწორედ ამ სახელით და შინაარსით, ადამიანის სულით ნაწერი და ხელით შექმნილი, გვიყვება ამბებს სამყაროზე, რომლის „შემომქმედად“ გვევლინება „მზირ“, შემდეგში „ემზუ“ — „ღმერთი“, რომლის საწყისი დედა-აზრიც არის „შესაქმე“//“დაბადება“ სამყაროში.

Nino Tserediani

Gherbet "Ghmerti" (God)

(New Ethnographic Materials from Svaneti)

The concept of “Khosha Gherbeti” (Great God) in Svaneti reveals that, in the ancient worldview, the notion of a “One Supreme God” emerged as the primary creator. This revelation marks a significant departure in the understanding of “God.” Over time, various shifts occurred in the perception of the divine, and it is through this evolution that we encounter terms like “Muzheg” (Leader) alongside “Dambadebeli.”

It becomes evident that “Dambadebeli” (Generator), “Muzhegh” (Leader), and Lamaria all serve as functions of “Mziri.” In this context, “Mzir” embodies the concept of “God,” with all the complex attributes concentrated within “Lemzir.” The term “God” itself doesn't find relevance in Svanuri until “Mzira” comes into play. In the New Year's ritual, his name is specified by the word “one” (“yeskhu”).

მზისადარ ჭაფანბე (ზუგდიდის დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი)

**დადიანების სასახლეში დაცული დოკუმენტური მასალები
სახარებებსა და იწმინდეებზე**

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, სამეგრელოს მთავრთა ყოფილი რეზიდენცია, ერთ-ერთი უმდიდრესი სიძველეთსაცავია. აქ თავი მოიყარა ეროვნული კულტურისა და ხელოვნების უამრავმა ნიმუშმა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი.

ამჟამად მუზეუმში დაცულია ძვ. წ. I ს.-ახ. წ. XIX ს. ოქრომჭედლობის ნიმუშები (ხატები და საეკლესიო დანიშნულების სხვა ნივთები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები), ანტიკური საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის კულტურის ამსახველი არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული სიწმინდეების კოლექცია, ევროპული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სამეგრელოს მთავრების, საფრანგეთის, რუსეთის, ესპანეთის საიმპერატორო ოჯახის წევრთა რელიქვიები, XV-XIX სს-ის ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები, ნაპოლენ ბონაპარტესა და დადიანების ბიბლიოთეკა, ევროპული და აზიური საბრძოლო იარაღის ნიმუშები, ფრანგული, გერმანული, ჩინური, რუსული და სხვა წარმომავლობის ბროლის, ფაიფურ-ფაიანსის ჭურჭელი და სხვ., რომელთა უმეტესი ნაწილი ეკატერინე, ნიკო და ანდრია დადიანების, შემდგომ კი, მუზეუმის პირველი დირექტორის თაოსნობით შეგროვდა¹.

მუზეუმის ექსპონატთა შორის საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ფრანგული ისტორიულ-კულტურული ძეგლები, სურათები, წიგნები. ჩამოთვლილი ექსპონატების გვერდით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საეკლესიო წიგნებს და ნივთებს. მათი ჩვენთან მოხვედრის ისტორია უცნობია.

1922-23 წწ. რევოლუციის შემდეგ დადიანების საგვარეულო საგანძურმა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებისათვის ჩამორთმეულმა ძვირფასმა ქონებამ თავი მოიყარა ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში. ამ დროს სამეგრელოში თითქმის ყველა ტაძარი დაცარიელებული და უპატრონოდ იყო, ქრისტიანული სიწმინდეებისა და ხელოვნების ნიმუშთა უმეტესობა ღვთის ანაბა-

¹ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გზამკვლევი, თბ., 2006, გვ. 14-18.

რა დარჩა. არსებობდა საშიშროება, რომ ტაძრებში დავანებულ განძს ან ხალხი მოიპარავდა, ან ბოლშევიკები გაანადგურებდნენ. ამ ღვთის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელს, პირველ დირექტორს – აკაკი ჭანტურიას და მის ძმას – სამსონ ჭანტურიას, რომელიც იყო სასულიერო პირი და მღვდლად მსახურობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის ეკლესიაში. ის დადიანების ოჯახთან დაახლოებული პირი ყოფილა. სამსონ ჭანტურია არა მარტო წირავდა ჭკადუაშის ტაძარში, არამედ სამეურნეო საქმეებსაც განაგებდა. ამაზე არსებობს დოკუმენტები დადიანების ხელნაწერთა ფონდსაცავში.

ქართულენოვანი ხელნაწერები ჩვენამდე მოღწეულია V საუკუნიდან, ძირითადად ოთხთავების ანუ ოთხივე, კანონიკური – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებების შემცველი წიგნების სახით. ძირითადად აღრეული პალიმფსესტების სახელით გვხვდება ცალკეულ სახარებათა ფრაგმენტებიც. მკვლევართა დიდი ნაწილის მოსაზრებით, ქართლში ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე ეკლესია უპირატესად მრევლის განათლებასა და ღვთისმსახურებაში წიგნიერი ჩართვისაკენ იყო მოწოდებული; ამ მიზნისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბიბლიას, უპირველესად კი, სწორედ სახარებებს ახალი აღთქმიდან.

„ეევანგელიე“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახარებას, სადაც მეტად სასიხარულო ამბავია მოთხრობილი, თუ როგორ განკაცდა უფალი ცოდვებისაგან ჩვენს გამოსახსნელად². სახარებები სხვადასხვა ეპოქაშია გადაწერილი, ე. წ. სკრიპტორიუმებში. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა მონასტრებში განთავსებულ, ცალკე გამოყოფილ საწერ ოთახს, ანუ ხელნაწერთა დასამზადებელ სახელოსნოს. მსგავსი სახელოსნოები არა მარტო საქართველოს მონასტრებში, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებულ სამონასტრო კომპლექსშიც უხვად იყო და აქტიურ სამწიგნობრო კერებს წარმოადგენდნენ. ჩვენამდე მოღწეულია არაერთი ხელნაწერი სახარება, როგორც სინას მთის მონასტრიდან, ისე ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმებიდან.

ქრისტიანული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახარების თარგმანს, ძველი აღთქმის წიგნებიდან „დავითის“ თარგმანს, რადგან ძველად ღვთისმსახურება უმეტესად ფსალმუნთა გალობისაგან შედგებოდა. აქედან გამომდინარე ქართველებსაც პირველ რიგში, უდავოა,

² Wikipedia. org.

სწორედ სახარება უნდა ეთარგმნათ. ეს უნდა მომხდარიყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, V საუკუნიდან ჩვენ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები ქართულ ენაზე სახარებისა და სხვა „საღრმთო წიგნთა“ თარგმანის არსებობის შესახებ. მაგ., პეტრე იბერის (ქართველის) ცხოვრებაში ნათქვამია, რომ იგი ბავშვობაშივე, ბიზანტიაში გამგზავრებამდე (424 წლამდე) წმინდა წერილებს კითხულობდა, ხოლო შუშანიკის მარტილობაში კკითხულობთ, რომ დედოფალმა „ხელთა აღუხინა (აილო) დავითნი და მცირეთა დღეთა შემდგომად იგი ფსალმუნნი დაისწავლნა,“ ხოლო ვარსკენ პიტიახშთან ძალად დაბრუნებულმა შუშანიკმა „თანა წარიტანა ევანგელიე თვისი, აგრეთვე წმინდანი იგი წიგნნი მოწამეთა“. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იაკობ ცურტაველს ციტატები მოჰყავს პავლეს ეპისტოლეებიდან. მემატანის ცნობით, ვახტანგ გორგასალს მდიდრულად შეუქცია ერთი სახარება, რომელიც შემდეგ ფარსმან მეფეს შიომღვიმის მონასტრისთვის შეუწირია. VI-ის დასაწყისის ეკუთვნის საბა განწმედლის ცნობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ, თავის ენაზე წაეკითხათ სახარება – სამოციქულო და „დავითნი“³.

1708-1709 წლებში ვახტანგ VI-ის მიერ პირველი სტამბის დაარსებიდან ხელნაწერზე მოთხოვნილებამ იკლო, თუმცა ოთხთავები XX ს-ის დასაწყისამდე ინარჩუნებდა არსებობას, უახლოეს პერიოდში კი 1984-2004 წლებში თბილისის სამების საკათედრო ტაძრისთვის ხელით გადაიწერა სამების ოთხთავი. მისი გამოყენება ყოველდღიურ ღვთისმსახურებაში არ ხდებოდა.

ნაშრომის მიზანია გავაცნოთ დოკუმენტური მასალები სიწმინდეებზე და ნაწილი იმ სახარებებიდან, რომლებიც დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდსაცავებში. საღვთო სახარებები იმპერატორების, იმპერატრიცებისა და მათი შვილების სულის მოსახსენიებლად არის დაბეჭდილი.

სახარება (ოთხთავი) – ქართულ-რუსული, ნაბეჭდი ქაღალდზე, ზომით 28X43, ნუსხა-ხუცურით, ჩასმულია შინდისფერ, ბარხატგადაკრულ ყდაში. ყდაზე დამაგრებულია ხუთი ლითონის ფირფიტა. ერთ-ერთ ფირფიტაზე მოცემულია „აღდგომის“ კომპოზიცია, ფონი კი შევსებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით. აქვს ორი ჩასაკეტი. სახარების შემკულობას

³ Wikipedia.org.

წარმოადგენს აბზაცების დასაწყისში სინგურით შესრულებული მთავრული ასოები. სახარებას პირველ და ბოლო გვერდზე დართული აქვს წარწერა: „ესე რუსული და ქართული სახარება მამიჩემის დადიანის გრიგოლისსგან ოჯახში დადებული ყოფილა, გაუცემია და მე დადიანს ლეონს ამომიღია და ისრევ საოჯახოთ დამიძს. ვინც ამ ოჯახს ეს განმსწიროს, ამ ოთხი მახარობლის მადლი გაუწყრა. ამინ, ამინ, ამინ წელს 1816-სა, 31 სექტემბერს“.

სახარების ბოლო გვერდზე იკითხება შემდეგი წარწერა: „მე რუსული სახარება და ჩუენაშევ სახარება სამოციქულო ერთად დაბეჭდილი ჩუნ ვიყიდეთ დადიანმან გრიგოლმან და დედუფალმან ნინამ და ვინც ეს ამ ოჯახს გამოაზვათ ამათგან შეჩუენებული იყო ვით ხელით და ზორციოთ, ამინ, ამინ, და ამინ“⁴.

ამ წარწერიდან ვიგებთ, რომ ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანს და მის თანამეცხედრეს – ნინო ბაგრატიონს შეუსყიდათ ეს წმინდა სახარება. სახარების შეურაცხმყოფელი დაუწყევლიათ. მათი გარდაცვალების შემდეგ სახარების ბედი უცნობია. როგორც ჩანს, წიგნი დადიანების ოჯახის პირადი სახარება ყოფილა, რომელიც მათ ძეს – ლევან V დადიანს (1811-1840 სს.) კვლავ განუახლებია და დაუბრძანებია თავის სასახლეში.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ დადიანებს არაერთი სასახლე ჰქონდათ, მათ შორის სალხინოს საზაფხულო რეზიდენცია და მასთან არსებული ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია. სწორედ ამ ეკლესიიდან არის შემოტანილი ერთ-ერთი სახარება, რომელიც დაცულია დადიანების სასახლეში.

სახარება (ოთხთავი) – ქართული, ნაბეჭდი ქალაქზე, ზომით 28X43, ნუსხა-ხუცურით, მთლიანად ჭედურ ყდაში ჩასმული. ყდის ცენტრალურ ნაწილში მოცემულია „აღდგომის“ კომპოზიცია. გვერდებზე გამოსახულია ოთხი მახარობელი. ფონი შევსებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით. ქვედა ფრთაზე დამაგრებულია ლითონის ოქროსფერი ფირფიტა, მხედრული წარწერით: „საუკუნო მოსახსენებლად განსვენებულის იაგორ არღულიანის დანაშთთა მისთაგან სყიდული და შეწირული სალხინოს სასახლის ეკლესიისადმი, 11 თებერვალს 1874 წელსა“. სახარების შემკულობას წარმოადგენს სინგურით შესრულებული სათაურები და ოთხი მახარობლის ფერადი

⁴ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეტიმოლოგიური მუზეუმის (ამჟამად დადიანების სასახლეა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი) დოკუმენტებისა და ჭედური ხელოვნების კოლექციები. შემოკლებით: ზსიემ/ჭხ. 451.

მინიატურები⁵.

სახარების მინაწერში მოხსენიებული პირი იაგორ არღვლიანი შესაძლოა ყოფილიყო სასულიერო პირი. ის დაკრძალულია ზუგდიდის მაცხოვრისკარის, კვირაცხოვლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი სვეტის წინ. მისი საფლავის ქვის მხედრული წარწერა ასე იკითხება: „ლოდსა ამას ქვეშე დასაფლავებულ არს გვაში განსვენებულის იაგორ არღვლიანისა, რომელიც გარდაიცვალა 11-ს თებერვალს 1871-ს წელსა შობითგან 51-ის წლისა. ამან დროსა სიყრმისა თვისისა მოყვანილმან ზემო სვანეთიდან მრთელს თვსს სიცოცხლეშიდ დიდად დაშვრა მსახურებასა შინა სანმეგრელოს სამთავროისა სახლისა, ხოლო განსაკუთრებით 31-ის განმავლობაშიდ განაგრძო მან სამსახური განუმორებლად წინაშე მისის უგანათლებულესობის მთავრინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულისა ყოვლითა პატიოსნებითა და სრულისა ერთგულებითა. ესრეთ აღესრულა რა, პატივად ხსოვნისა მისისა გვაში მისი დაუფულა კარიბჭესა შინა წმინდისა ამის ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიისა, რომლის ნაცვალსაგებად კეთილმოსაგებთან დანაშთთა მისთა. დიდძალითა სასყიდელითა განახლდა კეთილმშობლობითა და მზრუნველობითა მთავრინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულისათა, ვითარ მრთლივ შიგნით ეკლესია ესე, ეგრეთვე კარიბჭე ამის ზედა დაშენებულ იქნა სამრეკლო თლილთა ქვათაგან ორის ზარებით და რათა შეწირულ იქნეს მსხვერპლი ესე წინაშე უფლისა ღუთისა, საოხად სულისა მისისა და საუკუნო მოსახსენებლად მისდა შემდგომითი შემდგომთა სამღვდელთაგან წ(მინდის)ა ამის ეკლესიისა. ამინ“⁶.

საფლავის ქვის წარწერის მიხედვით დავასკვნით, რომ ეს სახარება იაგორ არღვლიანის სულის საოხად შეუწირავთ მარტვილის რაიონის სოფ. სალხინოს სასახლის ეკლესიისათვის. სალხინოს ეკლესია აგებულია 1782 წელს და დადიანთა სალხინოს სასახლის სამთავროს კარის ეკლესიას წარმოადგენდა.

სახარება (ოთხთავი) – რუსული (ძველი რუსულით); ნაბეჭდი ქალაღზე; ზომა 22X15; მელნისფერ ბარხატის ყდაში ჩასმული; ბარხატი სიძველის გამო გახუნებულია, გაუფერულებულია. ყდაზე დამაგრებულია ლითონის ხუთი ფირფიტა; ერთ-ერთ ფირფიტაზე მოცემულია „აღდგომის“ კომპოზიცია, გვერდები კი შევსებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით; სახარება

⁵ ზსიემ/ვხ. 460.

⁶ ა. ტულუში, ლაბიდარიული წარწერები, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, #45, თბ., 1977, გვ. 21-23.

დამშვენებულია სინგური სათაურებითა და ოთხი მახარობლის ფერადი მინიატურებით. პირველ გვერდზე დართული აქვს შემდეგი წარწერა რუსულ ენაზე:

”Гія книга ев Евангелие

Пажерствовано

Александромъ Квановичемъ Гваджава

Въ Оциндалски монастыр

Въ Малитвенную память моего Брата.

Григориа Гваджава

17-го Сентября 1914 года”⁷.

წარწერიდან გამომდინარე, სახარება ვინმე ალექსანდრე გვაჯავას ძმის სულის მოსახსენიებლად შეუწირავს ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ოცინდალეს ეკლესიისათვის, 1914 წელს. ოცინდალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XI ს-ის ძეგლია. ტაძრის მშენებლობას ხალხური გადმოცემა თამარ მეფის სახელს უკავშირებს. ამ მხარეში მოგზაურობისას მას ტაძრის ახლოს მდგარ კოშკში დაუდვია ბინა და აქედან გადასულა სვანეთში.

ოცინდალეს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ 1887 წელს საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთ „მწყემსიდან“ სამსონ თოდუა. აღნიშნული პიროვნება სასულიერო წრის წარმომადგენლის, ცაიშის ოლქის ბლალოჩინ ბესარიონ თოდუას ძმა იყო (1907-1917 წწ.). „ზუგდიდის მაზრიდგან სამხრეთისკენ, ერთ მაღალ გორაკზედ მდებარეობს სოფელი ოცინდალი. სოფლის ერთ ტყიან გორაკზე არის აშენებული ერთი მშვენიერი ტაძარი. გასაკვირია, რომ ამისთანა მშვენიერი გეგმის ეკლესია აღუშენებიათ ამისთანა მიუვალ ადგილს. ტაძარი უნდა იყოს აშენებული იმ დროს, როცა საქართველოს მოსვენებას არ აძლევდნენ თათრები, რომელნიც მეცადინეობდნენ საქართველოში ქრიტიანობის მოსპობას. ამ შიშინობის დროს ჩვენი წინაპარნი ეკლესიებს უმეტესად მიუვალ ტყეებშიდ აშენებდნენ. ამ ეკლესიის ეზოში მე ვნახე ერთი ქვა, რომელზედაც შემდეგი წარწერა არის: „ეკლესია ესე განვაახლე მე ღვთისმოსავმა თამარ-დედოფალმა“. სხვა წარწერა წაშლილია. ამ წარწერისგან სჩანს, რომ ეს ეკლესია განუახლებია თამარ-დედოფალს“⁸.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმის ხელნა-

⁷ ზსიქმ / კბ. 467.

⁸ დ. ჭითანაია, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 460.

წერთა ფონდში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად ოცინდალე XIX ს-ის II ნახევარში ეკუთვნოდა ჯვარის მაზრას. 1852 წელს არქიმანდრიტმა თეოფანე გაბუნიაძემ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის – დავით დადიანის დავალებით, აღწერა ჯვარის მაზრაში შემავალი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის – ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია: „1-იენისს ვკლე საათ ნახევრის სავალი, გზა გვლარძინილი ქვანი სიმაღლეზედ ოცინდალეს სოფლის წინ გიორგის ძუელი ქვიტკირის ეკლესია განვიხილე, ახალი გახეებულია, მთავრის დავით დადიანის განკარგულებით, შინაგან სრულიად დახატული ყოფილა, რამდენი განრყენილია, საშვალო შემკობილია, სიმცირისა გამო მეორე მეტალის ბარძიმი გამოსაცვალა: მაცხოვრის ხატი; სიგრძე სამი ციდა, განიორი მტკაოლი, უც მოჭედილი, თვლითა და მარგარიტით შემკობილი ყოფილა და ხატს ქუემორე ნაწილები სავსე ჰყოფილა, თავში მრთლა მოდილო ძელი ჭეშმარიტი ჰქონია, რომ ადგილები იმნაირი და ნაწილებს ერთბამ უეცხლი ჰქონია გარდაფარებული და ზედ ნაწილებით სახელები წარწერილი: წარწერილობა აწცა სჩანან, გარნა აწ სრულიად განრყენილია, ასე თქუეს ნაწილი ერთად გერმანე არხიმანდრიტმან ელიავამ წაილო, და შემდგომად ხატი ქუერდთა განსმარცუეს სამრეკლო ქეთკრისა და ირგვლივ გალავანი გარყენილია, მაღალი ადგილია, რომელიც მთას აქეთ სრულად მენგრელიას უყურებს ზღვითურთ, ვითარცა ადგილის გარემოებათაგან ორთაუე მონასტრად ყოფილია, და ამას ერნიცა ეწამებინან: მღუდელი მიქელ თოდუა მოხუცებ შტატს. გარეშეა, არ სწირავს: მღუდელი ზოსიმე თოდუა ყმაწვილი, ცოლ-შვილი ჰყავს, კითხვა იცის საშვალოდ: მღუდელი დავით თოდუა ყმაწვილია, ქვრივია, წერა-კითხვა იცის ცუდად: აქ სასლობან მხოლოდ შვიდი კომლი, მრევლი არის 150 კომლი, არიან უაღსარებონი, უზიარებელნი, კვირას და დღესასწაულს დღეებში ეკკლესიაზედ არ დადიან: არ უქმობენ და მცირედნი მარხულობენ, კერპოვნებით ლოცვებს ლოცვობენ, მღუდლები, ზოგად ერნი და სტაროსტები, შემდგომ ჯეროანისა ქადაგებისა ხელის წერილით შეიკრნენ დაცვისათვის მართალია სჯულთა და წერილობითი დარიგება მიეცათ: უკმოქცეული სათანადო მრევლის გზით ჩამოიქუცვთად ფრიად თავდაღმართი კლდე ქვანი, დაღამებამდე ვკლე ნახევარი საათის სავალი და განვრცელდება სამრეკლო ვიდრე ერთის საათისა და 20-ის წამისა სავალზედ, მაგა სიშორისა და გზის სიძნელისა და გამო გულ გულგავრილებულნი ერნი თვთ ბრწყინვალე დღესასწაულებშიაც აკლდებიან წმინდასა ლიტურდიასა, ფრიად საჭირო არს საშვალს ადგილზედ გაყიდეს ზედ მიწერილი ეკკლესია მოსაქცეულად ერისა: თუმც დიდი შამოსავალი აქვს, გარნა

დახარჯულა თუ განბნეულან, აწ მხოლოდ სამი მანეთი აღმოჩნდა: - არ: თე-არხიმანდრიტი თეოფანე“⁹.

სახარება (ოთხთავი) – ქართული; ნაბეჭდი ქალაღი, 28X43, ნუსხა–ხუცურით; ოქროსფერ ჭედურ ყდაში ჩასმული; ორი ჩასაკეტი; ყდის ზედაპირზე, ცენტრალურ ნაწილში მოცემულია ტრადიციული თემა – „აღღო-მის“ კომპოზიცია; ფონი შევსებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით, გვერდებზე კი გამოსახულია ოთხი მახარობელი. მეორე მხარეს ვხვდებით „ღვთისმშობლის შობის“ კომპოზიციას. სახარების ყდის ქვედა ფრთაზე, ლითონზე ამოტვიფრულია შემდეგი წარწერა: „შემოვწირე ნაკიფოვოს ღვთისმშობლის შობის ეკლესიას მღვდელ-მონაზონ გაბრიელ ბელქანიამ მოსახსენებლათ მიცვალებულათთვის კონსტანტინე, ელისაბედ, სამსონ, ათანასი, კესარია, ანტონ, ანდრია ათას ცხრას ხუთსა წელს მარტის ოცდახუთს“¹⁰.

ამ წარწერაში მოხსენიებული მღვდელ-მონაზონი გაბრიელ ბელქანია სავარაუდოდ მოღვაწეობდა ნაკიფუს ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში. სხვა ინფორმაცია ამ პიროვნებაზე არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვადასხვა საეკლესიო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბელქანიები სასულიერო პირები ყოფილან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მღვდელ-მონაზონმა გაბრიელ ბელქანიამ ნაკიფუს ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიას შესწირა ისეთი სახარება, რომლის ყდაზე გამოსახულია ღვთისმშობლის შობა, რაც ადასტურებს, რომ ნაკიფუს ხის პატარა ეკლესია ღვთისმშობლის შობის სახელზე აუგიათ.

დავით ჭითანავა აღნიშნავს, რომ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაკიფუში, ადგილი, სადაც ეკლესია იყო აგებული, დღეს შემადლებულ ბორცვს წარმოადგენს. ბორცვის კონტურის მიხედვით, აქა-იქ შემორჩენილი რიყის ქვით ნაგები კედლების მცირე ფრაგმენტების საშუალებით, შესაძლოა სქემატური გეგმის დადგენა. რიყის ქვის კედლების ფრაგმენტები თითქმის ნაგებობის ოთხივე კუთხეში შემორჩა. მისი ზომა დაახლოებით 10X15 მ: მცირე ზონდაჟის გაკეთების დროს შესაძლოა ეკლესიის საძირკველის გამოჩენა¹¹.

სახარება (ოთხთავი) – ქართული; ხელნაწერი; ქალაღი, ტყავი, ზომით 9 X 6,5, ნუსხა-ხუცურით. ოთხთავი ჩასმულია ყავისფერ ტყავგადაკრულ ყდაში; ყდის წინა მხარეს, ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ჯვარი, უკანა მხარეს კი ღვთისმშობელი; ფონი შევსებულია ოქროსფერი ყვავილოვანი

⁹ ზსიემ/დოკ. 7602.

¹⁰ ზსიემ /ჭხ.471.

¹¹ დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 220.

ორნამენტებით. სახარებას პირველ გვერდზე დართული აქვს წარწერა: „1904 წლის 6 აპრილს ეს ხელნაწერი სახარება ზობის ღვთისმშობლისათვის შემოწირავს. ვინც გამოსწირავს, რისხავდეს, მისი მაღლი ჩემი ცოდვის მტკირთველი იყოს. არხიმანდრიტი სვიმეონ აფაქიძე“. წარწერაში მოხსენიებული სვიმეონ აფაქიძე ზობის საწინამძღვრო ტახტზე ავიდა 1894 წელს, რასაც მოწმობს ზობის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს წარწერა: „1902 წ. გაკეთდა დროსა წინამძღვრობისა არხიმანდრიტის სვიმონ მამუკას ძე აფაქიძისა, სამრეკლოს იატაკი, კიბეები გალავნით, ღმერთმან გაცხოვნოს“. სვიმონ აფაქიძის შესახებ ისტორიული ცნობები ძალიან მწირია. მისი წინამძღვრობის წლებია 1894-1906 წწ.¹².

სამეგრელოს სხვადასხვა მონასტრებში დაცული სიწმინდეების შესახებ ცნობები მიმოხილულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში, აგრეთვე დოკუმენტებში, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია.

მუხუშუმის ხელნაწერთა ფონდში ჩვენ მივაკვლიეთ ერთ უძვირფასეს დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს აღწერას მარტვილის რ-ნის სოფ. ნახარებაოს მონასტერში დაცული წმინდა ნაწილებისას. ის 1854 წელსაა შედგენილი მღვდელმონაზონ გაბრიელის მიერ და შეადგენს ნაწილს ამ მონასტერში დაცული ქონების აღწერისა¹³.

გთავაზობთ სრულ ტექსტს ამ აღწერლობისა, რომელშიც წმინდანთა სახელები ასომთავრულით იწყება და მხედრულით მთავრდება. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ ძეგლსაც, იმდენად, რამდენადაც მას ერთვის ნახარებაოს ეკლესიაში ამ დროს დაცული წიგნების სიაც:

„წმინდათა ნაწილებთაგან სახელდობრ აღნიშნული თითოეულსა ძველი ჭ(ეშმარი)ტი ჯვარად ქმნილი და მოოქროვილი. და ფ(რია)დ კარგი ხელოვნებით შემკული მარგალიტი. და ამ ძეგლი ჭ(ეშმარი)ტისა ჯვარად ქმნილსა აქვს სირმის კუბო. გულ სახუნად ქმნილი, ყ(ოვლა)დ სამღვდელოს მიტროპოლიტის ანტონისა თვისადვე. და ამაშიდ ძევს რამდენიმე ნაწილები – ზოლო ამა ძელი ჭ(ეშმარი)ტთაგან ძევს პატარა ოქროშიდ ჩასმული უეჭველი და ჭ(ეშმარი)ტი იოანე ნათლისმცემლის თავისაგან მიღებული ნაწილი.

¹² გ. ჩიტაია, ზობის სიძველენი, თბ., 2017, გვ. 13.

¹³ ხსიემ/ დოკ. 7671.

წმინდა)თა ნაწილებთან სახელები:

1. წმინდა ანდრია მოციქული: ოქროს დაფერილ კუბოში ჩასმული.
2. წმინდა ფილიპე მოციქული: ოქროს დაფერილში ჩასმული.
3. წმინდა გიორგის ნაწილი უერცხლში ჩასმული.
4. წმინდა ევსტათის ნაწილი და ოქროს დაფერილში ჩასმული.
5. წმინდა ევსტათის კ(იდევ) ნაწილი და ოქროს დაფერილში ჩასმული.
6. წმინდა იოანე ოქროპირის ნაწილი და ოქროს დაფერილში ჩასმული.
7. წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის და ოქროს დაფერილში ჩასმული.
8. წმინდა იოანე მოწყალე და უერცხლში ჩასმული.
9. წმინდა ათანასე ღმერთშემოსილის ოქროს დაფერილში ჩასმული.
10. წმინდა გრიგორი ავრკანტელის ნაწილი და უერცხლში ჩასმული.
11. წმინდა ხარლამპის ნაწილი ოქროს დაფერილში ჩასმული.
12. წმინდა ნეოფიტეს ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
13. წმინდა ალაპის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
14. წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ოქროს დაფერილში ჩასმული. ნაწილი და ოქროს დაფერილში ჩასმული.
15. წმინდა ეპიფანეს ნაწილი, უერცხლში ჩასმული.
16. წმინდა ნესტორ მოწამის ნაწილი და უერცხლში ჩასმული.
17. წმინდა ელევთერი მოწამის ნაწილი და უერცხლში ჩასმული.
18. წმინდა კონონის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
19. წმინდა მარინეს ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
20. წმინდა პარასკევას ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული, გარნა კარგი ხელოვნებით.
21. წმინდა თეოდოსი ზოგად ცხოვრეულის ნაწილი ოქროს დაფერილში ჩასმული.
22. წმინდა ბუკას დახატული ყ(ოვლა)დ წმიდის ხატის წმიდა ფარდა.
23. და ამ ნაწილების დასაწყობი შავი ხუავერდი. გარნა კარგი აკერილი და კარგიცა არს, და, ამ ნაწილების შესანახი და ჩასაწყობი სირმის კოლოფიცა: და კ(იდევ) სხვანი.
1. ჯუარი კარგის ტანისა, კარგისავე ხელოვნებით შემკული სირმისა და მოქროვილი: რომელსა ზედა გამოხატულ არს, თავსაკენ საუკუნო მამა. შუაზედ ჯვარცმა. მარჯვენით ყ(ოვლა)დ წმინდა და მარჯვენით იოანე ნათლის მეტყველი და ქუემორე კიდევ მაცხოვარი ოდესცა ილოცვიდა გეთსამანიის ბაღში.

2. კ(უალა)დ ჯვარი ხისა არს. გარნა მძიმედ მოჭედილი და მოოქროვილი ფრიადის კარგისა ხელოვნებით შემკული, თვალითა და მარგარიტითა და მცირისა ტანისა.
3. კ(იდე)ვ ჯვარი მისივე მსგავსი ხისა არს. გარნა ფრიად კარგი მოოქროვილი და მოჭედილი მძიმე შემკული თუალითა და მარგალიტითა და მცირისა ტანისა.
4. კ(იდე)ვ ჯვარი თვითფრისა, რომელზედაც გამოსახული არს ჯვარცმა მხოლოდ.
5. კ(იდე)ვ ჯვარი ხისა, მოუჭედელი გარნა კარგი არს.
 წიგნებთაგან სია:
 1. სახარება. კარგად და ჩინებული მძიმედ მოჭედილი სირმითა, წითლის ხაუერდით შემკული ნახევარი რუსული და ნახევარი ქართული.
 - 1 სახარება. ტრაპეზზე სასუენი და ვარაყით შეკრული;
 - 2 სხვა სახარებები;
 - 2 სამოციქულო;
 - 2 მარხვანი;
 - 3 სათუთო ჟამნი ძუელები;
 - 3 დავითნი;
 - 2 ლოცვანი. ერთი ს(რულა)დ ძუელი და გლახა, მეორე გვარიანი.
 - 3 კონდაკი;
 - 2 კურთხევანი;
 - 1 თუენი ხელნაწერი. გარნა ორად შემკული;
 - 1 სამთლენის თუენი;
 - 1 ზადიკი; 1 ვნების სახარება;
 - 2 პარაკლიტონი ძუელი დახეული;
 - 2 სახარების თარგმანი ძუელები, ტეტრადზე დაწერილი;
 - 1 სიმეტნე ღრამატიკისა პატარა ნაწილი;
 - 1 წრფელობითი ბრუნვის წიგნი თათრულსა ენაზედ;
 - 2 ბერძნული წიგნები;
 - 1დიალექტიკა დიდი კრებული;
 - 1 კლემაქსი;
 - 1 მაქსიმე აღმსარებლის წიგნი იოანე მონაზვნის და ხუცის დამასკელისა.
 - 1 დაბადება იყო და განსუენებულმან და ნეტარსენებულმან მთავარმან მეგრელის დავით დადიანმა წააღებინა გორდს სასახლეში; 1851-ს წელ-

ში:

ესე ყოველი შემოწირულობა არს ყ(ოვლა)დ სამღვდელოს განსუენე-ბულის ანტონის მიტროპოლიტისა;

და სხვანი უკვე არიან ვინ და ვის სახელდობრით მიიღო ყ(ოვლა)დ სამღვდელო მიტროპოლიტმან ანტონიმ, ადგილსა, მამულისა და ყმის-თვინ;

და ვითარცა ძევს ამ მონასტერში და ყოველივე იმაშიდ არის აღწე-რილი და დამტკიცებული ვინც უკუიხილავს.

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი“.

მეორე დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „ზოგადი აღწერა მარტვილის სა-კათედრო სობოროისა,“, 1854 წელსაა შედგენილი. აქ დაცულ ხატებს შო-რის მოხსენიებულია „ხატი ნათლისმცემლისა, კუბოში ჩასვენებული. კუბო აქვს ხატსა ამას ვერცხლისა, ხ(ოლ)ო გული ვერცხლისავე ოქროთი დაფე-რილი. ამ კუბოში ასვენია ოთხი ხატი; სამი ჯვარსახიანი, ხოლო მეოთხე – ნაწილი ჭურჭელი, რომელშიც ასვენია ძელი ჭეშმარიტი და სხვა წმინ-დანთა ნაწილნი. ოთხივე ეს სანაწილები არის მძიმეთ შემკული მარგალიტი-თა და სხუა და სხუა თვალებითა“.

გარდა ამ ხატისა, მარტვილის ტაძრის ხატებს შორის მოხსენიებულია წმ. გიორგის ხატი, რომელიც „ასუენია მთავრის დავით დადიანის საფლავ-ზედ“, და რომლის ვერცხლის კუბოში „ასუენია ოთხ კუთხით წმინდა ნა-წილნი შორის ძველისა ხატისა“. ამავე ხატის „მეორე ვერცხლის კუბო გა-ნით და სიგრძით ორ ვერშოკნახევარიანი. ამაში ასუენიან წმინდანი ნაწილნი ნესტორისა, ღალაკტონისა, ფილიპე მოციქულისა, პანტელეიმონ მკურნალი-სა“.

მოცემულ დოკუმენტში ნახსენები ანტონი ყოფილა ცნობილი ჭყონდიდე-ლი მიტროპოლიტი, საეკლესიო მოღვაწე და მჭევრმეტყველი. იგი დაიბადა 1731 წელს. აღიზარდა სამეფო კარზე. უმაღლესი საღვთისმეტყველო და ფი-ლოსოფიური განათლება, როგორც თვითონ წერს, მიუღია თბილისსა და თე-ლავში. 1761 წელს ეკურთხა ცაგერელად. ეწეოდა მწიგნობრულ მოღვაწეო-ბას. ანტონ ჭყონდიდელი იყო მეტად ღვთისნიერი, ასკეტური სულის ადამიან-ნი. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში და საეკლესიო წრე-ებში, მას ხალხი „დიდ ანტონ ჭყონდიდელს“ უწოდებდა. დიდი ანტონი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მქადაგებელი, მჭევრმეტყველი.

1. 1789 წელს მიტროპოლიტი ანტონი გადადგა ჭყონდიდლობიდან, განერი-და უმაღლეს იერარქიულ დიდებას და მონაზვნურ ცხოვრებას მიჰყო ხე-

ლი. იგი დამკვიდრდა მის მიერ აგებულ ნახარებაოს მონასტერში და განაგრძო სამწერლო-მწიგნობრული საქმიანობა. ეს მონასტერი გაამდიდრა მან სიწმინდეებით, ძველი ხატებით, წიგნებით, ღიძაღლი მამულებითა და გლეხებით. ჭყონდილობიდან გადადგომის წინა წელს, 1788 წელს, ყველა საეკლესიო მამული ანტონმა გაანთავისუფლებინა კაცია დადიანს ყოველგვარი საერო გადასახადისაგან და, რაც დაკარგული მამულები იყო, ამოიღო და ხელახლა დაუმტკიცა მარტვილის ეკლესიას, ნახარებაოს მონასტერს¹⁴.

ღიძი მეცნიერი თელო ჟორდანია წერდა, რომ 1815 წელს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ანტონი, მისგანვე აღდგენლ მონასტერში – ნახარებაოში; იქვეა დამარხული. საფლავი მისი ყველასაგან პატივცემულია, როგორც წმინდანისა.

ამავე დოკუმენტში მოხსენიებული მღვდელმონაზონი გაბრიელი ჩვენთვის უცნობი საეკლესიო მოღვაწეა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ის მოღვაწეობდა ნახარებაოს წმ. გიორგის ეკლესიაში და ღიძ სამსახურს უწევდა ანტონ ჭყონდიდელს.

ამ ნაშრომში აღწერილი დოკუმენტური მასალები და წმინდა სახარებები, რომელთა უდიდეს მადლს არაერთხელ გადაურჩენია ჩვენი კუთხე, დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდსაცავებში.

Mzisadar Chapandze Documentary Materials Preserved at the Dadiani Palace about Gospels and Sacred Artifacts

The Historical-Architectural Museum of Zugdidi's Dadiani Palaces houses a vast collection of national cultural and artistic artifacts. Regrettably, many of these treasures remain inadequately explored and largely unfamiliar to the public. This study aims to unveil the documentary materials related to relics and a selection of preserved gospels, which are archived within the Historical-Architectural Museum of Dadiani Palaces.

¹⁴ მ. ბუკია, ანტონ ჭყონდიდელი ღიძი მარხვის ქადაგებები, თბ., 2007, გვ. 6.

დავით ჭითანავა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

„ნეოლითური რევოლუციის“ გამომწვევი ძირითადი ფაქტორები

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერმინ „ნეოლითური რევოლუციის“ ქვეშ ნაგულისხმევი ეპოქის ირგვლივ არსებული თეორიული პრობლემები.

ტერმინი „ნეოლითური რევოლუცია“, დღეს საკმაოდ ზოგადად იხმარება იმ მოვლენის მიმართ, სადაც კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე გარდამტეხი ცვლილებები შეინიშნება. სამეცნიერო ლიტერატურაში, ისტორიამდელი ხანის ადამიანის ცხვრების წესში მომხდარი შეიძლება ითქვას ეს უეცარი ტრანსფორმაცია ძალზედ ერთფეროვნად არის ახსნილი გეოგრაფიული გარემოს როლის და დემოგრაფიული პროცესების წინ წამოწევით. გეოგრაფიული გარემოს როლის და ასევე დემოგრაფიული პროცესების გაუთვალისწინებლობა რა თქმა უნდა არ იქნებოდა მართებული, მაგრამ ცხოვრების წესის ისეთ უეცარი ცვლილება, რომელსაც ადამიანი დროის მოკლე მონაკვეთში ღრმა ეკონომიკური (მწარმოებლური) საფუძვლების გარეშე აღწევს, მართო გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორებით შეუძლებელია აიხსნას.

გორდონ ჩაილდის მიერ შემოღებულ ტერმინს – „ნეოლითური რევოლუცია“ და „ნეოლითური რევოლუციიდან ქალაქურ რევოლუციამდე“, დღემდე მყარად იყენებენ მეცნიერებაში, თუმცა გარკვეული პრეტენზიები წარმოიქმნა ტერმინ „რევოლუციის“ მიმართ, რაც სხვადასხვა ენაზე უეცარ ცვლილებას აღნიშნავს და ჩაილდის მიხედვით სწრაფ გადასვლას გულისხმობს და არა ხანგრძლივი ევოლუციის შედეგს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი სავსებით გამართლებულია, რამდენადაც ჯერ მიწათმოქმედების, შემდგომ მესაქონლეობის, ხოლო შემდგომ კი პირველი ცივილიზებული სახელმწიფოების წარმოქმნა იმდენად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ეკონომიკისა და სოციალური ორგანიზაციის მხრივ, რომ ტერმინები – „ნეოლითური რევოლუცია“ და „ქალაქური რევოლუცია“ მართლაც შეიძლება მივიჩნი-

ნით ცივილიზაციის განვითარების ორ ძირითად ეტაპად¹.

დღეს ტერმინი „ნეოლითი“ აღნიშნავს ცივილიზაციის იმ სტადიას, როდესაც მეურნეობა ძირითადად ეფუძნება მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, ხოლო ლითონი ჯერ კიდევ არ გამოიყენება შრომისა და საბრძოლო იარაღების დასამზადებლად. ნეოლითი ყველგან ერთი და იმავე დროს არ წარმოქმნილა. დასავლეთ აზიაში ის 12 ათასი წლის წინათ დაიწყო. ევროპაში პირველი სამიწათმოქმედო თემები სამი ათასი წლის წინ გაჩნდნენ. ხუთი ათასი წლის წინ ბევრი რეგიონის მოსახლეობა ჯერ კიდევ აგრძელებდა ნადირობას და შემგროვებლობას².

ასლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შენიშნული „ნეოლითური რევოლუცია“ გულისხმობდა მიწათმოქმედების მეტ-ნაკლებად ერთდროულად ათვისებას და ცხოველთა მოშინაურებას, შემდგომ კი კერამიკის და გაპრიალებული ქვის იარაღების და ცალკეული კულტურების ინდივიდუალური მიღწევების განვითარებას. მწარმოებლური მეურნეობის ფართო განვითარება აღნიშნავდა ახალი, ადრე ათვისებული სივრცის მეტ ათვისებას, დასახლების ხაზოვან-მარშრუტული სქემიდან, უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი საზღვრებისკენ-მოედნის ირგვლივ შახმატურ-წერტილოვანი დასახლების შექმნას³.

ნეოლითურ რევოლუციის გენეზისთან დაკავშირებით, ბოლო დროს დაისვა რამოდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი, რაც გადაწყვეტას მოითხოვს. პირველი რაც საყურადღებოა, გახლავთ ის, თუ რა მიზეზით გადავიდნენ ზოგიერთი თემები გარკვეულ მომენტში შერჩევითი ნადირობიდან და საკვების შეგროვებიდან მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე? ეთნოგრაფიული პარალელების საფუძველზე შენიშნულია, რომ საკვების მოპოვება ნადირობით და შემგროვებლობით უფრო ადვილი იყო, ვიდრე მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მეზოლითური ჯგუფები რაღაც მიზეზით იძულებულნი არიან რადიკალურად შეცვალონ თავიანთი ცხოვრება. ავტორთა ნაწილი ამას ხსნის დემოგრაფიული ფაქტორებით, მაგრამ ნეოლითამდელ თემებში დემოგრაფიულ აფეთქებაზე არაფერი მიუთითებს. პირიქით, პირველყოფილი თემები კონტროლსაც კი უწევენ შობადობას და

¹ **3. Ян Де Лаат.,** От начала производства пищи до первых государств: общий обзор. История человечества. Т. I. Доисторические времена и начало цивилизаций, М., 2013, стр. 392.

² **3. Ян Де Лаат.,** От начала производства пищи до первых государств: общий обзор, стр. 394.

³ **С. А. Арутюнов.,** Народы и культуры. Развитие и взаимодействие, М., 1989, стр. 64-65.

მსგავს რამეზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მიწათმოქმედების პირობებში, რამდენადაც ამ დროს დამატებითი სამუშაო ძალა უფრო საჭიროა. ბოლო დროს გავრცელდა მოსაზრება, რომ ნეოლითამდელი ტომები ცხოვრების ნეოლითურ წესზე გადავიდნენ არა სპონტანურად, არამედ რაღაც კრიზისული სიტუაციის საპასუხოდ⁴.

ხაზგასმულია კიდევ ერთი საკითხი: თუ მონადირე-შემგროვებელთა ჯგუფების დიდი ნაწილი ნეოლითამდე ფლობდა საკმარის ცოდნას ბოტანიკაში და ბიოლოგიაში და შესაბამისად მათ ადვილად შეძლეს საკვების წარმოებაზე გადასვლა, მაშინ რატომ გააკეთეს ეს რამოდენიმე მათგანმა?⁵ მეზობლად მცხოვრებ ერთი და იმავე გეოგრაფიულ გარემოში მყოფ ჯგუფთაგან ერთნი გადადიან მიწათმოქმედებაზე და მესაქონლეობაზე, ხოლო მეორენი ისევ საკვების ტრადიციული მოპოვების წესით ირჩევენ თავს. მაგალითად ასეთი ტო-

⁴ **3. Ян Де Лаат.** От начала производства пиши до первых государств: общий обзор, г. 397, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

⁵ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ყველაზე უძველესი კერა განვრცობილია დასავლეთ აზიაში ლევანტიდან დასავლეთით ტაერის მთებამდე, ზაგროსის მთიანეთის ჩრდილოეთით სამხრეთ კალთებამდე, სადაც საკვების წარმოება დაიწყო დაახლოებით 12 000 წლის წინ. აქ აღმოჩენილი იყო შინაური ცხვრის (XI ათასწლეულის დასაწყისი), შინაური თხის (X ათასწლეული) ძვლები. დრო აღმოჩენილია მოგვიანებით, ხოლო ხარის ამინაურებენ IX ათასწლეულის შუა ხანებში. მცენარეებიდან ამ დროს აქ უკვე კულტივირებული იყო სელი, ზოგიერთი მარცვლეული და პარკოსნები. ნეოლითური ცხოვრების ეს წესი ამ ცენტრიდან გავრცელდა ანატოლიაში, ევროპაში, აფრიკის ხმელთაშუაზღვისპირეთის ზონაში, დასავლეთ და სამხრეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე. მიწათმოქმედების მეორე კერა შესაძლოა მდებარეობდა ზემო ეგვიპტეში ან სამხრეთ-აღმოსავლეთ საპარაში, მანამაღ, სანამ არ მოხდებოდა ამ რეგიონის გაუდაბნოება. შესაძლებელია ასევე მიწათმოქმედების ორი ძირითადი კერის ჩამოყალიბებაზე ვისაუბროთ ჩინეთში (მდ. ხუანხეს ბასინში და მდ. იანძის შუა და ქვედა ბასინში ძვ. წ. VIII ათასწლეული). ასევე მიწათმოქმედების დიდ კერებად შეიძლება გამოვიყოს სამხრეთ ჩინეთში, ფილიპინებში, ინდონეზიასა და პაპუაში (VIII-VII ათასწლეულები). ამერიკაში, მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში და ანდების რეგიონში 7 000 წლის წინ, ხოლო ნამდვილი ნეოლითი აქ დადგა 4 500 წლის წინ (**3. Ян Де Лаат, От начала производства пиши до первых государств: общий обзор. История человечества. Т. I. Доисторические времена и начало цивилизаций, М. 2013, стр. 396-397.** ადრესამიწათმოქმედო კულტურების მიმართ კი ამ სახის თარიღები გვაქვს: კებარას კულტურა-19000-14500 წლის წინ; კებარის გეომეტრიული კულტურა-14500-12750 წლის წინ; ნაფუტის ადრეული კულტურა-12750 წლის წინ; ნაფუტის გვიანდელი კულტურა-11700-11000 წლის წინ; ჩათალ-პოუეკი, ზურგასი, უმ-დაბა-გიხი-9250-8250 წლის წინ, ხოლო ადრეული კერამიკული პერიოდი — 10500-9250 წლის წინ; ხალაფის, ხასუნის და სამარის კულტურების დასაწყისი-8250 წლის წინ; ხალაფის კულტურის დასასრული და უბეიდის კულტურის დასაწყისი — 7250-7000 წლის წინ (**Дж. Меллар, Западная азия в период неолита и халколита (около 1200-5000 лет назад). История человечества. Т. I. Доисторические времена и начало цивилизаций, М., 2013, стр. 451.**

მები ცხოვრობდნენ ლიბიის სანაპიროზე⁶.

შეკითხვა იხმის იმის შესახებაც, თუ როგორ გადაეცემოდა ნეოლითური ცხოვრების წესი სხვადასხვა ძირითადი საწყისი ზონებიდან იმ ადგილებში, სადაც ასევე ჩაისახა მიწათმოქმედება? ჩაილდის თეორიით, ეს მოხდა მიგრაციის გზით დასავლეთ აზიიდან ახალი მიწების ასათვისებლად. მეორე მოდელის მიხედვით, გადმოსახლებულები არ იყვნენ მრავალრიცხოვანი და მათი პოპულაციების როლი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ვიდრე ადგილობრივი მეზოლითელი ტომებისა. მესამე მოდელი ამ ორს შორის შუალედურია და ეს პროცესი ხდება ნეოლითელი ახალმოსახლების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაში მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის თანდათანობით გავრცელებით, ანუ ანატოლიიდან მოსულები იკავებენ ეგეოსის კუნძულებს და ბალკანეთის ნაწილს, ხოლო შემდგომ უკვე ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელმაც მათგან აითვისეს ნეოლითური ცხოვრების წესი, ის თანდათან გავრცელეს სხვა მიმდებარე რაიონებში⁷.

სამივე ეს მიდგომა „ცივილიზაციის“ გავრცელების მიმართულების თვალსაზრისით, ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და სამივე მიგრაციის თეორიის და ნეოლითური ცხოვრების წესის ძირითადი ოიკუმენიდან გავრცელების სასარგებლოდ მეტყველებს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ კულტურის ნიშნები არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ მატერიალური საგნების დონეზე. ადამიანის მოღვაწეობა უნდა განისაზღვროს გარკვეული ეთნოკულტურული გარემოს, მისი საერთო ინტერესების, სულიერი მისწრაფებების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით თუ რა აყალიბებს პიროვნებას.

პირველ რიგში უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რამ უბიძგა ადამიანს მუდმივი განვითარებისკენ და ტექნოლოგიური ძიებისკენ. მარტო გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა ამა თუ იმ კულტურის და ცივილიზაციის განვითარება და საწარმოო იარაღების დახვეწა? თეორიულად საკვებით სწორად დაისვა საკითხი როდესაც აღინიშნა ის თუ, რატომ დადგა უფრო ადრე ბრინჯაოს ხანა, ვიდრე რკინის, რამდენადაც რკინის გამოდნობა და მიღება უფრო ადვილია. სწორედ რომ აქ საქმე გვაქვს ფასეულობით და არა

⁶З. Ян. Де Лаат, От начала производства пиши до первых государств: общий обзор, стр. 397.

⁷З. Ян. Де Лаат, От начала производства пиши до первых государств: общий обзор, стр. 398, იქვე მოთითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ტექნიკურ მახასიათებლებთან, რამდენადაც ბრინჯაო უფრო ფართოდ გამოიყენებოდა რიტუალურ სფეროში, ანუ რიტუალური სფერო და კულტი უმთავრესი იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში და ფაქტიურად ყველა ცხოვრების წესი რელიგიურ-მაგიურ ნიადაგზე ეწყობოდა და ეყრდნობოდა ადამიანის გარეთ არსებულ ზებუნებრივ რწმენას, ყოველივე მასზე იყო დამოკიდებული და შემთხვევით არაფერი ხდებოდა. მაშასადამე თვით რიტუალმა შექმნა ტექნოლოგია და არა „ტექნოლოგიას სდევდა თან რიტუალური ქმედებები“⁸.

არქაულ საზოგადოებებში ყველა ნივთის პირველშემქმნელ ადამიანს და თვით ამ ნივთს მიაწერდნენ განსაკუთრებულ საკრალურ მნიშვნელობას, რაც თავისთავად იწვევდა ამ ადამიანის გამოყოფას საზოგადოებიდან. გამომდინარე აქედან კულტურა დიდხანს ინარჩუნებს ერთგვაროვან ხასიათს და სიფრთხილით უყურებს მასში ახალი ელემენტის შემოსვლას, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო პროგრესულის გავლენის შედეგად, არსებული მიღწევების შენარჩუნება შეუძლებელია და იძულებულია ახალი კულტურის მიღწევებიც შემოუშვას თავის წიაღში. მაშასადამე, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ეს იწვევს ძველის გაქრობას, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. აქვე უცბად ჩართვება მისი მაკომპენსირებელი ელემენტი რიტუალის სახით, რომელიც ამ საზოგადოებას უბრუნებს საწყის საკრალურ წესრიგს, რაც ტრადიციული ცხოვრების წესს ისევ ჩარჩოში აქცევს და მას უწესებს მუდმივ კონტროლს. ჩვენ ამ ყოველივეს ხაზგასმა დავკვირდა იმიტომ, რომ ადამიანის და საზოგადოების ფიზიკურ და სოციალურ განვითარებაში ბიოგეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი როლის მიღმა არსებობს არანაკლებ წამყვანი ფუნქციის მატარებელი ელემენტი – კულტურა. შესაბამისად თუ ადამიანის ბიოლოგიური არსებობისათვის საკმარისია გარკვეული საზოგადო მოთხოვნების დაკმაყოფილება (რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს ეს საზოგადოება), კოლექტივის ცხოვრება შეუძლებელია რამენაირი კულტურის გარეშე – ეს აუცილებელი მდგომარეობაა. ადამიანი იმიტოა ადამიანი, რომ მან თავისი სოციალური როლის განვითარება შეძლო. ვფიქრობთ, მართებულადაა შენიშნული, რომ ადამიანი ისტორიულად წარმოიქმნა და არსებობს როგორც სოციალური არსება და ამიტომაც წმინდა ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი

⁸А. К. Байбурин, Семиотические аспекты функционирования вещей, Этнографическое изучение знаковых средств культуры, Л., 1989, стр. 66, 68.

ჩვეულებრივ იღებს სოციალურ ფორმას⁹. როგორც ინდივიდს, ისე სოციალურ ჯგუფებს და მათ შორის ეთნოსს, „სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის“ აუცილებელი კომპონენტები სჭირდება. „სიცოცხლის უზრუნველყოფის“ ქვეშ იგულისხმება არა მარტო კვება, ჩაცმა და ა. შ. არამედ, ის, რომ ეთნოსი წარმოადგენს სოციალურ-ბიოლოგიურ არსებას და „სიცოცხლის უზრუნველყოფა“ მოითხოვს როგორც ბიოლოგიური ან „ფიზიკური“, ისე სოციალურ-კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებას¹⁰.

ბუნებრივ გარემოზე საზოგადოების ეკოლოგიური ადაპტაცია ხდება მისთვის შესაბამისი სოციალურად ორგანიზებული ტერიტორიის ათვისებით, რომელშიც იგულისხმება მისგან წარმოქმნილი დასახლებები, ამავე დროს ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტები და ტანსაცმლის წარმოება¹¹. თუმცა ანთროპოგეოცენოზის ბუნებრივი გარემო ყოველთვის არ უზრუნველყოფს მწარმოებლურ კოლექტივს ნელეულით. ადამიანისათვის სასარგებლო ნელეულის წარმოების პროცესში წარმოქმნილი მთელი ერთობლიობა შეიძლება აღვნიშნოთ როგორც საწარმოო-სამეურნეო ჯგუფი, რომელიც არსებობს მოცემული ანთროპოგეოცენოზის შიგნით¹².

ადამიანების პოპულაციების რეპროდუქციულობაზე ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს არა აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. ბიოსოციალური ეკოლოგიის დროს გამოძუშავებული კულტურული ადაპტაციის მექანიზმები საშუალებას აძლევს ადამიანებს უმეტესად ნეიტრალიზება გაუკეთონ გარემოს არასასურველ გავლენებს. ამდენად, ადამიანთა საზოგადოებაში დემოგრაფიული პარამეტრების ეთნორეგიონალური დიფერენციაცია განისაზღვრება არა იმდენად ბუნებრივი გარემოს ფაქტორებით, არამედ უმთავრესად ყველა ეთნოსისთვის მისი ათვისების სპეციფიკური მეთოდებით, რაც გამომწვეურდება კულტურული ტრადიციების კომპლექსში და სიანხლებში, რომელიც იქმნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ფონზე¹³. მამასადამე, ცხო-

⁹В. И. Козлов, Жизнеобеспечение этноса: содержание понятия и его экологические аспекты, Этническая экология: теория и практика, М., 1991, стр. 18.

¹⁰В. И. Козлов, Жизнеобеспечение этноса: содержание понятия и его экологические аспекты, стр. 16.

¹¹ Культура жизнеобеспечения и этнос: опыт этнокультурологического исследования (На материяле армянской сельской культуры), Ереван, 1984, стр. 36.

¹²В. П. Алексеев Антропогеоценозы - сущность, типология, динамика, Природа, 7, 1975, стр. 34.

¹³О. Д. Комарова, Демографические факторы этнической экологии, Этническая экология: теория и практика, М., 1991, гл. 49.

ველებისაგან განსხვავებით ადამიანთა ჯგუფები ბუნებასთან დამოკიდებულებაში როგორც წესი გამოდიან აქტიურ გარდამქმნელ ძალად. გარემოსთან წმინდა დემოგრაფიული წონასწორობის რეგულირება, რომელიც მიიღწევა პოპულაციის რაოდენობის ცვლილებით, წარმოადგენს მხოლოდ ერთ, და არა ადაპტაციის მთავარ მეთოდს. ამასთან ერთად ადამიანთა პოპულაციები ფლობენ შესაძლებლობებს სხვადასხვა ფორმების ზემოქმედებით გააფართოვონ და შეცვალონ ბინადრობის გარემო. ეს შესაძლებელია, როგორც თავისი საცხოვრებელი არეალიდან მოსაზღვრე ტერიტორიის ათვისებით, ისე სხვა ახალი, თავის ადრინდელ საცხოვრისთან სრულიად დაშორებულ ტერიტორიაზე გადასახლებით, რომელიც საერთოდ განსხვავებულია თავისი ეკოლოგიური მახასიათებლებით¹⁴. ასე რომ ადამიანთა პოპულაციაში რეპროდუქციის პროცესები არა მარტო თვით გარემო პირობებით, ანუ ბიორესურსების ბუნებრივი დინამიკით განისაზღვრება, არამედ უმეტესწილად გარემოსთან ურთიერთქმედების მეთოდებით, გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლებით და თითოეული პოპულაციის კონკრეტულ პირობებში მისი არსებობის სოციალურ-კულტურული ადაპტაციის „სისავსით“¹⁵. რაც შეეხება არასრულ კულტურულ ადაპტაციას, აქ მნიშვნელობას იძენს ამ ადგილას ცხოვრების პერიოდი და ასევე, გარკვეული ჯგუფის მხრიდან ეთნორელიგიური ტაბუირებული მიდგომები¹⁶.

საკმაოდ ვრცელი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა, გეოგრაფიულად ძალზედ დაშორებულ კუთხეებშიც კი, ადამიანის, როგორც შრომის და სოციალური ორგანიზაციის ფორმები, ასევე, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თითქმის ერთნაირი ფორმებით და პრინციპებით ვითარდება. ეს ყოველივე უმრავლეს შემთხვევებში ხდება დამოუკიდებლად. ამ დამოუკიდებლობის მიზეზები, ბუნებრივი და გეოგრაფიული გარემოს გავლენის შედეგად, თვით ადამიანის შინაგანი აზროვნების ერთგვაროვნებაზე მეტყველებს. როგორც აღნიშნულია, ამ ფაქტის ფსიქოლოგიური ახსნა (ფსიქოლოგიური პარალელი) გამომდინარეობს ადამიანის ცხოვრების საერთო ნათესაობიდან და დაშვებულია, რომ პარალელური მოვლენები უმეტესწილად განვითარდნენ სრულიად დამოუკიდებლად, რამდენ

¹⁴О. Д. Комарова, Демографические факторы этнической экологии, стр. 63.

¹⁵О. Д. Комарова, Демографические факторы этнической экологии, стр. 64.

¹⁶В. И. Козлов, Основные проблемы этнической экологии Советская этнография, 1, М., 1983, стр. 3, 11.

ნადაც ჩვენ აქაც და იქაც აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა მივსულიყავით მსგავს იდეებამდე (თვითდაბადებამდე, თვითჩასახვამდე)¹⁷. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიღწევათა უმეტეს ნაწილს დიდი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ისინი ურთიერთისაგან შეეთვისებინათ¹⁸. თუმცა მიწათმოქმედების და საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალი დონის მიღწევითაა ბუნებრივი გარემოს როლი ზოგჯერ უკუ შედეგსაც იძლევა. შენიშნულია, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები სულაც არ არის ხელსაყრელი აქ დასახლებული ხალხებისათვის (მაგალითად ავსტრალიის კონტინენტზე, სადაც ხე ბუნია ადგილობრივთა გამოსაკვებად მუდმივად იძლევა ნაყოფს და მათ არ უხდებოდათ ამისთვის დიდი შრომის დახარჯვა და წარმოების იარაღის განვითარება) თუნდაც იმიტომ, რომ იგი განვითარების ნაკლებ სტიმულს აძლევდა. ამ აზრით, ბევრად უკეთესი იყო უფრო ნაკლებ „გულუხვი“ ბუნება¹⁹. მაგრამ მეორე მხრივ, ნაკლებად „გულუხვი“ ბუნების პირობებშიც განვითარების დონე სხვადასხვა ხალხში ერთნაირი ტემპებით და მიმართულებებით არ ხდებოდა. ამ მიდგომას ცალკეულ შემთხვევებში აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მაინც ვერ ჩაითვლება განვითარებისათვის სტიმულის მიმცემ მთავარ ფაქტორად.

ცხოვრების წესი იცვლება საზოგადოების ცნობიერების ცვლილებასთან ერთად. ადამიანთა ცხოვრების წესი და მათი სოციალურ-კულტურული მახასიათებლები-საზოგადოების არსებობის ობიექტური და სუბიექტური ფორმები ქმნიან ორგანულ ერთიანობას²⁰. მაშასადამე, ცხოვრების წესს ცვლის საზოგადოების ცნობიერების ცვლილება, მაგრამ რა ცვლის თვით ცნობიერებას, მასზე პასუხის გაცემა ჭირს. ამ შემთხვევაში გეოგრაფიული გარემოს როლი არ ჩანს გადამწყვეტი და საკითხი ღიად რჩება.

მეზოლითში მომხდარი ძვრები, რომელიც არქეოლოგიურად პირველ რიგში საწარმოო იარაღების ცვლილებაში შეინიშნება (მიკროლითური ტექნიკა და სხვ.), თითქოს დიდი, ჯოგურად მცხოვრები ცხოველების გაქრობას რომ უკავშირებენ და შესაბამისად გარემო პირობების შეცვლითაა ნავარაუდევია, ვერ ჩაითვლება პროგრესის გამომწვევ ერთადერთ მიზეზად, და ის

¹⁷Г. Шуриц, История первобытной культуры, СПб., 1896, стр. 48.

¹⁸Г. Шуриц, История первобытной культуры, стр. 53.

¹⁹გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თბ., 1975, გვ. 67.

²⁰Р. М. Кабо, Природа и человек в их взаимных отношениях как предмет социально - культурной географии, Вопросы географии, V, М. 1947, стр. 26.

წარმოუდგენლად გვეჩვენება სოციალურ ურთიერთობათა სფეროს რეგულირების გარეშე.

ხშირად სამოსახლო ადგილის ბუნებრივი ხელსაყრელობა (მაგალითად მეზოლითში) ხშირად არ გვაძლევს კულტურის გარდამტეხ განვითარებას. იზრდება კვების რაციონი, მაგრამ სოციალური წყობა ბევრ ადგილას იგივე რჩება და შესაბამისად საზოგადოებას არ ეტყობა წინსვლა „ნეოლითური რევოლუციისაკენ“.

გამოთქმული მოსაზრებით (კ. პოლანი), პრიმიტიულ და არქაულ საზოგადოებებში ძნელი წარმოსადგენია ისეთი სპეციალური-ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა, რომელიც ეკონომიკური მოტივების ბაზისზე იყო აგებული. ასეთი რამ ან სრულებით არ უნდა არსებულებოდა, ან თუ არსებობდა რაიმე არსებითი როლი მათ არ უნდა ჰქონოდა. ეკონომიკური პროცესი მათში ორგანიზებულია არა ეკონომიკური, არამედ სოციალური ინსტიტუტების შუამავლობით, ანუ ისეთებით, როგორებიცაა: ნათესაობა, ქორწინება, ასაკობრივი ჯგუფები, საიდუმლო საზოგადოებები, ტოტემური ასოციაციები და საჯარო დღესასწაულები. შესაბამისად პრიმიტიულ და არქაულ საზოგადოებებში ადამიანს ამოძრავებს არა ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესები, არა ის, რომ რაიმე პირადი დიდი მატერიალური სარგებელი ნახოს, როგორც ეს კაპიტალიზმის დროს ხდება, არამედ სოციალური მოტივები.²¹ მაშასადამე, კითხვაზე თუ რატომ ყალიბდება ერთ გეოგრაფიულ გარემოში სხვადასხვა ცხოვრების წესი და რატომ აღწევს ზოგიერთი ტომი „ნეოლითურ პროგრესს“ და ზოგი ვერა, ჩვენ შეიძლება ავხსნათ არა მარტო გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით, არამედ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში მიღწეული წესრიგით. ეს ის წესრიგია, რომელსაც ყველა ტომი ვერ აღწევს, ისევე, როგორც მოგვიანებით ყველა საზოგადოება ვერ ქმნის სახელმწიფოს რაც არ უნდა ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო (ფართო გაგებით) იყოს მის ირგვლივ. მართებულადაა შენიშნული, რომ წეს-ჩვეულება და კანონი, მაგია და რელიგია კოოპერირდება ინდივიდის ცნობიერებაში ქცევის ნორმებისადმი მორჩილებით, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მის არსებობას ეკონომიკურ სისტემაში²². ამ სისტემის შიგნით, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ჯანსაღ სოციალურ, ისე ბიოლოგიურ წესრიგს ერთ-ერთ-

²¹Этнологические исследования за рубежом, М., 1973, стр. 51, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

²²Этнологические исследования за рубежом, стр. 52.

თი უმნიშვნელოვანესი გახლავთ ეკზოგამიის წესი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მთელი რიგი ჯანსაღი გვარტომობრივი კავშირების ჩამოყალიბებაში, მათი მომდევნო განვითარებისა და გამძლეობის თავალსაზრისით²³. ზოგიერთი ავტორი (გროსსე), ვფიქრობთ, სამართლიანად უკავშირებდა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმების წარმოქმნის მიზეზს სქესთა შორის ურთიერთობების რეგულირებას²⁴. ჩვენი აზრით, სწორედ ეკზოგამიის წესს და შესაბამისად პრომისკუიტეტის აღმოფხვრას უნდა მივაწეროთ ჰომო საპიენსის წარმოქმნა და თანდათანობითი სვლა ე. წ. „ნეოლითური რევოლუციისაკენ“. როგორც ჩანს, მეზოლითურ ტომთა უმრავლესობაში, იქ სადაც არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ცხოვრების წესში შეიმჩნევა ძირეული გარდატეხა და სიახლეები, ეკზოგამიის წესი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში წამყვანი უნდა ყოფილიყო, და რაც მთავარია აზროვნებით და ფიზიკურად ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მაშასადამე, იქ, სადაც „ამოქმედდა“ ეკზოგამიის წესი, უნდა შეცვლილიყო გენოფონდიც, რასაც უნდა მოჰყოლოდა სწრაფი ნახტომი „ნეოლითისკენ“. ეს უნდა ყოფილიყო ინდივიდის და ჯგუფის აზროვნების რადიკალური ცვლილების და სოციალიზაციის პროცესის დაჩქარების ერთ-ერთი ბიძგის მიმცემი. საბოლოოდ კი ამას მივყავართ იქამდე, რომ ჩვენი აზრით, სწორედ ჯიშში უნდა ვეძებოთ ძლიერი ძალა და არა ინვიდუალიზმში²⁵.

სქესობრივ ურთიერთობათა ნორმების გარკვეულწილად მოწესრიგების შემდეგ ადამიანის აზროვნებაში უკვე იწყება რთული რელიგიური რწმენა--წარმოდგენების რეგულირების პროცესი.

რატომ არის, რომ ჰომო საპიენსამდე სამარხებს ჩვენ ძალიან ცოტას ვპოულობთ. ამის გამო, დღესაც არ არის დადგენილი უძველესი ადამიანიდან თანამედროვეზე გარდამავალი ტიპის ვინაობა. სამარხების ნაკლებობის მიზეზი კი უნდა ვეძებოთ კულტის არარსებობაში. ანუ ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული წინაპარი, ნათესავი, თავისი ჯგუფის წევრი და შესაბამისად არ არსებობს ადამიანის გამიზნულად დაფლვა. სწორედ ამ სოცილურ-

²³ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. **დ. ჭითანავა**, ეკზოგამიის წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, თბ., 2016, გვ. 57-67.

²⁴ **Г. Шурц**, История первобытной культуры, вып. I, М., 1923, стр. 116

²⁵ **დ. ჭითანავა**, ეკზოგამიის წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, გვ. 65.

რელიგიური ფორმის დამკვიდრების შემდგომ აღწევს ადამიანი გარკვეულ „პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვრების“ წესში და ამ ტიპის საზოგადოება ისწრაფვის პირველი ბინადარი ცხოვრების წესისკენ, ხოლო შემდგომ კი მწარმოებლური მეურნეობისკენ. ბინადარი ცხოვრების წესი პირველ რიგში მოითხოვს საცხოვრებლის გამართვის აუცილებლობას და მის შიგნით გარკვეული კოსმიური ცენტრის ჩამოყალიბებას. აქვე ჩნდება მეურნეობის სპეციალიზაციის ნიშნები ჯგუფებს შორის და სოციალური დაყოფის პირველი სურათი (მონადირე, მეთევზე, მიწის მუშა, ხელოსანი, მეურნეობაში დახელოვებული ადამიანები და სხვ.).

„ნეოლითური რევოლუცია“ ჩვენ უნდა ვუწოდოთ იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა ადამიანთა საციალური ორგანიზაციის ფორმების ტრანსფორმაციაში. წარმოუდგენელია მზარდი პოლიტარქიული, ანუ მმართველი კასტის წარმოქმნის გარეშე საყოველთაო ცვლილებების დაფიქსირება მეურნეობის ფორმებზე. ამის შედეგია შრომის ორგანიზაციის ფორმების „დაკანონება“ რის გარეშეც შეუძლებელია მიწათმოქმედების და მესაქონლეობის წარმოშობა. სხვანაირად წარმოუდგენლად გვეჩვენება დადგეს მიწათმოქმედების რთული პროცესის წარმოქმნის აუცილებლობა იმდროინდელი მონადირე და მეთევზე საზოგადოებისათვის, რომელიც ისედაც უფრო იოლი და ტრადიციულად მისთვის ათასწლეულებით აპრობირებული ფორმებით კარგად ახერხებს თავის გამოკვებას. ნეოლითურ რევოლუციას აღწევს იმ ტომთა ჯგუფი, სადაც საზოგადოება აღწევს გარკვეულ სოციალურ წესრიგს მმართველობის სისტემაში და კულტში, პირველ რიგში კი მიცვალებულის კულტში, რაც საფლავების პატივისცემაში გამოიხატება და რომელი უკანასკნელიც განსაზღვრავს არა მარტო მიწათმოქმედი, არამედ მეთევზე და მონადირე მოსახლეობის ბინადრობის ხარისხს.

David Chitanava

Major factors causing “Neolithic Revolution”

The present thesis deals with the theoretical problems, implied under the term “Neolithic Revolution” era. In scientific literature, these changes that occurred in the lifestyle, are quite uniformly explained by the advancement of the geographical environment’s role and of demographic processes. It is impossible not to take into account the geographical environment’s role, as well as the role of demographic processes, but such a sudden change in a lifestyle,

which is attained in a short period of time, without deep economic (production) basis _ can not be explained by geographic and demographic factors alone.

Several issues raised recently regarding Neolithic Revolution that need to be resolved. In particular, what was the reason for some of the communities to change in some point, from selective hunting and gathering food to farming and cattle breeding? If many groups of hunter-gatherers had ample knowledge of botany and biology and therefore they could easily transform to the food production, then why just few of them did that? How was Neolithic lifestyle transferred from a variety of major areas to other places where agriculture was conceived?

In the existing studies, signs of culture are reduced to just tangible goods level, however, we believe that human performance must be determined by certain ethno-cultural environment, its common interests, according to the spiritual aspirations, i.e. according to what forms the personality.

Those developments, that took place in the the forms of human social organization changes have to be referred as “Neolithic Revolution”. Fixation of general changes to the forms of farming is unthinkable, without growing Politarkhial i.e. ruling caste formation. As a result labour organization forms emerge, without which farming and livestock production formation is impossible.

Otherwise the necessity of formation of the difficult process of farming seems to us unimaginable for ci-devant hunter and fisherman society, which can well afford to feed themselves with traditionally easier and convenient millennia-proven forms. Neolithic revolution is reached by the group of tribes where society reaches a certain social order in governmental system and in the cult _ first of all, the cult of the dead, which is expressed in the respect of the graves, and the latest of which determines quality of residence of not only farmer, but also fishermen and a hunter population.

The reason why different lifestyle is formed in one geographical environment and why some tribes achieve Neolithic progress and some don't, can be explained by not only geographical environment's influence, but by the progress reached in social affairs, this is the order, which can not be reached by all the tribes, as well as later on, not all the societies can form the government, no matter how favorable is the geographical environment (in the broad sense) around them.

ლალი კითანავა (ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი)

წერილებში ასახული გიორგი ნიკოს ძე დადიანისა და დიმიტრი ყიფიანის ურთიერთობა

დადიანთა საგვარეულოში დიდი ნიკო დადიანის ოჯახი უდიდესი ღვაწლისა და ღიძების მატარებელია, რომლის შთამომავლები სხვადასხვა პერიოდში მნიშვნელოვან კულტურულ ამინდს ქმნიდნენ საზოგადოებაში. წინაპრებიც ღირსეულები იყვნენ; კერძოდ, დიდი ნიკოს მამა გიორგი ოტიას ძე დადიანი, იყო სამეგრელოს მთავრის კაცია II-ის ძმა, ბეჟან დადიანის შვილიშვილი და ბიძა გრიგოლ დადიანისა, აგრეთვე ძმა ანტონ ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა. კაცია II თავის სიგელებში არაერთხელ იხსენიებს გიორგის, როგორც თავის „სასურველ და საყვარელ ძმას“¹. გიორგი ახლო ურთიერთობაში იყო თავის ძმისწულთან, ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანთან; მისი საიმედო მრჩეველი, სამთავრო საქმის გამგებელი და მხარდამჭერი გახლდათ. გიორგი ბატონიშვილი იყო რუხის ომის (1779 წ.) აქტიური მონაწილე, ამ ომში მონაწილე პოეტის, ბესარიონ გაბაშვილისგან პირველად შექმნილი სარდალი:

*„... გიორგისაგან განხლეჩთა კაცთა იღვა სისხლის ტლაპანი,
და მისძახდიან: „თქვენცა იცით, ასე გეწრთინდნენ მამა-პაპანი!
შური შეჭამს გიორგისი, ძმისა დადიანის ძისი,
თუძკა-გკადრებ – ტანად მქისი, საქმით ღმერთის შესატყვისი,
მარდი, სწრაფი, მკვრელი ხმლისა და გამკვეთიცა აღმასისი,
და სახით ამო, საწადისი და სახეთი მხედრობს ისი!“²*

სამთავრო კარზე გიორგი დადიანს ოდიშის სარდლის თანამდებობა ეჭირა და ღირსეული პატივითა და გავლენით სარგებლობდა³. მისი მეუღლე იყო აბაშიძის ასული მარიამი (ღეღა დიდი ნიკო დადიანისა). მათი საცხოვრებელი ადგილები იყო სოფელი ნოჯიხევი, სადაც ჰქონდათ სასახლე, ნოღა

¹ ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 177.

² ბ. გაბაშვილი, რუხის ბრძოლა, თხზულება, ბარამიძისა და თოფურაას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 34-35.

³ ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (ამჟამად დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი) ხელნაწერთა ფონდის კოლექცია ზსიემ / ხწ. 8, გვ. 184-18.

- „სასახლე-პალატი“, ციხე-სიმაგრით; კურზუ, აგრეთვე, „სასახლით“ – აქ იყო მათი საზაფხულო რეზიდენცია; ჭკადუაში, აქაც ჰქონდათ სასახლე, საზამთრო ადგილსამყოფელი რიყეში; მათი მამულები იყო აგრეთვე ნაფინიზუ და ოჩხომური⁴. შემდგომ მოგვიანებით გრიგოლ დადიანმა ბიძას უბოძა „გიორგი ახვლედიანისეული ინჩხურის სასახლე“⁵. გიორგი დადიანი გარდაიცვალა ზოგის (ლენხუმი) 1799 წელის 15 დეკემბერს. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, სადაც იყო დადიანთა მამა-პაპისეული საძვალე. მისი გარდაცვალების შემდეგ მთელი სამფლობელო გადავიდა მემკვიდრის, ნიკო (ნიკოლოზ) დადიანის ხელში, რომელიც დაიბადა 1780 წელს, ჭკადუაში და იყო თავისი დროისათვის შესაფერისად განსწავლული და განათლებული პიროვნება. პირველადწყებითი განათლება მას, ისე როგორც ბიძამისს, ანტონ ჭყონდიდელ-მიტროპოლიტს, მიღებული ჰქონდა მარტვილის მონასტერში, რჩეული ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელი „ფრანგი მისიონერი ბერების ხელმძღვანელობით“⁶, ამიტომაც მან ჩინებულად იცოდა საეკლესიო მწერლობა, ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა, დიპლომატია. კარგი მცოდნე იყო ქართულ-რუსულ-აფხაზური და თურქული ენებისა⁷. ნიკო ბატონიშვილს სამთავრო კარზე მაღალი თანამდებობები ეჭირა. იყო ოდიშის სარდალი და მსაჯულთუხუცესი. მასვე ჰქონდა მინდობილი ლენხუმის სარდალ-მოურაობაც (ოდიშის სარდალისა და მსაჯულთუხუცესის თანამდებობები მან მამის გარდაცვალებისთანავე მიიღო და ჰქონდა სიკვდილამდე, 1834 წლამდე), ხოლო ლენხუმის სარდალ-მოურავად იხსენიება იგი 1812, 1819, 1821, 1827 წლების საბუთებში.

რაც შეეხება გიორგი დადიანს, რომელსაც სახელოვანი ბაბუის პატივსაცემად შერქვეს ეს სახელი, მამის სიცოცხლეშივე აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გახდა. 1821 წელს აფხაზეთში პოლკოვნიკ გორჩაკოვის ექსპედიციის დროს თავი ისახელა, რის გამოც მან პოდპორუჩიკის ჩინი მიიღო⁸. გიორგი მთელი თავისი მოღვაწეობით სრულ ოპოზიციამი ედგა სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს. მას თავისი კონცეფცია ჰქონდა ქვე-

⁴ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 188.

⁵ ი. მუნარგია, ქართველი მწერლები, ნ. II, თბ., 1957, #1143.

⁶ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 5-7.

⁷ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 5.

⁸ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 211; მისივე, „ქართველთ ცხოვრება“, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის (ამჟამად დადიანების სასახლეა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი) ხელნაწერთა ფონდის კოლექცია ზსიემ/ ხწ. 8.

ნის და მამულის მოწყობისა და ამის გამოც ვერ თანხმდებოდა მთავართან. იგი იყო საოცრად ეროვნული პიროვნება, მიმდევარი ძირძველი ტრადიციებისა და ვერ ეპატიებინა დავითისთვის რუსეთისაკენ ლტოლვა. გიორგი ოცნებობდა, თუ როდის გარდაიქცეოდა რუსეთის დიდმპყრობელობა სხვანაირად ან საერთოდ როდის დაეხსნებოდნენ საქართველოს, რომ უფრო თავისუფალი და ლალი მომავალი ჰქონოდა ქართველ ერს. არც დავით დადიანი ფარავდა თავის შიშს გიორგის წინაშე, ხედავდა მის ავტორიტეტს და ამიტომ თავისი ძმისადმი, გენერალ გრიგოლ დადიანისადმი მიწერილ არაერთ წერილში გამოხატავდა გულისტკივილს და ამასთანავე, შეფარულ შიშსაც, ხშირად ტყუილსაც კი აბრალებდა, თითქოს გიორგის დადიანობა ნდომებოდა, მაგრამ ცხადია, ეს აბსურდი იყო. გიორგის, სახელოვანი მამის შვილს, დადიანობა კი არ ამოძრავებდა, არამედ ჰქონდა უდიდესი სურვილი ქართველი ერის თავისუფლებისა და ილიას ლელთ ღუნისასი არ იყოს, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, სწორედ გიორგის პოლიტიკურ კონცეფციას პირდაპირ შეესადაგებოდა.

გიორგი დადიანს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აფხაზეთში. მის ერთ სიტყვას მთელი ძალაუფლების შეცვლა შეეძლო, ამიტომაც წერდა დავითი თავის ძმას: - „გიორგი აფხაზეთში რევს მიხაილს და ბუნტობს აფხაზეთი, ქედ-ფიცხობს ჩემზე...“⁹. ორი წლის შემდეგ ისევ აღშფოთებული დავითი ატყობინებს თავის ძმას: - „ჩიჩუები ერთიანად აბუნტდნენ, რასაკვირველია გიორგი ნიკოს შვილი შუაში ურევია და დიდი აყალ-მაყალია სამეგრელოში...“¹⁰. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე დავით დადიანი ისევ ატყობინებდა თავის ძმას: - „... მივიღე ცნობა რ(ომე)ლ ნიკოს ძეთა თ(ავა)დი გიორგი და პეტრე დადიანოვებთ აქვთ თურმე საიდუმლოდ გაგზავნა კაცებისა აფხაზეთში და საქმობა რაიმე, რომელთანა მე პირთათანა და საერთოდაცა იხმიანებენ წინააღმდეგ¹¹. ასევე სთხოვს, რომ გიორგი დადიანს კვალში ჩაუდგეს და არ გაძლიერდეს შეთქმულება. ზემოთ აღნიშნული ნაწყვეტებიდან ცხადია რაოდენი ავტორიტეტის მქონე ფეოდალი იყო გიორგი, რომლის განდგომა მთავარისგან დიდ განხეთქილებას იწვევდა სამეგრელოს არამართო მმართველ წრეებში, არამედ მთლიანად სამთავროს მართვა-გამგეობაში. გარეგნულად მშვიდი გიორგი, თავისი შვილების სიამაყე, ერთგული და თავმდაბალი

⁹ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 78.

¹⁰ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 78-79.

¹¹ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 80.

ფეოდალის სახეს ინარჩუნებდა. ის იყო სულით ხორცამდე თავისუფალი, დამოუკუდებელი პიროვნება და როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ვერ ჰკუობდა სამთავროს მხრიდან, სამეგრელოს რუსეთთან შეერთების ტენდენციას, თუმცა ამის გარდაუვალობასაც გრძნობდა და ეს იწვევდა საკუთარ თვათან პროტესტის შეგრძნებას. ამის დასტურია ისიც, რომ მას თავისი შვილები რუსთა ხელმწიფის სამსახურში არ შეჰყავდა. გიორგი დადიანს, როგორც უაღრესად საინტერესო ფიგურას, ფრიად განათლებულსა და მახვილი გონების პატრონს, ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა გიორგი ერისთავთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც ქართულ კულტურას, ისტორიას თუ ლიტერატურას შეეხებოდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მისი შვილები, დავითი და კოწია, ლიტერატორები იყვნენ და მშვენიერ ნაწარმოებებსაც თხზავდნენ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, დიმიტრი ყიფიანის ფონდში დაცულია ოთხი წერილი, რომელიც არის გამოხატულება იმ დიდი სიყვარულისა და მოწიწებისა, რომელიც აკავშირებდა ამ ბობოქარ და მუდამ მებრძოლ ფეოდალს დიმიტრი ყიფიანთან. შემოგთავაზებთ ოთხივე წერილს სრულად:

1. „თქუ ნო აღმატებულებაჲ

დიმიტრი ივანეს ძეგ!

მოგილოცავ ქ(რისტ)იეს აღდგომას/ღმერთმან მრავლის მომაჲ/აღს შეგასწროს შენის სიყვარულითა, გარდა ამისა ვიცი მე მიკითხავ და ღვთის მადლით მშვიდობით ვარ, სხვათა შორის ჩემს ქლს მაიას ვამზითუებ და ჩვენის ქვეყნის ჩვეულებისამებრ არ დამიტუებთ უცნობელს. თქუენ ჩემსა საკუთარსა მეგობარსა და ვთხოვთ შემაწიოთ სათუნები, რასაზედა ვიქნები მარადის მზანაცვალის სიამოვნების თქუენის ჩემდამი მეგობრობისა.

მეგობარი შენი გიორგი დადიანი

ჩყიე-ს წ-სა, იბ-ს აპრილი.

ს. ჭკალუაში¹²

2. „ძვირფასო მეგობარო

დიმიტრი იოანეს ძეგ!

შენგან ბარათის მიღებას მისთვის უფრო ვეშურებოდი, რომ მეგონა თუ შენს ადრე მეგრელიაში გამოსვლას მახარებდა, მაგრამ ამ ჩემს მოლოდინების გამართლებას ვერ ვხედავ იმ ბარათში მოკლედ დართოსთის რამდენის

¹² კიმ, 1119.

საქმეებისა გამო მსურდა შენთან მოლაპარაკება, იმათ ასე მთლიანად ვერ მოგწერ და ვსწუხვარ, რომ შემთხვევამ არ მომცა მომეთმინა სანამ შენს ხილვას არ ველირსებოდი. სამ გზის მიხაელმა მომწერა მისი ჯალაბობა და სამივე გზის დამიბარა. შენს კარგად იფიქრებ, რა ზომამდის მწუხარე ვარ ახლამდისაც, რომ ვერ ვწერდი, თორემ ამას იქეთ დაგვიანება ჩემი აქაურს საჭიროებას ვერ შევადარე, უფრო მისთვის, სადაც შენ მყავხარ საქმე არ წახდება – მე ამას თუმცა მოკლედ გწერ შენ დიდად იგულისხმებ. ჩუენში საქმე სავანებელი, რაც არის ჯერ კიდევ სუსტია და დაუცხრომლობისა გამო ფიქრობს, ვითომც განძლიერებს, ამისთვის შენი ერთი გამოსვლა დიდად საჭიროა და გთხოვთ გულს მოდგინებით შეიხვედროთ ისრეთ მგზავრობა, რომ ჩემს მაგივრად დატოვებული შენთან მომხსენებლად პეტრე ჩემი ძმა, ბახვა ფადავა და დავით, ჩემი შვილი გახტენ ღირსნი შენი ნახვის და მათგანი, რა საკვირველია პეტრე ყოველსავეს განმართებით მოგახსენებთ.

სიკვდილამდი შენი გიორგი დადიანი 15 ნოემბერი 1863

ს. „ნოლა“¹³

3. „გულთი საყუარელო მეგობარო

ღიმიტრი იოანეს ძე!

ღმერთს ვმადლობ და კვალად ვსთხოვ მხიარულებით მიემთხუდეთ მრავალთა მომავალსთა ამა დღესასწაულსა – მე ვიახელი სენაკიდან შინ შობის წინა დღეს ღ(ვ)თის მადლით მშვიდლობით, თუმცა ცოტათ ხველამ მომინდომა მარა ვერ შემაწუხა. წასვლას ვაპირებ ახალ წლის მეორე დღეს ოჩამჩირეს და იმედი მაქუს გამოვიარო და გნახო – ჩემმა სახლობამ დიდის პატივისცემით და ერთგულებით მოკითხვა მოგახსენათ.

მარად შენი სიამოვნების მოყუარელო გიორგი ნიკოს ძე დადიანი

26 დეკემბერი 1862¹⁴.

4. „სარწმუნო მეგობარს

ღიმიტრი იოანეს ძე ყიფიანს!

დიდად ვსწუხვარ, რომ დიდმა ხანმა გავლო, რაც არ მქონია ბედნიერება შენის პირდაპირ ნახვისა და არც თქვენის ბარათის. ყოვლის თთუშიდ მოდის მეგრელიაში თქვენგან ქაღალდი და ჩემი არც ერთი არ არის, მე თუ მეძღური წიგნის მოუწერლობას, როგორც იცი ჩემი მდივნობა, ძლიერ მეზა-

¹³ ქიმ, 1117.

¹⁴ ქუთაისის მუზეუმის საბუთები, ქიმ. 1143, 1115.

რება წერა და ამით მართალი ვარ შენთან ღმერთსაც ვსთხოვ მალე გნახო და მანემ მოგიგონებდე შენის ნაწერით.

მარად შენი გიორგი ნიკოს ძე დადიანი 9 აგვისტო 1864
ლენჩუმი¹⁵

ამრიგად, ეს წერილები 1862-1865 წლებშია დაწერილი და ნათელია თუ რა დიდი სიყვარული და ნდობა სუფევდა ამ ორ ადამიანს შორის. თვითონ დიმიტრი ყიფანი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში გირგის წერს: „ეს კაცი შუა ხნისაა, მას საუცხოო კეთილშობილი და ჭკვიანი გარეგნობა აქვს, ქართულს ლაპარაკობს მჭერმეტყველურად და ძველებური დახვეწილი ზრდილობის პატრონია“¹⁶. სამწუხაროდ დიმიტრი ყიფანის მიერ მოწერილი წერილები გიორგისადმი ჩვენ არ მოგვეპოვება. ამაზე იმის თქმა შეგვიძლია მხოლოდ, რომ გიორგი დადიანის წერილები და პირადი ქონება შემკვიდრებით მისი გარდაცვალების შემდეგ გადავიდა მისი უფროსი ვაჟის დავით დადიანის-ნო-ლელის მფლობელობაში. ცნობილია ისიც, რომ დავით ნოლელმა სიცოცხლის ბოლო წლებში უამრავი თავისი ნაწერი გაანადგურა, სავარაუდებელია განადგურებულთა შორის იყო დიმიტრი ყიფანის წერილებიც¹⁷.

გიორგი დადიანს საზოგადოება იცნობდა, როგორც იმ დროის კვალობაზე განათლებულ და ნაკითხ კაცს, რომელსაც უყვარდა წაკითხულზე უსასრულოდ მსჯელობა, ამაში მჭერმეტყველებაც უწყობდა ხელს. იგი არ იყო შემოფარგლული მარტო ქართული ლიტერატურით, არამედ ძლიერ დაინტერესებული იყო რუსული და უცხოური მწერლობითაც. ამაში მას ეხმარებოდა მამისეული უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომლითაც იკვებებოდნენ მისი შვილებიც. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო ერთ-ერთი დიდი მებატონე, გლეხების მხრიდან სიყვარულით სარგებლობდა, მისი სახით გლეხი მფარველს პოულობდა, გიორგის მეუღლე იყო სვანეთის მთავრის ისმაილ დადეშქელიანის ასული, მარიამი. დიდად განათლებული და ზრდილობით აღსავსე პიროვნება, თავმდაბალი და უზადო კეთილშობილი, გაჭირვებულთა შემწე და შვილების ბრწყინვალედ აღმზრდელი. გიორგის და მარიამს დავითის გარდა ჰყავდათ ვაჟი კოწია და ქალიშვილები – ალექსანდრა და მაია.

¹⁵ ქიმ, 1118.

¹⁶ ქიმ, 1118.

¹⁷ ჭყონდიდელი გიორგი, ქადაგებანი, ქუთაისი, 1898, გვ. 124.

**Exploring the Correspondence: The Relationship Between Giorgi Dadiani
(Son of Niko Dadiani) and Dimitri Kifiani**

Giorgi Dadiani stands as an exceptionally intriguing historical figure known for his close relationships and friendships with prominent Georgian public figures, including Giorgi Eristavi and Dimitri Kipiani. His deep-rooted interest encompassed various facets of Georgian culture, history, and literature. Within the archives of the Institute of Manuscripts of Georgia, the Dimitri Kifiani Foundation preserves four profoundly significant letters. These letters serve as expressions of the profound affection and admiration that bonded this resolute feudal lord, Giorgi Dadiani, with Dimitri Kipiani.

ლენხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ

ვიდრე რიონისა და მისი შენაკადების ხეობებში მდებარე ლენხუმის დასახლებულ პუნქტებზე გამავალი ძველი გზებისა და მათი განშტოებების შესახებ გავამახვილებდეთ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარმოვადგინოთ მოცემული რეგიონის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა და რამდენადმე გასაგებად წარმოვაჩინოთ საკვლევი არეალის მნიშვნელობა და როლი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან მიმართებით. როდესაც საქმე ძველი გზების გამოვლენასა და შესწავლას ეხება, თანამედროვე მკვლევარი ხშირად დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, რადგან უმეტესწილად ისტორიული გზა-ბილიკები სადღეისოდ თითქმის აღარ არსებობს, გავერანებულია. ნაგზაურებად გადაქცეულა რაჭა-ლენხუმის უმნიშვნელოვანესი გზა-გადასასვლელი, ერთ დროს სტრატეგიული და მოსახერხებელი ისტორიული მაგისტრალი.

იქ, სადაც უძველესი დროიდან სავაჭრო ქარავნები მოძრაობდა და ცხენოსანი ჯარი გადაადგილდებოდა, დღეს საცალფეხო ბილიკების კვალია მხოლოდ დარჩენილი. გაუვალ ტყე-ბუჩქნარს დაუფარავს იქაურობა. მცენარეული საფარი სწრაფად აუჩინარებს და აუდაბურებს ძველ გზებს. ბევრგან მიმდინარე რთულ გეოდინამიკურ პროცესებს – მეწყერსა თუ ღვარცოფულ ნაკადებს მკვეთრად შეუცვლია რელიეფი და მოუშლია იქ გამავალი გზების კონტურები. ასე, მაგალითად, ძველ დროში ლენხუმის სოფელ ჭყვიშიდან, სადაც ადრევეოდალური ხანის ციხის ნაშთებია შემორჩენილი, გზა გადადიოდა „მთის გადაღმა“, ისტორიული ლენხუმის უმნიშვნელოვანეს დასახლებულ პუნქტებში – თაბორსა და ლაილაშში. ეს გზა კვეთდა „გველისთავის“ ცნობილ უღელტეხილს. რიონის ხეობა და ლაჯანურის ხეობის ლენხუმი ერთმანეთს გველისთავით უკავშირდება. „გველისთავი“ მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში. მას ვახუშტი ბატონიშვილი რაჭისა და ლენხუმის გამყოფ ქედად მიიჩნევს¹.

ეს მაგისტრალი, ოკრიბა-ლენხუმის ცენტრალურ გზასთან ერთად, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი საკომუნიკაციო საშუალება, საუ-

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 754.

კუნების მანძილზე ფუნქციონირებდა და ჰქონდა დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის, რასაც, ისტორიულ წყაროებთან ერთად, ხალხური ზეპირგადმოცემებიც ცხადყოფს. ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა. დღეს ამ გზის დიდი ნაწილი სრულიად ჩაკარგულა ტყეში და გავლაც საკმაოდ დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული „ქვეყანა“ ლეჩხუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი, მთაგორიანი კუთხეა, რომელიც ხასიათდება საკმაოდ რთული რელიეფით. გეოგრაფიულად და ხალხური ტრადიციით იგი ორ ნაწილად – **ზემო** და **ქვემო ლეჩხუმად** იყოფა. ქვემო ლეჩხუმი, იგივე „კლდეაღმართი“-//„კტედაღმართი ლეჩხუმი“, გაშენებულია რიონისა და ლეხიდრის ხეობებში, საზღვარაღმართი ნიკორიძირამდე².

„ნიკორიძირი“ მდებარეობს სოფ. ტვიშის კლდეკარის ჩრდილოეთით, იქ, სადაც მდ. რიონის ხეობის მარჯვენა სანაპიროდან გზა მიემართება სოფელ ლახეფისაკენ და განყოფს ერთმანეთისაგან ზემო და ქვემო ლეჩხუმს. აქვე ჩამოედინება „მინაწყაროს“ სახელით ცნობილი საკმაოდ მძლავრი დებეტის მქონე დეღე, რაც ქმნის ლამაზ წყალვარდნილებს. ნიკორიძირის სიახლოვეს ჰპოვებს გამოსავალს ზვამლის მთის სიღრმიდან მომდინარე „ვერძისთავას“ ცნობილი ჩანჩქერიც, რაც კარსტული ქვაბულიდან გადმოჰქუხს ხანგრძლივი წვიმების დროს. ნიკორიძირს თავს წამოსდგომია მაღალი კლდის ქიმი, რომელიც ლახეფის კლდის აღმოსავლეთ გაგრძელებას წარმოადგენს და ადგილობრივ მოსახლეობაში „ნიკორიწვერის“ სახელითაა ცნობილი. ეს ადგილი ს. ტვიშსა და ს. ცხუკუშერს შორისაა მოქცეული. აქ ძველი დროიდანვე არსებული საურმე გზა. იგი ლახეფიდან ნიკორიწვერის ზემოთ გადადიოდა და მინაწყაროს გავლით ს. ცხუკუშერამდე და ს. ნაყურაღმამდე აღწევდა.

აღპანასა და ტვიშს შორის, ცხუკუშერის მთისქვეშ, რომელსაც „ელიას“//„ხარელიას“ უწოდებენ, ასევე „უცხერის დელის“ გადავლით, გზა აღპანისა და ლვირიშისკენ იღებდა მიმართულებას. აქედანვე მოხვდებოდა მგზავრი ნასპერში, დეხვირსა და მურში. ნიკორიძირის მიმდებარე სანახებიდან შე-

² მ. ალაგიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. თბ., 1951, გვ. 85.

საძლებელი იყო ზვამლის მთის მწვერვალზე ასვლაც, რომელიც იკეტებოდა უწვამის ციხე-სიმაგრით. უწვამის ციხე ნიკორიწვერის სიახლოვეს, ლახეფასა და ნაყურალემს შორის, ლახეფის კლდოვან ქედზეა დაშენებული და თავს დაჰყურებს ტვიშის კლდეკარს. უწვამი ლეჩხუმის ერთ-ერთ უძველეს და მასშტაბურ სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენს. მეცნიერები მას ადრე-ფეოდალური ხანით ათარიღებენ³.

„კლდედამართს“ უწოდებენ „ნიკორიძის“ ქვემოთ, სამხრეთისკენ მდებარე მიწებს. აქ არის ქვემო ლეჩხუმის სოფლები – ტვიში და ორხვი, აგრეთვე ნასოფლარი გონი, ცნობილი ეკლესიით. ეს სოფლები ერთმანეთის მოპირდაპირედ, რიონის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ არსებულ ფერდობებზე მდებარეობს. ახლოსაა აგრეთვე სოფლები - ქორენიში, მექენა-ვანი (ვანისჭალა) და ბენტქოულა. ეს პუნქტები რიონის ხეობის მარჯვნივ, ზვამლის მთის სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთ კალთებზეა შეფენილი.

კლდედამართსვე ეკუთვნის აგრეთვე სოფლები – ონჭვიში (ზედა-ქვედა), ღერჩი, დღნორისა, ჭაშლეთი, საჩხეური და ლეხიდრისთავი. დღნორისა ქვემო ლეჩხუმის უმაღლესი სოფელია. იგი უშუალოდ მთაშავის მასივის (რაჭის ქედი) სამხრეთ ფერდობზეა შეფენილი. ჰიფსომეტრიულად სასოფლო დასახლების უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილის სიმაღლე 900 მ-ს სცდება. ქვედა და ზედა ონჭვიში რიონისა და ლეხიდრის შესართავთან მდებარეობს. ასევე ლეხიდრის ხეობის სოფლებია ჭაშლეთი, საჩხეური და ლეხიდრისთავი. აქვეა რამდენიმე ნასოფლარიც, მაგალითად, ჩორთისა, წუგნა-მალიეთი და სხვ.

რატომ უნდა ეწოდებინათ ქვემო ლეჩხუმისათვის „კლდედამართი“? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველად გონივრული მოსაზრება გამოითქვა წიგნში – „ლეჩხუმი“. დასახელებულ ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი ლეჩხუმის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, მოცემულია მათი მეცნიერული აღწერილობა. წიგნში საუბარია ლეჩხუმში არსებული ძველი გზების შესახებაც და სხვ. ექსპედიცია ლეჩხუმში მოეწყო 1983 წელს, ისტორიკოს დევი ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

³ თ. ბერაძე, ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან. მაცნე, ისტორიის... სერია. თბ., 1976, გვ. 64; მ. ალავეძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. თბ., 1951. 38; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 91; დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურულუა, ლეჩხუმი, თბ., 1983.

წიგნში ვკითხულობთ: „რიონის საკმაოდ ფართო ხეობა სოფელ ალპანასთან ვიწროვდება, მის ქვევით იგი თითქოს კლდის ნაპრაღში მიედინება, ტვიშის კლდეკარიდან კი ხვამლის მასივისა და რაჭის ქედის დასავლეთ ბოლოს შორის მიექანება. სწორედ ამ გარემოს მახასიათებლად გაისმის სახელი „კლდედამართიც“⁴.

„ტვიშის კლდეკარი“ იქმნება ხვამლის კლდოვანი ქედის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთისა და რაჭის კირქეული ქედის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთთა თავშეყრის ადგილას, რომელიც ერთ დროს საერთო სივრცე უნდა ყოფილიყო, ჩაკეთილი მდ. რიონის მიერ. შესაბამისად, მდინარის მარჯვნივ ხვამლისა და ტვიშის კლდეებია აღმართული, ხოლო მარცხნივ ორხვის მიწები მდებარეობს. სწორედ ხსენებულ სოფელს თავს წამოსდგომია უზარმაზარი კირქეული მასივი, რომელსაც ზოგადად უწოდებენ „ორხვის კლდეებს“. ამ თვალუწვდენელი ქარაფების ზემოთ არსებული ტერიტორია ვრცელ მინდვრებს უკავია (ზ. დ. 1100-1200 მ), რასაც ძველთაგანვე სათიბ-სამძვრად იყენებდნენ ზოგიშისა და დღნორისის მოსახლენი. ზოგადადვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არეალი – ორხვის კლდეთა ზემოთ არსებული ტერიტორია, მინდვრები და მიმდებარე ტყიანი ზოლი – მოიხსენიება „წყალატორას“ სახელწოდებით. მას აგრეთვე „ზოგიშის მთასაც“ უწოდებენ, რადგან ისტორიულად იმ სანახების უდიდესი ნაწილი (ტყეველი, სათიბ-სამძვარი, სახნავ-სათესი, წყაროები, კირქვის საბადო და სხვ...) ზოგიშისა და ცაგერას შემადგენლობაში შემოდიოდა. (ორხვის კლდეების ზედა უკიდურეს არეს ზოგიშელები „ორხვიკტითავებსაც“ უწოდებენ).

ე. წ. ორხვის კლდეები, იგივე „ზოგიშის მთის“ ქვედა მონაკვეთი, ჩრდილო-დასავლეთისკენ მიემართება და მკვეთრად დაბლდება. აქ, კირქვიანებზე გავრცელებული ყოფილა ბზის მძლავრი კორომები. ამიტომ ზოგიშის მკვიდრნი ამ ადგილს „ბზანარიკულის“ სახელით იცნობენ. წინათ წყალატორიდან აქამდე საურმე გზა ჩამოდიოდა, რომელიც შემდგომ რიონის ხეობაშიც ეშვებოდა, „ნიკორიძის“ მოპირდაპირედ. პირობითად ბზანარიკულისა და ტვიშის კლდეები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ იქმნება ვიწრო და თვალწარმტაცი კანიონი. ხეობა აქ ფაქტობრივად ჩაკეტილია. ტვიშის ვიწრობს ჩრდილო-დასავლეთიდან ლახეფის კლდე წამოსდგომია თავს. სწორედ ტვიშის, ბზანარიკულისა (ზოგიშის გორა) და ლახეფის კლდეთა მიერ ბუნებ-

⁴ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანიძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურდულია, ლეჩხუმი, თბ., 1983, გვ. 5.

რივად წარმოქმნილმა კარსტულმა ლანდშაფტმა განაპირობა, რომ სამხრეთით მდებარე არეალი მონათლულიყო კლდედაღმართის სახელწოდებით.

სახელწოდება „კლდედაღმართი“ იხსენიება იმერეთის მეფის სოლომონ II-ის 1804 წლით დათარიღებულ საბუთში (იხ. სურ. 7). არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტებიც, სადაც ამ სახელწოდების ქვეშ ყოველთვის ქვემო ლეჩხუმის სოფლები იგულისხმებოდნენ. კლდედაღმართს ოკრიბისაგან გამოყოფს მდინარე ლეჩხიდარი. მის მარჯვენა სანაპიროზე ლეჩხუმის სოფლებია შეფენილი, ხოლო მარცხენა სანაპიროს გასწვრივ არსებული მთათა მასივი, რომელსაც სამამლიას ქედს უწოდებენ, ისტორიული ოკრიბის კუთვნილებაა. ქვემო ლეჩხუმის მიწები, რიონის მარჯვენა მხარეს, საზღვარამდე ვრცელდებოდა. აქედან მალევე გადავივართ იმერეთის სოფელ ნამოხვანში. „საზღვარას“ საუღელტეხილო მონაკვეთი მკვეთრადაა დაშორებული რიონის ხეობას. ადგილის მოპირდაპირედ რიონს მარცხნიდან ერთვის ლეყერეთის ღელე (სოფ. ლეყერეთი).

უნდა ითქვას, რომ ქვემო ლეჩხუმი მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით. ცნობილი ეკლესიებია: გონის წმ. გიორგი (X ს.) ჭაშლეთის მაცხოვარი (XI-XIV სს.), დერჩის ნათლისმცემელი (XIV ს.). თავდაცვითი ნაგებობებიდან ისტორიულად განთქმული იყო დერჩისა და დღნორისის ციხე-სიმაგრეები...

ზემო ლეჩხუმი რიონის ხეობაში ვრცელდება ნიკორიძირიდან თეთონდრის მთასა და მდ. ასკისწყლამდე. ხსენებული მდინარე გვიანფეოდალურ ხანაში ერთმანეთისაგან მიჯნავდა რაჭასა და ლეჩხუმს. ასკის გამოღმა, მარჯნივ მდებარე მიწები ლეჩხუმის კუთვნილებაში შემოდიოდა, ხოლო მარცხენა სანაპიროს გასწვრივ არსებული ტერიტორია რაჭას ეკუთვნოდა. თეთონდერი განყოფდა რიონის მარცხენა ნაპირზე არსებულ პუნქტებს – ზოგიშსა (ლეჩხ.) და ზედა ღვარდიას (ქვ. რაჭა). ზემო ლეჩხუმში (რიონის ხეობა) მდებარეობს სოფლები, რომელთა ნაწილიც დღეს რაჭის მხარის შემადგენლობაშია, მაგრამ ძველ დროს ისინი ისტორიული ლეჩხუმის უმნიშვნელოვანეს დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ. სოფელთაგან ქვიშარი, ზედა და ქვედა ჭყვიში, ლაბეჭინა (აწ უკვე ნასოფლარი), გადაღმა გენდუში (აწ უკვე ნასოფლარი) და გადმოღმა გენდუში, ჟოშხა და ჭრებალო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად ამბროლაურის რაიონზეა მიბმული.

ნიკორიძირიდან გზა მიემართება ისტორიულ სოფელ ალპანისაკენ, რომლის ძველი სახელწოდება **არპანაა**. იქვეა პატარა სოფელი აჭარაც. ალპა-

ნის მოპირდაპირე, რიონის მარცხნივ, მოჩანს წიწვოვანი და ფართოფოთლოვანი ტყით დაფარული მთა, რომლის ზედა წერტილშიც ლეჩხუმის ერთ-ერთი უძველესი სოფელი ზოგიშია მოთავსებული. ზოგიშს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თავს წამოდგომია პატარა სოფელი ცაგერა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, წინათ ზოგიშის განაპირა, მოზრდილ კუთხეს წარმოადგენდა. სხელებული სოფლები მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე. მიმდებარე სანახებთან შედარებით მთიანი რელიეფი აქ მკვეთრად დაბლდება და ჰიფსომეტრიულად ეს დასახლებული პუნქტები განლაგებულია 500-800 მ-ის სიმაღლეზე. ზოგიში ლეჩხუმის უკიდურესი სოფელია აღმოსავლეთის მიმართულებით. აქედან უკვე რაჭის მიწები იწყება. უშუალოდ ზოგიშს ესაზღვრება ქვემო რაჭის სოფელი ზედა ღვარდია. რიონის ხეობაშივე მდებარეობს სოფლები: ლახეფა, ნაყურალემ-ცხუკუშერი, ზედა და ქვედა ღვირიში, ზედა და ქვედა საირმე. ყველა აქ დასახლებული სოფლის ისტორია და არსებობა საუკუნეებს ითვლის.

ძველად ადგილობრივები რიონის ხეობის ლეჩხუმს „მცირე ლეჩხუმს“ უწოდებდნენ, ხოლო ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმი „დიდი ლეჩხუმის“ სახელით იყო ცნობილი⁵. ამას განაპირობებდა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. ცხენისწყლის ჭალები, ცაგერის ქვაბული და მისი მიმდებარე ტერიტორია უფრო გაშლილი და ვრცელია, ვიდრე რიონის ხეობაში მდებარე ადგილები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაჯანურის ხეობაში შეფენილი სასოფლო დასახლებები ლეჩხუმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. მდ. ლაჯანურა სათავეს ლეჩხუმის ქედზე იღებს და რიონს ერთვის სოფ. ალაპანასთან.

ლეჩხუმს სამხრეთიდან ემეზობლება იმერეთი, აღმოსავლეთიდან კი – რაჭა. ჩრდილოეთით სვანეთისაგან გამოყოფილია ყვედრეშის ღელეთი. ასევე ამ ორ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას ერთმანეთისაგან განყოფს ლეჩხუმის ქედი. დასავლეთით ლეჩხუმს მთიანი სამეგრელო ემეზობლება.

აი, როგორ აღწერს ლეჩხუმის საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კუერი, ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა, მუნვე თაკუერისა, ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო. ესე არს ლეჩხომი. გარნა ლეჩხუმსა და

⁵ შურ. „კვალი“, #53. 1896, გვ. 951.

რაჭას განჰყოფს გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლიდამ ჩდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სუანეთს შორისი; დასავლით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამხრეთად, მთა გორდამდე; სამხრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასავლეთად გორდამდე, ამასა და ოკრიბას შორისი“⁶.

ლეჩხუმი საუკუნეთა განმავლობაში მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობით დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადრეფეოდალური ხანიდანვე მოყოლებული ლეჩხუმს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრებოდა. მასზე გადმოდიოდა ძველი სატრანზიტო-საერთაშორისო გზები, რომლებიც ჩრდილოეთის მთიანეთს კოლხეთის ბართან აკავშირებდა. VI საუკუნის ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ხსენებული მხარე „სკვიმნიის“ სახელითაა ცნობილი⁷. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესანიშნავადაა გამოკვეული, რომ „სკუმ-სკუმი-ა“ ლეჩხუმის ძირეული ნაწილის „ჩხუმ-ცხუმის“ ბერძნულ გააზრება-გაგებას წარმოადგენს. „სკვიმნები“ (ლეჩხუმელები), რომლებიც სვანებს ემეზობლებოდნენ, მთავრებად ჰყავდათ თვისტომთაგანი. ისინი ინიშნებოდნენ ლაზ მეფეთა მიერ, ცხოვრობდნენ ლაზიკის (ეგრისის სამეფო) ჩრდილოეთით და იცავდნენ ძველ გზებს, რომლებიც მათ „ქვეყანას“ კვეთდა. ძველ წყაროებში სახელდებული „თაკვერის“ საერთაშორისო გზა სწორედ ლეჩხუმის მხარეზე გადმოივლიდა. მისი ყოველი მონაკვეთი ადრეფეოდალური ხანის თავდაცვითი ნაგებობებით იკეტებოდა.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ „ლეჩხუმი“ სვანური სახელია და უნდა გავიზნოთ, როგორც „ლეცხუმ“ (ცხუმ-ცხვიმ „რცხილარცხილნარი“). ეს ვერსია მეტად სარწმუნოა. ბერძნული „სკუმი“ უდრის ქართულ „ცხუმის“.

შუაფეოდალურ ხანაში ლეჩხუმი „თაკვერის“ სახელით მოიხსენიება. სინამდვილეა, რომ ამ დროს სამეფო კარი ძალიან დიდ ინტერესს და ყურადღებას იჩენს ლეჩხუმისადმი. „თაკვერში“ მდებარე ხვამლის, იგივე „ხომლის“ მთა და კლდეში გამოკვეთილი ქვაბული, მტერთაგან შეუვალი, რთულად მისადგომი, ისტორიულად ქართველ მეფეთა საჭურჭლეს, განძთსაცავს წარმოადგენდა. ისტორიკოსი ქაჯანა მუშეუდიანი აღნიშნავს: „დასავლეთ საქართველოში, ქუთაისთან ახლოს, ასეთი ბუნებრივი მთა-სიმაგრისა

⁶ ვახუშტი ბაგრატიონი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 748.

⁷ გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 126.

და მასში ერთი მეორის მეზობლად გრანდიოზული გამოქვაბულების განლაგება, ბუნებრივია მიიტყვევდა სამეფო კარის დიდ ყურადღებას. მათ დიდ ყურადღებაზე მეტყველებს ისიც, რომ ისედაც ბუნებრივად შეუვალი ხვამლი საგანგებოდ არის გამაგრებული დიდი ციხე-სიმაგრეებით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც წყაროები მოწმობენ, ხვამლის მთა და მისი ქვაბულები ყოფილა ეროვნული სიმდიდრის განმოსაცავი“⁸.

ლენხუმის მხარეს თავისი სტრატეგიული ფუნქცია არც გვიანფოდალურ ხანაში დაუკარგავს. მუდმივად მიდიოდა ბრძოლები იმერეთის სამეფო კარსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ამ მხარის დასაკუთრებისათვის. პოლიტიკური უპირატესობა ჰქონდა მას, ვის ხელშიც ლენხუმი აღმოჩნდებოდა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლენხუმის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. იგი წარმოადგენდა ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს და საიმედო თავშესაფარს სამეფო კარისა (მათი განძის სამალიც აქვე იყო) თუ ადგილობრივი წარჩინებულებისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ბევრი მაგალითი იმისა, როდესაც ლენხუმი სახიზრად გამოუყენებიათ იმერეთის მეფეებს, სამეფო კარზე დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოებს და სხვ. ლენხუმში მაღალ დონეზე იყო განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა. აქაურები მისდევდნენ მევენახეობას, მემინდვრეობას. ამასთანავე, აწრობდნენ ლითონს და ასევე დახელოვნებულნი იყვნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში. სწორედ ეს განაპირობებდა ლენხუმის დიდ მნიშვნელობას და რომელსაც აქტუალობა არ დაუკარგავს საუკუნეთა განმავლობაში...

ლენხუმი მცირემიწიანი და მეტად მთავორიანი კუთხეა. როგორც წესი, აქაური სოფლები განლაგებულია მთის ფერდობებზე, რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებში⁹.

ახლა შევეხებით იმ უძველესი ცენტრალური საქარაგნე გზის აღწერილობას, რომელიც რიონის ხეობის ლენხუმზე გადადიოდა, ხოლო მისი განშტოებანი სრულიად ითვისებდნენ ლენხუმ-თაკვერისა თუ მისი მეზობელი

⁸ ქ. მუმუქიანი, ლენხუმის ისტორიიდან, ქუთ., 2001, გვ. 21-23.

⁹ ისტორიული „კლდედამართის“ სოფლები: მექენა, ვანი, ბენიქოულა, ქვ. ონჭეიში დერწი, დღნორისა და ლეხიდრის ხეობაში შეფენილი: ზედა ონჭეიში, ჭაშლეითი, საჩხეური და ლეხიდრისთავი დღეს წყალტუბოს რაიონისათვის მიუკუთვნებიათ. იგივე მდგომარეობაა ზემო ლენხუმში, კერძოდ, ასკისწყლის გამოღმა მდებარე ლენხუმის კუთვნილი დასახლებული პუნქტები ამბროლაურის რაიონში შედიან

ისტორიულ-ეთნოგრაფიული „ქვეყნების“ სანახებს. ეს გზა ქუთაისიდან ჩრდილოეთით, რიონის საპირისპირო მიმართულებით მიიკლავებოდა და საკმაოდ სცილდებოდა აღნიშნული მდინარის კალაპოტს. აქ საქმე უნდა გვექონდეს რეალურად უადრესსა და ცალსახად უმნიშვნელოვანეს მაგისტრალთან, რომლის არსებობაც ივარაუდება უკვე ადრეფეოდალური ხანიდანვე. თავდაპირველად წარმოვაჩინოთ აღნიშნული მარშრუტის ოდინდელ მიმართულებას, ფუნქცია-დანიშნულებასა და მის როლს საქართველოს ისტორიული წარსულის სხვადასხვა ეტაპზე.

როგორც ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ძველი გზების მიმართულებათა დასადგენად უადრესი მნიშვნელობა აქვს დღევანდლამდის შემონახულს მატერიალურ ძეგლებს, მათ ნაშთებს: ქალაქები, ციხეები, დიდი ტაძრები, სასახლე-ნასახლეკვები, ქარვასლები, ხიდეები, კარები, კლდე-კარები, გაჭრილები... გზათა მიმართულების არანაკლები მაჩვენებელია ადგილთა სახელწოდებანი. „ხიდისგან ნაწარმოები სახელები: „ხიდისთავი“ „ნახიდური“, „ოხერხიდა“ „ხიდიკარი“ და სხვ... „ყელი“, „ჩასავალი“, „კარი“, „ზეკარი“... ყველა ამისდა მიუხედავად, ისტორიული გზების დადგენა საჭირო ზედმიწევნით მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება შესრულდეს, რაც ჩვენ გვექნება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერული აღწერილობა“¹⁰...

რადგან ხსენებული გზა ისტორიული ოკრიბის სოფლებს თავდაპირველად ქვემო ლეჩხუმთან აკავშირებს და შემდეგ გადადის უშუალოდ ზემო ლეჩხუმში, ამიტომ არ იქნებოდა შეცდომა, რომ ამ გზისათვის პირობითად ოკრიბა-ლეჩხუმის შარა გვეწოდებინა. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი დღემდე წარმოადგენს ერთობ მოსახერხებელ და სტრატეგიულად გამართულ სამომოსვლო საშუალებას. იგი ამოკლებს მანძილს ქუთაისსა და კლდედაღმართის ლეჩხუმს შორის.

„ოკრიბა-ლეჩხუმის“ საქარავნე გზატკეცილი იწყება ქუთაისთან და ადის სოფ. მოწამეთის სანახებამდე. აქედან იგი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს და შედის ოკრიბის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ სორმონში. შემდეგ შარა ამ პუნქტს დასავლეთით მოიტოვებს და მიემართება კვლავ ჩრდილოეთით. ამის შემდეგ იგი ხვდება ოკრიბის ორ ძირძველ სოფელში - ოჯოლასა და ვჯარისაში. ოჯოლასთან ახლოს მდებარეობს სოფ. ლეყერეთიც. გზა მას

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966, გვ. 13.

აღმოსავლეთით აუქცევს გვერდს და ჩაეშვება კვლავ ჩრდილოეთისკენ, ლეხიდარის ხეობაში. აქედან უკვე „კლდედამართის“, იგივე ქვემო ლეჩხუმის მიწები იწყება. ხსენებული მდინარის გადაკვეთის შემდეგ გზა შედის სოფ. ლეხიდრისთავსა და საჩხურში (ლეჩხუმის ისტორიული დასახლებანი), შემდეგ კი – სოფ. დღნორისაში. დღნორისიდან გზა ჩრდილოეთით მიემართება, „ჯვარდამწვარის“ გავლით, ორხვის კლდეების ზემოთ და გაუყვება „წყალატორის“ მინდვრებს. „წყალატორა-ზოგიშის მთის“ უკან მოტოვების შემდეგ გზა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ეშვება და გაივლის ზემო ლეჩხუმის უძველეს სოფლებს - ცაგერასა და ზოგიშს. აქ განსაკუთრებით შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და აღვნიშნავთ, რომ ტრადიციულად სწორედ ზოგიშში იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტი, რომელიც ზედ „ოკრიბა-ლეჩხუმის“ გზატკეცილზე მდებარეობდა. ეს კარგად ჩანს ისტორიული წყაროებიდან. ხალხური გადმოცემებითაც ვიგებთ, რომ ზოგიშში შემოსული ქარავნები აქვე ჩერდებოდნენ, ეწეოდნენ აღებ-მიცემობას. დამესაც აქ ათევდნენ, ისვენებდნენ და შემდეგ სასურველი მიმართულებით მიდიოდნენ. ზოგიშის სიანლოვეს საქარავნე შარა იტოტებოდა და სამი მიმართულებით მიდიოდა (იხ. ქვემოთ).

ხსენებული გზა რომ დანამდვილებით ძველია და უდავოდ უხსოვარი დროიდანვე იქნებოდა ათვისებული და გამოყენებული სამიმოსვლოდ, ამის მატერიალურ დადასტურებას წარმოადგენს ის ადრეფეოდალური ხანის მასშტაბური ციხე-სიმაგრეები, რომელთა ნაშთებიც მრავლად გვხვდება აღნიშნული საქარავნე გზატკეცილის გაყოლებაზე. ამასთანავე, აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოკრიბა-ლეჩხუმის გზაზე მდებარე თითქმის ყველა სოფელში თუ მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთებით მდიდარი განძები.

ოკრიბა-ლეჩხუმის გზის სიანლოვეს ბრინჯაოს განძები აღმოჩენილია ოჯოლაში, დღნორისაში, თხმორში, ცაგერაში, ქვიშარში, სურუმში, ლაილაშსა და სხვაგან, ხოლო სხვადასხვა დანიშნულების არქეოლოგიური ნივთები და სამარხ-აკლდამები (მდიდარი ინვენტარით) მრავლად გამოჩნდა ნასოფლარ გონში, ზოგიშში, საირმეში, ლაბეჭინაში და ა. შ.

მოწამეთა-სორმონის ავლით გზა ოკრიბის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელ ოჯოლაში შედის. იგი მდებარეობს ზ. დ. დაახლოებით 500-650 მ-ზე. ოჯოლას აღმოსავლეთით უშუალოდ ემეზობლება სოფელი ჯვარისა, დასავლეთით – კოლხური ფართოფოთლოვანი ტყეებით დაფარული მთა-გორაკები და მდ. რიონი. ოჯოლის ჩრდილოეთით, **სამამლიას ქედის/ლოკნარის** სამ-

ხრეთ ფერდობზე, ოკრიბის ერთ-ერთი ყველაზე რთულად მისადგომი სოფელი ლეყერეთი მდებარეობს, ხოლო მისგან სამხრეთით – სოფ. კურსები. ოჯოლა ისტორიული სოფელია. 1960 წელს აქ შემთხვევით უპოვნიათ ბრინჯაოს განძი. ბრინჯაოს ჭურჭელში ჩაწყობილი ნივთები ერთი მეტრის სიღრმეზე ყოფილა ჩამარხული. განძის შემადგენლობაში იყო 23 ცალი თონი, კოლხური ცულები (ერთ-ერთი მათგანი შემკული გეომეტრიული და ცხოველთა ფიგურებით), ისრის წვერები, სამაჯურები და სხვ.¹¹

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკებზე ოჯოლა სოფელ ჯვარისის ქვემოთ, სამხრეთისაკენაა მოთავსებული, ხოლო ლეყერეთი – ჯვარისის ზემოთ, ჩრდილო-დასავლეთისკენ. რეალურად ოჯოლა ჯვარისას დასავლეთიდან ემზობლება და არა სამხრეთიდან. რაც შეეხება ლეყერეთს, იგი ნამდვილად ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ესაზღვრება ოჯოლასა და ჯვარისას.

1772 წელს ოჯოლაში იმყოფებოდა გერმანელი მოგზაური და მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. იგი წერს: „8 აგვისტო. გურნიდან (ოკრიბის სოფელი) ორი საათი მივიღოდი დასავლეთით, გავიარეთ სოფელი ჯვარისა და მივედი ოჯოლაში, აქ გავჩერდი. აქედან ციხე დღნორისა ჩანს დაახლოებით 12 ვერსზე ჩრდილოეთით, მდ. ლეხადარზე, რომელიც გვერდით ქედიდან (ანუ რაჭვის ქედიდან) გამოდის, მიედინება ჭალის (მდინარე) მარჯვენა მხარეზე, მის პარალელურად და სამი საათის სავალზე ქუთაისს ზემოთ ერთვის რიონს მარცხენა მხრიდან. ის შეადგენს საზღვარს ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის... 9 აგვისტოს დამე გავათიეთ ოჯოლაში და გავედი იქიდან დღისით. ოჯოლიდან გავემართეთ სამხრეთ-დასავლეთით. 2 საათში ვიყავით რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ზარათში. მანამდე ჩვენ გავიარეთ ჭალის შენაკადი ერთ ხევში, რომლითაც ის მთიდან დაბლობზე გამოდის. გზა ისევ და ისევ მიდიოდა დაბალ, დაბლობისაკენ დაშვებულ მთაზე...“¹².

ჯვარისა უძველესი დასახლებული პუნქტია. იგი მოხსენიებულია პირველად XI ს-ის „ნიკორწმინდის იადგარში“, სადაც კვითხულობთ: „ოკრიბას ჯვარისას ვიყიდე ნასრაისა ასულისაგან გლეხი, რომელი მიეცა მისდა წირქუალელის ძესა, მამამთილსა მისსა, ხელწერით უკუნიამდე და მისთვის მი-

¹¹ დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ., 1965, გვ. 33, 38.

¹² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 137.

ვეც ფასად ცხენი, დრაჰკანი ღუკატი, და ფური და მოწამე არიან კაცნი...“¹³.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ოკრიბა-ლენჩუმის ცენტრალური გზის ერთი მნიშვნელოვანი განშტოება ჯვარისის (ჯუარისას) ტერიტორიაზე გადადიოდა. აქვე იყო ადგილი, რომელსაც ადგილობრივები „სასვენებელს“ უწოდებდნენ. ჯვარისელ უხუცესთა გადმოცემით, მას ეს სახელი იმიტომ ერქვა, რომ ძველთაგანვე ლენჩუმიდან მომავალი გზის აღმართი მთავრდებოდა და შორი მანძილიდან მომავალი მგზავრებიც აქ ისვენებდნენ¹⁴. „იმ ადგილზე, რომელსაც ჯვარს ეძახიან, გადიოდა სვანეთის, რაჭა-ლენჩუმისა და ოკრიბის ცენტრალური გზა... რაჭის, სვანეთისა თუ ლენჩუმის უბნებიდან წამოსული ხალხი გადმოდიოდა „მთაშავას“ გვერდით მდებარე მთაზე და საჩხეურისა და ჩორთისის გავლით ჩამოდიოდნენ ლეხიდრის ხეობაში. შემდეგ გზა მიჰყვებოდა „ნიშადურას“ ღელეს და ამოდიოდა ადგილ „ჯვარის“ მახლობლად. იმ ადგილს ამჟამად ეწოდება „სასვენებელა“ და მდებარეობს ჯვარისიდან 600-700 მ-ის მოშორებით...“¹⁵.

ოჯოლის ჩრდილოეთით, დაახლ. 3 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს სოფელი ლეყერეთი, ამ მიმართულებით ქვემო ლენჩუმის პირველი სოფელი ლეხიდრისთავი 9 კმ-ით არის დაშორებული სოფელ ოჯოლას. გიულდენშტედტის ცნობით, ოჯოლიდან დაახლოებით 12 კერსითაა დაშორებული ს. დღნორისა, რაც სინამდვილეს შეეფერება. ამ ორ სოფელს შორის მანძილი 14-15 კმ-ია.

მდინარე ლეხიდრის გადაკვეთის შემდეგ გზა ადის ქვემო ლენჩუმის უძველეს დასახლებულ პუნქტებში – ლეხიდრისთავ-საჩხეურსა და დღნორისაში. იქვეა ჭაშლეთი და დერჩი, ხოლო რიონ-ლეხიდრის შესართავთან – ზედა და ქვედა ონჭვიში. ამავე ხეობაში არსებობს რამდენიმე ნასოფლარი. ეს სოფლები ნახსენებია გიულდენშტედტის მიერ 1772 წელს, ხოლო დღნორისასა და მის ციხეს ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“. სოფ. დღნორისა „დღნორის“ ფორმით დატანილია ვახუშტის რუკებზეც.

ს. საჩხეური „საჩხეორის“ სახელით იხსენიება ასევე „ნიკორწმინდის იადგარში“ (XI ს.): „...ღვთის ძროხა საჩხეორის სასკესა დაესხა და დაკლნა...“ საჩხეური, როგორც ლენჩუმის სოფელი, აღნიშნულია იმერეთის მეფის – ბაგრატ III-ის (XVI ს.) საისტორიო საბუთში. აქაურ გლეხებს

¹³ თ. ჟორდანია, ნიკორწმინდის იადგარი. ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1894, გვ. 49.

¹⁴ ჟ. ლომთაძე, ი. ჭარბაძე, ოკრიბის უძველესი სოფელი, 2011.

¹⁵ ი. ნიშნიანიძე, დ. ნიშნიანიძე, ოკრიბა, 2003 წ. გვ. 5.

ემართათ ბეგარა აფხაზეთის კათალიკოსისადმი. ისინი „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხებად“ იწოდებოდნენ. ასევე XV ს-ში ფიქსირდება პირველად ისტორიულ წყაროებში სოფელი ჭაშლეთი. იგი „მთის წმინდა გიორგის“ მონასტრისადმი დაქვემდებარებული სოფელი იყო. სოფელი ღერჩი პირველად XIII ს-ში იხსენიება.

ლენიდრისთავ-საჩხეურის გავლით გზა დღნორისაში შედის. იგი საკმაოდაა მოშორებული როგორც რიონის, ასევე ლენიდრის ხეობას. სასოფლო დასახლება განთავსებულია რაჭვის ქედის სამხრეთულ ფერდობზე. უფრო კონკრეტულად, სოფელი შეფენილია „მთაშავა-თავშავის“ კირქვული მთაგრეხილის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე. დღნორისა ისტორიულ წყაროებში პირველად XVII ს-ში არის მოხსენიებული. აქაურ გლეხს ემართა ბეგარა იმერეთის მეფის – ბაგრატ IV-ისადმი.

დღნორისა საკმაოდ მოზრდილი და ტრადიციული სოფელია, მცხოვრებნი უხსოვარი დროიდანვე მისდევდნენ მიწადმოქმედებას, მეცხოველეობას, მეწვისქვილეობას, აწრთობდნენ ლითონს და სხვ. ამას ადასტურებს დღნორისაში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი, რომელიც შედგება ოთხი სახეობის პატარა ზომის ცულისა და ორი სახეობის თოხისაგან. აქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს ხარის სკულპტურული გამოსახულება. დღნორისას, როგორც აღვნიშნეთ, „დღნორის“ სახელით იხსენიებს ვახუშტი და წერს: „ძმუისის ჩრდილოთ, მთას იქით, რიონის სამხრით, არს დღნორს ციხე მაგარი, დიდშენი და შეუვალი. აქამდის არს ოკრიბისა. ხოლო ამ დღნორს ზეით რიონზედ არპანი. არპანს ზეით გუელისთავი. გუელისთავს ზეით რიონს მოერთვის ტოლის ხევი...“

რასაკვირველია, ვახუშტის ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ მეტად მნიშვნელოვანი წყაროა, მაგრამ ამ ცნობათა კრიტიკული ანალიზი და ობიექტური განხილვა აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობისას დიდი მეცნიერი ხშირად ლაფსუსებს უშვებს ხოლმე.

ვახუშტის აღწერილობისა და რუკების მიხედვით დღნორისა მოქცეულია ძმუისის ზემოთ, ჩრდილოეთით. სინამდვილეში დღნორისა (და მისი ციხე) ძმუისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, „მთას იქით“.¹⁶ ხსენებუ-

¹⁶ აქ იგულისხმება „მთაშავის“ სამხრეთი მთიანეთი, რომელიც ღველებითაა დასერილი. ისინი ერთეიან მდ. ლეხიდარს.

ლი სოფელი მდ. რიონის აღმოსავლეთითაა მოქცეული და არა სამხრით, როგორც ამას ვახუშტი აღნიშნავს. დღნორისის ციხე ნამდვილად „დღნორის“ და შეუვალი“ სიმაგრე იყო.

სწორია ვახუშტი, როდესაც სოფ. არპანს (დღევანდელი სოფ. ალპანა) „დღნორს“ ზემოთ ათავსებს. ჩვენ ვიცით, რომ დღნორისის სანახებს ჩრდილოეთიდან უშუალოდ ემეზობლება სოფელი ზოგიში და მისი მიწები. ამ ორი სოფლის ადგილთა გამყოფი ბუნებრივი საზღვარი „წყალატორის“ მინდვრებია.

ვახუშტის რუკებით თუ ვიმსჯელებთ, ლეჩხუმში არსებული ორი დასახლებული პუნქტი ერთმანეთის მეზობლად, რიონის მარცნივ და მარჯვნივ მდებარენი, და ორივე მათგანი „არპანად“ იწოდებოდა. როგორც ვთქვით, რიონის მარჯვნივ მოთავსებული „არპანა“ ის სოფელია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ დღევანდელი **ალპანის** სახელით. მის მეზობლად მდებარეობს სოფელი ზოგიში, რაც ალპანას სამხრეთიდან ემიჯნება. შესაძლებელია იცოდა ვახუშტიმ „არპანას“ სამხრეთით, „დღნორამდე“, სხვა მნიშვნელოვანი პუნქტის არსებობის შესახებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისთვის უცნობი ყოფილა ამ დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ამიტომაც მეცნიერმა ზოგიშიც შეცდომით „არპანად“ მონათლა. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ალპანაც და ზოგიშიც დღნორისას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, ანუ ორივე სოფელი ნამდვილად დღნორს ზემოთ, რიონის ხეობაში მდებარეობს.

ვახუშტის ცნობითვე, თითქოს სოფ. „დღნორამდე“ ამოდიოდა ისტორიული ოკრიბის საზღვრები, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღნორისა ლეჩხუმის შემადგენლობაში იგულისხმებოდა, თუ უფრო ადრე არა, XV-XVIs-იდან მაინც, რადგანაც ჩვენ მოგვეპოვება იმდროინდელი ერთი საისტორიო საბუთი „ბიჭვინთის იადგარის“ სახელწოდებით (იხ. სურ. 9), სადაც ლეჩხუმის სოფლებად მოხსენიებულია საჩხეური და წუგნა.

ზემოთაც ვთქვით, რომ საჩხეური დღნორისას სამხრეთიდან ემეზობლება. მისგან აღმოსავლეთით იყო აგრეთვე სოფ. წუგნას ტერიტორიაც (დღეს ნასოფლარია). ხალხური გადმოცემით, აქაური მოსახლეობა სახადს გაუწყვეტია. სახნავ-სათეს ადგილს სოფ. ლეხიდრისთავის სიახლოვეს დღემდე წუგნას უწოდებენ. იქვე ახლოს ჩამოდის **წუგნურას/წუგნურას ღელეც**, რომლისთვისაც სახელი ამ სოფელს, აწ. უკვე ნასოფლარს, მიუცია და რომელიც ერთვის მდ. ლეხიდარს.

თუკი საჩხეურ-წუგნა XVI-XVII საუკუნეებში ლეჩხუმის სოფლებად მი-

ინეოდა, მაშინ ცალსახაა, რომ მათ ჩრდილოეთით მდებარე სოფ. დღნორი-საც აუცილებლად ლეჩხუმის შემადგენლობაშია საგულვეტელი და არა ოკრიბაში. ამ დროს ლეჩხუმს ოკრიბისგან მდ. ლეხიდარი გამოყოფდა. ასევე საფიქრებელია, რომ შუაფეოდალურ ხანაში ქვემო ლეჩხუმის მნიშვნელოვანი ნაწილი, დღნორისის ჩათვლით, გარკვეული დროით, მართლაც მოქცეულიყო ოკრიბის ფარგლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოსი თამაზ ბერაძე მართებულად აღნიშნავს: „საერთოდ ჩვენ ისტორიკოსს (ვახუშტის) ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ალპანას ქვევით მდებარე რიონის ხეობაზე. ამ სოფლის ქვემოთ რიონის მარცხენა ნაპირზე პირველად დღნორისაა აღნიშნული, ხოლო მარჯვენა ნაპირზე კი გუმათი (იმერეთის სოფელი ქუთაისთან). სინამდვილეში კი, აქ ათზე მეტი სოფელია მოთავსებული. რაც მთავარია, გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩხუმი ხომლის მასივის სამხრეთითაც ვრცელდებოდა და დღნორისა, რომელიც ვახუშტის ოკრიბაში შეჰყავს, ლეჩხუმში მდებარეობდა... ჩვენი აზრით, აქ ვახუშტი გამოდის შუაფეოდალური ვითარებიდან, როდესაც ოკრიბის შემადგენლობაში იყო ზვამლის მასივის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, მდინარე რიონის ორივე ნაპირზე“¹⁷.

დღნორისის სიძველეებთან დაკავშირებით საინტერესო ნაშრომი აქვს არქეოლოგ ა. ნუცუბიძეს. იგი წერს: „დღნორისის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, ადგ. „კორვაშთან“ მდებარეობს „ნაციხვარის გორა“, რომელიც წარმოადგენს ორ უნაგირად გაყოფილ ბორცვს. აღმოსავლეთ გორის ფერდზე, კარსტულ მღვიმეში ჩასასვლელია, რომელიც სიღრმეში მრავლადაა განტოტვილი... დასავლეთი გორიდან მდ. რიონის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია დიდ მანძილზე თვალნათლივ იხვევება. კარგად ჩანს ზვამლის მთა მიდამოებითურთ. კორვაშის ორგორებმა სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობითა და კარსტული მღვიმის წყალობით უძველესი დროიდან მიიქცია ადამიანის ყურადღება... ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ნაციხვარის გორაზე ცხოვრება ინტენსიური გამოხდარა... „კორვაშის“ ჩრდილოეთით, 1 კმ-ზე, კოლხური მონეტების ორი განძი აღმოუჩენიათ და სხვ... ადრეფეოდალურ ხანაში ნაციხვარზე ძირეული ცვლილებები მომხდარა. ნაციხვარის გორის დასავლეთიდან მიმდებარე წაგრძელებული ქიმი დაუტერასებიან. კარგად იკითხება სამი, საფეხურებად განლაგებული ტერასა... ნაციხვარის აღმოსავლეთის მხარეს – მთის ქიმი სამი, ერთმანეთის პარალელურად განლაგებული

¹⁷ თ. ბერაძე, მაცნე, ისტორიის... სერია, 1976, №3. გვ. 70.

3-5 მ სიგანისა და 3-4 მ სიღრმის თხრილებითაა გამოყოფილი... სულ ზედა, აღმოსავლეთის ტერასაზე, გეგმაში რელიეფის შესაბამისად ნაგები 1 მ სისქის ციხე-გალავნის კედლის ფრაგმენტები იკითხება... ციხის დასავლეთ ნაწილში მომრგვალებული ბურჯია, რომლის ქვეშ ჩანს კარსტულ მღვიმეში ჩასასვლელი... სოფ. დღნორისის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული დღნორის ციხე, მაგარი, დიდშენი და შეუვალი უნდა იყოს... ამრიგად, დღნორისის კორვაშის ნაციხვარი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი ჩანს და მისი შესწავლა ნათელს მოჰყენს რეგიონის უძველეს ისტორიას¹⁸.

დღნორისაში ადამიანს უხსოვარი დროიდან უცხოვრია. დღნორისის სანახებესვე კვეთდა ოკრიბა-ლენჯუმზე გადმომავალი მაგისტრალი, რომლის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის ჩამკეტად დღნორისის ციხე აუგიათ ადრეფეოდალურ ხანაში, საიდანაც იშლებოდა ფართო თვალსაწიერი და კონტროლდებოდა ვრცელი ტერიტორია.

ადგილი „კორვაში“ ვახსენეთ, სადაც დღნორისის „ნაციხვარი გორა“ მდებარეობს. კორვაშის მთა წარმოადგენს მთაშავის (რაჭის ქედის განშტოება) მასივის სამხრეთ-დასავლეთ გაგრძელებას. მისი ჩრდილოეთი კალთები დაფარულია ფართოფოთლოვანი ტყით. იგი თავს წამოსდგომია სამხრეთიდან ნასოფლარ გონს, ხოლო დღნორისას ესაზღვრება ჩრდილო-დასავლეთიდან. კორვაშის უმაღლესი წერტილის სიმაღლე ზ. დ. 1126 მ-ია. სწორედ ამ მთისა და **ნაციხვარი გორის** გადავლით იყო შესაძლებელი დღნორისიდან გონსა და ორხეში მოხვედრა. აქედანვე საურმე გზა გადის **ჯვარდამწვართან**, რაც დღნორისას წამოსდგომია თავს და სასოფლო დასახლებას დაშორებულია დაახლ. 2 კმ-ით. **ჯვარდამწვარი** პირველად იხსენიება 1658 წელს შედგენილ დოკუმენტში. ირკვევა, რომ ინასარიძეებმა გაბრიელ ჩიქვანს (ცაგერელს) „ხელმოხსნით“ გადაულოცეს მთელი წილი იმ ბეგარა-მოსაკრებლობისა, რაც მათ ერგებოდათ ძველთაგანვე იმ სოფლებიდან, რომლებიც მდებარეობდა რიონისა და ლეხიდრის ხეობებში, **ჯვარდამწვარსა** და ლეხიდარს შუა. საუბარია სოფლებზე – დღნორისა, დერჩი, ჭაშლეთი, ონჭეიში, საჩხეური, ლეხიდრისთავი, ჩორთისა და წუგნა-მალიეთი¹⁹. „1658 წ. სახელთა მამისა ღთისა ძისა და ღთისა სულისა წმინდისათა ჩვენ ინასარიძემან

¹⁸ ა. ნუცუბიძე. დღნორისას ნაციხვარი. ჟ. „ძეგლის მეგობარი, №66, თბ., 1984.

¹⁹ ბოლო სამი დას. პუნქტი დღეს ნასოფლარია.

ხოსიამ და ჩემმა შვილმა მამუკამ და ქაიხოსრომ ესე წიგნი მოგართვით თქვენ ცავერისა ღვთის მშობელს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ლეხი-დარსა და ჯვარ დამწვარ შუა რაც სარჯულავი და მოსაკრებლობა მოვიდო-და, ყველასი მესამედი ჩვენი იყო და ორი წილი ცავერლისა. აწე ჩვენი სუ-ლის საოხად ჩვენ ყველა ასრე ხელმოხსნით შეგვიწირავს, რომე არც სარ-ჯულავი და არც მოსაკრეფელობას არც ჩვენის გვარის კაცს და არცა სხვას კაცს არღარა ერგებოდესრა და ვინც ირგოს და ან აილოს, ჩვენთამცა ნუქ-ბად განიკითხვის მეროდ მოსვლისა...“²⁰.

ჯვარდამწვარის მინდორი წარმოადგენს მთაშავის მასივის გავრძელებას დასავლეთისაკენ. მისი სიმაღლე ზ. დ. 1150 მ-ია. ზოგადად ძალზედ სტრა-ტეგიული ადგილია, საიდანაც შესანიშნავად მოჩანს რიონის ხეობის ვრცელი არეალი. აქედანვეა შესაძლებელი ქუთაისისა და გელათის მონასტრის ხილ-ვაც. ხელისგულივით იკითხება ოკრიბა-ლექსუმის გზის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთებიც. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ჯვარდამწვარი წარმოადგენს ქვემო და ზემო ლექსუმის გამყოფ ალაგს. რიონის ხეობის მარცხნივ, სხენე-ბული ადგილიდან ორიოდ კილომეტრითაა მოშორებული წყალატორის თვალუწვდენელი მინდვრები, რომელიც ზემო ლექსუმის ტერიტორიის კუთ-ვნილებაა.

„ჯვარდამწვარი“ გადმოიარა 1848 წელს ზოგიშიდან ქუთაისისაკენ წა-მოსულმა მეცნიერმა მარი ბროსემ და დაგვიტოვა ამ მოგზაურობის შესანიშ-ნავი აღწერილობაც: „სიმონა ხვადაგიანმა, რომლის სახლშიც დამე გავათიეთ ზოგიშში, გამაღვიბა მეორე დღეს და აქედან წავედით სოფ. დღნორისაში. შუა გზაში შევისვენეთ ბუჩქოვანი ხის ძირას, ერთი დიდი ხის ახლო, რო-მელშიც გამოკვეთილ ნიშში მოთავსებული იყო რკინის ჯვარი. ამ ადგილს ეწოდება „ჯვარდამწვარი...“²¹.

კორვაშისა და ჯვარდამწვარის გავლით გზები გონისაკენ ეშვებოდა. გო-ნი მდებარეობს მეტად მოხდენილ ადგილას. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ორხვი და რიონის ხეობა ესაზღვრება, სამხრეთით – მთა კორვაში, ხოლო აღმოსავლეთით – ნაშშევიგორა²². გატყიანებულ ფერდო-ბებს შორის ვრცელი ვაკეა მოქცეული, სადაც ძველად მოზრდილი სოფელი

²⁰ ს. კაკაბაძე, საცავერლოს გამოსავლის დაეთარი, ტფ., 1914, გვ. 14.

²¹ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'..., Volume 2. (1850) Mingrele-Letchkhoun, 63-64.

²² ეს ადგილი „ჯვარდამწვარსა“ და „წყალატორას“ მინდვრებს შორისაა.

მდებარეობდა გონის სახელწოდებით. დღეს იგი ნასოფლარს წარმოადგენს და ტერიტორიას სახნავ-სათესად და სათიბ-საძოვრად დღემდე იყენებს ორხვის მოსახლეობა. მიწის დამუშავების დროს აქ ხშირად პოულობდნენ ბრინჯაოს ნივთებსა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს.

გონი მეტად საინტერესო არქეოლოგიურ ობიექტს წარმოადგენს. 2005-2010 წწ. აქ მოწყოლო არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც მნიშვნელოვანი მასალები გამოააშკარავა. გონის სამაროვანზე ჯერჯერობით შესწავლილია 11 სამარხი, სადაც მრავალფეროვანი ინვენტარი გამოვლინდა... სამრხები და მათში მოპოვებული ნივთები არქეოლოგებმა ახ. წ. II-IV სს-ით არის დათარიღებული²³. აქვე მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი გონის ეკლესია, ცნობილი კანკელით, რომელიც X-XI სს-ით თარიღდება²⁴. ძეგლი სასოფლო დასახლება ზ. დ. 700 მ-ზეა, ხოლო გონის დარბაზული ეკლესია მცირე შემალღებაზე, 750 მ-ზე მდებარეობს.

ჯვარდამწვარიდან ოკრიბა-ლენხუმის გზატკეცილი ჩრდილოეთით მიიკლავება, მოიტოვებს გონის სანახებს დასავლეთით და გადადის წყალატორის მინდვრებზე. აქედან უკვე სოფ. ზოგიშის კუთვნილი სამეურნეო ადგილები იწყება (მინდვრების სიგრძე 2 კმ-ზე მეტია). წყალატორიდან დასავლეთით ხვამლის კლდოვანი მთაგრეხილი გადაჭიმულა, რომლის ფერდობებზეც ლენხუმის სოფლებია შეფენილი. ჩრდილოეთით მოჩანს შუა ლენხუმი, მის ზემოთ – ლენხუმის ქედი და კიდევ უფრო ჩრდილოეთით – კაკასიონის მთავარი მწვერვალები. წყალატორის მაღალი წერტილიდან კოლხეთის დაბლობი და ქუთაისის მიმდებარე ზოლიც კარგად იკითხება. ეს ადგილი ზ. დ. 1150-1200 მ-ზე მდებარეობს

წყალატორიდან მთავარი გზა ქვემოთ ეშვება, ჯერ ჩრდილო-დასავლეთით მიემართება, მალევე მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისკენ და გაივლის ზოგიშელთა სამეურნეო ადგილებს: ზელა და ქველა ნარღოვს, შემდეგ ველიტყეს, ჭკუტნარს, ბოსტანას და ჩადის კოპალასთან. აქედან გზა განიბოტება. მისი ერთი შტო ჩაუყვება ადგ. ვერხვნალას (ტყე) დასავლეთით და ხვდება უკვე სოფ. ცაგერას. ეს დასახლებული პუნქტი მდებარეობს რიონის ხეობაში. სოფლის ტერიტორია ზ. დ. 750-800 მ-ზეა განლაგებული. რაჭის კირქვული ქედის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი სწორედ სოფლე-

²³ დ. სულხანიშვილი, ნ. ჯანაშვილი, ნ. ჩადუნელი, გონის სამაროვანი. ჟურნ. „იბერია-კოლხეთი“, 2014, გვ. 118)

²⁴ დ. ბერძენიშვილი..., ლენხუმი, გვ. 38-39.

ბის - ზოგიშისა და ცაგერას მიდამოებში სრულდება.

ცაგერა ზოგიშის სამხრეთ-დასავლეთ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ ორი სოფლის ისტორიაც მჭიდროთაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ძველ საისტორიო წყაროებში, რიონის ხეობაში ერთმანეთის მეზობლად განლაგებულ სოფლებს შორის (ზოგიში, ალპანა და საირმე) ჩვენ ვერ ვხვდებით ცაგერას ხსენებას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს პატარა სოფელი ტრადიციულად ზოგიშის შემადგენლობაში იგულისხმებოდა. აქვე ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ორხვის კლდეების ჩრდილო-დასავლეთური მონაკვეთი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლება უშუალოდ სოფ. ცაგერას სანახებს და იქედანვე შემოუდის გზები, ძველთაგანვე **ზოგიშის გორად** იწოდებოდა. ტერიტორიული სიანხლოვე ამ ადგილს უფრო მეტად ცაგერასთან აქვს, ვიდრე ზოგიშთან, მაგრამ რადგან მოცემული გეოგრაფიული არეალი უძველესი დროიდანვე ზოგიშის საკუთრებას წარმოადგენდა და თვით ზოგიშიც წერილობით წყაროებში ჯერ კიდევ XIII ს-დან იხსენიება, მაშინ ჩვენთვის გასაგებია, რომ სოფ. ტვიშის ჩრდილოეთით აღმართულ კლდეთა²⁵ მოპირდაპირედ, რიონის მარცხნივ მდებარე, ასევე კირქვული ქედი ზოგიშის გორის სახელით მონათლებოდა²⁶.

განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ვიდრე XVII ს-ის ბოლო პერიოდამდე, რიონის ხეობის ლეჩხუმის სოფლები და, მათ შორის, ზოგიშ-ცაგერაც, ინასარიძეთა ფეოდალური საგვარეულოს კუთვნილებას წარმოადგენდა და „საინასარიძოში“ შედიოდა²⁷. ჩიქვანთა დინასტიის ოდიშში გადადიანების შემდეგ, XVIII ს-იდან უნდა მომხდარიყო სოფ. ცაგერაში მცხოვრებ ახვლედიანთა დაწინაურებაც²⁸. თავად ახვლედიანების სამკვიდროს სწორედ სოფ. ცაგერა წარმოადგენდა. ისინი ცხოვრობდნენ ზოგიშშიც.

ახვლედიანთა საგვარეულო ლეჩხუმის სხვა სოფლებშიც იყო დამკვიდრებული, მაგრამ თავადთა სახელოს მხოლოდ ცაგერვანმა (ცაგერვანი ანუ ცაგერას მცხოვრები) ახვლედიანებმა მიაღწიეს. სხვაგან ყველგან აზნაურებად და გლეხებად დარჩნენ. ცაგერა, როგორც სასოფლო დასახლება, წყაროებში XIX ს-დან ჩნდება. 1772 წელს ლეჩხუმის თითქმის ყველა დასახლებული

²⁵ ხეამლის მთის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი გაგრძელება.

²⁶ ზოგიშის გორა ბზანარებით ყოფილა ძველად დაფარული, ამიტომ ამ ადგილს „ბზანარი-კულსაც“ უწოდებენ.

²⁷ მ. ალავეძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 16.

²⁸ ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, III, თბ., 1990, გვ. 136.

პუნქტი დასახელებული აქვს გიულდენშტედტს, თავის ნაშრომში²⁹. მაგრამ ის არ იხსენიებს ცაგერას. ამ სოფელს სამხრეთ-დასავლეთიდან ვრცელი მინდორი ებმის, რომელსაც ადგილობრივები **ნახოიშს** უწოდებენ. ამ ტერიტორიას სახნავ-სათესად და სათიბ-საძოვრად იყენებდნენ ცაგერას მკვიდრნი. ნახოიშის ხასხასა მინდვრებიდან საამურია ხვამლის მთის ხილვა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზეც სოფ. ლახევა მდებარეობს. ნახოიშის ჩრდილოეთით ფიჭვნარ-მუხნარებით დაფარული მთაა, **ეწერიგორად** სახელდებული. იქვე ახლოს გამოედინება წყაროც და მას უწოდებენ **სარეკიწყალს**. ნახოიშიდან ძველი გზა ეშვება დასავლეთით, რიონის ხეობისაკენ, და ჩადის ადგ. „ჩიხეშში“, მანამდე კი გაივლის „ნახერკალსა“ და „ლეკიწყალს“ (წყარო). ამ სახელწოდების წარმომავლობას საინტერესო ხალხური გადმოცემა უკავშირდება. თითქოს XVII ს-ში ზოგიშსა და ცაგერას ლეკ-თათართა მარბიელი ლაშქარი შემოსევია. იმ დროს ეს სოფლები საინასარიდოში შედიოდნენ. XVII ს-ის 70-იან წლებში საინასარიდოს განაგებდა გიორგი ინასარიძე, რომლის გმირობისა და სიძლიერის შესახებაც დღემდე დადის ლეგენდები ლეჩხუმში. როდესაც გიორგის მტრის შემოსევის ამბავი გაუგია სასწრაფოდ უხმია თავისი ლაშქრისათვის და ბრძოლა გამართულა სწორედ იმ წყაროსთან, რომელსაც ლეკიწყალი ეწოდება. ინასარიძეს წყაროსწყალი მტარვალთა სისხლით წითლად შეუღებავს და ამის შემდეგ ხალხს მისთვის „ლეკიწყალი“ უწოდებია...³⁰. რეალურად ამ ადგილებში გავრცელებული ყოფილა მცენარე ლეკა და სწორედ აქედანვე მომდინარეობს ტოპონიმი ლეკიწყალიც. უნდა ითქვას, რომ ლეკ-თათართა შემოსევას ლეჩხუმის მხარეში (XVII ს.) ნამდვილად ჰქონდა ადგილი³¹, მაგრამ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით მტრის მარბიელი ლაშქრობები ლეჩხუმში იშვიათი მოვლენა იყო. მხოლოდ რამდენიმე ასეთ შემთხვევას იცნობს ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა...

ლეკიწყლიდან გზა ჩიხეშში ჩადის. ეს ადგილი მდებარეობს უშუალოდ რიონის სანაპიროს სიახლოვეს. რიონსგალმით მას ესაზღვრება ნიკორისძირი. ჩიხეშის მიწებს სამეურნეოდ იყენებდა ზოგიშისა და ცაგერას მოსახლეობა.

²⁹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 137.

³⁰ მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 17.

³¹ ზოგიშში ერთ ადგილს „ნახიზარი“ ჰქვია. ოდესღაც მტერს გამოქცეულ მოსახლეობას ამ გარემოსთვის შეუფარებია თავი და მას შემდეგ ალაგს სწორედ გახიზნულთა სამყოფი ანუ „ნახიზარი“ უწოდესო...

ოდითგანვე განთქმული იყო აქაური ვენახები. აქ იქმნებოდა საუცხოო მიკროკლიმატი, რომელიც განაპირობებდა საუკეთესო ხარისხის მოსავლის მიღებას. სწორედ ჩიხეშს გაშენებულმა ცოლიკაურის ჯიშის ყურძენმა და მისგან დამზადებულმა, ბუნებრივად ნახევრად ტკბილმა ღვინომ დაიმსახურა საყოველთაო აღიარება და მოწონება.

1938 წელს ჩიხეშში მიწის საშუალოების დროს გლეხებს უპოვნიათ 1/2 მ თიხის ჭურჭელი (დაახლოებით 1 მ სიღრმეზე), სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთებით მდიდარი განძი. იგი ცნობილია „ცაგერას განძის“ სახელწოდებით. მის შემადგენლობაში იყო ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება, ურთიერთპერპენდიკულარულად შერწყმული ორი მასიური რგოლი, ბრინჯაოს კოლხური ცულები, სატეხები, ნამგლები, თოხები, შუბის მასრა, სეგმენტური იარაღები და სხვ.³² ნივთები ცაგერას განძიდან დღემდე ამშვენებს ცაგერის ისტორიულ მუზეუმს. განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახლავთ ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება.

როგორც ვთქვით, ცაგერას ჩრდილო-დასავლეთიდან ზოგიშის სასოფლო დასახლება ეკვრის. ადრიდანვე მოყოლებული, პირველი სოფელი მეორეს რამდენიმე გზით უკავშირდებოდა. ზოგიშის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთური ძველი კუთხეები - გველითავი და ლაზარეთი 500-600 მ მანძილით არიან მოშორებული ცაგერას. აქედან ზოგიშისკენ მიმავალი მგზავრი უნდა წასულიყო ჯერ ჩრდილოეთით, შემდგომ აღმოსავლეთისკენ და მოხვდებოდა ადგ. ლაზარეთს³³. არსებობდა და დღემდე ფუნქციონირებს მეორე, კიდევ უფრო ძველი გზა, რომელსაც ადგილობრივები „ყორანას გზას“ უწოდებენ. ეს საურმე შარა უმოკლესია ზოგიშსა და ცაგერას შორის. ყორანა ჩაივლის გატყიანებულ ტერიტორიას და უერთდება გველითავს.

დავუბრუნდეთ ადგილ **კოპალას**. აქედან ოკრიბა-ლეჩხუმის ცენტრალური გზატკეცილი იყოფოდა. მისი ერთი განშტოება სოფ. ცაგერასკენ ეშვებოდა ჩრდილოეთით, ხოლო გზის მეორე მონაკვეთი მკვეთრად უხვევდა აღმოსავლეთისკენ და მიიკლავებოდა ტყის სიღრმეში, გაივლიდა ზოგიშელთა სავარგულებს – **რობას** (რობიწყალს) და „საჭიღვიას“ და ხვდებოდა ერთ ძალზედ საინტერესო გარემოში, რომელსაც „ნასახლე-ნამოსახლს“ და ასევე

³² ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ., 1976, გვ. 10; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ., 1965, გვ. 38.

³³ ლაზარეთი, როგორც სახნავ-სათესად გამოყენებული ვრცელი სავარგული, ხშირად იხსენიება XIX ს-ის საბუთებში.

ნასასახლეს უწოდებდნენ. ხალხური გადმოცემა გვაუწყებს, რომ აქ გვიან-ფეოდალური ხანიდან (XVIII ს.) მოყოლებული, ვიდრე XX ს-ის დასაწყისამდე უცხოვრიათ თავად ახვლედიანებს. მათ აქვე ჰქონიათ აგებული დიდი სასახლე, რომლის ნაშთებიც ბოლო დრომდე ყოფილა შემორჩენილი³⁴. სწორედ აქედან მიუღია ადგილს სახელწოდება ნასასახლევიც³⁵. კოპალადან გადმოსული გზა ნასასახლევთანაც იყოფოდა. ამ გზებს შორის იყო აშენებული ზოგიშის ადრეფეოდალური ხანის დიდი ციხე-სიმაგრეც...

გავეცნოთ ზოგადად სოფ. ზოგიშის ისტორიულ გეოგრაფიას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიში ლეჩხუმის მხარეში მდებარე ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო სოფელია. გეოგრაფიულად იგი მოთავსებულია რაჭის კირქვული ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, ზ. დ. 500-700 მ-ზე. მას ჩრდილოეთით მდ. რიონი და სოფ. ალპანა ესაზღვრება, სამხრეთით – თეთონდრის მთისკალთები ებმის, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთითაც ქვემო რაჭის სოფელი ზედა ღვარდია მდებარეობს. ზოგიშიდან აღმოსავლეთითვე რიონი მიედინება. იქვე, მდინარის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ არსებულ გორაკზე კი სოფ. ქვემო საირმეა შეფენილი. ზოგიშს სამხრეთ-დასავლეთით ეწერიგორის მთა და სოფ. ცაგერა ესაზღვრება. ზოგიშის სანახებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიბჯენია მთაშავის ქედი, რომლის ჩრდილოეთი კალთები წიფლნარის უზარმაზარი კორომებითაა დაფარული. ზოგიში საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში, „ლაბეჭინის ოთხთავის“ მინაწერში: „...ექუსნი გლეხნი მომივიან ზოგიშს, ოთხნი ტევიანისეულნი, ერთი ნიკოლოზის ინასარიძისეული ბენმუქისძე, ერთი საგლეხო კიდევ ჰამარისძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი დავასახლე...“³⁶. როგორც ცნობილი ხდება, შუა საუკუნეებში სოფ. ლაბეჭინაში ძლიერი მიწისძვრა მომხდარა, რომელსაც საფუძვლამდე დაუქცევია ლაბეჭინის ტაძარი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობანიც. ამ დროს აქ მოღვაწეობდა გაბრიელ ლაბეჭინელი, რომლის თაოსნობითაც ხელმეორედ მომხდარა იავარქმნილი და განადგურებული ეკლესიის აღდგენა და მისი შემკობა-გამშვენება. გაბრიელ მოძღვარს ყველაზე მეტი, „ექუსნი გლეხნი „მოუგია“ სწორედ სოფ. ზოგიშიდან (გლეხში ამ დროს ოჯახი იგულისხმებოდა). ჩანს, რომ ზოგიშის

³⁴ „ნასასახლევი“ სოფ. ზოგიშის საკუთრებაა.

³⁵ XIX ს-ის 80-იან წლებში დაბადებული ზოგიშელი მოხუცები იხსენებდნენ თურმე, რომ ბავშვობაში მოჯამაგირებლად ვედექით ბატონს, ახვლედიანს, იქ, ნასასახლევიდო.

³⁶ ე. თყაიშვილი, დაბრუნება. ემიგრანტული ნაშრომები, თბ., 1991, გვ. 23.

მკვიდრი გლეხები ძველ დროში განთქმულნი იყვნენ, როგორც სამიწათმოქმედო საქმეში, ასევე ისინი დაუფლობულნი იყვნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებსაც, იქნებოდა ეს ხითხურობა (ხის დამუშავება), ქვითხურობა (ქვის დამუშავება/კალატოზობა), მჭედლობა თუ სხვ... ზოგიშელ გლეხებს მაშინ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანათ მიწისძვრისგან გაპარტახებული ლაბეჭინის მონასტირს აღდგენა-აღმშენებლობის საქმეში³⁷.

ზოგიში ტრადიციულად სვადაგიანთა გვარის სამკვიდრო სოფელია. ისინი აქ ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ XIII-XIV სს-დან მოყოლებული. „ლაბეჭინის ოთხთავის“ მინაწერიდან ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში ზოგიშის კუთვნილი ადგილ-მამულები და გლეხები ეკუთვნოდათ წარჩინებულ საგვარეულოებს: ინასარიძეებს, ტეგვიანებსა და ჰამარისძეებს. ინასარიძეები გვიანფოვალურ ხანამდე ინარჩუნებდნენ რიონის ხეობის ლეჩხუმს (ზოგიშითურთ), ვიდრე პოლიტიკურ ასპარეზზე გადადიანებული ჩიქვანები გამორჩნდებოდნენ. XVII ს-ის ბოლო პერიოდიდან ლეჩხუმის მიწები უკვე ჩიქვანდადიანთა ხელთაა. ტეგვიანებისა და ჰამარისძეების შესახებ არანაირი ცნობები არ დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ამ გვართა შესახებ არსებულ მასალებს. ინასარიძის, ტეგვიანისა და ჰამარისძის გვერდით ზოგიშში ამ დროს (XIII ს.) გვარი ბენმუქისძეც არის მოხსენიებული. ბენმუქისძე სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ჩანს, რომელიც თავდაპირველად ნიკოლოზ ინასარიძეს ეკუთვნოდა და მისგან ეს გლეხი გაბრიელ ლაბეჭინელს „მოუგია“. უცნობია, თუ რა გვარის მატარებელი იყვნენ ის „ოთხნი გლეხნი ტეგვიანისეულინი“, რომლებიც ასევე გაბრიელ ლაბეჭინელის კუთვნილი გლეხები გამხდარან. წინათ ლაბეჭინაში ინახებოდა ერთი ხელნაწერი³⁸, სადაც რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებ, სხვა სოციალურად დაწინაურებულ საგვარეულოთა შორის სვადაგიანიც არის მოხსენიებული: „ქ. ღმერთო შეიწყალე სული იოვანე სვადაგიანისა, ამინ და კირილეისონ... იოვანეს სვადაგიანსა შეუნდოსა ღმერთმან ამინ“ (XIV ს.). როგორც ჩანს, სვადაგიანები ძველი დროიდანვე დაახლოებულნი იყვნენ მათ მეზობლად მცხოვრებ ინასარიძეებთან. ამას ხალხური გადმოცემების გარდა ისტორიული წყაროებიც შესანიშნავად ცხადყოფს.

ზოგიშის მიდამოები უკვე ბრინჯაოს ხანიდანვე ყოფილა ათვისებული

³⁷ ე. თაყაიშვილი, დაბრუნება. ემიგრანტული ნაშრომები, თბ., 1991, გვ.22-23.

³⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1-4, თბ., 1985, გვ. 388-389.

სამოსახლოდ. გიორგი ჩიტაია „ლენხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიშში“ წერს: „ლენხუმში უძველესი ხანის არქეოლოგიური პუნქტებია: ცხეთა, უსახელო, სურმუში, ზოგიში, ცაგერა, ორბელი, ლაცორია, ოყურეში, ღვირიში... სამეცნიერო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ტიპის ქვაბულებს. ამ ტიპის ქვაბულები ხეთურ-ურარტულ კულტურას უკავშირდებიან. ამდენად, ქართველი ტომების უძველესი კულტურის გენიზისის პრობლემების რკალში შედიან. ასეთ ქვაბულებთან ეპოქალურად ახლოს დგას ის არქეოლოგიური განათხარი მასალა, რომელიც ბრინჯაოს ნაჯახების, თოხების, სამაჯურების და სხვათა სახით არიან წარმოდგენილი სოფ. ზოგიშიდან, სოფ. ცაგერადან და სოფ. ცხეთადან. აქ ნაპოვნი ნაჯახები კოლხურ-ყობანურისა და ამაზონური ტიპისანი არიან. ეს საგნები ძველი კოლხეთის კულტურულ მონაპოვარს შეადგენენ... განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლენხუმში ბრინჯაოს საგნებთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს ზოდები და „აჭე“-ები. ეს უკანასკნელნი ნიშანდობლივ მიგვივითებენ ლითონის საბადოებისა და მალაროების არსებობაზე ადგილობრივ, კერძოდ კი სპილენძის საბადოებზე. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს (ზოდები და „აჭეები“ ნაპოვნია „ჩიხეშსა“ და „ბატონისოულში“³⁹.

ბატონისოულს ზოგიშში მდებარე ადგილს უწოდებენ, სადაც აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდი 32 კგ-ს იწონის და უძიმესია ლენხუმში მოპოვებულ ბრინჯაოს ზოდთა შორის. ამავე სოფელში შედგენილ XIX ს. საბუთებში ჩვენ დაფიქსირებული გვაქვს „ბატონისოული“, როგორც სახნავ-სათესი და სავენახე სავარგულის აღმნიშვნელი ტოპონიმი. ზემოხსენებული „ჩიხეში“ის ტერიტორიაა, სადაც „ცაგერას განძი“ იქნა ნაპოვნი. ზოგიშიდან ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შესულია ასევე სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთი...

ზოგიში ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია არამარტო ლოკალურად ლენხუმის მხარეში, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითაც. ზოგიში მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით. სოფლის ირგვლივ აგებული იყო დიდი ციხე-სიმაგრეები და მათი მოკავშირე ციხე-კოშკები. ზოგიშში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეებისდროინდელი ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ნაშთები, რომელსაც უწოდებენ „ძველ ეკლესიას“... ასევე აქ დარჩენილა მეორე, შედარებით უფრო გვიანდელი მა-

³⁹ გ. ჩიტაია, ლენხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. 12. თბ., 1944, გვ. 267.

ცხოვრის საყდრის ნანგრევები... სალოცავად მიჩნეულ ერთ უძველეს ადგილს კი, სადაც კოხინჯრობას იზდიდნენ ზოგიშელები, უწოდებენ **ჯვარიტყეს**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოკრიბა-ლეჩხუმის საქარავნო გზატკეცილი ჯერ ზოგიშს გამოივლიდა და შემდეგ აქედანვე კვეთდა იმ ძველისძველ საკომუნიკაციო ნაგებობებს, რომლებიც რიონზე იყვნენ დაშენებული, მდინარის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებისა და აქ გამავალ გზათა მაკავშირებლად. ზოგიშის მიმდებარედ, რიონზე, ორი ხიდი იყო აგებული. ერთი მდებარეობდა სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (ზედა ღვარდიის სიახლოვეს), ხოლო მეორე - ჩრდილო-დასავლეთით (ალპანის მახლობლად). ამ ხიდთაგან ერთი (ზოგიშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე) დღეს საერთოდ აღარ არსებობს, განადგურებულია, მაგრამ ადგილობრივთა მეხსიერებაში დარჩენილია ამ ნახიდარი ადგილის აღმნიშვნელი სახელწოდება **ხიდიყელი**. ტოპონიმი იხსენიება XIX ს-ის საბუთებში, რომლებიც შემონახულია ზოგიშში.

ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით, რიონზე დღემდეა შემორჩენილი მეტად ადრეული და უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო ნაგებობის ნაშთები. ადგილობრივები მას „ლაბრის“, იგივე ზოგიშის ძველი ხიდის სახელით იცნობენ. „ლაბარი“⁴⁰ იმ გეოგრაფიულ ადგილს ეწოდება, სადაც ეს ხიდი მდებარეობს. 1848 წელს ზოგიშში იმოგზაურა გამოჩენილმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ მარი ბროსემ. მას სსენებულ სოფელში მისასვლელად თავდაპირველად სწორედ ეს ხიდი გადმოუვლია. იგი წერს: „ზოგიშში მოსასვლელად უნდა გადაკვეთოთ „კვანჯლა-კვანჩხას“ (იგ. კონჩხის უღელტეხილი – მ. ხ.) გრძელი აღმართი და მდინარე რიონზე აღმართული ერთი წნული, ძალიან ამაღლებული ხიდი, რომელიც არაა შორს სოფ. ალპანისგან...“

ზოგიშიდან ქუთაისისკენ მიმავალმა ბროსემ, რასაკვირველია, გამოიყენა ოკრიბა-ლეჩხუმის უმოკლესი გზატკეცილი. მეცნიერმა ამ საყურადღებო მოგზაურობის შესანიშნავი აღწერილობაც დაგვიტოვა. მარი ბროსე მოდის სოფ. დეხვირიდან, გადმოვილის კონჩხის (იხ. ქვემოთ) უღელტეხილს, შემდეგ – ლაბრის ხიდს, ამოდის ზოგიშში, ჯვარდამწვარის გავლით ჩადის სოფ. დღნორისაში, აქედან მდ. ლეხიდრისა და სოფ. ოჯოლას გავლით

⁴⁰ სვანური სახელია. „ლაბარ“ ხშირად გვხვდება სვანურ ტოპონიმიაში, ამოდარული ადგილის მნიშვნელობით.

ხვდება ქუთაისში⁴¹.

მარი ბროსემდე რვა წლით ადრე (1840 წ.) ლაბრის ხიდის გამოვლით მოხვდა სოფ. ზოგიშში ანა ლისტერი, თანამგზავრებთან ერთად⁴²: „...პირველი გაჩერება განვახორციელეთ სოფ. ალპანაში, წვიმის ქვეშ, მორყეულ ხიდზე, რომელიც გადაებული იყო სწრაფად მიმავალ რიონზე, ჩაჭიდებულნი ჩამომპალ თოვზე და ცოტაოდენი დააკლდათ მათ ფეხი დასცურებოდათ, ისინი გადავიდნენ მდ. რიონის მეორე სანაპიროზე. წვიმამ მოიკლო, დამრეც სრიალა გორაკზე აველით სოფ. ზოგიშში, სადაც გადავწყვიტეთ ღამე გაგვეთია...“ ლისტერიც ზოგიშიდან ქუთაისში სწორედ ოკრიბა-ლენჩუმის გზით ჩავიდა... ზოგიშიდან ოჯოლაში გადავედით და შემდგომ ჩავალწიეთ ქუთაისამდეო, – წერს იგი თავის დღიურებში⁴³.

საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, როგორც კარტოგრაფიული, ასევე წერილობითი მასალები ზოგიშში შემომავალი საქარავნო გზებისა თუ ხიდ-გადასასვლელების შესახებ. 1858 წელს გამოქვეყნებულ შრომაში - „სამხედრო სტატისტიკური აღწერილობა კავკასიის მხარისა“, სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ ვაწყდებით ცნობებს იმ სამიმოსვლო საშუალებათა შესახებაც, რომლებიც გადიოდა მაშინდელ ქუთაისის გუბერნიაში. ხსენებულ შრომაში ორჯერაა მითითებული, რომ 1. „საქარავნე გზა გადმოდის მურიდან სოფ. ზოგიშში და აქედან კი იგი ქუთაისისკენ მიემართება...“; ან 2. „ლენტეხიდან წამოსული გზა ქუთაისს უერთდება საქარავნე გზის საშუალებით, რომელიც მურიდან მთის გადმოვლით („კონჩხას“ ულელტეხილი იგულისხმება – მ. ხ.) ჩადის რიონის ხეობაში, აქ იგი კვეთს ხიდს, ადის სოფ. ზოგიშში და აქედან მდ. რიონის მარცხენა მხარეს, მის საპირისპირო მიმართულებას მიჰყვება და ჩამოდის ქუთაისში...“⁴⁴.

სწორედ სავაჭრო-საქარავნო დანიშნულების მქონე ისტორიული გზები ქმნიდა ქვეყნებს შორის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კავშირებს, აერთებდა ერთმანეთთან ცალკეულ გეოგრაფიულ

⁴¹ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie..., Mingrele-Letchkhom, 63-64.

⁴² ანა ლისტერი ინგლისელი მეცამეტე და მოგზაური იყო. ცნობილია მისი დღიურები, ძალიან საინტერესო მასალები აქვს დატოვებული XIX ს. საქართველოს შესახებ. იგი იმყოფებოდა ისტორიულ ლენჩუმშიც

⁴³ о. хорошилова. Джентльмен Джек в России, Невероятное путешествие Анны Листер. 2021.

⁴⁴ статистическия описания губерний и областей...кавказский край..., XV, 1858.

მხარეებს, საქალაქო ან სასოფლო დასახლებებს და სხვ...

მოვიხილო XIX ს-ში შედგენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი რუკაც. მათზე დატანილია ზოგში და მასზე გამავალი ისტორიული გზები, რომლებიც კვეთენ მდ. რიონს. რუკები შედგენილია 1834 და 1858 წლებში. ასევე ხელთ გვაქვს XX ს. დასაწყისის სამი რუკა...

1834 წლის რუკაზე დატანილია გზათა მთელი სისტემები, რომლებიც სერავდნენ წინათ ლეჩხუმის სანახებს. ერთი გზა მურიდან მოემართება, გაივლის სოფ. ორბელის, ბჰყალასა და მალის ციხე-სიმაგრეებს და ჭყვიშში, შემდეგ კი ტოლაში ჩამოდის. ტოლადან გზა აღმოსავლეთით, რაჭის სანახებისკენ, ხოლო დასავლეთით ლეჩხუმისკენ მიდის. იქვე სოფ. ზოგიშია აღნიშნული, რომელსაც რუკის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთიდან გზა შემოუდის. (იხ. სურ. 5). გზა მდ. რიონს ხიდის საშუალებით კვეთს. ესაა **ლაბრის ხიდის** გადმოვლით ზოგიშისკენ მიმავალი შარა, რომელიც მნიშვნელოვან სამომოსვლო საშუალებად ითვლებოდა.

1858 წელს გამოცემული ქუთაისის გუბერნიის გეოგრაფიული რუკის მიხედვით (იხ. სურ. 6), ქუთაისიდან რიონის მარცხენა სანაპიროზე, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის გზა, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიიკლაკნება, გადალახავს მდ. ლეხიდარს და ადის სოფ. ცაგერასა და ზოგიშში. აქედან გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უხვევს და რიონზე გადაებული ხიდის გადავლის შემდეგ სოფ. ზედა საირმედან ლაილაშამდე აღწევს, ლაილაშიდან კი მურში ეშვება. ამ აღწერილობაში ოკრიბა-ლეჩხუმის გზატკეცილი და მისი მიმართულებაა მოცემული.

როგორც ზემოთ დავინახეთ, 1834 წლის რუკაზე აღბეჭდილია ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გადასასვლელი („ლაბრის ხიდალ“ წოდებული), ხოლო 1858 წლის რუკა გვიჩვენებს ზოგიშელთა კუთვნილ, მეორე, ძველ საკომუნიკაციო ნაგებობას, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რიონის ვიწრო ხეობაში მდებარეობდა⁴⁵.

1858 წელს შედგენილ მეორე რუკაზეც ვხედავთ, თუ როგორ რკალავს ზოგიშის კუთვნილ ტერიტორიას მისგან ჩრდილო-დასავლეთიდან, „ლაბრის ხიდიდან“ გადმოსული გზა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ეშვება და „ხიდიველის“ გადავლით სოფ. საირმის უდაბნოსკენ მიემართება. ლაბრის ხიდამდე გზა შუა ლეჩხუმიდან გადმოდის „კონჩის“ მთის საუელე-

⁴⁵ ამ გადასასვლელს ადგილობრივები დღემდე „ხიდიველს“ უწოდებენ.

ტეხილო მონაკვეთზე. XX ს. დასაწყისში შექმნილ რუკებზეც არის დატანილი ქუთაისისა და ზოგიშს შორის არსებული ძველი გზა და მისი მიმართულება.

ღაბრის ხიდი დღეს საკვალალო მდგომარეობაშია. ძველი თითქმის განადგურებულია. რიონის ორსავე ნაპირზე ჯერ კიდევ არის შემორჩენილი (მაგრამ ერთიანად პერანგშემოძარცვული), კარგად დამუშავებული კლდის თეთრი ქვის არათანაბარი ზომის კვადრებითა და კირის დულაბით ნაშენი ხიდის ბურჯები. მარცხენა ბურჯი დარჩენილა დაახლოებით 4-5 მ სიმაღლეზე. იგი დაშენებულია პირდაპირ რიონის აქტიურ კალაპოტში შემოჭრილ მცირე კლდოვან შემადლებაზე და ძალიან შეხამებია ბუნებრივ რელიეფს.

„ღაბრის ხიდის“ ჩრდილოეთი ბურჯი, რომელიც ქუთაისი-ალპანა-მამისონის ცენტრალური გზის ძირასაა მოთავსებული, შედარებით „უკეთეს“ მდგომარეობაშია, ვიდრე მისი სამხრეთული საყრდენი კონსტრუქცია. ჩრდილო-მარჯვენა ბურჯის სიმაღლე 6-7 მ-ია. ისიც კლდოვან ქიშხა ამოყვანილი. ამ მონაკვეთში (ჩრდილოეთი ბურჯის დასავლეთი მხარე) შედარებით უკეთაა გადარჩენილი ქვის საპირე წყობა, რაც ერთობ ლაზათიან ნახელავს წარმოადგენს. ორივე ბურჯში მრავლად შეიმჩნევა დიდი დიამეტრის მქონე გაუყვალი ხვრელები, სადაც თავსდებოდა ხის კონსტრუქცია.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ღაბრის ხიდია დატანილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკებზეც: „...ჭყვიშის სამხრით რიონზედ არპანს ძევს ხიდი“ (ვახუშტი). ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „არპანი/ა“ და ალპანა თანაბარმნიშვნელოვანი სახელწოდებებია. როგორც ჩანს სოფ. ალპანის ძველისძველი სახელი იყო „არპანა“. იგი ამ ფორმით ჯერ კიდევ XIII ს-ში იხსენიება, მის მეზობლად მდებარე სოფლებთან (ზოგიში, საირმე) ერთად. „არპანაში“, შხუდალას ქედზე გაბრიელ ლაბეჭინელს სამონასტრო ცხოვრება გაუჩაღებია. XIII ს-ში აგებული მცირე ზომის საყდრის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი, რომელსაც ირგვლივ ცაცხვის კორომი ერტყმის. აქ გიორგობას დღესასწაულობენ.

გაბრიელ ლაბეჭინელი ლაბეჭინის ოთხოვის მინაწერში ასევე იხსენიებს ალპანის ციხეს, რომელსაც „ზეგანთა ციხეს“ უწოდებს. დღეს ამ ციხე-სიმაგრეს, რომელიც დაქცეულია, „ბეტეკარს“ უწოდებენ. ის დაშენებულია მკვეთრად გამოსატულ სამკუთხა ფორმის მქონე შემადლებაზე, ზეგანზე, და აქედან მოდის სახელი „ზეგანთა ციხეც“, რომლის სამხრეთითაც მდებარე-

ობს სოფელი აჭარა⁴⁶. ხსენებულ სამკუთხა მალლობს „ძაღლისაყეფელასაც“ უწოდებენ ადგილობრივები. აქედან უძველესი გზა ადის „შხუდალის“ ქედზე. ალპანის ციხე ისტორიულად ზოგიშის ციხეებს უწევდა მეკავშირობას. გვიანფოდალურ ხანაში იგი სოფ. საირმეში მცხოვრებ ჩიქვანთა საკუთრებას წარმოადგენდა.

როგორი სახე უნდა ჰქონოდა თავდაპირველად ღაბრის ხიღს, ამის თქმა რთულია. ერთი კი ცხადია, რომ იგი ქვით ნაგები საკომუნიკაციო საშუალება უნდა ყოფილიყო. ბურჯებს შორის არსებული ხიღის კონსტრუქცია დროთა განმავლობაში ჩამოშლილა. მოცემული რეგიონის საერთო ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით და ძეგლის ნაშთებზე დაკვირვებით ვფიქრობთ, რომ ღაბრის ხიღი შუა საუკუნეებისდროინდელი ნაგებობა უნდა იყოს. ამ კონკრეტულ არეალში აღრეულ ეპოქაშიც იქნებოდა რიონზე გადასასვლელი. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს არსებულ გეოგრაფიულ გარემოზე ვიზუალური დაკვირვება.

რიონის ხეობის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი ზედა-ღვრდია-ზოგიშის კანიონიდან დაწყებული, ვიდრე ტვიშის კლდეკარამდე (დაახლოებით 10 კმ), შემოგვივლია ფეხით და საკმაოდ კარგად გვაქვს შესწავლილი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხიღის გასადებად ყველაზე მოსახერხებელი და ვიწრო კალაპოტი მდინარე რიონს (ზოგიში-ზედა ღვარდიისა და ალპანა-ტვიშის მისადგომებთან) მხოლოდ რამდენიმე ლოკაციაზე გააჩნია (ასე იქნებოდა ძველადაც). ერთი ასეთი ადგილი იყო ზოგიშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც წინათ ხიღი ყოფილა გადებული („ხიდიყელი“), ხოლო კიდევ უფრო ვიწრო კალაპოტი (15-16 მ) რიონს სწორედ იქ აქვს, სადაც ამჟამად „ღაბრის ხიღის“ ძველი ბურჯებია შემორჩენილი. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, „ეწერიგორის“ მთის ჩრდილოეთი ფერდობიდან წამოსული კლდოვანი ქიმი რამდენიმე მეტრით იჭრება რიონის კალაპოტში. „ღაბრის ხიღის“ ამშენებელთ გამოუყენებიათ გეოგრაფიული გარემოს ეს მეტად სტრატეგიული ბუნებრივი მახასიათებელი და აქ გაუღიათ კიდევ ქვის ხიღი.

ღეჩხუშის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკვლევარისთვის უცნობია „ღაბრის“ საკომუნიკაციო ნაგებობის არსებობა.

⁴⁶ ამ სოფელს პირველად გიულდენშტედტი იხსენიებს 1772 წელს.

ვახუშტის ცნობათა განხილვა-გაანალიზების ფონზე ისტორიკოსი თამაზ ბერაძე წერს: „არპანასთან დღეს ძველი ხიდი აღარაა. ამ სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, რაჭისაკენ მიმავალი გზის პირას, რიონზე შემორჩენილია ხიდის ნაშთი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში აუვათ. მდინარის კალაპოტი აქ ძალზე მოსახერხებელია ხიდისათვის და ვახუშტის დროინდელი ხიდიც აქ უნდა მდგარიყო“⁴⁷. თ. ბერაძის აღწერილობით, ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც ზოგიშელები „ხიდიყელს“ უწოდებენ, მაგრამ საეჭვოა, რომ რეალურად აქ არსებულიყო ვახუშტის მიერ მოხსენიებული ხიდი.

ზოგიშელ უხუცესთა გადმოცემით „ღაბრის ხიდი“ სიდიდით და მნიშვნელობითაც ბევრად აღემატებოდა ამავე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეორე ხიდს, რომელიც უფრო „ბოგა“ გადასასვლელად ითვლებოდაო.

ლენხუშური ფოლკლორული მასალებიდანვე ვიგებთ, რომ ზოგიშის **ხიდიყელი** მე-XVII ს-ში ლეკ-თათართა მარბიელ ლაშქარს გაუნადგურებია. მასზე მხოლოდ ერთი ხე ყოფილა დარჩენილი, სადაც თავისი ჯორით მკვირცხლად გადმოსულა გიორგი „თვალის“ ინასარიძე, დასდევნებია მტერს, დაუმარცხებია, ნადავლიც უკან დაუბრუნებია, მაგრამ თვითონაც ამ დღეს გარდაცვლილა... „ზოგიში ხიძე მარტვე ერთი ხე დარჩენილიყო რიონზე გადებული. ხიდი დოუმტრევიაყე. ნეფე ამ ბოგაზე გამევიდა თავისი ჯორით. საჩქართ გამოსწია საირმისკე...“⁴⁸.

ინასარიძე მაშინ ოკრიბაში ნადიმობდა, როდესაც მტრის შემოსევის ამბავი უცნობებიათ, სასწრაფოდ წამოსულა ჯორით, ოკრიბა-ლენხუშის გზით, და ამოსულა „წყალატორასთან“. აქ გიორგის მოხუცი ქალი შეჰხვედრია, რომელსაც ვერ უცვნია მთავარი და უთქვამს მისთვის: „თვალის დოუდგა თვალის ინასარიძეს. ის ოკრიბაში ქეიფოფს და ჩვენი სოფლები კი ტერმა ააოხრესო“⁴⁹.

ლენხუშის ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიციის წევრებიც, ეხებიან რა „არპანას“ ხიდის თავდაპირველი მდებარეობის საკითხს, აღნიშნავენ, რომ ეს ხიდი სადაც სოფ. აჭარის (ლენჩხ.) მიდამო-

⁴⁷ თ. ბერაძე, ლენხუშის ისტორიული გეოგრაფიიდან. „მაცნე“, ისტორიის... სერია, #3, თბ., 1976, გვ. 64.

⁴⁸ მ. ალაკიძე, ლენხუშურის თავისებურებანი, გვ. 239.

⁴⁹ მ. ალაკიძე, ლენხუშურის თავისებურებანი, გვ. 239.

ებში უნდა გვეგულისხმო⁵⁰.

აჭარას მარცხნივ რიონის ჭალები ესაზღვრება, რომელიც სოფ. ზოგიშის კუთვნილ ტერიტორიას წარმოადგენს. მიმდებარე სანახებთან შედარებით რიონის კალაპოტი აქ ფართოა. იქაც კი, სადაც წინათ ზოგიშელთა ბორანი იდგა (აჭარის მოპირდაპირედ, რიონ-ლაჯანურის შესართავთან) და ფუნქციონირებდა, მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებს შორის მანძილი 40 მ-ია. მართალია, აქამდე ძველი გზა ზოგიშიდან ნამდვილად ჩამოდის და ამ გზისა და სოფლის აღმოსავლეთი მისადგომების მეთვალყურედ ციხე-კოშკის ნაშთებიცაა შემორჩენილი (ზოგიშელები მას „ნაციხვარას“ უწოდებენ), მაგრამ აქ ვახუშტისდროინდელი ხიდის არსებობა ნაკლებ სავარაუდოა.

ზემოთ ვთქვით, რომ ვახუშტის შეცდომით ზოგიშიც „არპანის“ სახელით აქვს მოხსენიებული, მაგრამ „არპანის“ ტერიტორია არასდროს გადადიოდა რიონის მარცხენა ნაპირზე. ვახუშტის რუკების მიხედვით რიონის მარჯვნივ მდებარე „არპანსა“ და მისგან მარცხნივ მოთავსებულ, იგივე სახელწოდების (არპანი) მქონე სოფელს (იგულისხმება ზოგიში) შორის, რიონზე, ხილია გადებული. ამ ხიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. ჭყვისი და მისი ციხეა დატანილი. დასავლეთით ხვამლის ქვაბულია გამოსახული და იქვეა მითითებული რიონ-ლაჯანურას შესართავი. ხიდის სამხრეთ დასავლეთით სოფ. დღნორისაა დატანილი, ხოლო აღმოსავლეთით – სოფლები: ცახი და ღვარდია.

თანამედროვე რუკების ვახუშტის აღწერილობასთან შედარებით ირკვევა შემდეგი: სოფ. ჭყვისი (ჭყვიში) ნამდვილად ღაბრის ხიდის ზემოთ, ანუ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით ექცევა. ხვამლის მთა და სოფ. დღნორისაც ხიდის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთითაა რეალურად განთავსებული. ოღონდ აქ ვახუშტი ცდება, რადგან იგი ლაჯანურისა და რიონის შერთვის ალაგად „ზომლის“ კლდეს მიიჩნევს. სინამდვილეში ლაჯანური სოფ. აჭარასთან (ხვამლის მთიდან მოშორებით) უერთდება რიონს და არა ხვამლის კლდესთან. ცახი და ღვარდიაც რეალურად ღაბრის ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

XIX ს-ის შუა ხანებამდე არ არსებობდა ქუთაისი-ალპანა მამისონის ცენტრალური გზა, მისი გაჭრა ხსენებული საუკუნის 50-იანი წლების ბო-

⁵⁰ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანიქლაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, გვ. 53.

ლოს დაუწყიათ, ხოლო მშენებლობა 1890 წელს დამთავრებულა. ქუთაისი-დან გზა რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. სოფ. მექვენაში მგზავრი ლეჩხუმში ხვდებოდა, ხოლო ასკისწყლის გადალახვის შემდეგ რაჭაში შედიოდა. რიონის ხეობის ლეჩხუმი ე. წ. **ორპირის კლდეკართ** (ლაჯანურას ხეობა) XIX ს-ის ბოლო პერიოდამდე ვერ უკავშირდებოდა შუა ლეჩხუმს. ამავე საუკუნის 90-იან წლებში გაუყვანიათ ღვირიშის დელის ხეობაში დღეს არსებული გზატკეცილიც. მანამდე აქაც საცალფეხო ბილიკი არსებულა, სადაც გავლა დიდ სიძნელებთან ყოფილა დაკავშირებული.

თუ ლეჩხუმის ხეობათა შორის დღეს არსებული სამიმოსვლო საშუალებები არ იყვნენ XIX ს-ის ბოლომდე გაჭრილ-გაყვანილი, მაშინ როგორ და რა გზით უნდა დაკავშირებოდნენ რიონისა და ლაჯანურ-ცხენისწყლის ხეობების ლეჩხუმის ისტორიული პუნქტები ერთმანეთს?

ზუსტად **ღაბრის ხიდის** მოპირდაპირედ და მის სიახლოვეს აღმართულია **კონჩხას** მთავრეხილი (უმაღლესი წერტილი 1200 მ). იგი იწყება ღვირიშ-დელის (იგივე უცხერის დელე) მარჯვენა სანაპიროდან, გადაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და სრულდება ლაჯანურას ხეობაში. კონჩხა განყოფს ერთმანეთისგან სოფლებს – ალპანას, ღვირიშსა და უსახელოს. მთა სწორედ ამ დასახლებათა შორისაა მოქცეული. მის სამხრეთულ ფერდობზე ალპანა, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით უსახელო და ქვედა ღვირიშია შეფენილი. სწორედ კონჩხის მასივის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში არსებობდა ძველი დროიდანვე მოყოლებული ყველაზე მოსახერხებელი საუღელტეხილო გადასასვლელი, რომლითაც რიონის ხეობა უკავშირდებოდა ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების ლეჩხუმს. კონჩხას ცნობილი უღელტეხილი გადმოიარა თავდაპირველად მარი ბროსე-მაც, ვიდრე ღაბრის ხიდზე გადმოვიდოდა. ამ უმნიშვნელოვანეს საუღელტეხილო არეს იგი **კვანჩხას** სახელით იხსენიებს. წინათ შუა ლეჩხუმიდან წამოსულ მგზავრს უნდა ექცია გვერდი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სოფ. ქვედა ღვირიშისათვის და **ტვერის** სახელწოდებით ცნობილი ადგილის სიახლოვეს შეჭყოლოდა აღმართს, კონჩხის მთის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობს, საიდანაც იგი დაახლოებით 1000 მ-ის სიმაღლეზე ავიდოდა. აქედან უკვე გზა ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ეშვებოდა, გადმოვილიდა ალპანის მინდვრებს და მალევე ღაბრის ხიდთან ჩამოდიოდა, ზ. დ. 350 მ-ზე.

განვითარებულ შუა საუკუნეებში და უფრო გვიან პერიოდშიც რიონის ხეობიდან ლაჯანურ-ცხენისწყლის წყალგამყოფ სერზე მდებარე შუა ლეჩხუმი სოფლებთან დასაკავშირებლად უფრო მოსახერხებელი და, რაც მთავა-

რია, უმოკლესი სხვა შარა არ არსებობდა. კონჩხის მთა გადმოვლო 1840 წელს თანამგზავრებთან ერთად ენ ლისტერმა და მოვიდა სოფ. ზოგიშს⁵¹. ხსენებული საუღელტეხილო გზა იმ საქარავნო მაგისტრალის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ქუთაისიდან ზოგიშის გავლით ჯერ შუაგულ ლეჩხუმს კვეთდა და შემდგომ სვანეთში აღიოდა. სოფ. ღვირიშიც და მის მეზობლად მდებარე დასახლებული პუნქტები ბრინჯაოს ხანიდანვე არსებოდა... ღაბრის ხიდიდან კონჩხას უღელტეხილის მწვერვალამდე დაახლოებით 3 კმ-ია⁵². „ჩვენს წინაშე აღმართულა კონჩხის მთა, რომელიც წარსულში რიონის ხეობის ამ ნაწილიდან (ალპანა-ზოგიში) მდ. ლაჯანურას ხეობამდე, ცენტრალურ ლეჩხუმამდე, ყველაზე მოსახერხებელი საუღელტეხილო გადასასვლელი გახლდათ...“ ვკითხულობთ 1873 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში⁵³.

მიხეილ ალავეიძის წიგნში – „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა“ - აღნიშნულია: „ერთი საუკუნის წინ უგზობის გამო მურის კლდეში, სარეწკელაში, ღვირიშის ღელესა და ორპირში გასვლა არ შეიძლებოდა... შორსმსვლელ მგზავრს მთა-კორტოხებზე უნდა ევლო... გლეხი ბილიკს მიჰყვებოდა, მძიმე ტვირთით იგი გადაივლიდა „გველისთავს“ (რაჭისაკენ), „კონჩხის“ მთასა და „ნიკორისძირს“ (იმერეთისაკენ), „ფიჩხიჯვარსა“ და „ლახტორის“ კონკროხს (სამეგრელოსაკენ)“⁵⁴.

XIX ს-ის მოგზაურთა ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ზოგიშის ძველი ხილისაგან შემორჩენილ ქვის მაღალ ბურჯებზე შემდეგ მოუწყვიათ ხის დაწნული ხიდის შედარებით მარტივი კონსტრუქცია, რომელიც უკვე 1840 წელს მნიშვნელოვნად ყოფილა დაზიანებული. ამასთან დაკავშირებით ენ ლისტერი აღნიშნავდა, რომ ჩვენ მოგვიწია სოფ. ალპანასთან სწრაფად მიმავალ რიონის თავზე ერთ მორყეულ ხიდზე გავლა, რადგანაც მას ჩამომპალი თოკები ჰქონდა, ფეხიც ძლიერ ცურავდა⁵⁵. ღაბრის ხიდის ქვეშ რიონი მართლაც ძალზე სწრაფად მიექანება, იმიტომ, რომ დინების რამდენიმეკილომეტრიან რადიუსში ყველაზე ვიწრო კალაპოტი აქ აქვს. ხიდის ბურჯებს შორის მანძილი 15-16 მ-ია. ამ საკომუნიკაციო ნაგებობას მრავალჯერ განუცდია ცვლა-განახლება. ბოლოს აქ ფოლადის ბაგირები გაიბა, რომელიც

⁵¹ Джентльмен Джек в России: Невероятное путешествие Анны Листер. 2021.

⁵² კონჩხის მთის სამხრეთი კალთები რიონამდე ეშეება. იქვეა აგებული ღაბრის ხიდიც

⁵³ Записки. общества естествоиспытателей, том II, 1873, გვ. 415, 438.

⁵⁴ მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, გვ. 87.

⁵⁵ Джентльмен Джек в России: Невероятное путешествие Анны Листер, 2021.

იჭერდა ბონდის ხიდად ქცეულ უძველეს გადასასვლელს.

რაჭის სანახებიდან მოყოლებული ვიდრე ქუთაისამდე, რიონზე მდებარე ხიდებსა თუ ნახიდარ ადგილებს შორის ღაბრის ხიდი ყველაზე ძველი ჩანს. გულისტკივილს გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის... ვითვალისწინებთ რა მოცემული ხიდის გეოგრაფიულ მდებარეობას, მის ფუნქცია-დანისშულებასა და ისტორიულ მნიშვნელობას, ვუსაბამებთ მას ვახუშტის რუკებს, ამასთანავე, ვადგენთ ლეჩხუმში გამომავალ ძველ გზათა (რომლებიც დიდი ციხე-სიმაგრეებით იკეტებოდნენ) ყველაზე ხელსაყრელ მიმართულებებსა და კონტურებს, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ სწორედ ღაბრის ხიდი სოფ. „არპანასთან“ დატანილი ვახუშტის რუკებზე (იგი, რა თქმა უნდა, XVIII ს-ზე ბევრად ადრეული უნდა იყოს (იხ. სურ. 1, 2, 3, 4).

ზოგიშეღები აკონკრეტებენ და მიუთითებენ **გადაღმა** და **გადმოღმა ღაბარს**⁵⁶. კონჩხის უღელტეხილიდან წამოსული გზა ღაბრის ხიდის გადმოვლის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აღმართს ამოივლიდა, გადაკვეთდა ღაბრის ღელეს და ისევ მაღლა გაუყვებოდა ტყიან ფერდობს. შემდეგ გზა გვერდს გაუკლიდა **ქვაბიკარს** და **დატკეცილადან**⁵⁷ **ლაზარეთს** (ადგ.) გადმოდიოდა. ლაზარეთი ზოგიშის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი კუთხეა. აქ მცირე შემადღებაზე უძველესი ციხე-სიმაგრის ნაშთებია შემორჩენილი. მას ადგილობრივები **ნაციხვარას/ნაცხვარას** უწოდებენ. ამ სასიმაგრო ნაგებობის შესახებ საისტორიო წყაროები არაფერს ამბობს. შესაბამისად, მისი არსებობა უცნობია საზოგადოებისათვის. ლაზარეთის ციხე-სიმაგრე იცავდა სწორედ ღაბრის ხიდიდან წამოსულ ძველ გზას. ციხის უმაღლესი წერტილიდან ამ ტრასის ყველა მონაკვეთი თვალნათლივ იკითხებოდა.

„ნაციხვარა“ ზ. დ. 700 მ-ზეა და აქედან კონჩხის მთის საუღელტეხილო არეალიც კარგად ჩანს. ციხე-სიმაგრის ტერიტორიას ვრცელი მინდორი ებმის, რასაც ასევე „ნაციხვარას“ სახელწოდებით იხსენიებენ. ხსენებული მინდორის ქვემოთ ძველი სალოცავი ადგილია **ჯვარიტყის** სახელწოდებით (კოხინჯრობას დღესასწაულობდნენ, მოჰქონდათ შესაწირი). ნაციხვარადან ხელისგულივით მოჩანს თითქმის მთელი ზოგიში და რიონის ხეობის დიდი

⁵⁶ ტოპონიმი XIX ს-ის საბუთებშიც იხსენიება.

⁵⁷ საინტერესო ტოპონიმებია დატკეცილა და ქვაბიკარი. დატკეცილა „გზატკეცილის“ მნიშვნელობით შეგვიძლია გავგოთ, ქვაბიკარი მცირე ზომის გამოქვაბულია, ხსენებული ძველი გზის გასწვრივ მდებარე.

ნაწილი. სიძველის გამო ციხის გალავნის კედლები თითქმის სრულად იავარქმინლა და მცენარეულ საფარს დაუფარავს. ნაშთებიც გრუნტის ქვეშ არის მოქცეული. ლაზარეთის ციხე წინათ მეტად მასშტაბურ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. ძეგლის საერთო გეგმის გამორკვევართულდება. გალავნის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დაახლოებით 40 მ სიგრძეზე მიუყვება რელიეფს (რამდენიმე მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი). ციხე ნაგებია კლდის უხეშად დამუშავებული ქვით და კირის დუღაბით. გალავნის შუაში შემადგენელია, სადაც კოშკის ნაშთებიც შეიმჩნევა. აქ ვიპოვეთ შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნამტკრევები. ციხის მთავარი გალავანის ირგვლივ ტერიტორია თითქოს დაუტერასებიათ, სადაც ასევე ნაგებობის კვალი ჩანს. ლაზარეთის ნაციხვარა ერთობ საინტერესო არქიტექტურული ძეგლია (აუცილებელია აქ არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რაც ბევრ საინტერესო მასალას მოგვცემდა). ლაზარეთიდან გზა სოფ. ცაგერას ადის და აქედან უკვე წყალატორის გავლით მიემართება ოკრიბისკენ. ცაგერადან სამხრეთ-დასავლეთით მიდიოდა შარა, გაივლიდა ადგილებს: **საორხოს** (იგულისხმება სოფ. ორხვი), **ბაჯეიშს** და **ბზანარიკუდამდე** აღიოდა. აქედანვე გზა **გორნასვენებსა** და **გიორგიწყალთან** მოხვდებოდა. ეს ადგილები კი ესაზღვრებოდა წყალატორას. ამ უკანასკნელიდან **ორხეიკითავეებისა** და **გიორგელას ყანის** გავლით საცალფეხო ბილიკი სოფ. ორხეშიც ეშვებოდა.

ადგილი **ნასასახლევი**, რომლის შესახებ თხრობაც ზემოთ შევწყვიტეთ, მეტად მოხდენილი და სტრატეგიული ადგილია. სწორედ აქ იყოფოდა ზოგიშის მისადგომებთან ამოსული ოკრიბა-ლენჩხუმის მთავარი გზატკეცილი და ამ ორ მნიშვნელოვან განშტოებათა შორის მაკონტროლებლად აქვე იყო აგებული ზოგიშის უმთავრესი დედა-ციხეც. ამ სათავდაცვო ნაგებობას კარგად იცნობს საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. წიგნში - „ლენჩხუმი“, ვკითხულობთ: „ზოგიში რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. აქ საყურადღებო ძეგლებია შემორჩენილი... ზოგიშის სამხრეთით, მთის წვერზე დგას ახვლედიანების ციხე. მას ირგვლივ დამრეცი ტყიანი ფერდობები აკრავს. საერთო გეგმარების გარკვევა ძნელდება, ვინაიდან ციხის ნანგრევები ეკალ-ბარდითაა დაფარული. კლდოვანი თხემის ფართობი (დაახლ 30+10) გალავნითაა მოზღუდული... ამ მონაკვეთში კედლის სიმაღლე ზოგან ხუთ მეტრს აღწევს. სწორხაზოვანი მტკიცე წყობა ამოყვანილია უხეშად დამუშავებული კლდის ქვით ბათქაშზე. გალავნის შიგნით ორგან კოშკის ნაკვალევი შეიმჩნევა. შემორჩენილია წყლის სწორკუთხა რეზერვუარი შიგნით ორკალთიანი გადახურვით... ნანგრევების მასშტაბურობა ამ სა-

თავდაცვო ნაგებობის სიდიდესა და სიძლიერეზე მიუთითებს... აქვე გზა გადის ორხვისა და დღნორისისაკენ მიმავალი. ციხესთან ახლოს მინდორს, რომელიც შამხნართ არის დაფარული „ნასახლარებს“ ეძახიან. გადმოცემით აქ ძველად ეკლესიაც მდგარა“⁵⁸. ახვლედიანების ციხე მას XVIII ს-დან ეწოდა.

ზოგიშის ციხე-სიმაგრე თავდაპირველად სამეფო დანიშნულების სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენდა. მისი აგების დროდ ადრეფეოდალური ხანა მოიაზრება. „ნასახლე-ნასახლევის“ ტერიტორია უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო საცხოვრებლად ათვისებული, გვიანფეოდალურ ხანაში კი ეს სტრატეგიულად გამაგრებული ადგილი თავად ახვლედიანთა სამკვიდრო გამხდარა. შემორჩენილია ერთი ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ XVIII ს-ის ბოლოს ზოგიშის ციხე მეფე სოლომონ II-ის ხელშია. (იხ. სურ.7). ზოგიშის ციხეს თავის ნაშრომში იხსენიებს გიულდენშტედტიც⁵⁹.

ზოგიშელები მას **ციხისგვერდის** სახელითაც იცნობენ. იგი დაშენებულია თეთონდრის მთის უკიდურეს დასავლეთ კორტონზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **თეთონდერი** ქვემო რაჭის სოფ. ზედა ღვარდიისა და ლეჩხუმის სოფ. ზოგიშის გამყოფად დასახელებულია იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ შედგენილ დოკუმენტში (სიგელში „თეთონდერი“ „თოთენდაერის“ მთის სახელით იხსენიება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ საკითხს ყურადღება პირველმა ჩვენ მივაქციეთ და გამოეთქვამთ მოსაზრებას, რომ „თოთენდაერი“ და „თეთონდერი“ თანაბარმნიშვნელოვანი სახელწოდებანია და ეს მთაა სწორედ სასაზღვრო წერტილი რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რაჭისა და ლეჩხუმის, სასოფლო დასახლებათა შორის, (იხ. სურ. 8). სწორედ ამ მთის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებს სერავდა ოკრიბა-ლეჩხუმის მთავარი გზატკეცილის უმნიშვნელოვანესი განშტოებანიც.

„ნასახლევიდან“ ერთი გზა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ეშვებოდა, გაივლიდა **ღარიწყალს** (ადგ.), დაადგებოდა **ჯინჭროლის გზას** (ადგ.) და **მეწერიის** (ადგ.) დაბლობზე ჩამოდიოდა. ეს ტერიტორია ზოგიშის მიმდებარედ, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა განლაგებული. მეწერიიდან გზა გაუხვევდა აღმოსავლეთით და ადგ. **საფურცლის** გავლით **ზიდიყელამდე** აღწევდა. ამ

⁵⁸ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანიელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, გვ. 51.

⁵⁹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 137.

გზას იცავდა მეწერიის ციხე-კოშკი, საიდანაც იზვერებოდა დიდი ტერიტორია.

მეწერიის ციხე-კოშკი ხიდიყელის ჩრდილო-დასავლეთით, ზოგიშის განაპირას, ერთი ძველი კუთხის (ადგილობრივები მას **ჩელემიშვილების კუთხეს** ეძახიან) სამხრეთულ მისადგომებთან მდებარეობს. უძველესი სასიმაგრო ნაგებობა დღეს თითქმის იავარქმნილია. შედარებით უკეთაა გადარჩენილი ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი (7 მ სიმაღლეზე). იგი ნაგები ყოფილა კარგად დამუშავებული, თითქმის თანაბარი ზომის თლილი ქვის კვადრებისა და დულაბისაგან. ციხის ასაშენებლად კლდის ნატეხი ქვაც ბლომად გამოყენებიათ. კოშკის დასავლეთი კედელი, რომელიც ამოყვანილია უზარმაზარი კვადრებით, შემორჩენილია 1 მ სიმაღლეზე. წყობა სწორხაზოვანია, კოშკის კედლების სისქე აქ 1,5 მ-ია. სასიმაგრო ნაგებობის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებს შორის მანძილი 10 მ-ია. მეწერიის ციხე პირდაპირ გაჭყურებს ციხიგვერდს (ზოგიშის დედაციხეს). სწორედ ამ ორ საფორტიფიკაციო ნაგებობას შორის ჩაივლიდა ოკრიბა-ლენხუმის გზატკეცილის ერთი ტოტი და ხიდიყელამდე აღწევდა. მეწერიის ციხე თავს დაჭყურებს რიონის ხეობას, ზედა ღვარდიასა და ალპანას შორის. პირდაპირ საირმესა და ამ სოფლის კირქეულ კოშკებს ვხედავთ. მოჩანს ისტორიული ლაბეჭინა და იქამდე გამავალი ძველი სამიმოსვლო საშუალებანიც. აღწერილი სიმაგრიდან ლაზარეთის „ნაციხვარაც“ მშენივრად ჩანს, რომელიც ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთ მისადგომებს ამაგრებდა და კეტავდა ლაბრის ხიდისკენ მიმავალ გზატკეცილს. ზოგიშის ქვემო, აღმოსავლეთი მონაკვეთიდან მეწერიის ციხე-კოშკამდე წამოსულ მგზავრს უნდა გაეველო ჩელემიშვილების კუთხე, აჭყოლოდა იქ არსებულ გორაკს მაღლა, დასავლეთისკენ, რასაც **ორგორაშუას** (გასასვლელი) უწოდებენ და სიმაგრის ტერიტორიაზე მოხვდებოდა. აქედან გზა კლდოვან რელიეფს ისევ მაღლა მიუყვებოდა, ჯერ დასავლეთის და შემდგომ სამხრეთისკენ, გაივლიდა ადგ. **პიმპილოურის გორას** და იქიდან **ღარიწყლის** ავლით **ნასასახლევისა** და **ციხიგვერდამდე** მიდიოდა...

ნასასახლევიდან მერე გზა ქვემო რაჭის სოფ. ზედა ღვარდიისკენ მიემართება. იგი სამხრეთიდან ჩაუვლის გვერდს **ციხიგვერდად** წოდებულ ზოგიშის ისტორიულ ციხე-სიმაგრეს, უკან მოიტოვებს ზოგიშელთა კუთვნილ სამეურნეო მიწას, რომელსაც **ნამაიდნევის** ეძახიან, მისდევს თეთონდრის მთის სამხრეთულ კალთებს და მალევე საღვარდიოში გადადის. საურმე გზა ზედა ღვარდიისკენ ხიდიყელიდანაც ამოდიოდა (დღეს ჩაქცეულია). ზოგიშის სასოფლო დასახლებასა და მის კუთვნილ მიწებს კიდევ უამრავი ძველი გზა--

ბილიკი ქსელავდა. ბუნებრივია, ყველა მათგანის შესახებ ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ). ამ გზათაგან ნაწილი დღემდე ფუნქციონირებს და საკმაოდ მოსახერხებელ სამიმოსვლო საშუალებადაც ითვლება. ზოგიშში რამდენიმე ისეთი საინტერესო ტოპონიმიც შემორჩენილა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გვაჩვენებს ძველი გზების ოდინდელ მიმართულებებს. საყურადღებო ტოპონიმებია: **გადაღმა** და **გადმოღმა გასავალი, მეფინაბარგი, დატყეცილა, ქვაბიკარი, ზიდიყელი საორხო, საღვარდიო, ნასახლეე-ნასასახლევი, ნამაიდნევი, ორკტეშუა, ორგორაშუა** და სხვ.

ზოგიშში გადმოსულ ოკრიბა-ლენჩუმის შარას შეუვალსა და დაცულს ხდიდა ამავე სოფელში მოქმედი მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა, ძლიერ ციხე-სიმაგრეთა და ციხე-კოშკთა ერთიანობა. შევაჯამოთ: ღაბრის ძველ გადასასვლელს ლაზარეთის ციხე-სიმაგრე კეტავდა და ამავდროულად მეთვალყურეობას უწევდა ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთ მისადგომებს. დღეს მას ნაციხვარას სახელით იხსენიებენ. ზიდიყელსა და იქ გამავალ შარას **მეწერიის ციხე-კოშკი** იცავდა. ზოგიშიდან ზედა ღვარდიამი გადასასვლელი გზა ციხიგვერდის მეშვეობით იკეტებოდა. აქედან დიდი ტერიტორია კონტროლდებოდა. ზოგიშის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილშიც ციხე-კოშკი იყო დაშენებული, **საქორის** მაღალ კლდეზე და მასაც ნაციხვარას უწოდებენ. ღაბრის ხიდისა და კონჩხის უღელტეხილის გადავლით მგზავრი ჯერ შუა ლენჩუმში, ხოლო შემდგომ მურის გავლით სვანეთში ხვდებოდა. ზიდიყელით გზა ჯერ სოფ. საირმის უდაბნოსთან ადიოდა⁶⁰, , აქედან იგი უშუალოდ სოფ. ზედა საირმეში შედიოდა⁶¹. შემდეგ გზა აქაც იყოფოდა. მისი ერთი განშტოება ლაბეჭინისკენ მიუყვებოდა აღმართს, ხოლო მეორე ალაგრის მთის ფერდობების გავლით სოფ. სურმუშში გადადიოდა⁶². სურმუშიდან გზა თაბორსა და ლაილაშში, ლაჯანურის ხეობის ლენჩუმში მიიკლაკნებოდა. აქედან ორბელისა და ლეხერას ხეობის ავლით ლაშხეთში, ქვემო სვანეთში შედიოდა. ორბელიდანვე ს. დეხვირის გავლით გზა მურში ჩადიოდა. ზოგიშის ციხე-სიმაგრის – ციხიგვერდის გავლით გზა რაჭის უძველეს სოფ. ზედა

⁶⁰ საირმის უდაბნო ნამონასტრალ ადგილს ეწოდება. ე. წ საირმის კოშკების მიმდებარედ. წინათ აქ გაჩაღებული ყოფილა სამონასტრო ცხოვრება.

⁶¹ საირმე ისტორიულ წყაროებში პირველად XIII ს-ში, ლაბეჭინის ოთხთავის მინაწერშია დაფიქსირებული.

⁶² საირმე-სურმუშის ძველ გზაზე გვხვდება შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებანი: „კორტი“, „შკედიდელე“, „წითელი მიწის დელე“, „თოფის საფერავა“, „ქვაყუდებული“, „ციცწყა-ლა“ და სხვ.

ღვარდიაში ხვდებოდა. აქედან შესაძლებელი იყო სხვადასხვა მიმართულებით წასვლა.

როგორც აღვნიშნეთ, რიონის ხეობაში მდებარე სოფ. ზედა საირმიდან ძველი გზა მიდის ნასოფლარ ლაბეჭინასა და ლაბეჭინის მონასტერთან. ზედა საირმის ბოლო მონაკვეთიდან ლაბეჭინამდე დაახლოებით 2-2,5 კმ-ია. აქედან გზა სამხრეთ-აღმოსავლეთით ეშვება და მალევე მგზავრი სოფ. ზედა ჭყვიშში აღმოჩნდება. ჭყვიშსა და ლაბეჭინას შორის მანძილი 3 კმ-მდეა.

ნაშრომის დასაწყისში და შემდეგაც ჩვენ ვიმსჯელებთ სოფ. ჭყვიშისა (ჭყვიშის ციხე-სიმაგრის) და იქ გამოძავალი ძველი სატრანზიტო გზის შესახებ, რომელიც კვეთდა გველისთავის ცნობილ უღელტეხილს და ლაჯა-ნურას ხეობის ლეჩხუმში ჩადიოდა. იგი გვერდს ჩაუვლიდა ორბელის დიდ ციხეს, აივლიდა ასევე დეზვირის ძველი ციხის მიდამოებს და აქედან მურის ადრეფეოდალური ხანის ციხის კომპლექსის ქვეშ გადიოდა, შემდგომ კი ჩქუმ-ქულბაქის გავლით სამეგრელომდე აღწევდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად სწორედ ხსენებული მაგისტრალი უნდა ყოფილიყო ძველ წყაროებში ფიქსირებული ის სამიმოსვლო საშუალება, რომელსაც მოიხსენიებდნენ **თაკურის გზის** სახელით⁶³. ზედა ჭყვიშიდან წამოსული მგზავრი გვერდს აუვლიდა ჭყვიშის ისტორიულ ციხე-სიმაგრეს, გაივლიდა ადგილებს: **ურიის წყალსა** და **ნადარბაზებას**, შემდეგ შეუყვებოდა აღმართს და მოხვდებოდა ადგ. **სამეველო კარავთან**. აქედან გზა **ფარელის** მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობს მისდევდა და გადაკვეთდა **გველითავიდეღეს**. აქედან უკვე გზა მარჯვნივ გაუხვევდა და მგზავრი ისევ აღმართს დაადგებოდა, უშუალოდ „გველითავის“ წვერისკენ მიმავალს. ძველად გველისთავის წვერზე ციხე-სიმაგრეც ყოფილა დაშენებული. უღელტეხილის გადალახვის შემდეგ გზა ჩრდილო-აღმოსავლეთით მიიკლავებოდა, როდესაც იგი გორმადალის მთის მისადგომებს მიუახლოვდებოდა, მკვეთრად გაუხვევდა დასავლეთისკენ და მგზავრი სოფ. თაბორში, იქიდან კი სოფ. ლაილაშში მოხვდებოდა. ჭყვიშიდანვე გზები ასკის ხეობის ლეჩხუმის ისტორიულ სოფლებში – გენდუშსა და ჟომხა-ჭრებალოში გადმოდის. გენდუშიდან გველისთავის წვერის გვერდის ავლით, **საფინიის** მინდვრების გავლით, გზა თაბორში გადადის. ქვედა ჭყვიშს სამხრეთიდან ებმის რაჭა-ლეჩხუმის საზღვრების სიახლოვეს მდებარე

⁶³ ქ. მუშუკუდიანი, ლეჩხუმის ისტორიიდან, ქუთ., 2001, გვ. 14-16.

უძველესი დასახლებული პუნქტი ქვიშარი, სადაც ბრინჯაოს ხანის განძი იქნა აღმოჩენილი. ძველად სოფ. ზედა საირმოდან რამდენიმე გზა მიემართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და გადმოდიოდა ზედასა და ქვედა ჭყვიშში, ადგ. **საკოდელას** მიმდებარედ. გზა ასევე სოფ. ქვიშარშიც ეშვებოდა. ზედა საირმოდან სამხრეთისკენ წამოსული გზა, რომელსაც დასავლეთიდან ქვედა საირმოდან მომავალი შარაც უერთდებოდა, ჩამოდიოდა საირმის უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე, იქიდან კი რიონის ხეობაში, სოფ. ზედა ღვარდის მისადგომებთან.

ძველ დროში ქვემო ლეჩხუმის სოფლებსაც უამრავი გზა-ბილიკი სერავდა. ლეხიდრის ხეობაში მდებარე ისტორიული დასახლებანი (ქვედა-ზედა ონჭეში, დერჩი, ჭაშლეთი, საჩხეური, ლეხიდრისთავი და დღნორისა) ერთმანეთს ერთობ მოსახერხებელი გზებით უკავშირდებოდა. დღნორისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაშავის მასივის სამხრეთული ფერდობების გავლით ძველი საურმე გზა (ამ გზის გასწვრივ რამდენიმე ნასოფლარიც გვხვდება) გადადიოდა შარეულის ხეობის სოფ. თხმორში (ქვემო რაჭა). დღნორისიდანვე ჯვარდამწვარის გადავლით გზა **ქაყუნტიას//კვაცხუთის** (ნასოფლარი) უღელტეხილს (ზ. დ 1300 მ) აივლიდა და მთაშავის ჩრდილოეთ კალთებს ჩასდევდა, ვიდრე მდ. შარეულამდე. აქვეა ქვემო რაჭის ერთ-ერთი გამორჩეული და ქართული საერო არქიტექტურის ძეგლებით მდიდარი სოფ. გოგოლათიც.

ქაყუნტიიდან მგზავრი ჩრდილოეთისკენ თუ წავიღოდა, ზოგიშის კუთვნილ ალაგზე, **ცივწყალას** სათიბებში აღმოჩნდებოდა, იქვე, ზ. დ. 1330 მ-ზეა მოთავსებული ზოგიშის კირქვის საბადოც. ცივწყალას მახლობლად მდებარეობს მთა **დიღწვერიც**. ცივწყალადან რამდენიმე გზა ჩამოდიოდა სოფ. ზოგიშში. აქედანვე გამომავალი ერთი გზა დათაიას წვერის, ნაჯოგარისა და საღვარდიოს გავლით ზედა ღვარდიაში ჩადის. ცივწყალადან შესაძლებელი იყო გადასვლა ნასოფლარ კვაცხუთში, ინასარიძეთა გვარის თავდაპირველ სამკვიდროში. აქამდე ზედა ღვარდიიდანაც ამოდიოდა ძველი გზა... **გადაღმა გასავლის** ავლით მგზავრი ნაძენარიძის ზემოთ მოექცეოდა და დიდწვერსა და გიორგინაკაფში ხვდებოდა. გიორგინაკაფიდან ძველი საურმე შარა ცივწყალამდე გამოდიოდა. ზოგიშელთა სახნავ-სათესი მიწების – **გასავლის, ბანკიყანა-ჭალიბოლოსა** და **ნამაიდნეე-ნაჯოგარის** გავლით გზა ზედა ღვარდიაში ჩადიოდა.

რიონის მარჯვენა სანაპიროზე მოთავსებული ქვემო ლეჩხუმის ისტორიული დასახლებული პუნქტებიც (ბენთქოულა, მექვენა, ვანისჭალა, ქო-

რენიში და ტვიში) ერთმანეთს უკავშირდებოდა მთის ძველი გზა-ბილიკების გამოყენებით. სოფ. ვანისჭალიდან გზა ხვამლის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობს საკმაოდ მაღალ ნიშნულზე მიჰყვებოდა და „ნაჭარხლის გორის“ გადავლით ქორენიშამდე აღწევდა.

რიონის ხეობის ლეჩხუმი ოკრიბის მხარესთანაც ამყარებდა კომუნიკაციას. ოკრიბა-ლეჩხუმის საქარავნო მაგისტრალის გარდა სხვა მრავალი გზა-ბილიკებიც არსებულა. რიონის ხეობის ლეჩხუმის სოფლებიდან რამდენიმე საფეხმავლო გზა ადიოდა ხვამლის კლდის ძირამდე და ასევე მისი მწვერვალისკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის უწვამის ციხის სიახლოვეს გამავალი გზატკეცილი იყო (ლახეფასა და ნაყურალემს შორის).

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა უმნიშვნელოვანესი გზა, რომლის არსებობაზე მიუთითებს ჯერ კიდევ ჯუანშერი⁶⁴. ამ გზას რქმევია „გზაი აფხაზეთისაი“⁶⁵. ჯუანშერი წერს: „ვახტანგ გორგასალი ოვსეთით წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა, სულ გრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა“. არსებობს მეორე ცნობაც: „სადარბაზოდ მომავალი ოვსთა მეფე წარმოემართა, ჰპოვა გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთაისს...“ ისტორიკოსი ქ. მუშკუდიანი აღნიშავს შემდეგს: „როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოვსებს ქუთაისში მოსასვლელად ჰქონიათ პირდაპირი გზა. უეჭველია, რომ ეს გზაც იწყებოდა მდ. რიონის ხეობით, ისევე, როგორც თაკვერის გზა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აფხაზეთის გზა ნაქერალას უდელტენილის გადავლით ჩამოდიოდა ქუთაისში და მიემართებოდა აფხაზეთისკენ“⁶⁶.

„აფხაზეთის გზასთან“ დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. კოპალიანს. მისი აზრით, ეს ცნობილი სატრანზიტო გზა ქუთაისიდან რიონის მარცხენა სანაპიროზე, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიემართებოდა ლეჩხუმის ისტორიული პროვინციის უძველესი სოფლების – დღნორისის, გონის, ორხვისა და ცაგერას გავლით ზოგიშამდე. აქედან გზა სოფ. ჭყვიშამდე გრძელდებოდა... ადრეფეოდალურ ხანაში და მის შემდეგაც გზის ჩამკეტი და დამცავი იქნებოდნენ ჭყვიშის, ზოგიშის, ორხვის, დღნორისისა და დერჩის ციხე-სიმაგრეები...⁶⁷.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება. 1942. გვ. 103.

⁶⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თბ., 1960.

⁶⁶ ქ. მუშკუდიანი, ლეჩხუმის ისტორიიდან, გვ. 16.

⁶⁷ დ. კოპალიანი, ნარკვევები ლეჩხუმის წარსულიდან, 2015, გვ. 185.

პატივცემულ მკვლევარს სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ოკრიბა-ლენხუმის სატრანზიტო გზატკეცილი მიაჩნია ძველ წყაროებში სახელდებულ „აფხაზეთის გზად“.

ნაკლებ შესაძლებელი გვგონია, რომ „გზაი აფხაზეთისაი“ ნაქერალას უღელტეხილის გადმოვლით მისუდიყო ქუთაისამდე, რადგან გვიანდელი ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ხსენებული უღელტეხილის გადმოკვეთა დიდ სირთულეებთან ყოფილა დაკავშირებული და მასზე მხოლოდ ვიწრო საცალფეხო-საფეხმავლო ბილიკი ყოფილა გაჭრილი⁶⁸. ვფიქრობთ, მართალი უნდა იყოს დ. კობალიანი, როცა „აფხაზეთის გზას“ რიონის ხეობის ლენხუმში ათავსებს. ჩვენი ვარაუდითაც „გზაი აფხაზეთისაი“ ნამდვილად ის სამიმოსვლო საშუალება უნდა ყოფილიყო, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს ოკრიბა-ლენხუმის გზის სახელწოდებით.

ომარ ლანჩავასა და ნონა ქარციძის სტატიაში კვითხულობთ: „მოწამეთა-სორმონის გავლით ე. წ. „ოჯოლას ხევით“ უმოკლესი მანძილია საჩხეურ-დღნორისამდე. „ხოლო დღნორს ზეით არს რიონზედ არპანი“, არპანს ზეით „გუელისთავი“. ამ გადასასვლელით შეიძლება სვანეთში მოხვედრა. ეს უძველესი გზა ჩანს, რასაც ადასტურებს ამ გზის გაყოლებაზე ბრინჯაოს განძების (ოჯოლას, დღნორის, თხმორის და გურნის) აღმოჩენაც“. ხსენებული მკვლევრებიც ხაზს უსვამენ ოკრიბა-ლენხუმის გზის სიძველესა და მნიშვნელობას⁶⁹.

და ბოლოს კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ნნ წელს ბიზანტიიდან ლაზიკეში გადმოსასახლეს მაქსიმე აღმსარებელი. მასთან ერთად გამოაძევეს მისი ორი მოწაფეც, ორივე ანასტასიოსი. მაქსიმე დამწყვედულ იქნა მურის ან დეზვირის ციხეში (ლენხ.), ხოლო ანასტასიოს აპოკრისიარი პირველად „ბოკელეს“ ციხეში ჩაკეტეს, შემდეგ იგი სუანთა ქვეყანაში წაიყვანეს. ის გზაში გარდაიცვალა. მეორე ანასტასიოსი „წარიყვანეს ციხესა თაკურისასა, აფხაზეთს“... გამოდის, რომ სწორედ ლენხუმ-თაკური იყო ის ადგილი, სადაც არსებულ უძველეს ციხე-სიმაგრეებში იყვნენ „ტყვედ ქმნილნი“ მაქსიმე და მისი მოაზრებები.

მიხეილ ჩიქოვანი ვარაუდობს, რომ ციხე „ბოკელეს“ შეესაბამება ლე-

⁶⁸ გიულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 133.

⁶⁹ ო. ლანჩავა, ნ. ქარციძე, უქიპერიონი — ციხე-ქალაქი წყალწითელა. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, ტ. 19. ქუთ., 2009, გვ. 9.


ჩხუმში მდებარე ბოყერვანი, რომელიც ახლანდელი სოფ. დერჩის გარეუბანია და ძველი სალოცავითა და ციხის ნაშთებითაა დაშვენებული. ბოყერვანი, ბოკელვანი ბერძნულად სწორედ „ბოკელედ“ შეიძლება გადმოცემულიყო და ასეც არის წარმოდგენილი⁷⁰.

დერჩიც უძველესი დასახლებაა ოკრიბა-ლენჩუმის გზაზე. აქ საყურადღებო ძეგლებია შემორჩენილი. დერჩი, როგორც სამეფო სოფელი, საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში. 1207-1208 წლებში მეფე გიორგი ლაშას ის გელათის მონასტერთან არსებულ მეფის სამწირველოსათვის უბოძებია: „ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირველსა ჩუენსა რაიც მონასტერს... და არს მისითა მზღვრითა და მიმდგომითა, მითთა, ბართთა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა, საღუინითა, სათიბითა და ყოვლითა სამართლიანითა მიმდგომითა მისითა...“⁷¹.

სურ. 1.



სურ.2.



სურ 3

⁷⁰ მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 91.

⁷¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, #21, თბ., 1984, გვ. 105.

იმას ვაძრუ ვაძრუ ვაძრუ ვაძრუ და სავდომო ვითა პატრიარქა და მეფეთაგან განაქნას შედეს შინა წერილს არს ვაძრუ წით საწყისონი და საეკლესიო თოთოქინაჲს შინა აქდა; ოკრიბის შინა აქდა, ნაკლდებინა აქდა; მუხრის შინა აქდა; აქ შედეს ერწოს საეკლესიო აქდა; შინა დავლეთისა, ღებო, გლოლა, ყსონ გამოშინანოუ რიონი და სოფლად რაქს აქესწულას გამოლა... რაქ ამ სოფელსა და დახასა გამო-საქალი და მეგარა გამოლოდეს ცენი სრულად წმინდისა მღელმთავარ ეპისკოპოსის ნიკოლოზმღელსა შინარებო-დეს და არს კაცის ხელი არა მიხდებოდეს... ვინცა... მღელდა და მკლდელად გამოხდეს ანუ სხვათა—ღელითა პატრიარქნი ანუ აფხაზეთისა პატრიარქნი ანუ ქართლისა პატრიარქნი ანუ აფხაზეთის მღელი მღელი ანუ ერისთავთა ერისთავნი: ვინდა თამაგნი და სასაღარანი ანუ დალინი და გუ-რიელი ანუ შადინსა და სოშითისა ერისთავთა ერისთავნი და ვინდა ერისთავნი და ანუ რაჭისა ერისთავნი ანუ კობლეთნი ანუ ნაკლდნი და ანუ ტანუტარნი ანუ ამირსთამირა ანუ მე-ბაგე და ხელისუფელი ანუ ნატაგეტი და აბრამეტი ანუ კა-რის ბეგ და მინდატელი და ანუ კასტარაბი ანუ შარაგისა მესობელი ანუ ტუბს მკვლელობა უბუტენი ანუ ტარმკვლენი და ანუ რაქს ხელის მკონებელი იუვენს... (კრულ... აფ-ხაზეთის კანატორიარქია მღელითა და ქართლისა კანატო-მღელითა და შათია მიმდგომია მტროპოლოტთა მოტარისკო-პოზისა და სხვათა ეპისკოპოსთა მღელითა...) დაიწესა ბრძა-რება და სოფელი ექვენი ინდუტოინსა მეფობისა ზვერისასა მყოფესა ქს სკებ თეგსა ავეისტოსათ, ხელითა ვიგი ამაშითისათა ნებთა ღოსათა. ზველად: ბაგრატი.

758. Письмо царя Соломона к мн. Цицанову, отъ 24-го мая 1804 года.—Кутаись.

Когда и отъ васъ вернулись и прибылъ въ мою страну, я ахадѣлъ тогда въ Лечумъ ир Зогини съ мн. Ахаледiani, еще ир. Ачаръ съ мн. Чиковани Ваада и его вочной, равно всею вообще покатошью Кае (?) и Дехавирскимъ оружіемъ; когда же вышъ по-двинуть, г. вад. Іоаннъ Мивладзе ухадѣ отсюда въ Дядианъ, вслѣдъ за тѣмъ отомѣли Ахаледiani съ ир. Зогини, отомѣли Ваада Чиковани съ Ачарскою ирѣсткою, отомѣли всѣ до единого окружались Дехавирскую ирѣсть дворине и ирѣстья и все то что пониже Кае,—всѣ разошъ въ бытность тамъ вѣ-шого посланца отошл въ Дядиани. Ни одному вашему слову, ни слову вашего посланца Дядиани не повѣрилъ.

სურ.7.8.

ქიხიი მესაწირავი სამეფლე იუევი საკსოად სულისა იუევისა დღესა სასა გა-
 კითხვასა გელათს საყდარი სადღეოფლო წმიდის კიორგისი ასის კუამ-
 25 ლის კაცითა; რაქას სოფელი ბარი სასახლე და მონასტერი ერთის აზნაუ-
 რის შვილთა ჩიკუტიძითა და ოცდაათით კუამლის კაცითა, ტყითა, ველი-
 თა, მითთა, წყლითა, საძებრითა და უძებრითა; აგრევე მონასტერი ციხისა
 ლეჩხუმს საჩხუერი, წუგნა, კუპზლვეი ოცდახუთის კუამლის კაცითა; უფრას
 30 ბუოჯახანდენი ოვა კუასლი კაცი; ნავენაკევის სასახლე ოცდა ათით კუა-
 მლის კაცითა¹); ზრუდო სათევეზეთ, კიშურას გამოლმა ქალსთავი სოფე-
 ტაროს სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა ევდემონ კათალიკოზისა
 ნასყიდი და ბიკუნტისა ღის მშობლისა მეწირული.

სურ.9




მეწერიის ციხე. სოფ. ზოგიში

მეწერიის ციხე. სოფ. ზოგიში



ზოგიშის „ციხივეერი“//ახვლედიანების ციხე



უწვაშის ციხე

Exploring Ancient Roads and Road Structures in Lechkhumi

Lechkhumi, situated in the northern part of Western Georgia, stands as one of the most stunning and mountainous regions within our nation, distinguished by its challenging terrain. Geographically, Lechkhumi can be divided into two distinct parts: Zemo (Upper) and Kvemo (Lower) Lechkhumi. This article delves into the historical roads and road structures of Lechkhumi, focusing on Rioni Gorge. The author's investigation highlights that many of the strategically significant historical ways have disappeared, succumbing to the passage of time. To conduct this research, the author meticulously scrutinized historical written sources and archaeological findings. Furthermore, invaluable field data and toponymic information, collected by the author, contribute significantly to our understanding of the historical geography of Lechkhumi.

დასავლეთ საქართველოს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის
არქეოლოგიური კულტურები

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე როგორც წინამორბედ ენეოლითურ, ასევე ადრებრინჯაოს ხანაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ლოკალური რეგიონი გამოიყოფა. ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი განსხვავებული კულტურული ატრიბუციით და აქედან გამომდინარე ადრებრინჯაოს ხანის კულტურის თავისებური ხასიათით, ასევე განვითარების განსხვავებული გზებით.¹ ერთი ლოკალური რაიონი წარმოდგენილია მდინარე რიონ-ყვირილას აუზში, ზემო იმერეთის პლატოზე; მეორე კი კოლხეთის დაბლობზე თავისი ბორცვოვანი და მთიანი ზოლით. ცალკე ლოკალურ რეგიონად ალბათ უნდა გამოიყოს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორია.²

მდ. რიონ-ყვირილას აუზი ადრებრინჯაოს ხანაში მთლიანად მოქცეულია მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში და წარმოადგენს კავკასიაში ლითონის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაწინაურებულ კერას. ეს ძირითადად ეხება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ფინალური ეტაპის ძეგლს, საჩხერის ყორღანულ-სამაროვანს, სადაც ბრინჯაოს ინვენტარი უხვად არის წარმოდგენილი.³ მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენების დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არა გვაქვს წარმოდგენილი კოლხეთის დაბლობზე და მის მიმდებარე ბორცვოვან ზოლში, თუ არ ჩავთვლით დაბლაგომის ნამოსახლარს.

რიონ-ყვირილას აუზში გამოიყოფა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული, განვითარებული და ფინალური ეტაპის ძეგლები, რომლებიც წარმოდგენილია ბუნებრივ მღვიმე-გამოქვაბულებში და ღია ტიპისა ნამოსახლარებზე. ამ რეგიონში მტკვარ-არაქსული კულტურის არსებობის ბოლო ეტაპზე ჩნდება ბედენური კულტურა. რიონ-ყვირილას აუზში (საჩხერის რაიონი) ადრებრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპზე, ცნობილია ყორღანული სამაროვნ-

¹ გ. ფხაკაძე, ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია. ტ. II, თბ., 1992, გვ. 216-280.

² ე. გოგაძე, კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. კრებ. გურია, II, თბ., 1997: 33-58; ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 2003, გვ. 131-132.

³ გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993, გვ. 32.

ბი: ნაჩერქეზევი, ცარცის გორა,ქორეთი და მოდინახეს N41 სამარხ-ორმო.

მტკვარ-არაქსული კულტურული ფენები, რომლებიც გამოვლენილია მდ.ყვირილას გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში, ძვ. წ. III ათასწლეულის საწყის პერიოდს განეკუთვნება. ზოგჯერ ისინი ყოველგვარი სტერილური შრის გარეშე ენეოლითური ხანის ფენებზე დევს (სამელე-კლდე, საგვარჯილე, დარკვეთი და ა. შ). რიონ-ყვირილას აუზის მღვიმე-გამოქვაბულებში ადრებრინჯაოს ხანის როგორც საწყის (სამერცხლე-კლდე, ცუცხვათი), ასევე გვიან ეტაპზე (მოწამეთა) მხოლოდ აღნიშნული პერიოდის კულტურული ფენებია გამოვლენილი. აქ მღვიმური ტიპის ნამოსახლარები უპირატესად მდინარეთა ხეობებშია განლაგებული, სადაც სტაციონალური ცხოვრების კვალი დასტურდება რამდენიმე კულტურული ჰორიზონტით, თიხით მოლესილი იატაკებითა და შიგ ჩალეწილი თიხის კერებით. როგორც ჩანს, ამ ტიპის ნამოსახლარებზე სარ-ლასტზე მოწნული, თიხით შელესილი და ერთგვარად გამაგრებული, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე შენობები მდგარა. ზოგიერთი მღვიმე-ნამოსახლარის კულტურული ფენები (სამერცხლე-კლდე, საგვარჯილე) ჩაჭრილი იყო ინვენტარის შემცველი ინჰუმაციური ორმოსამარხებით⁴.

ადრებრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე ღია ტიპის ნამოსახლარებზე დასტურდება თხელი კულტურული ფენები. მომდევნო განვითარებულ და ფინალურ ეტაპზე თითქმის არ იყენებდნენ მღვიმეებს და ცხოვრება ძირითადად გრძელდებოდა ბუნებრივ შემალღებებსა და გორების ფერდობებზე. ამ პერიოდში არქიტექტურული სიახლე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებასთან არის დაკავშირებული, რომლის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება არგვეთის ნამოსახლარი, სადაც საცხოვრებელი ნაშთები მომრგვალო და მოგრძო ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ნაგებობებით იყო წარმოდგენილი. ისინი შედგებოდა ძელებზე გამაგრებული და სარ-ლასტიანი თიხით შელესილი კედლებით. თიხალესილ იატაკებში ჩადგმული იყო მტკვარ-არაქსული კერები ქვეშემოწყობილი ნაცრიანი ორმოებით. ზოგიერთ ძეგლზე ვარაუდობენ თიხით შელესილ სარებზე მოწნულ შენობებს (დაბლაგომი).

ძვ. წ. III ათასწლეულის გამოქვაბულის კერამიკაში ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველი ჯგუფის კერამიკა ქვედა ენეოლითური ხანის ფენიდანაა

⁴ გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, 1992, გვ. 235.

ცნობილი. მას არავითარი საერთო არ აქვს მტკვარ-არაქსული თიხის ნაწარმთან და მიჩნეული არის დასავლეთ საქართველოს მღვიმე ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელ მასალად. კერამიკის მეორე ჯგუფი ძალზე მცირერიცხოვანია და გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილო კავკასიაში ცნობილ ადრე მაიკოპური კულტურის კერამიკასთან (მეშოკო, სკალა, ხაჯოხი, იასნაია პალიანა, ვესიოლი და სხვა)⁵.

რიონ-ყვირილას აუზის გამოქვაბულებისათვის დამახასიათებელი ადრებრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ადღერის რაიონში შესწავლილ ვორონცოვის გამოქვაბულის თიხის მასალასთან. მსგავსება გამოიხატება არამარტო თიხის ნაწარმის, არამედ სხვა მასალების მიხედვითაც: ქვის ინდუსტრიაში, რქისა და ძვლის იარაღებში, კვირისტავების ორნამენტაციაში, ქვის სამაჯურების დამუშავებასა და ფორმებში, მცირე ფიგურების გაფორმებასა და დასახლების ერთიან ტიპში.

ლითონის (სპილენძის) წარმოებასთან დაკავშირებული არტეფაქტები დასტურდება მღვიმე-ნამოსახლარების კულტურულ ფენებში: თიხის ტიგელები, ციცვებები, ნაშხადის ფორმები, ყალიბები (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე), ოთხწახნაგა სადგისები, ანკესები, მრგვალგანიკვეთიანი ღეროები (სამელე კლდე, საგვარჯილე) ა. შ. ⁶

კოლხეთის დაბლობისა და მისი ბორცვოვანი ზოლის სამოსახლოდ ათვისება იწყება ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, უფრო კი მის მეორე ნახევარში.⁷ ადრებრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური I ეტაპი) კულტურული ფენები წარმოდგენილია ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარებზე (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი VIII-VII ფენები, საელიაოს კურზია III ფენა, ანაკლია I-ის ქვედა ფენა, ოჩამჩირე); ზღვისპირა ტერასული ტიპის შემადგენლებზე (ჩაქვი, გუანდრა B და B ფენები, მაჭარა IV-III ფენები); ბუნებრივ ბორცვებზე (ათარა არმიანსკაია, გუმიხთა I, აჭანდარა, დაბლა გომი); მთის-

⁵ გ. ფხაკაძე, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანისა და მაიკოპური კულტურის ურთიერთობის საკითხები. კრებ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, ტ. III, თბ., 1985, გვ. 22-36.

⁶ ო. ლამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ო. ჯაფარიძე, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში. თბ., 2010, გვ. 262, 268-269, 275.

⁷ ოთ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის თბ., 1976, გვ. 137; ლ. ჯაბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის. კრებ. გურია, III, თბ., 2001, გვ. 262-277.

წინა ტერასაზე (შემოქმედი); მღვიმე გამოქვაბულებში (პალი, ახრა-კაპში და ა.შ).⁸ ადრებრინჯაოს ხანის მასალები ასევე დაფიქსირდა ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე და კოლიპას დამშრალი ტბის ფსკერზე.⁹

კოლხეთის დაბლობზე და მის ბორცვოვან ზოლში არსებულ ნამოსახლართა ტიპებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ხელოვნურად გამართული დიხა-გუბუბები (ამობურცული მიწა). სავარაუდოდ ასეთი ტიპის სამოსახლო ბორცვები დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზოლში ჩნდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. ისინი უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ სხვადასხვა ეპოქის (ადრე, შუაბრინჯაო, გვიანბრინჯაო-ადრერკინა და კლასიკური ხანა) ფენებს. ზოგიერთი ამ ტიპის ძეგლის ქვედა ჰორიზონტებში წარმოდგენილია ადრებრინჯაოს ხანის ფენები. ანუ როგორც კოლხეთის დაბლობისა და მისი ბორცვოვანი ზოლის ამ პერიოდის აღმნიშვნელად სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი პროტოკოლხური კულტურა (I ეტაპი).¹⁰ აღნიშნული ტიპის სამოსახლო ბორცვებითაა მოფენილი კოლხეთის დაბლობის როგორც ზღვისპირა, ასევე მისი შიდა მხარე. დიხა-გუბუბებს ვხვდებით მთისწინა რეგიონშიც (მარტვილის რაიონი-აბედათი, საელიაოს კურზია, სერგეთი, ლეხანიდრაო და სხვ.), სადაც მათი გამართვა შესაძლოა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დიდ როლს უნდა თამაშობდეს მიწაზე ნივთების აგების ტრადიცია, რომელსაც კოლხეთის დაბლობის მთისწინა ზოლშიც მიმართავს პროტო-და ძველი კოლხური კულტურების მატარებელი მოსახლეობა.

დიხა-გუბუბების უფრო მეტი კონცენტრაცია შეინიშნება მდინარეების რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოდელის, ენგურ-ერისწყლის, ცივი-ზობის,

⁸ В. Бжания, История археологического изучения памятников энеолита и ранней бронзы в Абхазии, Материалы по археологии Абхазии, Тб., 1967, стр. 99-114; გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, 1992, გვ. 262-263, 271-275, 278; ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ., 2007, გვ. 13-15, 17, 20, 23-28.

⁹ ზახუტაიშვილი, ქობულეთის ქვეყანა. თბ., 1995: 35; ვ. საღრაძე, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი. პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის ისტორიისათვის. კრებ. გურია, V, თბ., 2007, გვ. 24-32.

¹⁰ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 49; Т. Микеладзе, Протокохская культура. Археология эпохи бронзы на Кавказе и Средней Азии. Москва, 1994, стр. 67-74; ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით). თბ., 1997, გვ. 107.

ჩლოქ-ოჩხამურის, ყორანთა წყლის-მუნჩიას აუზებში.¹¹ სამეგრელოში ხელოვნურად გამართული ბორცვების აღმნიშვნელად გვხვდება სხვადასხვა სახელები. ხშირად ისინი უკავშირდებიან სოფლებს, უბნებს, გვარებს, მდინარეებს და ა. შ. მაგალითად: დიხა-გუშუბა, დიხა-ზურგა, ზურგა, ზუგა, ზურგანი, ნაკარღალი, ნამარნუ, ნაჯიხუ (ნაციხარი), ნაზონარე (მიწა ნაყარი), ნაჭკადუ (ნასამჭედლო), ნამჭედურუ, ობერგულე (სამუხლე), სირიანქონის ოხოჯე (ზურგა), სავეიჩიოს პატარა კონძა, სოფ. ლეხანდრაოს გოგიაშ ნაოხვამუ I, II, სოფ. სერგიეთის „ნაფაცუცუ“, ბანძის ტაბაკური I, II, ბაღდურას ბორცი, კეკელური ზუგა, ნაჭვის ზურგა (კონას ზურგა), ლუკას ნოხორი, ნავოგუე და სხვ.¹²

იმერეთში დიხა-გუშუბები ცნობილია გორიკას სახელწოდებით, რომლებსაც ყოფენ დიდ და უფრო მცირე ზომის ბორცვებად. აქაც გორიკების სახელები უკავშირდება სოფლებს, უბნებს.მაგ.სოფ. ფარცხანაყანების გორიკები (ანარია, საბზილო, შროშანები), სოფ. კოპიტნარის, დიდი ჯიხაიშის ბაძგნარის, იანეთის, გოჩა ჯიხაიშის, ბაშის, ეწერ-ბარის, ბროწეულის, ქვედა მესხეთის, მაღლაკის, ქვიტირის, პატრიკეთის, კულაშის (საწურბლიას), კუხის, ხონის, გორდის, კინჩხის, ლვედის, გორიკები.¹³

დიხა-გუშუბებისთვის დამახასიათებელია მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტების გასწვრივ, ერთ საკომუნიკაციო ხაზზე, ჯგუფებად განლაგება, რომელთა ფართობი ზოგჯერ 10, 12, 15, 20, 25 ჰა-ს აღწევს. უმეტესად კონფიგურაციითა და მდებარეობით გამოირჩევა ცენტრალური ბორცი, რომლის ირგვლივ განლაგებულია შედარებით მცირე ზომის თანამგზავრი გუშუბები. ხელოვნურ სამოსახლო ბორცვებს ზოგჯერ ერთ რიგად, ხშირად კი ორ-სამ წყებად შემოსდევს თხრილი თუ არხი (იშვიათად 10,15 და 50 მ სიგანისა ც კი), რომელიც ყოველთვის უერთდება მდინარეს ან ნაკადულს. ფიქრობენ, რომ თხრილებსა თუ არხებს ერთდროულად რამდენიმე დანიშნულება გააჩნდა. იგი ემსახურებოდა თავდაცვის, სადრენაჟო დანიშნუ-

¹¹ გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994: 4-5; ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის. შურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IV (49-B), თბ., 2013, გვ. 105-117.

¹² დაწვრილებით იხ. ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი, 2007, გვ. 186-187; ტაბ. I; ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, 2013, გვ. 105-117.

¹³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბ., 1975, გვ. 449-456; ლ. ჯიქია, ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები. ქუთაისი, 1993, გვ. 54-55.

ლების, სანაოსნო მიმოსვლისა და თევზჭერის საქმეს (გ. ნიორაძე, ნ. ხომ-ტარია, ო. ჯაფარიძე, ბ. კუფტინი, თ. ჩიქოვანი, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, რ.პაპუაშვილი, ჯ. აფაქიძე, თ. ჩიგოშვილი და სხვ.).

როგორც ცნობილია, ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე დედაძიწის კლიმა-ტის ციკლურსა და შუალედურ ცვლილებებს თან ახლავს მსოფლიო ოკეანე-ში წყლის დონის აწევ-დაწევა, რომელსაც თავის მხრივ, უკავშირდება ახალშავზღვეური ტრანსგრესია და ფანაგორიული რეგრესია.¹⁴ სწორედ ამ პერიოდში (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები) კოლხეთის დაბლობზე ჩნდება პირველი დასახლებები (ისპანის ქვედა ჰორიზონტი, ჩაქვი, შესაძლოა მაჭარის IV ფენა). ამ პროცესების ცალკეულმა ფაზებმა, შავი ზღვის დონის აწევ-დაწევამ გამოიწვია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიების (განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლის) სამეურნეო სავარგულების თანდათანობითი დაჭაობება, ჭარბი ტენიანობა, ნოტიო ნიადა-გების არსებობა. კოლხეთის დაბლობის მაცხოვრებლებმა არსებული პირობე-ბისგან თავის დაცვის მიზნით დაიწყეს ხელოვნურად გამართული ბორცვების შექმნა.¹⁵ სწორედ ამ პროცესების შედეგად ტორფქვეშ მოქეცა ისპანის ად-რებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. ასევე სავარაუდოდ ტორფქვეშ უნდა იყოს მოქცეული ზღვის სანაპიროს გასწვრივ გამართული მთელი რივი პროტო-კოლხური I ეტაპის (ადრებრინჯაოს ხანა) ნამოსახლარები და სხვა კატეგო-რიის ძეგლები (სამაროვნები). ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ჰოლოცენის ხა-ნაში მიმდინარე ახალშავზღვეურმა ტრანსგრესიამ და ფანაგორიულმა რეგრე-სიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს კოლხეთის დაბლობის ბიოგარემოს, შემდეგ კი სოციოგარემოს შეცვლაზე¹⁶, ჰიდროლოგიაზე, ხელოვნურ ბორ-ცვთა წარმოქმნა-განლაგებაზე, სადრენაჟო-საარხო სისტემების დაფუძნება--დახვეწაზე, ძელურ ნაგებობებზე, მათი მშენებლობის ტექნიკასა და სასიმაგ-რო სისტემებზე და საერთოდ, იმდროინდელი კოლხეთის დაბლობის დემოგ-რაფიულ სიტუაციაზე.

რიონ-ყვირილას აუზში შუაბრინჯაოს ხანის კულტურის პერიოდში თითქმის მთლიანად წყდება ცხოვრება გამოქვაბულებში. ამ პერიოდის მასა-

¹⁴Н.Джанелидзе, Палеография В Грузии в голоцене. Тб., 1980, стр. 30, 52-62; რ. პაპუაშ-ვილი, ო. პაპუაშვილი, შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბ., 2014.

¹⁵კ. სადრაძე, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის ისტორიისათვის. კრებ. გურია, V, თბ., 2007, გვ. 24-32.

¹⁶გ. გამყრელიძე, ისტორიულ - ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993, გვ. 5-41.

ლები უკვე წარმოდგენილია ბუნებრივი ბორცვების ფერდებზე, მთის თხემზე გამართულ ღია ტიპის მრავალფენიან ნამოსახლარებზე (ჯიეთი IV-V ფენა, ითხვისი-ჩილათას ბორცვი). ამ ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა ტიპიურია კოლხეთის დაბლობის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურაში გავრცელებული ანალოგიური თიხის ნაწარმისა.

ზემო იმერეთის პლატოზე შუაბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი ან უბრალოდ რიყის ქვებით შემოსაზღვრული ინჰუმაციური, ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხი ორმოები, სადაც თიხის ჭურჭელთან ერთად მრავლად აღმოჩნდა ლითონის ინვენტარი, გვხვდება საჩხერეში მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდზე¹⁷. მოდინახეს სამაროვანზე გამოყოფენ ძვ. წ. XX-XVIII სს-ების ადრეული ჯგუფის (N7, 19, 21) სამარხებს, სადაც აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებს ზოგიერთი დეტალით და ყუამილიანი ცულით ახლო კონტაქტები გააჩნია კოლხეთის დაბლობის პროტოკოლხური კულტურის მასალებთან. მოდინახეს სამარხების შემდეგ ჯგუფს ათარილებენ შუაბრინჯაოს ფინალური სტადიით, ე.წ. გარდამავალი საფენურით (ძვ. წ. XVII-XVI სს-ის პირველი ნახევარი). ამ პერიოდის სამარხებს აქცევენ იმ კულტურის წრეში, რომელიც ახლოს დგას შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან (ქვასათალი, ნული, წაღვლი, აწყურის სამარხი). ფიქრობენ, რომ შუაბრინჯაოს საწყის ეტაპზე ზემო იმერეთის პლატოზე, მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის დასავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული კულტურა.

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ნამოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. შედარებით უკეთ დაცულ ნაგებობათა ნარჩენებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელი კოლხეთის დაბლობის სამენი მასალების, ნაგებობათა ტიპებისა და მშენებლობის ტექნიკის შესახებ. როგორც ირკვევა ამ პერიოდებში გავრცელებული ყოფილა ჯარგვალური ტიპის ნაგებობები (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ადრებრინჯაოს ხანის VIII-VII კულტურუ-

¹⁷ გ. ლომთაძე, მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი. I, თბ., 2000, გვ. 5-17; გ. ლომთაძე, მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი. II, თბ., 2002, გვ. 5-15; დ. ბერიკაშვილი, ზემო იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მისაპოვებლად (ხელნაწერის უფლებებით). თბ., 2006, გვ. 21-22.

ლი ფენები, ანაკლია I-ის ძირა ფენის ოთხკუთხა ძელური ნაგებობა).¹⁸ ისპანის ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტზე სილაზე გამართული უნდა ყოფილიყო ჯარგვალური ტიპის ნაგებობები, ხოლო ზედაზე კი დაჭაობებით გამოწვეული, უფრო გვიანდელი სიძინჯებზე შემდგარი შენობები.

კარგად არის შემორჩენილი ჯარგვალური ნაგებობები შუაბრინჯაოს ხანის ანაკლია II-ისა და ნორისის I ფენებში, სადაც ნაგებობათა ზომებიც დგინდება. ანაკლია II-ზე ხის ოთხკუთხა შენობების ზომები მერყეობდა 4X2, 4X4 და 4X3 მ-ზე. ზოგჯერ ძელებით ნაგები ოთხკუთხა შენობების ფართობი 20 კვ.მ აღწევდა. მათი იატაკები მოგებული იყო ხის საფენებით¹⁹.

ადრებრინჯაოს ხანის ოჩამჩირის ხელოვნურად გამართულ ბორცვზე ვარაუდობენ 3 მეტრის დიამეტრის მქონე ფაცხისმაგვარი შენობის არსებობას, რომელზეც უნდა მიუთითებდეს ვერტიკალურად ჩასმული წრიული მოყვანილობის ბოძების აღმოჩენა.²⁰

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ადრებრინჯაოს ხანაში (ასევე მომდევნო პერიოდებში) დასტურდება მიწური და ნახევრადმიწური ნაგებობები, რომელზედაც ზემოდან აღმართული უნდა ყოფილიყო სარ-ლასტიანი ფაცხისმაგვარი შენობები. ისინი მრგვალგეგმიანი ან ოთხკუთხა ძირბრტყელი ორმოებია, რომელთაც გარშემო სარების ჩასამაგრებელი ორმოები შემოუყვებოდა. ფიქრობენ, რომ ხის კარკასები ლერწმის ტიპის სპეციალური მცენარით იყო შემოწვნილი; ისინი კონად კარგად იკვრებოდნენ და იფარებოდნენ რაიმე მცენარით ან ლერწმით. ეს კონსტრუქციები შიდა და გარე მხრიდან თიხით იყო შემოლესილი. სათავსოების ასაგებად მოედნები წინასწარ იყო მომზადებული-მოტკეპნილი.²¹ ასეთი ტიპის ნაგებობები გვხვდება შემდეგ ძეგლებზე: გუმისთა I, გუანდრა, ფსოუ, ახრაკაპში, მაჭარა და სხვ.²²

შუაბრინჯაოს ხანის კულტურა (პროტოკოლხური II ეტაპი) ნამოსახლარების მასალების მიხედვით მძლავრად არის წარმოდგენილი კოლხეთის

¹⁸Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. Т. 2. Тб., 1950, стр. 239, 248, 253; ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი, 2007, გვ. 36; დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1995, გვ. 39.

¹⁹დ. მუსხელიშვილი, ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ანაკლია II, თბ., 2010., ტაბ. 4-6, 8-9, 14-15.

²⁰Л. Соловьев, Энеолитические селище у Очамчирского порта в Абхазии. Материалы по истории Абхазии. Сборник первый, вып. 4. Сухуми, 1939, стр. 53.

²¹И. Цвинария, Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990; გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, 1992: 2-39.

²²ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი, 2007, გვ. 38.

დაბლობზე. ამ პერიოდის კულტურული ფენები ძირითადად გვხვდება ხელოვნურად გამართულ მრავალფენიან დინა-გუძუბათა კულტურულ ფენებში.²³ ნამოსახლართა ეს ტიპი ზემოთ მიმოვიხილეთ, ამიტომ აღარ გავმეორდებით.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში შუაბრინჯაოს ხანაში გვხვდება ზღვისპირა, დაბალ ტერასაზე (მაჭარა II-III ფენები), ბუნებრივ ბორცვებზე (გუმისთა II) და მთის ფერდებზე გამართული მღვიმე - ნამოსახლარები (შრომა-მისაილოვსკი, კამანი I). აღნიშნულ ძეგლებზე წარმოდგენილი იყო სუსტი ფენები, სადაც სავარაუდოდ სარლასტზე გამართული ფაცხისმაგვარი შენობები მდგარა.

კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით მისი ფინალური ეტაპიდან ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება განვითარებული ჩანს. ამის ერთგვარი დასტური უნდა იყოს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII-VII კულტურულ ფენებში გამართულ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში აღმოჩენილი 80 ერთეულამდე სხვადასხვა ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბის ფორმა. მათ შორის ფიჩორული ტიპის ყუამილიანი ცულების, თოხების ჩამოსასხმელი ყალიბები, მათზე ჩამოსხმული ბრინჯაოს თოხები (8 ერთეული), ორი და ოთხგანყოფილებიანი თიხის ყალიბები, საქშენი მილები, ბრინჯაოს ზოდები და ა.შ.²⁴ ლითონჩამომსხმელი სახელოსნოების ნაშთები ასევე აღმოჩნდა ანაკლია I-ის ქვედა ფენაში, ისპანის ნამოსახლარზე, ანაკლია II-ზე და ა. შ.

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონჩამომსხმელი სახელოსნოების სპილენძის ნედლეულით მომარაგება მიმდინარეობდა კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან (აფხაზეთის მთიანეთი-მდინარე ბზიფისა და კოდორის სათავეები, ზემო რაჭა, ზემო სვანეთი). თვლიან, რომ კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარ-

²³ პროტოკოლური I, II ეტაპებისათვის დამახასიათებელი ძეგლები და ძირითადი ნივთიერი მასალა ჩვენს მიერაა გამოყოფილი, რომლის ჩართვას წინამდებარე სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო ვერ ვახერხებთ. ამაზე იხილეთ: ლ. ჯიბლაძე, დასახ. ნაშრომი, 2007, გვ. 105, 107, 109.

²⁴ გ. ინანიშვილი, ლ. ჯიბლაძე კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ისტორიისათვის, თბ., 2019, გვ. 92, 96.

მოების ძეგლების ამოქმედება იწყება შუაბრინჯაოს პერიოდიდან.²⁵ ასევე არ უნდა გამოირიცხოს კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში არსებული ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ლითონჩამოსხმელი სახელოსნოების (ისპანი, ფიჩორი VIII-VII ფენები) სპილენძის ნედლეულით მომარაგება ჭოროხის აუზში მდებარე სპილენძის საბადოებიდანაც.²⁶

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დაახლოებით 31 პუნქტში დასტურდება მეგალითური ნაგებობები დოლმენები. საერთოდ დასავლეთ კავკასიაში დოლმენები გავრცელებული იყო მთიანი ტყის მასივებში შავი ზღვის გასწვრივ 480 კმ. სიგრძეზე, დაწყებული ტამანის ნახევარკუნძულიდან ქ. ოჩამჩირემდე (ბედა). სულ 194 პუნქტში 564 დოლმენური ნაგებობა იყო გამოვლენილი.²⁷ ისინი განლაგებულია ზღვის დონიდან 250-400 მ სიმაღლეზე, ზოგიერთი 700-800 მ-ზე, ხოლო არის 1029 მ-ზე არსებული ამ ტიპის ნაგებობები.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენები ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება როგორც ზღვისპირა ისე შიდა მთიან მხარეში. ზომების მიხედვით ისინი იყოფიან 3 ჯგუფად: მომცრო, საშუალო და მოზრდილ დოლმენებად. თავის დროზე ბ.კუფტინმა ამ ტიპის მეგალითურ ნაგებობაში 3 ფენა გამოყო: ბრინჯაოს ადრეული საფეხური (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული), შუაბრინჯაოს ხანა. მესამე ფენა კი განისაზღვრა კოლხური მონეტით. უფრო გვიან ო. ჯაფარიძემ ამ კლასიფიკაციას დაუმატა გვიანბრინჯაოს ხანა.²⁸

ადრებრინჯაოს ხანის მასალები ძირითადად წარმოდგენილია ტრაპეციის ფორმის მომცრო და საშუალო ზომის დოლმენებში, რომლებიც აგებულია ოთხი ვერტიკალურად დადგმული მასიური ქვისგან და მესუთე ქვითაა გადახურული. წინა კედელში ხვრელია დატანილი, რომელიც ქვის საცობით იხურებოდა. ეს კოლექტიური საოჯახო-საგვარეულო ნაგებობები გამოყენებულია მეორადი დაკრძალვისთვის. ზოგიერთი მათგანი კი მიწით იყო დაფარული. არის შემთხვევები როდესაც ამ რიგის ნაგებობებს კრომლეხი (ქვის

²⁵ გ. ინანიშვილი, ბ. მასურაძე, გ. გობეჯიშვილი, საქართველოს უძველესი სამთამაძნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ III – I ათასწლეულები), თბ., 2010 : 54-102; Т. Муджири, Горнорудное производство древней Грузии. Тб; 2008, стр. 50-57.

²⁶ ი. ლამბაშიძე, გ. მინდიაშვილი, გ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, 2010, გვ. 24.

²⁷ В. Марковин, Дольмены западного Кавказа. Москва, 1978, გვ. 59, რუკა 20.

²⁸ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961, გვ. 217.

წრე) შემოუყვებოდა.²⁹

საშუალო ზომის დოლმენები უკეთაა ნაგები. ისინი ფორმით, კონსტრუქციითა და დამარხვის წესით პატარა ზომის დოლმენებისგან არ განსხვავდებიან. კარგადაა შესწავლილი კიურ-დერეს (ზემო ეშერა), ოთხარისა და ხუაბის დოლმენები. კიურ-დერეს საშუალო ზომის დოლმენებში, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს განეკუთვნება, გვხვდება სპილენძის ვიწროტანიანი, ყუადაქანებული ცულები, მასრაგასნილი და მასრაშეკრული კავები. ერთი მათგანი წნული ორნამენტითაა შემკული, ბრტყელი, ფოთლისებური ფორმის მაღალყელიანი სატევრისპირები, საკინძები და ა. შ. ადრეულ პერიოდს განეკუთვნება ოთხარისა და ხუაბის დოლმენები, რომლებიც მდებარეობენ გუდაუთის მუნიციპალიტეტში. ოთხარში შესწავლილი ტრაპეციისებური ფორმის 6 დოლმენი დაფარული იყო ხელოვნურად მოზვინული მიწაყრილით და გამართული იყო ძველ ნამოსახლარზე, სადაც დაფიქსირდა სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხები. ზოგიერთი დოლმენი ჩასმული იყო კრომლესში.

ხუაბში შესწავლილ 4 დოლმენიდან ზოგიერთს გარს ერტყა ნახევრად დანგრეული კრომლესის წრე. აღმოჩნდა ბრინჯაოს სხვადასხვა სახის არტეფაქტები. ასევე კაჟის ისრისპირები, ვიშრის მძივი და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა სავარძელზე მჯდომი უთავო ქალის თიხის ანთროპომორფული ქანდაკება და ა. შ.³⁰

როგორც ჩანს, დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხი მისდევდა მესაქონლეობა-მეცხვარეობას და მათ მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნდათ. ჩრდილო კავკასიაში დოლმენური კულტურის ორი თუ სამი ნამოსახლარია მიკვლეული. ასეთივე სიტუაციაა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, სადაც მთელ რიგ ადრებრინჯაოს დასასრულისა და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, რომლებიც შეყავთ სამხრეთ დოლმენური (ოჩამჩირული) კულტურის გავრცელების არეალში, გამოვლენილია თხელი კულტურული ფენები (ახრა-კაპში, პალი, გუანდრა, შრომა, გუმისთა I, გუმისთა II, კამანი I, მაჭარა

²⁹ ადრეული მომცრო ზომის დოლმენებში სამარხეული ინვენტარი ღარიბული და საკმაოდ არქაულია. თიხის ჭურჭელი უმეტესად პატარა ზომისაა. ფიქრობენ, რომ მათ სპეციალურად სამარხში ჩასატანად ამზადებდნენ. უადრეს დოლმენებში იშვიათად დასტურდება ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, არქაული სატევრისპირები და ა. შ. საშუალო ზომის დოლმენების კერამიკა ფორმით, ფერთა და ორნამენტით იმეორებს პატარა ზომის დოლმენების მასალას. სამაგიეროდ მასში ლითონის ნივთები დიდი რაოდენობით და ნაირგვარობითაა წარმოდგენილი.

³⁰ И. Цвинария, დასახ. ნაშრომი, 1990.

II-III ფენები, ივაშჩენკო და სხვ.). აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცნობილი დოლმენები, როგორც ჩანს, საერთო დოლმენური კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. მაგრამ, ისინი აქ ატარებენ რამდენიმე განსხვავებულ ლოკალურ ხასიათს. ეს გამოიხატება მთელი რიგი ნიშნების მიხედვით: ტრაპეციისებური ფორმის დოლმენები, საჩხერული ტიპის ლითონის ყუადაქანებული ცულები, კაყის ისრისპირები და ა.შ. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმითაც, რომ ისინი მოქცეულნი არიან კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელების არეალში.³¹ უფრო მძლავრად მდ. გუმისთამდე, უფრო სუსტად კი მის ჩრდილოეთით.

შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს გალის რ-ნის ზღვისპირა ზოლში მდებარე გაგიდის სამაროვანიდან მომდინარე ბრინჯაოს კოლექცია. ახალშვებური, ტრანსგრესიისა და ფანაგორიული რეგრესიის მიმდინარეობის პროცესების შედეგად სავარაუდოდ ეს სამაროვანი ზღვის მიერ უნდა იყოს მიტაცებული. ზღვის დეღვამ გაამიშვლა სანაპირო ზოლი და გამოაჩინა დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად სამაროვნებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ძეგლიდან შემოსული კოლექციების დიდი ნაწილი კი უნებართვო გათხრების შედეგად მიტაცებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და გასაყიდად გადის სხვადასხვა მხარეს³².

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს კრომლეხური ტიპის სამაროვანი. ქვემო ეშერაში შესწავლილი იქნა ორი ასეთი კრომლეხი, რომელიც ფუნქციონირებდა დაწყებული ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამაროვნის ქვედა- შუა ბრინჯაოს ხანის B ფენაში აღმოჩნდა არქეოლოგიური არტეფაქტები³³.

კოლხეთის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი განძები იშვიათად გვხვდება. ესენია სოფ. ილემისა და საქსრიას ბრინჯაოს ყუაშილიან-ყუადაშვებული და სპილენძის ზოდისაგან (ილემი) შემ-

³¹ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. კრებ. გურია, #6, თბ., 2016, გვ. 92.

³²ლ. ჯიბლაძე, რ. პაპუაშვილი, რ. ხვისტანი, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი აღმოჩენა გალის რაიონის სოფ. გაგიდაში. ძიებანი, #13-14, თბ., 2004, გვ. 74-82.

³³Г. Шамба, Эшерские кромлехи. Сухуми, 1974.

დგარი განძები³⁴.

შუაბრინჯაოს ხანაში კოლხეთის დაბლობზე და მის ბორცვოვან ზოლში გამოჩენას იწყებს ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი განძები³⁵, რომელთა შემადგენლობაში შედის: ყუამილიან-ყუადაშეებული ცულები, კოლხური ცულეების პროტოტიპები, ურეკისა და გალის განძებიდან მომდინარე ორფერდა ყუამილიანი ცულები, რომლებიც თავისი ფორმით უახლოვდება ჩვენში დღესაც გავრცელებულ ე. წ. ქართულ ცულს და ა. შ. ყურადღებას იმსახურებს ურეკის განძის შემადგენლობაში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკუთხა პირიანი თოხები და ორი ბრტყელი საფხეკი. ანალოგიური ნიმუშები ცნობილია გაგიდის სამაროვნიდან, რაც კარგ შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ ეტაპზე ამ ორი კატეგორიის ძეგლის სინქრონიზაციისათვის.³⁶ როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს სამკუთხა პირიანი თოხი, ასევე მომდინარეობს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის I მონაზვინი ფენიდან, რომელიც მასალების მიხედვით სინქრონული ჩანს ამავე ძეგლის IV კულტურული ფენისა (ძვ. წ. XVI-XV სს.).

კოლხეთის მთიანეთში (სვანეთი) ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები არ გვხვდება. მათ შესახებ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნული პერიოდების სპილენძის ყუადაქანებული, ფართოპირიანი

³⁴რ. კვიციანი, ლ. ჯიბლაძე, ლითონის არტეფაქტები სოფ. ზედა იღვემიდან, ჟურ. „ონლაინ არქეოლოგია“, 15, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2019, გვ. 50-62 (ელექტრონული ვერსია); Joni Apakidze und Suend Hansen Zvei Horte mit Schafflochhäxten vom Ende der Erhbronzezeit aus Westgeorgien. das Altertum, 2019: 271-290.

³⁵ მხედველობაში გვაქვს ურეკის (1959 წ.), გალის (1959 წ.), ლეჩქოფის განძები. ქრონოლოგიურად მათ უნდა მოყვებოდეს ქვიშარის I და კოლხური ცულების პროტოტიპების შემცველი განძები: პილენკოვო (განთიადი), გაგრა, ბიჭვინთა (1935 წ.), ქობულეთი, ერგე (1936 წ.), ჭოროხი (1953 წ.), მახო (1972 წ.), კირნათი და სხვ. განძები. იხილეთ: დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ., 1965, გვ. 10-12; გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. ჟურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948, გვ. 5; დ. ქორიძე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყოპანური ცულების გენეზისის საკითხისათვის, ჟურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXX-B, თბ., 1968, გვ. 28-29; ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974, გვ. 45-53; М.Трапи, Труды, II, Сухуми, 1970: 174; ა. კახიძე, შ. მამულაძე, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000, გვ. 53-62.

³⁶ მ. ბარამიძე, გ. ფხაკაძე, აფხაზეთი. ტ. II, თბ., 2009, გვ. 54-56; ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ინტერპრეტაციისათვის. კრებ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. მიძღვნილი გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50-წლისადმი, თბ., 2010, გვ. 23-27.

ცულები,საჩხერული ტიპის ბრინჯაოს ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულების სხვადასხვა ვარიანტები,ბრტყელი ცულები, გრძელყუნწიანი შუბისპირები და სხვა.ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სვანეთის მხარე ძვ.წ.III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან განსაზღვრული უნდა ყოფილიყო, უძველესი ქართველური ეთნიკური კულტურული ნაკადის სვანურენოვანი მოსახლეობის მიერ.³⁷

რაჭის რეგიონში ადრე და შუაბრინჯაოს ხანის აღნიშნული კატეგორიის ძეგლები არ გვხვდება,თუ არ ჩავთლით უკვე ნახსენებ ქვიშარის განძის მასალებს,შაორის წყალსაცავის მიდამოებში ნაპოვნ ერთ ყუამილიან ცულსა და ბრილის სამაროვნის უძველესი შუაბრინჯაოს ხანის სამარხებიდან მომდინარე არტეფაქტებს³⁸.

უკანასკნელ პერიოდამდე კოლხეთის დაბლობზე - ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ფენიდან ცნობილი იყო ოვალური ფორმის უნევენტარო სამარხი ორმო, სადაც მიცვალებული დაკრძალული იყო ხელფეხმორხილი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. მის ფეხებთან აღმოჩნდა ბავშვის ჩონჩხი, რომლის დაკრძალვის პოზა არ იკითხებოდა.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მთისწინა და მთიანი ზოლის ზოგიერთი მღვიმე-ნამოსახლარის კულტურული ფენები ჩაჭრილი იყო ორმოსამარხებით. მაგალითად, კამან I-ზე გამოვლინდა სამი ფენა თუ ჰორიზონტი, სადაც ერთ-ერთში (D ფენა) აღმოჩნდა 7 ორმო სამარხი მეორადი დაკრძალვით, რომელთაგან ზოგიერთი გადახურული იყო ბრტყელი ქვებით. სამარხებში დაფიქსირდა ბრინჯაოს მძივები, სარდიონის მძივი, ტყვიის შენაერთისგან დამზადებული სარტყელი ³⁹.

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში მოკლედ გადმოვეცით კოლხეთის სხვადასხვა მხარეში, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებული არქეოლო-

³⁷ შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბ., 1996, გვ. 64-74, 244.

³⁸ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, გვ. 52-61; ლ.ფანცხავა, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი #12 სამარხის დათარიღებისათვის. ძიებანი, #8,თბ; 2001, გვ. 39-44; ლ.ჯიბლაძე, რ. დავლიანიძე, გ. გობეჯიშვილი, ბრილის ე. წ. შუაბრინჯაოს ხანისა და დიგორიის პროტოეობა-ნური პერიოდის მასალების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თბ., 2017.

³⁹ ასევე შრომის მღვიმეში, ზედა A და B ფენაში დაფიქსირდა 7 კოლექტიური დაკრძალვის სამარხი ორმო, სადაც გამოვლინდა ბრინჯაოს სპირალური ასხმა, რგოლი, მძივები, 1,5 აგრავის ხვია, თიხის ჭურჭელი. სამარხები გადახურული იყო ბრტყელი ქვებით. Ю. Воронов, Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969:33

გიური კულტურების არეალები,მათი ძირითადი მახასიათელი ნიშნები და ა. შ. ჩვენ გვესმის,რომ ეს ძალზე ვრცელი თემაა და მისი ამომწურავი გაანალიზება, ამ მცირე ფორმატის სტატიაში შეუძლებელია.მომავალში თუ მოგვეცემა საშუალება, აღნიშნული კულტურების ცალკეული სეგმენტების დახასიათებას უფრო სიღრმისეულად წარმოვაჩინო.

Leri Jibladze

Archaeological Cultures of the Early and Middle Bronze Age in Western Georgia

Human habitation in the Kolkheti plain and its hilly areas dates back to the middle of the 3rd millennium BC. Within the Early and Middle Bronze Age settlements of the Kolkheti plain, the multi-layered Dikha-Gudzuba cultural strata contain remnants of residential structures. These structures, characteristic of the Jargvali type, were constructed using wooden poles. In the North-Western part of the Kolkheti region during the Middle Bronze Age, cave settlements were established along the seashore, on low terraces, as well as on natural hills and mountain slopes.

რეცენზიები

ქეთევან მარგანი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„ლენხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონის“ გამოცემის შესახებ

(ი. კეკელია, ლენხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონი (მასალები), თბ., 2018, 72 გვ.)



ქართველური ტოპონიმის გამოჩენილი მკვლევრის, ისტორიის დოქტორის, ბატონ ივთრ კეკელიას ავტორობით გამოცემული წიგნების ათეულობით ჩამონათვალს კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა. ესაა „ლენხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონი (მასალები)“ (რედაქტორი პაატა ცხადაია, რეცენზენტები: ქეთევან მარგანი, იზოლდარუსაძე).

ინვერსია (ლათ. Inversion – გადასმა) ენათმეცნიერებაში გულისხმობს ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათრგვის შეცვლას. მაგალითად, თანამედროვე

ქართულისათვის ჩვეულებრივია მსაზღვრელის დასმა საზღვრულის წინ. საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, ინვერსია ესაა: 1. ზმნის პირის ნიშნითა შექცევით ზმარება; სუბიექტი აღინიშნება ობიექტის ნიშნით და, პირიქით, ობიექტი – სუბიექტის ნიშნით; 2. სიტყვათა გადასმა წინადადებაში მათი ჩვეულებრივი რიგის საწინააღმდეგოდ, ისე, რომ აზრი არ იცვლებოდეს და მხოლოდ სტილისტიკურ ნიუანსს იძლეოდეს.

ივთრ კეკელიას წიგნში ლენხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი ინვერსიული ლექსიკონის სახით არის წარმოდგენილი. მკვლევარი ტოპონიმთა ამ სახით გამოცემას იმ საჭიროებით ხსნის, რომ ინვერსიულ, შებრუნებულ ლექსიკონში თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ტოპონიმთა მარჯობის სუფიქსების, ან რთული

შედგენილობის ტოპონიმთა მომდევნო კომპონენტების შეფარდებითი პროდუქტიულობა, რაც, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „პერპექტიულს ხდის მიკროტოპონიმის შედეგიან კვლევას“.

წიგნის შესავალში ავტორი წერს: „ინვერსიულ ლექსიკონში სიტყვები ბოლოკიდური ასოების ანბანის მიხედვით არის დალაგებული. ასეთი სახით შედგენილ ლექსიკონთა პრაქტიკული მნიშვნელობა ამა თუ იმ ენის სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით დიდია“ (გვ. 3). ტოპონიმთა ინვერსიული სია რომ ნამდვილად საინტერესოა სპეციალისტებისათვის, ამაში იგორ კეკელიას წიგნზე ერთი თვალის გადავლებითაც დარწმუნდება მკითხველი. როგორც აღნიშნავს, ლექსიკონში თავმოყრილი მასალა ავტორის მიერ არის ჩაწერილი 2014-2017 წლებში, ლენჩუმის სოფლებში. ამასთანავე, ი. კეკელიას გაუთვალისწინებია ლენჩუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესახებ ქართველი მეცნიერების – მ. ჩიქოვანის, მ. ალავედის, მ. ქალდანის, პ. ცხადაიასა და სხვათა მიერ მანამდე გამოცემული ნაშრომებიც.

სპეციალისტმა იცის, მაგრამ თუ რას გულისხმობს შებრუნებული სახით ტოპონიმთა დალაგება, საკითხით დანტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოება ადვილად მიხვდება, როცა ამ ნაშრომს გაეცნობა. საილუსტრაციოდ კი აქვე მოვიხმობთ მსგავსი წესით დალაგებულ გეოგრაფიულ სახელებს აღნიშნული წიგნიდან: დედალეთისაის ქვა, ჭინკების ქვა, გონიერების ქვა, წიწილიანი ქვა..., დიდქვა, დიქვა..., შუაგ ზა, შეხუთულიგზა, განიგ ზა..., კოპალა, გვიმბრალა, იფერალა, ნაქერალა..., კარავივლები-ი, ხვრელები-ი, მელიხვრელები-ი, ყანაგრძელები-ი და სხვ.


72-გვერდიან ლექსიკონში აღნიშნული წესით რამდენიმე ასეული ტოპონიმია დალაგებული, რომელთა უმეტესი ნაწილიც დღემდე სრულიად უცნობი იყო და სპეციალისტი პირველად გაეცნობა სწორედ დასახელებულ წიგნში.

ყოველი წიგნის გამოცემა დიდ სიხარულს ანიჭებს მკითხველს და ორმაგად სასიხარულოა, თუკი ისეთ წიგნს ავიღებთ ხელში, რაც თავისი დანიშნულებით დიდი სამსახურის გამწვევია. საქართველოს ტოპონიმის საკითხების კვლევით დანტერესებული სპეციალისტისთვის სწორედ ასეთი საჭირო და ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია ბატონ იგორ კეკელიას ზემოთ დასახელებული სარეცენზიო წიგნი.

ლია გულორდავა (სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ
ტალერის საჯარო სკოლა)

ესკიზები ბანძის წარსულიდან

(რეცენზია ივორ კეკელიას წიგნზე: „ბანძა – ესკიზები
სოფლის წარსულიდან I“, ქუთ., 2020, 108 გვ.)



სამეგრელოს რეგიონის სოფლებს შორის ბანძას ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო წარსული აქვს. ვინც იცნობს ამ სოფლის გამორჩეულ შვილს, ისტორიკოს ივორ კეკელიას, მან იცის, რომ მეცნიერმა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა არა მხოლოდ მშობლიურ სოფელს, არამედ, ზოგადად, სამეგრელოს ისტორიული წარსულის შესწავლას. და აი, სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილ ათ სტატიას მკვლევარმა ერთ კრებულში მოუყარა თავი და 2020 წელს გა-

მოსცა სახელწოდებით – „ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან I“.

პირველივე გამოკვლევაში („ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება“) აღნიშნულია, რომ ეს სოფელი წარმოადგენდა საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს შუა საუკუნეებში და, მოგვიანებითაც, XIX-XX საუკუნეებში. გამოკვლევაში დამოწმებულია უცხოური და ქართული წერილობითი ისტორიული წყაროები, სადაც ბანძა მოხსენიებული (ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარეივის 1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში ელჩობათა მასალები, არქანჯელო ლამბერტისა და ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკები, ვახუშტი ბატონიშვილი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, კორნელი ბოროზდინი). ყურადღება გამახვილებულია ბანძის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხებზე, რისთვისაც დამოწმებულია რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს განხორციელებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალები, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1925, 1930, 1949, 1961, 1966, 1977 და 1987 წლების მონაცემები. მოცემულია ამომწურავი და საფუძვლიანი მსჯელობა სოფლის სახელწოდების წარმომავლობაზე და ა. შ. მნიშვნელოვანია მკვლევრის მოსაზრება, რომ სოფლის სახელწოდება „ბანძა“ მეგრული

წარმომავლობისაა და უნდა აღნიშნავდეს გზაგასაყარს, გზაშესაყარს, გზაჯვარედინს, განშტოებულ, სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზას. ის ფაქტი, რომ ბანძა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არქეოპოლის-ციხეგოჯიდან ლეჩხუმისაკენ, პეტრა-ციხისძირიდან ჭყონდილისაკენ (მარტვილისაკენ) მიმავალ გზებზე, დასტურდება თვით სოფლის სახელწოდების შინაარსიდან. დღესაც ზომ ეს სოფელი სენაკიდან, აბაშიდან, მარტვილიდან და ხონიდან მომავალი მნიშვნელოვანი საგზაო არტერიების კვანძია.

ნაშრომში – „ბანძის ისტორიულ-ყოფითი ძეგლების დაცვისათვის“, მკვლევარი დანაებით შენიშნავს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დაწყებულ გაუაზრებელ პრივატიზაციას სოფელში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეეწირა. მათ შორის დასახლებულია ელო აჯიაშვილისა და დუტუ შანგუას საცხოვრებელი სახლები. ასევე იერსახე შეუცვლიათ ძეგები გაბუნების მიერ სოფლის ცენტრში 1914 წელს აგებული ორსართულიანი ნაგებობისათვის. ურიაკარში ებრაელთა ერთი სინაგოგის („აჯიაშვილების ლოცვა“) რესტავრაციამ მეორე, მცირე სინაგოგის შენობა შეიწირაო, – გულისწყრომას არ მალავს ავტორი. მასვე გადაუდებელ ამოცანად ესახება საფლავის ძველი ქვების დაცვა-შენარჩუნება, ზოგიერთი ისტორიული საცხოვრებელი ნაგებობისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება, პროფესორ სერგი დანელიას სახლ-მუზეუმის აღდგენა და ა. შ.

სოფელ ბანძაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიის შესწავლას ისახავს მიზნად წიგნში შესული ერთი გამოკვლევა. „ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს, ასევე ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. სამეგრელოს რეგიონის სოფლები სწორედ ბანძასა და სუჯუნაში მცხოვრები ადგილობრივი ვაჭრების მიერ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებიდან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ევროპული საქონლით მარაგდებოდა. ბანძიდან და სუჯუნიდან ევროპაში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ აგრეთვე ქართული საქონელი, ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახით“, – წერს ი. კეკელია (გვ. 61-62). მისადებია მკვლევრის დასკვნა, რომ ბანძის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ, სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობა განაპირობებდა, რისი წყალობითაც აქ ბაზრობას ჩაეყარა საფუძველი ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. XIX ს-ის


II ნახევარში ეს სოფელი წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. მას სიცოცხლეს ჰმატებდა ურიაკარის ბაზრობა, სადაც თავს იყრიდნენ მოვაჭრეები ახლომახლო სოფლებიდან (გვ. 62-63).

XIX-XX საუკუნეების ბანძის ისტორიის საინტერესო ფურცლებს გვაცნობს აგრეთვე წიგნში თავმოყრილი დიდი თუ მცირე ზომის სტატიები. მათში მოცემულია მსჯელობა საქართველოში პირველად, სოფ. ბანძაში, სცენისმოყვარეთა მიერ, უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ თეატრალიზებული წარმოდგენის, ცნობილი ქველმოქმედი მანდილოსნის – დარია ფალავას დაკრძალვაზე აკაკი წერეთლის სტუმრობის, სოფელში 1910-იან წლებში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის, ქალთა 1916 წლის ბუნტის, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიმდინარეობის, აჯანყების მონაწილეთა და რეპრესიებს შეწირულთა ვინაობის შესახებ, ასევე მასალები ბანძელ ებრაელებზე და ცნობილი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის – დეკანოზ ანტონ კეკელიას ცხოვრებასა და ღვაწლზე.

დასანანია, რომ სამეგრელოს ამ მდიდარი წარსულის მქონე სოფლის შესახებ გამოცემული წიგნის რაოდენობა სულ რაღაც 100 ეგზემპლარია. არადა იგი ძვირფასი შენაძენი იქნებოდა თითოეული ბანძელისათვის. იმედს არ ვკარგავთ, რომ სოფელზე შეყვარებული კეთილი ადამიანების მხარდაჭერით მოხერხდება წიგნის მეორე გამოცემაც, უფრო ვრცელი ტირაჟით. მანამდე კი, სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ გულწრფელი მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ამ უადრესად მნიშვნელოვანი, საჭირო და აუცილებელი წიგნის ავტორის მიმართ.

ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევის შესახებ

(ი. კეკელია, „აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე
ტოპონიმია“, თბ., 2022, 644 გვ.)



საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის – აფხაზეთის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის და ეთნოლოგიის მრავალი საკითხი, არაერთი მეცნიერის დაინტერესებისა და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევის არსებობის მიუხედავად, დღემდე საბოლოოდ გარკვეული მაინც არ არის. განსაკუთრებით სადაოა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, აფხაზთა თავდაპირველი განსახლების არეალისა და მათი ეთნოგენეზისის საკითხები. ამიტომ, ბუნებრივია, სპეციალისტები და მკითხველი საზოგადოება დიდ დაინტერესებას იჩენენ ამ მიმართულებით გამოცემული ნებისმიერი სახის სამეცნიერო პროდუქციის მიმართ. უნდა ითქვას, რომ ისტორიკოს ივანე კეკელიას მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული სოლიდური მოცულობის მონოგრაფია „აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“ (რედაქტორი მერაბ ჩუხუა) მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყვოდი, უნიკალური შენაძენია ლინგვისტურ ქართველოლოგიასა და აფხაზოლოგიაში.

რუსეთის იმპერიის, შემდგომ საბჭოთა იმპერიის მესვეურთა მიერ XIX საუკუნის დასაწყისიდან მიზანმიმართულად განხორციელებულმა ისტორიის ფალსიფიკაციამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ქართულ სახელმწიფოებრიობას, რაც საბოლოოდ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარებით დასრულდა.

ასეთ პირობებში როგორც აფხაზი, ასევე მათი დამკვეთი რუსი ისტორიკოსებისა თუ პოლიტიკოსების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი გამოკვლევა მნიშვნელოვან და წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ი. კეკელიას მონოგრაფიაში გაანალიზებულია აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა მეცნიერული

შესწავლის ისტორია და მდგომარეობა. მკვლევარი განსაკუთრებით გამოყოფს აფხაზეთის ტოპონიმისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებზე ცნობილი ქართველი მეცნიერების – პაატა ცხადაიას, ვალერიან ზუხბაიასა და ნოდარ შონიას ღვაწლს. ცალკე თავებად წარმოდგენილია აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმური მონაცემების მიხედვით, 60-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდების ისტორიული, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალა, რაც წიგნის VII თავშია წარმოდგენილი. მასში თავმოყრილია მკვლევრის მიერ 1998-2008 წლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან დიდი რუღუნებით ჩაწერილი გაგრის, გულრიფშის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების რამდენიმე ათასი მიკროტოპონიმი. გათვალისწინებულია ინფორმაცია მეტყველების, სახელწოდებათა გადმოცემის მორფოლოგიური ნიუანსები და წარმოთქმის თავისებურებანი, თუმცა ეს როდი გამოირიცხავს, რომ წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა დაზღვეული იყოს შეცდომებისაგან.

უნდა ითქვას, რომ იგორ კეკელიას წიგნში დაინტერესებული პირი გაცნობა ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ და ენობრივ საბუთს კითხვაზე, თუ რა ფაქტობრივით იყო განპირობებული კავკასიის ქელსმიდმა მცხოვრები ტომების მიგრაცია სამხრეთ კავკასიაში.

აღნიშნული გამოკვლევა, სხვა არაერთ არქეოლოგიურ, ისტორიულ და ენობრივ მონაცემთან ერთად, ასაბუთებს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აფხაზეთის რეგიონში „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა ერთი მხრით, სვანური შტოთი, მეორე მხრით – ჭანურ-მეგრულისა“.

ბ-ნ იგორ კეკელიას სოლიდური გამოკვლევა მნიშვნელოვანი შენაძენია აფხაზოლოგიის პრობლემური საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველი საზოგადოებისათვის.

შინაარსი

მანანა გაბაშვილი, იგორ კეკელია – სერგი მაკალათია – ქართული მხარეთმცოდნეობის ფუძემდებელი (დაბადების 130 წლისთავის გამო) _____	3
მანანა გაბაშვილი – სერგი მაკალათიას სამყარო (ცხოვრებისეული გაკვეთილები) _____	8
თინა აბულაშვილი – სერგი მაკალათიას არქეოლოგიური მოღვაწეობა	61
სალომე ბანია-ოქრუაშვილი – სერგი მაკალათია – საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური მხარეების მკვლევარი _____	75
ირმა კვაშილავა – მესხების რელიგიური იდენტობა (სერგი მაკალათიას „მესხეთ-ჯავახეთის“ მიხედვით _____	87
თამაზ ლაცაბიძე – სერგი მაკალათიას ერთი წერილი ხაშურის მუზეუმიდან _____	96
ნინო ხარჩილავა – სერგი მაკალათია და სამეგრელოს საქორწინო წეს-ჩვეულებები _____	102
თინათინ ჯაბადარი – სერგი მაკალათია – სამაჩაბლოს მკვლევარი _____	111
ფერიდე აფაქიძე – სამეგრელოს სამთავროში მოღვაწე ოსტატები (XI-XIX სს.) _____	125
ელიშერ ბალათურია, იგორ კეკელია – ეგრისის მეფეთა სიმაგრე ჭყონდიდში _____	140
Eliso Baghaturia-Kner – Society of Olginskoe cemetery from historical Apsilia _____	148
ელისო ბალათურია – ოლგინსკოეს სამაროვნის საზოგადოება ისტორიული აფშილეთიდან _____	155
იგორ კეკელია, მათე დარსაძე – თვითმმართველობის ხალხური სისტემა და ჩვეულებითი სამართალი გივი ელიავას ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში _____	161
რევაზ კვიციანი – ახალი არქეოლოგიური ძეგლები ხადაში _____	172
ბორის კომახიძე – სიერცის ონლაინ წარმოსახვა და მოზარდობა Grand Theft Auto: San Andreas-ის ქართულენოვან საზოგადოებაში _____	183
ქეთევან მარგიანი – დალის ხეობა – ისტორია და თანამედროვეობა _____	199
მარიამ მარჯანიშვილი – გენდერული ასპექტები ქუთაისელ ქალთა აქტივობებში _____	220
იოსებ შენგელია – წმინდა გიორგისა და ღვთაება მითრას ურთიერთმიმართების საკითხისათვის _____	227

ანა ჩიქვანაია – მოსაზრებები ერთი მეგრული ხალხური ლექსის შესახებ _____	238
გურამ ჩიქოვანი – ერთი მეგრული შაირის გამო _____	250
ნინო წერეთელი – „ღერბეთ“ - „ღმერთი“ (ახალი ეთნოგრაფიული მასალები. სვანეთი) _____	259
მზისადარ ჭაფანძე – დადიანების სასახლეში დაცული დოკუმენტური მასალები სახარებებსა და იწმინდეებზე _____	273
დავით ჭითანავა – „ნეოლითური რევოლუციის“ გამომწვევი ძირითადი ფაქტორები _____	286
ლალი ჭითანავა – წერილებში ასახული გიორგი ნიკოს ძე დადიანისა და დიმიტრი ვიფიანის ურთიერთობა _____	298
მინდია ხვადაგიანი – ლეჩხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ _____	305
ლერი ჯობლაძე – დასავლეთ საქართველოს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურები _____	352

რეცენზიები

ქეთევან მარგიანი – „ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონის“ გამოცემის შესახებ _____	367
ლია გულორდავა – ესკიზები ბანძის წარსულიდან _____	369
ალინა ბაღიშვილი – ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევის შესახებ _____	372

ქართული მხარეთმცოდნეობის სათავმებთან

სამეცნიერო კრებული

*ედვენება სერგი მაკალათიას დაბადების
130 წლისთავს*

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება
ლევან იობაძე

ქალაქის ზომა 1/16
ნაბეჭდი თაბახი 23,5
ტირაჟი 100

დაბეჭდა ი.მ. „მარიამ იობაძის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა